


I

სტრასბურგის სასამართლოს  
გადაწყვეტილებები ადამიანის  
უფლებათა ეპროცესი  
კონვენციის მიზანის მუხლის

ნოვენი



CMYK C 100 M 80 Y 60 K 80 CM 60 CY 80 CMY K 60

C 80 M 100 Y 80 K 100 CM 80 CY 60 CMY K 60

# სტრასბურგის სასამართლოს გადაცევათილებები აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე

ციფრი |

---

Funded  
by the European Union  
and the Council of Europe



EUROPEAN UNION



COUNCIL  
OF EUROPE CONSEIL  
DE L'EUROPE

---

Implemented  
by the Council of Europe

Strasbourg Case Law on Article 3 of the European Convention on Human Rights  
(Georgian version)

Volume I

This publication has been translated under the framework of the European Union and Council of Europe Joint Programme “Reinforcing the Fight against Ill-treatment and Impunity” and published with the financial support of the Council of Europe.

ნაშრომი ითარგმნა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - “არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრის ხელშეწყობა” - ფარგლებში და გამოიცა ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით.

ISBN 978-9941-0-5469-3

ISBN 978-9941-0-5470-9

© ევროპის საბჭო, 2013 წელი

## **სარჩევი**

---

ბისერ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ .....	5
CASE OF BISER KOSTOV v. BULGARIA	
ბრეაბინი მოლდოვის წინააღმდეგ.....	27
CASE OF BREABIN v. MOLDOVA	
სიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ.....	47
CASE OF CIORAP v. MOLDOVA	
კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ.....	83
CASE OF KAVERZIN v. UKRAINE	
მურადოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ.....	127
CASE OF MURADOVA v. AZERBAIJAN	
პავლენკო რუსეთის წინააღმდეგ .....	167
CASE OF PAVLENKO v. RUSSIA	
რამსაჰაი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ .....	203
CASE OF RAMSAHAI AND OTHERS v. THE NETHERLANDS	
ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ .....	279
CASE OF VALERIU AND NICOLAE ROŞCA v. MOLDOVA	
ვიქტორკო პოლონეთის წინააღმდეგ .....	307
CASE OF WIKTORKO v. POLAND	



**ბისერ კოსტოვი პულგარეთის  
ცინააღმდეგ**

---

***CASE OF BISER KOSTOV v. BULGARIA***



მეოთხე სექცია

## პისტ კოსტოვი ჩულგარეთის ნინააღმდეგ

(განაცხადი №32662/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 10 იანვარი

საბოლოო ვერსია

10/04/2012

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე პისერ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

ლეხ გარლიცკი, თავმჯდომარე,  
დავიდ ტორ ბიორგვინსონი,  
ჯორჯ ნიკოლაო,  
ლედი ბიანკუ,  
ზდრავკა კალაიჯიევა,  
ნებოცა ვუჩინიჩი,  
ვინცენტ ა. დე გაეტანო, მოსამართლეები,  
და ფატოს არაცი, სექციის მდივნის მოადგილე,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2011 წლის 6 დეკემბერს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №32662/06, რომელიც 2006 წლის 1 აგვისტოს ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა ბულგარეთის მოქალაქემ, ბატონმა ბისერ მილანოვ კოსტოვმა (შემდგომში „განმცხადებელი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებლის ინტერესებს იცავდა ქალბატონი უ. ალდინოვა, იამბოლ-ში მოღვაწე ადვოკატი. ბულგარეთის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) სასამართლოში წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ქალბატონი 6. ნიკოლოვა.

3. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა სათანადოდ არ დასაჯეს პირები, რომლებიც მას თავს დაესხნენ.

4. 2010 წლის 4 მარტს მეხუთე სექციის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, განმცხადებლის შეტყობინება მთავრობისთვის ეცნობებინათ. ასევე გადაწყდა, რომ განაცხადის არსებითი მხარე და დასაშვებობის საკითხი ერთდროულად განხილათ (კონვენციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5. მოგვიანებით, 2011 წლის 1 თებერვალს სასამართლოს სექციების შემადგენლობათა შეცვლის შემდეგ, განაცხადი მეოთხე სექციას გადაეცა.

## ზაეთები

### 1. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1951 წელს და ცხოვრობს ქ. იამბოლში.

#### A. 2004 წლის 21 აპრილს მომხდარი ინციდენტი

7. 2004 წლის 21 აპრილს, დაახლოებით 09:00, განმცხადებელი ქალაქ იამბოლის პატარა სუპერმარკეტში ვაჭრობისას გააჩერა ამ მაღაზიის თანამშრომელმა, არყის პატარა ბოთლის მოპარვის ბრალდებით. ბოთლის ფასი იყო 1.2 ბულგარული ლევი, დაახლოებით 61 ევროცენტის ეკვივალენტი ლევში. სუპერმარკეტის თანამშრომლებმა განმცხადებელი უკან, სამუშაო ოთახში გაიყვანეს და მერეჯერ S.F.-თან დატოვეს. ამ ფაქტის შესახებ ასევე ეცნობა მაღაზიის მეპატრონებს, P.D.-ს, რომელიც სუპერმარკეტში პოლიციის მისვლამდე გამოცხადდა.

8. ამ პერიოდში ვიღაცამ დაურეკა პოლიციას და შეატყობინა, რომ სუპერმარკეტში მოხდა ქურდობა.

9. განმცხადებლის თქმით, იგი გაჩერიკეს და ჩამოართვეს სავაჭრო კალათა. ამის შემდეგ S.F.-მა მას ბრალი დასდო ქურდობაში, სახეში გაარტყა, იატაკზე დააგდო და გულმკერდში წიხლით სცემდა, განმცხადებელი კი ყვიროდა და გა-

ჩერებას სთხოვდა. როცა S.F. გაჩერდა, განმცხადებელმა წამოდგომა მოახერხა და აღმოაჩინა, რომ მცირე თანხა აკლდა. როცა განმცხადებელმა თანხისა და სათვალის დაბრუნება ითხოვა, რომელიც ცემისას დაუვარდა, S.F.-მა თავის არეში კვლავ შემოჰკრა ხელი და ძირს დააგდო, რის შემდეგაც P.D.-მ რამდენჯერმე წიხლი ჩაარტყა და უთხრა, რომ ასეთი ადამიანები მის ბიზნესს აზარალებდნენ.

10. ცოტა ხნის შემდეგ სუპერმარკეტში ორი პოლიციელი მივიდა, რომლებ-საც განმცხადებელი, S.F.-ისა და P.D.-ს თანდასწრებით, კედელთან მიყენებული დახვდათ. P.D. პოლიციის მოსვლისთანავე წავიდა, სავარაუდოდ, უკანა კარით.

11. განმცხადებლის ვერსიის თანახმად, საგამოძიებო პროცესისას მან პოლიციელებს უთხრა, რომ სცემა ორმა მამაკაცმა და სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა. იგი ასევე აცხადებდა, რომ ამ ინციდენტის შემდეგ სიარული უჭირდა და პოლიციელები პოლიციის მანქანამდე მისვლაში დაეხმარნენ. გამოძიების პროცესში პოლიციის ოფიცერებმა აღნიშნეს, რომ სუპერმარკეტში მისვლისას განმცხადებელმა მათ აცნობა ცემის ფაქტის შესახებ. მათ ეჭვებეშ დაყენეს განმცხადებლის მტკიცება, რომ მას სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა, აღნიშნეს რა, რომ განმცხადებელს დაზიანებები არ ჰქონდა და გადაადგილებაც დამოუკიდებლად შეეძლო.

12. პოლიციელებმა განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს ქურდობასთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად. მოსაცდელში, საქმის განმხილველი ოფიცირის ლოდინისას, განმცხადებელმა, სავარაუდოდ, ძლიერი ტკიფილი იგრძნო, შენობა დატოვა და უცნობ მძღოლს სახლში წაყვანა სთხოვა.

13. მალევე ზემოხსენებული ორი პოლიციელი განმცხადებლის ბინისკენ გაემართა. მათ იგი სახლის წინ, სკამზე ჩამომჯდარი იპოვეს და ბინაში შეიყვანეს. იქ განმცხადებელმა ხელი მოაწერა ძარცვასთან დაკავშირებულ ოქმს. შემდგომი გამოძიებისას ერთ-ერთმა პოლიციელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი ბინაში მათი ყოფინისას საწოლზე წამონვა და ცუდად გამოიყურებოდა.

14. პოლიციელების წასვლის შემდეგ განმცხადებელი ცუდად გახდა და მისმა ცოლმა სასწრაფო გამოიძახა.

## B. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა

15. იმავე დღეს განმცხადებელი მოხვდა იამბოლის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში, სადაც დადგინდა, რომ მოტეხილი ჰქონდა ხუთი ნეკნი, აღნიშნებოდა ორმაგი პნევმოთორაქსი, სხეულის ზედა ნაწილის კანქვეშა ემფიზიმა და დალურჯებები თავის, გულმკერდისა და მუცლის არეებში.

16. ორი დღის შემდეგ, 2004 წლის 23 აპრილს, განმცხადებელი გადაიყვანეს სტარა ზაგორას საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა რამდენიმე გამოკვლევა. სამედიცინო დასკვნების თანახმად, მას ჩამსხვრეული ჰქონდა 10 ნეკნი, აღნიშნებოდა კანქვეშა ემფიზიმა, ჰემატომები გულმკერდზე, ზურგსა და ორივე გვერდზე, დიდი ზომის ჰემატომა წელის არეში და ორმაგი პნევმოთორაქსი. 2004 წლის 28 აპრილს განმცხადებელს ჩაუტარდა მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა, რომელმაც აჩვენა ორმხრივი პლევრიტი და ფუნქციური ცვლილებები თორკებულები, ტრავმის ფონზე.

17. განმცხადებელს ჩაუტარდა რამდენიმე სამედიცინო პროცედურა, *inter alia* პლევროცენტრების ჩათვლით, რა დროსაც 200 მლ სითხე ამოიღეს პლევრის ღრუდან.

18. განმცხადებელი საავადმყოფოდან 2004 წლის 5 მაისს განერეს და

**45-დღიანი ბიულეტენი მისცეს.**

19. 2004 წლის 14 მაისს განმცხადებელმა ჩატარა გულმკერდისა და ფილტვების გამოკვლევა. ექიმმა დასკვნაში ყურადღება გაამახვილა ადრე ჩატეხილ ათ ნეკნსა და ფილტვების ფიბროზზე. 2004 წლის 4 ივნისს, მეორე შემოწმებისას, ექიმი იმეორებს მანამდელ დასკვნებს.

### **C. სისხლის სამართლებრივი გამოძიება**

20. 2004 წლის 21 აპრილის საღამოს იამბოლის საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ პოლიციას შეატყობინა განმცხადებლის მიღების ფაქტი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. პოლიციის ოფიცერი მიავლინეს საავადმყოფოში, თუმცა, მან განმცხადებლის ნახვა ვერ შეძლო მისი ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის გამო.

21. მომდევნო დღეს, 2004 წლის 22 აპრილს, პოლიციის იმავე ოფიცერმა განმცხადებელი საავადმყოფოში მოინახულა. ამ დროისთვის განმცხადებელს ურთიერთობა შეეძლო და პოლიციის ოფიცერს აცნობა, რომ სუპერმარკეტში ორმა მამაკაცმა სცემა და მათი ამოცნობა შეეძლო.

22. იმავე დღეს დაიწყო სისხლის სამართლებრივი მოკვლევა დაუდგენელი დამნაშავეების მიმართ.

23. 2004 წლის 23 აპრილს განმცხადებლის მეუღლემ იამბოლის საქალაქო პოლიციის ადმინისტრაციას მიმართა ოფიციალური საჩივრით, რომელშიც აღნერდა ფაქტებს და ითხოვდა გამოძიების დაწყებასა და დამნაშავეთა დასჯას.

24. 2004 წლის 23 აპრილიდან 18 მაისამდე პოლიციის გამომძიებელმა დაკითხა P.D. S.F. და მაღაზიის ორი თანამშრომელი, ინციდენტის ადგილას გამოძახებული პოლიციელები, პოლიციელი, რომელმაც განმცხადებელი საავადმყოფოში მოინახულა და თვითონ განმცხადებელი. სუპერმარკეტში ნამყოფი პოლიციელების თქმით, განმცხადებელმა, რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდიოდა, მათ უთხრა, რომ სცემეს, მაგრამ სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. ასევე, დამატებით აღნიშნეს, რომ განმცხადებელს დაუხმარებლად სიარული შეეძლო და სამედიცინო დახმარება არ მოუთხოვია. S.F.-მა განაცხადა, რომ როცა პოლიციაში რეკავდა, განმცხადებელმა ოთახის დატოვება სცადა. S.F.-მა მას მკერდზე ხელი სტაცა და ეს უკანასკნელი კარს შეეჯახა. მან უარყო განმცხადებლის ცემის ფაქტი და კვლავ აღნიშნა, რომ განმცხადებელი მთვრალი იყო და მათ ემუქრებოდა. P.D. ირნმუნებოდა, რომ როცა ის სუპერმარკეტში მივიდა, S.F. და განმცხადებელი მართლაც უკანა ოთახში იმყოფებოდნენ, მაგრამ განმცხადებელს, რომელიც მთვრალი იყო, არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდა. მან უარყო განმცხადებლის ცემის ფაქტი და დამატებით აღნიშნა, რომ არ იცოდა, რა მოხდა განმცხადებელსა და S.F.-ს შორის, სანამ ისინი მარტო იყვნენ ოთახში. განმცხადებელმა დეტალურად აღნერა ფაქტები, მიუხედავად იმისა, რომ მისი მტკიცებით, ინციდენტის შემდეგ რამდენიმე მომენტს ბუნდოვნად იხსენებდა მიღებული შოკის გამო.

25. პოლიციის გამომძიებელმა 18 მაისს მოითხოვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, რომლის დასკვნაც მას 2004 წლის 23 მაისს მიენოდა. ეს დასკვნა იმეორებდა განმცხადებლის სამედიცინო ისტორიაში არსებულ ინფორმაციას. სამედიცინო ექსპერტმა დასკვნა, რომ განმცხადებელს დაზიანებები შეიძლება მიელო მის მიერ აღნერილ სიტუაციაში, კერძოდ, მუშტებითა და წიხლებით ცე-

მით, მაგრამ არა S.F.-ის მიერ აღწერილი ფორმით.

26. 2004 წლის 25 მაისს გამომძიებელმა ამოცნობის პროცედურა ჩაატარა, რა დროსაც განმცხადებელმა ამოცნო სუპერმარკეტის მენეჯერი S.F. და ამ სუპერ-მარკეტის მეპატრონე P.D. - პირები, რომლებმაც იგი სცემეს.

27. 2004 წლის 27 მაისს განმცხადებელი დაკითხა იამბოლის საქალაქო სა-სამართლოს მოსამართლემ. განმცხადებელმა გაიმეორა მოვლენების თანმიმდე-ვრობა და განაცხადა, რომ სასამართლოში სამართლწარმოებისას სამოქალაქო სარჩელს შეიტანდა სავარაუდო დამაშავეთა წინააღმდეგ.

28. 2004 წლის 2 ივნისს S.F. დაიკითხა, როგორც ეჭვმიტანილი. მან დუმილის უფლებით ისარგებლა. იმავე დღეს პოლიციის გამომძიებელმა გამოძიება დაასრუ-ლა და საქმე იამბოლის საქალაქო პროკურატურას გადასცა იმ საფუძვლით, რომ S.F. სასამართლოს წინაშე ნარმდგარიყო განმცხადებლისთვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების გამო. როგორც ირკვევა, P.D.-ს ბრალი არ წაჰედავს.

29. 2004 წლის 8 ივნისს იამბოლის საქალაქო პროკურატურის პროკურორმა R.L.-მა S.F.-ის მიმართ საქმისწარმოება შეწყვიტა, დაადგინა რა, რომ არ არსე-ბობდა საკმარისი მტკიცებულება S.F.-ისა და P.D.-ს მიერ განმცხადებლის ცემი-სა. კერძოდ, პროკურორმა განაცხადა, რომ განმცხადებლის მითხრობილ მო-ვლენათა თანმიმდევრობა ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. მან ამ მიმართულებით ორ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება: პირველი, განმცხადებელმა არ აცნობა პოლიციელებს, რომ სჭირდებოდა სამედიცინო დაბმარება; და მეორე, მიუხედა-ვად მისი ჩვენებისა, რომ თავში ოჯგურ ჩაარტყეს, მოწმების ჩვენებათა თანახ-მად, მას დაზიანებით არ აღენიშნებოდა და ექიმების დასკვნებშიც არაფერია ნათქვამი მათ შესახებ. დამატებით, პროკურორმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს ბუნდოვნად ახსოვდა ინციდენტის შემდგომი პერიოდი.

30. განმცხადებელმა (თარიღი დაუდგენელია) გადაწყვეტილება სასამართ-ლოში გაასაჩივრა. მან კვლავ გაიმეორა, რომ აცნობა პოლიციელებს მისი ცემის შესახებ, და რომ დაზიანებები, ბუნებრივია, თვალსაჩინო მოგვიანებით გახდა. მან ასევე სადაც გახადა მოვლენათა პროკურორისეული ვერსია, რომელიც, განმცხადებლის აზრით, იმგვარად განიმარტებოდა, თითქოს მან თავი თვითონ დაიზიანა.

31. 2004 წლის 2 ივლისს იამბოლის საქალაქო სასამართლომ პროკურორის დადგენილება დაუსაბუთებლობის საფუძვლით გააუქმა და საქმე შემდგომი გა-მოძიებისთვის დააბრუნა. მოსამართლე D.S.-მა დაადგინა, რომ საქმეში იყო არ-სებითი ფაქტობრივი მტკიცებულება მაღაზიაში ორი მამაკაცის მიერ განმცხა-დებლის ცემის შესახებ. პროკურორის დასკვნებათან დაკავშირებით კი სასამართ-ლომ აღნიშნა: ინციდენტის დასრულებისთანავე განმცხადებელმა პოლიციელებს აცნობა, რომ ორმა ადამიანმა სცემა, შემდგომ კი ამოიცნო ისინი. სავარაუდო ჩარტყმა თავში კი დაფიქსირდა სამედიცინო დოკუმენტში, რომელშიც *inter alia* მითითებულია, რომ პაციენტს აღენიშნებოდა სხეულის ზედა ნაწილის კანქვეშა ემფუზება და თავის დახურული ტრავმა. სასამართლო ასევე მოიხმო სამედიცი-ნო ექსპერტის დასკვნა, რომელშიც დადგენილია, რომ განმცხადებელს დაზიანე-ბები, შესაძლოა, მის მიერ აღწერილ გარემოებებში მიეღო, კერძოდ, მუშტებითა და წილებით ცემისას, მაგრამ არა S.F.-ის მიერ აღწერილი ფორმით.

32. საქმის დაბრუნების შემდეგ, 2004 წლის 15 ივლისს, პროკურორმა მი-თითება მისცა გამომძიებელს, დაეკითხა პოლიციის ის ოფიცრები, რომლებმაც განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში ნახეს, რათა გაერკვია, აღენიშნებო-

და თუ არა განმცხადებელს თვალსაჩინო დაზიანებები, მოითხოვა თუ არა სამე-დიცინო დახმარება, თუ დასჭირდა სიარულისას დახმარება და თუ იყო ნასვამი. 2004 წლის 16 და 19 ივლისს პოლიციის გამომძიებელმა რამდენიმე პოლიციელი დაკითხა. მოწმეებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელს შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება და თვალსაჩინო დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

33. 2004 წლის 20 ივლისს პოლიციის გამომძიებელმა გამოძიება დასრულა და საქმე პროკურატურას გადასცა იმ საფუძვლით, რომ S.F. სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო განმცხადებლისთვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების გამო.

34. 2004 წლის 22 ივლისს პროკურორმა R.L.-მა S.F.-ის მიმართ კვლავ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე იდენტური საფუძვლით - რომ დამატებითი საგამოძიებო ზომების მიღების მიუხედავად, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა განმცხადებლის ცემას სავარაუდო დამნაშავეების მიერ. მან დამატებით მიუთითა, რომ განმცხადებელს სამედიცინო დახმარება არ მოუთხოვია და თვალსაჩინო დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

35. განმცხადებელმა წინამდებარე დადგენილება გაასაჩივრა, კვლავ აღნიშნა რა, რომ პროკურორმა არსებითი მტკიცებულების განხილვა ვერ შეძლო. დამატებით, იგი ირწმუნებოდა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ამყარებდა მის ბრალდებებს არა მარტო S.F.-ის, არამედ P.D.-ის წინააღმდეგ.

36. 2004 წლის 4 ოქტომბერს იამბოლის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2004 წლის 22 ივლისის დადგენილება - დაუსაბუთებლობის გამო - და საქმე დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნა. მოსამართლე G.K.-მ, სახელდობრ, აღნიშნა: განმცხადებელმა პოლიციელებს განუცხადა, რომ სცემეს და მოგვიანებით სავარაუდო დამნაშავეებიც ამოიცნო; მეტიც, მისი განმცხადებები დაზიანებთან დაკავშირებით ექიმების დასკვნებითაც გამჟარდა. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ საკმარისი მტკიცებულება არსებობდა ბრალდებულთა წარსადგენად სასამართლოს წინაშე. თუმცა, მტკიცებულებათა გასამყარებლად, სასამართლომ საგამოძიებო ორგანოებს მითითება მისცა, დაეკითხათ განმცხადებლის მეუღლე და მაღაზიის თანამშრომელი, რომელიც მნამდე არ დაკითხულა.

37. საქმის გამოძიებაში დაბრუნების შემდეგ, სასამართლოს მითითების შესაბამისად, პოლიციის გამომძიებელმა ზემოაღნიშნული მოწმეები დაკითხა. 2004 წლის 15 ოქტომბერს პოლიციის გამომძიებელმა გამოძიება დაასრულა და საქმე პროკურატურას გადაუგზავნა იმ საფუძვლით, რომ S.F. სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო.

38. 2004 წლის 3 ნოემბერს პროკურორმა R.L.-მა, იმავე საფუძვლით, კვლავ შეწყვიტა სისხლის სამართლნარმოება S.F.-ის წინააღმდეგ. მან ასევე დაასკვნა, რომ დამატებით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები მის ადრინდელ დასკვნებს ვერ ცვლიდა.

39. განმცხადებელმა აღნიშნული გაასაჩივრა და, საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, კვლავ მოიხმო ადრინდელი არგუმენტები. 2004 წლის 9 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2004 წლის 3 ნოემბრის დადგენილება და საქმე მესამედ დაუბრუნა გამოძიებას. მოსამართლე N.N.-მა აღნიშნა, რომ დაზიანებათა უმრავლესობა შინაგანი იყო და, შესაბამისად, მოწმეებმა ისინი გარეგნულად ვერ შენიშნეს. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორის დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არ შეესაბამებოდა, მან არ გაითვალისწინა სამედიცინო დასკვნები, და რომ საკმარისი მტკიცებულება არსებობდა დამნაშავეთა დასაჯელად. ასევე მისი მითითებით, პროკურორს უნდა დაეკითხა ერთ-ერთი იმ პოლიციელთაგანი, რომელიც ინციდენტის ადგილას იმყოფებოდა.

40. ამის პარალელურად, განმცხადებელმა იამბოლის საოლქო საზოგადოებრივ პროკურატურას მიმართა საჩივრით, რომელშიც აღნიშნა, რომ პროკურორი R.L. მიკერძოებული იყო და ითხოვდა მის აცილებას. 2004 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით, საოლქო პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ გამოძიების შეწყვეტა ეფუძნებოდა პროკურორის მოსაზრებას, ჩამოყალიბებულს სასამართლოს მითითებით ჩატარებული დამატებითი გამოძიების საფუძველზე, და სხვა მინიჭებათა არარსებობის შემთხვევაში, უბრალო ფაქტი, რომ პროკურორმა სამართალნარმოება რამდენჯერმე შეწყვიტა, მის მიკერძოებულობას არ ადასტურებდა.

41. 2005 წლის 17 იანვარს პოლიციის გამომძიებელმა ერთ-ერთი იმ პოლიციელთაგანი დაკითხა, რომელიც სუპერმარკეტში იმყოფებოდა და 2005 წლის 21 იანვარს გამოძიება დასრულა იმ მოსაზრებით, რომ ბრალდებული სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. 2005 წლის 25 თებერვალს იმავე პროკურორმა, იმავე საფუძვლით, მეოთხედ შეწყვიტა სისხლის სამართლნარმოება. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელს ბუნდოვნად ახსოვდა საქმის გარემოებები და არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა მის მიერ პოლიციის განყოფილების დატოვებიდან შინ მისვლამდე.

42. განმცხადებელმა აღნიშნული დადგენილება კვლავ გაასაჩივრა. 2005 წლის 11 ივლისს საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2005 წლის 25 თებერვლის დადგენილება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, და საქმე გამოძიებას დაუბრუნა. მოსამართლე A.A.-მ დაადგინა *inter alia*: პროკურორის დასკენები მიანიშნებდა იმაზე, რომ განმცხადებელმა პოლიციის განყოფილების დატოვების შემდეგ როგორდაც თავი დაიზინა ან უცნობი პირების თავდასხმის მსხვერპლი გახდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ დროისა და ადგილის გათვალისწინებით, რა პირობებშიც, პროკურორის ვერსიით, უნდა მომზდარიყო ინციდენტი - კერძოდ, განმცხადებლის შინ დაბრუნებისას - ძნელი სავარაუდოა, ეს შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

#### D. სისხლის სამართალნარმოების შეწყვეტა

43. ამის პარალელურად, (თარიღი დაუდგენელია) S.F.-მა, 1974 წლის სისხლის საპროცესო კოდექსის 239-ე (ა) პუნქტის თანახმად, მოითხოვა, რომ მისი საქმე სასამართლოს განეხილა ან სამართალნარმოება შეწყვეტილიყო, რადგან ისედაც დიდხანს გაგრძელდა. 2005 წლის 24 ნოემბერს საქალაქო სასამართლომ პროკურორს მითითება მისცა: ან ორი თვის ვადაში საბრალდებო დასკვნა წარედგინა მისთვის, ან საქმისნარმოება შეწყვიტა.

44. ირკვევა, რომ გამოძიება არ ჩატარებულა 2005 წლის 11 ივლისიდან 2 დეკემბრამდე. 2005 წლის 2 დეკემბერს საქმე გადაეცა სხვა პროკურორს, რადგან პროკურორი R.L. დაანინაურეს.

45. 2006 წლის 10 იანვარს პროკურორმა მითითება მისცა პოლიციის სხვა გამომძიებელს, გაეგრძელებინა გამოძიება.

46. 2006 წლის 17 იანვარს პოლიციის გამომძიებელმა სამედიცინო ექსპერტის ჩატარება მოითხოვა. 2006 წლის 2 თებერვლამდე (ზუსტი თარიღი დაუდგენელია) სამედიცინო ექსპერტმა თავისი დასკვნები წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ განმცხადებლის დაზიანებები დამზიმდა დროის გასვლის შემდეგ, შესაბამისად, ინციდენტის მერე მას ჯერ კიდევ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება. ასევე აღნიშნა, რომ ჰემატომა თვალსაჩინო ხდება სისხლჩაქცევიდან

ნახევარი საათის შემდეგ, ორ საათის განმავლობაში, შესაბამისად, შესაძლებელი იყო, განმცხადებლის დაზიანებები მაშინვე ვერ შეენიშნათ.

47. ამასობაში 239 (a) მუხლის საფუძველზე დადგენილი ორთვიანი ვადა - იმისთვის, რომ საქმისარმოება ან შეწყვეტილიყო, ან პროკურორს საპრალდებო დასკვნით მიემართა სასამართლოსთვის - ამონწურა. საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 9 თებერვალს შეწყვიტა სისხლის სამართლწარმოება.

48. განმცხადებელმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. იგი ამტკიცებდა: იმის გათვალისწინებით, რომ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მძიმე დანაშაული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად და ბრალდებულს, შესაბამისად, უფლება ჰქონდა სამართალწარმოების პროცესის შეწყვეტა მოეთხოვა გამოძიების დაწყებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, ეს ვადა არ იყო ამონწურული და განმცხადებლის მოთხოვნაც ამ საკითხთან დაკავშირებით ნაადრევი გახლდათ.

49. 2006 წლის 8 მაისს იამბოლის საოლქო სასამართლომ წინა გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მან დაადგინა, რომ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის მე-7 პუნქტის ფარგლებში არ ხვდებოდა და, შესაბამისად, ბრალდებულის მოთხოვნა ნაადრევი არ ყოფილა. სასამართლომ დაასაბუთა, რომ 1974 წლის სისხლის საპროცესო კოდექსის 239(a) მუხლის თანახმად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბრალდებულს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მისი საქმის განხილვა ან შეწყვეტა სასამართლოს მიერ. წინამდებარე საქმეში სასამართლო უფლებამოსილი იყო დაედგინა მხოლოდ ის, თუ რამდენად დაიცვეს საგამოძიებო ორგანოებმა ვადები და არ შეეძლო საქმის არსებითად განხილვა.

## E. სხვა მოვლენები

50. 2006 წლის 3 აგვისტოს განმცხადებელმა მთავარ საზოგადოებრივ პროკურორს მიმართა საჩივრით, რომელშიც აცხადებდა, რომ პროკურორმა R.L.-მა რამდენჯერმე შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება; მიუხედავად სასამართლოს მითითებებისა, ბრალდებული სასამართლოს წინაშე წარედგინა, მეორე პროკურორმა, რომელსაც საქმე მოგვიანებით გადაეცა, არაფერი მოიმოქმედა და ხელი შეუწყო საქმისარმოების შეწყვეტას.

51. 2006 წლის 16 აგვისტოს უმაღლესი საკასაციო პროკურატურის პროკურორმა მოკვლევა ჩაატარა განმცხადებლის ბრალდებათა ირგვლივ და საქმეზე მომუშავე მეორე პროკურორისა და ზემდგომი პროკურორისაგან ახსნა-განმარტება ითხოვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაგვიანდა სასამართლოსთვის საბრალდებო დასკვნის მიწოდება.

52. 2007 წლის 30 აგვისტოს იამბოლის საქალაქო პროკურორმა უმაღლეს საკასაციო პროკურატურას აცნობა, რომ საქმეზე მომუშავე პროკურორის მიმართ დისციპლინური სანქციები არ დაწესებულა, რადგან იგი სანდო თანამშრომლად ითვლებოდა და ის, რომ საპრალდებო დასკვნა დროულად ვერ მომზადდა, იყო შეცდომა, რომელიც განზრას არ დაუშვია.

53. არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, დაწესდა თუ არა რაიმე დისციპლინური სანქცია პროკურორ R.L.-ის მიმართ.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონიდებლობა და პრაქტიკა

### 1. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება

54. 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას (средна телесна повреда) განსაზღვრავს, როგორც *inter alia* ჯანმრთელობის დროებით საშიშ მდგომარეობას სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობის მუდმივ აშლილობას, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს (129-ე მუხლის მე-2 პუნქტი). იმ დროისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების ნებით მიყენება ისჯებოდა 5 წლამდე პატიმრობით (129 (1)). ის ექვემდებარება საზოგადოებრივ დევნას (მუხლი 161).

55. 93-ე მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს, რომ დანაშაული, რომელიც ისჯება 5 წელზე მეტი ვადით, უნდა ჩაითვალოს „მძიმედ“ ამ კოდექსის მიზნებისათვის.

### 2. საქმის სასამართლოსთვის გადაცემა ბრალდებულის მოთხოვნით

56. შესაბამის დროს მოქმედი 1974 წლის სისხლის საპროცესო კოდექსის 239(a) მუხლი *inter alia* ითვალისწინებდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირებს, რომელთა მიმართაც წინასწარი გამოძიება ერთ წელიწადში დასრულდა, უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ მათი საქმის განხილვა ან შეწყვეტა სასამართლოს მიერ. მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნა შესაძლებელი იყო, თუ შესაბამისი ორგანოები ორი წლის განმავლობაში წინასწარ გამოძიებას ვერ დაასრულებდნენ.

57. ამგვარ შემთხვევაში, სასამართლო საქმეს უგზავნის საზოგადოებრივ პროკურორს მითითებით, რომ ორი თვის ვადაში საპრალდებო დასკვნით მიმართოს სასამართლოს, ან შეწყვიტოს საქმისწარმოება. თუ პროკურატურა უმოქმედოა, სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს სისხლის სამართალწარმოება.

58. წინამდებარე დებულება თითების სიტყვა-სიტყვით გადავიდა 2005 წლის ახალი სისხლის საპროცესო კოდექსის 368-ე და 369-ე მუხლებში. 2010 წლის 25 მარტს პარლამენტმა 368-ე და 369-ე მუხლები გააუქმა, რაც ძალაში 2010 წლის 28 მაისს შევიდა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით (реш. № 10 ით 28 სეptember 2010 გ. ით კ. დ. № 10/2010 გ. ინ. დ.В, ბრ. 80 ით 12 იქტომვის 2010 გ.), რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნას - მუხლების გაუქმება არაკონსტიტუციურად ეცნო - უარი უთხრა. მან დაადგინა, რომ კონისი შესაბამისი მუხლების გაუქმება კონსტიტუციას არ ენინააღმდეგებოდა. ასევე, *inter alia* აღნიშნა: გაუქმებული პროცედურის სისუსტე ის იყო, რომ იგი იყენებდა ფორმალურ, პირწმინდად რაოდენობრივ პრინციპებს, რათა განესაზღვრა წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის „გონიგრული დრო“. მან დამატებით აღნიშნა: საქმეთა დიდ ნაწილში ამ მიდგომებით, შესაძლოა, სწორი დასკვნა გაკეთებულიყო, მაგრამ ზოგ როტულ საქმეში ეს პრინციპი, საზოგადოებრივი ინტერესის საზიანოდ - რომ ყველა დამნაშავე უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე - ბრალდებულს არასათანადო უპირატესობას ანიჭებდა.

### 3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანზე

59. ზიანზე სახელმწიფოსა და თვითმმართველობათა პასუხისმგებლობების

შესახებ 1988 წლის აქტის (შემდგომში „სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტი“) 1-ლი სექციის თანახმად, სახელმწიფო პასუხისმგებელია ზიანზე, რაც ინდი-ვიდს მიადგა იმ უკანონო გადაწყვეტილებათა შედეგად, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მისი მოხელეების ქმედებებით ან უმოქმედობით, ადმინისტრაციული ქმედებისას ან მასთან დაკავშირებით. უმაღლესი საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სისხლის სამართლის გა-მოიქინების კონტექსტში, საგამოძიებები და პროკურატურის ორგანოთა ქმედებე-ბი ადმინისტრაციული არ არის და, შესაბამისად, ზემოხსენებული ორგანოები აქტის 1-ლი სექციის მოქმედების ქვეშ არ ხვდებიან (თელ. რეშ. № 3 თ 22 აპრილ 2005 გ. ხა ვКС ით თელ. რეშ. № 3/2004 გ. ისტ. რეშ.).

60. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტის მეორე სექცია ადგენს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც ინდივიდს მიადგა *inter alia* საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოების მიერ - (i) უკანონო წინასწარი პატიმრობის სახით, (ii) ბრალის უკანონოდ წარდგენით, (iii) სასჯელის აღსრუ-ლებით მისჯილზე მეტი ვადით.

## სამართალი

### 1. კონვენციის მე-3 მუხლის საპარაუდო დარღვევა

61. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტურიანი იყო. მტკიცებისას იგი მოიხმობდა კონ-ვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

62. სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადის ეს ნაწილი ხვდება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შე-მლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

#### A. მხარეთა არგუმენტები

##### 1. მთავრობა

63. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს სამართლებრივი დაცვის შიდა-სახელმწიფოებრივი საშუალებები არ ამოუწურავს, რადგან სახელმწიფოს პა-სუხისმგებლობის აქტის თანახმად, მას საგამოძიებო ორგანოების წინააღმდეგ შუალებების არ დაუყენებია, არც სავარაუდო დამნაშავეთა წინააღმდეგ შეუ-ტანია სამოქალაქო საჩივარი.

64. დამატებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრო-ბის ფაქტზე გამოძიება მყისიერად დაინტერიერირდა და ყოვლისმომცველად მიმდინარეობდა. პროკურორი ზუსტად ითვალისწინებდა მოსამართლის მითითე-ბებს საქმის გამოძიებაში დაპრუნებისას და შესაბამის დამატებით საგამოძიებო ქმედებებს ასრულებდა.

65. სათანადო ორგანოებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს ფაქტების დასადგენად და საქმეზე მოაგროვეს არსებითი მტკიცებულებები. ამგვარად, მთავრობის აზრით, დადგინდა, რომ განმცხადებელმა მიიღო ალკოჰოლი, სუპერმარკეტში იქურდა და იმის ნაცვლად, რომ პოლიციელებისთვის დახმარება ეთხოვა, პრაქტიკულად გაიპარა პოლიციის განყოფილებიდან.

66. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის ვერსიაში საუბარია ურთიერთსანინალმდეგო ფაქტებზე, რომლებიც არ მყარდება მოწმეთა ჩვენებით ან სამედიცინო დოკუმენტებით. მთავრობამ აღნიშნა, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში საქმარისი დამაჯერებლობით ვერ დადგინდა, რომ განმცხადებელი დაზიანდა მის მიერ აღწერილი ქმედებებით. ასევე, 2004 წლის 4 ივნისის ჩანაწერში ექიმი აღნიშნავს „ქველ დაზიანებებს“ განმცხადებლის ნეკნზე, რაც ეჭვს ბადებს ამ დაზიანებათა ზუსტ დროსთან დაკავშირებით.

## 2. განმცხადებელი

67. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას არ ევალებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტის გამოყენება, რადგან იგი არც ბრალდებული იყო და არც მსჯავრდებული.

68. განმცხადებელი დამატებით აღნიშნავს, რომ მას ქურდობა არასოდეს ჩაუდენია და რომც ჩაედინა, ეს უკანასკნელი მაინც ვერ გაამართლებდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობას. ამას გარდა, მან სამედიცინო დახმარება ინციდენტის დღესვე ითხოვა და მისი დაზიანებები აღწერილია რამდენიმე სამედიცინო დოკუმენტში. მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნა სათანადოდ დამაჯერებელი არ იყო, განმცხადებელი ირწმუნება: ექსპერტიზის დასკვნაში ნათლადაა დადგენილი, რომ დაზიანებები პირს შეიძლება მიეღო მის მიერ აღწერილი ფორმით.

69. განმცხადებელი დამატებით ამტკიცებს, რომ გამოძიება ეფექტიანად ვერ ჩაითვლებოდა. იგი აღნიშნავს, რომ პროკურორმა ვერ შეძლო სათანადო გამოძიების ჩატარება, მიუხედავად სასამართლოს უამრავი მითითებისა. ვადაში განელილი და დაგვიანებული გამოძიების შედეგად, ბრალდებულმა მოახერხა სამართალწარმოების შეწყვეტა 1974 წლის სისხლის საპროცესო კოდექსის 239(a) მუხლის შესაბამისად.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. დასაშეგებობა

70. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს სამართლებრივი დაცვის შედასახელმწიფოებრივი საშუალებები არ ამოუწერავს, რადგან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტის თანახმად, მას შეეძლო შეამდგომლობა დაეყენებინა საგამოძიებო ორგანოების წინააღმდეგ, ან სავარაუდო დამნაშავეთა წინააღმდეგ შეეტანა სამოქალაქო საჩივარი.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ პოტენციური საჩივარი საგამოძიებო ორგანოების წინააღმდეგ არ ხვდება სახელწიფოს პასუხისმგებლობის აქტის ფარგლებში. ადგილობრივი პრეცედენტებით, საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები პასუხისმგებელი არ არიან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტის

1-ლი სექციის შესრულებაზე. ამავე დროს, მოროვ სექციაში ჩამოთვლილია ის კონკრეტული გარემოებები, რომლებშიც შეიძლება დაისვას საგამოძიებო ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა, ამ სიაში არ ხვდება განმცხადებელის სიტუაცია (იხ. ზემოთ პუნქტები 59-60). ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ ვერ შეძლო დაესაბუთებინა მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აქტი წინამდებარე საქმეში უნდა გამოყენებულიყო - შესაბამისი შიდასამართლებრივი პრეცედენტების წარმოდგენით, მსგავს სიტუაციებში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

72. რაც შეეხება სავარაუდო დამნაშავეთა წინააღმდეგ სამოქალაქო საჩივრის შეტანას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს, რომელმაც სისხლის სამართლის სისტემაში არსებული ყველა შესაძლებლობა ამონურა, არ მოეთხოვებოდა მთავრობის მიერ აღნიშნული დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალების გამოყენება (იხ. *mutatis mutandis, Assenov and Others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი 1998, § 86, Reports of Judgments and Decisions 1998 VIII*). მეტიც, სამოქალაქო სამართლებრივი საშუალება, რომელზეც მთავრობამ გაამახვილა ყურადღება, წინამდებარე საქმის გარემოებებში ვერ ჩაითვლებოდა საკმარისად მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულების შესრულებისთვის, რადგან იგი მიზნად ისახავდა ზიანის ანაზღაურებას, და არა დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯას (იხ. *Beganović v. Croatia, no. 46423/06, § 56, 25 ივნისი 2009*).

73. შესაბამისად, სასამართლო უკუაგდებს მთავრობის არგუმენტს მე-3 მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის მიმართ, რომ განმცხადებელს დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამოუწურავს.

74. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელი არ არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის მიხედვით და დაუშვებელი არ არის არც ერთი სხვა საფუძვლით. შესაბამისად, იგი ცხადდება დასაშვებად.

## 2. საქმის არსებითი მხარეები

### (ა) ზოგადი პრინციპები

75. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლი ითვალისწინებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. იგი აპსოლუტური იმპერატიულობით კრძალავს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

76. არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტეკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. ამ ზღვრის შეფასება ფარდობითა, იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ბუნება და კონტექსტი, მისი ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი შედეგები და, ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობა (იხ. *A. v. the United Kingdom, 23 სექტემბერი 1998, § 20, Reports of Judgments and Decisions 1998 VI*).

77. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენციის 1-ლი მუხლით, მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, მისი იურისდიქციის ქვეშ ყველასთვის უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისიუფლებათა დაცვა. კონვენციის ეს მუხლი, მე-3 მუხლთან ერთად, სახელმწიფოებს

ავალდებულებს, მიიღონ ყველა საჭირო ლონისძიება, რათა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას, კერძო პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ჩათვლით (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Šečić v. Croatia*, no. 40116/02, § 52, 31 მაისი 2007).

78. როდესაც ინდივიდი არასათანადო მოპყრობის შესახებ დასაბუთებულ საჩივარს წარადგენს (აյ იგულისხმება საჩივრები კერძო პირთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შესახებაც), კონვენციის მე-3 მუხლის თანხმად, სახელნიფოს ეკისრება საპროცესო ვალდებულება - ჩატაროს დამოუკიდებელი გამოძიება კანონის ფარგლებში (იხ. *Šečić, citrebulia zemoT*, § 53; *Nikolay Dimitrov v. Bulgaria*, no. 72663/01, § 67, 27 სექტემბერი 2007 და, *mutatis mutandis*, *Menson and Others v. the United Kingdom* (dec.), no. 47916/99, 6 მაისი 2003). გამოძიებისას შესაძლებელი უნდა გახდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა მათი დასჯის მიზნით.

79. ამ ვალდებულების ფარგლები სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი საშუალებაა, და არა ერთ-ერთი შედეგი; შესაბამისმა ორგანოებმა მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლო ნაბიჯი უნდა გადადგან, რათა დაიცვან ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები (იხ. *Nikolay Dimitrov*, ციტირებულია ზემოთ, § 69, და, *mutatis mutandis*, *Menson and Others*, ციტირებულია ზემოთ). ამ კონტექსტში ნათელი მოთხოვნაა გამოძიების დაუყოვნებლივ და გონივრული სისწრაფით ჩატარება. ხელისუფლების ორგანოთა შემწყარებლობა ამგვარი ქმედებების მიმართ მხოლოდ დააკნინებს საზოგადოების რწმენას კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი წყობის შენარჩუნებისადმი (იხ. მაგალითად, *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia*, no. 71156/01, § 97, ECHR 2007 V, და *Milanović v. Serbia*, no. 44614/07, § 86, 14 დეკემბერი 2010).

#### (b) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

80. სასამართლოსათვის მიწოდებული სანდო და ამომწურავი სამედიცინო მტკიცებულების საფუძველზე, რომელშიც დადგენილია, რომ განმცხადებელს გატეხილი ჰქონდა ათი ნები, სხეულის ზედა ნაწილზე აღნიშნებოდა დიდი ზომის სისხლჩაქცევები, ჰქონდა ემფიზემა და პნევმოთორაქსი და საჭიროებდა სერიოზულ ქირურგიულ ჩარევას, სასამართლო მიიჩნევს: განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ მოპყრობა საკმარისად სერიოზული იყო იმისათვის, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანხმად, არასათანადო მოპყრობად ჩაეთვალათ.

81. შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ საპროცესო ვალდებულება, კანონის ფარგლებში ჩატარებინათ ოფიციალური გამოძიება. სასამართლო აღნიშნავს, რომ სათანადო ორგანოებმა თავდაპირველად რამდენიმე საგამძიებო ნაბიჯი გადადგეს. მათ ინციდენტიდან მალევე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, დაკითხეს მოწმეები, ჩატარეს სამედიცინო ექსპერტიზა და ამოცნობის პროცედურა. პოლიციის გამომძიებელმა - როგორც საწყის, ასევე განახლებულ საგამძიებო ეტაპებზე - შეაფასა რა მტკიცებულებები, მიმართა პროკურორს, რომ S.F. წარედგინა სასამართლოს წინაშე. ეს ყოველივე მიანიშნებს იმაზე, რომ გამოძიების საწყის ეტაპებზე ხელისუფლების ორგანოებმა გონივრული ძალისხმევა გამოიყენეს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად და ფაქტების დასადგენად.

82. მეორე მხრივ, სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პროკურორმა, დაასკვნა რა, რომ სუპერმარკეტში არასათანადო მოპყრობა არ მომხდარა, გადაწყვიტა სამართალწარმოება შეეწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი

დაეყრდნო ორ მთავარ საფუძველს - განმცხადებელს პლოლიცის ოფიცირებისათვის არ უთხოვია, უზრუნველყოფით სამედიცინო დახმარებით; და მიუხედავად განმცხადებლის არაერთი საჩივრისა, რომ მას თავში ორჯერ ჩაარტყეს, მოწმეებს არაფერი უთქვამთ ამ ადამიანის სხეულის დაზიანებები არ დაუფიქსირებიათ. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა სცადა პროკურორის დადგენილებათა გადასინჯვე სასამართლო წესით, რა დროსაც იგი სადაცაოს ხდიდა ამ დადგენილებების დასაბუთებულობას და ხაზს უსვამდა, რომ განმცხადებლის საჩივრების განხილვისას ადგილობრივი სასამართლო მის არგუმენტაციას ეთანხმებოდა და პროკურორის დასკვნებს, როგორც დაუსაბუთებელს, უარყოფდა (იხ. ზემოთ პუნქტები 30 და 31). თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიუხედავად, რომლებიც ცალსახად აქარნყლებდა საქმისნარმოების შეწყვეტის ორივე არსებით არგუმენტს, პროკურორომა საქმისნარმოება კიდევ სამჯერ შეწყვიტა იმავე არგუმენტით, რამაც სასამართლო გადასინჯვე პრაქტიკულად არაუფექტიან საშუალებად აქცია.

83. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო - აცნობიერებს რა, რომ პროკურორს გარკვეული დისკრეცია ჰქონდა მტკიცებულებათა შეფასების დროს და იმის გადაწყვეტილისას, ნარედგინა თუ არა ბრალდებული სასამართლოს წინაშე - ადგენს: წინამდებარე საქმის გარემოებებში, ერთი და იმავე საფუძვლით სისხლის სამართალწარმოების ოთხჯერ შეწყვეტით - მიუხედავად სასამართლოს დადგენილებებისა, რომლებიც არ ეთანხმებოდა პროკურორის პოზიციას და ლიად აცხადებდა, რომ საქმარისი მტკიცებულება არსებობდა ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარსადგენად - პროკურატურამ ვერ შეძლო ემოქმედა სათანადოდ და გაუმართლებლად დააბრკოლა სამართალწარმოების პროცესი.

84. ამას გარდა, საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილების შემდგომ, რომლითაც პროკურატურას ორთვიანი ვადა მიეცა საბრალდებო დასკვნის წარმოსადგენად, იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ ემოქმედა. ამის ნაცვლად, პროკურატურამ საქმეზე მუშაობა 2006 წლის 10 იანვარს განაგრძო და სამედიცინო ექსპერტიზა მხოლოდ 2006 წლის 17 იანვარს მოითხოვა. ექსპერტის ანგარიში შესაბამის ორგანოებს 2006 წლის 2 თებერვალს გადაეცათ, მაგრამ ანგარიშის გადაწყვეტილი დასკვნების მიუხედავად, მათ მაინც ვერ შეძლეს დაუყოვნებლივ ემოქმედათ. ამგვარად, პროკურორის მიერ საქმის გაწელვის შედეგად, სამართალწარმოება შეწყდა, 1974 წლის სისხლის საპროცესო კოდექსის 239(a) მუხლის თანახმად.

85. რაც შეეხება 239(a) მუხლით დადგენილ პროცედურას, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ ეს იყო ერთადერთი სამართლებრივი საშუალება, რომელიც შესაძლოა ეფექტიანად ჩათვლილიყო (ზოგიერთ სიტუაციაში მაინც) სისხლის სამართალწარმოების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით. თუმცა, როგორც ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა (იხ. ზემოთ პუნქტი 58), ეს სამართლებრივი საშუალება იყენებდა ფორმალურ კრიტერიუმს „გონივრული დროის“ განსაზღვრისათვის, რასაც, ზოგიერთ საქმეში, შესაძლოა, შედეგად მოჰყოლოდა სისხლის სამართლებრივი დევნის ნაადრევი შეწყვეტა, ეს კი წინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს - დამნაშავენი წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე (იხ. Dimitrov and Hamanov v. Bulgaria, nos. 48059/06 and 2708/09, § 119, 10 მაისი 2011). სასამართლოს აზრით, სწორედ ასე მოხდა წინამდებარე საქმეშიც. ბრალდებულის მიერ 239(a) მუხლით გათვა-

ლისწინებული სამართლებრივი საშუალების წარმატებით გამოყენებამ არასრუ-ლი გამოძიება - რომელიც ხასიათდებოდა პროკურორის დაუინებული უარით, გაეთვალისწინებინა სასამართლოს მიერ არაერთხელ აღნიშნული საკითხები - მყისიერად დამატავრა. შედეგი უნდა ჩაითვალოს მოპასუხე სახელმწიფოსათვის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად დადგენილ საპროცესო ვალდებულებათა შესრულების მოთხოვნის დარღვევად (იხ. ამასთან დაკავშირებით, Beganić, ცი-ტირებულია ზემოთ, გვ. 85-87).

86. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ წინა-მდებარე საქმეში ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს, ეფექტიანად გა-მოქიებინათ განმცხადებლის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკა-ვშირებით, რამაც გამოიწვია შესაბამისი საგამოძიებო ვადის ამონურვა და მოს-პო შემდგომი დევნის შესაძლებლობა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო მოთხოვნები.

## II. განაცხადის სხვა ნაწილები

87. განმცხადებელი, მოიხმობდა რა მე-6 მუხლის 1-ლ პუქნტს, ასევე ჩიოდა, რომ საზოგადოებრივი პროკურორის უმოქმედობამ ხელი შეუშალა, თავდამსხმე-ლებისგან ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა.

88. სასამართლომ განიხილა განაცხადის ეს ნაწილი. თუმცა, მის ხელთ არ-სებული ყველა მასალის შესწავლის საფუძველზე - და იმ კომპეტენციით, რო-მელშიც განსახილველი საკითხი მოხვდა - დაადგინა, რომ არ ვლინდებოდა კონ-ვენციასა და მის ოქმებში არსებულ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

89. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ განაცხადის ამ ნაწილს უარი უნდა ეთქვას აშკარა დაუსაბუთებლობის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუქტების შესაბამისად.

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

90. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართა-ლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკ-მაყოფილებას მიაკუთვნებს“.

### A. ზიანი

91. განმცხადებელი არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ ითხოვდა 15 000 ევროს.

92. მთავრობამ ამ მოთხოვნას დაუსაბუთებელი და გადამეტებული უწოდა და იგი სადაცო გახადა.

93. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი უფლებათა დარღვევის დად-გენის შედეგად შფოთვასა და იმედგაცრუებას განიცდიდა. ამიტომ, სამართლია-

ნობის პრინციპიდან გამომდინარე, განმცხადებელს ანიჭებს 4 000 ევროს.

## **B. ხარჯები და დანახარჯები**

94. განმცხადებელი ასევე ითხოვდა 1 500 ევროს - წინამდებარე განაცხადის კომუნიცირების შემდეგ სასამართლოში მისი იურიდიული მომსახურების ხარჯებისა და დანახარჯებისათვის. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად, მან იურიდიულ წარმომადგენელთან გაფორმებული კონტრაქტი წარმოადგინა, სადაც აღნიშნული თანხა დაფიქსირებული იყო, როგორც ანაზღაურება იურიდიული მომსახურებისთვის.

95. მთავრობამ ამ მოთხოვნას დაუსაბუთებელი და გადამეტებული უწოდა და იგი სადაც გახადა.

96. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ასაბუთებს, რომ ეს თანხა რეალურად და აუცილებლობიდან გამომდინარე გაიღო, და როცა საუბარია გონივრულ თანხაზე. წინამდებარე საქმეში სასამართლო - აღნიშნავს რა, რომ არ მითითებული იურიდიული მომსახურების საათების ზუსტი რაოდენობა და განმცხადებელს ადვოკატი არ წარმოადგენდა სამართლწარმოების საწყის ეტაპზე (იხ. იგივე მიდგომა საქმეში Bachvarovi v. Bulgaria, no. 24186/04, § 40, 7 იანვარი 2010) - გონივრულად მიიჩნევს განცხადებლისთვის 1 000 ევროს მინიჭებას ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

## **C. საურავი**

97. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხოით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## სსენერული მიზანებისა და გამომდინარე, სასამართლო ერთხელა

1. დასაშეებად აცხადებს განაცხადის იმ ნაწილს, რომელიც ეხება განმცხადებლის არასათანადო მოპყორბის ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიების სავარაუდო არაეფექტურისას, ხოლო განაცხადის დანარჩენ ნაწილს აცხადებს დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო ნაწილი;
3. ადგენს:

(ა) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხის ეკვივალენტი ბულგარულ დევებში, გადახდის დღეს არსებული კურსით:

- (i) 4 000 ევრო (ოთხი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;
- (ii) 1 000 ევრო (ათასი ევრო) ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდის დღე-მდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.

5. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2012 წლის 10 იანვარს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**ფატოს არაცი  
რეგისტრატორის მოადგილე**

**ლეხ გარლიცკი  
თავმჯდომარე**

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლების - კალაჯიევასა და დე გაეტანოს - განსხვავებული მოსაზრება.

**მოსამართლების კალაჯიევისა და დე გაეტანოს ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება**

1. ჩვენ მთლიანად ვეთანამდებით დასკვნას, რომ ბულგარეთის ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო ნაწილის დაცვა. თუმცა, გამოძიების დაგვიანებასთან დაკავშირებულ მსჯელობათა მიღმა, ჩვენი აზრით, საქმეში მნიშვნელოვანი კითხვები დაისმის პოზიტიური ვალდებულების სხვა ასპექტთან დაკავშირებით - ჩატარდეს „დამოუკიდებელი გამოძიება კანონის ფარგლებში.... რაც შესაძლებელს გახდის პასუხისმგებელ პირთა გამოვლენას მათი დასჯის მიზნით“ (ჭ 78). ეს ასპექტი სათანადოდ არ განხილულა წინამდებარე გადაწყვეტილებაში.

2. მზად ვართ რა, ვალიაროთ, რომ პროკურორი უნდა მოქმედებდეს დისკრეციის ფარგლებში იმის დადგენისას, მყარდება თუ არა ფაქტებითა და მტკიცებულებებით გადაწყვეტილება სავარაუდო დამანაშავის სასამართლოების წინაშე წარდგენაზე - მისი დასჯის მიზნით - ასევე, გვჯერა, რომ ეს უფლებამოსილება ემყარება რწმენას პროკურორის მიერ დისკრეციის კეთილსინდისიერად გამოყენების შესახებ. ზოგადად, ამ დისკრეციით სარგებლობა მე-3 მუხლით გარანტირებული პოზიტიური ვალდებულების შესაბამისი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მას თან სდევს ურთიერთშეზღუდვის გარკვეული სისტემა (system of appropriate checks and balances), რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. როცა ამ დისკრეციით სარგებლობა უკანონო და არაკეთილსინდისიერია, როგორც წინამდებარე საქმეში, კრინდება მე-3 მუხლის საპროცესო მოთხოვნის არსი, რადგან დასჯის კომპონენტის მატერიალიზება შეუძლებელი ხდება მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებით შესაძლებელი გახდა დამანაშავის ან დამანაშევების გამოვლენა.

3. საგამოძიებო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ შესაბამისი პრძანებების გასაჩივრება განმცხადებლის მიერ, ადგილობრივ აღნებზე ამგვარი ურთიერთშეზღუდვის ეფექტს ქმნიდა და, მართლაც, შედეგად მოჰყვა ოთხი სხვადასხვა მოსამართლის პოზიციის ნათლად გამოხატვა პროკურატურის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი განმეორებით ადგენდა, რომ საქმეში არსებული ფაქტები და მტკიცებულებები არასაკმარისი იყო ბრალდების წასაყენებლად. თუნდაც ვივარაუდოთ, რომ წინამდებარე საქმეში პროკურორებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ ეჭვმიტანილის/ეჭვმიტანილთა მიმართ ბრალდების წასაყენებლად ფაქტები და მტკიცებულებები არასაკმარისი იყო, ვერ ვხედავთ ვერანაირ დასაბუთებას, თუ რატომ არ ჩატარდა სხვა მიმართულებით შემდგომი გულისხმიერი გამოძიება, რომლითაც პროკურატურა განმცხადებლის სერიოზულ დაზიანებებს უფრო სარწმუნო ახსნას მოუქდნიდა. სასამართლოში საქმისწარმოებისას, ერთ-ერთი მოსამართლის აზრით, „პროკურორის დასკვნები მიანიშნებდა იმაზე, რომ... განმცხადებელმა როგორდაც თავი დაიზიანა ან უცხო პირთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა... ინციდენტის პროკურორის მიერ მითითებული დროისა და ადგილის გათვალისწინებით, კერძოდ მაშინ, როცა განმცხადებელი შინ ბრუნდებოდა, თითქმის შეუძლებელი იყო, ეს შეუმჩნევლი დარჩენილიყო“.

4. არაკეთილსინდისიერების საკითხი, რის გამოც საგამოძიებო პროცესი არაერთხელ შეწყდა, საკმარისი ხარისხით დაისვა ზემდგომ პროკურორატურაში, რომელმაც იმსჯელა პასუხისმგებელ პროკურორთა მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებაზე. ჩვენ ვერ ვხედავთ საფუძველს, რომ მათი შეშფოთება არ გაგიზიაროთ. თუმცა, ამგვარი შეშფოთება აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა - როგორც სასამართლოს წინაშე გამოვლენილი ეჭვმიტანილების წარსადგენად, ასევე შემდგომი გამოძიების დასაწყებად სხვა გარემოებათა ან დამნაშავეთა დადგენის მიზნით.

5. წინამდებარე საქმეში არსებული სიტუაცია უტოლდება ხელისუფლების ორგანოთა მიერ *de facto* შემწყნარებლობას ძალადობისადმი, რომელმაც გამოიწვია ტანჯვა მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს მიღმა. ეს მხოლოდ აკინიებს საზოგადოების რწმენას კანონიერების პრინციპისა და სამართლებრივი სახელმწიფო წესრიგის შენარჩუნებისადმი. ვწუხვართ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში განხილული არ არის, თუ რამდენად შეუწყო ხელი საპროკურორო დისკრეციის უკანონოდ გამოყენებამ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მე-3 მუხლით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობას. უპასუხისმგებლო დისკრეცია მნიშვნელობას აკარგვინებს პოზიტიურ ვალდებულებას - ჩატარდეს გამოძიება დამნაშავეთა დასჯის მიზნით და პრაქტიკულად, მსხვერპლს აპრუნებს იმ მდგომარეობაში, ვიდრე ჩატარდეს გამოყალიბდებოდა პოზიტიური ვალდებულების დოქტრინა მე-2 და მე-3 მუხლების ფარგლებში.

## **ბრეაბინი მოლდოვის წინააღმდეგ**

---

CASE OF BREABIN v. MOLDOVA



მეოთხე სექტია

## პრეზიდენტი გოლდოვის წილადები

(განაცხადი №12544/08)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 7 აპრილი

საბოლოო ვერსია

07/07/2009

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს  
რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე პრეაპინი მოლდოვის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრაცა, თავმჯდომარე,  
ლეხ გარლიცკი,  
ლილანა მიჯოვიჩი,  
დავიდ ტორ ბიორგვინსონი,  
იან სიკუტა,  
პაივი ჰირველა,  
მიჰაი პოალელუნგი, მოსამართლეები,  
და ლოურენს ეარლი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2009 წლის 17 მარტს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №12544/08, რომელიც მოლდოვის მოქალაქემ ბატონმა დუმიტრუ ბრეაბინმა (შემდგომში „განმცხადებელი“) სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 5 თებერვალს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. განმცხადებლის ინტერესებს სასამართლოში იცავდა ბატონი გ. ულიანოვსჩი, ჩისინაუში მოქმედი ადვოკატი. მოლდოვის მთავრობას წარმოადგენდა სახელმწიფოს წარმომადგენელი, ბატონი ვ. გრისუ.

3. განმცხადებელი ამტკაცებდა, რომ იგი გახდა პოლიციის სისასტიკის მსხვერპლი და შესაბამისმა ორგანოებმა ეს ფაქტი სათანადოდ არ გამოიძიეს, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. იგი ასევე აცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

4. 2008 წლის 21 აპრილს მეოთხე სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის განაცხადის შესახებ. ასევე გადაწყვდა, რომ სასასამართლო ერთდღოულად იმსჯელებდა საქმის არსებით მხარეებსა და დასაშვებობაზე (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

## ზარტეპი

### 1. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1959 წელს და ცხოვრობს ჩისინაუში. იგი მძღოლია, მაგრამ მოვლენების განვითარებისას უმუშევარი იყო.

6. იგი ეჭვმიტანილი იყო ჩისინაუში ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით დოკუმენტების გაყალბებაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაკითხად დაიბარეს 2004 წლის 21 დეკემბერს.

7. იგი დამორჩილდა უწყებას და გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში პოლიციის ოფიცერებთან N.T.-სა და S.D.-თან. მხარეები ვერ თანხმდებიან სამინისტროს შენობაში მისი მისვლის დროზე. განმცხადებლის თანახმად, იგი სამინისტროში დილის 9 საათზე გამოცხადდა, თუმცა, მთავრობა ამტკიცებს, რომ იგი დაკითხვაზე 13 საათზე მივიდა. განმცხადებლის თანახმად, პოლიციის ორმა ოფიცერმა სცადა მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვება იძულებითი წესით. ამაზე უარის გამო, განმცხადებელს რეზინის ხელკეტებით სცემეს და თავები ურტყენს. მარჯვენა ყურის არეში ჩარტყმისას, მან რამდენიმე წუთით ცნობიერება დაკარგდა. ცემის ბრალდებას მთავრობა არ ეთანხმება. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ განმცხადებელი დაკითხეს. მხარეები ასევე დავობენ დაკითხვის ხანგრძლივობაზე. განმცხადებლის თანახმად, იგი გრძელდებოდა რვა საათის განმავლობაში, ხოლო მთავრობა ამტკიცებს, რომ დაკითხვა მხოლოდ ერთ სა-

ათს გაგრძელდა. ამავე დროს მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ პოლიციის ოფიციურებმა იმ დღეს დაკითხვის ოქმი არ შეადგინეს.

8. მხარეები ასევე ვერ თანხმდებინა განმცხადებლის გათავისუფლების დროზე: მთავრობა აცხადებს, რომ პირი გათავისუფლდა 14:00 საათზე, ხოლო განმცხადებელი ამტკიცებს, რომ იგი გაათავისუფლეს დაახლოებით 17:00 საათზე. თუმცა, მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ მან შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ ტაქსი გააჩირა და პირდაპირ თავის მეგობართან - V.P.-თან წავიდა, რომელთან ერთადაც მეორე დილას გერმანიაში აპირებდა გამგზავრებას, რათა მისთვის ეცნობებინა, რომ გერმანიაში წასვლას ვერ შეძლებდა. განმცხადებლის სახეზე დაზიანებები როგორც ტაქსის მძლოლმა, ასევე მისმა მეგობარმა შენიშნეს; მათ განმცხადებელმა უთხრა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში პოლიციელებმა სცემეს. განმცხადებელმა ტაქსის მძლოლს საციზიტო ბარათი გამოართვა.

9. განმცხადებელი იმ დამით ცუდად გახდა და მომდევნო დილით, 2004 წლის 22 დეკემბერს, სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალში (Spitalul de Urgență) მიყიდა. ჰოსპიტალის რეესტრში ასეთი ჩანაწერი ფიქსირდება:

„პაციენტი შინაგან საქმეთა სამინისტროში სცემეს პოლიციელებმა 2004 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით, 11:50 საათზე, მან რამდენიმე წუთით დაკარგა ცნობიერება. იგი უჩივის თავის ტკივილებს, გულისრევასა და თავბუსხვევას. დიაგნოზი: თავის ტკინის შერყევა და მრავლობითი დაზიანებები სახეზე, ზედა ტუჩზე, თავსა და სხეულზე... განმცხადებელმა უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციაზე. ინფორმაცია გადაეცა პოლიციის ზოგად განყოფილებას და 20:35 საათზე იგი მიიღო D.-ტ ზოგადი ნომრით 6196.“

10. როგორც ირკვევა, სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალის მიერ პოლიციის ზოგადი განყოფილების ინფორმირებას პოლიციის ოფიცერთა მხრიდან განმცხადებლის სავარაუდო ცემის (არასათანადო მოპყრობის) შესახებ, არანაირი ქმედება არ მოჰყოლია.

11. იმავე დღეს, 2004 წლის 22 დეკემბერს, 16:45 საათზე, განმცხადებელი სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს. განმცხადებლის თანახმად, მან ამ ჰოსპიტალში დაწოლა არჩია მომსახურების სიიაფის გამო. ჰოსპიტალის რეესტრიდან ირკვევა, რომ განმცხადებელმა მათაც იგივე უთხრა, რაც სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალს, რომ იგი 2004 წლის 21 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ორმა პოლიციელმა სცემა. მას დაუდგინდა თავის ტრავმა, სხეულსა და თავზე მრავლობითი ხასიათის დაზიანებები და ჰოსტრამვული სიყრუე მარჯვენა ყურში. განმცხადებელმა ჰოსპიტალი 2004 წლის 31 დეკემბერს დატოვა.

12. 2005 წლის 5 იანვარს განმცხადებელმა სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მიიღო. დასკვნამ დაადასტურა მანამდე დასმული დიაგნოზი და დაადგინა, რომ დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი საგნით. დასკვნის თანახმად, სამედიცინო შემოწმების პასუხები შეესაბამებოდა განმცხადებლის მონათხრობს მის მიმართ 2004 წლის 21 დეკემბერს ფიზიკური ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსით დაზიანებები შეფასდა მსუბუქ დაზიანებებად, რაც 21 დღეზე მეტი ვადით მკურნალობას არ საჭიროებდა.

13. 2005 წლის 3 სექტემბერს განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისას, მან გამომძიებელთან დაიჩივლა, რომ არასათანადო მოეპყრნენ 2004 წლის 21 დეკემბერს. როგორც

ირკვევა, განმცხადებლის საჩივარს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

14. 2005 წლის 15 დეკემბერს განმცხადებელმა წერილობით მიმართა პროკურატურას იგი ჩინდა, რომ 2005 წლის 14 დეკემბერს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისას აღმოაჩინა, რომ მასალებში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია 2004 წლის 21 დეკემბერს მისი დაკითხვის შესახებ და მის მიმართ არასათანადო მოპყრობას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია მიუხედავად ორი საჩივრისა, რომელთაგან ერთი 2004 წლის 22 დეკემბერს შეიტანა პოსპიტალმა, მეორე კი 2005 წლის 3 დეკემბერს - თავად მან. განმცხადებელმა მოითხოვა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღმრულიყო პოლიციის ორი ოფიცირის წინააღმდეგ, რომლებმაც იგი სცემეს. მან საჩივარს თან დაურთო 2005 წლის 5 იანვრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ასლი.

15. 2006 წლის 15 იანვარს პროკურატურამ განმცხადებლის საჩივარი დაუსაბუთებლად ცნო და მას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. იმავე დღეს მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ პრალდებულმა პოლიციის ოფიცირებმა აღიარეს განმცხადებლის დაკითხვის ფაქტი, თუმცა, უარყვეს მისი ცემა (არასათანადო მოპყრობა); რადგან განმცხადებელმა არასათანადო მოპყრობის შესახებ ერთი წლის შემდეგ იჩივლა, აშკარა იყო, რომ მას გამიზნული ჰქონდა მის მიმართ სისხლის სამართლწარმოებისთვის ხელის შეშლა და პროცესის შენელება. როგორც ირკვევა, განმცხადებელი არ დაუკოთხავთ და გადაწყვეტილებაში ნახსენები არ ყოფილა მანამდე დაფიქსირებული საჩივრები და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. განმცხადებელმა წინამდებარე გადაწყვეტილება გაასაჩივრა; იგი მიუთითებდა, რომ სამედიცინო ანგარიშები შესწავლილი არ ყოფილა. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ ჰყავდა მოწმე, ვინც მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტს დაადასტურებდა.

16. 2006 წლის 24 მარტს ცენტრუს საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის აპელაცია დააკმაყოფილა და პროკურორის გადაწყვეტილება გააუქმა. სასამართლო *inter alia* დაადგინა, რომ პროკურატურამ განმცხადებლის წარმოდგენილი სამედიცინო მტკიცებულებები საკმარისად არ გამოიძა.

17. 2006 წლის 11 მაისს, განმცხადებელი პროკურორმა დაკითხა. მან გაამეორა მანამდე საჩივარში დაფიქსირებული ფაქტები და პროკურორის აცნობა, რომ არსებობდა ტაქსის მძღოლი, რომელიც 2004 წლის 21 დეკემბერს მისი მდგომარეობის აღწერას შეძლებდა.

18. პროკურორმა დაკითხა ტაქსის მძღოლი, რომელმაც განმცხადებელი წინააგან საქმეთა სამინისტროდან წაიყვანა (დაკითხვის თარიღი უცნობია) (იხ. ზემოთ პუნქტი 8). ტაქსის მძღოლმა განაცხადა, რომ მან 2004 წლის 21 დეკემბრის საღამოს განმცხადებელი ქუჩის კუთხეში ჩაისვა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მდებარეობდა. განმცხადებელს ჭუჭყიანი და მტვრიანი ტანსაცმელი ეცვა და თავდაპირველად ეგონა, რომ იგი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა, მოგვიანებით მას მგზავრმა უთხრა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ორმა პოლიციელმა სცემა. განმცხადებელმა მას სახეზე ცემის კვალი ანახა, კერძოდ, გასიებული ყური და მის ირგვლივ ჩალურჯებები. ტაქსიდან გადასვლისას მგზავრმა მას სავიზიტო ბარათი სთხოვა და მანაც მისცა.

19. პროკურორმა ასევე დაკითხა განმცხადებლის მეგობარი, რომელსაც ბატონი ბრეაბინი 2004 წლის 21 დეკემბრის საღამოს ენვია (დაკითხვის თარიღი უცნობია) (იხ. ზემოთ პუნქტი 8). განმცხადებლის მეგობარმა დაამოწმა, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით 20:00-დან 22:00 საათამდე პერიოდში,

განმცხადებელი მასთან სახლში მივიდა, რათა ეთქვა, რომ მეორე დღეს გერმანიაში გამგზავრებას ვერ შეძლებდა. განმცხადებელს სახე ჩალურჯებული ჰქონდა, მან მეობარს უთხრა, რომ იმ დღეს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში პოლიციის ოფიცირებმა სცემეს.

20. 2006 წლის 7 ივლისს ცენტრუს პროკურატურამ არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივარზე კვლავ შეწყვიტა გამოძიება. სამედიცინო დასკვნების, ტაქსის მძლოლის და განმცხადებლის მეგობრის ჩვენებათა ანალიზის გარეშე, მან დაადგინა, რომ განმცხადებლის საჩივარი დაუსაბუთებელი იყო, რადგან საკმარისი მტკიცებულებები არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულში მის მიმართ წაყენებული ბრალის დასამტკიცებლად. შესაბამისად, განმცხადებლის საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისამართლებრივი გამოძიების გახანგრძლივებისა და პასუხისმგებლობისგან თავის არიდების უბრალო მცდელობა. ამ არგუმენტს ამტკიცებდა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა იჩივლა სავარაუდო მოვლენებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. განმცხადებელმა წინამდებარე გადაწყვეტილება იერარქიით ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივრა.

21. 2007 წლის 29 იანვარს განმცხადებლის საჩივარი იერარქიით ზემდგომმა პროკურორმა უარყო დაუსაბუთებლობის გამო, იმავე საფუძვლებით. განმცხადებელმა გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

22. 2007 წლის 24 აპრილს ცენტრუს საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის აპელაცია დაუმაყოფილა. მან *inter alia* დაადგინა, რომ პროკურორთა გადაწყვეტილებს დასაბუთება აკლდა.

23. 2007 წლის 29 ივნისს ცენტრუს პროკურატურამ განმცხადებლის საჩივარი კვლავ არ მიიღო წარმოებაში. მან *inter alia* განაცხადა: ბრალდებულმა პოლიციურებმა ალიარეს, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს განმცხადებელს კითხვადნენ მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში, თუმცა, უარყვეს მასზე რაიმე სახის ძალადობის გამოყენების ბრალდება. პროკურატურა ვერ გაიზიარებდა ტაქსის მძლოლისა და განმცხადებლის მეგობრის ჩვენებებს, რადგან ისინი ცემის თვითმხილველები არ ყოფილან, ხოლო პოლიციელთა მხრიდან განმცხადებლის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ მისივე მონათხრობით იცოდნენ. პოლიციელები ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელი იყო მათ სამუშაო ოთახში განმცხადებელს არასათანადოდ მოპყრობოდნენ, რადგან მინისტრის კაბინეტი ერთი სართულით მაღლა მდებარეობდა და ყვირილის ხმას თვითონ მინისტრი ან სამინისტროს სხვა მაღალინინსნები გაიგონებდნენ. ამას გარდა, მათ სამუშაო ოთახში რეზინის ხელკეტები არ ჰქონდათ; დანაშაული კი, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელს ბრალი ედებოდა, არ იყო იმდენად მძიმე, რომ მისი ცემა გამართლებული ყოფილიყო. პოლიციელთა კოლეგამაც დაადასტურა, რომ განმცხადებელს არასათანადო არ მოპყრობიან და დაკითხვებისას ოთახის კარს ყოველთვის ღიას ტოვებდნენ. განმცხადებელმა წინამდებარე გადაწყვეტილება გაასაჩივრა. იგი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება უკანონი იყო, რადგან პროკურორმა საქმის გარემოებები აბიექტურად და სრულად არ შეისწავლა. განმცხადებლის მტკიცებით, პროკურორმა ვერ შენიშნა, რომ პოლიციის ოფიცირებმა მისი დაკავებისა და 2004 წლის 21 დეკემბერს დაკითხვის ოქმი არ შეადგინეს.

24. 2007 წლის 15 აგვისტოს განმცხადებლის საჩივარი ცენტრუს საქალაქო სასამართლომ არ დაუმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა: 2005 წლის 5 იანვრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ვერ ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არასათანადო მოპყრონენ, რადგან იგი დაინტერა სავარაუდო არასათანადო მოპყრობიდან 12 ღლის შემდეგ.

25. განმცხადებლის მარჯვენა ყურზე მიყენებული დაზიანება იმდენად მძიმე იყო, რომ იგი აღარ განიკურნა. განმცხადებელმა 2007 წლის სამედიცინო ანგარიში წარადგინა, სადაც ეწერა, რომ მარჯვენა ყურში სმენადობა დაკარგა და იგი აღარ აღდგებოდა.

26. განმცხადებელმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრისაგან სამედიცინო დასკვნა მოითხოვა, რომელშიც 2008 წლის 11 ნოემბერს ჩაიწერა, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს მიყენებული თავის ტრავმის შედეგად განმცხადებელმა მარჯვენა ყურში სმენადობა სრულად დაკარგა. მოლდოვური კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელმა შრომისუნარიანობა 25 პროცენტით დაკარგა. განმცხადებლის დაზიანება სისხლის სამართლის კოდექსით კვალიფიცირდებოდა საშუალო სიმძიმის დაზიანებად, რაც ინვევდა ჯანმრთელობის გრძელვადიან პრობლემებს და საჭიროებდა სამედიცინო მკურნალობას 21 დღეზე მეტი ვადით.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### A. ეროვნული კანონმდებლობა

27. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 309. აღიარებითი ჩვენების გამოძალვა

(1) სისხლის სამართლის გამოძიებაში ჩართული პირის მიერ, დაკითხვისას, დაშინებით ან სხვა უკანონო მეთოდებით, ვინმესთვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის აღიარების ან სხვა განცხადებების გამოძალვა ... ისჯება სამ წლამდე პატიმრობით ...

(2) იგივე ქმედება ჩადენილი:

a) ძალის გამოყენებით;

b) სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობით;

...

ისჯება სამიდან რვა წლამდე პატიმრობით ...

მუხლი 309 წ1. წამება

(1) განზრას ძლიერი ფიზიკური ან გონებრივი ტკივილის ან ტანჯვის მიყენება, ჩადენილი ინფორმაციის ან ჩვენებების მოპოვების მიზნით ... ისჯება ორიდან ხუთ წლამდე პატიმრობით...

...

(3) პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედება ..., ჩადენილი:

c) ორი ან მეტი პირის მიერ;

e) წამებისთვის სპეციალური ინსტრუმენტების ან ამ მიზნისთვის ადაპტირებული სხვა საგნების გამოყენებით;

f) მოხელის მიერ;

ისჯება ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობით ...

28. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 471. დაზიანებების მიყენება

მსუბუქი დაზიანებების განზრას მიყენება, არასათანადო მოპყრობა, ჩარტყმა ან

სხვა ძალადობრივი ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს, ისჯება ჯა-  
რიმით 200-300 მოლდოვური ლეის ოდენბით ან პატიმრობით 15 დღემდე ...

## B. მთავრობის მიერ მოხმობილი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფო- ბრივი საშუალებები

29. საქართველოს Ciorap შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს  
ნინააღმდეგ (2007 წლის 19 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს საბოლოო გა-  
დაწყვეტილება) ნინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი პოლიციელმა ისე სცემა, რომ  
მან თავის ქალის ღია მოტეხილობა მიიღო და პოსტოპერაციული ჭრილობა გაეხსნა.  
არასათანადო მოპყრობის შესახებ მის ბრალდებათა დამატებიცებული აშკარა მტ-  
კიცებულებათა არსებობის მიუხედავად, პროკურატურამ მისი სისხლისამართლე-  
ბრივი საჩივარი არ დააქმაყოფილა და Ciorap-ის მიმართ არასათანადო მოპყრობის  
ამსახველი ვიდეო მასალა სისხლის სამართლის საქმიდან გაქრა. განმცხადებელმა  
სასამართლოს მიმართა სამოქალაქო სარჩელით სახელმწიფოს ნინააღმდეგ, რომელ-  
შიც აცხადებდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლება დაერღვა  
და კომპენსაციის სახით ითხოვდა 300 000 მოლდავურ ლეის MDL (დაახლოებით 18  
000 ევროს). უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ  
არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები წამების შესახებ განმცხადებლის ბრალ-  
დებათა სასარგებლოდ, პროკურატურის წარმოებული გამოძიება არასაქმარისი  
იყო და, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლით განმცხადებლისთვის გა-  
რანტირებული უფლება. თავდაპირველად სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგე-  
ბლოდ 30 000 MDL-ს გადახდა დაეკისრა, თუმცა, მოგვიანებით, ეს თანხა უზენაესმა  
სასამართლომ 3 000 MDL-მდე შეამცირა (დაახლოებით 180 ევრო).

## სამართალი

30. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე. მისი მტკი-  
ცებით, 2004 წლის 21 დეკემბერს იგი გახდა პოლიციელთა არასათანადო მოპყრო-  
ბის მსხვერპლი. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა  
სათანადოდ არ გამოიძიეს მისი საჩივრები არასათანადო მოპყრობის შესახებ.

კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შე-  
მლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

31. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის არ არსებობდა დაცვის ეფე-  
ქტუანი საშუალება, რომლის გამოყენებითაც მის მიმართ განხორციელებული  
არასათანადო მოპყრობისთვის კომპენსაციას მოითხოვდა, შესაბამისად, იგი  
აცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თა-  
ვისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტუანი საშუალება  
ეროვნული ხელისუფლებისაგან ...“

## I. საქმის დასაშვებობის საკითხები

მთავრობის მტკიცებით, განაცხადი დაუშვებელი იყო, რადგან განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

32. კერძოდ, მთავრობის არგუმენტაციით, განმცხადებელს სამოქალაქო წესით სამართალნარმოება უნდა წამოეწყო და სავარაუდო არასათანადო მოპყრობისთვის კომპენსაცია მოეთხოვა. მთავრობამ არგუმენტად ეროვნული სასამართლოების პრეცედენტები მოიშველია, კერძოდ კი, Ciorap-ის საქმე (იხ. ზემოთ პუნქტი 29). განმცხადებელს ასევე შეეძლო ეჩივლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 471-ე მუხლით. განმცხადებელი მთავრობის არგუმენტაციას არ დაეთახმა.

33. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტაციის იმ ნაწილს, რომ განმცხადებელს უნდა ეჩივლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 471-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო იმეორებს, რომ ინდივიდს არ მოეთხოვება არსებული სამართლებრივი საშუალებებიდან ერთზე მეტის გამოყენება (იხ. მაგალითად, Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი, 1979, § 23, Series A №32). საქმის გარემოებებიდან ნათლად ირკვევა, რომ განმცხადებელმა პოლიციის ოფიცირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საჩივარი დააყენა, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებების გამოყენებით (იხ. ზემოთ პუნქტები 13 და 14). მთავრობას არ უმტკიცება, რომ ამ პროცედურის გამოყენება არაეფექტური იქნებოდა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული განმცხადებლის უფლების სავარაუდო დარღვევასთან მიმართებაში. შესაბამისად, მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებელს საჩივარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმადაც უნდა შეეტანა, მხედველობაში ვერ მიიღება.

34. რაც შეეხება მთავრობის აღნიშნულ დაცვის სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებას, სასამართლოს აზრით, თუ ინდივიდი სარწმუნოდ ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლება, როცა იგი პოლიციელთა ან სახელმწიფოს სხვა მოხელეთა კონტროლქვეშ იმყოფებოდა, ეს დებულება, სახელმწიფოს მიერ კონვენციის 1-ლი მუხლით წაკისრ ზოგად ვალდებულებასთან ერთად - „თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა“ - გულისხმობს, რომ ჩატარდეს ეფექტური სახელმწიფო გამოძიება. რაც შეეხება მე-2 მუხლთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებას, ამ გამოძიებით შესაძლებელი უნდა გახდეს დამაშვე პირთა გამოვლენა და დასჯა. სხვაგვარად, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, პრაქტიკაში არაეფექტური იქნება და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელს გახდის, რომ დაუსჯელობით ისარგებლონ სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებებს დაარღვევენ (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Labita v. Italy [GC], № 26772/95, § 131, ECHR 2000-IV).

35. განიხილა რა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები Ciorap-ის საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-6 სიორაპისთვის არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ - რომელიც ისეთი სერიოზული დარღვევის შედეგად მიადგა, როგორიცაა წამება - აშკარად არაადეკვატური ოდენობის კომპენსაციის მი-

ნიჭებასთან ერთად, სამოქალაქო სამართალნარმოებას დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენა და დასჯა არ მოჰყოლია. სასამართლო ასევე იხსენებს ეროვნული სასამართლოების სხვა გადაწყვეტილებებს მე-3 მუხლის დარღვევის მსხვევპლ-თა კომპენსაციის შესახებ, როგორიცაა მაგალითად 2004 წლის გადაწყვეტილება საქმეში Drugalev შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ (იხ. Holomiov v. Moldova, № 30649/05, სს88, 106 და 107, 7 ნოემბერი, 2006). თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილებები, როგორ წამახალისებლადაც უნდა ჩანდნენ, არ არის ეროვნული სასამართლოების საერთო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას ახდენენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვე-ვებზე. ამგვარად, სასამართლო თვლის, რომ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკა-ვშირებული განმცხადებლის საჩივარი არ შეიძლება გამოცხადდეს დაუშვებლად, დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუნურაობის საფუძვლით და შე-საბამისად, სასამართლო მთავრობის არგუმენტაციას უკუაგდებს.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის საპარაულო დარღვევა

### A. მხარეთა არგუმენტები

#### 1. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ

36. განმცხადებლის მტკიცებით, 2004 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით 09:00-დან 17:00 საათამდე იყო პოლიციელთა კონტროლიქვეშ იმყოფებოდა. მანამდე აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. გათავისუფლებისას მას სხეულზე აღნიშნებოდა დაზინებები, რაც დასტურდება 2004 წლის 22 დეკემბრის სამედი-ცინო დასკვნით და ამას არც მთავრობა აპროტესტებს. სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც ორი მოწმის (ტაქსის მძლოლისა და განმცხადებლის მეგობრის) ჩვენებებით მყარდება, გონიერულ ეჭვს მიღმა ამტკიცებს, რომ განმცხადებელმა დაზიანებები შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ყოფნის დროს მიიღო. სა-გამოძიებო ორგანოების დასკვნები, როცა ისინი განმცხადებლის საჩივრისთვის მსვლელობის მიცემაზე უარს აცხადებდნენ, ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიციელთა განცხადებებს, რომელთაც სავარაუდო არასათანადო მოპყრო-ბაში ედებოდათ ბრალი. ამასთან, განმცხადებლის მტკიცებით, მის მიერ ბრალ-დებულ პოლიციელთაგან ერთ-ერთმა ნათლად აღიარა ეჭვმიტანილთა მიმართ არასათანადო მოპყრობის არსებული პრაქტიკა, როცა თქვა, რომ განმცხადე-ბლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იმდენად სერიოზული არ იყო, რომ არასათანადო მოპყრობა გაემართლებინა.

37. მთავრობამ განმცხადებლის არგუმენტები გააპროტესტა და განაცხადა, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს მას არასათანადო არ მოპყრობიან. მთავრობამ, მისი პოზიციის მხარდასაჭერად, მოიყვანა პროკურატურის ყველა ის დასკვნა, რომელიც გამოიტანეს გადაწყვეტილებებში განმცხადებლის საჩივრის უარყო-ფის შესახებ.

#### 2. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობის შესახებ

#### 38. განმცხადებლის მტკიცებით, მხოლოდ სამოქალაქო პირებს შორის და-

ლადობის დროსაა აუცილებელი მსხვერპლის მიერ საჩივრის წარდგენა, რათა პოლიციამ დაიწყოს ფაქტის გამოძიება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 276-ე და 298-ე მუხლების თანახმად, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის წინასწარი საჩივარი აუცილებელი არ არის პოლიციის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დასაწყებად. განმცხადებელმა, თავისი არგუმენტაციის განხამტებულად, სასამართლოს გაუგზვნა გენერალური პროკურორის მისი ხელქვეითებისადმი მიმართული ბრძანების ასლი, რომლის თანახმადაც, პროკურორები ვალდებული არიან ex officio გამოიძიონ ნებისმიერი საქმე პოლიციელის მხრიდან წამების ან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

39. 2004 წლის 22 დეკემბერს განმცხადებელს ჰოსპიტალმა შეატყობინა, რომ საქმის კურსში ჩააყენებდნენ პოლიციას მისი არასათანადო მოპყრობის შესახებ. შესაბამისად, მას პოლიციისათვის საჩივრებით აღარ მიუმართავს და იცდიდა, როდის დაიბარებდნენ ჩვენების მისაცემად.

40. 2005 წლის 3 სექტემბერს, როცა პროკურორმა დაკითხა განმცხადებელი მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მან დაიჩივლა, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს მას არასათანადო მოეცყრნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებათა მიუხედავად, ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

41. 2005 წლის 14 დეკემბერს განმცხადებელმა, მისი სისხლის სამართლის საქმის შესწავლისას, შენიშნა, რომ საქმეში ნახსენები არ იყო არც 2004 წლის 22 დეკემბერს ჰოსპიტალიდან მიწოდებული ინფორმაცია და არც მისი 2005 წლის 3 დეკემბრის საჩივარი. შესაბამისად, 2005 წლის 15 დეკემბერს მან საჩივრით მიმართა პროკურატურას.

42. პროკურატურას არც 2005 წლის 15 დეკემბრის შემდეგ ჩაუტარებია რაიმე საგამოძიებო მოქმედება და 2006 წლის 15 იანვარს განმცხადებლის საჩივარს მსვლელობა არ მისცა, მხოლოდ ბრალდებულ პოლიციელთა განცხადებზე დაყრდნობით. საქმეზე მომუშავე პროკურორმა დაასკენა, რომ განმცხადებელმა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით შეიტანა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს 2004 წლის 21 დეკემბერს დაკითხევისას აღიარებითი ჩვენება არ მიუცია და ცრუ საჩივარი მას ვერ დაეხმარებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებაში. მეტიც, 2004 წლის 21 დეკემბრის შემდეგ, პოლიციელები, რომლებმაც იგი სცემეს, განმცხადებლის მიმართ წაყენებული დანაშაულის გამოიძიებაში ჩართულია აღარ ყოფილან.

43. არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებათა გამოძიებისას პროკურორებმა დაკითხეს მხოლოდ ორი მოწმე და არასათანადო მოპყრობაში ბრალდებული პოლიციის ორი ოფიცერი. მათ არ დაუკითხავთ ის ექიმები, რომელმაც განმცხადებელი გასინჯეს. მეტიც, არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივარზე არსებულ საგამოძიებო მასალებში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ პროკურორმა გაითვალისწინა ექიმების დასკვნები, რომელთა თანახმადაც, განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებები შეესაბამებოდა მის მიერ აღნერილ სიტუაციაში მიღებულ დაზიანებებს. პროკურორებს განმცხადებლის მიერ დაზიანებათა მიღების არც აღტერნატიული ვერსია შეუქმნიათ.

44. მთავრობის მტკიცებით, იმ დროისათვის, როცა 2004 წლის 22 დეკემბერს ჰოსპიტალიდან შევიდა ინფორმაცია განმცხადებლის მიმართ არასათანადო მო-

პყობის შესახებ, ეს დანაშაული ხვდებოდა დანაშაულთა კატეგორიაში (მსუბუქ დაზიანებათა გამოწვევა), რომელიც სისხლისსამართლებრივი გამოძიება მხოლოდ მსხვერპლის მიერ საჩივრის შეტანის შედეგად იწყება. შესაბამისად, პოლიცია ინფორმირებულიც რომ ყოფილიყო განმცხადებლის დაზიანებათა შესახებ, გამოძიებას მაინც ვერ დაიწყებდა, სანამ მსხვერპლის საჩივრის არ მიიღებდა.

45. საგამოძიებო ორგანოები, საჩივარში მითითებულ ფაქტებზე გულმოდგინე გამოძიების შემდეგ, მივიღნენ დასკვნამდე, რომ განმცხადებლის საჩივარი, რომელიც შემთხვევიდან ერთი წლის შემდეგ დაფიქსირდა, მიზნად ისახავდა მის ნინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ხელის შეშლას. მეტიც, იმ ფაქტმა, რომ განმცხადებელმა მოვლენებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იჩივლა, სირთულეები შეუქმნა შესაბამის ორგანოებს მისი საჩივრების სათანადო გამოძიების საქმეში. განმცხადებელს დაუყოვნებლივ რომ ეცნობებინა ამ ფაქტის შესახებ შესაბამისი ორგანოებისათვის, მისი სისხლის კვალს ბრალდებულ პოლიციელთა ტანსაცმელზე მოძებნიდნენ, ასევე მოიკვლევდნენ სხვა მტკიცებულებებსაც. თუმცა, საჩივრის დაგვიანებით შეტანამ ეს შეუძლებელი გახადა.

46. განმცხადებლის მიერ მითითებული მოწმეები არ იყვნენ მოვლენის თვლითმხილველები. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია მათ თავად განმცხადებლისგან შეიტყვეს.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ

47. როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნა სასამართლომ, მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოებისთვის ფუნდამენტურ ღირებულებას მოიცავს. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როგორიცაა, ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას და არააღმიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციისა და 1-ლი და მე-4 ოქმების ბევრი არსებითი დათქმისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლის გამოყენებისას არ არსებობს გამონაკლისები. მისი დებულებებიდან გადახვევა ნებადართული არ არის არც კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, თუმდაც საგანგებო სიტუაციის დროს, როცა საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს (იხ. *Selmouni v. France [GC], № 25803/94, § 95, ECHR 1999 V*, და *the Asenov and Others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი, 1998, § 93 Reports of Judgments and Decisions 1998-VIII*).

48. როცა პატიმრობაში მყოფი ან პოლიციის კონტროლს სხვაგვარად დაქვემდებარებული ადამიანი იღებს დაზიანებებს, ნებისმიერი ასეთი დაზიანება საფუძველს აძლევს ძლიერ ვარაუდს, რომ ამ ადამიანს არასათანადოდ მოეპყრნენ (იხ. *Bursuc v. Romania, №42066/98, § 80, 12 ოქტომბერი, 2004*). სახელმწიფოს ვალდებულებაა, წარმოდგინოს მართებული ახსნა-განმარტება ამ დაზიანებათა გაჩენის მიზეზებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აშკარად დგება მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი (*Selmouni v. France, ციტირებულია ზემოთ, § 87*).

49. მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო, როგორც წესი, იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს (იხ. *Ireland v. the United Kingdom, 18 იანვარი, 1978, § 161, Series A № 25*). თუმცა, ამგვარი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად მტკიცე, ცხადი და შეთანხმებული

დასკვნებიდან ან ფაქტების მსგავსად უტყუარი წინამძღვრებიდან. როცა მოვლენებზე ინფორმაცია სრულად, ან დიდი მოლად, მხოლოდ ხელისუფლების ორგანოებს აქვთ, როგორც, მაგალითად, პატიმრობაში მათ კონტროლქვეშ მყოფი ადამიანების შემთხვევაში, ნარმონშობა მყარი ვარაუდი ამგვარი პატიმრობისას გაჩენილი დაზიანებათა მიმართ. მართლაც, მტკიცების ტვირთი სრულად ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც უნდა ნარმონადგინონ საკმარისი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება (იხ. Salman v. Turkey [GC], № 21986/93, §100, ECHR 2000-VII).

50. მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში იმყოფებოდა პოლიციელთა კონტროლის ქვეშ. სასამართლო წუხილით აღნიშნავს, რომ მისი შენობაში შესვლის ან გათავისუფლების დროს, ასევე დაკითხვის ამსახველი არანაირი ოქმი არ შედგენილა. 2004 წლის 22 დეკემბერს დილით შედგენილ სამედიცინო დასკვნაში აღნიშნულია, რომ განმცხადებელს თავსა და სხეულზე აღნიშნებოდა დაზიანებები. მართლია, განმცხადებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლების შემდეგ, პირდაპირ ჰოსპიტალში არ წასულა, მაგრამ მან შეძლო ორი მოწმის ნარმონდგენა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ 2004 წლის 21 დეკემბერს, საღამოს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლების შემდეგ მას სახეზე დაზიანებები ჰქონდა. მოწმეთავან ერთ-ერთი იყო ტაქსის მძლოლი, რომელმაც განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინა მხრიდან ჩაისვა. ცენტრუს პროკურატურამ ტაქსის მძლოლის ჩვენება მხედველობაში არ მიიღო, როგორც არასანდო მტკიცებულება, რადგან მას განმცხადებელმა თავად უამბო, რომ პოლიციელებმა სცემეს. თუმცა, ტაქსის მძლოლის ჩვენებიდან აშკარად ირკვევა, რომ მან პირადად დაინახა დაზიანებები განმცხადებლის სახეზე და ამ უკანასკნელის ჭუჭყიანი ტანსაცმელი. მეტიც, მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ ტაქსის მძლოლმა განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან გათავისუფლებისთანავე დაინახა.

51. ზემოხსენებულის ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ არ დადგენილა, აღნიშნებოდა თუ არა დაზიანებები განმცხადებელს შინაგან საქმეთა შენობაში შესვლამდე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო 2004 წლის 21 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოფნის დროს.

52. სასამართლო ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებში წარმოშობილი მყარი გარაუდის არსებობას (იხ. ზემოთ პუნქტი 48), ასევე იმ ფაქტს, რომ მთავრობას ზემოაღნიშნულ დაზიანებათა მიზეზის შესახებ რაიმე ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია და ასკვნის, რომ მთავრობამ ეს მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა - მან ვერ აჩვენა დაზიანებათა წარმოშობის სხვა მიზეზი, საპოლიციო პატიმრობაში არასათანადო მოპყრობის გარდა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.

## 2. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობის შესახებ

53. გარდა ზემოთ 34-ე პუნქტში აღნიშნული ზოგადი პრინციპისა, სასამართლო ხაზს უსგამს, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ სერიოზულ ბრალდებზე გამოძიება გულმოფგინე უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ყოველთვის მაქსიმალურად უნდა სცადონ, გამოარკვიონ, თუ რა მოხდა და გამოძიების დახურვისას ნაჩეარევ თუ დაუსაბუთებელ დასკვნებს არ უნდა დაეყრდნონ, ასეთ დასკვნებს არც თავიანთი გადაწყვეტილებები უნდა და-

აფუქნონ (იხ. Asenov and Others judgment, ციტირებულია ზემოთ, § 103 et seq.). მათ უნდა გადადგან ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი ინციდენტთად დაკავშირებულ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, *inter alia*, თვითმხილველთა ჩვენებებისა და კრიმინალისტური მტკიცებულებების ჩათვლით (იხ. Tanrikulu v. Turkey [GC], № 23763/94, § 104, ECHR 1999-IV, et seq. და Gül v. Turkey, № 22676/93, § 89, 14 დეკემბერი, 2000). გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის დაზიანებათა მიზეზის გამორკვევას ან დამნაშავე პირთა დადგენას, ამ სტანდარტის დარღვევის რისკს ქმნის.

54. სასამართლო ეროვნული ორგანოების მიერ ჩატარებულ გამოძიებაში რა-მდენიმე სერიოზულ ხარვეზს უსვამს ხაზს. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებელი თითქმის ერთ წელინადს იცდიდა, სანამ პირადად დაფიქსირებდა საჩივარს მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა საპოლიციო პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მალევე ჩაიტარა სამედიცინო შემოწმება. ექიმმა, ვინც განმცხადებელი გასინჯა, პოლიციას აცნობა ბატონ ბრეაბინის დაზიანებათა და მისი მტკიცების შესახებ, რომ ეს დაზიანებები მან პოლიციელთა მიერ ცემის შედეგად მიიღო. ამ ვითარებაში შესაბამისი ორგანოები ვალდებული იყვნენ, შეესწავლათ ჰოსპიტალის წერილში აღნიშნული ინფორმაცია. თუმცა, წერილზე არანაირი პასუხი არ გაუციათ. პროკურატურას არც მასინ მოუხდენია რეაგირება, როცა მას პირადად მიმართა განმცხადებელმა 2005 წლის 3 სექტემბერს. 2005 წლის 15 დეკემბრიდან, როცა საბოლოოდ დაიწყო ფქტზე გამოძიება, პროკურორებმა არ მოიკვლიერს, თუ რატომ არ შეიტანა ორმა ბრალდებულმა პოლიციელმა ინფორმაცია 2004 წლის 21 დეკემბერს ჩატარებული დაკითხვის შესახებ სარეგისტრაციო უურნალში. 2006 წლის 15 იანვარს პროკურატურამ განმცხადებლის საჩივარს მსვლელობა არ მისცა, მისი და ასევე სხვა მოწმების დაკითხვის გარეშე. პროკურორის დასკვნით, განმცხადებელი მიზნად ისახავდა მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების შეფერხებას; ეს დასკვნა დომინირებდა გამოძიების დასრულება-მდე. მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ ამგვარი დასკვნის გამოტანის მიუხედავად, პროკურატურამ არ გაანალიზა, ჰქონდათ თუ არა განმცხადებელს სტატული, რომ პოლიციის ორი ოფიცირის მიმართ ცრუ ბრალდებები წაეყენებინა, ან რა სარგებელს მიიღებდა იგი ამ ცრუ ჩვენებებით მაშინ, როცა 2004 წლის 21 დეკემბერს მისგან აღიარებითი ჩვენება არ მიუპოვებიათ და ამ დღის შემდეგ ბრალდებულ ორ პოლიციელს მის საქმეზე აღარ უმუშავია.

55. 2006 წლის 15 იანვარს, გაუქმდა რა პროკურატურის გადაწყვეტილება, წარმოებაში არ მიეღოთ განმცხადებლის საჩივარი, დაკითხეს მოწმები. თუმცა, პროკურატურამ მოწმეთა ჩვენებები არ გაითვალისწინა, რადგან არასანდო მტკიცებულებად ჩათვალა იმის საფუძველზე, რომ ტაქსის მძღოლსაც და განმცხადებლის მეგობარსაც ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად ბატონ ბრეაბინის მონათხრობიდან ჰქონდათ. თუმცა, სასამართლომ, შეისწავლა რა მოწმეთა ჩვენებები, აღნიშნა, რომ მათ დაადასტურეს ცემის კვალის არსებობა განმცხადებლის სახეზე. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი განმცხადებები პროკურორებმა მხედველობაში არ მიიღეს და არასათანადო ინფორმაციად შეაფასეს.

56. ზემოთ აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების ფონზე, სასამართლო თვლის, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა არ სცადეს არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივარის სერიოზული და სათანადო გამოძიება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის საპარაულო დარღვევა

57. განმცხადებლის მტკიცებით, მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიების არაეფექტურინობის შედეგად, მან ვერ ისარგებლა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, რომ არასათანადო მოპყრობისთვის კომპენსაცია მოეთხოვა.

58. მთავრობა განმცხადებელს არ დაეთანხმა და არსებული შიდასამართლებრივი საშუალებების მაგალითად მოიყვანა Ciorap-ის საქმე.

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება დაცვის შიდასამართლებრივი ეფექტიანი საშუალებების არსებობის საჩვენებლად (იხ. ზემოთ პუნქტები 32-35). თუ გავითვალისწინებთ განმცხადებლის სისხლის სამართლის საჩივარზე გამოძიების არააღევატურობას (ლაპარაკია საჩივარზე პოლიციელთა წინააღმდეგ, რომლებიც განმცხადებელს არასათანადოდ მოეყორნენ), ნებისმიერ შემთხვევაში, იმავე ფაქტებსა და ბრალდებებზე დაფუძნებულ სამოქალაქო მოთხოვნას წარმატების არანაირი პერსპექტივა არ ექნებოდა. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, მთავრობას არ უჩვენებია, რომ სახელმწიფოში არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც განმცხადებელი მოითხოვდა კომპენსაციას კოლიციელთა მიერ არასათანადო მოპყრობისთვის. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან კომბინაციაში.

### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### 60. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნანილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

#### A. მატერიალური ზიანი

61. განმცხადებელმა მატერიალური ზიანის სანაცვლოდ 200 ევრო მოითხოვა. მას 2004 წლის 21 დეკემბერს მიყენებული დაზიანებების მკურნალობა ეს თანხა დაუჯდა.

62. მთავრობის არგუმენტაციით, განმცხადებელს არანაირი კომპენსაცია არ ეკუთვნიდა, რადგან იგი არავის უცემია.

63. სასამართლო თვლის, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს დადგენილ დარღვევასა და მატერიალური ზიანს შორის; შესაბამისად, იგი განმცხადებელს მოთხოვნილ თანხას სრულად აკუთვნებს.

#### B. არამატერიალური ზიანი

64. განმცხადებელმა არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ 150 000 ევრო

მოითხოვა. იგი ამტკიცებდა, რომ არასათანადო მოპყრობის შედეგად სერიოზული ფიზიკური ტკავილი განიცადა, რაც ოცდაერთ დღეზე მეტი დროით მკურნალობას საჭიროებდა. მან ასევე სერიოზულ ემოციურ და სულიერ ტანჯვას გაუქმო, რომელიც მიადგა მკურნალობის და მარჯვენა ყურში სმენადობის მთლიანად დაკარგვის შედეგად. მოლდოვური კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი უუნარობა შრომისუნარიანობის 25 პროცენტით დაკარგვას უტოლდება. განმცხადებლის შეზღუდული შესაძლებლობა სერიოზული ბარიერი გახდა მის პროფესიულ საქმიანობაში და მისთვის ძალზედ რთული გახდა მუდმივი სამუშაო ადგილის პოვნა. შესაბამისად, განმცხადებელი და მასზე ფინანსურად დამოკიდებული ოჯახის სამი წევრი ძალზედ რთულ ეკონომიურ მდგომარეობაში არიან. განმცხადებელი იძულებული გახდა ოჯახის სარჩენად დაბალანაზღაურებად, მისი კვალიფიკიციისთვის შეუცერებელ, დროებით სამუშაოებს დათანხმებოდა.

65. მთავრობამ განმცხადებლის მოთხოვნა გააპროტესტა. მისი მტკიცებით, რადგან შესაბამისმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელს პოლიციულები არასათანადო არ მოპყრობიან, მას კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ალტერნატივის სახით, მთავრობამ განაცხადა, რომ თანხის მოთხოვნილი ოდენობა გადამეტებული იყო, სასამართლოს მანამდე განხილული პრეცედენტების ფონზე.

66. ზემოთ დადგენილი დარღვევებისა და მათი სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე საქმეში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამართლებულია. სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით და არასათანადო მოპყრობის შედეგად განმცხადებლის შესაძლებლობების მუდმივად შეზღუდვის გათვალისწინებით, სასამართლო მას აკუთვნებს 25 000 ევროს.

### C. ხარჯები და დანახარჯები

67. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 5 287 ევრო სასამართლოს წინაშე განეული დანახარჯებისათვის.

68. მთავრობამ ეს მოთხოვნა გააპროტესტა. იგი ამტკიცებდა, რომ მოთხოვნილი ოდენობა გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი იყო.

69. სასამართლო ხარჯებისა და დანახარჯებისათვის განმცხადებელს 3 500 ევროს აკუთვნებს.

### D. საურავი

70. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური წიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## სენებული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხელ

- აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
- ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, 2004 წლის 21 დეკემბერს პო-

ლიცის ოფიციურების მხრიდან განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება განმცხადებლის საჩივრებზე საპოლიციო პატიმრობაში ყოფნის დროს მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, გასაჩივრებული არასათანადო მოპყრობისთვის დაცვის ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალებების არარსებობის გამო;
5. ადგენს

(ა) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს შემდეგი თანხები უნდა გადაუხადოს მოლდოვურ ლეიში, გადახდის დღეს არსებული კურსით:

- (i) 200 (ორასი) ევრო მატერიალური ზიანისთვის;
  - (ii) 25 000 (ოცდახუთი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;
  - (iii) 3 500 (სამი ათას ხუთასი) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად;
  - (iv) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხები;
- (v) ზემოხსენებული სამოვანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამშროცენტიანი განაკვეთი.
6. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2009 წლის 7 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**ლოურენს ეარლი  
რეგისტრატორი**

**ნიკოლას ბრაცა  
თავმჯდომარე**



## **სიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ**

---

***CASE OF CIORAP v. MOLDOVA***



მეოთხე სექტია

## სიორაპი მოლდოვის რესალეგიგ

(განაცხადი №12066/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 19 ივნისი

საბოლოო ვერსია

19/09/2007

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე სიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

სერ ნიკოლას ბრაცა, თავმჯდომარე,  
ბატონი ჯ. კასადევალი,  
ბატონი გ. ბონელო,  
ბატონი კ. ტრაია,  
ბატონი ს. პავლოვშჩი,  
ბატონი ლ. გარლიცკი,  
ქალბატონი ლ. მიკოვიჩი, მოსამართლეები,  
და ქალბატონი ფ. არაცი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2007 წლის 29 მაისს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №14437/05, რომელიც ბატონმა ტუ-დორ სიორაპმა (შემდგომში „განმცხადებელი“) სასამართლოში შეიტანა 2001 წლის 5 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებლის, რომელსაც სასამართლოში წარმომადგენლობისთვის სამართლებრივი დახმარება მიენიჭა<sup>1</sup>, ინტერესებს იცავდა ბატონი ვ. იორდაჩი, ჩისინაუში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ადვოკატები ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი. მოლდოვის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) პოზიციას იცავდა სახელმწიფოს წარმომადგენელი ბატონი ვ. პარლოგი.

3. განმცხადებელმა იჩივლა შემდეგ მუხლებთან დაკავშირებით: კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური საპატიმრო პირობები და იძულებით კვება), მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (სასამართლოსადმი მიმართვა იძულებით კვებასთან დაკავშირებით), მე-8 მუხლი (კორესპონდენციის ცენზურა და ოჯახის წევრებთან განცალკევებულად შეხვედრის უფლება) და მე-10 მუხლი (წინასწარი პატიმრობის ცენტრის შიდა რეგულაციების ხელმისაწვდომობა).

4. განაცხადი დაეწერა სასამართლოს მეოთხე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე წესის 1-ლი პუნქტი). 2005 წლის 11 ოქტომბერს ამ სექციის პალატამ განაცხადი ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო და გადაწყვიტა, განაცხადის დარჩენილ ნაწილზე მთავრობასთან კომუნიკაცია დაეწყო. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პალატამ დაადგინა, რომ განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარეებზე ერთდროულად ემსჯელა.

## ზარგოვები

### 1. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს ჩისინაუში.  
6. მხარეების წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასე შეიძლება შეჯამდეს.

7. განმცხადებელი მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში „სოციალური ამნისტია“, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევდა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებს. განმცხადებლის თანახმად, იგი დევნის ობიექტი გახდა მისი საქმიანობის გამო. ორ ეპიზოდში მას პრალი დაედო რამდენიმე სერიოზულ თაღლითობაში. განმცხადებელი მეორე ჯგუფის ინვალიდია და დასმული აქვს „მოზაიკური შიზოფრენიის“ დიაგნოზი.

## 1. პატიმრობის პირობები

8. განმცხადებელი დააკავეს 2000 წლის 23 ოქტომბერს. 2000 წლის 6 ნოემბერს იგი გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს ჩისინაუს წინასწარი პატიმრობის ცენტრში (ასევე ცნობილია როგორც №3 საპატიმრო დაწესებულება, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა №13 საპატიმრო დაწესებულებაში). მან დროის რაღაც პერიოდი პრუნცულის სამკურნალო დაწესებულებაში გაატარა. რამდენიმე დანაშაულისთვის მას უკვე მისჯილი აქვს პატიმრობა, თუმცა, სხვა ბრალდებებთან მიმართებაში, კვლავ სასამართლო გადაწყვეტილების მოლოდინშია.

9. განმცხადებლის თანახმად, იგი არაადამიანურ საპატიმრო პირობებში იმყოფებოდა. კერძოდ, საკუნძი გადატვირთული იყო (რაც ზოგჯერ იმას ნიშნავდა, რომ 2-3 ადამიანზე 2 მ<sup>2</sup> მოდიოდა). ამას ემატებოდა ის ფაქტი, რომ ისეთი ინფექციური დაავადების მქონე პატიმრები, როგორიცაა ტუბერკულოზი, მოთავსებულნი იყვნენ სხვა პატიმრებთან ერთად საკანში, განსაკუთრებით, შიმშილობის დროს; საკნებში იყვნენ მკენარები; ოთახი სათანადოდ არ ნიავდებოდა და არც დღის შუქი შედიოდა; ელემენტარული სანიტარული პირობები განცალკევების საშუალებას არ იძლეოდა; რადიოს მუდმივად მაღალ ხმაზე რთავდნენ დღილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე; ამას ემატებოდა ძალიან მცირე რაოდენობის და უხარისხო საჭმელი. 2005 წლის 27 მაისამდე ელექტრონერგია და ცივი წყალი ხელმისაწვდომი იყო დღეში მხოლოდ რამდენიმე საათით. განმცხადებელმა მისი ერთი დღის რაციონი ასე აღნერა: 100 გ. ფაფა წყლით ორჯერ დღეში და ძირითადად წყლისგან დამზადებული სუპი სადილად, ამას გარდა, 400 გ. პური მთელი დღის განმავლობაში. საკნის გადატვირთულობასთან დაკავშირებით მისი საჩივრის განსამტკიცებლად, განმცხადებელმა მაგალითად მოიყვანა 2001 წლის 2 აგვისტოს მისი №11 საკანში გადაყვანა, რომელსაც იგი ინაწილებდა 5 სხვა ადამიანთან, იმის მიუხედავად, რომ საკანში ორი რკინის საწოლი იდგა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას იატაკზე ეძინა საწოლების არსაკერისი რაოდენობის გამო და საკანში მხოლოდ ელექტრო განათება ჰქონდათ დღეში 6 საათის განმავლობაში. მეორე მაგალითად განმცხადებელმა მოიყვანა მისი პატიმრობა №17ა საკანში, სადაც 12მ<sup>2</sup>-ში მოთავსებული იყო 10 ადამიანი.

10. განმცხადებელმა მოიხმო წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კომიტეტის (CPT) 2004 წლის ანგარიში (იხ. ქვემოთ პუნქტი 47) და იუსტიციის სამინისტროს ანგარიში №13 საპატიმრო დაწესებულებაში პატიმრობის პირობების შესახებ (იხ. ქვემოთ პუნქტი 43).

11. განმცხადებლის თანახმად, მან სხვადასხვა ორგანოში იჩივლა მის საპატიმრო პირობებთან დაკავშირებით. მთავრობა განმცხადებელს არ დაეთანხმა. განმცხადებელმა წარმოადგინა სასჯელალსრულების დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დეპარტამენტის პასუხები, რომლებიც, *inter alia*, განმცხადებლის პატიმრობის პირობებსაც ეხებოდა. ამას, გარდა, მან სასამართლოს წარუდგინა მთავრობისათვის და №3 საპატიმრო დაწესებულების აღმინისტრაციისათვის გაგზავნილი საჩივრების ასლები, რომლებშიც იგი ასევე ჩიოდა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. სასჯელალსრულების დეპარტამენტმა 2003 წლის 29 დეკემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნა, რომ №3 საპატიმრო დაწესებულება „პერიოდულად გადატვირთული“ იყო, რის გამოც იმატა პედიკულოზმა და კანის დაავადებებმა. ასევე

დადასტურდა მქენარების არსებობაც, თუმცა, ამ საკითხზე დაკავებული პირებისგან საჩივარი არ შესულა. 2002-2003 წლებში საპატიმროში ჩატარდა სერიოზული დეზინფექცია.

12. 2002 წლის 17 თებერვლით დათარილებულ წერილში ციხის ადმინისტრაციისადმი, განმცხადებელმა იჩივლა არასაკმარისი რაოდენობის საწოლების შესახებ 72-ე საკანში, რომელშიც იმ დროისათვის იმყოფებოდა; საკანში დაკავებულებს ხის თაროებზე ეძინათ. წერილში მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტსა, რომ ფანჯრებზე დამაგრებული მეტალის ჟალუზების გამო, საკანში დღის შუქი და სუფთა ჰქონდა არ აღნევდა. საკანში იდგა მძაფრი სუნი და იგრძნობოდა სინესტე, იყვნენ მქენარები, რომელებიც მას დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ. 2002 წლის 26 მაისით დათარილებულ წერილში განმცხადებელმა იჩივლა 10 დღით №7 საკანში გადაყვანასთან დაკავშირებით, სადაც იგი განცალკევებით მოათავსეს; საკანი იყო ძალიან ნესტიანი და მას ეშინოდა, რომ ტუბერკულოზით დაავადდებოდა. ამას გარდა, მას სამი დღის განმავლობაში არ აჭმევდნენ და საკანში ვირთხები დარბოდნენ. საკანში არ იდგა ავეჯი, გარდა საწოლისა, რომელიც დღის განმავლობაში კედელზე აკეცილი უნდა ყოფილიყო და განმცხადებელი ბეტონის იატაკზე იჯდა. საკანს არ ჰქონდა ფანჯარა და მას ელექტროენერგია დღემი 5-6 საათით მიეწოდებოდა, დღის დანარჩენ პერიოდში ის სრულ სიბნელეში იჯდა. მან მოითხოვა ექიმთან ვიზიტი და სხვა საკანში გადაყვანა. როგორც ირკვევა, განმცხადებელმა ამ ორ საჩივარზე პასუხი არ მიიღო. მთავრობას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია. თავის „შიმშილობის დღიურში“ განმცხადებელმა აღნიშნა მისი გადაყვანა №11 საკანში 2001 წლის 2 აგვისტოს, სადაც მის გარდა 5 ადამიანი იმყოფებოდა.

13. იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 25 ნოემბრით დათარილებული წერილის თანახმად, განმცხადებელი იმყოფებოდა №№2, 17a, 53, 70a, 84, 89 და 116 საკნებში და მათგან ყველა 8-12  $\text{m}^2$  ფარტობის იყო. წერილში არ დაუკონკრეტებიათ, რა რაოდენობის პატიმრებზე იყო გათვლილი ეს საკნები, ასევე არ უთითებდნენ დეტალებს, ამ საკნებში განმცხადებელთან ერთად მოთავსებულ პატიმრთა რეალური რაოდენობის შესახებ. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა 10  $\text{m}^2$  მოცულობის საკანი №116, რომელშიც განმცხადებელი სტრასბურგის სასამართლოს მიმოხილვების შედეგების დროს იმყოფებოდა (2005 წლის 13 დეკემბერი) კიდევ ერთ ადამიანთან ერთად. იმავე №116 საკანში მოთავსებული მეორე პატიმრისთვის გაგზავნილ, 2005 წლის 30 ნოემბრით დათარილებულ წერილში, გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ „ამ საკანში მოთავსებულ ცველა ადამიანს ჰქონდა საწოლი და თეთრეული“. მთავრობის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულ ვიდეო ჩანაწერში ჩანდა ორი რკინის საწოლი, რომელთაგან ერთ-ერთი საპირფარეშოსთან იდგა. მთავრობის თანახმად, ელექტროენერგია და ცივი წყალი საკნებს მუდმივად მიეწოდებოდა და თითოეულ საკანში დღის შუქი აღნევდა. განმცხადებელს ყოველ კვირაში ჰქონდა შხაპის მიღების უფლება. პატიმრებს საკვები შესაბამისი სამთავრობო რეგულაციების თანახმად მიეწოდებოდათ, ხორცისა და თევზის ჩათვლით, „როცა ამის შესაძლებლობა იყო“. პატიმრებს შეეძლოთ საჭმელი ადგილობრივ მაღაზიაში შეეძინათ, მათ გარედან ამანათების მიღების უფლებაც ჰქონდათ. ამას გარდა, განმცხადებელი რამდენჯერმე მოხვდა სხვადასხვა ექიმის ხელში, შიმშილობისა და თვითგვემის გამო და ციხის ჰქონის მიმოხილვების უკეთესი პირობებით სარგებლობდა.

## 2. იძულებით კვება

### (ა) განმცხადებლის იძულებით კვება

14. განმცხადებელმა 2001 წლის 1 აგვისტოს შიმშილობა დაიწყო, მისი და მისი ოჯახის უფლებათა სავარაუდო დარღვევის გამო. იმ მიზეზით, რომ მასთან ორი კვირის განმავლობაში პროცურორი არ მისულა, რათა მისი უფლებების სავარაუდო დარღვევაზე ემსჯელათ, 2001 წლის 14 აგვისტოს ბატონმა სიორაპმა მაჯები გადაიჭრა და ცეცხლი წაიკიდა. მას უმკურნალეს და შემდეგ კი რამდენჯერმე იძულებით აჭამეს. განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა მისი „შიმშილობის დღიური“, რომელშიც ჩანიშნული ჰქონდა იძულებით კვების თარიღები და ფორმა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმ დროისათვის და გადაყვანები საკნიდან საკანში. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი ითხოვდა საკეების ინტრავენური გადასხმის გზით მიწოდებას და არა მუცლის ზონდის გამოყენებით.

15. განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ, 2001 წლის 13 სექტემბერს, მორიგე ექიმმა მას პირველადი დიაგნოზი დაუსვა: „მარჯვენამხრივი საზარდულის თიაქარი?“ (*“hernie intermusculară inghinală din dreapta?”*). 2001 წლის 14 სექტემბერს ქირურგმა დასვა დიაგნოზი: „მუცლის წინა კედლის დამაკავშირებელი აბსცესი“ (*“abces de legătură a peretelui anterior?”*). განმცხადებელს დაენიშნა მკურნალობა, რაზეც მან უარი განაცხადა. განმცხადებლის მტკიცებით, მას შემდეგ რაც 2001 წლის 14 სექტემბერს მკურნალობაზე უარი თქვა, იგი რამდენიმე დღით ბნელ, ცივ და ნესტიან სამარტო საკანში გადაიყვანეს, სადაც ავეჯი არ იდგა.

16. ციხის ფსიქიატრმა, რომელმაც განმცხადებელი 2001 წლის 14 აგვისტოს ინციდენტიდან რამდენიმე დღეში გასინჯა, სასამართლოში განაცხადა, რომ განმცხადებელი მშვენივრად აცნობიერებდა მისი ქცევის შედეგებს. ფსიქიატრმა განმცხადებლის ქცევა მისი უფლებების დარღვევისთვის პროტესტის მორიგლონისძიებად შეაფასა. ექიმმა დაამატა, რომ მასზე ხორციელდებოდა ზენოლა, რათა ხელი მოენერა დოკუმენტისთვის, რომლითაც განმცხადებელს ფსიქიურ ავადმყოფად გამოაცხადებდა, თუმცა, მან ამაზე უარი განაცხადა. 2003 წლის აგვისტო-სექტემბერში განმცხადებელმა ციხეში მკურნალობის კურსი გაიარა, მას შემდეგ, რაც მას, *inter alia*, მოზაიკური შიზოფრენია დაუდგინდა.

17. განმცხადებლის ადვოკატისთვის გაგზავნილ პასუხში, ციხის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ 2001 წლის 3 აგვისტოს ბატონმა სიორაპმა შიმშილობა დაიწყო და მას იმავე დღეს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა. 2001 წლის 15 აგვისტოს მან ვენები გადაიჭრა და ცეცხლი წაიკიდა; მას დაუყოვნებლივ ჩაუტარდა საჭირო მკურნალობა. 23 აგვისტოს ექიმმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულად ჩათვალა. 24 აგვისტოს კი ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა და მისი იძულებით კვება ბრძანა. ჯამში მას შვიდჯერ აჭამეს იძულებით, მათ შორის, 2001 წლის 28 აგვისტოს და 3, 5, 6, 7 და 10 სექტემბერს. 2001 წლის 14 სექტემბერს იგი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მან 2001 წლის 4 ოქტომბერს შიმშილობა დაასრულა. იძულებით კვება განხორციელდა წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 33-ე მუხლის (იხ. ზემოთ პუნქტი 40) და სპეციალური ინსტრუქციის (იხ. ქვემოთ პუნქტი 41) თანახმად. ინსტუქცია გამოქვეყ-

ნებული არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, განმცხადებელმა მისი შინაარსი იცოდა, რადგან იგი თავის „შიმშილობის დღიურში“ მოიხსენია. არც ციხის რეგულაციები ყოფილა გამოცვეყნებული, მაგრამ იგი იძულებით კვების შესახებ არც ერთ დებულებას არ მოიცავდა. 2003 წლის 23 დეკემბერს ამ რეგულაციების ასლი, გამონაკლისის სახით, გადაეგზავნა განმცხადებელს.

18. მთავრობის მიერ მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, განმცხადებელი 2001 წლის 4 და 13 სექტემბერს ესკორტით მიყყანეს სასამართლო მოსმენებზე. განმცხადებელმა „შიმშილობის დღიურში“ აღნიშნა, რომ 4 და 13 სექტემბერს იძულებით არ გამოუკვებავთ, რადგან სასამართლოში წაიყვანეს. სასამართლოს მოთხოვნის პასუხად, წარმოედგინა ყველა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი განმცხადებლის იძულებით კვებასთან დაკავშირებით, ჩატარებული სამედიცინო ანალიზების ყველა პასუხის ჩათვლით, მთავრობამ შემდეგი დოკუმენტაცია წარადგინა. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, რამდენიმე ტიპის სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდა, გაკეთდა სისხლის და შარდის ანალიზები, კარდიოგრამა და სხვა გამოკვლევები. მორიგე ექიმთან ვიზიტების სარეგისტრაციო შურნალის თანახმად, განმცხადებლის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო 2001 წლის 1-დან 21 აგვისტომდე პერიოდში. 2001 წლის 23 აგვისტოს, მორიგე ექიმმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებლად ჩათვალა, თუმცა, მიიჩნია, რომ სისხლის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისთვის საკმარისად კარგად არ იყო, რადგან სისუსტეს და თავბრუსევებას უჩიოდა. 2001 წლის 24 აგვისტოს მორიგე ექიმმა მას „იძულებით კვება დაუნიშნა, ინსტრუქციის თანახმად (800მლ. რძე, 50გრ. შაქარი)“. იგივე ხასიათის მიმართვები გაკეთდა 2001 წლის 28 აგვისტოს და 3, 5, 6, 7 და 10 სექტემბერს. აღნიშნულთაგან უმეტეს თარიღებში, მორიგე ექიმი თვლიდა, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა „შედარებით დამაკმაყოფილებელი“ იყო, 2001 წლის 5 სექტემბერს კი - „დამაკმაყოფილებლად“ ჩათვალა. 5-7 სექტემბერს დანიშნული საკვების ბუნების შესახებ მითითება არ გაკეთებულა.

#### **(b) სასამართლო სამართალწარმოება განმცხადებლის იძულებით კვებასთან დაკავშირებით**

19. 2001 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა საჩივრით მიმართა სასამართლოს იძულებით კვებასთან და ამ პროცესით გამოწვეულ ტკივილსა და დამცირებასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა იძულებით კვების პროცესი ასე აღნერა: მას ყოველთვის ხელბორკილს ადებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იძულებით კვებისთვის ფიზიკური წინააღმდეგობა არასოდეს გაუწევია, ის უპრალოდ უარს აცხადებდა საკვების მიღებაზე პროტესტის ნიშნად. ციხის თანამშრომლები მას აიძულებდნენ პირი გაელო თმებში მოქაჩიოთ, ზურგის გაკავებით და ტერფებზე ფეხის დაჭერით, სანამ იგი ტკივილს ვეღარ უძლებდა და პირს აღებდა. შემდეგ გაღებულ პირს მეტალის პირის გამაფართოვებლით უფიქსირებდნენ. ენას პირის გარეთ მეტალის სამაგრებით (მაშებით) უმაგრებდნენ, რომელიც, განმცხადებლის მტკიცებით, თითოეული იძულებითი კვებისას მისი მეტყველების შეფერხებას იწვევდა და ენიდან სისხლი სდიოდა. შემდეგ პირში მყარ ზონდს უდებდნენ, რომელიც კუჭამდე ჩაჰყავდათ და ამ ზონდით თხევად საკვებს აწვდიდნენ; ზოგჯერ, კუჭში ამ გზით საკვების მოხვედრა მწვავე ტკივილს იწვევდა.

როცა პირიდან მეტალის სამაგრს იღებდნენ, მას სისხლი სდიოდა, ენას ვეღარ გრძნობდა და ვერ ლაპარაკობდა. მისი იძულებით კვებისთვის გამოყენებული იარაღები ერთჯერადი გამოყენების არ იყო და რბილი ზედაპირი არ ჰქონდა, რაც განმცხადებელს ტკივილისა და ინფექციისაგან დაიცავდა.

20. სასამართლოსთვის მოწმის, C.S.-ს მიერ მიცემული ჩვენების თანახმად (C.S. ციხის ექტნად მუშაობდა და პირადად ესწრებოდა განმცხადებლის იძულებით კვების პროცესს), განმცხადებელი ყოველთვის არ ენინააღმდეგებოდა იძულებით კვების პროცესს და ასეთ შემთხვევებში ხელბორკილის დადების საჭიროება არ ჩნდებოდა, მაგრამ ეს იყო სავალდებულო პროცედურა, მისი აზრით, მტკივნეული, მაგრამ პატიმართა სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი. B.A.-მ, ზოგადი პროფილის ექიმმა, რომელიც პირადად აძლევდა განმცხადებელს იძულებით საკვებს, სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ხანდახან მისთვის მიცემული საკვები „ინსტრუქციას არ შეესაბამებოდა“.

21. V.B.-მ, იმავე წინასწარი დაკავების ცენტრში მოთავსებულმა პირმა, სადაც განმცხადებელი იმყოფებოდა, სასამართლოში განაცხადა, რომ მან განმცხადებელსა და სხვა დაკავებულებზე სისხლის კვალი შენიშნა, მას შემდეგ, რაც ისინი იძულებით გამოკვებეს. განმცხადებელმა მოითხოვა, რომ მისთვის მხოლოდ რედემიეცათ ან ვიტამინები გადაესხათ ინტრავენური გზით. მან ასევე წარმოადგინა გადაწყვეტილებათა ასლები, რომელთა თანახმად, შიმშილობისას იგი 10 დღით სამარტოო საკანში უნდა მოეთავსებინათ; ეს გადაწყვეტილებები მიღებული იყო 1994 წლის 22 აპრილს და 15 ოქტომბერს, 1995 წლის 19 და 28 ივლისს, 21 აგვისტოს, 31 ოქტომბერს, 24 ნოემბერს და 4 ოქტომბერს. უკანასკნელ სანქციაში აღინიშნებოდა, რომ განმცხადებელი „კატეგორიულად აგრძელებდა საკვების მიღებაზე უარის თქმას“.

22. 2001 წლის 4 ნოემბერს ცენტრუს საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე, რადგან იგი საპროცესო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. 2002 წლის 18 თებერვალს სასამართლომ კვლავ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე, იმავე საფუძვლით. 2002 წლის 25 აპრილს ჩისინაუს რეგიონულმა სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის ხელახლა განხილვა მოითხოვა, დაადგინა რა, რომ განმცხადებელი, ანუ დაკავებული, ყველა ფორმალობას ვერ დაიცავდა და მისი საჩივრის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, საქმე არსებითად უნდა განხილულიყო.

23. 2002 წლის 7 ნოემბერს ცენტრუს საქალაქო სასამართლომ განმცხდებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლომ ყურადღება იძულებით კვების კანონიერებაზე გაამახვილა და განმცხადებლის უარი ჭამაზე საპატიმრო წესების დარღვევად დააკვალიფიცირა. 2003 წლის 30 აპრილს ჩისინაუს რეგიონულმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

24. 2003 წლის 19 აპრილს უზენაესმა სასამართლომ წინა გადაწყვეტილებები გააუქმა და საქმის ხელახლა განხილვა ბრძანა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს წათლად არ დაუდგენიათ, განმცხადებლის იძულებით კვების საფუძველი იყო თუ არა სამედიცინო აუცილებლობა.

25. 2003 წლის 9 ოქტომბერს წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 33-ე მუხლში (რომელიც შიმშილობის დროს დაკავებულთა იძულებით კვებას ითვალისწინებდა) ცვლილებები შევიდა და დაკავებულთა იძულებით კვება აიკრძალა.

26. 2005 წლის 15 თებერვალს ცენტრუს საქალაქო სასამართლომ განმცხა-

დებლის მოთხოვნა, დაუსაბუთებლობის გამო, არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონი, რომელიც მოშიმშილე პატიმრების იძულებით კვებას ითვალისწინებდა, ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან იგი ამ ადამიანთა სიცოცხლის დაცვას ისახავდა მიზნად. განმცხადებლის იძულებით კვება განპირობებული იყო სამედიცინო აუცილებლობით, როგორც ეს დაადგინა სამედიცინო პერსონალმა, ხოლო ხელბორკოლის დადება და სხვა შემზღვდავი ღონისძიებები საჭირო იყო მის დასაცავად ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში საფრთხისგან. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ იძულებით კვებისთვის წინააღმდეგობის განევის ფონზე, საჭირო გახდა მის მიმართ „სპეციალური საშუალებათა, მათ შორის, ხელბორკილების“ გამოყენება და ეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას არ უტოლდებოდა. სასამართლოს არ განუხილავს მოწმეთა C.S.-ს, B.A.-ს და V.B.-ს ჩვენებები (იხ. ზემოთ პუნქტები 20 და 21).

27. 2005 წლის 26 აპრილს ჩისინაუს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ცენტრუს საქალაქო სასამართლოს მოტივაცია არსებითად გაიმეორა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაკითხულმა მოწმეებმა განმცხადებლის წამება უარყვეს და, შესაბამისად, მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობდა.

28. განმცხადებელმა იჩივლა უზენაეს სასამართლოში. იგი, *inter alia*, დაეყრდნო იძულებით კვების შედეგად მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს, კერძოდ, ჩატეხილ კბილსა და მუცლის ღრუს ინფექციას. მან ასევე აღნიშნა, რომ, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდს, ბაჟის გადახდა არ შეეძლო. სასამართლომ განმცხადებლის აპელაციის განხილვაზე უარი განაცხადა, ბაჟის, 45 მოლდოვური ლეიის (იმ დროის კურსით, 3 ევროს ეკვივალენტი) გადაუხდელობის გამო. განმცხადებელმა სასამართლოს მისთვის ბაჟის გადასახადის მოხსნა სთხოვა, რადგან მას შემოსავალი არ ჰქონდა და ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებდა. სასამართლომ მას 2005 წლის 13 ივნისს წერილობით გასცა პასუხი, რომელშიც ახსნა, რომ განმცხადებლის აპელაცია:

„არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 436-ე და 437-ე მუხლების დებულებებს ... 438-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როცა სააპელაციო საჩივარი 437-ე მუხლის დებულებებს არ შეესაბამებოდა, ან როცა სასამართლო ბაჟი არ იყო გადახდილი, სასამართლო მას 5 დღის ვადაში უკან აბრუნებდა, სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელმოწერით. სწორედ ამ მიზების გამო გიბრუნებთ თქვენს სააპელაციო საჩივარს, რათა გამოასწოროთ ხარვეზები. ...“

### 3. სასამართლოს ხელმისაწვდომობა

29. უზენაესმა სასამართლომ ბაჟის გადაუხდელობის გამო არ განიხილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი, რომელშიც იგი იძულებით კვებას ასაჩივრებდა (იხ. ზემოთ პუნქტი 28).

20. განმცხადებელმა 2003 წელს სასამართლო პროცესი მოიგო და კომპენსაციის სახით 1 800 MDL მიიღო. 2005 წლის გადაწყვეტილებით მას 5 000 MDL მიეკუთვნა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და განმცხადებელს 2005

წელს მინიჭებული კომპენსაციის ოდენობა არ მიუღია. ბატონმა სიორაპმა პატიმრობისას თავის ადვოკატს დახმარებისთვის 1 000 MDL გადაუხადა. მას ასევე კომპენსაცია გადაუხადეს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საფოსტო სამსახურებმა დაკარგული გზავნილისთვის (55 ევროს ოდენობით).

31. ეროვნული ორგანოებისთვის გაგზავნილ რამდენიმე წერილში ბატონი სიორაპი აცხადებდა, რომ სასამართლოების ბაჟი და სხვა დანახარჯები მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა გადაიხადეს. 2003 წლის 25 სექტემბრის წერილით მან ციხის ადმინისტრაციას სთხოვა, მიეღოთ კომპენსაცია საფოსტო სამსახურებისაგან და მისი ადვოკატისათვის გადაეგზავნათ.

32. განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, რომ მას ეიძულებინა მთავრობა, ფინანსურად უზრუნველყოთ განმცხადებელი, რათა მას სხვადასხვა სასამართლო პროცესს წამოენყო. 2004 წლის 18 ივნისს უზენაესმა სასამართლომ საჩივარი არ განიხილა, დაადგინა რა, რომ სასამართლო სამართლწარმოების დაწყებამდე საჭირო იყო დავის მოგვარების ექსტრასამართლებრივი პროცედურების გამოყენება.

#### **4. მიმოწერის ცენზურა**

33. განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინა რამდენიმე წერილის ასლი, მათ შორის, პარლამენტიდან (მაგალითად, 2002 წლის 10 ოქტომბრის), იუსტიციის სამინისტროდან (2001 წლის 11 ოქტომბრის), საკონსტიტუციო სასამართლოდან (2002 წლის 18 სექტემბრის), ომბუდსმენისგან (2001 წლის 23 აგვისტოს), ფსიქიატრიული საავადმყოფოდან (2002 წლის 16 აპრილის), ასევე სამართლდამცავი ორგანოებიდან, როგორიცაა, პროკურატურა (2002 წლის 11 ივლისის) და არასამთავრობო ორგანოზაციებიდან „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International) (2003 წლის 28 ივლისის) და „ადვოკატები ადამიანის უფლებებისთვის“ (2003 წლის 10 თებერვლის). ამ წერილთაგან უმრავლესობას დარტყმული ჰქონდა ციხის ბეჭედი, რომელზეც ენერა შესვლის ნომერი და თარიღი. ზოგიერთზე გაცემულია ხელნაწერი ინსტრუქცია: „ხელზე გადაეცეს განმცხადებელს“ და/ან მითითებულია მისი სახელი და საკნის ნომერი (საკნების №№ 11, 13, 15, 20 და 72 ჩათვლით). სხვა წერილებს ბეჭედი მხოლოდ კონვერტზე აქვთ დარტყმული. ზოგიერთი წერილი როგორც ციხის ადმინისტრაციას, ასევე განმცხადებელს ეგზავნებოდათ, მაგრამ ზემოთ ნახსენები წერილების ადრესატი ექსკლუზიურად მხოლოდ ბატონი სიორაპი იყო.

#### **5. განმცხადებლის ნათესავებთან შეხვედრები**

34. განმცხადებლის მტკიცებით, გარდა ოჯახის წევრების პირველი ვიზიტისა დაკავების საწყის ეტაპზე, მას ახლობლებთან კომუნიკაცია მხოლოდ მინის მიღმა შეეძლო, შიდა ტელეფონის გამოყენებით. ასეთი ვიზიტები დასაშვები იყო მხოლოდ თვეში ორი საათით და პრივატულობის დაცვის გარეშე, რადგან ხუთი ამგვარი კაბინა ერთმანეთის მიჯრით მდებარეობდა. გამორიცხული იყო რაომე სახის ფიზიკური კონტაქტი. მისჯილ პატიმრებს გაცილებით მეტი დროით შეეძლოთ ახლობლების ნახვა, თან ამისთვის ცალკე გამოყოფილ შეხვედრების ოთახში, მინის გარეშე. განმცხადებელი ასეთი პრივილეგიით არ სარგებლობდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული იყო რიგი დანაშაულებისთვის,

სხვა ბრალდებების მიმართ კეთილ წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მან და-მატებით აღნიშნა, რომ ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე დიდი ხნის განმავლობაში (ერთ წლამდე) ეუბნებოდნენ უარს.

35. განმცხადებელმა შეხვედრებისთვის უკეთესი პირობები მოითხოვა. 2003 წლის 21 აგვისტოს მან მეგობარ გოგონასა და დასთან უფრო მეტი ხნით შეხვედრის უფლება ითხოვა (ჩხ. წინა პუნქტი) და მიუთითა, რომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში 2003 წლის 28 მაისს შევიდა. მას მოთხოვნაზე უარი ეთქვა, „წინასწარი პატიმრობის ცენტრის წესდების თანახმად“.

36. განმცხადებელმა წინასწარი პატიმრობის ცენტრის ადმინისტრაციას სასამართლოში უჩივლა; იგი ითხოვდა შეხვედრების პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ კი იმას, რომ მნახველები ცალკე, შეხვედრების ოთახში ენახა, მეტი ხნით და მინის გამყოფის გარეშე. ადმინისტრაციის მტკიცებით, ასეთი შეხვედრები ციხის წესებით იკრძალებოდა, რაც მიზნად ისახავდა წინასწარი პატიმრობის ცენტრში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. 2003 წლის 25 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

37. გასაჩივრებისას, განმცხადებელმა მოთხოვნებს რეგულარული ვიზიტების მომატების მოთხოვნაც დაამატა და იქვე მიუთითა, რომ იგი, როგორც მსჯავრდებული, ასევე სასჯელის მოლოდინში იყო. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დიდი დროის განმავლობაში მას ნათესავებთან ფიზიკური კონტაქტი არ ჰქონია და აღნერა, როგორ ენატრებოდა მათთან ასეთი კონტაქტი, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ტელეფონით ვერ შეეხებოდა. განმცხადებელი დაუინებით ამტკიცებდა, რომ მან რამდენჯერმე მოიპოვა თანხმობა მის საქმეზე მომუშავე მოსამართლისგან, შეხვედროდა ნათესავებს, თუმცა, ციხის ადმინისტრაციიმ ასეთი შეხვედრების უფლება მხოლოდ მინიან კაბინებში მისცა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგჯერ მინიან კაბინაში ტელეფონი არ მუშაობდა და ყვირილი უწევდათ, რომ ერთმანეთის ნათქვამი გაეგოთ; ეს სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა, რადგან თოთ სხვა ოჯახს გვერდითა კაბინებიდან იმავეს გაკეთება უწევდათ. განმცხადებელმა კონვენციის მე-8 მუხლი მოიხმო.

38. უზენაესმა სასამართლომ, 2004 წლის 21 აპრილის საბოლოო გადაწყვეტილებით, უარი უთხრა განმცხადებელს მეტ რეგულარულ ვიზიტზე, რადგან ეს მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაყენებული არ ყოფილა. მან ასევე არ დააკმაყოფილა სხვა მოთხოვნები შეხვედრის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და მინის გამყოფის გამამართლებელ მოტივად დაკავებულთა უსაფრთხოების დაცვა დაასახელა.

## B. შესაბამისი არაკონვენციური მასალები

### 1. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

#### 39. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 85: სასამართლო ბაჟის მოხსნა

(1) სამოქალაქო სამართალწარმოების დროს ბაჟის გადასახადისგან თავისუფლდებიან შემდეგი პირები:

(ა) მოსარჩევები

...

- სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების ან გარ-

დაკვალების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციასთან დაკავშირებით;

- დანაშაულის შედეგად წარმოშობილი ზიანის კომპენსაციასთან დაკავშირებით;

- (4) მოსამართლემ (სასამართლომ) პირი, მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ბაჟის გადასახადის გადახდისგან.

მუხლი 437: სასამართლოსადმი მიმართული განაცხადის შინაარსი

...

- (2) განაცხადს თან უნდა დაერთოს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ამ შემთხვევაში არ გამოიყენება 85(4)-ე და 86-ე მუხლების დებულებები.

40. წინასწარი პატიმრობის შესახებ 1997 წლის 27 ივნისის კანონის (ძალა-დაკარგულად გამოცხადდა 2003 წლის 9 ოქტომბერს) შესაბამისი დებულებების თანხმად:

„მუხლი 18: კორესპონდენცია - საჩივრების შეტანა, მოთხოვნები და წერილების გაგზავნა

... (2) წინასწარი პატიმრობაში მყოფი პირების მიერ გაგზავნილი საჩივრები, მოთხოვნები და წერილები ექვემდებარება ცენტურას ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. საჩივრები, მოთხოვნები და წერილები, რომელთა ადრესატიც საზოგადოებრივი პროექტორია, არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება და ადრესატს უნდა ჩაბარდეს ადმინისტრაციისთვის გადაცემიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

მუხლი 19: შეხვედრაზე ნებართვის გაცემა

(1) წინასწარი პატიმრობის ცენტრის შესაბამისი უწყება დაკავებულებს ნათესავებსა ან სხვა პირებთან შეხვედრის უფლებას აძლევს მის საქმეზე მომუშავე პირის ან ორგანოს წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. როგორც წესი, თვეში ერთხელ შეხვედრის ნებართვა გაიცემა. შეხვედრა უნდა გაგრძელდეს ერთიდან ორ საათამდე.

...

(3) ნებადართულ შეხვედრებზე ზედამხედველობას ახორციელებენ წინასწარი დაკავების ცენტრის თანამშრომლები. წესების დარღვევის შემთხვევაში, შეხვედრა სრულდება.

მუხლი 33: იძულებით კვების ფორმა

(1) დაკავებულის, რომელიც უარს აცხადებს საკვების მიღებაზე, იძულებით კვება ხორციელდება მისი ექიმის წერილობითი დასკვნის საფუძველზე.

(2) იძულებით კვებას ექვემდებარება:

(a) ადამიანი, რომლის სიცოცხლეც საფრთხეშია, საკვების მიღებაზე პერმანენტულად უარის თქმის შედეგად;

...

(4) პირის, ვრცც უარს აცხადებს საკვების მიღებაზე, იძულებით გამოკვება ხდება სამედიცინო პერსონალის მიერ, საპატიმრო დაწესებულების მინიმუმ ორი ბადრაგის ან სხვა წარმომადგენლების თანდასწრებით. საჭიროების შემთხვევაში, დაკავებულს ადებენ ხელბორჯილს და ბადრაგი საჭირო პოზას აღებინებს.

(5) დაკავებულის სამედიცინო ისტორიაში იწერება იძულებით კვების პროცედურის ხანგრძლივობა, მიღებული საკვების კალორიული ღირებულება და იმ პირის სახელი და თანამდებობა, ვინც იგი გამოკვება;

(6) პირის, რომელიც საკვების მიღებაზე ურს აცხადებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში, იძულებით კვება წყდება. ამ საკითხზე დგება დეტალური სამედიცინო ანგარიში და შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სამედიცინო ოქმებში. ...“

41. 1996 წლის 15 აგვისტოს იუსტიციის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, გენერალურ პროკურატურასთან შეთანხმებულად, მიიღეს ინსტრუქცია იმ პირთა საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის და მათი იძულებით გამოკვების ფორმის შესახებ, რომლებიც უარს ამბობენ საკვების მიღებაზე. აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად, საკვების მიღებაზე „დაუსაბუთებელი“ უარი დაკავების რეუიმის დარღვევად ითვლება. პირი, რომელიც რეუიმს არღვევს, საკვების მიღებაზე უარის თქმის მომენტიდან 24 საათის განმავლობაში გადაჰყავთ სამარტოო საკანში. დაკავებულის იძულებით გამოკვების საჭიროებას განსაზღვრავს ექიმი, მისი თრანსიზმის სომატური მდგომარეობიდან გამომდინარე და ყოველი გამოკვების წინ ხსნის საკვების მიუღებლობით გამოწვეულ საფრთხეებს. როცა დაკავებული იძულებით კვებას ენინაალმდეგება, მას ადებენ ხელბორკილს და დამსწრე ორი ბადრაგი ან დაწესებულების სხვა წარმომადგენლები მას სასურველ პოზიციაში აფიქსირებენ, ასევე გამოიყენება პირის გამაფართოებელი. იძულებით კვების ყოველი შემთხვევა ინტერება დაკავებულის სამედიცინო ისტორიაში, იქვე მითითებულია კვების თარიღი, საკვების შემადგენლობა და რაოდენობა. დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში, იძულებით კვება წყდება და ამის მიზანზე სამედიცინო ისტორიაში აღინიშნება.

42. 2003 წლის 24 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №415 - XV, 2004 - 2008 წლებში ადამიანის უფლებების დარღმი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ. სამოქმედო გეგმაში 2004-2008 წლებში შესასრულებელი ბევრი ამოცანაა გათვალისწინებული, რომლებიც *inter alia* მიზნად ისახავს საპატიმრო პირობების გაუმჯობესებას, გადატვირთულობის შემცირებას, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, დაკავებულთა დასაქმებასა და რენტეგრაციას, ასევე პერსონალის პროფესიულ გადამზადებას. სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ რეგულარული ანგარიშები უნდა მომზადეს. 2003 წლის 31 დეკემბერს მთავრობამ მიიღო დადგენილება პენიტენციალური სისტემის რეორგანიზაციის შესახებ კონცეფციაზე და 2004-2013 წლების სამოქმედო გეგმა პენიტენციალური სისტემის რეორგანიზაციის შესახებ კონცეფციის იმპლემენტაციაზე. ორივე მათგანის მიზანია *inter alia* სასჯელაღსრულების დაწესებულებათა საპატიმრო პირობების გაუმჯობესება. ამას გარდა, 2004 წლის 21 აპრილს, მთავრობის თანხმობით, შეიქმნა პენიტენციალური სისტემის ტექნიკური და მატერიალური დახმარების ცენტრი.

43. იუსტიციის სამინისტრომ მიიღო „ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში ეროვნული სამოქმედო გეგმის მე-14 თავის შესრულების შესახებ 2004-2008 წლებში, იუსტიციის სამინისტროს მიერ, დამტკიცებული 2003 წლის 24 ოქტომბერს პარლამენტის დადგენილებით №415 - XV“ (თარიღი უცნობია). 2005 წლის 25 ნოემბერს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტმა ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ანგარიში მიიღო. ორივე ანგარიშმა დაადასტურა, რომ პენიტენციალურ სისტემას აკლდა დაფინანსება, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სამოქმედო გეგმის სრულად იმპლემენტაცია წინასწარი პატიმრობის ცენტრებთან მიმართებაში, ჩისინაუს №3 საპატიმრო დაწესებულების ჩათვლით, კერძოდ, საკმარისი სივრცით, საკვებითა და საწოლებით უზრუნველყოფის კუ-

თხით. ამ ანგარიშებიდან პირველში *inter alia* აღნიშნულია, რომ „ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი მიზნებისა და აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, ... გეგმა დარჩება სახელმწიფოს კარგ მცდელობად, დაიცვას 2003 წლის 24 ოქტომბერს პარლამენტის № 415 - XV დადგენილებაში აღწერილი ადამიანის უფლებები, რომელთა იმპლემენტაცია ან ვერ ან ნაწილობრივ მოხერხდება.“ 2005 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №370-XVI „სპეციალური საპარლამენტო კომისიის მიერ ნინასწარი პატიმრობის №13 საპატიმრო დაწესებულებაში სასჯელის მოლოდინში მყოფ პირთა მდგომარეობის გადასინჯვის შედეგთა შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია *inter alia* რომ „საპატიმრო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა არ შეესაბამება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს“.

44. საქმეებში *Ostrovar v. Moldova* ((dec.), № 35207/03, 22 მარტი, 2005) და *Boicenco v. Moldova* (№ 41088/05, ჭ 68-71, 11 ივნისი, 2006) ჩამოყალიბებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები, რომლებიც შეესაბამება საჩივრებს კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.

45. დაკავებულთა კორესპონდენციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებზე საუბარი, გარდა ზემოთ მე-40 პუნქტში მოყვანილი დებულებებისა, საქმეში *Meriakri v. Moldova* ((შენყდა წარმოება), № 53487/99, ჭ 17-24, 1 მარტი, 2005).

ამას გარდა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად:

„(1) ოპერატორ-საგამოძიებო ღონისძიებები, რომლითაც შეზღუდვები წესდება პირის, სახლის ან კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლებაზე, სატელეფონო და ტელეგრაფით საუბრებსა და კომუნიკაციის სხვა ფორმებზე, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები სრულდება გამომძიებელი მოსამართლის ნებართვით. ...“

2. წამების და არაადამიანური ან ლირსების შემღაბეველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კომიტეტის (CPT) ანგარიშები

46. მოლდოვის 2001 წლის 10-21 ივნისის ვიზიტის შესახებ ანგარიშში CPT-მ დაადგინა:

„61. დელეგაციამ ყურადღება მიაქცია თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარე სამყაროსთან კონტაქტის საკითხს. ადამიანების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ დაიზივლა თავითნო ახლობლებთან კორესპონდენციასა და ვიზიტებზე დაწესებულ აკრძალვებზე. როგორც გაირკვა, გარე სამყაროსთან დაკავებულთა კონტაქტზე სრული დისკრეცია პოლიციის ოფიციელს და საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს აქვთ და ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულება განსაკუთრებულად მკაცრია.

რაც შეეხება დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს, CPT აღნიშნავს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ადამიანის მიმართ შეხვედრებზე შეზღუდვები შეიძლება მართლაც დაწესდეს. თუმცა, ეს შეზღუდვები მკაცრად

უნდა შემოიფარგლოს საქმის კონკრეტული საჭიროებით და გამოყენებულ უნდა იქნას მაქსიმალურად მოკლე დროის განმავლობაში. დაკავებულთან ოჯახისა და მისი მეგობრების ვიზიტთა კირძალვა დიდი ხნის განმავლობაში დაუშვებელია წებისმიერ გარემოებაში. როცა არსებობს შეთქმულების საფრთხე, უმჯობესია ამგვარ ვიზიტებზე მკაცრი ზედამხედველობის განხორციელება; იგივე მიღებობა გამოიყენება ოჯახსა და ახლო მეგობრებთან კორესპონდენციასთან დაკავშირებით.

...

CPT მოლდოვის მთავრობას მიმართავს რეკომენდაციით, ზემოთ ჩამოყალიბებული მიმოხილვების ფონზე, გადასინჯოს საკანონმდებლო რეგულაციები და არსებული პრაქტიკა ამ სფეროში.“

47. მოლდოვისი 2004 წლის 20-30 სექტემბრის ვიზიტის შესახებ ანგარიშში CPT-მ დაადგინა:

„50. CPT-ს დელეგაციამ კვლავ მოისმინა საჩივრები ადმინისტრაციული გადაცდომებისთვის მსჯავრდებული და ბრალდებული პირებისგან, ახლობლების ვიზიტებსა და გარე სამოყაროსთან კონტაქტზე უარის შესახებ.

CPT იმეორებს (იხ. პუნქტი 61, 2001 წლის ვიზიტის შესახებ), რომ როცა საქმე ეხება სასჯელის მოლოდინში მყოფ პირებს და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მათთვის შეხვედრებზე შეზღუდვების დაწესება, შეზღუდვები მკაცრად შემოფარგლული უნდა იყოს დროით და მაქსიმალურად მცირე დროის განმავლობაში უნდა გამოიყენოდეს. დაუშვებელია დაკავებულთან ოჯახის წევრების და მეგობრების ვიზიტთა გრძელი ვადით აკრძალვა, ნებისმიერ გარემოებაში. როცა არსებობს შეთქმულების საფრთხე, უმჯობესია ასეთი ვიზიტების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ წარმართვა. ....

55. მონახულებული სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან უმრავლესობაში სიტუაცია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, კვლავ რთული რჩებოდა და დელეგაციის წევრები ბევრ ისეთსავე პრობლემას გადააწყდნენ, რომლებიც გამოვლინდა ჯერ კიდევ 1998 და 2001 წლებში ვიზიტების დროს, ფიზიკური მდგომარეობისა და საპატიმრო რეჟიმის თვალსაზრისით.

ამას ემატება გადატვირთულობა, რაც კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მონახულებული დაწესებულებები სრულად არ ფუნქციონირებდნენ - როგორც, მაგალითად, №3 საპატიმრო დაწესებულება, სადაც დაკავებულთა რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე კომიტეტის წინა ვიზიტის დროს - ისინი კვლავ გადატვირთული რჩება. ერთ დაკავებულზე ოფიციალურად გათვლილი ფართი - 28<sup>2</sup> ერთ დაკავებულზე - კვლავ ვერ აქმაყოფილებდა სტანდარტს, თუმცა, რეალურად, ერთ ადამიანს ნაკლებ ფართობზე უნდევდა ცხოვრება.

73. გარე სამყაროსთან კონტაქტისთვის გამოყოფილი ადგილები ბევრად შორს იყო სტანდარტებისგან. მოუხედავად იმისა, რომ ამანთებსა და წერილებზე შეზღუდვები არ იყო დაწესებული, დაკავებულებს უფლება პქონდათ სამი თვის განმავლობაში მხოლოდ სამი საათით შეხვედროდნენ ახლობლებს, რაც პრაქტიკაში ხშირად ერთ საათამდე მცირდებოდა. ასეთი შეხვედრები მკაცრ პირობებში ხორციელდებოდა, ოთახში, სადაც პატიმარი მნახველისგან გამოყოფილი იყო

სქელი დენგამტარი გისოსებით. შეხვედრას მუდმივად აკვირდებოდა ბადრაგი.

79. ჩისინაუში №3 საპატიმრო დაწესებულებაში განმეორებითი ვიზიტისას არადა-მაცმაყოფილებელი მდგომარეობა გამოვლინდა. პროგრესი იყო მნიშვნელური, რაც შემოიფარგლებოდა მხოლოდ სარემონტო სამუშაოებით. სავენტილაციო სისტემა შე-კეთდა სამოქალაქო საზოგადოების (ძირითადად, არასამთავრობო სექტორის) ფინან-სური დახმარებით, ყოველდღიური გასერინების ადგილის შექმნა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ დაკავებულთა და მათი ოჯახის წევრების შენატანების შედეგად.

საკნების შეკეთებაზე, გარემონტებასა და დაცვაზე თვითონ ბრალდებულები და მათი ოჯახები არიან სრულად პასუხისმგებელი, რომლებიც საჭირო მასალების-თვის იხდიან. მათ თვითონ უნდა მოიტანონ თეთრეული და საბნები; დაწესებუ-ლება დაკავებულებს მხოლოდ ნახმარი მატრასებით ამარაგებს.

ჯამში, I-II ბლოკებში საკნების უმრავლესობაში და გარდამავალ საკნებში მდგო-მარეობა კვლავაც სავალალო რჩება. ...

დაბოლოს, მიუხედავად გადატვირთულობის საგრძნობლად შემცირებისა, საკნე-ბში დაკავებულთა რაოდენობა კვლავაც მაღალია, შეიძლება ითქვას, რომ მათი მდგომარეობა გაუსაძლისია.

83. არასრულნოვანთა ლიპკანის გამასწორებელი დაწესებულების გარდა, სადაც ამ მიმართულებით სერიოზული ძალისხმევა აღინიშნება, დაკავებულთა საკვების რაოდენობა და ხარისხი ყველა დაწესებულებაში ძალზე შემაშფოთებელია. დელე-გაციამ მიიღო აურაცხელი რაოდენობის საჩივარი ხორცისა და რძის პროდუქტების არარსებობის შესახებ. დელეგაციის კვლევა საკვების მარაგისა და მენუების შესახებ ამ საჩივართა სანდონისა დასატურებს. დელეგაციის კვლევით ასევე დას-ტურდება, რომ ზოგიერთ საპატიმრო დაწესებულებაში (მათ შორის, № 3 დაწესე-ბულებაში), საკვები ამაზრზენი და საჭმელად უვარგისი იყო (მაგალითად, საკვე-ბში იყო მწერები და მლრწელები). ეს გასაკვირი არაა, სამზარეულოში არსებული მდგომარეობისა და მოძველებული ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით.

მოლდოვის შესაბამისი ორგანოები პატიმართათვის სათანადო კვების უზრუნ-ველყოფაზე საუბრისას ყოველთვის ფინანსურ სირთულეებზე მიუთითებდნენ. თუმცა, კომიტეტი თვლის, რომ ეს არის სიცოცხლისთვის ფუნდამენტური მო-თხოვნა, რომელიც მის დაქვემდებარებაში მყოფი პირებისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და მას ამ ვალდებულებისგან ვერაფერი გაათავისუფლებს. ...”

### 3. ციხის ევროპული წესები

48. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ (მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, მინისტრების მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე), ასე იკითხება:

„გარე სამყაროსთან კონტაქტი

24.1 პატიმრებს უფლება უნდა ჰქონდეთ, შეძლებისდაგვარად ხშირად, კონტაქტი

დაამყარონ თავიანთ ოჯახთან, სხვა პირებსა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან წერილების, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, ასევე ვიზიტებზე მიიღონ ეს ადამიანები.

24.2 კომუნიკაცია და ვიზიტები, შესაძლოა, დაექვემდებაროს შეზღუდვებსა და მონიტორინგს, რაც გამომდინარეობს მიმდინარე სისხლისამართლის გამოძიებების საჭიროებებიდან, წესრიგის, უსაფრთხოებისა და უშიშროების, ასევე სისხლის სამართლის დანამატლის პრევენციის და დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის მოთხოვნებიდან. მაგრამ ასეთი შეზღუდვები, სასამართლოს ბრძანებით დაწესებული კონკრეტული შეზღუდვების ჩათვლით, კონტაქტის მინიმალურად არსებობას მაინც უნდა უშვებდეს.

24.3 ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ეროვნული და საერთაშორისო ორგანოები, რომელიც კომუნიკაციაც არ იზღუდება.

24.4 შეხვედრები უნდა წარმოებდეს ისეთ გარემოში, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ პატიმრებმა ოჯახის წევრებთან ურთიერთობა შეინარჩუნონ და განვითარონ.

24.5 ციხის თანამდებობის პირებმა პატიმრებს ხელი უნდა შეუწყონ, რომ მათ ადეკვატური კონტაქტი დამყარონ გარე სამყაროსთან და მათთვის საჭირო გარემოთი უნდა უზრუნველყონ.

...“

## სამართალი

### 1. საჩივრები

49. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის გამო. მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

50. იგი ასევე ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლით დაცული უფლების დარღვევის გამო, რადგან სასამართლომ უარი განაცხადა განეხილა მისი საჩივარი იძულებით კვებასთან დაკავშირებით, სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის მიზეზით. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი .. განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ.“

51. განმცხადებელმა იჩივლა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის გამო, რომელიც მას მიადგა მისი კორესპონდენციის ცენ-

ზურით და უარის თქმით მნახველებთან შეხვედრისას სასურველი პირობების უზრუნველყოფაზე. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

- „1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

52. დაბოლოს, განმცხადებელმა მოიხმო კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან მას ხელი არ მიუწვდომდა ციხის შიდა რეგულაციებზე. კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად:

- „1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრების საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მოუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამუდავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

## 2. საქმის ფარგლები

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე განაცხადზე 2005 წლის 11 ოქტომბერს ნაწილობრივ დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების არსებით ნაწილში, მან ერთად დააჯგუფა განმცხადებლის ზემოთ აღნიშნული საჩივრები და კიდევ ორი პრეტენზია, კერძოდ, 2001 წელს გადასინჯვის პროცედურის არასამართლიანობის შესახებ და სამოქალაქო სასამართლოების წინაშე პირის წარდგომის უფლების შესახებ. სასამართლომ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში ეს ორი პრეტენზია დაუშვებლად ცნო. შესაბამისად, მათი მთავრობასთან კომუნიცირება არ მომხდარა. სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების არსებითი ნაწილის მიუხედავად, ეს ორი პრეტენზია უკვე განხილულია აღნიშნული გადაწყვეტილებაში და მათი დამატებით განხილვის საჭიროება აღარ არსებობს.

## I. საჩივრების დასაშვებობა

54. განმცხადებლის მტკიცებით, №3 საპატიმრო დაწესებულებაში მისი პატიმრობის პირობები არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას უფოლებებიდა და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს (იხ. ზემოთ პუნქტი 9-12).

55. მთავრობა ამ არგუმენტს არ დაეთანხმა და საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოიყვანა (იხ. ზემოთ პუნქტი 13). მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები კონვენციის მე-3 მუხლზე გაკეთებულ საჩივართან დაკავშირებით. კერძოდ, მთავრობამ მოიხმო საქმე Drugalev შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წინააღმდეგ (მოყვანილის საქმეში, Boicenco, ციტირებულია ზემოთ, § 68).

56. სასამართლო მხარებს ახსენებს, რომ პირს არ ევალება ერთზე მეტი სამართლებრივი საშუალების გამოყენება, როცა რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს (იხ. მაგალითად, Airey v. Ireland, 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Series A № 32, გვ. 12, § 23).

57. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლწარმოებას სავარაუდო დარღვევის დაუყოვნებლივ შეწყვეტასთან დაკავშირებით, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მთავრობის მიერ მითითებული საქმე (Drugalev) არ არის საქმარისა მტკიცებულება იმის საჩვენებლად, რომ ეს საშუალება იყო ეფექტიანი (Holomiov v. Moldova, № 30649/05, § 106, 7 ნოემბერი, 2006). განმცხადებლის მიერ ეროვნულ სასამართლოებში შეტანილი საჩივარი იძულებით კვებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი კონვენციის მე-3 მუხლს ეყრდნობოდა, სასამართლოებში თითქმის 4 წლის განმავლობაში იხილებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 19-28). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამოქალაქო მოთხოვნა, დაუყოვნებლივ შეწყდეს კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა, არადროული და უშედეგო.

58. მეტიც, განმცხადებელმა მისი საპატიმრო პირობების შესახებ უშუალოდ სასჯელასრულების დეპარტამენტში და წინასწარი პატიმრობის ცენტრის ადმინისტრაციაში იჩივლა (იხ. ზემოთ პუნქტი 11). მთავრობას არ უმტკიცება, რომ ეს იყო არაეფექტიანი ლონისძიებები, რომელთა ამონურვაც განმცხადებელს არ ევალებოდა.

ასეთ გარემოებებში, განაცხადის ამ ნაწილის განხილვაზე სასამართლო უარს არ ამბობს იმის გამო, რომ არ ამოუწურულა შიდასამართლებრივი საშუალებები.

59. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-3, მე-6, მე-8 და მე-10 მუხლების თანახმად შეტანილი საჩივრები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს წარმოშობს, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ ისინი არსებით განხილვაზე უნდა გადაწყვდეს. არ დადგენილა მათი დაუშვებლად ცნობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, სასამართლო ამ საჩივრებს დასშვებად აცხადებს. მისი გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოიყენოს კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი (იხ. ზემოთ პუნქტი 4), სასამართლო დაუყოვნებლივ განიხილავს საჩივრების არსებით მხარებს.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

### A. პატიმრობის პირობები

60. განმცხადებლის მტკიცებით, №3 საპატიმრო დაწესებულებაში მისი პატიმრობის პირობები არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას უტოლდებოდა და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს (იხ. ზემოთ პუნქტი 9-12).

61. მთავრობა თვლიდა, რომ განმცხადებელი დასაშვებ პირობებში იმყოფებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 13). ნებისმიერი ტანჯვა, რომელიც მან გადაიტანა, არ აღემატებოდა პატიმრობასთან ასოცირებულ ნორმის ფარგლებს.

62. სასამართლო იხსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლში დაცულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტური ლირებულება. იგი აძსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას ან არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, მიუხედავად გარემოებისა და მსხვერპლის საქციელისა (იხ., მაგალითად, *Labita v. Italy* [GC], №26772/95, § 119, ECHR 2000-IV). სასამართლო ადგენს, რომ „წამებისა“ და „არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის“ ერთმანეთისგან განსხვავება მიზნად ისახავდა „სპეციალური სტიგმის მიკვრას განზრას ჩადენილი არაადამიანური მოპყრობისთვის, რომელიც ინვენტ ძალზე ძლიერ და სასტიკ ტანჯვას“ (*Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A № 25, § 167).

სასამართლო დამატებით მოიხმობს სხვა პრეცედენტებში დადგენილ პრინციპებს, პატიმრობის პირობებსა (იხ. *Sarban*, ციტირებულია ზემოთ, §§ 75-77, 4 ოქტომბერი, 2005) და იძულებით კვებასთან დაკავშირებით (იხ. *Nevmerzhitsky v. Ukraine*, № 54825/00, §§ 79-81, ECHR 2005 II (ამონარიდები)).

63. მოპყრობა მე-3 მუხლის ფარგლებში რომ მოხვდეს, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს. ამ მინიმალური ზღვარის შეფასება ფარდობითა; იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები და, ზოგიერთ საქმეში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. მაგალითად, *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A № 25, გვ. 65, § 162).

64. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის ისეთ პირობებში მოთავსება, რომელიც შესაბამისობაშია მის ლირსებასთან; რათა ლონისძიების აღსრულების ფორმა ან მეთოდი არ აგდებდეს მას დიდ სტრესსა ან განსაცდელში, რომელიც სცილდება პატიმრობისთვის დამახასიათებელი გარდაუვალი ტანჯვის ზღვარს. სახელმწიფომ, პატიმრობის პრატიკიული მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ პირის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ იყოს დაცული, სხვა საშუალებებთან ერთად, საჭირო სამედიცინო დახმარების მიწოდებით (იხ. *Kudla v. Poland* [GC], № 30210/96, § 94, ECHR 2000 XI). პატიმრობის პირობების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ამ პირობების კუმულატიური ეფექტი და პატიმრობის ხანგრძლივობა (იხ. *Ostrovar v. Moldova*, № 35207/03, § 80, 13 სექტემბერი, 2005).

65. წინამდებარე საქმეში მხარეები ვერ შეთანხმდნენ განმცხადებელთან ერ-

თად საკანში მოთავსებულ პირთა რაოდენობის, საკანში განმცხადებლისთვის დარჩენილი ფართობისა და იმ საქნების ნომრების შესახებ, რომლებშიც განმცხადებელი იმყოფებოდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებს არ უკამათიათ განმცხადებლის №17ა საკანში მოთავსების შესახებ (იხ. ზემოთ პუნქტები 9 და 13). განმცხადებლის თანახმად, ამ საკანს, მასთან ერთად, 10 სხვა პირი იყოფდა. მთავრობამ ეს არ უარყო, მან უბრალოდ აღნიშნა, რომ ამ საკნის ფართობი 1282 შეადგინდა. თუმცა, დეტალები არ წარმოადგინა, მათ შორის, იქ მოთავსებულ პატიმართა რაოდენობის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საკანში მოთავსებულ თითოეულ ადამიანს დაახლოებით  $18^2\text{-}19^2$  უნივერსალური ზემოვნებით განვითარება, რაც აშკარად დასაშვებ მინიმუმზე დაბალი ზღვარია.

66. სანამ მთავრობა განმცხადებლის №11 საკანში ყოფნას სადაცოს ხდიდა, სასამართლომ შენიშნა, რომ ბატონი სიორაპისთვის გაგზავნილი წერილებიდან ციხის ადმინისტრაციამ ზოგიერთი მას №11 საკანში შეუგზავნა (იხ. ზემოთ პუნქტი 33). განმცხადებელს „შიმშილობის დღიური“ ჩანიშნული აქვს მისი მე-11 საკანში გადაყვანის ფაქტი (იხ. ზემოთ პუნქტი 12). სასამართლო ადგენს, რომ არსებულ მასალებში საკმარისი მინიშნებებია განმცხადებლის №11 საკანში ყოფნის შესახებ. მთავრობას ამ საკნის ფართობისა და მასში პატიმართა დასაშვები რაოდენობის შესახებ დეტალები არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სასამართლო ვარაუდობს, რომ განმცხადებლის მოწოდებული ინფორმაცია სწორია და მისი გადაყვანისას №11 საკანში 2001 წლის 2 აგვისტოს შიმშილობის დაწყების შემდეგ, იქ მყოფთა რაოდენობა საწოლებზე მეტი იყო.

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დასკვნები შეესაბამება 2004 წელს მოლდოვისი ვიზიტის შესახებ CPT-ს ანგარიშში გამოტანილ დასკვნებს. კერძოდ, №3 საპატიმრო დაწესებულებაში პატიმრების რაოდენობის რადიკალურად შეგცირების მიუხედავად, თითოეულ დაკავებულს მაინც  $28^2\text{-}30$  ნაკლებ ფართზე უნივერსალურად საკანში ცხოვრება (იხ. ზემოთ პუნქტი 47). სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივმა ორგანოებმაც აღიარეს ამ საპატიმრო დაწესებულებაში ხანდახან დასაშვებზე მეტი რაოდენობით პატიმრის ყოფნა (იხ. ზემოთ პუნქტი 11). სასამართლო ვერ იჯერებს მთავრობის მოწოდებულ ინფორმაციას, რომ განმცხადებელზე საკანში  $58^2$  იყო გამოყოფილი იქ ყოფნის 5 წლის განმავლობაში, როცა სხვა პატიმრებს ამის ნახევარ ფართზეც კი არ უნივერსალურად ცხოვრება. იგი აღნიშნავს, რომ მთავრობის მოწოდებულ ვიდეო-ჩანაწერში ჩანს საკანში ოთხი ადამიანისთვის განკუთვნილი ადგილი, რომელშიც იმ დროისთვის განმცხადებელიც იყო მოთავსებული (იხ. ზემოთ პუნქტი 13). სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ გადატვირთულობის საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განიხილება (იხ. Kalashnikov v. Russia, № 47095/99, § 97, ECHR 2002-VI და Ostrovov v. Moldova, № 35207/03, § 84, 13 სექტემბერი, 2005), განსაკუთრებით, როცა ეს დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, როგორც ეს მოხდა განმცხადებლის შემთხვევაში. იგი №3 საპატიმრო დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში ხუთი წლის განმეორების მიყოფებოდა.

68. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტმა დაადასტურა №3 საპატიმრო დაწესებულებაში მეტენარების არსებობა 2003 წლის 29 დეკემბრით დათარილებული წერილით (იხ. ზემოთ პუნქტი 11). მთავრობას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია. მან არც განმცხადებლის 2002 წლის 17 თებერვლისა და 26 მაისის წერილებში აღნიშნულ საჩივრებს უპასუხა, რომელთა მიხედვით, განმცხადებელი იმყოფებოდა სინესტეში, საკანში არ კმაროდა საწო-

ლები და იყვნენ მღლონელები, ხოლო სამარტოო საკანში 10 დღის განმავლობაში ყოფნისას, არ უნახავს დღის შუქი და ელექტროგანათებაც დღეში 18 საათის განმავლობაში იყო გამორთული (იხ. ზემოთ პუნქტი 12). ზოგადი განცხადებები, რომ ყველა საკანს აქვს ფანჯარა და სათანადო ვენტილაციის სისტემა, საკმარისი არ არის ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ პრეტენზიათა გასაბათილებლად.

69. განმცხადებლის საჩივარი მიწოდებული საკვების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებით თანხვედრობისა ეროვნული ორგანოებისა და CPT-ს დასკვნებთან (იხ. ზემოთ პუნქტი 43 და 47). საქმეში Ostrovar v. Moldova (ციტირებულია ზემოთ, გვ. 88) სასამართლომ მსგავსი დასკვნები გამოიტანა განმცხადებელთან დაკავშირებით, რომელიც იმავე ციხეში და, ნაწილობრივ, იმავე პერიოდში იმყოფებოდა, რა დროსაც ბატონი სიორაპი. სასამართლო თვლის, რომ ვიდეო ჩანაწერები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საპატიმრო პირობების გაუმჯობესებას დღეის მდგომარეობით, მისასალმებელია, მაგრამ განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა პირობებს 2001 და მის მომდევნო წლებში.

70. ზემოაღნიშნულის ფონზე, სასამართლო საჭიროდ აღარ თვლის შეისწავლოს განმცხადებლის სხვა პრეტენზიები, რადგან ადგენს, რომ განმცხადებლის პატიმრობის პირობები იყო არაადამიანური, განსაკუთრებით, უკიდურესი გადატვირთულობის, არასანიტარული პირობების და საკვების სიმცირისა თუ უხარისხობის, ასევე ამგვარ პირობებში განმცხადებლის ხანგრძლივად მოთავსების გამო.

71. მაშასადამი, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო.

## B. იძულებით კვება

### 1. მხარეთა არგუმენტები

72. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას იძულებით აძლევდნენ საკვებს, სამედიცინო საჭიროების არარსებობის მიუხედავად. იგი ასევე ასაჩივრებდა იძულებით კვების განხორციელების ფორმას. განმცხადებლის მიხედვით, მას იძულებას სასტიკი ტკივილის მიყენებითა და ღირსების შემლახველი მოჰყობით, რომ შეეწყვიტა შიმშილობის აქცია (იხ. ზემოთ პუნქტი 14-18). მეტიც, იძულებით კვების ფორმა მას ზედმეტ ტკივილს აყენებდა და ამცირებდა, ამავე დროს, აზიანებდა მის ჯანმრთელობას. ამ პროცედურის შედეგად, განმცხადებელს ჩაუტყდა კბილი და შეეყარა მუცლის ღრუს ინფექცია.

73. მთავრობამ ეს გააპროტესტა. მის თანახმად, განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიცემა ცალსახად განაპირობა სამედიცინო საჭიროებამ, რაც დაადგინა კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა და ნებადართულია კანონით. განმცხადებლის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა 24 დღის განმავლობაში საკვების მიღებაზე უარის თქმით. ექიმები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ იგი ამ საფრთხისაგან. მთავრობის თანახმად, ჯანმრთელი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ექმნება 30 დღიანი შიმშილობის შემდეგ, თუმცა, უფრო მოწყვლადი ადამიანები, როგორიც განმცხადებელია, საფრთის წინაშე უფრო ადრე დგებიან.

74. განმცხადებლისთვის იძულებით კვების ფორმასთან, კერძოდ, ხელბორკილებისა და სხვა საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებით, მთავრობამ

აღნიშნა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ეს მკაცრად აუცილებელი იყო და სრულად შეესაბამებოდა იმ დროისათვის ძალაში მყოფ კანონმდებლობას და საერთაშორისო ორგანოზაციების ბევრ რეკომენდაციას. მეტიც, განმცხადებლის სუიციდური ქცევა და დიაგნოზი „მოზაიკური შიზოფრენია“ (იხ. ზემოთ პუნქტი 7), დამატებით ადასტურებდა ამ შეზღუდვის საჭიროებას. დაბოლოს, განმცხადებლის მუცლის ღრუს ინფექციას იძულებით კვებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

75. განმცხადებელმა სასამართლოში ციხის ფსიქიატრის ჩვენება მოიხმო, რომელმაც იგი 2001 წლის 14 აგვისტოს შემთხვევიდან (იხ. ზემოთ პუნქტი 16) მალევე გასინჯა და დაადგინა, რომ ბატონი სიორაპი ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო.

## 2. სასამართლოს შეფასება

76. სასამართლო აღნიშნავს: კომისიამ წინა პრეცედენტებში დაადგინა, რომ „ადამიანის იძულებით კვება დამამცირებელი მოპყრობის ელემენტებს შეიცავს, რაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებად ჩაითვალოს. თუმცა, ... როცა დაკავებული პირი შიმშილობს, ამან შეიძლება გარდაუვალი კონფლიქტი წარმოშვას პირის ფიზიკური მთლიანობის უფლებასა და უმაღლესი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მე-2 მუხლით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებას შორის - ეს არის კონფლიქტი, რომელიც კონვენციით არ არის დარეგულირებული“ (X v. Germany(1984) 7 EHRR 152).

77. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ლონისძიება, რომელსაც მედიცინით დადგენილი პრინციპების თვალსაზრისით, სამკურნალო დანიშნულება აქვს, პრინციპში, არაადამიანურად და ღირსების შემლახველად არ ითვლება (იხ. Jalloh v. Germany [GC], № 54810/00, § 69, ECHR 2006 ...). იგივე შეიძლება ითქვას იძულებით კვებაზეც, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული დაკავებულის სიცოცხლის გადარჩენას, თუ ის გააზრებულად უარს ამბობს საკვების მიღებაზე. თუმცა, კონვენციური ორგანოები უნდა დარწმუნდნენ ამისთვის სამედიცინო საჭიროებამი (იხ. Herczegfalvy v. Austria, 1992 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A № 244, გვ. 26, § 83). ამას გარდა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იძულებით კვების გადაწყვეტილებით დაცულია საპროცესო გარანტიები. მეტიც, შიმშილობისას განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიწოდების ფორმამ არ უნდა გადააჭარბოს კონვენციის მე-3 მუხლზე სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს (Nevmerzhitsky, ციტირებულია ზემოთ, § 94).

### (ა) განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიცემის სამედიცინო საჭიროება

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა შიმშილობა რამდენჯერმე დაიწყო, მათ შორის, 1995 წლის მეორე ნახევარშიც, როცა იგი თვეში მინიმუმ ერთხელ შიმშილობდა (იხ. ზემოთ პუნქტი 21). არავის აღუნიშნავს, რომ ამ პერიოდებში შიმშილობისას მას საკვები იძულებით მისცეს, არც ის აღნიშნულა, რომ მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იდგა. მეტიც, ის ფაქტი, რომ იგი ორჯერ (1995 წლის 24 ნოემბერსა და 4 დეკემბერს) მოათავსეს კარცერში 10-10 დღით (როცა იგი №3 საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა), კარგად ასახავს ადმინისტრაციის განწყობას, რომ შიმშილობით განმცხადებლის

სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, თან მას, სანქციის სახით, ჩვეულებრივ-ზე მკაცრ პირობებში ამყოფებდნენ ჯამში 20 დღით (იხ. პუნქტი 21).

79. 1994-1995 წლებში განმცხადებლის მიმართ გამოყენებული სანქციები ადასტურებს, რომ ციხის მაღალჩინოსნები შიმშილობას წესების დარღვევად და ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობის აქტად თვლიდნენ, რაც სერიოზულ პასუხს მოითხოვდა, მათ შორის, განმცხადებლის კარცერში მოთავსებას. ეროვნული სასამართლოები, განმცხადებლის საქმეზე მსჯელობისას, მსგავს მოსაზრებას იზიარებდნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 23) და ინსტრუქცია, რის საფუძველზეც განმცხადებელს საკვები იძულებით მისცეს, ამ მიზანს ემსახურებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 41). ამგვარი დამოკიდებულება ეხმინება განმცხადებლის პრეტენზიას, რომ მისთვის საკვების იძულებით მიწოდება მიზნად ისახავდა არა მისი სიცოცხლის დაცვას, არამედ მის დარწმუნებას, შეეწყვიტა პროტესტის ეს ფორმა.

80. სასამართლო უცნაურად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან სავალალოდ ჩათვალეს და 2001 წლის 3, 5, 6, 7 და 10 სექტემბერს საკვების იძულებით მიცემა გადაწყვიტეს, როცა იმავე დღეებში, კერძოდ, 4 და 13 სექტემბერს, ის საკმაოდ ჯანმრთელი იყო იმისთვის, რომ სასამართლო სხდომებს დასწრებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 18). სასამართლო ასევე ინიშნავს, რომ მართალია, განმცხადებელი იყო სუსტად 24 დღის განმავლობაში საკვების მიღებაზე უარის გამო და ამ პერიოდში მას შვიდჯერ მიაწოდეს საკვები იძულებით, თან მას ანუხებდა მუცლის ღრუს ინფექცია, მაგრამ მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა საიმისოდ, რომ შემდგომი 24 დღის განმავლობაში შიმშილობის გაგრძელების ნებართვა მიეცათ და იძულებით კვების აშკარა საჭიროებაც არ დაენახათ (იხ. ზემოთ პუნქტი 17).

81. სასამართლო მხედველობაში იღებს ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიცემის სამედიცინო საჭიროების დასადასტურებლად, რათა მისი სიცოცხლე გადაერჩინათ (იხ. ზემოთ პუნქტები 26 და 27). თუმცა, მასალებში, რომლებიც მთავრობამ სასამართლოს მოთხოვნით წარმოადგინა, არ იკვეთება სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების ან სხვა საგამძოებო მოქმედების ამსახველი მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც მორიგე ექიმმა გადაწყვიტა განმცხადებლის იძულებით კვება (იხ. ზემოთ პუნქტი 18). მეორე შერივ, საკვების იძულებით მიწოდების შემდეგ ჩატარდა მასშტაბური გამოკვლევა. მართლაც, იძულებით კვების დაწყება 2001 წლის 24 აგვისტოს აისახა ერთადერთ ჩანაწერში, სადაც მითითებულია, რომ პირს საკვები იძულებით მისცეს და იქვე აღნიშნულია საკვების ტიპი და რაოდენობა. იძულებით კვების პროცედურის დაწყების მიზეზები აღნერილი არ არის. მეტიც, განმცხადებლის ჯანმრთელობა, თოთოვეულ ჯერზე, „შედარებით დამაკმაყოფილებლად“ ან „დამაკმაყოფილებლად“ შეაფასა მორიგე ექიმმა (იხ. ზემოთ პუნქტი 18), რაც შეუსაბამოა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობასთან, საკვების იძულებით მიწოდებას რომ მოითხოვს.

82. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 33(1) მუხლის თანახმად (იხ. ზემოთ პუნქტი 40), ასევე იმ ინსტრუქციის მიხედვით, რის საფუძველზეც განმცხადებელი იძულებით გამოკვებეს (იხ. ზემოთ პუნქტი 41), ექიმს უნდა ჩამოეყალიბებინა იძულებით კვების შეფარდების მიზეზები. განმცხადებლის საქმეში ამგვარი მიზეზები არ აღუნიშნავთ. შესაბამისად, განმცხადებლის საქმეში არ დაუცავთ მთავარი საპროცესო გარანტია.

83. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს მტკიცებულება, იდგა თუ არა განმცხადებლის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ,

განმცხადებლისათვის საკვების იძულებით მიცემისას ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები არ მოქმედებდნენ განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელი კი თავისთვად ხვდება იმ საკითხთა შორის, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განიხილება (იხ. Nevmerzhitsky, ციტირებულია ზემოთ, § 96). მეტიც, ციხის ადმინისტრაციის შეხედულების გათვალისწინებით, რომ შიმშილობა არღვევდა ციხის წესებს (იხ. ზემოთ პუნქტები 78 და 79), სასამართლო ადგენს: არსებობს საკმარისი საფუძვლები იმის დასაშვებად, რომ განმცხადებლის იძულებით კვება მართლაც მის გადარწმუნებას ისახავდა მიზნად, რათა მას პროტესტის ეს ფორმა შეეწყვიტა.

### **(b) განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიწოდების ფორმა**

84. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იძულებით კვების პროცედურა გადამეტებულად მტკიცებული იყო, მიზნად ისახავდა მის იძულებას, შეეწყვიტა პროტესტის ეს ფორმა და ერთგვარად აფრთხილებდა სხვებს, თუ რა სასტიკი მოპყრობა მოელოდათ, თუ ისინი განმცხადებლის მაგალითს მიჰყვებოდნენ.

85. წინამდებარე საქმეში სასამართლო შეშფოთებულია იძულებით კვების ფორმით (იხ. ზემოთ პუნქტები 19-21), კერძოდ, იმით, რომ: წინააღმდეგობის მიუხედავად, განმცხადებელს ხელბორცილით ბოჭავდნენ სავალდებული წესით, აყენებდნენ სასტიკ ტკივილს, რათა ეიძულებინათ იგი, რომ პირი გაედო და ენას მეტალის სამაგრებით (მაშებით) უმაგრებდნენ პირის გარეთ. სასამართლო ასევე ითვალისწინებს ეროვნულ სასამართლოში V.B.-ს მიერ მიცემულ ჩვენებას (რომელიც მთავრობას არ გაუპროტესტებია), რომ იძულებით კვების შემდეგ განმცხადებლის ტანსაცმელზე სისხლის კვალი დაინახა (იხ. ზემოთ პუნქტი 21) და ზემოაღნიშნულს სიმართლედ აღიარებს.

86. ამას გარდა, დაირღვა ან ნაწილობრივ იქნა დაცული ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიები (იხ. ზემოთ პუნქტები 40 და 41), როგორიცაა იძულებით კვების დაწყების ან დასრულების მიზეზების ახსნა ან შეფარდებული საკვების შემადგენლობის და რაოდენობის განსაზღვრა (იხ. ზემოთ პუნქტი 18).

87. დაბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ითხოვდა, ზონდის საშუალებით იძულებით კვების ნაცვლად მისთვის საკვები ინტრაგენური გზით გადაესხათ, რისთვისაც საჭირო მასალებს მისი ოჯახის წევრები მოიტანდნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 21). როგორც ირკვევა, მას ამ მოთხოვნაზე პასუხი არ მიუღია, არც ეროვნულმა სასამართლოებმა და არც მთავრობამ ამაზე კომენტარი არ გააკეთა. შესაბამისად, იძულებით კვების ნაკლებ ინვაზიური ალტერნატივა არც კი განხილულა, მიუხედავად განმცხადებლის მოთხოვნისა.

88. ჩატეხილ კიბილს და მუცლის ღრუს ინფექციის არაფერი რომ არ ჰქონდეს საერთო განმცხადებლის იძულებით კვების პროცესთან, სასამართლო მაინც ასკვნის, რომ ამ პროცედურის განხორციელების ფორმა საჭიროზე მეტად მტკიცნეული და დამამცირებელი იყო.

### **(c) დასკვნა**

89. ზემოაღნიშნულის ფონზე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის რამდენჯერმე იძულებით გამოკვება, რისი საჭიროებაც არ მტკიცდებოდა შესა-

ბამისი სამედიცინო საფუძვლებით და მიზნად ისახავდა პირის იძულებას, შეეწყვიტა პროტესტის ეს ფორმა, თანაც ისეთი ფორმით, რომელიც განმცხადებელს ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და დამცირებას აყენებდა (რისი საჭიროებაც არ ჩანდა), შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ წამებად (იხ. Nevmerzhitsky, ციტირებულია ზემოთ, § 98).

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

### III. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი კუნძულის სავარაუდო დარღვევები

90. განმცხადებლის მტკიცებით, უზენაესი სასამართლოს უარი, განეხილა მისი საჩივარი იძულებით კვებასთან დაკავშირებით, არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას.

91. მთავრობა ამას არ დაეთანხმა. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელს უნდა გადაეხადა სასამართლო ბაჟი 45 მოლდავური ლეის ოდენობით (დაახლოებით 3 ევრო). განმცხადებელს საკმარისი სახსრები აღმოაჩნდა, რომ ადვოკატისათვის 1000 ლეი გადაეხადა, მან რამდენიმე სასამართლო პროცესი მოიგო და კომპენსაციის სახით 6 000 მოლდავურ ლეიზე მეტი მიიღო (იხ. ზემოთ პუნქტი 30). ამას გარდა, განმცხადებელს უფლება ჰქონდა, ემუშავა და ანაზღაურება მიეღო. პატიმრის ნებისმიერი თანხა ციხეში მის პირად ანგარიშზე ინახებოდა.

92. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ მან ფინანსური სახსრები მთლიანად დახარჯა წამლებში (რომლებიც ციხეში არ იყო ხელმისაწვდომი) და სამართალწარმოების ხარჯებში სხვადასხვა სასამართლო პროცესზე. მას 2005 წელს მისთვის მიკუთვნებული თანხები არ მიუღია (5 000 მოლდავური ლეი), რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრდა და უზენაეს სასამართლოში იძულებით კვებასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის მომენტისათვის აკელაცია კვლავ განიხილებოდა. ის იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი, რომელსაც დიდი დრო სჭირდებოდა სამურნალოდ და იმედიც არ ჰქონდა, რომ ციხეში სამუშაოს იპოვიდა. მას ინვალიდობის პენსია დაკავებისას შეუჩერდა და პატიმრობის 5 წლის განმავლობაში არანაირი შემოსავალი არ ჰქონია.

93. სასამართლო მოიხმობს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრეცედენტებში დადგენილ ზოგად პრინციპებს და, უფრო კონკრეტულად, სასამართლო ბაჟის გადახდის ვალდებულებას (იხ., სხვა საქმეებთან ერთად, Kreuz v. Poland, № 28249/95, საქმე 552-57, ECHR 2001 VI, და მასში მოყვანილი სხვა საქმეები).

94. სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი პროცედურა განმცხადებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ეხებოდა და, შესაბამისად, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სამოქალაქო კუთხით გამოიყენება (იხ. Kreuz, ციტირებულია ზემოთ, § 35).

95. წინამდებარე საქმეში სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა ხელისუფლების ორგანოების ქმედებით გამოწვეულ ჯანმრთელობის სავარაუდო დაზიანებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85(1) მუხლის დებულებების თანახმად (იხ. ზემოთ პუნქტი 39), განმცხადებელი ბაჟის გადასახადისგან უნდა გათავისუფლებულიყო მისი მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა ამ თანხის გადახდა. სასამართ-

ლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელი ამ საფუძველს არ დაყრდნობა, როცა ბაჟის გადასახადისგან გათავისუფლებას ითხოვდა. თუმცა, იგი ასევე ითვალისწინებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85(1) მუხლი მისი გამოყენების წინაპირობად დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალურ მოთხოვნას არ აწესებს. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის ბაჟისგან გათავისუფლების მოთხოვნა ეროვნულ სასამართლოს მისი საჩივრის ბუნებიდან გამომდინარეც უნდა განეხილა (როგორც ეს ჩისინაუს რეგიონულმა სასამართლომ გააკეთა, იხ. ზემოთ პუნქტი 22). მას უნდა გაეთვალისწინებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლი (რომელიც, თავის მხრივ, 85-ე მუხლზე მიუთითებს), რის საფუძველზეც უარი თქვა განმცხადებლის საქმის განხილვაზე და ასევე მხედველობაში უნდა მიეღო საჩივრის სერიოზული ბუნება, რომელშიც აქცენტი სავარაუდო წამებაზე კეთდებოდა.

96. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელს შეეზღუდა სასამართლოს ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

#### IV. კონვენციის მე-8 მუხლის სამარაუდო დარღვევა

##### A. კორესპონდენციის სავარაუდო ცენზურა

97. განმცხადებელმა კონვენციის მე-8 მუხლი მოიხმო და ჩიოდა მისი კორესპონდენციის სავარაუდო ცენზურის გამო.

98. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის კორესპონდენცია ცენზურას არ დაქვემდებარებია, რადგან ამგვარი ქმედება კანონს ენინააღმდეგებოდა. იმ შემთხვევაში, როცა კანონით, გამონაკლისის სახით, დასაშვები იყო ცენზურა, ეს საჭიროებდა სასამართლოსგან წინასწარი ნებართვის მოპოვებას (იხ. ზემოთ პუნქტი 45). ადმინისტრაცია ხსნიდა და კითხულობდა მხოლოდ იმ წერილებს, რომელთა ადრესატებიც იყვნენ თვითონ განმცხადებელი და ციხის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციას განმცხადებლისთვის პერსონალურად გაგზავნილი 580 წერილიდან არც ერთი არ წაუკითხავს. ამ მტკიცების დასტურად, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა შემავალი წერილების უურნალის რამდენიმე გვერდის ასლი, რომლებშიც განმცხადებლისთვის განკუთვნილი რამდენიმე წერილი მონიშნული იყო, როგორც „დალუქული“. ამას გარდა, განმცხადებელმა ორჯერ მოაწერა ხელი სპეციალურ ფორმას, რომელიც ადასტურებდა, რომ ორჯერ მან დალუქული კონვერტები მიიღო. მთავრობის არგუმენტაციით, განმცხადებლის წარმოდგენილი რამდენიმე ბეჭდიანი წერილი, შესაძლოა, ყალბი ყოფილიყო.

99. სასამართლო, პრეცედენტული სამართლის თანახმად, ვალდებულია გამოარკვიოს, მოხდა თუ არა განმცხადებლის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა; ასეთი ჩარევა იყო თუ არა „კანონით გათვალისწინებული“, მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ (იხ., სხვა საქმეებთან ერთად, *Messina v. Italy*(no. 2), № 25498/94, § 63, ECHR 2000 X; *Ostrovav v. Moldova*, ციტირებულია ზემოთ, § 97). სასამართლო თითოეულ ამ კრიტერიუმზე ცალ-ცალკე იმსჯელებს.

1. მოხდა თუ არა ჩარევა განმცხადებლის უფლებაში, პატივი სცენ მის კორე-სპონძენციას?

100. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებლისთვის 2001-2003 წლებში გაგზავნილ წერილებს სამართალდამცავი ორგანოებიდან, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებიდან და თვით ფიქიატრიული საავადმყოფოდან ან ციხის ბეჭედი ჰქონდა ან რაიმე სხვა მინაწერი (იხ. ზემოთ პუნქტი 33). იგი ასევე ითვალისწინებს, რომ ზემოთ ნახსენები ყველა წერილის ერთადერთი ადრესატი განმცხადებელი იყო. რაც შეეხება ამ წერილთა საგარაუდო ფალსიფიკაციას, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მთავრობამ ვერ დააკონკრეტა, რომელ წე-რილებს თვლიდა ყალბად და ვერ წარმოადგინა ამ არგუმენტის გასამყარებელი რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად, სასამართლოს საფუძველი არ აქვს, ეჭვი შეიტანოს ამ წერილების ავთენტურობაში.

101. სასამართლოს აზრით, მთავრობის არგუმენტაციის მიუხედავად, საქმეში აშკარა მტკიცებულებები იკვეთება, რომ ციხის ადმინისტრაციამ განმცხადე-ბლის მინიმუმ რამდენიმე წერილი მაინც გახსნა. შესაბამისად, ჩაერიცხნ გან-მცხადებლის უფლებით - პატივი სცენ მის კორესპონდენციას - სარგებლობაში.

2. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“?

102. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ გამოთქმა „კანონის შესაბამისად“ საჭი-როებს არა მხოლოდ ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, არამედ უკავშირდება ამ კანონის ხარისხსაც (*Halford v. the United Kingdom*, 1997 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1997-III, გვ. 1017, § 49). ადგილობრივ კანონში გონივრული სიცხადით უნდა იყოს მითითებული საჯარო ორგანოებისთვის მინიჭებული შესაბამისი დისკრეციის გამოყენების ფარგლები და ფორმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდთა მინიმალური ხარისხით დაცვა, რისი უფლებაც მათ დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის თანახმად გააჩნიათ (*Domenichini v. Italy*, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1996-V, გვ. 1800, § 33).

103. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს ხელი არ მიუწვდებოდა ციხის წესებზე, რომელიც, *inter alia*, 2003 წლის დეკემბრამდე განმცხადებლის კო-რესპონდენციის წარმოების ფორმას არეგულირებდა (იხ. ზემოთ პუნქტი 17). იმის მიუხედავად, რომ როგორც ძველი, ასევე ახალი კანონმდებლობა გარკვეულ პი-რობებში, დაკავებულთა მიმოწერის ნახვის საშუალებას იძლეოდა, სასამართლოს აზრით, განმცხადებლის საქმეში დაირღვა კანონით დადგენილი პროცედურა. კერ-ძოდ, მთავრობას არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ზემოთ აღნიშნული წერილების გახსნა სანქცირებული იყო სასამართლოს მხრიდან, რაც მიმოწერის გახსნის არსებითი პირობაა (იხ. ზემოთ პუნქტები 45 და 98).

104. აქედან გამომდინარე, სასამართლო სანქციის გარეშე განმცხადებლის კორესპონდენციის გახსნა ეროვნულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა და, შესაბამისად, არ იყო „კანონით გათვალისწინებული“, კონვენციის მე-8 მუხლი-დან გამომდინარე. ამ დასკვნის ფონზე, სასამართლო საჭიროდ აღარ თვლის, იმსჯელოს, იყო თუ არა შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგა-დოებისთვის“.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, განმცხადებლის კორესპონდენციაზე ცენზურის დაწესების გამო.

## **В. განმცხადებლისთვის, ოჯახის წევრებთან შეხვედრისას, სასურველი პირობების ვერ უზრუნველყოფა**

105. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისი უფლება, შეხვედროდა ახლობლებსა და მეგობარ გოგონას, მკაცრად შეიზღუდა. კერძოდ, განმცხადებელს არ ჰქონდა მათთან ფიზიკური კონტაქტის საშუალება, გარდა რამდენიმე შემთხვევისა და მათთან კომუნიკაცია მხოლოდ მინის გამყოფის ერთი მხრიდან შეეძლო. განცალკევებით შეხვედრას შეუძლებელს ხდიდა ფაქტი, რომ ის უნდა მჯდარიყო ერთმანეთის მიჯრით მდებარე ხუთი მინის კაბინიდან ერთ-ერთში.

106. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს ცოლსა და შვილთან ურთიერთობა 2002 წლიდან არ ჰქონია, მას შემდეგ, რაც მან განქორწინება და შვილზე მეურვეობა მოითხოვა. მისი ყველა მოთხოვნა, შეხვედროდა მეგობარ გოგონასა და მის შვილს, დაკმაყოფილდა, ცალკე ამისთვის გამყოფილ ოთახში და გრძელი ვადით შეხვედრების ჩათვლით, რასაც ადასტურებს ასეთი შეხვედრებისთვის 2004 წელს სხვადასხვა თარიღებში გაცემული წებართვები. ამას გარდა, „მოკლევადიანი ვიზიტებისთვის“ განკუთვნილ კაბინებში მინის გამყოფი უსაფრთხოებისთვის იყო აუცილებელი და იგი თავისუფალ კომუნიკაციას ხელს არ უშლიდა.

107. სასამართლო აღნიშნავს, რომ წებისმიერი დაკავება, რომელიც კანონიერია კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, თავისი ბუნებით გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებს პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე - პატიმართა კონტაქტზე გარე სამყაროსთან გარკვეული კონტროლი ხორციელდება და ეს, თავისთავად, კონვენციასთან შეუსაბამო არაა (იხ. Van der Ven v. the Netherlands, № 50901/99, § 68, ECHR 2003 II). თუმცა, პატიმრები „კვლავაც სარგებლობენ კონვენციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით, გარდა თავისუფლების უფლებისა“ (Hirst v. the United Kingdom (no. 2) [GC], № 74025/01, § 69, ECHR 2005 ...). მეტიც, პატიმართა უფლება, პატივი სცენ მათ ოჯახურ ცხოვრებას, არსებითი უფლებაა და ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს ოჯახთან ახლო ურთიერთობების შენარჩუნებაში ეხმარება (იხ. Messina v. Italy (№2), ციტირებულია ზემოთ, § 61)). უსაფრთხოების აუცილებელ ღონისძიებათა გათვალისწინებით, დაკავებულებს უფლება უნდა ჰქონდეთ, შეხვდნენ არა მარტი ახლობლებს, არამედ სხვა პირებსაც, ვისაც სურვილი აქვთ ისნი მონახულონ (იხ. ზემოთ პუნქტი 48). დაბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ „როგორც პირადი ცხოვრებისთვის, ასევე პატიმართა რეაბილიტაციისთვის, არსებითია გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რაც გათავისუფლებისას ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ამის მილნევა შესაძლებელია, მაგალითად, მეგობრებთან შეხვედრების საშუალებათა უზრუნველყოფით და მათთან თუ სხვებთან მიმოწერის დაშვებით“ (X. v. the United Kingdom, № 9054/80, D.R. 30 გვ. 113). აქედან გამომდინარე, განმცხადებლის შეხვედრა მეგობარ გოგონასა და მის ქალიშვილთან, ასევე საკუთარ დასთან, მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება.

108. განმცხადებლის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებათა შესაბამისობას სასამართლო ჩვეული ტესტით შეაფასებს (იხ. ზემოთ პუნქტი 99).

1. მოხდა თუ არა ჩარევა განმცხადებლის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებაში?

109. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც მის მტკიცებას დაადასტურებდა, რომ 2003 წელს ნებადართული იყო ცალკე ოთახში შეხვედრები. განმცხადებელმა კი, თავის მხრივ, ერთი მაგალითი წარმოადგინა, როგორც დასტური იმისა, რომ მას დაუსაბუთებლად ეთქვა უარი მეგობარ გოგნასა და დასთან შეხვედრაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 35).

110. მეტიც, ეროვნულ სასამართლოებში განმცხადებლის ინიციატივით დაწყებული სამართლარმოებისას, პროცესში მონაწილე არც ერთ მოხელეს არ უთქვამს, რომ განმცხადებელს ნებართვა ჰქონდა მნახველებს ცალკე ოთახში შეხვედროდა. პირიქით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი შეხვედრები ციხის წესებით არ იყო ნებადართული და მინის გამყოფის არსებობა უსაფრთხოების მიზნებისთვის იყო აუცილებელი. ეს არგუმენტი სასამართლოებმა გაიზიარეს (იხ. ზემოთ პუნქტი 36).

111. სასამართლო ასკვის, რომ მინიმუმ 2003 წელს, განმცხადებელს უარი უთხრეს დასა და მეგობარ გოგნასთან ცალკე ოთახში შეხვედრაზე. მათი შეხვედრა შედგა ერთ-ერთ მინის კაბინაში და განმცხადებელს მნახველებისგან მინის გამყოფი აცალკევებდა. შესაბამისად, ჩაერივნენ განმცხადებლის უფლებით სარგებლობაში, პრივატულ გარემოში შეხვედროდა მნახველებს.

2. იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“?

112. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მთავრობას არ მიუთითებია არც ერთ სამართლებრივ აქტზე, რის საფუძველზეც შეხვედრების კაბინაში მინის გამყოფი დაამინიჭაუეს, რომელიც დაკავებულს და მის მნახველებს ერთმანეთისაგან ყოფდა. წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსი შეიძლება ამგვარი ღონისძიების გამოყენების საფუძვლად ჩაითვალოს (იხ. ზემოთ პუნქტი 40), რომლის თანახმად: „სანქცირებულ შეხვედრებზე კოტროლს წინასწარი დაკავების ცენტრის ადმინისტრაცია ახორციელებს“. სასამართლო თვლის, რომ ამ მუხლის ფორმულირება ძალზე ზოგადია და ციხის წესებს ამ დებულებაში დამატებითი სიზუსტე არ შეაქვს, იგი უპრალოდ იმავე სიტყვებს იმეორებს.

113. არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც ზემოხსენებულ ფრაზას აზუსტებს და ადგენს, რომ წინასწარი პატიმრობის თთოვეული ცენტრის ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს ფართო დისკრეცია განსაზღვროს, თუ რა ფორმით გაკონტროლდება შეხვედრები. ციხის ადმინისტრაცია, როცა განმცხადებლის საჩივრებს არ აქმაყოფილებდა, ეყრდნობოდა №13 საპატიმრო დაწესებულების წესდების 53-ე მუხლის მე-4 პუნქტს, დოკუმენტს, რომელიც მთავრობას სასამართლოში არ წარმოუდგენია და, რომელიც ადგილობრივ სასამართლოებს არც ერთხელ უხსენებიათ. ზემოხსენებულის ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ ციხის წესები გამოქვეყნებული არ ყოფილა (იხ. ზემოთ პუნქტი 17), არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ №13 საპატიმრო დაწესებულების წესდება (იმ გაებით, რომ ეს დოკუმენტი განსხვავდება ციხის წესებისგან), ასევე არ ყოფილა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტი.

114. მართალია, ზემოხსენებული ფაქტები მანიშნებს, რომ განმცხადებლის უფლებით სარგებლობაში ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ ყოფილა, კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ სა-სამართლო თვლის, რომ ამ საკითხზე საბოლოო აზრი არ უნდა შეიქმნას, ქვემოთ ნაჩვენები დასკვნების გათვალისწინებით.

### 3. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს?

115. სასამართლო თვლის, რომ გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნებაზე დაწესებული შეზღუდვები, ფიზიკური ბარიერების (როგორიცაა მინის გა-მყოფი) დამონტაჟების ჩათვლით, შესაძლოა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან აცილების კანონიერ მიზანს ემსახურებოდეს, კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე.

### 4. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“

116. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მთავრობამ განმცხადებლის მნახველებისგან მინის გამყოფით განცალკევების საჭიროება უსაფრთხოების მიზეზებით ახსნა. ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის საჩივარი ამავე მიზეზით არ დააკმაყოფილეს.

117. სასამართლო თვლის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ სცადეს შეეფასებინათ კონკრეტულად განმცხადებლის საქმისთვის დამახასიათებელი უსაფრთხოების საკითხები. სასამართლოებმა თავი შემოიფარგლეს ზოგადი საჭიროებით, უზრუნველეყოთ დაკავებულთა და მნახველთა უსაფრთხოება. სა-სამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს ბრალი თაღლითობაში ედებოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 7). მაშინ, როცა არ არსებობდა შეთქმულების, დანაშაულის გამეორების ან მიმალვის რისკი, გონივრული იქნებოდა, ეფიქრათ, რომ განმცხადებლის მნახველებთან შეხვედრა უსაფრთხოებას არ დაემუქრებოდა. ეს დასკვნა იმითაც მყარდება, რომ განმცხადებელს ამგვარი შეხვედრების ნებართვა რამდენჯერმე მისცეს 2004 წელს (იხ. ზემოთ პუნქტი 106) და არავის უმტკიცებია, რომ განმცხადებლის პიროვნული თვისებები ან სხვა შესაბამისი გარემოებები 2003 წლის შემდეგ 2004 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა.

118. შესაძლოა, არსებობდეს საქმეები, რომლებშიც აუცილებელია შეზღუდვების დაწესება დაკავებულის გარე სამყაროსთან კონტაქტზე, თუმცა, ეს ასე არ იყო წინამდებარე საქმეში. შესაბამის ორგანოებს განმცხადებლისგან რაიმე სახის მუქარა არ უგრძებიათ და მოგვიანებით, 2004 წელს, მათ დაადასტურეს ასეთი მუქარის არარსებობა მისთვის მნახველებთან განმარტოებით შეხვედრის ნებართვის გაცემით. ის ფაქტი, რომ სასამართლოებმა დაუშვეს ამგვარი შეხვედრები (იხ. ზემოთ პუნქტი 37), ასევე დაასტურებს ამ დასკვნას. მეორე მხრივ, შეუძლებელია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ დიდი წნის განმავლობაში (მინი-მუმ ერთი წლის მანძილზე, 2003 წელს) განმცხადებელი მნახველებთან ფიზიკურ კონტაქტს ვერ ამყარებდა, მას ახლობლებთან ურთიერთობა მხოლოდ მიმოწერის გზით შეეძლო, ასევე ციხეში შეხვედრებისას (იხ. ზემოთ პუნქტი 37), რა დროსაც თავისუფალ საუბარს მინის კაბინაში არსებული ფიზიკური ბარიერები აფერხებდა (იხ. CPT-ს დასკვნები, ზემოთ პუნქტი 47, ასევე განმცხადებლის უტყუარი მტკიცებები, ერთმანეთის გვერდით მდებარე 5 კაბინაში პრივატული გარემოს

არარსებობის შესახებ (ეს ხელისუფლების ორგანოებს არ გაუპროტესტებიათ), იხ. ზემოთ პუნქტი 105). იმის ფონზე, რომ არ იყო საჭირო, ასეთი შორსმიმავალი შეზღუდვების დაწესება განმცხადებლის უფლებაზე, ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სამართლიანი ბალანსის დამყარება მოხმობილ კანონიერ მიზნებსა და მე-8 მუხლით გარანტირებულ განმცხადებლის უფლებას შორის.

119. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## V. კონვენციის მე-10 მუხლის საპარაუდო დარღვევა

120. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ მას არ გადასცა ციხის ნესები, დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებული არ ყოფილა, მაგრამ მის ბევრ უფლებას ეხებოდა.

121. მთავრობა განმცხადებელს არ დაეთანხმა. მისი მტკიცებით, მე-10 მუხლი წინამდებარე საქმეს არ შეესაბამება. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელი არ გამხდარა მისი უფლების დარღვევის მსვერპლი, რამდენადაც მას ციხის ნესების ასლი 2003 წლის დეკემბერში გაეგზავნა.

122. სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე საქმეში მან არ უნდა იმსჯელოს მე-10 მუხლის ინტერპრეტაციაზე. კერძოდ იმაზე, მოითხოვს თუ არა იგი ხელისუფლების ორგანოებისაგან განმცხადებლისთვის ინფორმაციის, მათ შორის, ციხის ნესების, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. რამდენადაც ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლის მე-3 და მე-8 მუხლებით გარანტირებული უფლებების დასაცავად, სასამართლომ ამ მუხლებთან დაკავშირებით საჩივრების განხილვისას მხედველობაში მიიღო შესაბამისი ორგანოების უარი განმცხადებლისთვის ციხის ნესების ასლის მიწოდებაზე.

შესაბამისად, სასამართლო განაცხადის ამ ნაწილის ცალკე განხილვას საჭიროდ აღარ თვლის.

## VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

123. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემყვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკავშირებით იგი დაეყრდნო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.“

### A. ზიანი

124. განმცხადებელმა მისი უფლებების დარღვევით მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის მოითხოვა 81 800 ევრო, კერძოდ, მე-3 მუხლის დარღვევისთვის - 50 000 ევრო, მე-6 მუხლის დარღვევისთვის - 24 800 ევრო და მე-8 მუხლის დარღვევისთვის - 7 000 ევრო. აღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებით იგი დაეყრდნო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

125. მთავრობა განმცხადებელს არ დაეთანხმა. მისი მტკიცებით, განმცხადე-

ბელმა კონვენციის ვერც ერთი უფლების დარღვევის დამტკიცება ვერ შეძლო და ვერც არამატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოადგინა. მთავრობამ განმცხადებლის მოხმობილ პრეცედენტებს არარელევანტური უწოდა, რადგან ეს საქმეები სხვა სიტუაციას ეხებოდა და სასამართლოს მიერ ამ პრეცედენტებში მინიჭებული თანხები განპირობებული იყო კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევით.

126. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ წინამდებარე საქმეში მან მე-3, მე-6 და მე-8 მუხლების სერიოზული დარღვევები დაადგინა, განსაკუთრებით კი - წამება. სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო განმცხადებელს 20 000 ევროს აკუთვნებს არამატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ (იხ. Nevmerzhitsky, ციტირებულია ზემოთ, § 145; Holomiov, ციტირებულია ზემოთ, § 155).

## B. ხარჯები და დანახარჯები

127. განმცხადებელმა ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 3 136 ევრო მოითხოვა, აქედან 3 000 ევრო იურიდიული წარმომადგენლისთვის. მოთხოვნის დასასაბუთებლად მან წარმოადგინა იურიდიულ წარმომადგენელთან გაფორმებული კონტრაქტი და მის საქმეზე მუშაობის საათების ჩამონათვალი, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ წარმომადგენელმა მის საქმეს 50 საათი დაუთმო, საათში 60 ევროდ.

128. მთავრობამ განმცხადებლის საქმეზე 50 საათის განმავლობაში მუშაობის საჭიროება გააპროტესტა და აღნიშნა, რომ განმცხადებელმა იურიდიული წარმომადგენელი აიყვანა მხოლოდ მთავრობისთვის განაცხადის კომუნიცირების შემდეგ. ამას გარდა, თანხის მოთხოვნილი ოდენობა ძალზე მაღალი იყო და არაფრით მტკიცდებოდა, რომ განმცხადებელმა მართლაც გადაუხადა ეს თანხა იურიდიულ წარმომადგენელს. მეტიც, განმცხადებლის ადვოკატი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო და უფასოდ უნდა ემუშავა.

129. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ხარჯები და დანახარჯები 41-ე მუხლის ქვეშ რომ მოხვდეს, უნდა დადგინდეს, რომ ეს თანხები ნამდვილად და საჭიროებისამებრ გაიხარჯა და რაოდენობაც გონივრულია (იხ., მაგალითად, Ostrovar v. Moldova, ციტირებულია ზემოთ, § 121).

130. წინამდებარე საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მინოდებული საქმეზე ნამუშევარი საათების ჩამონათვალი, ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, საქმის სირთულე და განმცხადებლის იურისტის შესრულებული საქმე, რომელიც სასამართლოში წარმოადგენდა ბატონ სიორაპს მთავრობისთვის განაცხადის კომუნიცირების შემდეგ და განმცხადებელს ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 2 000 ევრო მიაკუთვნა, ამას აკლდება 850 ევრო, რომელიც მან ევროპის საბჭოსაგან იურიდიული დახმარების სახით მიიღო და ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა (იხ. Nevmerzhitsky, ციტირებულია ზემოთ, § 149).

## C. საურავი

131. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

**სასამართლო მიზანების გამოვლინვა, სასამართლო  
ერთეული**

1. აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
  2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო;
  3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლისთვის საკვების იძულებით მიცემისა და ამ პროცედურის ფორმის გამო;
  4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით განმცხადებლის საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის გამო;
  5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, განმცხადებლის კორესპონდენციაზე ცენტრურის დაწესების გამო;
  6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი იმ პირობების გამო, რომლებშიც განმცხადებელს ციხეში მნახველებთან შეხვედრა უწევდა;
  7. ადგენს, რომ არ არსებობს მე-10 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრის ცალკე განხილვის საჭიროება;
  8. ადგენს
    - (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები მოლდოვურ ლეიში, გადახდის დღეს არსებული კურსით:
      - (i) 20 000 (ოცი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;
      - (ii) 1 150 (ათას ას ორმოცდაათი) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად;
      - (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხები;
    - (b) ზემოხსენებული სამთვაინი ვადის გასვლის შემდეგ თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უფოლდება ევრო-პული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
  9. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

# თატოს არაცი რეგისტრატორის მოადგილე

## ნიკოლას ბრაცა

## **კავერზინი უკრაინის მინამდებარებები**

---

***CASE OF KAVERZIN v. UKRAINE***



მეცნიერული სექტორი

## კავერზინი უპრაინის წინააღმდეგ

(განაცხადი №23893/03)

გადაწყვეტილება

სტრასპურგი

2012 წლის 15 მაისი

საბოლოო ვერსია

15/08/2012

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

დინ შილმანი, თავმჯდომარე,  
ელიზაბეტ ფურა,  
ბოსტიან მ. ზუპანჩიჩი,  
ანნ პაუერ-ფორდე,  
განნა იუდკივსკა,  
ანგელიკა ნუბერგერი,  
ანდრე პოტოცკი, მოსამართლეები,  
და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2012 წლის 10 აპრილს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №23893/03, რომელიც 2003 წლის 1 ივლისს უკრაინის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა უკრაინის მოქალაქეები, ბატონები ალექსანდრ ვალერის ძე კავერზინმა (შემდგომში „განმცხადებელი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. უკრაინის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) სასამართლოში წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ქალბატონი ვ. ლუტკოვსკა.

3. 2010 წლის 12 იანვარს სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა და გადაწყვიტა მთავრობასთან განაცხადის კომუნიცირება. განაცხადი ეხებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, კერძოდ, პოლიციელების მიერ განმცხადებლის წამებას, ამ ფაქტზე შეტანილ ბრალდებათა არაეფექტურიან გამოძიებას, მიწოდებული სამედიცინო დახმარების არაადეკვატურობასა და დნეპროპეტროვსკის კოლონიაში მისი პატიმრობის პირობებს.

## ზარტეპი

### 1. საქმის გარემოებები

4. განმცხადებელი დაიბადა 1973 წელს. იგი ამჟამად საპატიმრო სასჯელს იხდის ვინიციაში.

#### A. განმცხადებლის დაკავება და დაპატიმრება

5. 2001 წლის 12 იანვარს განმცხადებელი დააკავეს რამდენიმე დამამძიებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისა და ყაჩალობის ბრალდებით. დაკავებისას მასზე გამოიყენეს ძალა.

6. განმცხადებელი შემდგომ გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც, სავარაუდოდ, ანამეს დაუდგენელმა პოლიციელებმა იმ დანაშაულთა ჩადენის აღიარების მიზნით, რომლებშიც ეჭვმიტანილი იყო. განმცხადებლის თქმით, ასეთი არასათანადო მოყყორბისას, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მას სერიოზულად დაუზიანდა თვალი, რასაც შედეგად მხედველობის სრული დაკარგვა მოჰყვა.

7. იმავე დღეს, მოგვიზებით, იგი გადაიყვანეს ხარკოვის დროებითი დაკავების ცენტრში (ізоплятор ТИМЧАСОВОГО ТРИМАННЯ - "the ITT").

8. მომდევნო დღეს განმცხადებელი გადაიყვანეს ხარკოვის სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალში, სადაც იგი გასინჯეს ტრავმატოლოგმა, ქირურგმა და ნეიროქირურგმა. განმცხადებელს ჩაუტარდა თავის ქალის რენტგენოსკოპია და

სისხლისა და შარდის ანალიზები. დიაგნოზის თანახმად, მას სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა გულმკერდის, წელის მაღების, თირკმელების არეში, სახის რბილ ქსოვილსა და კეფაზე. ექიმებმა პაციენტს დაუნიშნეს უროლოგის გამოკვლევა და ნევროლოგის არაამშულატორიული ზედამხედველობა.

9. 2001 წლის 15 იანვარს ხარკოვის საოლქო პროკურორის პროკურორმა განმცხადებელი დაკითხა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის თანხლებით, განმცხადებლის პატიმრობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. პროკურორმა განმცხადებლის სახეზე, თვალთან ახლოს, ჰემატომა შენიშნა. იმავე დღეს ზემდგომი პროკურორისათვის წარდგენილი პროკურორის ანგარიშის თანახმად, განმცხადებელმა მას აუხსნა, რომ დაზიანებები მიიღო დაკავებისას, რომ დაკავების შემდეგ მას პოლიციელები არასათანადოდ არ მოპყრობიან და აღიარებითი ჩვენება საკუთარი ნებით მისცა.

10. ზემდგომი პროკურორის 2001 წლის 16 იანვრის მითითებით, პროკურორს უნდა ჩაეტარებინა მოკვლევა, რათა მიეღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად (იხ. ქვემოთ პუნქტი 45).

11. იმავე დღეს რამდენიმე პოლიციელმა წერილობითი ახსნა-განმარტება მისცა განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, განმცხადებელმა მათ დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია „შეუიარაღებელი საპრძოლო ტექნიკის გამოყენებით და მიმაღვა სცადა“. პოლიციელთა თქმით, განმცხადებლის მიმართ გამოიყენეს „ფიზიკური შეზღუდვის ღონისძიებები და შეზღუდვის სპეციალური საშუალებები, კერძოდ, ხელბორკილი“ და იგი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში.

12. 2001 წლის 19 იანვარს განმცხადებელი პოლიციელებმა სამედიცინო ექსპერტთან გადაიყვანეს. ექსპერტმა განმცხადებელი შეამოწმა და შენიშნა თვალის კაკლის ღია ჭრილობა, გულმკერდის მარცხენა არეში, ხელებსა და ფეხებზე - ჰემატომები და ნაკანერები, რომელთაგან ზოგი 3-4 დღის, ზოგიც 9-11 დღის წინანდელი იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბევრი დაზიანება, მათ შორის, განმცხადებლის თვალის კაკლის ღია ჭრილობა, მიყენებული იყო მყარი ბლაგვი საგნებით. სამედიცინო ექსპერტის ჩანახმად, შემოწმებისას განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დაზიანებათაგან ზოგიერთი მიიღო კიბეზე დაგორებისას, მხედველობა სიყმანვილეში დაუქვეითდა და არ უჩიოდა ხელისუფლების ორგანოებს. ექსპერტმა დაასკვნა, რომ დაზიანებები მსუბუქი იყო და არ გამოიწვევდა განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესებას.

13. განმცხადებელი პოლიციის საპატიმროში 2001 წლის 23 იანვრამდე იმყოფებოდა. ამ დღეს იგი გადაიყვანეს ხარკოვის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში (izoljator - SIZO). ხარკოვის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში შეყვანისას განმცხადებელი დაათვალიერა ექიმმა, რომელმაც მარცხენა მხარზე, გულმკერდზე, მკლავსა და მუხლზე რამდენიმე სისხლჩაქცევა შენიშნა. განმცხადებელს ხარკოვის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში სამედიცინო მკურნალობა არ ჩასტარება.

14. განმცხადებლის თქმით, 2001 წლის 26 იანვარს მან საჩივრით მიმართა ხარკოვის საოლქო პროკურატურის პროკურორს - რომელმაც მანამდე დაკითხა - რომ დაკავების შემდეგ იგი პოლიციელებმა ანამეს.

15. იმავე დღეს პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის საჩივრზე უარის თქმის შესახებ და განმცხადებელს აცნობა. გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი ასე იკითხება:

„ 2001 წლის 15 იანვარს ა.ვ. კავერზინი საოლქო პროკურატურაში დაიკითხა ხარკოვის წინასწარი პატიმრობის №27-ე იზოლატორში (SIZO) მოთავსების საკითხების განხილვისას. მისი ადვოკატის მონაწილეობით დაკითხვისას ა.ვ. კავერზინმა აღნიშნა, რომ დაზიანებები დაკავების დროს მიღლო, პოლიციის მისამართით არა-ნაირი პრეტენზია არ გააჩნდა, და რომ პირველი განცხადები საკუთარი ნებითა და სურვილით გააკეთა, პოლიციელთა მხრიდან ყოველგვარი ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზენოლის გარეშე.

პოლიციელები, .... რომლებიც ა.ვ. კავერზინის დაკავებაში მონაწილეობდნენ, [დაიკითხნენ]. მათი თქმით, ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ა.ვ. კავერზინმა ხმელნიცის ოლქში პოლიციელთა მიერ დაკავების მცდელობისას ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, რა დროსაც ორი პოლიციელი დაიღუპა. ამ ფაქტის გამო მათ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეს და როცა ა.ვ. კავერზინმა დაკავებისას პოლიციელთათვის წინააღმდეგობის განევა სცადა, ... გამოიყენეს ფიზიკური შეზღუდვის ლინისძიები და შეზღუდვის სპეციალური საშუალებები, კერძოდ, ხელბორივილები.

2001 წლის 19 იანვრით დათარიღებული სამედიცინო დასკვნის თანახმად, ... [ა.ვ. კავერზინის სხეულსა და სახეზე შემდეგი დაზიანებები] აღმოაჩინეს: თვალის კაკლის ღია ჭრილობა; გულმკერდის მარცხნა მხარეს ჰემატომა; მრავლობითი ნაკანრები ქვედა კიდურებზე, მიყენებული მყარი ბლაგვი საგნით; ნაკანრები და ნაფხაჭები მაჯგბზე, გამოწვეული მყარი ბლაგვი საგნებით, შესაძლოა ხელბორკილებით; მწერების მრავლობითი, გამაგრებული ნაკბენები სხეულის სხვადასხვა ნაილზე; .... ა.ვ. კავერზინს დაზიანებები შეიძლებოდა მიეღო როგორც პოლიციელთა, ასევე მის მიერ აღწერილ გარემოებებში. შესაბამისად, პოლიციელთა ქმედებებში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება.

ზემოხსენებულის თანახმად, უკრაინის [სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-სის] მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, [პროკურორმა] გადაწყვიტა:

1. ა.ვ. კავერზინის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღმოჩენაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მათ ქმედებებში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა...“

16. განმცხადებლის თქმით, მას ამ გადაწყვეტილების ასლი არ გადასცემია და არც შინაარსი უცნობებიათ მისთვის.

17. გადაწყვეტილება სასამართლოებში არ გასაჩივრებულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად.

18. 2001 წლის 25 თებერვალს განმცხადებელი გადაიყვანეს ხმელნიცკის წინასწარი გამოძიების იზოლატორში. იმავე დღეს იგი შეამონება ექიმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ განმცხადებელმა მხედველობა დაკარგა 2001 წლის იანვარში, თავის ტრავმის შედეგად, და მას სხეულზე აღენიშნებოდა ჩალურჯებები.

19. 2001 წლის 24 აპრილს განმცხადებელი შეამონება სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ განმცხადებელს გადატანილი ჰქონდა თავის ტრავმა და სრულად იყო დაპრმავებული.

20. ხმელნიცკის წინასწარი გამოძიების (SIZO) იზოლატორში ყოფნისას განმცხადებელი გასინჯეს ექიმებმა. 2001 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში და

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

2002 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ნოემბერში მას სპეციალისტმა ჩაუტარა ოფთალმოლოგიური მკურნალობა. სამედიცინო გამოკვლევისთვის იგი რამდენ-ჯერმე გადაიყვანეს სამოქალაქო საავადმყოფოებში. ექიმებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელს არ სჭირდებოდა ქირურგიული ჩარევა თვალზე და საჭირო სა-მედიცინო მკურნალობას წინასწარი გამოძიების იზოლატორშიც მიიღებდა.

21. 2002 წლის 23 სექტემბერს, საქმის განმხილველი სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, სამედიცინო კოლეგიამ დაადგინა, რომ განმცხადებელი სრულიად დაბრმავდა და, შესაბამისად, ითვლებოდა ოფიციალურად აღიარებული უმაღლესი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ. განმცხადებელს დაუდგინდა რქოვანას ნაიარევი და ლეიკომა, მარჯვენა თვალის კატარა-ქტა, გამოწვეული შეღწევადი ჭრილობით, და უვეეტი მარცხენა თვალში. ექიმებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელი საჭიროებდა ციხის გარედან დახმარებას ყოველდღიურ ყოფასთან გასამკლავებლად.

22. 2003 წლის 12 აგვისტოს განმცხადებელი დნეპროპეტროვსკის კოლონიაში გადაიყვანეს სასჯელის მოსახდელად.

23. დნეპროპეტროვსკის კოლონიაში პატიმრობისას განმცხადებელს ექიმები ოფთალმოლოგის ჩათვლით - ნახულობდნენ წელიწადში, სულ ცოტა, ერთხელ. 2004 წელს მას სპეციალიზებულ ჰოსპიტალში თვალის ოპერაცია დაუნიშნეს. მთავრობის თქმით, განმცხადებელმა არ ისარგებლა შესაძლებლობით, ჩაეტარებინა ოპერაცია, სასჯელთა აღსრულების შესახებ კოდექსის 116-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად (იხ. ქვემოთ პუნქტი 48).

24. შემდგომ ამისა, განმცხადებელს დაენიშნა ანტირელაფსური მკურნალობა სიბრძანვესთან დაკავშირებით, რაც ძირითადად გულისხმობდა მედიკამენტურ მკურნალობას. განმცხადებელმა რამდენჯერმე უარი განაცხადა ექიმის მიერ გასინჯვაზე და 2006 წლის იანვარსა და თებერვალში უარი თქვა ვინიციის კოლონიის ჰოსპიტალში გადაყვანაზე - სპეციალიზებული ოფთალმოლოგიური მკურნალობისათვის.

25. 2004 წლის თებერვალში დნეპროპეტროვსკის კოლონიის ადმინისტრაციამ განმცხადებლის დედას უფლება არ მისცა, პატიმრისთვის გადაეცა კონკრეტული მედიკამენტები, რომლებიც მას, სავარაუდოდ, სჭირდებოდა. შესაბამისი ორგანოების განმარტებით, განმცხადებელს საჭირო მედიკამენტებს მისცემდნენ, თუკი მისი ექიმები ასე გადაწყვეტდნენ. 2004 წლის მარტში შესაბამისმა ორგანოებმა განმცხადებლის დედას აცნობეს, რომ ვერ დააკმაყოფილებდნენ მის მოთხოვნას - განმცხადებლის გადაეყვანათ უმაღლესი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთხილ სპეციალურ ციხეში, რადგან ასეთი ციხე არ არსებობდა. განმცხადებელს ამ მიმართულებით დამატებითი დეტალები არ წარმოუდგენია.

26. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მიუხედავად სიბრძანვისა, მას ხელბორკილებს ადებდნენ საკისის დატოვებისას - მათ შორის, დღიური გასეირნებებისა და ოჯახთან შეხვედრების დროსაც - და რამდენიმე ზედამხედველი დაჰყვებოდა ძალლთან ერთად.

27. მან ასევე განაცხადა, რომ დნეპროპეტროვსკის კოლონიაში კანონდარღვევით ეთქვა უარი დღეში ორსაათიან გასეირნებაზე, რაც, სავარაუდოდ, ეკუთვნიდა შეზღუდული შესაძლებლობების გამო; მისი საკინი კარგად არ წიავდებოდა; და არ აძლევდნენ ტელეფონზე დარეკვის უფლებას. ამაზე განმცხადებელს დამატებითი დეტალები არ წარმოუდგენია.

28. განმცხადებლის თქმით, 2004 წლის აპრილში ციხის ადმინისტრაციამ ერთი თვით დააგვინა მისი ერთ-ერთი წერილის გაგზავნა.

29. დნეპროპეტროვსკის პენიტენციალური სამსახურის უფროსმა, 2004 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული წერილით, განმცხადებლის დედას აცნობა, რომ:

” ...

[ყოველდღიური] გასეირნებების დროს [განმცხადებელს] ზურგს უკან ხელებს ხელბორკილით უკრავდნენ, როგორც ეს ხდება ყველა სხვა უვადოდ თავისუფლებაალკეტილთა მიმართ, პენიტენციალური დაწესებულების შიდა რეგულაციების 25-ე პუნქტის თანახმად.

...

როგორც კი [ყოველდღიური] გასეირნებებისთვის განკუთვნილი ტერიტორია შიდა რეგულაციების მოთხოვნებს შესაბამისი გახდება, ... 2004 წლის 9 ნოემბრის ცვლილებებით, უვადოდ თავისუფლებაალკეტილ პირებს იქ დარჩენა ხელბორკილების გარეშე შეძლებათ.

სასჯელთა აღსრულების შესახებ კოდექსის 151-ე მუხლისა და პენიტენციალურ დაწესებულებათა შიდა რეგულაციების 23-ე სექციის თანახმად, უვადოდ თავისუფლებაალკეტილ პირებს ერთსაათიანი ყოველდღიური გასეირნების უფლება აქვთ.

ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს ... დღეში ორსაათიანი გასეირნების უფლება აქვთ.

[ბატონი კავერზინი] ტუბერკულოზით არ არის დაავადებული, იგი დაკავებულია ჩვეულებრივი რეგულაციების თანახმად და სასეირნოდ გაჰყავთ ყოველდღიურად, ერთი საათით.

ბატონი კავერზინის ყველა წერილი იგზავნება სასჯელთა აღსრულების შესახებ კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად; კორესპონდენციის გაგზავნაში მას ხელი არა-სოდეს შეშლია.

30. 2005 წლის 2 მარტით დათარიღებული წერილით, დნეპროპეტროვსკის კოლონიის მმართველმა განმცხადებლის დედას აცნობა, რომ 2005 წელს ერთ-ერთმა ძალმა, რომელიც ახლდა ციხის ზედამხედველებს, განმცხადებელს მისი გაუფრთხილებლობის გამო უკიდინა. ასევე აღინიშნა, რომ ყოველდღიური გასეირნებისას ხელბორკილები არ გამოიყენდოდა.

31. ზემოხსენებულ ორივე წერილში ითქვა, რომ პენიტენციალური ორგანოების ქმედებათა გასაჩივრება შესაძლებელი იყო პროკურორთან.

32. 2008 წლის 3 დეკემბერს განმცხადებელი გადაიყვანეს ვინიციის კოლონიაში, სადაც ამჟამადაც იხდის სასჯელს. განმცხადებელს ევროპის სასამართლოსთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ამ კოლონიაში მისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ.

**B. დამატებითი საჩივრები პოლიციელთა მიერ განმცხადებლის წამებასთან დაკავშირებით**

33. 2001 წლის მაისში განმცხადებლის დედას აცნობეს, რომ განმცხადებლის

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

საჩივარს მის წამეპასთან დაკავშირებით, უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო, თუმცა მას გადაწყვეტილების დეტალები არ გადასცემია. 2003 წლის ნოემბერში მან მოითხოვა წინააღმდებარე გადაწყვეტილების ასლი, რომელიც 2004 წლის თებერვალში გაეგზავნა.

34. შემდგომ ამისა განმცხადებლის დედამ პარლამენტის წევრს მიმართა საჩივრით, რომელშიც აცხადებდა, რომ პოლიციელებმა განმცხადებელი ანამეს და შესაბამისმა ორგანოებმა ეს საკითხი არ გამოიიქნა. პარლამენტის წევრის მოთხოვნით, მანამდე ჩატარებული მოკვლევის მასალები 2005 წელს შეისწავლა ზემდგომმა პროკურორმა, რომელმაც დაადასტურა 2001 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების სისწორე. სახელმისამართი ზემდგომმა პროკურორმა შეისწავლა 2001 წლის მოკვლევის მასალები.

35. 2005 წლის მარტში განმცხადებელმა სასჯელთა აღსრულების სახელმწიფო დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ კიევის შევჩერნიგისკას საოლქო სასამართლოში შეიტანა საჩივარი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ. საჩივარში განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მისი შესაძლებლობების შეზღუდვა პოლიციელთა უკანონო ქმედებებმა გამოიწვია, პენიტენციალურმა ორგანოებმა კი ვერ შეძლეს მისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა. ორი საფეხურის სასამართლოებმა, შესაბამისი საპროცესო მოთხოვნების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, განმცხადებლის საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადეს. განმცხადებელმა ეს უარი საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რისი შედეგიც უცნობია.

### C. განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება და მისი სასამართლო პროცესი

36. განმცხადებლის საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიება 2001 წლის ნოემბერში დასრულდა. ამის შემდგომ სისხლის სამართლის საქმე გადაეცა ხმელნიციის სააპელაციო სასამართლოს.

37. გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპებზე განმცხადებლს ეხმარებოდა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი. იგი მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების საწყის ეტაპებზე და მოგვიანებით, უცნობი მიზეზების გამო, ჩაანაცვლა სხვა ადვოკატმა. ახალი ადვოკატი განმცხადებლის უფლებებს იცავდა სამართალწარმოების დასრულებამდე.

38. სასამართლო განხილვისას განმცხადებელმა სადაცო გახდა მის წინააღმდეგ წამიყენებული ბრალდებები და განაცხადა, რომ რამდენიმე დანაშაულთან დაკავშირებით, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ედებოდა, მისი აღიარებითი ჩვენება მოპოვებული იყო პოლიციელთა მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლის შედეგად.

39. 2002 წლის 13 ნოემბერს სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნოდამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის 13 ეპიზოდში, სხეულის უმძიმეს დაზიანებათა მიყენებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობაში, ბანდიტობასა და ყაჩაღობაში. კერძოდ, განმცხადებელს დაუმტკიცდა შვიდი ადამიანის მკვლელობა, სამი პოლიციელის ჩათვლით, რომლებმაც სცადეს, მისთვის ხელი შეეშალათ დანაშაულთა ჩადენაში. იგი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიშ პირად აღიარეს და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამასთანავე, მოხდა მისი ქონების სრული კონფისკაცია.

40. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ძირითადად დაეყრდნო ოც-

დაათამდე მოწმისა და დანაშაულის მსხვერპლთა ჩვენებებს, სასამართლო პროცესზე განმცხადებლის ჩვენებასა და სასამართლო, სამედიცინო, ბალისტიკური და სხვა ექსპერტიზის რამდენიმე დასკვნას. სასამართლოს დასკვნა მკვლელობის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით ნაწილობრივ ეფუძნებოდა განმცხადებლის აღიარებით ჩვენებებს საპოლიციო პატიმრობისას.

41. იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ, დაეყრდნო რა პროკურორის 2001 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებას, განმცხადებელს უარი უთხრა საჩივარზე პოლიციელთა მიერ წამების შესახებ და დაადგინა: არ არსებობდა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღიარებითი ჩვენება მოპოვებული იყო ზეწოლის შედეგად.

42. 2002 წლის 17 დეკემბერს განმცხადებელმა გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებსა და სამართლებრივ დასკვნებს სადავოს ხდიდა. დამატებით იგი აღნიშნავდა, რომ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი ჯანმრთელობის სისუსტე. განმცხადებელი კვლავ იმეორებდა ბრალდებებს პოლიციელთა მიერ წამების შესახებ.

43. 2003 წლის 13 მაისს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა 2002 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, თუმცა, დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები განმცხადებლის ბრალეულობასთან დაკავშირებით და მისი სასჯელი ძალაში დატოვა. უზენაესმა სასამართლომ ასევე უარი თქვა განმცხადებლის ბრალდებებზე წამების შესახებ - იმავე საფუძვლით, რომელიც მოიხმო პირველი ინსტანციის სასამართლომ.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

### A. 1996 წლის უკრაინის კონსტიტუცია

44. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები ასე იყითხება:  
მუხლი 28

„ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის ღირსებას.

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, რომელიც შელახავს მის ღირსებას...“

მუხლი 121

„უკრაინის პროკურატურა ერთიანი სისტემაა, რომელიც უფლებამოსილია:

(1) სახელმწიფო ბრალმდებლად წარდგეს სასამართლოში;

(2) სასამართლოში წარმოადგენდეს მოქალაქის ან სახელმწიფოს ინტერესებს კანონით განსაზღვრულ საქმეებზე;

(3) ზედამხედველობა გაუწიოს იმ ორგანოების ქმედებათა შესაბამისობას კანონთან, რომელიც უზრუნველყოფენ აღმოჩენასა და ჩხრეკას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას;

(4) ზედამხედველობა გაუწიოს კანონის დაცვას სისხლის სამართლის საქმეებზე

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, აგრეთვე, მოქალაქეთა პირადი თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენებისას.“

### **B. 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

45. იმ დროისათვის ძალაში არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები ასე იკითხება:

მუხლი 4

სისხლის სამართლის საქმის აღძერისა და დანაშაულის გამოძიების ვალდებულება

„სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი ან მოკვლევის ორგანო ვალდებულია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ყველა საქმეზე აღძრას სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, მიღლოს კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებათა დასადგენად, გამოავლინოს დამნაშავენი და დასაჯოს ისინი.“

მუხლი 94

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლები

„სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას შემდეგი საფუძვლებით:

(1) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მოხელეების, საჯარო ორგანოთა წარმომადგენლების, საზოგადოებისა და ინდივიდების მომართვების ან კომუნიკაციის საფუძველზე;

(2) ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების, საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა კომუნიკაციის საფუძველზე, რომელებმაც დანაშაულის ჩადენის ადგილას ან დანაშაულის ჩადენისას შეიძყრეს ეჭვმიტანილი;

(3) ეჭვმიტანილის გამოცხადებისას ბრალის აღდარებით;

(4) მედიასაშუალებებით გამოქვეწული ინფორმაციის საფუძველზე;

(5) მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ დანაშაულის ნიშნების პირდაპირ გამოვლენის საფუძველზე.

[სისხლის სამართლის] საქმის აღძვრა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საკმარისი ინფორმაცია, რომ ჩადენილია დანაშაული.“

მუხლი 95

დანაშაულის შესახებ მიმართვა ან კომუნიკაცია

„დანაშაულის შესახებ მიმართვა ან კომუნიკაცია ... შესაძლებელია მოხდეს წერილობით ან ზეპირად...“

მუხლი 97

დანაშაულის შესახებ მომართვების ან კომუნიკაციების მიღების ვალდებულება და მათი შესრულის პროცედურა

„პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის ორგანო ან მოსამართლე ვალდებულია, მიღლოს მომართვები ან კომუნიკაციები [ჩადენილი] ან იმ დანაშაულების შესახებ,“

რომლებიც მზადდება, მათი იურისდიქციის მიღმა არსებული საქმეების ჩათვლით.

დანამაულის შესახებ მომართვის ან კომუნიკაციის მიღებისას პროკურორმა, გამომძიებელმა, მოკვლევის ორგანომ ან მოსამართლემ სამი დღის ვადაში უნდა მიღლოს ამ გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- (1) აღძრას სისხლის სამართლის საქმე;
- (2) უარი თქვას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე;
- (3) მომართვა ან კომუნიკაცია განსახილველად გადასცეს სხვა ორგანოს, იურის-დიქციის მიხედვით.

ამავდროულად, ყველა შესაძლო ღონისძიება უნდა გატარდეს შემდგომში დანაშაულის ჩადენის პრევენციისთვის ან შესაწყვეტად...

სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, პროკურორმა, გამომძიებელმა ან მოკვლევის ორგანომ უნდა ჩაატაროს მოკვლევა, თუ ეს აუცილებელია დანაშაულის შესახებ მომართვასა ან კომუნიკაციაში არსებული ინფორმაციის გადასამოწმებლად. [ამგვარი მოკვლევა] 10 დღის ვადაში უნდა დასრულდეს, ცალკეული მოქალაქეების ან მოხელეებისგან ახსნა-განმარტებათა მიღებით ან საჭირო დოკუმენტაციების მოპოვებით.

დანამაულის შესახებ მომართვასა ან კომუნიკაციაში არსებული ინფორმაცია შესაძლოა გადამოწმდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, გამოვლენითა და ჩხრეკით...“

მუხლი 99-1

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

„გამომძიებლის ან მოკვლევის ორგანოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის პროკურორთან. თუ ეს გადაწყვეტილება მიღებულია პროკურორის მიერ, იგი გასაჩივრდება ზემდგომ პროკურორთან. გასაჩივრება დასაშვებია დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლისათვის, გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან შვიდი დღის ვადაში.

თუ პროკურორი უარს აცხადებს გადაწყვეტილების გაუქმებაზე ... დაინტერესებულ პირს ან მის წარმომადგენელს შეუძლია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში, წინამდებარე კოდექსის 236-1 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად. ...“

მუხლი 236-1

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება

„მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილება ... სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება [შესაბამის] სასამართლოში გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა ან მისმა წარმომადგენელმა, პროკურორის მიერ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან შვიდი დღის ვადაში ...“.

მუხლი 236-2

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაზე საჩი-

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

ვრის განხილვა სასამართლოს მიერ

„სისხლის სამართლის საქმის აღმდერაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებაზე საჩივარს [შესაბამისი] სასამართლო განიხილავს ერთი მოსამართლის კოლეგიაში, საჩივრის მიღებიდან ათი დღის ვადაში.

მოსამართლემ უნდა მოიპოვოს ყველა მასალა, რომელთა საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება, შეისწავლოს ისინი და შეატყობინოს პროკურორსა და აპელაცის, თუ როდისთვისაა ჩანიშნული სასამართლო განხილვა. საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლემ აპელაცი ცალკე უნდა დაკითხოს.

საჩივრის შესწავლის შემდეგ მოსამართლე .... იღებს ერთ-ერთ შემდგომ გადაწყვეტილებას, იმის მიხედვით, დაცულია თუ არა ამ კოდექსის 99-ე მუხლის მოთხოვნები:

(1) აუქმებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის აღმდერაზე უარის შესახებ და მასალებს აგზავნის დამატებითი მოკვლევისთვის ან იწყებს სისხლის სამართალწარმოებას;

(2) არ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

მოსამართლის დადგენილება შესაძლოა გასაჩივრდეს ....“

### **C. 2003 წლის კოდექსი სასჯელთა აღსრულების შესახებ**

46. კოდექსის მე-18 მუხლი გულისხმობს, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცები სასჯელს იხდიან უმაღლესი უსაფრთხოების მქონე გამასწორებელ კოლონიებში. თითო საკანში ათავსებენ ორ პატიმარს. 140-ე მუხლის თანახმად, მათ დღეში ერთსაათიანი გასეირნების უფლება აქვთ.

47. 106-ე მუხლი კრძალავს შეზღუდვის სპეციალური საშუალებების, მათ შორის, ხელბორეილების გამოყენებას პატიმართა მიმართ, რომელთაც (სხვა გამოხატულებასთან ერთად), „შეზღუდული შესაძლებლობების გარეგნული ნიშნები აქვთ“, იმ პირობით, რომ ისინი არ მიმართავენ ჯაშურ ძალადობას ან თავდასხმის საფრთხეს არ შეუქმნიან სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არ გაუნდევენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

48. 116-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პატიმრებს უფლება აქვთ, მათი ან ნათესავების სახსრებით მიიღონ სამედიცინო დახმარება, სამოქალაქო სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია იმ კოლონის სამედიცინო განყოფილებებში, სადაც პატიმარი სასჯელს იხდის, კოლონის სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობით.

### **D. 1991 წლის აქტი პროკურატურის სამსახურის შესახებ**

49. პროკურატურის სამსახურის შესახებ აქტის მე-6 სექციის თანახმად, პროკურატურის სამსახური ინტეგრირებული ცენტრალიზებული სისტემაა, რომელსაც ხელმძღვანელობს უკრაინის გენერალური პროკურორი და ეფუძნება სუბორდინაციის იერარქიულ პრინციპებს.

### **E. 1992 წლის აქტი აღმოჩენისა და ჩხრეკის შესახებ**

50. აღმოჩენისა და ჩხრეკის შესახებ აქტი სამართლებრივ საფუძველს უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებისთვის, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია პოლიციის, საიდუმლო სამსახურებისა და სხვა რამდენიმე სამართალდამცველი ორგანიზაციის, რათა შეგროვდეს და დამახსოვრდეს ინფორმაცია უკანონო ქმედებათა შესახებ. ამ ღონისძიებებში მოიაზრება ცალკეულ ინდივიდთა დაკითხვა - მათი თანხმობის შემთხვევაში - დანაშაულთა შესახებ მონაცემების საიდუმლოდ შეგროვება, დაშიფრული აგენტების გამოყენება, კერძო თვალთვალი და სხვა. სამართალდამცველ ორგანოებს, რომელთაც აღმოჩენისა და ჩხრეკის უფლებამოსილება აქვთ, მოეთხოვებათ, მისდომ პროკურორის ინსტრუქციებს.

### **F. 2003 წლის 25 დეკემბერს სასჯელთა აღსრულების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული (ბრძანება №275) პენიტენციალურ დაწესებულებათა შიდა რეგულაციები**

51. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების პატიმრობასთან დაკავშირებული წესები მათ სპეციალურ შეზღუდვებს უწესებს პატიმრობის პირობების, აქტივობებისა და ადამიანებთან კონტაქტის შესახებ. შეზღუდვები მოიცავს შემდეგს: მუდმივი განცალკევება ციხის სხვა ბინადართაგან, ვიზიტების შეზღუდული რაოდენობა, სხვა პატიმრებთან კომუნიკაციის აკრძალვა, საკიდან სამი ზედამხედველისა და დაცვის ძალის ესკორტირებით, ზურგსუკან ხელბორკილდადებული გამოყვანა (23-25 რეგულაციები). 2004 წლის 9 ნოემბერს მე-8 რეგულაციაში შევიდა ცვლილება და დაემატა მოთხოვნა, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმართა ბლოკის სასეირნო ტერიტორიაზე კარები აღიჭურვოს სპეციალური ფანჯრებით, რომელებითაც შესაძლებელი იქნება ხელბორკილების დადება და მოხსნა პატიმრებისათვის.

52. 94-ე რეგულაციის მიხედვით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები სამედიცინო დახმარებას, როგორც წესი, იღებენ თავიანთ საკნებში, სულ ცოტა, სამი ზედამხედველის თანდასწრებით. გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებისას ასეთი პატიმრები უნდა გადაიყვანონ სასჯელთა აღსრულების სახელმწიფო დეპარტამენტის სამედიცინო დაწესებულებასა ან ჩვეულებრივ სამედიცინო ცენტრში.

53. რეგულაციებზე დანართი №9 ადგენს, რომ პენიტენციალურ დაწესებულებებში დაკავებულ პირებს უფლება არ აქვთ, იქონიონ მედიკამენტები ან სამედიცინო ხელსაწყოები.

### **G. 2004 წლის 22 ოქტომბერს სასჯელთა აღსრულების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული (ბრძანება №205) ინსტრუქცია პენიტენციალურ დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა ზედამხედველობის შესახებ**

54. ინსტრუქცია კლასიფიცირებული (არასაჯარო) დოკუმენტია. მთავრობის მიერ მოწოდებული ამონარიდი (პუნქტი 30.9) გულისხმობს:

„როცა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები საკიდან გამოჰყავთ, უმ-

ცროსი ზედამხედველი აღებს კორიდორის მხრიდან პირველ კარს და უპრძანებს პატიმრებს, მივიდნენ კართან და უკან მიბრუნდნენ ისე, რომ უცურებდნენ მოპირდაპირე კედელს, ხელები კი ზურგსუკან დაიწყონ. ამის შემდეგ ზედამხედველი პატიმრებს ხელბორკილებს ადებს. დაადებს რა ყველა პატიმარს ხელბორკილს და დარწმუნდება რა, რომ ყველა მათგანმა დაიხია უკან, მოპირდაპირე კედლი-საკენ, ზედამხედველი აღებს შიდა კარს. მას შემდეგ, რაც პატიმრებს საკენები-დან გამოიყვანენ, მათ ნანილობრივ ჩხრეკენ, საჭიროებისას კი - აღმოჩენისა და კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. ზემოხსენებული პატიმრები საკიდან უნდა გამოიყვანონ სათითაოდ და მათი ესკორტირება ხდება ორი ოფიცრისა და ერთი უმცროსი ზედამხედველის მიერ, რომელსაც თან ახლავს ძალლი.

უვალოდ თავისუფლებაადკვეთილი პატიმრის ესკორტირებისას უმცროსი ზედა-მხედველი წინ მიდის და მარშრუტს აკვირდება. პატიმარი მას უნდა გაჰყვეს 2-3 მეტრის დაშორებით. დაანარჩენი ზედამხედველები პატიმარს უკან ერთი მეტრის დაშორებით მიჰყვებიან. უვალოდ თავისუფლებაადკვეთილი პატიმარი გადაადგილდება ციხის მმართველის ან მისი მოადგილის მორიგე ასისტენტის პირადი კონტროლით, რომელიც ყველა შემთხვევაში ახლავს ესკორტს.“

### III. შესაბამისი ეროვნული პრაქტიკა

#### A. ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისირის (ომბუდსმენის) ანგარიში უკრაინაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

55. ომბუდსმენმა 2000-2001 წლების ანგარიშში წინასწარი გამოძიების ეტაპზე არასათანადო მოპყრობის პროცესში სისტემური უწოდა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ:

„პოლიციის მიერ დაკავებულ ადამიანებს სცემენ, ამცირებენ და ანამებენ დაკავებიდან პირველი საათების განმავლობაში, მათგან აღიარებითი ჩვენებების ან სხვების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებათა მოპოვების მიზნით. პოლიციის განყოფილებებში სისხლის სამართალწარმოების წინასწარი დაკავების ეტაპზე მოქალაქეთა წამება და სასტიკი და ლირსების შემლახველი მოპყრობა ფართოდ გავრცელებული და სისტემურია. ეს ქმნის ადამიანის უფლებათა სასტიკი დარღვევებისა და უფლებამოსილების გადამეტების მტკიცებულებას.“

56. ომბუდსმენის თქმით, წამების გამოყენებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ პოლიციელებს დაევალათ, გაზარდონ გახსნილ დანაშაულთა პროცენტული რაოდენობა და, ამავე დროს, გამომძიებლებმა უნდა გაზარდონ სასამართლოსთვის გადაცემული საქმეების რიცხვიც. ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, „გამომძიებლთა კვალიფიკაციის ნაკლებობა ისეთ სიტუაციაში, როცა სასამართლოები ეჭვმიტანილთა აღიარებით ჩვენებებს ხშირად საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევენ მათი ბრალის დასადასტურებლად, სამართალდამცველ ორგანოებს მოტივაციას აძლევს, სწრაფად მოიპოვონ [ეს აღიარებითი ჩვენებები]....“.

57. ომბუდსმენი ასევე ხაზს უსვამს პოლიციელთა მიერ წამების ბრალდებებზე პროკურორების სათანადო ქმედებათა ნაკლებობას, პროკურორთა მოკვლევა ხშირად ზედაპირული და დროში ძალიან განელილია. იგი დამატებით აღნიშნავს,

რომ როდესაც ამგვარი საქმები სასამართლომდე აღწევს, ეს უკანასკნელი თავს იყავებს, წამებასა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობაში ბრალდებულ პოლიციელებს ადეკვატური საქციები შეუფარდოს. ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ 2000 წელს ამგვარ დანაშაულებში ბრალდებული 55 პოლიციელიდან მხოლოდ 22-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

58. შემდგომ წლიურ ანგარიშებში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობას-თან დაკავშირებით უკრაინაში - ომბუდსმენი იგივეს ასკვნის პოლიციელთა მიერ არასათანადო მოპყრობის პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად, 2010 წლის ანგარიშში მან აღნიშნა (ამონარიდი ანგარიშის 2.3 პუნქტიდან):

„...სამართალდამცველი ორგანოები პირებს სცემენ მათგან აღიარებითი ჩვენებების მიღების, გახსნილ დანაშაულთა პროცენტული მაჩვენებლის გაზრდის, ქრთა-მის გამოძალვის ან ამ პირთა ქონების მითვისების მიზნით.

ასეთი ინციდენტების უმრავლესობა ხდება სამართალდამცველ ორგანოთა გან-ყოფილებებში. სამწუხაროდ, წამება აღინიშნა უკრაინის ყველა რეგიონში, რაც დასტურდება ომბუდსმენის მუშაობის შედეგებით, პროცენტული მაჩვენებლის გაზრდის, ქრთა-მის გამოძალვის ან ამ პირთა ქონების მითვისების მიზნით.

...

სამწუხაროდ, სამართალდამცველ ორგანოთა მხრიდან არასათანადო მოპყრობამ ძალიან სასტიკი სახე მიიღო, რასაც შედეგად მოჰყვა დაკავებულთა სიკვდილიანობის ზრდა. 2008 წელს პოლიციელებმა ნამებით მოკლეს 4 ადამიანი, 2009 წელს - სამი, 2010 წელს კი - რვა!“

59. 2011 წლის ანგარიშში ომბუდსმენმა არასათანადო მოპყრობის პრობლემა მისი სამუშაოს ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად დასახელა. მან ხაზი გაუსვა, რომ მის ფოისში ყოველწლიურად პოლიციელთა წინააღმდეგ შეტანილი და-ახლოებით 5000 საჩივრიდან მესამედი ამ პრობლემას ეხებოდა. ომბუდსმენმა აღნიშნა, რომ საპოლიციო პატიმრობისას წამების აღმოფხვრის მიზნით, აუ-ცილებელია „ამ ორგანოში კორუფციის ლიკვიდაცია, პოლიციელთა მუშაობის შეფასების სისტემის შეცვლა, რომელიც [ამჟამად] ეფუძნება გახსნილ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს, დაკავებებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის ბოროტად გამოყენების [პრაქტიკის] დასრულება, დაკავებულთათვის ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უზრუნველყოფა, ფიზიკური ძალადობის ინ-ციდენტთა სტატისტიკისა და ოქმების წარმოება, წამების შესახებ საჩივრთა გამოძიების სათანადო მექანიზმის შექმნა და წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის [ჩამოყალიბება]“ (ანგარიშის 3.4 სექცია).

B. უკრაინელი მონიტორების ასოციაციის 2011 წლის ანგარიში სამართალ-დამცველ ორგანოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

60. ანგარიში ეფუძნება 2011 წელს უკრაინის პოლიციის მიერ ადამიანის უფლე-

ბათა დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეტალურ ანალიზს, რომელშიც მოყვანილია ოფიციალური სტატისტიკა, ნორმატიული აქტები, არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები, ინდივიდუალური საჩივრები და მასმედის გამოცემები. ანგარიშის თანახმად, მხოლოდ 2011 წელს პოლიციის არასათანადო მოპყრობას დაეჭვემდებარა 980,200 ადამიანი, რომელთაგან 35 დაიღუპა. ამ წელს პოლიციის არასათანადო მოპყრობის ფაქტზე 1,300-მდე ოფიციალური საჩივარი შევიდა შესაბამის ორგანოებში და ამათგან მხოლოდ 5% ცნეს დასაბუთებულად. პროკურორებმა პოლიციელთა წინააღმდეგ წამების ბრალდებით გახსნეს 5 სისხლის სამართლის საქმე და პოლიციელთა მიერ სხეულის დაზიანებისა და მკვლელობის ბრალდებით - 15.

ანგარიშში ასევე მოყვანილია ამონარიდი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუქცევნებელი წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 2011 წლის 24 იანვრით:

„...პოლიციელთა წინააღმდეგ საჩივრების დიდი რაოდენობა ამტკიცებს, რომ სამართალდამცველ ორგანოთა მიზანი, მეთოდები და პრაქტიკა არ შეცვლილა. რეპრესიები, მოქალაქეთა უფლებებისა, თავისუფლებებისა და ინტერესების უპატივცემულობა ძირითადად გამოიხატებოდა წამებით, არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობით, ეჭვმიტანილებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლით. ამასთანავე, პოლიციელთა უმრავლესობის დაბალი პროფესიონალიზმისა და კანონით განსაზღვრული შესაბამისი უნარ-ჩვევების [დაკავებისა და ჩხრეკის ტექნიკის გამოყენება] ნაკლებობის გამო ისინი მიმართავდნენ [საპოლიციო] მოკვლევის აკრძალულ მეთოდებს...“

### C. მთავრობის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ეროვნული გადაწყვეტილებები

61. მთავრობამ ევროპის სასამართლოს მიაწოდა ორი კერძო პირის, V.P.-სა და I.P.-ს საჩივრებზე - პოლიციის არასათანადო მოპყრობის შესახებ - გამოტანილ გადაწყვეტილებათა ასლები. ეს პირები პოლიციის დააკავა 2009 წლის 2 აპრილს და იმ დღესვე გაათავისუფლა. პოლიციამ, სავარაუდოდ, სცადა მოსარჩელეთა დაშინება - კონკრეტულ სისხლის სამართლებრივ ქმედებებზე აღიარებითი ჩვენებების მოპოვების მიზნით. როგორც დაადგინა საპოლიციო პატიმრობიდან მათი გათავისუფლებისთანავე ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ, მოსარჩელეები დაშავდნენ ან იმ დღეს, ან რამდენიმე დღით ადრე.

62. ასლებში ჩართული იყო პროკურორების ორი გადაწყვეტილება საჩივრებზე უარის თქმის შესახებ, რომლებიც შემდეგ გააუქმეს ზემდგომმა პროკურორებმა და სასამართლომ. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორთა მოკვლევა არ იყო სრული და ობიექტური, მათ კიდევ უნდა დაეკითხათ რამდენიმე ადამიანი - ერთ-ერთი მოსარჩელის ჩათვლით - და უნდა შეესწავლათ კონკრეტული სამედიცინო დოკუმენტები. პროკურორთა მესამე გადაწყვეტილებაში მოხმობილი იყო სასამართლოს მიერ მითითებული სამედიცინო დოკუმენტები და სასამართლო გადაწყვეტილებაში ნახსენებ პირთაგან ერთ-ერთის ჩვენებები. დასკვნაში აღინიშნა, რომ ბრალდებები იყო უსაფუძვლო და მოსარჩელეებმა დაზიანებები დაკავებამდე მიიღეს. უცნობია, გასაჩივრდა თუ არა ეს უკანასკნელი დასკვნა სასამართლოში.

#### IV. ევროპის საბჭოს შესაბამისი მასალები

**A. წამებისა და არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან დას-ჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშები**

63. 2004 წლის 1 დეკემბერს CPT-მ გამოაქვეყნა ანგარიში 2002 წლის 22 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე უკრაინაში ვიზიტის შესახებ. 2004 წლის ანგარიშის შესაბამის ნაწილებში ვკითხულობთ:

”...

2. წამება და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა

17. CPT-სთვის - უკრაინაში პირველი ვიზიტიდან ოთხი წლის შემდეგ - [პო-ლიციის] ოპერატორული სამსახურების თანამშრომელთა მიერ თავისუფლებააღკვე-თილ პირთა მოპყრობა კვლავ რჩება ძლიერი შესფორთების მიზეზად. CPT-ს კვლავ მიმართეს მასშტაბური ბრალდებებით - დაკავებისას, და კერძოდ კი დაკითხვი-სას, ფინიკური ძალის გამოყენებით არასათახადო მოპყრობის შესახებ.

”...

18. საჭირო არ არის, ალინეროს ფიზიკური ძალის გამოყენებით არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფორმები, რადგან ისინი ემთხვევა 2000 წლის ვიზიტის ანგარიშში, კერძოდ, მე-18 პუნქტში აღნერილ ფორმებს. ბევრ საქმეში, ნარსუ-ლის მსგავსად, სავარაუდო არასათანადო მოპყრობა სისასტიკით შეიძლებოდა ჩათვლილყოფი წამებად.

”...

20. მის ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, CPT-ს შეუძლია მხო-ლოდ იმავე დასკვნის გაკეთება, რაც 1998 და 2000 წლებში, კერძოდ, [პოლიციელ-თა მიერ] თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის არსებობს მნიშვნელოვანი რის-კი - დაექვემდებარონ ფიზიკური ძალის გამოყენებით არასათანადო მოპყრობას დაკავებისას და/ან საპატიმროში [პოლიციაში] (კერძოდ, დაკითხვისას), და დრო-დადრო, შესაძლოა, სასტიკ არასათანადო მოპყრობას/ზამებას.

2002 წლის ვიზიტმა აჩვენა, რომ CPT-ს წინა ანგარიშისეულ რეკომენდაციათა იმპლემენტაცია - რომელიც მიზნად ისახავდა, შეექმნა არასათანადო მოპყრობის პრევენციის სტრატეგია - ნელა მიმდინარეობდა ...

22. აქსიომაა, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ არასათანადო მო-პყრობის პრევენციის ყველაზე ეფექტუანი საშუალება შესაბამისი ორგანოების მიერ მათ წინაშე არსებული ყველა ასეთი საჩივრის გულმოდგრედ შესწავლა და, საჭიროებისას, შესაბამისი სანქციის დაკისრება. ამას ექნება ძალიან ძლიერი შე-მაკავებელი ეფექტი. და პირიქით, თუ შესაბამისი ორგანოები მათდამი მიმართულ საჩივრებზე ეფექტიანად არ იმოქმედებენ, ისინი, ვინც არასათანადო მოპყრობენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, მალევე ირწმუნებენ, რომ მათი ქმედებები ყო-ველთვის დაუსჯელი დარჩება.

23. ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, კვლავ უნდა აღინიშნოს: CPT-ს დელე-გაციამ მოისმინა ბრალდებები, რომ პროკურორები და მოსამართლეები ყურა-

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

დღებას არ აქცევენ საჩივრებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, მაშინაც კი, როცა შესაბამის პირს თვალსაჩინო დაზიანებები აღენიშნება.

უკრაინის გენერალური პროკურორული მიერ მონოფებული ციფრები ამის ნათელი დადასტურებაა. ირკვევა, რომ 2002 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში უკრაინის პროკურორებს არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ სამართალდამცველთა წინააღმდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (თავდასხმა და ცემა) და 127-ე (წამება) მუხლების საფუძვლით.“

64. პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და ეფექტური გამოძიების არარსებობასთან დაკავშირებით, CPT-მ იგივე დასკვნები გააკეთა უკრაინაში 2005 წლის 9-21 ოქტომბრისა (2005 წლის ანგარიშის 15-38 პუნქტები) და 2009 წლის 9-21 სექტემბრის (2009 წლის ანგარიშის 12-25 პუნქტები) ვიზიტთა ანგარიშებში. 2011 წლის 29 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე უკრაინაში ვიზიტის შესახებ 2012 წლის 12 მარტს გამოქვეყნებულ წინასწარ მიმოხილვებში CPT-მ აღნიშნა: „პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფენომენი კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული და ადამიანებისთვის, ვიდრე ისინი პოლიციის ხელში იყვნენ, დიდი რისკი არსებობდა, რომ დაქვემდებარებოდნენ არასათანადო მოპყრობას (კერძოდ, როცა ისინი სწრაფად არ აღიარებდნენ იმ სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომელთა ჩადენაშიც იყვნენ ეჭვმიტანილნი)“.

65. 2005 წლის ვიზიტისას CPT-ს დელეგაციამ ასევე მოინახულა ტემნივას №100 მამაკაცთა კოლონია, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმართა ბლოკის ჩათვლით; ასევე მოინახულა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ ქალთა ხარკოვის №54 კოლონიის დროებითი ბლოკი. CPT-მ შემდეგი დასკვნები გააკეთა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა პატიმრობის პირობების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით (2005 წლის ანგარიშის 113-ე პუნქტი):

„... მაშინ, როცა საკინდან პატიმრის გამოყვანისას ხელბორკილთა სისტემატურად დადების დაუმჯებელი პრაქტიკა გაუქმდა ქალ პატიმრებთან მიმართებით, უკრაინის შესაბამის ორგანოებს ამ პრაქტიკის გამოყენება კვლავაც არ შეუწყვეტიათ მამაკაც პატიმრებთან.

უფრო ზოგადად, № 100 კოლონიაში ამ კატეგორიის პატიმრებთან დამოკიდებულება ზედმეტად იყო ორგენტირებული უსაფრთხოებაზე, თანამშრომლები მუდმივად უსვამდნენ ხაზს ამ პატიმრებისგან „მოსალოდნელ საშიშროებას“. ამას გარდა, დელეგაციამ ციხის თანამშრომელთა ოთახში დენზე შეერთებული გალია შენიშნა, რომელშიც პატიმრებს - მათი ვერსით - სისტემატურად კეტავდნენ თანამშრომლები დაკითხვისას...“

66. CPT-მ უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა, „დაუყოვნებლივ გააუქმის მამაკაცი პატიმრებისათვის ხელბორკილთა სისტემატურად დადების პრაქტიკა მათი საკინდან გამოყვანისას“.

**B. ადამიანის უფლებათა კომისრის, პატონი თომას ჰამარბერგის ანგარიშები უკრაინაში მისი ვიზიტების შესახებ**

67. 2007 წლის 26 სექტემბერს ადამიანის უფლებათა კომისარმა გამოაქვეყნა ანგარიში 2006 წლის 10-17 დეკემბერს მისი უკრაინაში ვიზიტის შესახებ, რომელშიც *inter alia* აღნიშნულია, რომ „პრაქტიკულად ყველა მისმა პარტნიორმა,

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელების, სამართალდამცველი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩათვლით, დაადასტურა, რომ წამება ფართოდ გამოიყენებოდა „უკრაინაში“ (2007 წლის 26 სექტემბერის ანგარიშის 44-ე პუნქტი). 2011 წლის ნოემბერში, „უკრაინაში ვიზიტისას, ადამიანის უფლებათა კომისარმა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნები გააკეთა (2012 წლის 23 თებერვალს გამოქვეყნებული ანგარიშის 93-ე პუნქტი):

„პოლიციელთა არასათანადო მოპყრობა პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ განგრძობადი პრობლემაა უკრაინაში, რასაც ხაზი გაესვა ევროპის საბჭოს წამების აღმოფხვრის კომიტეტის რამდენიმე ანგარიშში. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ამ ფერომენს პოლიციელთა დაუსჯელობა ასაზრდოებს. მოსარჩელეები, რომლებიც კარგად დასაბუთებულ ბრალდებებს წარადგენენ სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებით, ხშირად სტანდარტულ პასუხს იღებენ, რომ „არ არსებობს დანაშაულის მაჩვენებელი მტკიცებულება“. თუმცა, საქმეთა უმრავლესობის შესახებ - როგორც მძიმე, ისე მსუბუქ დანაშაულებთან დაკავშირებით - ხელისუფლების ორგანოებს საერთოდ არ ეცნობებათ, რადგან მსხვერპლთ ეშინიათ პოლიციელთა შურისძიების, ან არ სჯერათ, რომ რამდე ღონისძიება გატარდება.“

**C. 2006 წლის 11 იანვარს მიღებული მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია  
Rec(2006)2 ნეგრი სახელმწიფოებისადმი - ევროპული ციხის წესების შესახებ (დანართი)**

68. მინისტრთა კომიტეტის მიერ 952-ე შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაციის დანართის შესაბამის ამონარიდებში იკითხება:

“...

შეზღუდვის საგნები

68.1 აკრძალულია ჯაჭვებისა და უთოების გამოყენება.

68.2 დაუშვებელია ხელბორკილების, შემზღუდველი პერანგებისა და სხეულის შემზღუდველი სხვა საგნების გამოყენება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

a. აუცილებლობის დროს, გადაყვანისას გაქცევის თავიდან ასაცილებლად, იმ პირობით, რომ პატიმარს ამ საგნებს მოხსნიან სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მიყვანისას, თუ ეს ორგანო სხვაგვარად არ გადაწყვეტს; ან

b. დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა საშუალებებმა არ იმუშავეს, პატიმრის თვითდაზიანებისა და სხვათა დაზიანებისაგან დასაცავად ან ქონების სერიოზული დაზიანების პრევენციის მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთ შემთხვევებში დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ პრაქტიკოს ექიმს და ანგარიშით მიმართავს ციხის ზემდგომ ხელმძღვანელობას.

68.3 შეზღუდვის საგნები გამოიყენება არაუმეტეს მეტრი საჭიროებისა.

68.4 შეზღუდვის საგნების გამოყენების წესი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი კანონმდებლობით...“

D. მინისტრთა კომიტეტის ახსნა-განმარტებები და გადაწყვეტილებები  
პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და ეფექტური გამოძიების  
არარსებობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ

69. მინისტრთა კომიტეტმა, კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რამდენიმე შეხვედრაზე იმსჯელა უკრაინის მთავრობის მიერ მიღებულ ლონისძიებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაზე. ევროპის სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები შეეხებოდა განმცხადებელთა არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას და/ან ეფექტური შიდასამართლებრივ საშუალებათა არარსებობას - რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საჩივრის შეტანა - ასევე, საპოლიციო პატიმრობისას საპროცესო გარანტიების არარსებობას.

70. მაგალითად, 2010 წლის 1-2 დეკემბერს 1100-ე შეხვედრაზე რვა ასეთი გადაწყვეტილება ჩასვეს კომიტეტის დღის წესრიგში, კერძოდ, Afanasyev v. Ukraine (№ 38722/02, 5 აპრილი, 2005), Kozinets v. Ukraine (№ 75520/01, 6 დეკემბერი, 2007), Kobets v. Ukraine (№ 16437/04, 14 თებერვალი, 2008), Ismailov v. Ukraine (№ 17323/04, 27 ნოემბერი, 2008), Spinov v. Ukraine (№ 34331/03, 27 ნოემბერი, 2008), Suptel v. Ukraine (№ 39188/04, 19 თებერვალი, 2009), Vergelskyy v. Ukraine (№ 19312/06, 12 მარტი, 2009) და Drozd v. Ukraine (№ 12174/03, 30 ივნისი, 2009).

71. შეხვედრის მასალების მიხედვით (იხ. დოკუმენტი CM/Del/OJ/DH(2010)1100), მინისტრების მოადგილეებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებებში აღწერილი მოვლენების შემდეგ უკრაინის ხელისუფლების ორგანოებმა რამდენიმე ლონისძიება გაატარეს ახალი, მსგავსი დარღვევების აღსაკვეთად. თუმცა, ამ ლონისძიებების მიუხედავად, „პოლიციელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაკავებულებზე ფიზიკური ძალის განზრას გამოყენება კვლავ რჩება ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკად უკრაინაში“. მინისტრების მოადგილეებმა დამატებით აღნიშნეს, რომ უკრაინა ამზადებდა „სამოქმედო გეგმას/სამოქმედო ანგარიშს“, რომელიც აღწერილი იქნებოდა გათვალისწინებულ ან გატარებულ ლონისძიებათა დეტალები საპოლიციო პატიმრობაში უფლებამოსილების გადამეტების აღმოსაფხვრელად. ანგარიშში ასევე იქნებოდა იმის შეფასება, თუ რამდენად პასუხობდა ასეთი ლონისძიებები ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევებს.

72. შესაბამისად, საკითხის განხილვა გადაიდო უკრაინის მთავრობის მიერ „სამოქმედო გეგმის/სამოქმედო ანგარიშს“ წარმოდგენამდე.

E. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები  
ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების აღმოფხვრის შესახებ

73. 2011 წლის 30 მარტს 1110-ე შეხვედრაზე მინისტრთა კომიტეტმა მიიღო სახელმძღვანელო პრინციპები. ეს პრინციპები ადგენენ კონკრეტულ ლონისძიებებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, რათა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებზე პასუხისმგებელმა პირებმა (კონვენციის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების დარღვევების ჩათვლით) პასუხი აგონ თავიანთი ქმედებების გამო და ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთ დაცვის ეფექტური საშუალებებით სარგებლობის უფლება ჰქონდეთ.

## V. სხვა შესაბამისი საერთაშორისო მასალები

**A. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მიმოხილვები და გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები**

74. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა უკრაინის შესახებ 2001 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ დასკვნით მიმოხილვებში წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყანაში „კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა წამება“.

75. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ოცდამეთვრამეტე სესიაზე (2007 წლის 30 აპრილი-18 მაისი) იმსჯელა მეხუთე პერიოდულ ანგარიშზე უკრაინის შესახებ. შესაბამისი ამონარიდები მისი დასკვნებიდან ასე იკითხება:

”....

9. კომიტეტი ღრმადაა შეშფოთებული დაკავებისას ეჭვმიტანილთა მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებებით, ისევე როგორც უფლებამოსილების გადამტეტების ფაქტებით დაკავებულის შეპყრობიდან მოსამართლის წინაშე ოფიციალურად წარდგენამდე, რაც დაკავებულთათვის არასაკმარის სამართლებრივ გარანტიებს ქმნის...

10. კომიტეტი შეშფოთებულია იმით, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის საჩივრებს არ იძიებენ სწრაფად, მიუკერძოებლად და ეფექტიანად, განსაკუთრებით იმ პრობლემების გამო, რომლებსაც გენერალური პროეურატურის ორმაგი ბუნება და პასუხისმგებლობები წარმოშობს - (a) დევნით და (b) საგამოძიებო მოქმედებების სათანადო ჩატარებაზე ზედამხედველობით. კომიტეტი ამ ორ პასუხისმგებლობას შორის ინტერესთა კონფლიქტს ხედავს, რაც ინვეგვს დამოუკიდებელი ზედამხედველობის ნაკლებობას საქმებზე და, ამასთანავე, გენერალური პროეურატურის მარცხს გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. მეტიც, არ არსებობს გენერალური პროეურატურის მუშაობის ამსახველი მონაცემები, როგორიცაა დანაშაულთა გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების ამსახველი სტატისტიკა. არ არსებობს არც მონაცემთა ბაზის შექმნის მექანიზმი...

11. კომიტეტი შეშფოთებულია არსებული საგამოძიებო სისტემით, რომელშიც აღიარება სისხლის სამართლებრივი დევნისათვის მთავარ მტკიცებულებად გამოიყენება, რაც პირობებს ქმნის ეჭვმიტანილთა მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის წასახალისებლად. კომიტეტი წუხილს გამოთქვამს, რომ წევრმა სახელმწიფომ კონვენციის მიერ დადგენილი პრინციპი საკმარისად არ განმარტა სამართლებრივ დებულებებში, რომელთა თანახმად, დაუშვებელია წამებით მოპოვებული ნებისმიერი განცხადების მტკიცებულებად გამოყენება სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე...“

**B. ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციისა და საერთაშორისო ამნისტიის (Amnesty International) ანგარიშებიდან ამონარიდები უკრაინის შესახებ**

76. ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციამ 2002 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ შემდეგი დასკვნები გააკე-

თა უკრაინასთან დაკავშირებით:

„.... სამართალდამცველი ორგანოების მიერ წამება და არასათანადო მოპყრობა წინა წლების გადმონაშოთა, რა დროსაც დამნაშავენი იშვიათად წარდგებიან ხოლმე სასამართლოს წინაშე. წყაროების თანახმად, პოლიციელები მუშტებითა და წილებით სცემდნენ დაკავებულებს და მათ მიმართ იყენებდნენ წამების სხვადასხვა ფორმას, გაგუდვის ჩათვლით.

პოლიციელთა მიერ უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტებზე დაწყებული გამოძიებები იყო ნელი და დაუსრულებელი. მთავრობის თანახმად, მათ ეცნობათ სამართალდამცველთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების 185 ფაქტის შესახებ, მაშინ, როცა ამგვარი დანაშაულებისთვის 200 პოლიციელი დაისაჯა 2000 წელს. 2001 წელს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტმა მიიღო 300-ზე მეტი საჩივარი სამართალდამცველი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, აქედან 50 ეხებოდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

...“

77. Amnesty International-ის 2001 წლის ანგარიშში საუბარია „სამართალდამცველთა მიერ დაკავებულების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფართოდავრცელებულ და მუდმივ ბრალდებათა შესახებ“. იგივე დასკვნებია შემდგომ ანგარიშშიც.

78. ამ საკითხთან დაკავშირებით, უახლეს გამოცემაში - „წამება და პოლიციელთა დაუსჯელობა უკრაინაში“ (Blunt Force: Torture and Police Impunity in Ukraine) (2011 წლის 12 ოქტომბერი) - Amnesty International აღნიშნავს, რომ:

“....

გარკვეული გამოთვლებით, უკრაინაში ყოველწლიურად ასიათასობით ადამიანი ხდება პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლი. დარღვევები განსხვავებულია, ვხვდებით როგორც სისხლის საპროცესო კოდექსის მცირედარღვევებს, ასევე რასობრივ დისკრიმინაციას, გამოძალვას, წამებასა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობას, აგრეთვე, საპატიმროში სიკვდილიანობას.

ამ დარღვევების წახალისება ხდება უკრაინაში პოლიციელთა დაუსჯელობით. მოსარჩევები, რომლებიც ადამიანის უფლებათა სერობზული დარღვევის ფაქტებზე კარგად დასაბუთებულ ბრალდებებს წარადგენენ, ხშირად იღებენ სტანდარტულ პასუხს, რომ „დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს“. თუმცა, საქმეთა უმრავლესობა, როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი ხასიათის, ხელისუფლების ორგანოებს საერთოდ არ ეცნობებათ, რადგან მსხვერპლთ ეშინათ შურისძიებისა პოლიციელთა მხრიდან ან არ სწამთ, რომ ამას რამე ქმედითი წაბიჯი მოჰყვება შესაბამისი ორგანოებისაგან.

...“

79. ანგარიშში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ „უკრაინის მთავრობამ პრიორიტეტული წესით უნდა მოაგენოს სამი მთავარი პრობლემა - საპატიმროების რეგულარული მონიტორინგის არარსებობა, დამოუკიდებელ გამოძიებათა არარსებობა და პოლიციელთა დაუსჯელობა.“

## სამართლი

### I. საქმის ფარგლები

80. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მოპასუხე მთავრობისათვის კომუნიცირების შემდეგ, მოსარჩელე აცხადებდა, რომ მან ვერ იშოვა დამხმარე, რომელიც სჭირდებოდა ყოველდღიურ საქმიანობაში, რადგან მის დასაქირავებლად საჭირო თანხები არ გააჩნდა. იგი იშველიებდა ეროვნული საპენსიო ფონდის უარს - მისთვის გადაეხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება - იმ საფუძვლით, რომ იგი პატიმარი იყო.

81. სასამართლოს თვალსაზრისით, განმცხადებლის წინამდებარე ბრალდებები არ ემთხვევა მის თავდაპირველ განაცხადში მოყვანილ ბრალდებებს, რომლებიც მან სასამართლოში შეიტანა დაახლოებით ექვსი წლის წინათ და მხარეებმა განმარტებები გააკეთეს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საკითხების წინამდებარე საქმის კონტექსტში განხილვა სწორი არ იქნება (იხ. Piryanik v. Ukraine, № 75788/01, § 20, 19 აპრილი 2005).

### II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

82. განმცხადებელი ჩიოდა, რომ საპოლიციო პატიმრობისას იგი პოლიციელებმა ანამეს და ამ ფაქტის შესახებ მისი ბრალდებები სათანადო არ შესწავლილა. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ პროკურორებმა კანონდარღვევით შეზღუდეს მოკვლევა მხოლოდ იმ საკითხის განხილვით, კანონიერი იყო თუ არა განმცხადებლის დაკავებისას მის მიმართ პოლიციელთა ძალის გამოყენება.

მან დამატებით განაცხადა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა იგი სათანადო სამედიცინო მკურნალობით არ უზრუნველყოვეს, რის გამოც შეეზღუდა ფიზიკური შესაძლებლობები.

განმცხადებლის თქმით, დნეპროპეტროვსკის კოლონიაში მისი პატიმრობის პირობები ღირსების შემდლახველი იყო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მუდმივად ხელბორკილები ედო საკითხად გამოსვლისას.

განმცხადებელმა მოიხმო კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად:

„არაკინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

83. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით საკითხთა რამდენიმე განსხვავებულ ჯგუფს ეხება, კერძოდ: (i) პოლიციელთა მიერ განმცხადებლის სავარაუდო წამება და ამ საკითხზე მისი საჩივრის არაეფექტური გამოძიება; (ii) განმცხადებლისთვის მიწოდებული სამედიცინო დახმარების სავარაუდო არასათანადონბა; და (iii) დნეპროპეტროვსკის კოლონიაში განმცხადებლის სავარაუდოდ დაუშვებელ პირობებში ყოფნა. სასამართლო ამ საკითხებს თანმიმდევრობით განიხილავს.

## A. პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო წამება და არაეფექტური გამოძიება

### 1. დასაშეუბობა

84. მთავრობა აცხადებდა, რომ სასამართლოს უნდა უკუეგდო განმცხადებლის საჩივარი პოლიციელთა მხრიდან წამების შესახებ, რადგან განმცხადებელს, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამოუწურავს, 2001 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია არც ზემდგომ პროკურატურაში და არც სასამართლოებში. მთავრობამ მოიხმო სასამართლოს გადაწყვეტილებები Naumenko v. Ukraine (№ 42023/98, 10 თებერვალი, 2004) და Yakovenko v. Ukraine (№ 15825/06, 25 ოქტომბერი, 2007) და განაცხადა, რომ პროკურორებთან ან სასამართლოებში გასაჩივრება განმცხადებლის სიტუაციაში დაცვის ეფექტიან საშუალებად ჩაითვლებოდა. სასამართლოს შეკითხვაზე - არასათანადო მოპყრობის საჩივრებზე ადგილობრივი ორგანოების პრაქტიკასთან დაკავშირებით - მთავრობამ პასუხად წარმოადგინა პროკურორებისა და სასამართლოების მიერ ორი მოსარჩელის შესახებ გამოტანილი რამდენიმე გადაწყვეტილების ასლი (იხ. ზემოთ პუნქტის 61-62).

85. მთავრობის თქმით, განმცხადებლის მიერ საჩივრით მიმართვა ადგილობრივი საქმის განმხილველი სასამართლოსადმი მას არ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან - ამოენტურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი საშუალება. განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა არგუმენტი, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა 2001 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების არსებითად განხილვა. მან არ მისდია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურას და, შესაბამისად, ვერ მოითხოვდა მის ეფექტურობას.

86. მთავრობის აზრით, კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის სავარაუდო განხილვა სასამართლოს მიერ ენინააღმდეგებოდა კონვენციის სისტემის სუბსიდიურ პრინციპს.

87. განმცხადებელი მთავრობას არ დაეთანხმა.

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე განმცხადებლის მიერ შიდასამართლებრივ საშუალებათა გამოყენების მოთხოვნა კონვენციით დადგენილი დაცვის მექანიზმის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ექვემდებარება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემებს (იხ. Akdivar and Others v. Turkey, 16 სექტემბერი, 1996, § 65, Reports of Judgments and Decisions 1996 IV და უფრო ახალი საქმე A, B and C v. Ireland [GC], №. 25579/05, § 142, 16 დეკემბერი, 2010). ამ თვალსაზრისით, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგილობრივ ხელისუფლებას, უპირველესად კი სასამართლოებს, საშუალებას აძლევს, აღკვეთონ ან გამოასწორონ კონვენციის სავარაუდო დარღვევა, ვიდრე ეს ბრალდებები ევროპის სასამართლოში გადაინაცვლებს. თუმცა, შიდასამართლებრივი საშუალებები, რომელთა ამონტურებაც უცალებელია, ეფექტური და იმ დროისათვის ხელმისაწვდომი გახლდათ - როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. კერძოდ, ამ საშუალებებით შესაძლებელი უნდა იყოს განმცხადებელთა საჩივრებზე ადეკვატური რეაგირება და წარმატების გონივრული პერსპექტივის ჩვენება (იხ. Scoppola v. Italy (no. 2) [GC], № 10249/03, § 71, 17 სექტემბერი, 2009).

89. ადგილობრივ დონეზე სამართლებრივი საშუალების არსებობის შემთხვევაშიც, შესაძლოა, იყოს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც განმცხადებელს ამ საშუალებით სარგებლობის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს (იხ. Maščić v. Italy [GC], № 56581/00, § 55, ECHR 2006 II). მეტიც, ეს წესი არ გამოიყენება, როცა ადმინისტრაციული პრაქტიკა კონვენციის შეუსაბამო რეპუტაციით სარგებლობს და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ნაჩვენებია ისეთი ტოლერანტული დამოკიდებულება, რაც სამართალწარმოებას უსარგებლოსა და არაეფექტურიანს ხდის (Aksøy v. Turkey, 18 დეკემბერი, 1996, § 52, Reports of Judgments and Decisions 1996-VI).

90. წინამდებარე საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა სავარაუდო მოვლენებიდან შედარებით მოკლე დროში პოლიციელთა მიერ წამების შესახებ საჩივრით მიმართა პროკურორს. პროკურორმა დაადგინა, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო დაკავებისას პოლიციელთა მიერ ძალის კანონიერი და პროპორციული გამოყენების შედეგად და უარი განაცხადა პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე. დაახლოებით ათი თვის შემდეგ განმცხადებელმა პოლიციელთა მიერ წამების შესახებ საჩივრით მიმართა საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს. სასამართლომ, რომელიც მხოლოდ პროკურორის დასკვნებს დაეყრდნო, უკუაგდო საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი.

91. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს - წაცვლად იმისა, რომ დაეცადა და საჩივრით მიემართა საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს-თვის - პროკურორის გადაწყვეტილება უნდა გაესაჩივრებინა ზემდგომ პროკურორთან ან უკრაინის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სასამართლო პროცედურებით.

92. სასამართლო ამ საშუალებათა ეფექტიანობას დეტალურად განიხილავს.

93. სასამართლოს თქმით, უკრაინის წინააღმდეგ მანამდე განხილულ საქმეში მან მიიჩნია, რომ პოლიციელთა მიერ წამების შესახებ საჩივრებზე მოკვლევისას დაშვებულ უზუსატობათა გასაჩივრება იერარქიულად ზემდგომ პროკურორთან, არსებითად, ეფექტურიანი საშუალება იყო (იხ. Naumenko, ციტირებულია ზემოთ, § 138). რამდენიმე სხვა საქმეში სასამართლო ასევე დაადგინა, რომ შესაძლებელი იყო პროკურორთა უარი - ანალოგიურ საჩივრებზე სისხლის სამართლის გამოძიებათა დაწყების შესახებ - სასამართლოებში გასაჩივრებულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, რაც, არსებითად, აკმაყოფილებდა სამართლებრივი საშუალების მოთხოვნებს, რომელთა ამონტურებაც აუცილებელია კონვენციის 35-1 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად (იხ. Yakovenko, ციტირებულია ზემოთ, §§ 70-71; Koktysh v. Ukraine, № 43707/07, § 81, 10 დეკემბერი, 2009; და Naydyon v. Ukraine, № 16474/03, § 46, 14 ოქტომბერი, 2010). სასამართლოს დასკვნები ძირითადად ეფუძნებოდა არგუმენტს, რომ წინამდებარე პროცედურით ადგილობრივი სასამართლოები უფლებამოსილი იყვნენ, შეესწავლათ ყველა შესაბამისი მტკიცებულება, შეეცვალათ პროკურორის გადაწყვეტილება და დაეწყოთ გამოძიება. შესაბამისად, განმცხადებელთა საჩივრები - არასათანადო მოპყრობასა და არაეფექტურიან გამოძიებასთან დაკავშირებით - არ განხილულა იმის გამო, რომ არ ამონტურა დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები, რადგან განმცხადებლებმა ამ საკითხებით სასამართლოებს არ მიმართეს (იხ. Yakovenko, ციტირებულია ზემოთ, § 73; Koktysh, ციტირებულია ზემოთ, § 82; და Naydyon, ციტირებულია ზემოთ).

94. თუმცა, რამდენიმე სხვა საქმეში უკრაინის წინააღმდეგ, რომლებშიც განმცხადებლებმა უარი - პოლიციელთა არასათანადო მოპყრობის ბრალდებების გამოძიებაზე - ზემდგომ პროკურორებთან და/ან სასამართლოებში გაასაჩივრეს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარმა გასაჩივრებებმა ოფიციალური მოკვლევა ეფექტიანი ვერ გახადა. კერძოდ, სასამართლოს დასკვნებიდან საქმეებში - Kozinets (ციტირებულია ზემოთ, §§ 61-65), Kobets (ციტირებულია ზემოთ, §§ 53-57), Ismailov (ციტირებულია ზემოთ, §§ 44-47), Spinov (ციტირებულია ზემოთ, §§ 56-58), Vergelskyy (ციტირებულია ზემოთ, §§ 98-103), Drozd (ციტირებულია ზემოთ, § 67), Bilyy v. Ukraine (№ 14475/03, §§ 70-71, 21 ოქტომბერი, 2010), Samardak v. Ukraine (№ 43109/05, §§ 44-48, 4 ნოემბერი, 2010), Kovalchuk v. Ukraine (№ 21958/05, §§ 66-70, 4 ნოემბერი, 2010), Sylenok and Tekhnoservis-Plus v. Ukraine (№ 20988/02, §§ 75-77, 9 დეკემბერი, 2010), Dushka v. Ukraine (№ 29175/04, §§ 56-61, 3 ოქტომბერი, 2011), Bocharov v. Ukraine (№ 21037/05, §§ 57-60, 17 მარტი, 2011), Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine (№ 42310/04, §§ 162-164, 21 ოქტომბერი, 2011), Korobov v. Ukraine (№ 39598/03, §§ 79-83, 21 ოქტომბერი, 2011), Oshurko v. Ukraine (№ 33108/05, §§ 89-91, 8 სექტემბერი, 2011), და Teslenko v. Ukraine (№ 55528/08, §§ 107-119, 20 დეკემბერი, 2011) ირკვევა: მიუხედავად იმისა, რომ პროკურორები და სასამართლოები არასათანადო მოკვლევის შესახებ საჩივართა განხილვისას ხშირად მიუთითებდნენ მოკვლევის საწყის ეტაპზე (ან მოკვლევისას) საჭირო ქმედებებზე, ამგვარი მოთითებები გულისხმიერად არ გათვალისწინებულა ან სრულიად უგულებელყოფეს. ამას, ხშირ შემთხვევაში, შედეგად მოჰყენები ასეთი საჩივრების გრძელვადიანი და განმეორებითი განხილვები პროკურორთა და სასამართლოთა მიერ, თუმცა, მნიშვნელოვანი ეფექტის გარეშე (იხ. მაგალითად, Vergelskyy, ციტირებულია ზემოთ, §§ 98-99).

95. სასამართლოსთვის წარდგენილმა ადგილობრივმა გადაწყვეტილებებმა - იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ მთავრობას დაცების შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამოუწურავს - ეს ეჭვები ვერ გაფანტა. შესაბამის საქმეებში ადგილობრივი სასამართლოს სპეციალური ინსტრუქცია - მოკვლევის დასაწყიშივე დაკითხულიყო რამდენიმე პირი - მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, გამომძიებლებმა არ დაკითხეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნახსენები ყველა ადამიანი.

96. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზოგადად, ადგილობრივ სასამართლოთა კომპეტენციაში არ შედის დამოუკიდებელი გამოძიებისთვის თვალის მიღევნება ან ფაქტების გამოკვლევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით დადგენილი პროცედურის თანახმად (იხ. ზემოთ პუნქტი 45, და Yakovenko, ციტირებულია ზემოთ, § 70).

97. ზემოხსენებულის ფონზე, და განსაკუთრებით კი ამ საკითხზე ბოლოდროინდელი მოცულობითი სასამართლო პრატიკის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ პუნქტი 94), სასამართლო ასკვინის: იერარქიულად ზემდგომ პროკურორთან და სასამართლოებში გასაჩივრების პროცედურებმა ვერ აჩვენა, რომ მათი გამოყენებით შესაძლებელი იყო ადეკვატური რეაგირება პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოყრობისა და არაეფექტური გამოძიების საჩივრებზე.

98. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში განმცხადებელს არ მოეთხოვებოდა გასაჩივრების პროცედურების გამოყენება. სასამართლომ უკავადო მთავრობის პრეტენზია ამ საკითხთან დაკავშირებით.

99. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ადგილობრივ დონეზე სა-

კმარისი ნაბიჯები გადადგა, რათა ხელისუფლების ეროვნული ორგანოებისთვის გაეცნო საჩივრები პოლიციელთა მიერ წამების შესახებ. შესაბამისად, მან ამონურა დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად (იხ. Sylenok and Tekhnoservis-Plus, ციტირებულია ზემოთ, § 76). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 2001 წლის 26 იანვარს პროკურორის მიერ განმცხადებლის საჩივრებზე უარის თქმის ფაქტი ადგილობრივ სასამართლოებს ხელს არ უმოიდა, ამ საკითხზე ემსჯელათ განმცხადებლის საქმის არსებითი განხილვისას (იხ. პუნქტები 41 და 43). ამ გარემოებებში, განმცხადებელი გონივრულად დაელოდა სასამართლო პროცესის დასრულებას და ამის შემდეგ მიმართა ევროპის სასამართლოს. შესაბამისად, მან დაიცვა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ექვსთვიანი წესი.

100. სასამართლო დამატებით ადგენს, რომ განაცხადის ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის მნიშვნელობით. განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რამე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, განაცხადი ცხადდება დასაშვებად.

## 2. საქმის არსებითი მხარეები

### a. მხარეთა არგუმენტები

101. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი პოლიციელებმა აწამეს ალიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით და ამ საკითხზე ეფექტიანი გამოძიება არ ჩატარებულა.

102. პროკურორის 2001 წლის 26 იანვრის დადგენილებაზე დაყრდნობით, მთავრობა ამბობდა, რომ განმცხადებლის ბრალდებები - თითქოს პოლიციელებმა იგი აწამეს, რათა დაშინებით მისგან ალიარებითი ჩვენება მიელოთ - დაუსაბუთებელია. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ სახელმწიფომ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულება საჩივართა გამოძიების შესახებ.

103. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის დაზიანებები, რომლებიც დაფიქსირდა 2001 წლის იანვარში სამედიცინო შემოწმების დროს, განმცხადებლის დაკავებისას პოლიციელთა მიერ კანონიერი და პროპორციული ძალის გამოყენების შედეგი იყო.

104. მთავრობის თქმით, სახელმწიფომ შეასრულა კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულება - გამოეძიებინა საჩივარი სადაც წამების შესახებ.

### b. სასამართლოს შეფასება

105. სასამართლო აფიქსირებს, რომ განმცხადებლის საჩივარი ეხება კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებით, ისე საპროცესო ასპექტებს. რაც შეეხება პირველს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები თანხმდებიან შემდეგ საკითხზე: განმცხადებელმა დაზიანებები, განსაკუთრებით კი თვალის, პოლიციასთან შეტაკებისას მიიღო. დაზიანებები - მართალია, თავდაპირველად კლასიფიცირდა როგორც მსუბუქი - საკმარისად მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო, რომ ჩათვლილიყო კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობად (შეადარე და განასხვავე საქმისგან Spinov, ციტირებულია ზემოთ, § 50, და ასევე იხ. Oshurko, ციტირებულია ზემოთ, §§ 71-72).

106. ამგვარად, განმცხადებელი ჩიოდა პოლიციელთა მხრიდან წამების

შესახებ, რა საკითხიც სათანადოდ დასვა ადგილობრივ დონეზე (იხ. ზემოთ პუნქტი 99) და გახადა *prima facie* სადაც. ამ საკითხზე სასამართლოს პრეცე-დენტული სამართლის გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებოდათ მისი ეფექტური გამოძიება (იხ. Assenov and Others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი, 1998, § 102, Reports of Judgments and Decisions 1998 VIII).

107. სასამართლო სენსიტიურია მისი ფუნქციის სუბსიდიური ბუნებისადმი და აღიარებს, რომ ფრთხილად უნდა აირიდოს პირელი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციების შესრულება, როცა საქმის გარემოებები ამის საშუალებას იძლევა (იხ. მაგალითად, McKerr v. the United Kingdom (dec.), № 28883/95, 4 აპრილი 2000). შესაბამისად, სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, ჯერ იმაზე იმსჯელოს, სათანა-დოდ გამოძიეს თუ არა განმცხადებლის საჩივარი შესაბამისმა ორგანოებმა, შემდგომ კი დაუბრუნდება საკითხს, მოხდა თუ არა სადაც არასათანადო მო-პყრობა, რა დროსაც გაითვალისწინებს შესაბამის ადგილობრივ დასკვნებს.

i. ხელისუფლების ორგანოების სავარაუდო მარცხი, გამოეძიებინათ განმცხადებლის საჩივარი პოლიციელთა მიერ წამების შესახებ

108. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნით, არასათანადო მოპყრობის შესახებ სადაც ბრალდებათა გამოძიება უნდა იყოს გულისხმიერი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ყოველთვის მთელი ძალით უნდა სცადონ ფაქტების გამორკვევა და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩერევ და დაუსაბუთებელ დასკვნებს გამოძიების დახურვის მიზნით ან მათი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად (იხ. Assenov and Others, ციტირებულია ზემოთ, §§ 103 et seq.). შესაბამისმა ორგანოებმა მათ ხელთ არსებული ყველა გონივრული საშუალება უნდა გამოიყენონ ინციდენტის შესახებ მტკიცებულე-ბათა მოსაპოვებლად, *inter alia* თვითმხილველთა ჩვენებებისა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების ჩათვლით (იხ. Tanrikulu v. Turkey [GC], № 23763/94, §§ 104 et seq. ECHR 1999 IV, და Güл v. Turkey, № 22676/93, § 89, 14 დეკემბერი, 2000).

109. გამოძიება შესაძლებელს უნდა ხდიდეს დამნაშავეთა გამოვლენასა და მათ დასჯას. სხვაგვარად, წამების და არაადმინისტრი ან ლირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მისი ფუნდამენტუ-რი მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაეფექტური იქნება და ზოგიერთ საქმეში შესაძლებელი გახდება სახელმწიფო მოხელეთა მიერ მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევა ფაქტობრივი დაუსჯელობით (Assenov and Others, ციტირებულია ზემოთ, § 102, და Labita v. Italy [GC], № 26772/95, 6 აპრი-ლი, 2000, § 131, ECHR 2000-IV).

110. რაც შეეხება წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორმა მოკვლევა ჩაატარა მას შემდეგ, რაც 2001 წლის 15 იანვარს, დაკითხვისას, განმცხადებელს დაზიანებები შენიშნა (იხ. ზემოთ პუნქტი 9-11). მოკვლევა შედარებით მოკლე დროში დასრულდა. მოკვლევისას პროკურორმა მოიპოვა შესაბამისი სამედიცინო ინფორმაცია და განმცხადებლის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა წერილობითი ახსნა-გამარტებები. ეს მტკიცებულებები, განმცხადებლის 2001 წლის 15 იანვრის ჩვენებასთან ერთად, გახდა საფუძვე-ლი პროკურორის გადაწყვეტილებისა - არ დაეწყო სისხლის სამართლებრივი ძიება პოლიციელთა მიმართ. პროკურორმა დაადგინა, რომ განმცხადებლმა და-ზიანებათა ნაწილი მიიღო დაკავებისას, ნაწილი კი მწერებმა მიაყენეს.

111. მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში, ეროვნული ორგანოები - ამ შემთხვევაში პროკურორი - უფლებამოსილია, შეაფასოს შესაბამისი მტკიცებულება და ასეთი შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები, სასამართლო უყურადღებოდ ვერ ტოვებს ფაქტს, რომ პროკურორის დასკვნებს აკლდა მნიშვნელოვანი დეტალები და შესაბამისი დასაბუთება.

112. კერძოდ, პროკურორმა არ დაადგინა მოვლენათა თანმიმდევრობა და განმცხადებლისთვის დაზიანებათა მიყენების ზუსტი სურათი. მისი დასკვნები, რომ „განმცხადებელმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა“, „[მის მიმართ] ფიზიკური შეზღუდვის საშუალებები გამოიყენეს“ და „[განმცხადებელმა დაზიანებები] მასიური ბლაგვი საგნის ზემოქმედებით მიიღო“, ძალზე ბუნდოვანი და დამაბნეველია.

113. სასამართლო დამატებით ალიშნავს, რომ პროკურორის გადაწყვეტილება კონკრეტულად არ ეხება განმცხადებლის სავარაუდო წამებას დაკავების შემდეგ. ირკვევა, რომ პროკურორმა საჭიროდ არ მიიჩნია ამ საკითხის მოკვლევა და დაეყრდნო განმცხადებლის თავდაპირველ ჩვენებას, რომ მას არსათანადიდ არ მოპყრობიან, მიუხედავად ბატონი კავერზინის ბოლოდროინდელი საპირისპირო განცხადებებისა (იხ. ზემოთ პუნქტები 14-15).

114. ნებისმიერ შემთხვევაში - თუნდაც განმცხადებელს დაზიანებები დაკავებისას, პოლიციელებთან შერინააღმდეგების ალკვეთისას მიეღო - პროკურორმა არ სცადა, ემსჯელა განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალის კანონიერებასა და პროპორციულობაზე.

115. პროკურორის მიერ ჩატარებული მოკვლევის ზემოთ მოყვანილ სისუსტეთა გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ის გულმოდგინედ არ წარმართულა და, შესაბამისად, არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

116. განმცხადებლის საჩივრებს - რომ მისი ალიარებითი ჩვენებები მოპოვებულია წამების გზით - რომლებიც მან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიტანა სასამართლოში, ამ საკითხის შესწავლა არ მოჰყოლია, არც განმცხადებლის თვითინკრიმინაციულ ჩვენებათა მტკიცებულებად დასაშვებობის შესწავლითა და არც ცალკე ჩატარებული მოკვლევით. სასამართლოებმა საჩივრების განხილვაზე უარი თქვეს დაუსაბუთებლობის მოტივით და სრულად დაეყრდნენ პროკურორის 2001 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებას.

117. ზემდგომი პროკურორის მიერ 2005 წელს ჩატარებული მოკვლევა საკითხის კვლავ შესწავლის სერიოზული მცდელობა არ ყოფილა, რადგან იგი შემოიფარგლა ოთხი წლის წინათ დასრულებული მოკვლევის მასალების შესწავლით (იხ. ზემოთ პუნქტი 34).

118. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება - გამოეძიებინათ განმცხადებლის საჩივრები წამების შესახებ. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

#### ii. სავარაუდო არასათანადო მოპყრობა პოლიციელთა მხრიდან

119. განმცხადებლის საჩივრის არსებითი ასპექტების განხილვისას სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ საჩივრში მტკიცებულებათა შეფასებისას შესაბამისმა ორგანოებმა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტი უნდა გამოიყენოს (იხ. Ireland v. the United Kingdom, 18 იანვარი, 1978, § 161, Series A № 25, და Avşar v. Turkey, № 25657/94, § 282, ECHR 2001 VII (ამონარიდები)). თუმცა, ამგვარი მტკიცება შესაძლოა გა-

მომდინარეობდეს საქმარისად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული დასკვნების თანაარსებობიდან ან მსგავსი გაუბათილებელი ფაქტების პრეზუმაციიდან (იხ. Labita, ციტირებულია ზემოთ, § 121). როდესაც განსახილველი მოვლენები ხდება სრულად ან დიდნილად ხელისუფლების ორგანოების კონტროლირებად სისტემაში - როგორც პატიმრობისას მათ კონტროლქვეშ მყოფი პირების შემთხვევაში - პატიმრობის დროს მიღებულ დაზიანებებთან მიმართებით ისმის ძლიერი ფაქტობრივი პრეზუმაციის საკითხი. მართლაც, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ მტკიცების ტვირთი - წარმოადგინონ საქმარისი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება (იხ. Ribitsch v. Austria, 4 დეკემბერი, 1995, § 34, Series A № 336, და Salman v. Turkey [GC], № 21986/93, § 100, ECHR 2000-VII).

120. სასამართლო მიუთითებს, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობს ამომწურავი მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებშიც განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო, კერძოდ კი განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალის ზუსტი ბუნებისა და მასშტაბების შესახებ. თუმცა, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს - შესაბამისი სამედიცინო მტკიცებულებებისა და მხარეთა არგუმენტაციის გათვალისწინებით - რომ განმცხადებლის დაზიანებებზე პასუხისმგებლობა სრულად პოლიციას ეკისრება. მხოლოდ ეს დასკვნაც კი საქმარისია სასამართლოსთვის, რომ დაადგინოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, იმის მიუხედავად, განმცხადებელს დაზიანებები მხოლოდ დაკავებისას მიაყენეს თუ პოლიციის განცოფილებაში შემდგომი დაკითხვისასაც (იხ. Sylenok and Tekhnoservis-Plus, ციტირებულია ზემოთ, გვ. 69-70).

121. თუმცა, სასამართლო უყურადღებოდ ვერ ტოვებს იმ ინფორმაციას, რომელიც, გარკვეული ხარისხით, მიანიშნებს, რომ განმცხადებლისთვის დაზიანებები მხოლოდ 2001 წლის 12 იანვარს, დაკავებისას არ მიუყენებიათ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 2001 წლის 19 იანვრით დათარიღებულ სამედიცინო ექსპერტის დასკვნას, რომ განმცხადებლის დაზიანებათაგან ზოგიერთი სამი-ოთხი დღის იყო, ანუ მან ისინი მიიღო 2001 წლის 14 ან 15 იანვარს (იხ. ზემოთ პუნქტი 12). 2001 წლის 13 იანვარს განმცხადებლის პირველი სამედიცინო შემოწმებისას არ აღნიშნულა, რომ თვალის კავლის ღია ჭრილობა სისხლმდენი გახლდათ, თუმცა მაინც დადგინდა, რომ ნაჩევლები იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 8, 12 და 21).

122. ასევე, სასამართლოს თქმით, განმცხადებელი დაუინებით აღნიშნავს - ყველა შესაბამისი დეტალის მიწოდების გარეშე - რომ იგი დაკავების შემდეგ პოლიციელებმა აწამეს, თუმცა, მთვარობამ ამ ბრალდებების გაბათილება დასაბუთებული არგუმენტებით ვერ შეძლო.

123. ამგვარ გარემოებებში, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად წამოყენებული განმცხადებლის ბრალდებები დაკავების შემდეგ პოლიციელთა მიერ მისი ცემის შესახებ, როგორც ეს დაისვა ევროპული სასამართლოს წინაშე, ჯამში, სარჩმუნოა, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტური მტკიცებულებებით, ასევე ფაქტობრივი დასკვნებით (იხ. Teslenko, ციტირებულია ზემოთ, გვ. 91-97). კერძოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის დაზიანებათა ბუნება და განსაკუთრებული სიმძიმე მიანიშნებს, რომ ისინი მას განზრას მიაყენეს. განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის მიზანი იყო მისთვის სასტიკი ტკივილისა და ტანჯვის მიყენება აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად - რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რაშიც ბრალს სდებდნენ.

124. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში

დადგენილი მაღალი სტანდარტებისა და იმ დიდი სიმტკიცის ფონზე, რომელიც უცილობლად საჭიროა დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ღრეულებათა დარღვევების შეფასებისას (იხ. Selmouni v. France [GC], № 25803/94, § 101, ECHR 1999 V; Korobov, ციტირებულია ზემოთ, § 73; და Teslenko, ციტირებულია ზემოთ, წმ 99-102), სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობა საპოლიციო პატიმრობისას უნდა კვალიფიცირდეს როგორც წამება, განმცხადებლის დაზიანებათა სიმძიმისა და განზრას მიყენების გათვალისწინებით.

125. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ამ მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

**B. განმცხადებლისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების სავარაუდო არაადეკვატურობა და განმცხადებლის ქმედუნარიანობა საპატიმრო სასჯელის მოსახდელად**

126. ბატონი კავერზინი აცხადებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა, თვალის დაზიანების სამკურნალოდ, ადეკვატური სამედიცინო დახმარებით არ უზრუნველყოვს.

### 1. დასაშვებობა

127. მთავრობა, იშველიებდა რა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქმეებზე Kalashnikov v. Russia (№ 47095/99, ECHR 2002 VI), Khokhlich v. Ukraine (№ 41707/98, 29 აპრილი, 2003), Melnik v. Ukraine (№ 72286/01, 28 მარტი, 2006), Vinokurov v. Ukraine and Russia ((dec.), № 2937/04, 16 ოქტომბერი, 2007), და Aliev v. Ukraine (No. 2) ((dec.), № 33617/02, 14 ოქტომბერი, 2008), აცხადებდა, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებებით, განმცხადებელს მოეთხოვებოდა, ადგილობრივი ორგანოებისთვის მიერთა საჩივრით არაადეკვატური სამედიცინო დახმარების შესახებ, რათა მათ შეძლებოდათ განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამოძიება და, მისი საჩივრის დასაბუთების შემთხვევაში, მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საშუალებების შეთავაზება. კერძოდ, მთავრობის არგუმენტაციით, განმცხადებელი ვალდებული იყო, საჩივრით მიერთა პროკურატურისათვის - პროკურატურის სამსახურის შესახებ აქტის თანახმად - ან შესაბამისი ორგანოების წინააღმდეგ სარჩელი შეეტანა სამოქალაქო სასამართლოებში, იმ დროისათვის მოქმედი 1963 წლის სამოქალაქო კოდექსის 440-1, 442-ე ან 455-ე მუხლების საფუძველზე.

128. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა: განმცხადებელმა არც ერთი ზემოხსენებული პროცედურა არ გამოიყენა, რომ მიერთა საჩივრით წინასწარი დაკავებისა და ხარკოვის წინასწარი გამოძიების იზოლატორებში ყოფნისას არასათანადო სამედიცინო დახმარების შესახებ. მაშასადამე, მას არ ამოუწურავს დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები განაცხადის ამ ნაწილთან მიმართებით.

129. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლმა საჩივარი არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე, რომელიც ეხებოდა წინასწარი დაკავებისა და ხარკოვის წინასწარი გამოძიების იზოლატორებში მისი ყოფნის პერიოდს, ვადის დარღვევით შეიტანა სასამართლოში. მთავრობის თქმით, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი 6-თვითან ვადის ათვლა დაიწ-

ყო 2001 წლის 23 იანვარს განმცხადებლის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებასა და 2001 წლის 23 თებერვალს ხარკოვის წინასწარი გამოძიების იზოლატორში პატიმრობასთან დაკავშირებით.

130. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან არ დააკმაყოფილა მთავრობის ანალოგიური პრეტენზიები - იმასთან დაკავშირებით, რომ დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამონტურულა - რამდენიმე სხვა საქმეში უკრაინის წინააღმდეგ, რომლებშიც განმცხადებლების საჩივრები ეხებოდა პატიმრობისას ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არასებობას. ამ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი საჩივრები მიანიშნებდა ადგილობრივი სისხლის სამართლის სისტემის სტრუქტურულ პრობლემებზე (იხ. მაგალითად, Melnik, ციტირებულია ზემოთ, ს 69-71; Koktysh, ციტირებულია ზემოთ, ს 86; Pokhlebin v. Ukraine, № 35581/06, ს 41-42, 20 მაისი 2010; და Logvinenko v. Ukraine, № 13448/07, ს 57-58, 14 ოქტომბერი, 2010).

131. წინამდებარე საქმეში სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ ამ სათაურით წამოჭრილი საკითხებიც სტრუქტურული პრობლემის მაჩვენებელია. იგი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საჭიროებათა შესახებ (იხ. ზემოთ პუნქტები 12, 18 და 19). ამგვარად, იგი არ იღებს მთავრობის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ არ ამონტურულა დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები.

132. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ბრალდებები საპატიმროებში მისთვის განხეული არასათანადო სამედიცინო მომსახურების შესახებ, განგრძობად პერიოდს ეხება. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს, რომ განაცხადის ეს ნაწილი პატიმრობის იმ პერიოდს ეხებოდა, რომელიც 6-თვიანი ვადის მიღმა რჩებოდა (იხ. Logvinenko, ციტირებულია ზემოთ, ს 60).

133. სასამართლო დამატებით ადგენს, რომ განაცხადის ეს ნაწილი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, აშკარად დაუსაბუთებელი არ არის. მის დაუშვებლად გამოსაცხადებლად არ არსებობს არც სხვა საფუძველი. მაშასადამე, იგი ცხადდება დასაშვებად.

## 2. საქმის არსებითი მხარეები

### ა. მხარეთა არგუმენტები

134. განმცხადებლი აღნიშნავდა, რომ მისი შესაძლებლობების შეზღუდვა გამოიწვია ადეკვატური და, განსაკუთრებით, დროული სამედიცინო მომსახურების ნაკლებობამ. მისი აზრით, თვალის ტრავმის დიაგნოზი სწორად არ დასვეს 2001 წლის იანვარში, რის გამოც მას სათანადო მკურნალობა არ ჩაუტარდა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ როგორც კი ექიმებმა მისი ტრავმა აღმოაჩინეს, იგი მაშინვე უნდა გადაეცვანათ საავადმყოფოში და შესაბამისი კვალიფიკაციისა და სპეციალობის ექიმს გამოეცვლია.

135. განაცხადის ამ ნაწილის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, არგუმენტაციის შეუბლალავად, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს ჩაუტარდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ადეკვატური სამედიცინო დახმარება. კერძოდ, მთავრობა აცხადებდა, რომ პატიმრობისას განმცხადებელი გასინჯა რამდენიმე ექიმმა, რომელთაგან ზოგიერთი სამოქალაქო სექტორიდან იყო. განმცხადებელს ექიმების მიერ დანიშნულ მკურნალობას ციხის სამედიცინო პერსონალი უტარებდა.

136. მთავრობა დამატებით აღნიშნავს, რომ დნეპროპეტროვსკის კოლონიაში ყოფნისას განმცხადებელმა არ ისარგებლა უფლებით, სპეციალური მკურნალობა საკუთარი ხარჯებით კოლონის გარეთ ჩატარებინა, რის შესახებაც მას შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდეს. მან ასევე რამდენჯერმე თქვა უარი ოფთალმოლოგის შემონმებაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 24).

137. მთავრობის თქმით, განმცხადებლის მტკიცება ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ - რომ იგი დაბრძანვდა არაადეკუატური სამედიცინო მკურნალობის გამო - არ დასტურდებოდა მისი სამედიცინო ჩანაწერებით.

## **b. სასამართლოს შეფასება**

138. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პატიმრისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდება სახელმწიფოს ვალდებულებაა (იხ. მაგალითად, *Ukhan v. Ukraine*, № 30628/02, გვ. 72-74, 18 დეკემბერი, 2008, სხვა საქმეებთან ერთად). სასამართლოს ამოცანაა, იმ საკითხის დადგენისას, შეასრულეს თუ არა ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი სამედიცინო ვალდებულება მათ კონტროლს დაქვემდებარებულ დაკავებულთან მიმართებით, შეაფასოს დაკავებულის სამედიცინო მომსახურების ხარისხი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და „პატიმრობის პრაქტიკულ მოთხოვნათა“ გათვალისწინებით, და თუ დაკავებულს ადეკუატური სამედიცინო მკურნალობა არ ჩაუტარდა, დაადგინოს - უტოლდებოდა თუ არა ეს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას (იხ. *Sarban v. Moldova*, № 3456/05, გვ. 78, 4 ოქტომბერი, 2005; *Aleksanyan v. Russia*, № 46468/06, გვ. 140, 22 დეკემბერი, 2008; და *Yevgeniy Alekseyenko v. Russia*, № 41833/04, გვ. 104, 27 იანვარი, 2011).

139. წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა თვალის ტრავმა მიიღო, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ და ამას შედეგად მხედველობის დაკარგვა მოჰყვა. ექიმებმა ტრავმა 2001 წლის 19 იანვარს შენიშვნა, დაზიანების სავარაუდო მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ. ერთი თვის მერე ექიმებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელმა მხედველობა დაკარგა. ამ პერიოდში მას არანაირი მკურნალობა არ ჩასტარებია. არც ოფთალმოლოგს გაუსინჯავს. განმცხადებლის მკურნალობა და სპეციალიზებული გამოკვლევა დაიწყო მხოლოდ 2001 წლის სექტემბრიდან.

140. საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო გამართლებულად მიიჩნევს ცალ-ცალკე შეაფასოს, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს ხელისუფლების ორგანოთა ქმედებები 2001 წლის იანვრიდან სექტემბრამდე განმცხადებლის პატიმრობისას და მას შემდეგ. მომდევნო პერიოდზე კა სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი შეფასება არ შეეხება დროის მონაკვეთს მას მერე, რაც განმცხადებელი 2008 წლის 3 დეკემბერს დნეპროპეტროვსკიდან ვინიციის კოლონიაში გადაიყვანეს, რადგან მასთან დაკავშირებით განმცხადებელს პრეტენზიები არ წარმოუდგენია (იხ. ზემოთ პუნქტი 32).

i. განმცხადებლისთვის ადეკუატური სამედიცინო მომსახურების საგარაუდო მიუწოდებლობა 2001 წლის იანვრიდან სექტემბრამდე

141. დასაწყისში სასამართლომ ვერ შეძლო, რომ მიწოდებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე დაედგინა - განმცხადებლის მხედველობის დაკარგვა მის-

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

თვის აღმოჩენილი სამედიცინო მომსახურების სავარაუდო არააღეკვატურობამ გამოიწვია თუ თვალის ტრავმის გარდაუფალი შედეგი იყო.

142. თუმცა, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა 2001 წლის იანვარში თვალის ტრავმის დადგენიდან ნახევარ წელზე მეტანს განმცხადებელს არანაირი მკურნალობა არ ჩაუტარეს. მთავრობას არავითარი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია განმცხადებლისთვის საჭირო სამედიცინო დახმარების დაგვიანების დასასაბუთებლად.

143. სასამართლო არ მსჯელობს საკითხზე, განმცხადებლის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი შემდგომი მცდელობებით რამდენად მოხდა კომპენსირება იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას სპეციალიზებული მკურნალობა არ უტარდებოდა. თუმცა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლის თვალის ტრავმასა და ჯანმრთელობის გაუარესებაზე სხრაფი რეაგირება არ მოახდინეს, საკმარისია სასამართლოსთვის, დაასკვნას: განმცხადებელს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება არ მიეწოდა 2001 წლის სექტემბრამდე პატიმრობისას.

144. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი - 2001 წლის იანვრიდან სექტემბრამდე განმცხადებლის თვალის ტრავმის არააღეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო.

ii. განმცხადებლისთვის 2001 წლის სექტემბრიდან 2008 წლის დეკემბრამდე სავარაუდოდ არააღეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდება

145. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის შემდგომ პერიოდს, რომელთან დაკავშირებითაც მხერებმა შესაბამისი ინფორმაცია წარმოადგინეს, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი ექიმებმა, მათ შორის იფთალმოლოგმა, რამდენჯერმე გასინჯეს და მას გარკვეული სამედიცინო მკურნალობაც ჩაუტარდა მხედველობის დაკარგვასთან დაკავშირებით. განმცხადებელს ნათლად და დასაბუთებულად არ გაუსაჩივრებია ამგვარი მკურნალობის ადეკვატურობა და არ განუცხადებია, რომ მას უარი უთხრეს ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებელ აღტერნატიულ მკურნალობაზე.

146. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საკითხს, სასამართლო აღნიშნავს: განმცხადებელს არ უჩვეულებია, რომ მისი დედისათვის შვილის კონკრეტული წამლებით მომარაგებაზე უარის თქმამ განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია (იხ. ზემოთ პუნქტი 25 და Vergelskyy, ციტირებულია ზემოთ, წყ 89-91). ასევე ბუნდოვანი და დეტალებს მოკლებულია არგუმენტი, რომ განმცხადებელი უნდა გადაეყვანათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ სპეციალურ ციხეში.

147. ერთიანობაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ არასწორი იქნება, ხელისუფლების ორგანოებს საყვედური ეთქვას განსახილველი პერიოდის განმავლობაში განმცხადებლის სამედიცინო საჭიროებათა არააღეკვატურად მიწოდებისთვის, და არ არსებობს სამედიცინო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭირო იყო განმცხადებლის საპატიმრო სასჯელის გადავადება.

148. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა 2001 წლის სექტემბრიდან 2008 წლის დეკემბრამდე განმცხადებლისთვის განეულ სამედიცინო მომსახურებასთან მიმართებით.

## C. დნეპროპეტროვსკის კოლონიაში პატიმრობის პირობები

149. განმცხადებელმა იჩივლა დნეპროპეტროვსკის კოლონიაში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. საჩივარი ძირითადად შექებოდა მის მიმართ ხელბორკილების გამოყენებას. თუმცა, სასამართლოსადმი მიმართვაში იგი ასევე ეხებოდა ამ კოლონიაში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ რამდენიმე სხვა საკითხს (იხ. ზემოთ პუნქტები 27-28).

სასამართლო ამ საკითხებს ცალ-ცალკე განიხილავს.

### 1. ხელბორკილების დადება

#### (a) დასაშვებობა

150. სასამართლო აღნიშნავს, რომ განაცხადის ნაწილი, რომელიც ხელბორკილების გამოყენებას ეხება, აშკარად დაუსაბუთებელი არ არის - კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იგი დაუშვებელი არ არის არც ერთი სხვა საფუძვლითაც. შესაბამისად, იგი ცხადდება დასაშვებად.

#### (b) საქმის არსებითი მხარეები

151. განმცხადებლის თქმით, დნეპროპეტროვსკის კოლონიაში საკნის ყოველი დატოვებისას მას ხელებზე ხელბორკილებს ადებდნენ. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ მას ხელბორკილი ედო ოჯახთან მოკლევადიანი შეხვედრების დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ენინააღმდეგებოდა სასჯელთა აღსრულების შესახებ კოდექსის 106-ე მუხლს.

152. მთავრობა ამტკიცებდა, რომ დნეპროპეტროვსკის კოლონიაში განმცხადებელზე ხელბორკილების გამოყენება არაადამიანური და ღირსების შემღაველი მოპყრობა არ იყო. მთავრობის თქმით, კოლონიის ტერიტორიაზე განმცხადებლის ესკორტირებისას ხელბორკილების დადება მისი კანონიერი პატიმრობისთვის დამახასიათებელი ტანჯვისა და დამცირების გარდაუვალი ასპექტი იყო, რაც შედეგად მოჰყვა მისთვის თავისუფლების უვადოდ აღკვეთას. მთავრობამ დამატებით აღნიშნა: განმცხადებლის ბრალდება, რომ მას ხელბორკილი ყოველდღიური გასეირნების დროსაც ეკეთა, არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ყოველდღიური გასეირნების დროს ხელბორკილის დადებას არც ერთი შესაბამისი რეგულაცია არ ითვალისწინებდა.

153. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ არასათანადო მოპყრობა, თუ იგი ხვდება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს. ამ ზღვრის შეფასება შეფარდებითა: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები და, ზოგიერთ საქმეში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობა (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Kudla v. Poland [GC], № 30210/96, § 91, ECHR 2000 XI*, და *Peers v. Greece, № 28524/95, § 67, ECHR 2001-III*).

154. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოპყრობის მიზანი გასათვალისწინებელი ფაქტორია - განსაკუთრებით კი ის, ისახავდა თუ არა მოპყრობა მიზნად მსხვერპლის დამცირებას ან დაკანინებას - თუმცა, ამგვარი მიზნის არარსებობა

თავისთავად არ გულისხმობს, რომ მე-3 მუხლი არ დარღვეულა (იხ. Peers, ცი-ტირებულია ზემოთ, § 74).

155. შემზღვდავი საშუალებების - მათ შორის ხელბორკილების - გამოყენება, როგორც წესი, კონვენციის მე-3 მუხლით არ განიხილება, როცა ამ ღონისძიებას კანონიერი დაკავებისას მიმართავენ, ძალის გამოყენება ან საჯაროდ დემონსტრირება არ მოსდევს და გონივრულად საჭირო ფარგლებს არ სცდება (იხ. Gorodnitchev v. Russia, № 52058/99, § 108, 24 მაისი, 2007, და Kucheruk v. Ukraine, № 2570/04, § 139, ECHR 2007 X). ამგვარ შემთხვევებში მნიშვნელოვანია შეფასდეს ამ ადამიანის მიმალვის, სხვათა დაზიანების ან დაზარალების საფრთხე (იხ. Raninen v. Finland, 16 დეკემბერი, 1997, § 56, Reports of Judgments and Decisions 1997 VIII; და Kashavelov v. Bulgaria, № 891/05, § 39, 20 იანვარი, 2011).

156. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელი ადგილობრივმა სასამართლოებმა საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშად ცნეს (იხ. ზემოთ პუნქტი 39). მან მოკლა შეიძი ადამიანი, მათ შორის, სამი პოლიციელი. პოლიციის ოფიცრები განმცხადებელმა მაშინ მოკლა, როცა ისინი დანაშაულის ადგვეთას ცდილობდნენ. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლებრივი წარსული კარნახობდა მის მოთავსებას უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების პირობებში.

157. თუმცა, განსახილველია საკითხი, გამართლებული იყო თუ არა განმცხადებლის მიმართ ამგვარ პირობებში გამოყენებული კონკრეტული ღონისძიებები - კერძოდ, ხელბორკილების დადგება - მისი პირადი მდგომარეობის გათვალისწინებით.

158. ამ კონტექსტში სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ხელბორკილი ედო საკითხის დატოვებისას. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს რაღაც დროიდან დნეპროპეტროვსკის კოლონიაში ყოველდღიური გასეირნებისას განმცხადებელს ხელბორკილს აღარ ადებდნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 30), მის მიმართ შეზღუდვის ეს ღონისძიება მაინც გამოიყენებოდა ესკორტირებისა და ოჯახთან შეხვედრებისას.

159. რაც შექება განმცხადებლის პირად მდგომარეობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ დნეპროპეტროვსკის კოლონიაში მოთავსებისას განმცხადებელი სრულად იყო დაბრმავებული და, სამედიცინო ჩანახმად, გარესამყაროს დახმარება სჭირდებოდა ყოველდღიურ საჭიროებებთან გასამკლავებლად (იხ. ზემოთ პუნქტი 21). სასამართლოს არ აქვს ინფორმაცია, რომლითაც გამოჩენდებოდა, რომ განმცხადებელმა გაქცევა სცადა ან აგრესიულად იქცეოდა ხარკოვში წინასწარი დაკავებისას, ხელნიკურის წინასწარი გამოძიების იზოლატორში, ან შემდგომ - დნეპროპეტროვსკის კოლონიაში.

160. განმცხადებლის პირადი მდგომარეობისა და მისი ესკორტირებისას პრაქტიკული განლაგების (განმცხადებელს უკან მიჰყვებოდა სამი ზედამხედველი ძალთან ერთად) გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კოლონიაში განმცხადებლის პატიმრობისას ხელბორკილების გამოყენება უსაფრთხოების მიზეზებით ვერ გამართლდება (იხ. *mutatis mutandis*, Avci and Others v. Turkey, № 70417/01, წს 39-43, 27 ივნისი, 2006).

161. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლისთვის ხელბორკილის დადება, როგორც არსებითად, ასევე იმ ფორმის გათვალისწინებით, რომლითაც იზღუდებოდა იგი დნეპროპეტროვსკის კოლონიაში - ზურგს უკან ხელების შეკვრა, მიუხედავად პატიმრის შეზღუდული დამოუკიდებლობისა სრული სიბრმავის გამო - იწვევდა განმცხადებლის ტანჯვასა და დამცირებას, რაც

სცდებოდა კანონიერი დასჯის გარკვეული ფორმისთვის თანმდევ ფარგლებს (იხ. *mutatis mutandis*, Kudla, ციტირებულია ზემოთ, ს 92-94, და Okhrimenko v. Ukraine, № 53896/07, ს 98, 15 ოქტომბერი, 2009).

162. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, განიხილოს განმცხადებლის მიერ წამოწეული საკითხი - ენინააღმდეგებოდა თუ არა ოჯახთან შეხვეძლებისას მისთვის ხელბორკილების დადება შესაბამის ადგილობრივ რეგულაციებს. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგულაციების თანახმად, შესაბამის ორგანოებს მოეთხოვებოდათ განსახილველი ღონისძიების გამოყენება ყველა უვალოდ თავისუფლებადკვეთილი პატიმრის მიმართ, მათი პირადი მდგომარეობის გათვალისწინებისა და ინდივიდუალური რისკების შეფასების გარეშე, რომლებიც შეიძლება შეექმნათ. მეტიც, უვალოდ თავისუფლებაალკვეთილი მამაკაცი პატიმრების მიმართ ხელბორკილების სისტემატურად გამოყენება ყოველთვის, როცა ისინი საკიდან გამოჰყავდათ, ასევე დადასტურდა უკრაინის კოლონიაში CPT-ის ვიზიტისას 2005 წლის ოქტომბერში. ამ დროს განმცხადებელი იმავე პირობებში იხდიდა სასჯელს დნეპროპეტროვსკის კოლონიაში.

163. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ დნეპროპეტროვსკის კოლონიაში განმცხადებლის მიმართ ხელბორკილების გამოყენება არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა იყო და, ამ საკითხთან მიმართებით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

## 2. დნეპროპეტროვსკის კოლონიაში განმცხადებლის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული სხვა საკითხები

164. განმცხადებლის თქმით, დნეპროპეტროვსკის კოლონიაში მის მიმართ სხვა შეზღუდვებიც გამოიყენებოდა, როგორიცაა: სავარაუდოდ, უკანონო უარი გახანგრძლივებულ ყოველდღიურ გასეირნებაზე, საკნებში ვენტილაციის არარესებობა, ხელისუფლების ორგანოთა უარი სატელეფონო ზარებზე და მისი წერილების დაგვიანებით გაგზავნა.

165. სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლო ყოველთვის არ ითხოვდა განმცხადებლის მიერ წამოყენებული თითოეული ბრალდების დამადასტურებელ დოკუმენტურ მტკიცებულებას და აღიარებდა, რომ შესაბამისი ინფორმაციის მიღებისა და ფაქტების გამოძიების უპირველესი ვალდებულება ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ, წინამდებარე საქმეში მტკიცების ტვირთის ხელისუფლების ორგანოებისთვის დასაკისრებლად და საჩივრის არსებითად განსახილებულად, განაცხადის ეს ნაწილი, სულ ცოტა, უფრო ნათლად და კონსტრუქციულად უნდა ყოფილიყო ფორმულირებული (იხ.Ukhan, ციტირებულია ზემოთ, ს 64-66).

166. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებლის არგუმენტების უმრავლესობა ბუნდოვანი და ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლებოდა. მას არ წამოუდეგნია საჭირო დეტალები და დასაბუთება. განმცხადებელს ასევე არ უჩვენებია განსახილველი შეზღუდვებით მიყენებული ტანჯვების ბუნება და ფარგლები, ასევე, აღწევდა თუ არა მისი ტანჯვე სისასტიკის იმ ზღვარს, რომელიც ამ საკითხს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოაქცევდა.

167. ერთიანობაში, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიერ საქმის ამ ნაწილში დასმული ზემოაღნიშნული საკითხები არ ავლენს კონვენციითა და

მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას.

168. განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და მას უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

### III. კონვენციის 46-ე მუხლის გამოყენება

169. კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად:

„1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.“

170. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის 46-ე მუხლი, 1-ლი მუხლის ჭრილში განმარტებული, მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, დანერგოს შესაბამისი ზოგადი და/ან ინდივიდუალური ღონისძიებები განმცხადებლის იმ უფლებების უზრუნველსაყოფად, რომელთა დარღვევაც სასამართლომ დაადგინა. ანალოგიური ღონისძიებები უნდა გატარდეს განმცხადებლის მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან მიმართებითაც, კერძოდ, იმ პრობლემის მოგვარებით, რის გამოც სასამართლომ დარღვევა დაადგინა (იხ. Scozzari and Giunta v. Italy [GC], № 39221/98 და № 41963/98, § 249, ECHR 2000 VIII).

171. გადაწყვეტილებების - რომლებმიც კონვენციის დარღვევა დადგინდა - სწრაფი და ეფექტური აღსრულების დასაჩქარებლად და მოპასუხე სახელმწიფოს დასახმარებლად, შესარულოს 46-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები, სასამართლომ მაქსიმალური სიზუსტით უნდა მიუთითოს, თუ რას მიიჩნევს იგი პრობლემად, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება რომ დაეფუძნა. თუ ეს პრობლემა სისტემატური ხასიათსა და საფუძველი მისცა - ან, სავარაუდოდ, მისცემს - ბევრ სხვა განაცხადს, სასამართლოს შესაძლოა ეთხოვოს ამ პრობლემის წყაროს გამოკვლევა (იხ. *mutatis mutandis*, Broniowski v. Poland [GC], № 31443/96, §§ 189-194, ECHR 2004 V; Hutton-Czapska v. Poland [GC] № 35014/97, § 232, ECHR 2006-VIII; Greens and M.T. v. the United Kingdom, № 60041/08 და №60054/08, § 107, ECHR 2010 (ამონარიდები); და უკრაინის წინააღმდეგ საქმეები: Yuriy Nikolayevich Ivanov v. Ukraine, № 40450/04, § 80, 15 ოქტომბერი, 2009; Kharchenko v. Ukraine, № 40107/02, § 101, 10 თებერვალი, 2011; და Balitskiy v. Ukraine, № 12793/03, § 54, 3 ნოემბერი, 2011).

172. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის ნაწილი ეხება განგრძობად პრობლემებს, რომელთა გამოც ხშირია უკრაინის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტები. კერძოდ, სასამართლომ დახახლოებით 40 გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ უკრაინის ხელისუფლების ორგანოები საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირთა არსათანადო მოპყრობაზე იყვნენ პასუხისმგებელი და ამგვარი მოპყრობის შესახებ საჩივრებზე ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა (იხ. მაგალითად, საქმეები, რომლებიც მითითებულია ზემოთ 94-ე პუნქტში). 100-ზე მეტი სხვა საქმე ამჟამად განხილულის სტადიაშია სასამართლოში.

173. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დარღვევები

არც ცალკეული, იზოლირებული ინციდენტებით იყო განპირობებული და არც მოვლენათა გარკვეულ თანმიმდევრობას ახასიათებდა. ეს იყო საკანონმდებლო ხარვეზებისა და ხელისუფლების ორგანოთა ადმინისტრაციული ქმედების შედეგი კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებით.

174. კერძოდ, სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილები პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან. არასათანადო მოპყრობა ხშირად ხდება მსხვერპლთა დაკავების პირველ დღეებში, რა დროსაც მათ ხელი არ მიუწვდებათ ადვოკატზე და მათი დაზიანებები სათანადო არ აღიწერება ან საერთოდ არ ფიქსირდება ოქმში. მართალია, ყველა ამგვარ საქმეში არ დგინდება, რომ არასათანადო მოპყრობა მიზნად ისახავდა ალიარებითი ჩვენების მოპოვებას, მაგრამ მსხვერპლის არასათანადო მოპყრობასა და ხელისუფლების ორგანოთა მიზანს შორის - მოიპოვონ გამამტყუნებელი მტკაცებულება - კავშირის არსებობა უტყუარის (იხ. მაგალითად, Vergelskyy, ციტირებულია ზემოთ, § 108; Samardak, ციტირებულია ზემოთ, § 36; Kovalchuk, ციტირებულია ზემოთ, § 60; Bocharov, ციტირებულია ზემოთ, § 47; da Korobov, ციტირებულია ზემოთ, § 73). როგორც ეს რამდენიმე ანგარიშსა და მიმოხილვაში ალინიშნა უკრაინაში არასათანადო მოპყრობის შესახებ, პოლიციელთა მუშაობის შეფასება გახსნილ საქმეთა რაოდენობით ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ წამების გამოყენებას (იხ. მაგალითად, ზემოთ პუნქტები 56 და 59).

175. მეორე საერთო ფაქტორი, რამაც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვია წინამდებარე და სასამართლოს მიერ მანამდე განხილულ საქმეებში, არის პროკურორების უგულისყურობა, დაუყოვნებლივ და სწრაფად გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრებში აღნიშნული ფაქტებისა და გარემოებების დასადგენად და შესაბამის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. მოკვლევისას პროკურორები იშვიათად აკეთებდნენ პოლიციელთა მიერ ახსნა-განმარტების მოპოვებაზე მეტს. მოვლენათა განვითარების შესახებ პოლიციელთა ჩვენებებს უბირატესი ძალა ენიჭებოდა და ისინი არ მოწმდებოდა მოკვლევის სხვა საშუალებებით.

176. სასამართლო მიიჩნევს, რომ პროკურორთა მხრიდან ასეთი უგულისყურობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილებს, სავარაუდოდ, არასათანადო ეპყრობოდნენ აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, შეიძლება, გარკვეულ ზღვრამდე, აიხსნას სისხლის სამართლის პროცესში პროკურორთა ურთიერთკონფლიქტური ვალდებულებებით - ბრალმდებლობა სახელმწიფოს სახელით და ზედამხედველობა წინასწარი გამოძიების კანონიერებაზე (იხ. *mutatis mutandis*, Nevmerzhitsky v. Ukraine, № 54825/00, § 116, ECHR 2005 II (ამონარიდები); Salov v. Ukraine, № 65518/01, § 58, 6 სექტემბერი, 2005; Merit v. Ukraine, № 66561/01, § 63, 30 მარტი, 2004; Melnik, ციტირებულია ზემოთ, § 69; Koval v. Ukraine, № 65550/01, § 95, 19 ოქტომბერი, 2006; ზემოთ 55-59-ე პუნქტებში ნახსენები უკრაინის ომბუდსმენის ანგარიშები და 75-ე პუნქტში მოყვანილი გაეროს ნამტებისა საწინააღმდეგო კომიტეტის შესაბამისი ახსნა-განმარტებები). რადგან აღიარებითი ჩვენებები ხშირად ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენდა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ პროკურორები არ იყვნენ დაინტერესებული სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებით, რომლითაც, შესაძლოა, სადაც გამხდარიყო ამგვარ მტკიცებულებათა სანდოობა.

177. გამოძიებაზე პროცესურების უარის სასამართლოში გასაჩივრებას - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-1 მუხლით დადგენილი განცალკევებული პროცედურით ან სასამართლო განხილვაზე მტკიცებულების დაშვებადობის შესახებ სამართლებრივი არგუმენტის წარდგენისას - პროცესურორთა მოკვლევის სათანადო გაუმჯობესება არ მოჰყვა. საქმის განმხილველი მოსამართლები თითქმის არასოდეს იძლეოდნენ დამოუკიდებელ შეფასებას მტკიცებულებათა სანდოობის შესახებ - რომლებიც, საგარაუდოდ, იძულებით იყო მოპოვებული - თუ ამ ბრალდებებს პროცესურორები უარყოფნენ.

178. წინამდებარე საქმე, უკრაინის წინააღმდეგ მანამდე განხილულ სხვა მსგავს საქმეებთან ერთად, რომლებშიც სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო წანილის დარღვევა დაადგინა, ასევე აჩვენებს, რომ უკრაინაში წამებისა და არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად, პრაქტიკაში ამგვარი არასათანადო მოპყრობის ჩამდები სახელმწიფო მოხელეები, როგორც წესი, დაუსჯელო რჩებიან (იხ. კერძოდ, Teslenko, ციტირებულია ზემოთ, § 116). ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ მიმართულებით კონსტრუქციული ნაბიჯების გადაუდგმელობა, ფაქტობრივად, ტოტალური დაუსჯელობის კლიმატს ქმნის ამგვარ ქმედებებთან მიმართებით.

179. ზემოხსენებული საკითხების სისტემურობაზეა საუბარი ადგილობრივი ორგანოებისა და სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებსა და მიმოხილვებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ უკრაინაში (იხ. ზემოთ პუნქტები 55-60, 63, 64, 74-79). მეტიც, ბოლო პერიოდის ანგარიშებისა და, კერძოდ, მინისტრთა კომიტეტის ჩანაწერების გათვალისწინებით - ამ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე (იხ. ზემოთ პუნქტები 71-72) - ეს პრობლემები კვლავ მოუგვარებელი დარჩა.

180. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში არსებული სიტუაცია გამოწვეულია ადგილობრივ დონეზე სისტემური პრობლემებით, რომლებიც, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ლირებულებათა გათვალისწინებით, მოითხოვს ფართომასშტაბიანი და კომპლექსური ღონისძიებების სწრაფ იმპლემენტაციას.

181. წინამდებარე საქმეში სასამართლო არ არის ორგანო, რომელმაც უკრაინის მიერ გასატარებელი ზოგადი და ცალკეული ღონისძიებები უნდა განსაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ეს საკითხი, კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებაში შედის, რომელმაც უნდა განსაზღვროს, პრაქტიკული თვალსაზრისით რა მოეთხოვება მოპასუხე სახელმწიფოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად (შეადარე და განსახვავე საქმისგან Abuyeva and Others v. Russia, № 27065/05, §§ 240-243, 2 დეკემბერი, 2010).

182. თუმცა, სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ უკრაინამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს სამართლებრივი სისტემის რეფორმირება საპატი-მროებში არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, თითოეულ საქმეზე, რომელშიც სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარია დაფიქსირებული, ეფექტური გამოძიება უნდა ჩატარდეს და ადგილობრივ დონეზე ამგვარი გამოძიებისას არსებული ყველა ხარვეზი ეფექტიანად გამოსწორდეს. რეფორმირებისას უკრაინის ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს წინამდებარე გადაწყვეტილებას, ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართლასა და მინისტრთა კომიტეტის შესაბამის რეკომენდაციებს, რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებს.

## IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

183. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფო ბრიტი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკაყყოფილებას მიაკუთვნებს.“

### A. ზიანი

184. განმცხადებელმა ფიზიკური და სულიერი ტანჯეცის საკომპენსაციოდ მოითხოვა 100 000 ევრო.

185. მთავრობა ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა.

186. წინამდებარე საქმის სიმძიმისა და დადგენილ დარღვევათა რაოდენობის გათვალისწინებით და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო განმცხადებელს 40 000 ევროს ანიჭებს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

### B. ხარჯები და დანახარჯები

187. განმცხადებელს ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება არ მოუთხოვია. შესაბამისად, სასამართლო ამ საკითხზე მას ანაზღაურებას არ უწესებს.

### C. საურავი

188. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## სენატული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთსხად

1. აცხადებს დასაშვებად კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის მიერ ნამოყენებულ საჩივრებს პოლიციელთა მიერ სავარაუდო წამების, არაეფექტურის გამოძიების, არაადეკვატური სამედიცინო მომსახურებისა და დნეპროპეტროგსკის კოლონიაში ხელბორკილების გამოყენების შესახებ; განაცხადის სხვა წანილები ცხადდება დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პოლიციელთა მიერ განმცხადებლის წამების გამო;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი წამების შესახებ განმცხადებლის საჩივარზე ხელისუფლების ორგანოების მიერ არაეფექტურის გამოძიების ჩატარების გამო;

## კავერზინი უკრაინის წინააღმდეგ

4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი 2001 წლის იანვრიდან სექტემბრამდე განმცხადებლისთვის, თვალის ტრავმის სამკურნალოდ, არააღეკუატური სამედიცინო მომსახურების გამო.
5. ადგენს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა 2001 წლის სექტემბრიდან 2008 წლის დეკემბრამდე განმცხადებლის პატიმრობისას საგარაუდო არააღეკუატური სამედიცინო მომსახურების ნაწილში;
6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი დნეპროპეტროვსკის კოლონიაში განმცხადებლის მიმართ ხელბორკილების გამოყენების გამო;
7. ადგენს

- (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს 40 000 (ორმოცი ათასი) ევროს ეკვივალენტი უკრაინულ გრივნებში, გადახდის დღეს არსებული კურსით. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;
- (b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდის დღე-მდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
8. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

**კლაუდია ვესტერდიკი  
რეგისტრატორი**

**დინ შპილმანი  
თავმჯდომარე**

**მურადოვა აზერბაიჯანის  
ცინააღმდეგ**

---

***CASE OF MURADOVA v. AZERBAIJAN***



პირველი სექტი

## გურაზოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ

(განაცხადი №22684/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 2 აპრილი

საბოლოო ვერსია

02/07/2009

გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე მურადოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (პირველი სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ქრისტოს როზაკისი, თაგმიდომარე,  
ნინა ვაჯიჩი,  
ანატოლი კოვლერი,  
ხანლარ ჰაჯიევი,  
დინ შპილმანი,  
ჯორჯიო მალინვერნი,  
ჯორჯ ნიკოლაო, მოსამართლეები  
და სორენ ნიელსენი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2009 წლის 12 მარტს, დახურულ სხდომაზე, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი (№ 22684/05), რომელიც აზერბაიჯანის მოქალაქემ, ქალბატონმა მაჰირა სადრადინ ქიზი მურადოვამ (Mahirə Sədrəddin qızı Muradova - "განმცხადებელი") 2005 წლის 7 ივნისს შეიტანა სასამართლოში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბატონი ი. აშუროვი, ადვოკატი ბაქოდან, აზერბაიჯანის მთავრობას ("მთავრობა") კი – სახელმწიფოს წარმომადგენელი ბატონი ც. ასგაროვი.

3. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი გახდა პოლიციის სისასტიკის მსხვერპლი და სახელმწიფო ორგანოებმა ეს ფაქტი სათანადოდ არ გამოიძიეს.

4. პირველი სექციის თავმჯდომარემ 2006 წლის 2 ოქტომბერს გადაწყვიტა, მთავრობისთვის ეცნობებინა აღნიშნული განაცხადის შესახებ. ამავე დროს გადაწყდა, რომ საქმის არსებითი მხარეები დასაშვებობის საკითხთან ერთად განეხილათ (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

## ზარტეპი

### 1. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს ქალაქ ბაქოში.

#### A. 2003 წლის 15 და 16 ოქტომბერს განვითარებული მოვლენები

6. 2003 წლის 15 ოქტომბერს აზერბაიჯანში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ოპოზიციის პარტიის მუსავატის (Musavat Party) კანდიდატი არჩევნებში დამარცხდა.

7. არჩევნების დღეს, საღამოს, ოპოზიციის მომხრეებმა თავი მოიყარეს ბაქოს ცენტრში მდებარე პარტიის მუსავატის შტაბის წინ და არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ. ამას მოჰყვა დაპირისპირება ოპოზიციის მომხრეებსა და უსაფრთხოების სამსახურს შორის.

8. 16 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათისთვის, ოპოზიციის მომხრეებმა შეერება დაინყეს ხალიჩის სახელმწიფო მუზეუმის წინ, ბაქოს ცენტრში, არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად. შემდგომ ბრძოლ გადაადგილება დაინყო ქალაქის მთავარი მოედნის, აზადლიქისაკენ. წყაროების თანახმად, რამდენიმე ადამიანმა გზაზ მანქანების, შენობების, ეზოს სკამებისა და სხვა ურბანული კონსტრუქციების დაზიანება დაინყო. ერთ-ერთი მხარის ინფორმაციით, არა-სანქციორებული დემონსტრაციის ორგანიზატორები და ოპოზიციურ პარტიათა ზოგიერთი ლიდერი აქციაში მონაწილეებს ძალადობისაკენ მოუწოდებდნენ.

9. აზადლიქის მოედანზე განლაგებულ პოლიციელებს რამდენიმე დემონს-

ტრანჭი თავს დაესხა. ამ ინციდენტიდან მალევე მოედანზე დიდი რაოდენობით გადასხეს მეამბოხეთა პოლიციისა და სამხედრო ძალები, აღჭურვილი ჩაფხურტებით, ფარებითა და ხელკეტებით. სიტუაცია მყისვე გადაიზარდა სამოქალაქო არეულობაში და ძალისმიერი შეტაკება მოხდა ბრძოლა და პოლიციას შორის.

10. დემონსტრაცია დაშალეს, დახსროებით, 18:00 საათისათვის. 16 ოქტომბერს და შემდგომ დღეებში ასობით ადამიანი დააკავეს.

11. განმცხადებული დემონსტრაციის დაშლისას აზალიქის მოედანზე იმყოფებოდა და მარჯვენა თვალი სერიოზულად დაუზიანდა. მხარეები ვერ თანხმდებიან იმაზე, ზუსტად რა შეემთხვა იმ დღეს განმცხადებელს.

## 1. ფაქტების განმცხადებლისეული ვერსია

12. განმცხადებლის თქმით, აზადლიქის მოედანზე განლაგებული პოლიციები და სამხედრო ძალები რაოდენობით ბევრად აღემატებოდნენ დემონსტრანტებს. პოლიციისა და სამხედრო ძალებმა მოულოდნეულად შეუტიეს დემონსტრანტებს, დაშლისაკენ წინასწარი მოწოდებისა თუ სხვა სახის გაფრთხილების გარეშე. მათ გამოიყენეს გადამეტებული ძალა და ხელკეტებით სცემდნენ ნებისმიერს, ვინც გზად გადააწყდებოდათ. პოლიციის სისასტიკის შედეგად, დაშავდა რამდენიმე და დაილუპა, სულ ცოტა, ერთი ადამიანი.

13. პოლიციისა და სამხედრო ძალების მიერ ოპერაციის დაწყებამ ხალხში პანიკა გამოიწვია, მათ მოედნიდან გაქცევა სცადეს. განმცხადებელმაც გაქცევა სცადა, მაგრამ ბრძოლი ვილაცამ უკიდან ხელი ჰქონდა და ძირს დავარდა. მან თავი წამონია და ფეხებთან დაინახა რამდენიმე ჩაფხუტიანი პოლიციელი. განმცხადებელმა პოლიციელებს ხელი გაუწოდა და ადგომაში დახმარება სთხოვა. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა ძლიერად ჩაარტყა ხელკეტი მარჯვენა თვალის არეში. განმცხადებელმა მარჯვენა თვალში მყისიერად დაკარგა მხედველობა. პოლიციელმა სცადა მეორე თვალშიც ჩაერტყა, მაგრამ განმცხადებელმა მოახერხა მოქწეული ხელკეტისთვის თავის არიდება.

14. რამდენიმე უცნობმა პირმა იგი ყველაზე ახლოს მდებარე №259-ე აფთიაქში წაიყვანა. აფთიაქის თანამშრომლები ცდილობდნენ, პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ სხვა დაშავებულებისთვის, რომლებიც უკვე იქ იმყოფებოდნენ.

15. რაღაც მომენტში რამდენიმე სამხედრო მოსამასახურემ აფთიაქში შეღწევა სცადა, როგორც ირკვეოდა, იქ მყოფ ხალხზე თავდასხმის მიზნით, მაგრამ მათ ამაში ხელი შეუშალეს ვინმე I.G.-მ და აფთიაქის თანამშრომლებმა. ცოტა მოგვიანებით, განმცხადებელი და 4 სხვა დაზარალებული სასწრაფო დახმარების მაქანით გადაიყვანეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების კლინიკაში.

## 2. ფაქტების მთავრობისეული ვერსია

16. მთავრობის მტკიცებით, არეულობსას დაშავდა ოცზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე და სერიოზულად დაზიანდა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო ქონება.

17. თუმცა, მთავრობა არ ეთასმება განმცხადებლის ვერსიას მისოვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით. მთავრობამ მოიხმო შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები (იხ. ქვემოთ თავები B და C) და განაცხადა, რომ განმცხადებელმა დაზიანება მიიღო არა პოლიციელისა-გან, არამედ ბასრ საგანზე დავარდნის შედეგად.

## B. განმცხადებლისთვის აღმოჩენილი პირველადი სამედიცინო დახმარება

18. 2003 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებელი გადაიყვანეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების კლინიკაში. სამედიცინო ისტორიის თანახმად, მას დაუდგინდა “ჰემოფილური ტრავმა: მარჯვენა ქუთუთოს სისხლნაულენთი ჭრილობა”. სამედიცინო ჩანაწერში აღნიშნული იყო, რომ “განმცხადებელი დაშავდა 2003 წლის 16 ოქტომბერს, ქალაქში მომხდარი ცნობილი მოვლენებისას”.

19. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, 17 ოქტომბერს, განმცხადებელი გადაიყვანეს თვალის დაავადებათა ინსტიტუტში, ოფთალმოლოგიის სპეციალურ კლინიკაში. მიყვანისას მას დაესვა დიაგნოზი: “მარჯვენა თვალის სკლერის ძლიერი პერფორაცია... ჰიფემა [სისხლჩაქცევა თვალის კავლის კამერაში], ჰემოფილური ტრავმა ნაკერი ჭრილობა”. განმცხადებელმა ექიმებს უთხრა, რომ დაზიანება მიიღო პოლიციელის მიერ ხელკუტის დარტყმის შედეგად.

20. 2003 წლის 17 ოქტომბერს განმცხადებელს ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია. ოპერაციის მიუხედავად, მან სამუდამოდ დაკარგა მხედველობა მარჯვენა თვალში.

21. 2003 წლის 4 ნოემბერს განმცხადებელი საავადმყოფოდან განერეს. მისი მტკიცებით, რამდენიმე კვირის შემდეგ მარცხენა თვალში მხედველობის სწრაფი გაუარესება დაეწყო.

## C. სისხლის სამართლის გამოძიება

### 1. სარჩელი და განმცხადებლის დაკითხვა

22. 2004 წლის 24 თებერვალს განმცხადებელმა მთავარ პროკურატურას მიმართა სისხლის სამართლის სარჩელით, რომელშიც ითხოვდა მასზე მოძალადე პოლიციელის იდენტიფიკაციასა და დასჯას. მან ასევე დააყენა შუამდგომლობა, რომ მისთვის მიენიჭებინათ “დაზარალებულის” სტატუსი (zərər çəkmiş şəxs) (შუამდგომლობის დაყენების თარიღი დაუზუსტებელია).

23. ამ დროისათვის მთავარ პროკურატურას უკვე აღძრული ჰქონდა სისხლის სამართლის საქმე 2003 წლის 16 ოქტომბერს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებზე. აღმოჩნდა, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ, სავარაუდოდ, დემონსტრანტთა დანაშაულებსა და არ მოიცავდა პოლიციელთა არც ერთ სავარაუდო დარღვევას ამ მოვლენებისას. განმცხადებლის საჩივარზე ახალი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და მისი წერილი დაურთეს ზემოხსნებულ სისხლის სამართლის საქმეს.

24. 2004 წლის 13 და 16 მარტს განმცხადებელი მონაბის (და არა “დაზარალებულის”) სტატუსით დაკითხა გამომძიებელმა. განმცხადებლის წევნების თანახმად, 2003 წლის 16 ოქტომბერს იგი გავიდა ზღვისპირა პარკში (რომელიც ესაზღვრება როგორც ხალიჩის სახელმწიფო მუზეუმის, ასევე აზადლიქის მოედნის მიმდებარე გზას) და სკამზე ჩამოჯდა გაზეთის წასაკითხად. დახლოებით 2-ის ნახევრისთვის მან პარკში დაინახა 200-მდე ადამიანი, რომლებიც ლოზუნგების შეძახილებით არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ. იგი ამ ჯგუფს შეუერთდა, რადგან თვითონაც უკმაყოფილო იყო არჩევნების შედეგებით. ჯგუფს მიუძღვიდნენ ჯერ ხალიჩის სახელმწიფო მუზეუმის, იქიდან კი აზადლიქის მოედნის მიმართულებით.

ბრძოლად დაახლოებით 15-20 ადამიანი გზად ყველაფერს ანადგურებდა, ზოგიერთი მუზეუმთან განლაგებულ პოლიციელებს დაესხა თავს. განმცხადებელი და ბევრი სხვა ადამიანი ზემოხსენებული ჯგუფიდან ახალგაზრდებს მსგავსი ქმედებებისთვის კიცხავდნენ. როდესაც იგი მიუახლოვდა აზადლიქის მოედანს, ნახა, რომ იქ მეტ ადამიანს მოეყარა თავი, იყვნენ პაოზიციის ლიდერებიც. მან ასევე დაინახა, რომ მოედნის ერთ კუთხეში იკრიბებოდნენ მეამბოხეთა პოლიციისა და სამხედრო მოსამსახურები. მას არ გაუგონია პოლიციელთა და სამხედრო პირთა მხრიდან არც ერთი მონიდება შეკრებილი ხალხის მისამართით, რომ დაშლილიყვნენ და მოედანი დაეტოვებინათ. მოულოდნელად ბრძოსა და პოლიციას შორის შეტაკება დააწყო. დემონსტრაციულებს ქვებს, ხის ნაჭრებსა და მეტალის ნივთებს ესროდნენ, მათ კი დემონსტრაციებს რეზინის ხელკეტებით ცემა დაუწყეს. პოლიციელებმა უპირატესობა მოიპოვეს, ხალხი პანიკაში ჩავარდა და დაიქსაქსა.

## 25. განმცხადებელი აგრძელებს:

“...შინ წასვლა მინდოდა. ხეებს შორის მივდიოდი [აზადლიქის მოედნის ერთ-ერთ კუთხეში], როდესაც ჩემს უკან მორბენალი ადამიანები დამეჯახენენ და მიწაზე დავვარდი... იქვე მდგომ პოლიციელს, რომელსაც ჩატუტი ეფარა, უნიფორმა ეცვა და ფარითა და ხელკეტით იყო აღჭურვილი, წამოდგომაში დახმარება ვთხოვე. დახმარების ნაცვლად, მან მარჯვენა თვალის არეში ხელკეტი ჩამარტყა. თვალი ცრემლით ამევსო და როცა ვკითხე, რა დავუშავე და რისთვის მცემდა, დავინახე, როგორ ასწია ხელი, ჩემთვის კვლავ რომ ჩაერტყა. ამ დროს ვიგრძენი, რომ იქვე მდგომა სხვა პოლიციელებმა მას რაღაც გადაულაპარაკეს და ყველა მათგანი მომშორდა. მათი სამხრების გარჩევა ვერ შევძელი. ვერ შევძლებ ჩემზე მოძალადე პოლიციელისა და იქვე მდგომ სხვა პოლიციელთა ამოცნობას. შესაძლებელია, იქვე მყოფმა სხვა სამოქალაქო პირებმა შეძლონ, მაგრამ არ ვიცი, ვინ გახდა ამ ინციდენტის მოწმე. ჩემით წამოვდექი და მივლასლასებდი №259-ე აფთიაქისაკენ, როცა უცნობმა მოხუცმა კაცმა ხელი შემაშველა და აფთიაქამდე მიმიყვანა სამედიცინო დახმარების მისაღებად. უცნობმა აფთიაქში შემიყვანა და წავიდა. აფთიაქი სისხლით იყო მოსვრილი, შიგ იყვნენ დაშავებული სამოქალაქო პირები. ამ დროს სამხედროები მოუახლოვდნენ აფთიაქს და ფანჯარაზე კაკუნი დაიწყეს. ჭაღარა მოხუცმა ქალმა, რომელიც აფთიაქში მუშაობდა, სამხედროები გაკიცა. I.G.-ზ, რომელიც ვიცანი, რადგან სატელევიზიო უურნალისტი იყო, კარი შიგნიდან გააღო თუ არა, ერთ-ერთმა სამხედრო პირმა ხელკეტი მოუქნია, თუმცა, ააცილა. მიზეზი, რის გამოც I.G. გარეთ გასვლას ცდილობდა, ის იყო, რომ დაშავებულთათვის სასწრაფოს გამოძახება სურდა. რაღაც დროის შემდეგ სასწრაფომ საავადმყოფოში გადაგვიყვანა... საავადმყოფოში წარბის ჭრილობაზე ნაკერები დამადეს და მეორე დღეს თვალის დაავადებათა ინსტიტუტში გადამიყვანეს... იქ გამიკეთეს ოპერაცია, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა... თუმცა, ოპერაციამ არ მიშველა და მარჯვენა თვალით სრულიად დავპრმავდი...”.

## 2. ექსპერტიზის პირველი დასკვნა

26. 2004 წლის 21 მარტს გამომძიებელმა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა განმცხადებლის დაზიანებებზე. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტიზისა და პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ექსპერტის 2004 წლის 28 ივლისის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის (“ექსპერტიზის პირველი დასკვნა”) თანახმად, ექსპერტიზა ჩატარდა 2004 წლის 24 მარტიდან 2004 წლის 28 ივლისამდე.

27. ექსპერტიზის პირველი დასკვნა რვა გვერდი იყო და ძირითადად შედგებოდა განმცხადებლის სამედიცინო ისტორიების ამონარიდებისაგან. *Inter alia* დასკვნა შემდეგი შინაარსის დაზიანებას აღწერდა:

“მარჯვენა თვალის კაკალი დაგინროებულია და იგი ღრმადარი თვალებულები. დარღვეულია სიმეტრია მარჯვენა და მარცხენა თვალებს შორის და კვლავ რჩება დეფორმირებულად. მარჯვენა თვალის რქოვანა შემცირებულია მარცხენასთან შედარებით. მისი წინა სფერული ფორმა დეფორმირებულია. შეინიშნება ნაჭრილობები რქოვანის ზედა ნაწილზე. მარჯვენა თვალის გუგის მრგვალი სფერო დეფორმირებულია და თეთრი ნაწილაკებითაა დაფარული. მარჯვენა ქუთუ-თოზე შეინიშნება დახრილი, მოთეთრო ნაჭრილობები 3X0.5 ზომით.”

28. დასკვნის თანახმად, სამედიცინო ისტორიებსა და დიაგნოზზე დაყრდნობით, განმცხადებელმა ნამდვილად მიიღო ტრავმა მარჯვენა თვალზე, რამაც გამოიწვია მისი სახის ფორმის შეუქცევადი დეფორმაცია. ამით საფრთხე არ ექმნება მის სიცოცხლეს, მაგრამ კვალიფიცირდება, როგორც ძალზე საზიანო განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის. დასკვნაში აღინიშნა, რომ “[სელმისანვ-დომ მასალებზე დაყრდნობით], გამორიცხული არ არის, რომ ეს დაზიანებები მიყენებული იყოს 2003 წლის 16 ოქტომბერს ვიწრო, მყარი, ბლაგვი ნივთის შემორტყმის შედეგად... განმცხადებლის მიერ აღწერილ ... ან სხვა გარემოებებში”. თუმცა, ექსპერტმა ვერ შეძლო განსაზღვრული დასკვნის დადება დაზიანების გამომწვევ მიზანებზე და აღინიშნა, რომ ამგვარი დასკვნის გაკეთებას შეძლებს მხოლოდ ოფთალმოლოგის ექსპერტთაგან შემდგარი სამედიცინო საბჭო.

29. სამედიცინო საექსპერტო კვლევის დასრულებამდე, 2004 წლის 25 მაისს განმცხადებელმა წერილით მიმართა მთავარ პროკურორს, რომელშიც ჩიოდა, რომ *inter alia* გამომძიებელმა, სამედიცინო ექსპერტიზის დასანიშნად საჭირო ფორმა-ლურ პროცედურათა დაცვის ნაცვლად, უბრალოდ წერილით შეატყობინა, რომ მის საქმეზე ტარდებოდა სამედიცინო ექსპერტიზა. იგი ასევე ჩიოდა, რომ დანიშნულმა სამედიცინო ექსპერტმა დასკვნის გაკეთება და სხვადასხვა ტექსტით თავი აარიდა დაზარალებულის ცალკე გამოკვლევას. 2004 წლის 21 ივლისს განმცხადებელმა მთავარ პროკურორს მიმართა მეორე წერილით, რომელშიც იმეორებდა ზემოხსენებული წერილის ტექსტს. არც ერთს პასუხი არ მოჰყოლია.

30. განმცხადებლის თქმით, მას არ უნახავს ექსპერტიზის პირველი დასკვნა, სტრასბურგის სასამართლოში წინამდებარე სამართლარმოების შესაბამისად, მთავრობის წერილობითი მიმოხილვის მიღებამდე.

### 3. ექსპერტიზის მეორე დასკვნა

31. 2004 წლის 13 სექტემბერს, გამომძიებლის გადაწყვეტილებით, მეორე სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტებს *inter alia* შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი:

“4. ქალბატონი მურადოვას მიერ მარჯვენა თვალში მხედველობის დაკარგვა თავდაპირველმა დაზიანებამ გამოიწვია თუ შემდგომი სამედიცინო მცურნალობისას დაშვებული შეცდომის შედეგი იყო.

5. ქალბატონმა მურადოვამ ტრავმა მის მიერ აღწერილ გარემოებებში მიიღო – ანუ პოლიციელის მიერ სელექტის ჩატუმით – თუ ინციდენტისა დაცემით.”

32. 2004 წლის 25 ოქტომბრის სამედიცინო დასკვნის თანახმად (“სამედიცინო ექსპერტიზის მეორე დასკვნა”), ექსპერტიზა ჩატარებულია 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2004 წლის 22 ოქტომბრამდე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტიზისა და პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ოთხი ექსპერტის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი ოფთალმოლოგი იყო.

33. სამედიცინო ექსპერტიზის მეორე დასკვნა 7 გვერდისგან შედგებოდა და თითქმის მთლიანად იმეორებდა პირველი ექსპერტიზის დასკვნასა და სამედიცინო ისტორიების ჩანაწერებს. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელმა სათანადო სამედიცინო დახმარება მიიღო როგორც სასწრაფო დახმარების კლინიკაში, ასევე თვალის დაავადებათა ინსტიტუტში და სამედიცინო პერსონალს შეცდომა არ დაუშევია.

34. დასკვნა არ მოიცავდა ანალიზს განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანებების მიზეზებზე.

35. საექსპერტო დასკვნის ბოლო ნაწილში შემდეგი პასუხებია გაცემული დასმულ კითხვებზე (იხ. ზემოთ პუნქტი 31):

“4. ქალბატონმა მურადოვამ მარჯვენა თვალში მხედველობა დაკარგა მიყენებული დაზიანების შედეგად;

ქალბატონი მურადოვას სხეულზე არ აღმოჩენილა ისეთი დაზიანება, რომელიც ტიპური იქნებოდა პოლიციის ხელკეტით მიყენებული დაზიანებისა”.

36. განმცხადებლის მტკიცებით, მას არ უნახავს ექსპერტიზის მეორე დასკვნა, სტრასტურგის სასამართლოში წინამდებარე სამართალწარმოების შესაბამისად, მთავრობის წერილობითი მიმოხილვის მიღებამდე.

#### 4. სისხლის სამართლის გამოძიების შეწყვეტა

37. 2004 წლის 26 ნოემბერს, გამომძიებლის გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

38. ამ გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებლის გარდა, მის საქმეზე კიდევ რვა მოწმე დაიკითხა. ჩატარდა ამოცნობის პროცედურა, რვავე მოწმეს აჩვენეს განმცხადებლის ფოტოსურათი, იგი ვერც ერთმა ვერ იცნო.

39. მოწმეთაგან ექვსი პოლიციელი იყო, რომლებიც 2003 წლის 16 ოქტომბერს, არასანქცირებული დემონსტრაციის დაშლისას, აზადლიქის მოედანსა ან მის მიღებარე ტერიოტორიაზე იმყოფებოდნენ. მათი ჩვენების თანახმად, ისინი არ იცნობდნენ განმცხადებელს, მისთვის ხელკეტი არ ჩაურტყამთ და არც დაუნახავთ, რომ რომელიმე პოლიციელი 2003 წლის 16 ოქტომბრის მოვლენებისას ქალს ხელკეტით სცემდა. მათივე ვარაუდით, განმცხადებელმა თვალი დაიზიანა აზადლიქის მოედნიდან გაქცევისას ან უკნიდან ბრბოს შეჯახებით დაცემისას.

40. დანარჩენი ორი მოწმე, A.V. და R.G. №259-ე აფთიაქის თანამშრომლები იყვნენ, ორივე მამაკაცი. მათი ჩვენების თანახმად, ისინი სამსახურში იმყოფებოდნენ 2003 წლის 16 ოქტომბერს და იმ დღეს აფთიაქში დაზიანებებით მიყვანილი ქალი არ უნახავთ, ვერ ცნობდნენ განმცხადებელს და არ დაუნახავთ, როგორ მიიღო მან დაზიანებები.

41. გადაწყვეტილებაში აგრეთვე აღინიშნა: განმცხადებლისთვის, ამოცნობის მიზნით, 2003 წლის 16 ოქტომბერს აზადლიქის მოედანზე მყოფი არც ერთი

პოლიციელი და სამხედრო პირი არ ნარუდგენიათ, რადგან მან თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ ვერ შეძლებდა მასზე მოძალადე პირის ამოცნობას.

42. ამას გარდა, გამომძიებელი მიუთითებდა, რომ სამედიცინო ექსპერტიზის მეორე დასკვნის თანახმად, „განმცხადებლის ტრავმა დაცემისა და ძირს, ბლაგვ საგანზე თავის დაკვრის შედეგი იყო, და რომ მის სხეულზე არ აღმოჩენილა ისეთი დაზიანება, რომელიც ტიპური იქნებოდა პოლიციის მიერ ხელკეტით მიყენებული დაზიანებისა”.

43. გამომძიებელმა დაასკვნა, რომ ვერ დგინდებოდა პოლიციელის მიერ განმცხადებლის ხელკეტით ცემის ფაქტი და დაადგინა, რომ განმცხადებელი დაზიანდა თავისივე ქმედებების შედეგად. შესაბამისად, დადგინდა, რომ არ მომხდარა სისხლის სამართლის დანამაული (cinayet hadisəsinin olmaması) და განმცხადებელს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე – „მსხვერპლად“ ელიარებინათ. გამომძიებელმა, აღნიშნულ მიზეზებზე დაყრდნობით, გადაწყვიტა განმცხადებლის სარჩელის საფუძველზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტა.

44. მთავრობის თანახმად, განმცხადებელს 2004 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა. განმცხადებლის თქმით, მისთვის ამ გადაწყვიტილების შესახებ არასოდეს უცნობებიათ.

#### D. სამოქალაქო სამართალწარმოება

45. პარალელურად, განმცხადებელმა 2004 წლის მარტში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელით მიმართა საბაილის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც ფულად კომპენსაციას ითხოვდა მიყენებული ზიანისათვის. 2004 წლის მარტში საბაილის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა საქმის განხილვაზე. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმებში კომპენსაციის მოთხოვნისას მოსარჩელეს ფინანსთა სამინისტრო უნდა მიეთითებინა თანამოპასუხედ და სარჩელი ნაზიმის საქალაქო სასამართლოში შეეტანა.

46. განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა ნაზიმის საქალაქო სასამართლოს (სარჩელის შეტანის თარიღი დაუზუსტებელია), რომელშიც თანამოპასუხებად მიუთითა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები და მიყენებული ზიანისათვის კომპენსაცია მოითხოვა.

47. 2004 წლის 18 მაისის ნერილით, მთავარმა პროკურატურამ ნაზიმის საქალაქო სასამართლოს აცნობა, რომ განმცხადებლის ბრალდებათა საფუძველზე დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.

48. 2004 წლის 7 ივნისს ნაზიმის საქალაქო სასამართლოში საქმის პირველი მოსმენა გაიმართა, რომელზეც მოსამართლემ მხარეთა პოზიციები მოისმინა. განმცხადებელმა ისაუბრა ფაქტზე, რამაც მისი უსინათლობა გამოიწვია და თავისი მოთხოვნა კვლავ დააფიქსირა. პირველი მოპასუხის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადვოკატმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის სარჩელი კვლავ საგამოძიებო ორგანოების მოკვლევის საგანი იყო. მან ასევე დასძინა, რომ პოლიცია უფლებამოსილი გახლდათ, 2003 წლის 16 ოქტომბერს ბრძოს წინააღმდეგ იალისთვის მიემართა, რადგან მანიფესტაცია არსანქციორებული იყო და მისი მონაბილეები საჯარო წესრიგს არღვევდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატის მტკიცებით, პოლიციელებს ამ ქალბატონისათვის ზიანი არ მიუყენებიათ და მოსარჩელის ბრალდებები უსაფუძვლო იყო. ფინანსთა სამინისტროს ადვოკატი პირველი მოპასუხის ადვოკატის შესაგებელს დაეთანხმა.

49. 2004 წლის 18 ივნისს ნაზიმის საქალაქო სასამართლომ მოისმინა სამი მოწმის ჩვენება, რომლებმაც განმცხადებლის სასარგებლო ჩვენებები მისცეს.

50. ბატონი I.G.-ს (მამაკაცი, რომელსაც განმცხადებლი ახსენებდა თავის ჩვენებაში, იხ. ზემოთ 25-ე პუნქტი) ჩვენების თანახმად (სასამართლოსთვის მიწოდებულ ამონარიდში გამოტოვებულია ადვოკატების შეკითხვები ჯვარედინი დაკითხებისას, თუმცა, ჩანაწერში იკითხება მოწმეთა პასუხები ამ კითხვებზე):

„2003 წლის 16 ოქტომბერს მ. მურადოვა №259-ე აფთიაქში ვნახე, იგი დაჭროლი იყო მარჯვენა თვალში. ამ დროს რამდენიმე პოლიციელმა სცადა აფთიაქში შემოჭრა და როცა კარის გაღება მოვისურვე, მათ ჩემთვის ჩარტყმაც სცადეს. მე არ დამინახავს, თუ ვინ სცემა მ. მურადოვა და ამაზე ვერაფერს ვიტყვი.

[განმცხადებლის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხები:]

- არა, არ დამინახავს პოლიციელის მიერ მოსარჩელე მ. მურადოვასთვის ჩარტყმის ფაქტი.
- დიახ, იმ დღეს გამოვიძახე სასწრაფო დახმარების მანქანა, რადგან მ. მურადოვა დაშავებული იყო.
- დიახ, აზადლიქის მოედანზე მ. მურადოვა რომ დავინახე, მას თვალი უკვე დასიებული ჰქონდა და სისხლით იყო მოსვრილი.
- დიახ, აფთიაქის კარი რომ გავალე, [მათ] უნდოდათ ჩემთვის ჩაერტყათ, მაგრამ დარტყმა ავიცილე კარის სწრაფად დახურვით.
- [მოპასუხის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხი:]
- არა, არ დამინახავს მოსარჩელე მ. მურადოვასთვის პოლიციელის მიერ ჩარტყმის ფაქტი.“

## 51. ქალბატონი A.A.-ს ჩვენება:

„2003 წლის 16 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათისათვის, აზადლიქის მოედანზე ხალხმა შეერება დაიიწყო. ამ დროს მთავრობის სახლთან ვიმყოფებოდი [მდებარეობს აზადლიქის მოედანზე] და დავინახე აზადლიქის მოედანზე შეკრებილმა პოლიციისა და სპეცდანიშნულების ძალებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე როგორ დაუწყეს ხალხს ხელკეტებით ცემი, იქ ვიყავე და დავინახე მოსარჩელე, რომლის სახელიც მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, იგი უკინიდან დაჯახების [ბრძოს მიერ] შედეგად მინაზე დაეცა და მე დავინახე შავ უნიფორმაში ჩაცმული პოლიციელები, რომელთაც ეფარათ ჩაფხუტები და აღჭურვილი იყვნენ ხელკეტებით. მან [განმცხადებელმა] პოლიციის ოფიცრებს ხელი გაუწოდა და წამოდგომაში დახმარება სთხოვა, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა მარჯვენა თვალში მთელი ძალით ჩაარტყა ხელკეტი. როცა პოლიციელმა სცადა, ქალის-თვის მეორედაც ჩაერტყა, განმცხადებელმა თავის განევით აირიდა მოქმედული ხელკეტი. შემდეგ რამდენიმე სამოქალაქო პირმა იგი №259-ე აფთიაქში წაიყვანა, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. მას აფთიაქში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოჩენეს და შემდეგ სხვა დაზიანებულებთან ერთად სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს.

[განმცხადებლის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხები:]

- დიახ, 2003 წლის 16 ოქტომბერს აზადლიქის მოედანზე შეკრებილთა შორის ვიყავო.
- დიახ, მ. მურადოვა, რომელსაც მანამდე არ ვიცონდი, იმ დღეს იქ იყო.
- დიახ, 2003 წლის 16 ოქტომბერს დავინახე, როგორ დაეცა მ. მურადოვა მინაზე და როგორ ჩაარტყა ერთ-ერთმა პოლიციელმა ხელკეტი.
- დიახ, მ. მურადოვას თვალი დაუზიანდა პოლიციელის მიერ ხელკეტის ჩარ-

ტყმის შედეგად.

- დიახ, მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს იქვე მდებარე „მწვანე აფ-თიაქში“ და სასწავლო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. [მოპასუხის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხები:]
- არა, ვერ შევძლებდი იმ პოლიციელის ამოცნობას, რომელმაც მ. მურადოვას ჩაარტყა.
- დიახ, ვიცნობდი G.G.-ს მანამდე, მაგრამ მ. მურადოვა იმ დღეს აზადლიქის მოედანზე ვნახე პირველად.“

## 52. ქალბატონი G.G.-ს ჩვენება:

„მოსარჩელეს მანამდე არ ვიცნობდი. 2003 წლის 15 ოქტომბერს №246-ე უბანზე ვაკევირდებოდი არჩევნების მიმდინარეობას. 16 ოქტომბერს, დაახლოებით დღის 2-3 საათზე, აზადლიქის მოედანზე დავინახე, როგორ დაეცა მინაზე მ.მურადოვა და იქვე მდგომ ჩაფიქრიან და ხელკეტიან პოლიციელებს სთხოვა, მისთვის არ დაერტყათ, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა მ. მურადოვას ხელკეტი ჩაარტყა, რის შედეგადაც მას თვალი დაუზიანდა. მე განმცხადებლისათვის წამალი „მწვანე აფთიაქში“ ვიყიდე.

- [განმცხადებლის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხები:]
- დიახ, 2003 წლის 16 ოქტომბერს დავინახე, როგორ დაეცა მ. მურადოვა მინაზე. ამ ქალბატონის სახელი მოგვიანებით შევიტყვე.
  - დიახ, 2003 წლის 16 ოქტომბერს აზადლიქის მოედანზე ერთ-ერთმა პოლი-ციელმა ხელკეტი ჩაარტყა მ. მურადოვას მარჯვენა თვალის არქში.
  - არა, მანამდე მ. მურადოვას არ ვიცნობდი.
  - დიახ, მ. მურადოვა ერთმა კაცმა მოიყვანა. დავინახე, რომ თვალი ჩა-სისხლიანებული ჰქონდა.

- [მოპასუხის ადვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვით მიღებული პასუხი:]
- დიახ, მითხრეს, რომ წამალი, რომელიც მ. მურადოვას სჭირდებოდა, იქვე მდებარე „მწვანე აფთიაქში“ ჰქონდათ.“

53. იმავე დღეს, 2004 წლის 18 ივნისს, ნაზიმის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს სასარჩელო მოთხოვნაზე უარი უთხრა. სასამართლომ, მოსარ-ჩელის სამედიცინო ისტორიის გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ განმცხადებელს თვალი დაუზიანდა. თუმცა, მისი აზრით, მოსარჩელემ ვერ შეძლო იმ ბრალდე-ბის დასაბუთება, რომ დაზიანება პოლიციელმა მიაყენა. კერძოდ, სასამართლომ მოწმეთა ჩვენებები შემდეგნაირად შეაფასა:

„სასამართლომ მოისმინა მოწმის G.G.-ს ჩვენება, რომლის თანახმადაც იგი მა-ნამდე პირადად არ იცნობდა მ. მურადოვას. ... 2003 წლის 16 ოქტომბერს, და-ახლოებით დღის 14:00-15:00 საათზე, მან დაინახა, როგორ დაეცა მ. მურადოვა მინაზე და როგორ სთხოვა ნიბიან, ხელკეტებით შეიარაღებულ პოლიციელებს, მისთვის არ დაერტყათ. თუმცა, ერთ-ერთმა პოლიციელმა მ. მურადოვას ხელკე-ტი ჩაარტყა. შედეგად, მ. მურადოვას თვალი დაუზიანდა. [მოწმემ] მ. მურადოვას-თვის „მწვანე აფთიაქში“ წამალი შეიძინა.“

მოწმემ, ქალბატონმა A. A.-მ ანალოგიური ჩვენება მისცა.

მოწმის, ბატონი I.G.-ს ჩვენების თანახმად, 2003 წლის 16 ოქტომბერს მან №259-ე აფთიაქში ნახა მ. მურადოვა, რომელსაც თვალი ჰქონდა დაზიანებული. ... მას არ უნახავს, ვინ სცემა მ. მურადოვა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის საპროცესო კოდექსის მუხლი 77.1 თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია, თავისი მოთხოვნების გასამყარებლად წარმოდგენილი ნებისმიერი ბრალდება დამტკიცოს.

სასამართლო განხილვაზე მ.მურადოვამ ვერ შეძლო თავისი სასამართლო მოთხოვნის ბრალდებათა დამტკიცება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესზე მოსმენილი მოწმეთა ჩვენებები ვერ ჩაითვლება განმცხადებლის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად.

ზემოხსენებულის შეფასებით, სასამართლო ასკვის, რომ სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაუსაბუთებლობის გამო.

54. 2004 წლის 17 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებითი შესწავლის გარშემონა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო მისი ბრალდებების დასაბუთება.

55. 2005 წლის 2 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონიდებლობა

### A. ძალის გამოყენება

#### 1. 1999 წლის 8 ოქტომბრის კანონი პოლიციის შესახებ

56. პოლიციელს უფლება აქვს, დამნაშავესთან მიმართებით გამოიყენოს სპეციალური აღჭურვილობა *inter alia* ბუნტის ან მასობრივი დაუმორჩილებლობისას (მუხლი 26. II). „სპეციალური აღჭურვილობა“ გულისხმობს ხელკეტებს, ხელბორკილის სახეობებს, ცრემლსადენ გაზს, რეზინის ტყვიებს, წყლის ჭავლს და სხვა საშუალებებს (მუხლი 1). ფიზიკური ძალა, სპეციალური აღჭურვილობა ან ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას, საფრთხის პროპორციულად. ამგვარი აბსოლუტური აუცილებლობის დროს გამოყენებული ფიზიკური ძალის, სპეციალური აღჭურვილობის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად, ადამიანის გარდაცვალება არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად (მუხლი 26. II). პოლიციის შესაბამისმა ორგანომ თითოეულ ამგვარ ინციდენტზე, როცა გამოიყენებულია ფიზიკური ძალა, სპეციალური აღჭურვილობა თუ ცეცხლსასროლი იარაღი, მოკვლევა უნდა ჩაატაროს და ამ საშუალებათა გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვას (მუხლი 26. VII). პოლიციელის მიერ ძალის უკანონო გამოყენება წამოჭრის მისი პასუხისმგებლობის საკითხს შესაბამისი კანონმდებლობით (მუხლი 26. IX).

57. პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური აღჭურვილობა ან ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას ან თავდაცვის საჭიროებისას – მას შემდეგ, რაც ყველა სხვა იძულების საშუალება უშედეგოდ დასრულდება – და დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით (მუხლი 27.I.1.). ფიზიკური ძალის, სპეციალური აღჭურვილობის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაზარალებულ ადა-

მიანებს უნდა აღმოუჩინონ პირველადი სამედიცინო დახმარება (27.I.5.). პოლი-ციელმა შესაბამის ორგანოს წერილობით უნდა აცნობოს იმ გარემოების შესახებ, რომელშიც ფიზიკური ძალა, სპეციალური ალტურვილობა ან ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა (მუხლი 27.I.7). ძალის ამგვარი გამოიყენების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს შესაბამის პროკურორს 24 საათის განმავლობაში (მუხლი 27.I.8).

2. 1994 წლის 8 თებერვლის კანონი შიდა საჯარისო ერთეულების სტატუსის შესახებ

58. სამხედრო მოსამსახურეებმა წინასწარ უნდა შეატყობინონ მათ მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური ალტურვილობის, ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო ალტურვილობის გამოყენების განზრახვის შესახებ და მეორე მხარეს საკმარისი დრო უნდა მისცენ, დაემორჩილოს მათ მოთხოვნებს, ვიდრე ძალის ამგვარ გამოყენებას მიმართავენ. თუმცა, გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა ასეთი წინასწარი შეტყობინება უდრობა ან შეუძლებელია, ან როცა ძალის გამოყენების დაგვიანებით საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ან გამოიწვევს სხვა მნიშვნელოვან შედეგებს. სამხედრო მოსამსახურეები ვალდებული არიან, პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულებს და შესაბამის პროკურორს აცნობონ ნებისმიერი სახის დაზიანების, ან გარდაცვალების შესახებ, ძალის გამოყენებას რომ მოჰყვა. სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ძალის გამოყენება უფლებამოსილების გადამეტებით, მათი პასუხისმგებლობის საკითხს წამოჭრის შესაბამისი კანონმდებლობით (მუხლი 19).

59. საჭიროების შემთხვევაში, მასობრივი დაუმორჩილებლობისას, დასაშვებია შემდეგი სპეციალური ალტურვილობის გამოყენება: რეზინის ხელკეტები, ცრე-მლსადენი გაზი, სინათლისა და ხმის გამომცემი სპეციალური მოწყობილობები, წყლის ჭავლი, ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალებები და განვრთნილი ძალები (მუხლი 21).

## B. სისხლის სამართლის პროცესი

60. 2000 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39.1.1 და 41.1 მუხლების თანახმად, სისხლის სამართალწარმოება არ უნდა დაიწყოს და, თუ დაწყებულია, უნდა შეწყდეს წინასწარი გამოძიების ეტაპზე, თუ დადგინდა, რომ დანაშაული არ მომხდარა (cinayət hadisəsi olmadıqda).

61. თუ არსებობს საქმარისი საფუძველი საიმისოდ, რომ პირს მიადგა პირდაპირი მორალური, ფიზიკური ან მატერიალური ზიანი სისხლის სამართლით აღწერილი ქმედების შედეგად, ეს პირი უნდა ჩაითვალოს „დანაშაულის მსხვერპლად“ (zərər çəkməş şəxslər) (მუხლი 87.1). თუ სისხლის სამართალწარმოების დაწყებისას პირის „დანაშაულის მსხვერპლად“ აღიარებისთვის საკმარისი საფუძვლები არ არსებობს, „დანაშაულის მსხვერპლის“ სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება უნდა მიიღონ (წინასწარი მოკვლევის სტადიაზე გამომძიებლმა, გამომძიებლმა, პროკურორმა ან სასამართლომ) როგორც კი ამგვარი საფუძვლების არსებობა დადგინდება (მუხლი 87.4).

62. „დანაშაულის მსხვერპლს“ აქვს *inter alia* შემდეგი საპროცესო უფლებები: სისხლის სამართლის საქმეს დაურთოს მასალები; წინასწარი გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს კერძო გამოძიების სტატუსი; საგამოძიებო ორგანოს

յմեցեցի յժկյացեմ դապեցնով; դապեցնով մշամացօմլոցի; եղու մուշնցացեցոց սայմու մասալոցս դա հանաճրուցի; ոյով ոնցորմուրուցուլու դա մուտքացնու և սախլու սագամոնցու որցանու սապրոցես ցագանցպացուլուցաւ ալուցի (և սեխլու սամարտալնարմուցի շենցպացու ցագանցպացուլուցի հատցանու); ցասահիցըրու սապրոցես յմեցեցի ան ցագանցպացուլուցի դա սեզա (մուշելու 87.6). ամուսնու ցանեազացու, սամարտալնարմուցի մունթու սուտալու մոնանուլու პորս եղու մուշնցացեմ սայմու մի մասալոցս դա հանաճրուցի, րոմլուցու մաս յյացիրուցու (մուշելու 95.6.8).

63. և սեխլու սամարտալնարմուցի մեարցեմ (ացրեաց սեզա პորցի; րոմլուցու սամարտալնարմուցի մոնանուլուն և սեխլու սամարտլու սապրոցես յուցու ցանսաթլաւրուլ շեմուեցուցի) յուլուցամուսունու արուն, ցասահիցըրու և սեխլու սամարտլու սայմեցի ցագամուցու որցանու մուր մուլուցուլու սապրոցես յմեցեցի ան ցագանցպացուլուցի. նոնասեարու մուցլուց ցամոմմուցուլու սապրոցես յմեցեցի ան ցագանցպացուլուցի շեսամլու ցասահիցըրու չեցամեցզել քրույրորուտան, ամ յյանսանցնուցու յու ուրարշյուլագ նումքաց էրույրորուտան (մուշելու 122.2.1 դա 122.2.2). և սեխլու սամարտլու սապրոցես յուցու 449.3 մուշելու ցանսաթլաւրուլ նուցուրու ხասատու սապրոցես յմեցեմ ան ցագանցպացուլուցի (մուլուցու նոնասեարու մուցլուց ցամոմմուցուլու մաս յեցամեցզել քրույրորուտու մուր) շեսամլու ցասահիցըրու պորցագու չեցամեցզել սասամարտլունու (մուշելու 122.2.3).

64. և սեխլու սամարտլու սայմեցի ցագամուցու որցանու մուր մուլուցուլ սապրոցես յմեցեցի ան ցագանցպացուլուցի պորցագու չեցամեցզել սասամարտլունու ցասահիցըրու մաս յեցու պորցեմ: (1) ծրալուցուլու (յժկյմութանուլ) ան մու բարմումացցենուլ, (2) ջածարալուցուլ մեարց (ջածամայուլու մեցարուլ) ան մու բարմումացցենուլ դա (3) սեզա պորցի, րոմլու յուլուցուլուց դաորլու սագաց յմեցեցի ան ցագանցպացուլուցի (մուշելու 449.2). և սեխլու սամարտալնարմուցի շենցպացու շեսամեց ցագանցպացուլուցի շեուուցու ցասահիցըրու նուցու 449.3.5).

65. և սեխլու սապրոցես յուցու 264-272-յ մուշելու ացցենս քրույրուրու յյասպերգութունու հագրարցի մեամեց քրույրուրու 268.1.4-ու տանաեմագ, ջածամայուլու ծրալուցուլ ան յժկյմութանուլ պորտ յուլուց այցել ալուսպերգութունու “ դա մուտեռունու ամ յյասպերգութունու շեցուցու դարտցա սուսեխլու սամարտլու սայմեցի.

### C. սամոյալայու սամարտալնարմուցի

66. 2000 նու սամոյալայու սապրոցես յուցու մուշելու 77.1-ու մուեցու, սամոյալայու սամարտալնարմուցի տոտուրուլ մեարց ցալուցուլուց յյասըրցի, մուսու մուտեռունու մաս յացուցու մունթունու սացուցուլուց դամմուցու.

67. սամոյալայու սապրոցես յուցու մուշելու 245.1.4-ու տանաեմագ, մուսամարտլու ցալուցուլուա, շեսահիրու սամոյալայու սամարտալնարմուցի, տու շեյսպելուցուլուա սարհելու ցանեուլու մուտեռու ելում շեմուլու սեզա սացոնսամութուցու, սամոյալայու, և սեխլու ան ալմինու գրացուրու սամարտալնարմուցի դասրուլուցու.

68. սամոյալայու սապրոցես յուցու մուշելու 265.4-ու տանաեմագ, տու սասամարտլու սամոյալայու սարհելու ցանեուլու մուսու մունթունու պորտ նումեցի ալմուրենս սայմու մեարցի ան մեսամեց պորտ յմեցեցի ամու շեսամեց սպեցուալուրու դացցենուցու քացացու գորութեա (xüsusi qerardad) յունդ մումարտու սաթուցագութեա քրույրորուս.

### III. შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშები და დოკუმენტები

#### A. გაეროს მიერ მიღებული ძირითადი პრინციპები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით

69. სამართალდამცველი ორგანოების ქცევის კოდექსის (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 ნოემბრის 34/169 რეზოლუციით) შესაბამისი ამონარიდები ასე იკითხება:

##### მუხლი 3

„სამართალდამცველმა ორგანოებმა ძალა უნდა გამოიყენონ მხოლოდ მკაცრი აუცილებლობისას და მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში“.

##### მუხლი 5

„დაუშვებელია სამართალდამცველი პირის მიერ წამება ან სხვა სასტიკი, არა-ადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა, წაქეზება ან შეწყნარება. ასევე დაუშვებელია, სამართალდამცველმა პირმა მოიხმოს ზემდგომის ბრძანებები ან გამონაკლისი გარემოებები – როგორიცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საფრთხე, ეროვნული უშიშროების საფრთხეში ყოფნა, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა საგანგებო მდგომარეობა – წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის გასამართლებლად.“

70. სამართალდამცველი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპების (მიღებულია კუბაში, ჰავანა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ გაეროს მერვე კონგრესის მიერ) შესაბამის ამონარიდებში ვითხულობთ:

„... 2. მთავრობებმა და სამართალდამცველმა ორგანოებმა გამოსაყენებელ საშუალებათა შეძლებისდაგვარად ფართო სია უნდა შეიმუშაონ და სამართალდამცველი პირები სხვადასხვა ტაბის იარაღითა და საბრძოლო მასალებით აღჭურვონ, რაც მათ საშუალებას მისცემს, დიფერენცირებულად გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი. ამაში მოიაზრება ქმედუნარიანობის შემზღვეველი არალეტალური იარაღის შემზავება შესაბამის სიტუაციებში გამოსაყენებლად, იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს სიკვდილის ან დაზიანების გამოიწვევ საშუალებათა გამოყენება. ამავე მიზნისთვის, სამართალდამცველ ორგანოებს უნდა შეეძლოთ, აღჭურვონ ისეთი დამცავი აღჭურვილობით, როგორიცაა ფარები, ჩაფეხტები, ტყვიაგაუმტარი უილეტები და სატრანსპორტო საშუალებები, რათა ნებისმიერი იარაღის გამოყენების საჭიროება შემცირდეს.“

3. ქმედუნარიანობის შემზღვეველი არალეტალური იარაღის შემუშავება და სამართალდამცველთა აღჭურვა სიფრთხილით უნდა იქნას შესწავლილი, რათა შემცირდეს ნეიტრალურ პირთა საფრთხეში ჩაგდების რისკი; ამგვარი იარაღის გამოყენება სიფრთხილით უნდა გაკონტროლდეს.

4. სამართალდამცველმა პირებმა თავიანთი უფლებამოსილების შესრულებისას მაქსიმალურად უნდა სცადონ, არაძალადობრივ საშუალებებს მიმართონ ძალისა

და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე.

5. როცა გარდაუვალია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, სამართალდამცველმა ორგანოებმა:

- (a) ძალისა და იარაღის გამოყენებისას შეზღუდვებს უნდა მიმართონ და იმოქმედონ დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად და კანონიერი მიზნის მისაღწევად;
- (b) უნდა შეამცირონ ზარალი და ზიანი და პატივი უნდა სცენ და გაუფრთხილდნენ ადამიანის სიცოცხლეს;
- (c) უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დაშავებულ ან დაზარალებულ პირს ადრეულ ეტაპზევე აღმოუჩინონ სამედიცინო და სხვაგვარი დახმარება...

6. როცა დაზიანება ან სიკვდილი გამოიწვია სამართალდამცველთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ, მათ ამის შესახებ სწრაფად უნდა აცნობონ თავიანთ ზემდგომთ, 22-ე პრინციპის შესაბამისად.

7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცველთა მიერ ძალისა და ცეცსლსასროლი იარაღის უკანონო ან უფლებამოსილების გადამეტებით გამოყენება მათი კანონმდებლობებით ისჯებოდეს როგორც სისხლის სამართლის დანამატებით.

8. დაუშვებელია გამონაკლისი გარემოებების – როგორიცაა შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა საგანგებო მდგომარეობა – მოხმობა ამ ძირითადი პრინციპებიდან გადასახვევად. ...

... 22. მთავრობებმა და სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა შექმნან მე-6 და მე-11 (f) პრინციპები აღნიშნული ფაქტების ეფექტიანი მოხსენებისა და განხილვის პროცედურები. მთავრობებმა და სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პრინციპების თანახმად მოხსენებულ ფაქტებზე არსებობდეს ეფექტიანი განხილვის პროცესი და, შესაბამის შემთხვევებში, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ან საგამოძიებო ორგანოებს შეეძლოთ იურისდიქციის განხირციელება. გარდაცვალების, მძიმე დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგების შემთხვევებში, დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოთ დეტალური ანგარიში ადმინისტრაციულ განხილვასა და სასამართლო კონტროლზე პასუხისმგებელ, უფლებამოსილ ორგანოებს.

23. ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაზარალებულ ადამიანებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დამოუკიდებელ პროცესზე, სასამართლო სამართლწარმოების ჩათვლით. ამგვარი ადამიანების დაღუპვის შემთხვევებში, ეს დებულება შესაბამისად გავრცელდება მათ შთამომავლებზე.

24. მთავრობებმა და სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ზემდგომ პირთა პასუხისმგებაში მიცემა, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფმა სამართალდამცველმა პირებმა უკანონოდ გამოიყენეს ან გამოიყენებდნენ ძალას ან ცეცხლსასროლ იარაღს და, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, არანაირი ზომებისთვის არ მიუმართავთ ზემოხსენებულის თავიდან ასაცილებლად, აღსაკვეთად ან შესაბამისი ორგანოს-თვის მოსახსენებლად.“

**B. საერთაშორისო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა სფეროს არასამ-  
თავრობო ორგანიზაციების ანგარიშები**

71. ამონარიდში ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მოვალეობათა და ვალდებულებათა დაცვის შესახებ კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი) ანგა-  
რიშიდან „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება აზერბაიჯანში“, რო-  
მელიც შესრულდა თანამომხსენებლების, ბატონი გროსისა და ბატონი მარტინეს  
კასანის მიერ (2004 წლის 12 იანვარი, დოკ. 10030), ვკითხულობთ:

**„D. არჩევნების შემდგომი მოვლენები**

34. არჩევნების დღეს, შუადღიდან, უსაფრთხოების ძალები მრავლად იყვნენ მუ-  
სავატის შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე. მუსავატის მომხრეებმა საღამოს პარ-  
ტიის ოფიცის წინ დაიწყეს შეკრება, რომელიც არასანქცირებული იყო, მაგრამ მშვიდობიანი. საარჩევნო უბნების დახურვიდან მაღვევ მუსავატის მომხრეებმა  
პარტიის ლიდერები გამარჯვებულად გამოიაცხადეს. დაიწყო მცირედი შეხლა-  
შემოხლა და დემონსტრაცია პოლიციელებმა მსნრაფლ ჩახშეს. უსაფრთხოების  
ძალებმა, რომლებიც პარტიის ოფიციში შესვლას ცდილობდნენ მისი წარმომადგენ-  
ლების დასაკავებლად, დემონსტრანტებზე ძალას მიმართეს, რასაც ძალისმიერი  
ბრძოლა მოჰყვა.

35. მეორე დღეს, როგორც კი გამოქვეყნდა წინასწარი მონაცემები, მუსავა-  
ტის პარტიამ შედეგები არარეალისტურად და გაყალბებულად გამოაცხადა და  
მომხრეებს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე დემონსტრაციისკენ მოუწოდა.  
დემონსტრანტებმა პოლიციის მანქანა მოიპარეს და მიმართეს პოლიციელების  
წინააღმდეგ, რა დროსაც პოლიციელი გარდაიცვალა. შეტაკებაში, რომელიც ამ  
ინციდენტს მოჰყვა, რამდენიმე ადამიანი – როგორც დემონსტრანტი, ასევე პო-  
ლიციელი – მძიმედ დაიჭრა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, შეტაკებისას ოთხი ადა-  
მიანი დაიღუპა.“

72. ამონაწერში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანი-  
ზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფიცის  
(OSCE/ODIHR) ანგარიშიდან, რომელიც მომზადდა 2003-2004 წლებში აზერბაი-  
ჯანში სასამართლოს მონიტორინგის პროექტის ფარგლებში (2005 წლის 4 თე-  
ბერვალი), ვკითხულობთ:

„არჩევნების შემდგომ მსნრაფლ, 15 და 16 ოქტომბერს, ბაქოში გაიმართა დე-  
მონსტრაციები, რასაც უსაფრთხოების ძალებსა და დემონსტრანტებს შორის ძა-  
ლისმიერი შეტაკება მოჰყვა.

15 ოქტომბრის საღამოს, პარტია მუსავატის შტაბის წინ, OSCE/ODIHR-ის არჩე-  
ვნებზე სადამკირვებლო მისის წევრებმა ნახეს, როგორ დაესხა თავს პოლიცია  
ოპოზიციის მომხრეებს. 16 ოქტომბერს ბაქოს ცენტრში აზადლიქის მოედანზე  
შეიკრიბა რამდენიმე ათასი დემონსტრანტი და ოპოზიციის მხარდამჭერი, რათა  
გაეპროტესტებინათ, მათი შეფასებით, მოპარული არჩევნები. მოედნისკენ მი-  
მავალ გზაზე თვითმხილველებმა ნახეს, როგორ ვანდალურად აზიანებდნენ დე-  
მონსტრანტები შენობებსა და მანქანებს და პოლიციის ძალებს ესროდნენ მეტა-  
ლის ფირფიტებსა და ქვებს. მოედანზე დემონსტრანტებს სწრაფად შემოარტყეს

ალყა პოლიციისა და უსაფრთხოების ძალებმა და განუსაზღვრელად დიდი ძალა იხმარეს ბრძოს დასაშლელად. თვითმხილველთა ცნობით, უსაფრთხოების ძალები დემონსტრაციებს ხელკეტებით სცემდნენ მას შემდეგ, რაც დაკავებდნენ და საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ, ან როცა მოედნიდან გაქცევას ცდილობდნენ. ვიდეოჩანანერებზე აღბეჭდილია მტკიცებულებები სამთავრობო ძალების მიერ ძალის გადამეტებისა და გამოყენებული სისასტიკის შესახებ, დემონსტრაციების დასაძლევად.

ძალადობას მოჰყვა დაკავებების ტალღა. თანამდებობის პირთა განცხადებით, დაკავევს პირები, რომლებიც მონანილეობდნენ ძალადობრივ ქმედებებში ან პასუხისმგებელი იყვნენ ძალადობის ორგანიზებაზე. .... შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ძალისმიერი შეტაკების შემდგომ დაკავეს 600-ზე მეტი ადამიანი. ....

არჩევნებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა უმრავლესობა მოგვიანებით ბრალდების გარეშე გაათავისუფლეს. ჯამში, არჩევნების შემდგომ შეტაკებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლებრივი ბრალი წაეყინა 129 ადამიანს, რომელთაგან ამ ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის 125 გასამართლდა. ....

წინამდებარე ანგარიშზე მუშაობისას OSCE/ODIHR-ისთვის ცნობილი არ გამხდა-რა არც ერთი საქმე, რომელშიც პოლიციელებს ან სხვა თანამდებობის პირებს წაეყინათ ბრალდება სისასტიკის ან დემონსტრაცითა მიმართ ძალის გადამეტებული გამოყენებისთვის.“

73. ამონარიდში ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის 2003 წლის ანგარიშიდან ვკითხულობთ:

„15 ოქტომბრის სალამის და მომდევნონ დღეს პოლიციასა (ასევე სამხედროებს) და მომიტინგებს შორის შეტაკება გადაიზარდა მასობრივ ძალადობრივ კონფრონტაციაში, რადგან თავიზიცია გაყალბებულ არჩევნებს აპროტესტებდა. პოლიციამ და სამხედროებმა აზადლიქის (თავისუფლების) მოედანს ალყა შემოარტყეს და მომიტინგების მიმართ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, პოლიციის ძალები და ხელკეტები. ისინი მომიტინგებს სასტიკად სცემდნენ მას შემდეგაც, რაც მიწაზე ცემოდნენ. დაშავდა ბევრი ადამიანი, მათ შორის, პრესის წარმომადგენლები. ასევე დაშავდა ბევრი პოლიციელიც. წინამდებარე ანგარიშის წერისას გარდაცვლილთა რაოდენობა ჯერ გაურკვეველი იყო. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, გარდაიცვალა 2 ან 4 ადამიანი, დაშავდა ათობით, მათ შორის ხუთი წლის ბავშვი. აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მასობრივი დაუმორჩილებლობა წააქეზეს იპოზიციის ლიდერებმა, რათა აზერბაიჯანში მომხდარიყო დესტაბილიზაცია, თუმცა, უამრავი ადამიანის ცნობით, პოლიციელთა ქმედებების პროვოცირება არ მომხდარა.“

74. ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის 2004 წლის ანგარიშის შესაბამის ამონარიდში ვკითხულობთ:

„16 ოქტომბერს ოპოზიციის აქტივისტებმა უნებართვო მიტინგის გამართვა სცადეს აზადლიქის მოედანზე, ბაქოს ცენტრში. პოლიციელებმა ისინი სცემეს. აქტივისტთაგან ერთ-ერთი, 52 წლის პამიგადა ზაპიდოვი, ცემისას გარდაიცვალა, ასობით ადამიანი დაშავდა. მომიტინგები პოლიციელებს წინააღმდეგობას ქვების სროლით უწევდნენ, რა დროსაც ათობით პოლიციელი დაშავდა. დაიწყო სისხლის

სამართლებრივი გამოძიებები, თუმცა პოლიციელთა სისასტიკეზე გამოძიება არ ჩატარებულა. მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოპოზიციას ეკისრება პასუხისმგებლობა მომზინგის სიკვდილზე.“

75. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და პრატიკის შესახებ 2003 წლის სახელმწიფო ანგარიშის შესაბამის ამონარიდში ვკითხულობთ:

„16 ოქტომბერს ხალხის დიდი რაოდენობა არასანქცირებულ მიტინგზე ბაქოს ცენტრში შეიკრიბა. დემონსტრაციამ ძალადობრივი სახე მიიღო. მომიტინგები მუსავატის შტაბიდან აზადლიქის მოედნისაკენ გაემართნენ და გზად უსაფრთხოების ძალების ათობით წარმომადგენელზე ძალა იხმარეს, ანადგურებდნენ მათ სატრანსპორტო საშუალებებს და აზიანებდნენ სამთავრობო შენობებს. როცა ათასობით უსაფრთხოების წარმომადგენელმა მოედანს ალყა შემოარტყა, მომიტინგებმა მათ შეუტიეს. უსაფრთხოების ძალებმა მომიტინგებთან გასამკლავებლად გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და ხელებრტები. ამ დროს ამოუცნობი დემონსტრაციები მოპარული სამხედრო ტანკით პოლიციის რიგებში შეიქრინენ. უსაფრთხოების ძალებმა ამას ძალის გადამეტებით უპასუხეს, სცემეს ბევრი დემონსტრაციტი, ზოგი გონების დაკარგვამდე, სცემდნენ მაშინაც როცა დემონსტრაციები მოედნიდან გაქცევას ცდილობდნენ, ასევე სცემდნენ დაკავებულებაც. ცემის დროს დაიღუპა ერთი და დაშავდა, სულ ცოტა, 300 ადამიანი.“

76. Human Rights Watch-ის 2003 წლის 17 ოქტომბერს პრესისტვის მიცემული მიმოხილვის (აზერბაიჯანი: არჩევნების შემდგომ შეტაკებები მსხვერპლით და-მთავრდა) შესაბამის ამონარიდში იკითხება:

„გუშინ, 02:00 საათზე, ოპოზიციის ათასობით მხარდაჭერი ბაქოს ქუჩებში გამოვიდა. დემონსტრაცია მალე გადაიზარდა ძალადობრივ შეკრებაში, ნაწილობრივ იმის გამო, რომ როგორც კი მომიტინგებმა შეკრება დაიწყეს, პოლიციისა და სამხედრო ძალებმა მაშინვე ალყა შემოარტყეს. მომიტინგები შეკრებილ უსაფრთხოების ძალებს გაერიდნენ და აზადლიქის მოედნისაკენ გაემართნენ. გზად, მომიტინგებმა სასტიკად სცემეს რამდენიმე პოლიციელი და სამხედრო პირი, რომელთა პოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. დემონსტრაციებმა ასევე გაანადგურეს პოლიციისა და სამხედრო პირთა რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება და დააზიანეს სამთავრობო შენობები.

აზადლიქის მოედანზე მომიტინგეთა მისვლიდან ძალიან მალე რამდენიმეათასიანმა მეამბოხეთა პოლიციისა და სამხედრო შენაერთმა მოედანს ალყა შემოარტყა. გაუშვეს ცრემლსადენი გაზი, მომიტინგებს დაუშინეს რეზინის ტყვიები, მოუსიეს პოლიციის ძალებები და სცემდნენ ხელებრტებით. იქვე მდებარე ერთ-ერთი სახლის სახურავიდან მოთვალოვალე Human Rights Watch-ის მკვლევარმა დაინახა, პოლიცია და სამხედრო ძალები როგორ იმწყვდევდნენ მომიტინგებს ალყაში და უმოწყალოდ სცემდნენ. ბევრ დემონსტრაციებში მაშინაც სცემდნენ, როცა ისინი მინაზე ცემოდნენ. Human Rights Watch-მა დააფიქსირა მთავრობის მომხრე რამდენიმე სამოქალაქო პირიც, რომლებიც უსაფრთხოების ძალებთან ერთად დემონსტრაციების ცემაში მონაწილეობდნენ.

პოლიციამ სიკვდილამდე სცემა, სულ ცოტა, ერთი ადამიანი, 52 წლის ჰამიდაგა

## მურადოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ

ზაპიდოვი, რომლის ცხედარიც Human Rights Watch-მა ნახა საპროტესტო აქციის შემდეგ. მისი სხეული სულ შავი და ლურჯი სისხლჩაქცევებით იყო დაფარული, თავი კი - გახეთქილი და სისხლში მოსვრილი...

ადგილობრივი საავადმყოფოებისა და სხვა წყაროების მონაცემებით, შეტაკებები-სას მძიმედ დაზიანებულთა რიცხვი დღეისთვის დაახლოებით 300-ია. დაჭრილთა-გან ბევრს სიარული არ შეეძლო და მოედნიდან გაიყვანეს. Human Rights Watch-მა დაკითხა ათზე მეტი დაჭრილი პირი. ყველას ჩვენებით, მათ ალყა შემოარტყეს მეამბოხეთა პოლიციისა და სამხედრო ძალებმა და უმონტალოდ სცემეს. ცემისას ბევრმა გონება დაკარგა. ... დაშავებულთა შორის არიან რამდენიმე ათეული პო-ლიციელი და სამხედრო მოსამსახურე.“

77. Human Rights Watch-ის 2005 წლის მსოფლიო ანგარიშის (2004 წლის მო-ლენები, მოკლე მიმოხილვა აზერბაიჯანზე) შესაბამის ამონარიდში ვკითხულობთ:

„არჩევნების შემდგომი სასამართლო პროცესები

ასზე მეტი ოპოზიციური პარტიის წევრი და მხარდამჭერი გასამართლდა არჩე-ვნების შემდგომ ძალადობასთან დაკავშირებული ბრალდებებით. აქედან მხოლოდ 4 ადამიანი გაათავისუფლეს გირაოთი, დანარჩენები კი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ 6 თვის განმავლობაში. აზერბაიჯანის სასამართლოებმა გამა-მტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს ყველა ბრალდებულის მიმართ, 46 ადამიანს თავისუფლების ალკვეთა მიესავა 2-დან 6 წლამდე, დანარჩენი კი გაათავისუ-ფლეს 3-დან 5 წლამდე პირობითი მსჯავრის საფუძველზე. 22 ოქტომბერს მძიმე საქმეთა სასამართლომ ოპოზიციის 7 ლიდერს 2,5-დან 5 წლამდე პატიმრობა მიუსავა არჩევნების შემდგომ ძალადობის ორგანიზებაში წვლილის გამო.“

## სამართალი

### 1. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

78. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი გახდა პოლიციის სისასტიკის მსხვერ-პლი, რამაც გამოიწვია მისი ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. ადგილო-ბრივმა ორგანოებმა, საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოების ჩათვლით, ვერ შეძლეს ამ ფაქტის ეფექტიანი გამოძიება, რითაც შეძლებდნენ დამნაშავე პოლიციელის იდენტიფიცირებასა და დასჯას, იმის მიუხედავად, რომ მისი ბრალდებები ნათლად იყო განმტკიცებული რამდენიმე მოწმის ჩვენებებით. ამ საჩივრის არსი ხვდება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, რომელიც გუ-ლისხმობს შემდეგს:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ნამებას, არაადამიანურ ან ლირსების შე-მლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

## A. დასაშვებობა

### 1. მხარეთა არგუმენტები

79. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს არ ამოუწურავს დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება.

80. პირველ რიგში, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს უზენაესი სასამართლოს საბოლოო, 2005 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერება საკონსტიტუციო სასამართლოში არ გაუსაჩივრება.

81. მეორე მხრივ, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია გამომძიებლის 2004 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება სისხლის საპროცესო კოდექსის 122-ე და 449-ე მუხლების შესაბამისად. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს ეცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ და, ამ მტკიცების გასამყარებლად, წარმოადგინა გამომძიებლის მიერ ხელმოწერილი, 2004 წლის 26 ნოემბერით დათარიღებული წერილის ასლი, რომლის ადრესატიც იყო განმცხადებელი.

82. განმცხადებელმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სარჩელი დამატებითი საშუალება იყო, რომლის ამონურვაც არ მოეთხოვებოდა სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვამდე.

83. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ მისთვის არასოდეს უცნობებიათ გამომძიებლის მიერ 2004 წლის 26 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ამ გადაწყვეტილების არსებობა შეიტყო წინამდებარე საქმეზე მთავრობის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი წერილობითი მიმოხილვიდან, რომელიც მას სასამართლომ გადმოუგზავნა. მაშასადამე, ის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვერ შეძლებდა.

### 2. სასამართლოს შეფასება

84. სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელია დაცვის მხოლოდ ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვა. მთავრობას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამონურულა, ეკისრება პასუხისმგებლობა – სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ დაცვის შიდასამართლებრივი საშუალება შესაბამის დროს ეფექტიანი იყო როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, ანუ ის ხელმისაწვდომი გახსნდათ. ამ საშუალებით შესაძლებელი იყო განმცხადებლის საჩივარზე რეაგირება და მისით სარგებლობისას წარმატების გონივრული პერსპექტივა ისახებოდა. მტკიცების ამ ტვირთის წარმატებით წარმოდგენის შემთხვევაში, უკვე განმცხადებელს ევალებოდა ეჩვენებინა, რომ მთავრობის მიერ აღნიშნული დაცვის შიდასამართლებრივი საშუალება რეალურად ამონურა, ან ეს საშუალება რაიმე მიზეზის გამო საქმის კონკრეტულ გარემოებებში არაადეკვატური ან არაეფექტური იყო, ან არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რაც მას ამ საშუალების გამოყენების მოთხოვნისგან ათავისუფლებდა (იხ. საქმე Akdivar and Others v. Turkey, 1996 წლის 16 სექტემბერი, § 68, Reports of Judgments and Decisions 1996 IV).

85. მეტიც, დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებათა ამონურვის მოთხოვნა მოქნილად უნდა იქნას გამოყენებული, ყოველგვარი გადაჭარბებული ფორმალიზმის გარეშე. ეს წესი არც აბსოლუტურია და არც ავტომატურად გამოიყენება. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია არა მხოლოდ იმის გათვალისწი-

ნება, რომ შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში შიდასამართლებრივი საშუალებები ფორმალურად არსებობს, არამედ ასევე ამ სახელმწიფოში ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტისაც, ისევე როგორც განსახილველი საქმის კონკრეტული გარემოებებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ *inter alia* სასამართლომ უნდა იმსჯელოს – საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით – განმცხადებელმა გააკეთა თუ არა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდა დაცვის არსებული შიდასამართლებრივი საშუალებების ამოსაწურად (იხ. Melnik v. Ukraine, № 72286/01, § 67, 2006 წლის 28 მარტი, და Hummatov v. Azerbaijan, № 9852/03 და 13413/04, § 91, 2007 წლის 29 ნოემბერი).

86. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ განმცხადებელს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით არ მიუმართავს, სასამართლო იმეორებს მის ადრინდელ დასკვნას – ამგვარი სარჩელი არ ითვლება დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებად, რომლის ამოწურვაც განმცხადებელს მოეთხოვება სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვამდე. საკონსტიტუციო სასამართლო ადეკვატურად ხელმისაწვდომი არ არის, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური პეტიციის შესატანად პირებს მოეთხოვებათ ეროვნულ დონეზე სხვა სამართლებრივი საშუალების გამოყენება (უზენაესი სასამართლოს პლენუმზე დამატებითი საკასაციო პროცედურა), რომელიც კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსით, არაეფექტურია (იხ. Ismayilov v. Azerbaijan, № 4439/04, წყ 39-40, 2008 წლის 17 იანვარი). სასამართლო მიზეზს ვერ პოულობს, რომ მის ადრინდელ დასკვნას გადაუხვიოს და, შესაბამისად, მთავრობის არგუმენტაციის ამ ნაწილს არ ეთანხმება.

87. რაც შეეხება საკითხს, რომ განმცხადებელმა არ გაასაჩივრა გამომძიებლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის გამოძიების შეწყვეტას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე და 449-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო მიზნევს, რომ მთავრობის არგუმენტაციის ეს ნაწილი წარმოშობს კითხვებს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტიანობის შესახებ, ეს კი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის არსებით განხილვას. ამგვარად, სასამართლო მიზნევს, რომ ეს საკითხები უნდა დაჯგუფდეს არსებითი განხილვისას და მასზე მსჯელობა იქნება ქვემოთ, კონვენციის ძირითად დებულებაზე საუბრისას.

88. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ წინამდებარე განაცხადი არ არის აშვარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, იგი ცხადდება არსებით განხილვაზე დასაშვებად.

## B. საქმის არსებითი მხარეები

### 1. მხარეთა არგუმენტები

89. მთავრობა სადაცოს არ ხდიდა საკითხს, რომ განმცხადებელი დაშავდა, მაგრამ აცხადებდა, რომ მას არაადამიანურად არ მოჰყობიან. მთავრობა იშველიებდა შიდასამართლებრივი გამოძიების დასკვნებს, რომელთა თანახმად, ვერ დგინდებოდა, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო პოლიციელის ქმედების შედეგად.

90. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო მისი ბრალდებე-

ბის დასაბუთება. კერძოდ, მას არ შეეძლო იმ პოლიციელის ამოცნობა, ვინც სცემა. მის სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებლის მიერ დაკითხვისას განმცხადებელმა აღნიშნა, რომ არ იცოდა ირგვლივ იყვნენ თუ არა თვითმხილველები.

91. თუმცა, შემდგომ, ეროვნული სასამართლოების მიერ მისი სამოქალაქო სარჩელის განხილვისას, მან „უცებ“ შეძლო ორი მონმის წარმოდგენა (A.A. და G.G.), რომლებიც მთელ ინციდენტს შეესწრნენ. მთავრობის არგუმენტაციით, შეუთავსებლობა იყო მონმების, A.A. და G.G.-ს ჩვენებებში, ასევე, ფაქტებზე განმცხადებლის ვერსიასა და მათ ჩვენებებს შორის. კერძოდ, განმცხადებლისა და ორი მონმის ჩვენებები განსხვავდებოდა იმ ნაწილში, თუ რა მოხდა განმცხადებლისთვის პოლიციელის პირველი სავარაუდო დარტყმის შემდეგ და როგორ მიაცილეს დაზარალებული აფთიაქამდე. თუკი ზოგიერთი ჩვენების თანახმად, განმცხადებელმა პოლიციელის მიერ ხელკეტის მეორე მოქნევა თვითონ აიცილა, სხვების ვერსიით მას, სავარაუდოდ, სხვა პოლიციელებმა უთხრეს, რომ მეორედ დარტყმისგან თავი შეეასვებინა. ასევე განსხვავდებოდა ჩვენებები იმ ნაწილშიც, თუ ვინ მიაცილა დაზარალებული აფთიაქამდე, „მოხუცმა კაცმა“ თუ ადამიანთა ჯგუფმა, რომელთა შორისაც A.A. და G.G.-ც იყვნენ. ამგვარად, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლისათვის სასარგებლო მონმეთა მტკიცებულებები არასანდო იყო და ასეთივე გახლდათ დასკვნაც ეროვნული სასამართლოებისა, რომლებიც „მტკიცებულებათა შესასწავლად უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ“. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 77.1-ის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის საფუძველთა მტკიცების ტკირთი განმცხადებელს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო.

92. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარდა ეფექტურიანი სისხლის სამართლის გამოძიება და მთავარმა პროერატურამ ყველა საჭირო ღონისძიებას მიმართა განმცხადებლის ბრალდებათა გამოსაძიებლად. გამომძიებელმა დაკითხა ყველა „შესაძლო მონმე“, იმ პოლიციელების ჩათვლით, რომლებიც 2003 წლის 16 ოქტომბერს აზადლიქის მოედანზე „უფლებამოსილებას ასრულებდნენ“. ასევე დაიკითხენ იმ აფთიაქის თანამშრომლები, სადაც, სავარაუდოდ, განმცხადებელი მიიყვანეს ინციდენტის შემდეგ. ზემოაღნიშნულ მონმეთა ჩვენებების თანახმად, არც ერთ მათგანს განმცხადებელი არ დაუნახავს.

93. მეტიც, გამომძიებელმა ორი სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნა განმცხადებლის საქმეზე. ექსპერტიზების შესახებ განმცხადებელს დროულად აცნობეს და იგი ორივეს პირადად ესწრებოდა. სამედიცინო ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ დაზიანებები განმცხადებლის სახეზე ვერ იქნებოდა მიყენებული ხელკეტით. განცხადებელს შეეძლო სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტების დასკვნები სადაც გაეხადა „ალტერნატიული ექსპერტიზის“ მოთხოვნით – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 268.1.4 შესაბამისად – რაც მას არ გაუკეთებია.

94. მთავრობის დასკვნით, გამოძიების შეწყვეტა სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ვერ დამტკიცდა, რომ მოხდა სისხლის სამართლის დანაშაული. იმავე მიზეზით, განმცხადებელი „დანაშაულის მსხვერპლად“ არ ცნეს გამოძიების პროცესში.

95. განმცხადებლის მტკიცებით, იგი გახდა პოლიციის სისასტიკის მსხვერპლი, რაც მის მიერ პროვოცირებული არ ყოფილა. ხელკეტით ცემა უტოლდებოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მან დამატებით აღნიშნა, რომ ადგილობრივმა ორგანებმა ვერ შეძლეს სწრაფი, ყოვლისმომცველი და ეფექტურიანი ოფიციალური გამოძიება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა დამნაშავე პოლიციელების ინდენტიფიცირება და დასჯა.

96. განმცხადებელმა წარმოადგინა სამი მოწმის (A.A. G.G. და I.G.) განცხადებები, რომლებშიც ისინი იმეორებდნენ ეროვნული სამართალწარმოებისას მიცემულ ჩვენებებს, სრულად თანმხვედრი რომ იყო განმცხადებლის ვერსიისა ინციდენტთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ პუნქტები 50-52). განმცხადებელმა უარყო, რომ ამ მოწმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივი გახლდათ. პირიქით, საგამოძიებო ორგანოებმა არ დაკითხეს შესაბამისი მოწმეები და არსებითად არ უცდიათ მასზე მოძალადე პილიცის ოფიცირის იდენტიფიკაცია. მეტიც, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მთავრობის მიერ დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები თვალით არ უნახავს სასამართლოში წინამდებარე სამართალწარმოების დაწყებამდე. მან აღნიშნა, რომ გამოძიებაში ეფექტიანად მონაწილეობას ვერ ახერხებდა და მიუხედავად მისი არაერთი მცდელობისა, წინასწარი გამოძიების შემდეგ პირისპირ შეხვედრობდა გამომძიებელს, ამის საშუალება არ მიეცა. როგორც ზემოთ აღნიშნა, განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ სასამართლოში სამართალწარმოების დაწყებამდე მისივის არასოდეს უცნობებია 2004 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მის საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიების შეწყვეტას გულისხმობდა. განმცხადებელმა მთავრობის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული გადაწყვეტილების ასლის ავთენტიკურობა სადაც გახადა.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (a) ზოგადი პრინციპები

#### (i) მე-3 მუხლის შინაარსობრივი მხარე

97. როგორც არაერთხელ აღნიშნულა სასამართლოს მიერ, მე-3 მუხლით დაცულია დემოკრატიულ საზოგადოებათა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირებულება. კონვენცია აპსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას ისეთ მძიმე გარემოებებშიც კი, როგორიცაა ბრძოლა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. კონვენციის უმეტესი არსებითი მუხლებისა და 1-ლი და მე-4 ოქმებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლზე არ მოქმედებს გამონაკლისები და დაუშვებელია მისი დებულებიდან გადახვევა – მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად – თუდაც საგანგებო მდგომარეობისას, როცა საფრთხეშია ერის სიცოცხლე (იხ. *Selmouni v. France* [GC], №. 25803/94, § 95, ECHR 1999 V, და *Assenov and Others v. Bulgaria*, 28 ოქტომბერი, 1998, § 93, Reports 1998 VIII).

98. არასათანადო მოპყრობა მე-3 მუხლის ფარგლებში ხვდება, თუ იგი აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ მინიმალური ზღვრის შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი ზემოქმედება და, ზოგიერთ საქმეებში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობა (იხ. *Ireland v. the United Kingdom*, 18 იანვარი 1978, § 162, Series A № 25; *Kudla v. Poland* [GC], № 30210/96, § 91, ECHR 2000-XI; და *Peers v. Greece*, № 28524/95, § 67, ECHR 2001-III). სასამართლომ მოპყრობა „არაადამიანურად“ მიიჩნია, რადგან *inter alia* იგი იყო წინასწარ დაგეგმილი, შეუწყვეტლად გრძელდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში და გამოიწვია სხეულის დაზიანება ან ძლიერი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა. მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში შემის გრძნობას, სულიერ ტანჯვასა და არასრულფასოვნების განცდას

იწვევდა – რაც ამცირებდა და აკნინებდა მას – ჩაითვალა „დამამცირებლად“ (იხ. *Kudla*, ციტირებულია ზემოთ, § 92).

99. სასამართლო სენსიტიურია მისი ფუნქციის სუბსიდიური ბუნებისადმი და აცნობიერებს, რომ ძალიან ფრთხილი უნდა იყოს პირველი ინსტანციის ტრიბუნალის ფუნქციის შეთავსებისას, როცა ცალკეული საქმეების გარემოებები ამის საშუალებას იძლევა (იხ. *M. McKerr v. the United Kingdom* (dec.), № 28883/95, 4 აპრილი, 2000). თუმცა, როცა ბრალდებები კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში ხვდება, სასამართლომ განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეისწავლოს საქმე, თუნდაც ადგილობრივ დონეზე კონკრეტული ღონისძიებები იყოს მიღებული და გამოძიება – ჩატარებული (იხ. *mutatis mutandis*, *Ribitsch v. Austria*, 4 დეკემბერი 1995, § 32, Series A № 336, და *Avşar v. Turkey*, № 25657/94, §§ 283-84, ECHR 2001 VII (ამონარიდები)).

### (ii) მე-3 მუხლის პროცესუალური მხარე

100. როდესაც პირი ჩივის, რომ იგი პოლიციელის სერიოზული არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა მე-3 მუხლის დარღვევით, ეს უკანასკნელი, სახელმწიფოს მიერ კონვენციის 1-ლი მუხლით ნაკისრ ზოგად ვალდებულებასთან ერთობლიობაში – „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ ამ კონვენციაში ...განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“ – მოითხოვს ეფექტიან სახელმწიფო გამოძიებას. ამ გამოძიებით შესაძლებელი უნდა გახდეს დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა. სხვა შემთხვევაში, წამების და არაადამიანური და დაამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრატიკიაში არაეფექტიანი იქნება და, ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელეებს შესაძლებლობას მისცემს, რომ ფაქტობრივი დაუსჯელობით, მის კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებები დაარღვიონ (იხ. *Assenov and Others*, ციტირებულია ზემოთ, § 102, და *Labita v. Italy* [GC], № 26772/95, § 131, ECHR 2000 IV).

101. არასათანადო მოპყრობის სერიოზულ ბრალდებებზე უნდა ჩატარდეს გულმოდგინე გამოძიება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოები ყოველთვის სრულად უნდა ეცადონ, გამოარკვიონ, თუ რა მოხდა, და არ უნდა დაეყრდნონ ნაუცაბათევ და დაუსაბუთებელ დასკვნებს გამოძიების შეწყვეტისას ან თავიანთ გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად (იხ. *Assenov and Others*, ციტირებულია ზემოთ, § 103 et seq.). ხელისუფლების ორგანოებმა მათ ხელთ არსებული ყველა გონივრული ნაბიჯი უნდა გადადგან ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულების მოსაპოვებლად, *inter alia* თვითმხილველთა ჩვენებებისა და სამედიცინო მტკიცებულებების ჩათვლით (იხ. *Tanrikulu v. Turkey* [GC], № 23763/94, ECHR 1999-IV, § 104 et seq. და *Gül v. Turkey*, № 22676/93, § 89, 14 დეკემბერი 2000). გამოძიებისას ნებისმიერი უზუსატობა – რაც აკნინებს ხელისუფლების ორგანოთა შესაძლებლობას, დაადგინონ ზიანის მიზეზი ან გამოავლინონ დამნაშავეები – ამ სტანდარტის დარღვევის საფრთხეს ქმნის.

### (b) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

102. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა 2003 წლის 16 ოქტომბერს მარჯვენა თვალსა და ქუთუთოზე მძიმე დაზიანებები მიიღო. საქმეში არსებუ-

ლი მასალები საკმარისია იმის დასადგენად, რომ განმცხადებელი აზადლიქის მოედანზე იმყოფებოდა იმ დღეს, არასანქცირებული დემონსტრაციის მიმდრინა-რეობისას, როცა ის ამბოხებაში გადაიზარდა და შეტაკება მოხდა სამართალდა-მცველ ორგანოებსა და მომიტინგებებს შორის. ამ დასკვნას ამყარებს განმცხა-დებლის ჩვენებები, მისი 2003 წლის 16 ოქტომბრის სამედიცინო ისტორია და მოწმეთა ჩვენებები (იხ. ზემოთ პუნქტი 108). ამ ფაქტს სადაცოს არც მთავრობა და ადგილობრივი ორგანოები ხდიან, რომლებსაც არასოდეს დაუყენებიათ ეფექტურ 2003 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებლის აზადლიქის მოედანზე ყოფნის ფაქტი.

103. მეტიც, წინამდებარე საქმეში მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ ხელისუ-ფლების ორგანოებმა ძალას მიმართეს, გამოიყენეს ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და სხვა საშუალებები მომიტინგეთა დაშლისა და არეულობის აღმოფხვრის მიზნით. ასევე უდავოა ფაქტი, რომ ამ მოვლენებისას რამდენიმე მომიტინგე და სამართალ-დამცველი პირი დაშავდა. თუმცა, რაც შეეხება განმცხადებელს, მთავრობა სადა-ცოს ხდის ფაქტს, რომ მისი დაზიანება ამგვარმა ძალის გამოყენებამ გამოიწვია.

104. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს, არიან თუ არა ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელი განმცხადებლის ტრავმაზე, და თუ ასეა, მის მი-მართ არასათანადო მოპყრობა ხვდება თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის ფარ-გლებში. სასამართლო, წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მტკიცების სტანდარტს გაითვალისწინებს.

#### (i) მტკიცების ტვირთის გადანაწილება

105. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ არასათანადო მოპყრობასთან დაკავში-რებული ბრალდებები უნდა მყარდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით. ამ მტ-კიცებულების შეფასებისას სასამართლო ზოგადად მიმართავს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს. თუმცა, ასეთი მტკიცება შესაძლოა დაეფუძნოს საკმარისად მყარ, ნათელ და თანმხვედრ დასკვნებს ან მსგავს მყარ, ფაქტობრივ პრეზუმაციებს (იხ. Ireland v. the United Kingdom, ციტირებულია ზემოთ, გვ. 161).

106. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი 2003 წლის 16 ოქტომბრის მოვლენებისას ან მას შემდეგ არ დაუკავებიათ. შესაბამისად, წინამდებარე საქ-მის გარემოებები განსხვავდება იმ საქმეთაგან, რომლებშიც პირებს დაზიანებები მიადგათ დაკავების იზოლატორებში ან სხვაგვარად, პოლიციის დაქვემდებარე-ბაში ყოფნისას. ასეთ საქმეებში მტკიცების ტვირთი უცილობლად სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ. მათ უნდა წარმოადგინონ საკმარისი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, თუ რა გახდა დაზიანებების მიზეზი (იხ. სხვა საქმეებთან ერ-თად, საქმეები Selmouni v. France [GC], № 25803/94, გვ. 87, ECHR 1999 V; Salman v. Turkey [GC], № 21986/93, გვ. 100, ECHR 2000 VII; Pruneanu v. Moldova, № 6888/03, გვ. 44, 16 იანვარი 2007; და Mammadov v. Azerbaijan, № 34445/04, გვ. 60, 11 იანვარი 2007).

107. მეტიც, წინამდებარე საქმე ასევე უნდა განვასხვაოთ იმ საქმეთაგან, რომლებშიც არავონ დავობდა ფაქტზე, რომ განმცხადებლებმა დაზიანებები სახელმწიფო მოხელეთა მიერ ძალის გამოიყენების შედეგად მიიღეს კონკრეტული უსაფრთხოების ძალების ოპერაციისას. ამ უსაფრთხოების მიზნით მსხვერ-პლი იყვნენ ხოლმე ან პირები, რომლებიც დაკავებისას შესაბამის ძალებს წინა-აღმდეგობას უწევდნენ, ან მეამბოხე პატიმრები, ან არასანქცირებული მიტინგის მონაწილეები. ასეთ საქმეებზე სასამართლომ დადგინა, რომ მთავრობას ეკის-რებოდა მტკიცების ტვირთი – ეჩვენებინა, რომ ძალა გადამეტებით არ გამოყე-

ნებულა (იხ. მაგალითად, Zelilof v. Greece, № 17060/03, წმ 46-47, 24 მაისი 2007; Kurnaz and Others v. Turkey, № 36672/97, §§ 53-55, 24 ივნისი 2007; Vladimir Romanov v. Russia, № 41461/02, §§ 60-61, 24 ივნისი 2008; Saya and Others v. Turkey, № 4327/02, § 20, 7 ოქტომბერი 2008; Balçık and Others v. Turkey, № 25/02, წმ 30-31, 29 ნოემბერი 2007; და Matko v. Slovenia, № 43393/98, წმ 101 104, 2 ნოემბერი 2006). წინამდებარე საქმეში თვით ის ფაქტი, რომ განმცხადებელს დაზიანებები პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების შედეგად მიადგა, დავის საგანია (გნსხვავებით საქმისაგან Stoica v. Romania, № 42722/02, წმ 48 და 66, 4 მარტი 2008).

108. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა საკმარისად ძლიერი მტკიცებულებების შეგროვება შეძლო შემთხვევის მისეული ვერსიის გასამყარებლად და საფუძველი ჩაუყარა *prima facie* საქმეს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი 2003 წლის 16 და 17 ოქტომბრის სამედიცინო ჩანაწერები ამყარებენ განმცხადებლის მონათხრობს, რომ 2003 წლის 16 ოქტომბრის ღამეს, აზაღლიქის მოყდანზე არეულობისას, იგი დაზიანდა. მან ასევე შეძლო ორი მონმის მტკიცებულების მოპოვება, რომლებიც სრულად იმეორებდნენ მისი ბრალდების შინაარსს, რომ განმცხადებელმა დაზიანება პოლიციის მიერ ხელკეტის ჩარტყმის შედეგად მიიღო (იხ. პუნქტები 51-52 ზემოთ); ასევე მოიპოვა სხვა განცხადებაც, რომელიც არაპირდაპირ განამტკიცებდა მის ბრალდებას და თანმხვედრი იყო შემთხვევის მისეული ვერსიისა (იხ. ზემოთ პუნქტი 50). სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ მონმების, A.A.-სა და G.G.-სა ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი იყო და, ასევე, არ ემთხვეოდა განმცხადებლის ჩვენებას. კონკრეტულად, ამ ორივე მონმებ ნათლად და რამდენჯერმე აღნიშნა, რომ დაინახეს, როგორ ჩაარტყა პოლიციის ოფიცერმა განმცხადებელს სახეში ხელკეტი. ამ მიმართულებით, სასამართლო მონმეთა ჩვენებებში ვერანაირ არსებით განსხვავებას ან შეუთავსებლობას ვერ ხედავს განმცხადებლის ბრალდების ძირითად არსთან – კერძოდ, იმ ასპექტში, რომ დაზიანება მას მიადგა პოლიციელის მიერ ჩარტყმის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მონმეთა მონაყოლში მცირედი განსხვავებებია იმ ნაწილში, რომელიც ეხება ხელკეტის სავარაუდო ჩარტყმის შემდგომ მოვლენებს, მათი მონათხრობები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და, ამგვარად, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჩვენებების სანდოობას ეჭვევე ვერ აყენებს. ამგვარად, ამან არ უნდა იმოქმედოს მტკიცებულებთა შეფასებაზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს მონმებები ეროვნული ორგანოების წინაშე დაიკითხენ ინციდენტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ დროის გასვლა გარდაუვალ გავლენას ახდენს მონმის შესაძლებლობებზე, ფაქტები გაიხსენოს დეტალურად და სრული სიზუსტით (საქმესთან İpek v. Turkey, № 25760/94, § 116, ECHR 2004 II შედარებით (ამონარიდები)). ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მონმეთა დამოუკიდებლობა და სანდოობა არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ ეროვნულ დონეზე და არ დადგენილა, რომ რომელიმე მათგანი ცრულობდა სასამართლოს წინაშე (იხ. ასევე ქვემოთ პუნქტი 122). ამგვარ გარემოებებში, სასამართლო ამ მონმეთა ჩვენებების დაუშვებლობის მიზეზს ვერ პოულობს.

109. მეტიც, წინამდებარე საქმის გარემოებებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფაქტს, რომ განმცხადებელმა დაზიანება მიიღო იმ ტერიტორიაზე, სადაც სამართალდამცველი ორგანოები ოპერაციას ატარებდნენ და, მასობრივი დაუმორჩილებლობის აღკვეთის მიზნით, ძალას მიმართეს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ძალის გამოყენებას

არ კრძალავს კარგად განსაზღვრულ კონკრეტულ გარემოებებში. თუმცა, ძალის ასეთი გამოყენება არ უნდა იყოს გარდაუვალი და გადამეტებული (იხ. Kurnaz and Others, ციტირებულია ზემოთ, § 52, და Ivan Vasilev v. Bulgaria, № 48130/99, § 63, 12 აპრილი 2007). ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც მკაცრად აუცილებელი არ იყო თვით ამ პირის საქციელიდან გამომდინარე, ამცირებს ადამიანის ღირსებას და კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა.

110. საქმეში არსებულ მასალებსა და საჯარო წყაროებზე დაყრდნობით – რომლებიც აღნიშვნელ 2003 წლის 16 ოქტომბერის მოვლენებს (იხ. ზემოთ პუნქტები 71-77) – სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ რიგში, მის ხელთ არსებული ინფორმაცია მნირია და საჭიროებს დამატებით დეტალებს, რის გამოც რთულია მოვლენათა ზუსტი და დეტალური მიმდინარების სურათის შექმნა. თუმცა, შესაძლებელია ზოგიერთი ფაქტის იმ დონეზე დადგენა, რაც საკმარისია წინამდებარე საქმის გასაანალიზებლად. კერძოდ, რამდენიმე მომიტინგებ ნამდვილად ვანდალურად დააზიანა საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება და იმ ტერიტორიაზე მანამდე განლაგებულ პოლიციელებს თავს დაესხა. სასამართლო აღიარებს, რომ ასეთი საქციელი სწრაფად შეიძლება გადაიზარდოს ამბოხებაში, რომელიც საჭიროებს უსაფრთხოების ძალების ჩარევას. თუმცა, ასევე ფაქტია, რომ ნაწილი მომიტინგებისა აგრესიულ ქმედებებში არ მონაწილეობდა და სახელმწიფო ძალებს არ დაპირისპირებია, მათ არ მიუმართავთ არანაირი ძალადობისთვის. ეს უკანასკნელი დასკვნა მტკიცდება ანგარიშებით, რომელთა თანახმად, სავარაუდოდ ათასობით მომიტინგეთაგან, დაახლოებით 600 დაახავეს და 125-ს წარედგინა ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის ბრალდება (იხ. ზემოთ პუნქტები 72 და 76-77).

111. ასევე დგინდება, რომ ძალოვნებმა დამატებითი ძალები მოიხმეს და მომიტინგებს საშუალება მისცეს, აზადლიქის მოედანზე შეკრებილიყვნენ, ვიდრე მათ ალყას შემოარტყავადნენ და არეულობის აღმოსაფხვრელად ოპერაციას დაინტებდნენ. ამგვარად, როცა ხელისუფლების ორგანოებმა ძალას მიმართეს, მათი ოპერაცია შემოფარგლული იყო ქალაქის მცირე ტერიტორიით. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ოპერაციაში ჩართული იყვნენ არა მხოლოდ მეამბოხეთა პოლიციის თანამშრომლები, არამედ სამხედრო ძალებიც. ყველა მათგანი სრულად იყო აღჭურვილი ჩაფეხუტებით, ფარებით, ხელკეტებითა და სხვა სპეციალური აღჭურვილობით. ხელისუფლების ორგანოებმა ძალების დიდი რაოდენობით გადმოსხმა (ათასობითაც კი, როგორც აღნიშნულია რამდენიმე ანგარიში) შეძლეს უმოკლეს დროში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოთა უნარი – ამ მასშტაბით ჩარეულიყვნენ დემონსტრაციაში – რაღაც ხარისხით წინასწარ მომზადებას საჭიროებდა. მეტიც, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე მიტინგი და მომიტინგებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება დაიწყო უკვე 16 ოქტომბრის მოვლენების წინა დამეს, ხელისუფლების ორგანოებს უნდა გამოეჩინათ სიფრთხილე მოსალოდნელ გართულებებსა და ძალადობის შესაძლო ესკადაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, როგორც ჩანს, ხელისუფლების შესაბამისი ძალების მობილიზება მოულოდნელად, უცებ და წინასწარ მომზადების გარეშე არ მომხდარა (იხ. Rehbock v. Slovenia, № 29462/95, § 72, ECHR 2000 XII), მათ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ მოვლენათა განვითარება და რამე ღონისძიებისთვის მაინც მიემართათ არასაჭირო რისკების შესაფასებლად და თავიდან ასაცილებლად. მათ თავი უნდა შეეკავებინათ ძალის გამოყენებისაგან დაუშვებელი და განურჩეველი ფორმით.

112. სასამართლო, ითვალისწინებს რა ზემოხსენებულ ფონსა და იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა განსაკუთრებით მძიმე დაზიანება მიიღო იმ არეალში ყოფნისას, სადაც ძალივნებმა ძალა გამოიყენეს, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა თავისი ბრალდებები საკმარისად ძლიერი და ჰარმონიული მტკიცებულებებით განამტკიცა, ასკვნის, რომ განმცხადებელმა *prima facie* წარმოადგინა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის საქმე, რომელიც ეფექტიან სახელმწიფო გამოძიებას საჭიროებდა. შესაბამისად, მტკიცების ტკირთი სახელმწიფოზეა, რომელმაც უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება განმცხადებლის დაზიანების მიზეზებზე.

(iii) განმცხადებლის დაზიანების მიზეზების დადგენა და არასათანადო მოპყრობის სისასტიკის ფარგლების შეფასება

113. სასამართლო იმეორებს, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ძალის გამოყენებისას, გამოყენებულ ძალაზე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, რაიმე ფორმით ამ ქმედებაზე დამოუკიდებელი მონიტორინგი უნდა მომხდარიყო, რომელიც პროპორციულობის საკითხსაც შეაფასებდა (იხ. *mutatis mutandis*, Satik and Others v. Turkey, № 31866/96, § 58, 10 ოქტომბერი 2000). ამგვარი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, უნდა შემოწმდეს - სათანადოდ თუ რეგულირდებოდა ოპერაცია და იმგვარად თუ იყო ორგანიზებული, რომ შესაძლო მინიმუმად დაეყყანათ ადამიანთათვის სხეულის მძიმე დაზიანების რისკი (იხ. Kurnaz and Others, ციტირებულია ზემოთ, § 56).

114. მარტო დაპირისპირებაში მონაწილეთა და დაშავებულთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, უდავოა, რომ 2003 წლის 16 ოქტომბერს მოხდა ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია დიდი რაოდენობით მომიტინგება და სამართალდამცველ პირს შორის, რა დროსაც ორივე მხარემ მასშტაბურ ძალადობას მიმართა. შესაბამისად, გარემოება ითხოვდა განსაკუთრებით გულმოდგინედ შესწავლილიყო არა მხოლოდ მომიტინგეთა, არამედ სამართალდამცველთა ძალადობრივი ქმედებებიც. თუმცა, მთავრობამ თავის წერილობით მიმოხილვაში აღნიშნა მხოლოდ ის, რომ აუცილებელი გახდა ძალის გამოყენება მომიტინგეთა მისამართით, და არ წარმოუდგენია არასაირი ახსნა-განმარტება და დოკუმენტაცია, რომლითაც ნათელს მოჰყენდა გამოყენებული ძალის ზუსტ ბუნებასა და ფარგლებს. მთავრობას არ წარმოუდგენია არასაირი მტკიცებულება, რომლითაც აჩვენებდა, რომ ადგილობრივ დონეზე რაიმე სახის მონიტორინგი განხორციელდა ხელისუფლების ორგანოთა ქმედებებზე. მათ ამ ინციდენტზე არ წარმოუდგენიათ რაიმე ოფიციალური ანგარიში, რომელშიც დეტალურად აღნერდნენ მოვლენათა თანმიმდევრობას, შეაფასებდნენ გამოყენებული ძალის აუცილებლობასა და პროპორციულობას და გააანალიზებდნენ ნაკლებ ძალადობრივ ან არაძალადობრივ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობას (ან შეუძლებლობას). მაშინ, როცა სისხლის სამართლის გამოძიება ოფიციალურად დაიწყო მომიტინგეთა ძალადობრივი ქმედებების გამოსაძიებლად, სასამართლოსთვის მხარეთა მიერ მიწოდებული მასალებიდან ბუნდოვანი რჩება საკითხი, ჩატარდა თუ არა ამგვარი ოფიციალური მოვლენა სამართალდამცველ პირთა ქმედებებზე. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო ასკვნის, რომ ასეთი მოვლენა განმცხადებლის ინდივიდუალურ საჩივარზე დაწყებულ გამოძიებას მეტად ეფექტიანს გახდიდა და საგამოძიებო ორგანოებს საშუალებას მისცემდა, მისი ბრალდებები

სათანადო კონტექსტში განხილათ.

115. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მთავრობის არგუმენტები განმცხადებლის დაზიანების მიზეზებთან დაკავშირებით, ძირითადად, შემოიფარგლა ეროვნული ორგანოების დასკვნათა გამეორებით. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებლის წამოყენებულმა პრალდებებმა სანდოობა დაკარგეს ადგილობრივი გამოძიების დროს.

116. რაც შეეხება განმცხადებლის დაზიანების მიზეზს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი სამედიცინო ექსპერტების დასკვნით, ის არ იყო პოლიციის ხელკეტით მიყენებული. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები იმაზეც ვერ თანხმდებოდნენ, ხელისუფლების ორგანოების მიერ დანიშნულმა სამედიცინო ექსპერტებმა განმცხადებელი დაათვალიერეს თუ არა განცალკევებით. მასინ, როცა, საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ განმცხადებელს ეცნობა გამომძიებლის გადაწყვეტილება პირველ სამედიცინო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, ვერც ერთი სამედიცინო ექსპერტიზის ანგარიშიდან ვერ ირკვევა, ექსპერტებმა ორივე შემთხვევაში განცალკევებით დაათვალიერეს განმცხადებელი თუ უბრალოდ დაეყრდნენ მანამდე არსებულ მის სამედიცინო ჩანაწერებს. თუმცა, ამ საკითხის დადგენა აუცილებლობას არ წარმოადგენს ქვემოთ ნაჩვენების ფონზე.

117. სასამართლო იმეორებს, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანი და მისი სიმძიმე დამტკიცებულია განმცხადებლის 2003 წლის 16 და 17 ოქტომბრის სამედიცინო ისტორიებით. ერთადერთი აშკარა მიზანი შემდგომი სამედიცინო ექსპერტიზების მოთხოვნისა გახლდათ ექსპერტის აზრის მოპოვება იმ საკითხზე, შესაძლებელი იყო თუ არა ამ დაზიანების მიზეზი პოლიციის ხელკეტის დარტყმა ყოფილიყო. სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირველი სამედიცინო დასკვნა გამოიცა ზიანის მიყენებიდან ცხრა თვის, მეორე კი ერთი წლის შემდეგ და, შესაბამისად, ხუთი და რვა თვის მეორე განმცხადებლის მიერ სისხლის სამართლის სარჩელის შეტანიდან. განმცხადებლისთვის ამ დაგვიანებების მიზეზი არავის უცნობებია. სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით იმეორებს, რომ სამედიცინო მტკიცებულების დროულად უზრუნველყოფის საკითხი ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოიიბის ეფექტიანობის შესაფასებლად (იხ. Mammadov, ციტირებულია ზემოთ, § 74).

118. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პირველ სამედიცინო საექსპერტო დასკვნას არ გამოურიცხავს ის შესაძლებლობა, რომ დაზიანება მიყენებული იყო „ვინრო ფორმის მყარი ბლაგვი საგნით... იმ გარემოებებში, რომლებსაც აღწერდა განმცხადებელი“. სასამართლო წინამდებარე დასკვნას შემდეგნაირად ხსნის – დაზიანება შესაძლოა მიყენებულიყო ხელკეტით. თუმცა, საექსპერტო დასკვნის თანახმად, ექსპერტმა ვერ შეძლო დაზიანების მიზეზის უფრო კონკრეტულად შეფასება, რის გამოც დაინიშნა მეორე ექსპერტიზა.

119. მთავრობისა და ადგილობრივი ორგანოების თქმით, მეორე სამედიცინო საექსპერტო დასკვნამ ცალსახად გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ დაზიანება პოლიციის ხელკეტის დარტყმის შედეგი იყო. თუმცა, სასამართლო ეს მოსაზრება არ გაიზიარა. იგი ითვალისწინებს, რომ მეორე ექსპერტიზის დასკვნა იძლევა მოკლე და, ამავე დროს, ბუნდოვან და არაზუსტ პასუხებს შეეფიხებზე. კერძოდ, დაზიანების შედეგებზე ანგარიში ამბობს, რომ ის იყო „მისი ტრავმის შედეგი“, ამ ტრავმის მიზეზის მითითების გარეშე. მეტიც, კონკრეტულ კითხვაზე – განმცხადებლის თვალის კონკრეტული დაზიანება შეიძლება თუ არა პოლიციის ხელკეტით მიყენებულიყო – დასკვნა საკმაოდ ბუნდოვანია და ამბობს,

რომ „ქალბატონი მურადოვას სხეულზე არ აღმოჩენილა დაზიანება, რომელიც ტიპური იქნებოდა პოლიციის ხელკეტით მიყენებული დაზიანებისა“ თუმცა, ანგარიშში ეს პასუხი დაუსაბუთებელია და არ მტკიცდება სამედიცინო საექსპერტო მეცნიერების საფუძველზე გაკეთებული ანალიზითა თუ არგუმენტაციით. სასამართლოს აზრით, ამგვარი დაუსაბუთებულობა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზანს ძირს უთხრის, ექსპერტიზის დასკვნას კი უკანონოს ხდის. ამ მიზეზთა გამო სასამართლო მიიჩნევს, რომ ექსპერტიზის მეორე დასკვნა ვერ ჩაითვლება სანდო მტკიცებულებად, რომელიც დამაჯერებელ ახსნას იძლევა განმცხადებლის დაზიანებებზე.

120. მეტიც, მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს შეეძლო „ალტერნატიული ექსპერტიზის“ მოთხოვნა, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის მუხლი 268.1.4 ამგვარ უფლებას ანიჭებს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირებს (იხ. ზემოთ 65-ე პუნქტი). წინამდებარე საქმეში განმცხადებელი არც ეჭვმიტანილი იყო და არც ბრალდებული, შესაბამისად, მთავრობის არგუმენტი უადგილოა. სასამართლო ასევე ადგენს, რომ ამ არგუმენტის განსამტკიცებლად, მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება ან დოკუმენტი, რომლითაც აჩვენებდა შესაბამის დროს „ალტერნატიული ექსპერტიზის“ ჩასატარებლად საჭირო საშუალებათა პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ მაგალითების წარმოდგენა, რომლებშიც ამგვარი ექსპერტიზის დასკვნები საგამოძიებო ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმეებს დაურთეს, როგორც ძალის მქონე სამედიცინო საექსპერტო მტკიცებულება. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ასკვნის, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეებში საგამოძიებო ორგანოებს – და არა განმცხადებელს – ეყისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ დამოუკიდებელი და სანდო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება (იხ. ზემოთ პუნქტი 101).

121. სასამართლო დამატებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსებული სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, განმცხადებელმა მარჯვენა თვალის არქში და ქუთუთოზე მიიღო სერიოზული დაზიანება, რომელიც იყო მყარი ბლაგვი საგნის დარტყმის შედეგი. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ამგვარი დაზიანებები ვერ იქნებოდა ხელკეტით მიყენებული, თუ ექსპერტი საპირისიპიროს შესახებ დამაჯერებელ არგუმენტაციას არ წარმოადგენდა, გამყარებულს სამედიცინო საექსპერტო მეცნიერების ღონისძიებით. როგორც ზემოთ აღნიშნა, წინამდებარე საქმეში ეს არ მომხდარა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაზიანებები თავისუფლად შეიძლებოდა ხელკეტის ჩატარების შედეგად მიყნებულიყო.

122. ამას გარდა, განმცხადებელმა ადგილობრივ სამოქალაქო პროცესზე ორი მოწმის წარმოდგენა შეძლო, რომლებმაც მის მიერ დაყენებული ბრალდებების გამამყარებელი ჩვენებები მისცეს. როგორც ზემოთ აღნიშნა, სასამართლო ამ მოწმეთა ჩვენებებში არსებით შეუთავსებლობას ვერ პოულობს (იხ. ზემოთ პუნქტი 108). სასამართლო აგრძელებს, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ დაკითხული არც ერთი მოწმე მანამდე სასამართლოს შეცდომაში შეყვანაში არ მხილებულა. ადგილობრივი სამართლწარმოებისას არ დამტკიცებულა, რომ მათი ჩვენებები ცრუ ან დამაბნეველი იყო, არც მათი პირადი სიმტკიცე და სანდოობა დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ. სასამართლო, ითვალისწინებს რა ამ ყველაფერს და, დამატებით, ადგილობრივი სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულების შეფასებას, განცვილებულია ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტი-

ლებაში სამართლებრივი დასაბუთებულობის ნაკლებობით და მისი უუნარობით – მოწმეთა ჩვენებებზე რაიმე შეფასება წარმოადგინოს წინამდებარე საქმეში. სამოქალაქო სასამართლომ მოწმეთა განცხადებები ერთი წინადაღებით უკუაგდო, როგორც საფუძველს მოკლებული, მცირედი ანალიზის ან სხვაგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თუ რატომ ვერ გამოდგებოდა ეს ჩვენებები „საფუძვლად“ განმცხადებლის ბრალდებების გასამყარებლად (იხ. ზემოთ პუნქტი 53). მთავრობის არგუმენტი, რომ სამოქალაქო საქმებზე მტკიცების სხვა სტანდარტები გამოიყენება, არარელევანტური ახსნაა იმისა, რატომ არ სცადა სამოქალაქო სასამართლომ წინამდებარე საქმეში ფაქტობრივ გარემოებათა შესწავლა და მისი გადაწყვეტილებები სამართლებრივად რატომ არ დაასაბუთა.

123. მთავრობის არგუმენტზე, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება ამ მოწმეთა (კერძოდ, A.A.-სა და G.G.-ს) არსებობის შესახებ, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სარჩელის განხილვა ჩატარდა 2004 წლის 16 მარტს გამომძიებლის მიერ განმცხადებლის დაკითხვიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ, რა დროშიც განმცხადებელს შეეძლო ამ მტკიცებულების არსებობის შესახებ შეტყობა. მეტიც, გამომძიებლის მიერ წინასწარი დაკითხვის შემდეგ განმცხადებელი, სავარაუდოდ, ვერ ახერხებდა სისხლის სამართლის გამოძიებაში ეფექტიანად მონაწილეობასა და დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენას (იხ. ასევე პუნქტები 130-131 ქვემოთ). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როგორც კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაში, რა მეთოდები ან საგამოძიებო მოქმედებებიც უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივ დონეზე მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით, როგორც კი ამ საქმის შესახებ შეიტყობენ ხელისუფლების ორგანოები, მათ საკუთარი ინიციატივით უნდა იმოქმედონ და საგამოძიებო პროცედურების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა განმცხადებელს არ უნდა მიანდონ (იხ. *mutatis mutatis*, Gongadze v. Ukraine, № 34056/02, § 175, ECHR 2005 XI). წინამდებარე საქმეში არსებულ განსაკუთრებულ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ რადგან განმცხადებელმა შეძლო დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა სამოქალაქო სამართალწარმოებისას, ამით მან ეს ფაქტი სახელმწიფოს შეატყობინა. სასამართლო ითვალისწინებს, რომ როგორც მთავრობამ აღნიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 254.1.4 მუხლი მოითხოვს, სამოქალაქო სასამართლომ შეაჩეროს სამართალწარმოება, თუ შეუძლებელია სარჩელის განხილვა სისხლის სამართალწარმოების (რომელიც ამ განხილვას ხელს უშლის) დასრულებამდე. თუმცა, წინამდებარე საქმეში სასამართლომ, ფაქტობრივად, გააგრძელა სარჩელის განხილვა და საქმის არსებითად განხილვის შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 265.4-ის თანახმად, თუ სამოქალაქო სარჩელის განიხლვისას სასამართლო საქმის მხარეთა ან მესამე პირთა ქმედებებში დანაშაულის ელემენტებს გამოავლენს, უნდა გამოიტანოს სპეციალური დადგენილება (*xüsusi qərardad*), რომლითაც საზოგადოებრივ პროკურორს ინფორმაციას მიაწვდის. მიუხედავად იმისა, განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ იგი გახდა სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი და სამოქალაქო სასამართლო ინფორმირებული გახლდათ, რომ ამ საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიება კვლავ გრძელდებოდა, მან მაინც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები 254.1.4. და 265.4. მთავრობას ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია იმაზე, თუ რატომ არ გამოიტანა წინამდებარე საქმეზე

სამოქალაქო სასამართლომ სპეციალური დადგენილება, რომლითაც სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოებს ეცნობებოდათ *inter alia* საქმეში ახალ მოწმეთა არსებობის შესახებ.

124. მეტიც, სასამართლო ითვალისწინებს ფაქტს, რომ 2004 წლის 18 მაისს მთავარმა პროეურატურამ ნაზიმის საქალაქო სასამართლოს შეატყობინა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება მიმდინარეობდა იმავე ბრალდებებზე, რომლებიც განმცხადებელმა სამოქალაქო სამართალწარმოებისას დააყენა. შესაბამისად, ორგვე, როგორც სამოქალაქო სასამართლო, ასევე სისხლის საგამოძიებო ორგანოები, ინფორმირებული იყვნენ, რომ ცალ-ცალკე განიხილავდნენ საქმეებს ერთი და იმავე არასათანადო მოპყრობის ბრალდებებზე, თუმცა, არც ერთმა არ გამოიკითხა, თუ რით დასრულდა მეორე პროცესი. ამგვარი უყურადლებობა განსაკუთრებით შემაშფოთებელია საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, რომელთაც ევალებათ, ყველა შესაძლო, გონივრული ნაბიჯი გადადგან არასათანადო მოპყრობის ბრალდებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების მოსაპოვებლად (იხ. Mammadov, ციტირებულია ზემოთ, გ 74). გამომძიებელს სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგი რომ გამოეკითხა, შეიტყობდა, რომ განმცხადებელმა მისი ბრალდებების გამამყარებელი ახალი მტკიცებულება წარმოადგინა.

125. ადგილობრივი საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამგვარი უყურადლებობის ფონზე, განმცხადებლის მიერ გამომძიებლისთვის A.A.-სა და G.G.-ს ჩვენებათა შეუტყობინებლობა მის წინააღმდეგ ვერ გამოიყენება, რადგან რაც მან გააკეთა, საქმარისი იყო ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა სისხლის სამართლის გამოძიებისას სათანადოდ არ გაითვალისწინეს მოწმეთა ეს ჩვენებები, რამაც დიდწილად განაპირობა გამოძიების ადაეფექტურობა.

126. მეტიც, საგამოძიებო ორგანოებს არ უცდიათ, მოეძებნათ და მოესმინათ იმ პირთა ჩვენებები, რომლებიც განმცხადებელმა ნათლად მოიხსენია სახელით ან აღწერილობით 2004 წლის 13 და 16 მარტს მიცემულ ჩვენებებში (იხ. ზემოთ პუნქტი 25). კერძოდ, მან ახსენა I.G. (რომელმაც მოგვიანებით ასევე მისცა ჩვენება სამოქალაქო სამართალწარმოებისას) და ჭალარა ქალბატონი, რომელიც მუშაობდა №259 აფთიაქიდან მეტიც, მართალია განმცხადებელმა კონკრეტულად აღნიშნა, რომ იყი აფთიაქიდან გადაიყვანეს გადაუდებელი დახმარების სავადმყოფოში, საგამოძიებო ორგანოები არ დაინტერესდნენ არც ამ საავადმყოფოს ჩანაწერებით 2003 წლის 16 ოქტომბრის სასწრაფო გამოძახებათა შესახებ და არც იმ ექიმების, მედდებისა და სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლის ჩვენებებით, რომლებმაც იმ დღეს განმცხადებელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მთავრობას არანაირი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია, რატომ არ გააკეთეს ზემოხსენებული შესაბამისმა ორგანოებმა. ამ მოწმეთა ჩვენებებს დიდი ალბათობით შეექლო სათანადო ორგანოების დახმარება განმცხადებლის ბრალდებათა ჭეშმარიტების დადგენაში.

127. ამის ნაცვლად, საგამოძიებო ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის არეალი შემოფარგლეს სხვა რვა მოწმის დაკითხვით, რომლებიც, სასამართლოს აზრით, განსახილველ ინციდენტთან ძალიან მცირე, ან საერთოდ არანაირ კავშირში არ იყვნენ. ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ეს მოწმები დაკითხეს განსახილველი ინციდენტიდან ერთი წლის შემდეგ და, ამოცნობის მიზნით, მათ განმცხადებლის ერთადერთი ფოტო აჩვენეს.

128. ამ რვა მოწმეთაგან ექვსი იყო 2003 წლის 16 ოქტომბერს აზადლიქის მოედანზე მყოფი პოლიციელი. სხვა განმარტების მიუთითებლობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი შემთხვევით შეირჩინენ იმ დღეს აზადლიქის მოედანზე მყოფ

პოლიციელთა რიგებიდან. არ მითითებულა, ამ შემთხვევით შერჩეულ პოლიციელთა რა შესაძლო ჩვენებები შეიძლებოდა დახმარებოდა გამოძიებას საქმის ფაქტების დასადგენად. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პოლიციელთა უარყოფითი ჩვენებები არ უნდა ჩაითვალოს ლირებულად, რადგან განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის დადგენით, ამ პოლიციელებსა და მათ კოლეგებს სისხლის სამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ (შეადარეთ საქმეებს Mammadov, ციტირებულია ზემოთ, § 75; Afanasyev v. Ukraine, № 38722/02, § 76, 5 აპრილი 2005; და Akkoç v. Turkey, №22947/93 და №22948/93, § 89, ECHR 2000 X).

129. გამომძიებელი ასევე დაეყრდნო მოწმეების – A.V.-სა და R.G.-სა – ჩვენებებს, რომლებმაც თავი №259 აფთიაქის თანამშრომლებად წარმოადგინეს. მათ განმცხადებლის ფოტო აჩვენეს, რომელიც ვერ ამოიცნეს და განაცხადეს, რომ 2003 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებელი აფთიაქში არ უნახავთ. მათი ჩვენებები ენინაალმდეგებოდა განმცხადებლის ვერსიისა და მოწმეების, A.A.-ს, G.G.-სა და I.G.-ს ჩვენებებს. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ მიეცა საშუალება, პირადად დაპირისპირებოდა A.V.-სა და R.G.-ს და მათი სანდოობა და ჩვენებების ჭეშმარიტება გამოეცადა. მეტიც, გამომძიებელმა მოწმეები A.A. G.G. და I.G. რომ არ დაკითხა და ეცადა, ეპოვა და დაეკითხა სხვა მოწმეები (იხ. ზემოთ პუნქტი 126), გამოძიებას დაუკარგა A.V.-სა და R.G.-ს ჩვენებათა შეფასებით მიღებული სარგებელი, სხვა ბევრი მოწმის ჩვენებების ფონზე, რომლებიც ამყარებდნენ განმცხადებლის ბრალდებებს. ამ მიზეზთა გამო სასამართლოს სერიოზული ეჭვები აქვს A.V.-სა და R.G.-ს ჩვენებათა სანდოობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ისინი ასევე არ გამხდარა სერიოზული შესწავლის საგანი.

130. მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა სხვა მრავალი ფაქტორი, რომლებმაც ხელი შეუწყო ადგილობრივი სამართალნარმოების არაეფუქტიანობას და, ამგვარად, ეჭვებეშ დააყენა წინამდებარე საქმეზე მთავრობის მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებათა ჭეშმარიტება. კერძოდ, არასათანადო მოპყრობის შესახებ სერიოზული ბრალდებების მიუხედავად, განმცხადებელს „დანაშაულის მსხვერპლის“ სტატუსი არ მიანიჭეს, რამაც საგრძნობლად შეზღუდა მისი გამოძიებაში მონაწილეობისა და გამომძიებლის ქმედებათა გასაჩივრების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ პუნქტები 61-62). ამასთანავე, გამოძიება დროში ძალიან გაიწელა. საგამოძიებო ორგანოების მიერ დანიშნული სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზები გაუგებრად დიდხანს გრძელდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, არ გადადგმულა არც ერთი ეფექტიანი ნაბიჯი ინციდენტის გარემოებების გამოსაძიებლად და, მიუხედავად ამისა, ცხრა თვე გავიდა, ვიდრე გამომძიებელი გამოძიების შეწყვეტას გადაწყვეტდა.

131. დაბოლოს, მართალია, მთავრობამ წარმოადგინა გამომძიებლის 2004 წლის 26 ნოემბრით დათარილებული წერილი, რომლითაც განმცხადებელს გამოძიების შეწყვეტას ატყობინებდა (იხ. ზემოთ პუნქტი 81), მაგრამ წერილს არ ჰქონდა საფოსტო მარკა და მთავრობას სხვა არანაირი მტკიცებულება არ წამოუწევია იმის საჩვენებლად, რომ ეს წერილი, გამოძიების შეწყვეტის თაობაზე 26 ივნისის გადაწყვეტილებასთან ერთად, ნამდვილად გაეგზავნა ან სხვაგვარად ჩაბარდა განმცხადებელს. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი სათანადოდ არ ყოფილა ინფორმირებული ამ გადაწყვეტილების შესახებ. ამგვარ გარემოებებში, მან დაკარგა შესაძლებლობა, სასამართლოსთვის მოეთხოვა ამ გადაწყვეტილების კანონიერების გადასინჯვა, რა დროსაც იგი

*inter alia* ორი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნათა სანდოობაზეც იდავებდა და გაასაჩივრებდა საგამოძიებო ორგანოების სხვა შეცდომებსაც, მათ შორის იმას, რომ მათ არ მოიპოვეს არსებითი მოწმეების ჩვენებები.

132. სასამართლო ითვალისწინებს ზემოხსენებულს და ასკვნის, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს გარემოებების ეფუქტიანი და დამოუკიდებელი გამოძიება განმცხადებლის მიერ 2003 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ დაზიანებათა ირგვლივ, და რომ მთავრობის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტება ვერ ჩაითვლება საკმარისად და დამაჯერებლად. სასამართლო, ითვალისწინებს რა განმცხადებლის ბრალდებებს, რომლებიც მყარდება საკმაოდ ძლიერი და შეთანხმებული მტკიცებულებით, ასევე იმას, რომ მთავრობამ ვერ შეძლო სარწმუნო ახსნა-განმარტების წარმოდგენა, ადგენს, რომ განმცხადებლის დაზიანებები გამოიწვია პოლიციის მიერ ძალის გამოყენებამ, კერძოდ, დაუდგენელი პოლიციელის მიერ მოქნეული ხელკეტის ჩარტყმამ.

133. რაც შექება საკითხს, იყო თუ არა გადამეტებული განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალა, სასამართლო ამ საკითხის ძირეულად შეფასების გარეშე უშვებს, რომ შესაძლებელი იყო ხელისუფლების ორგანოების გამართლება რაღაც ზღვრამდე, წესრიგის აღდგენის მიზნით, ამბოხებული მომიტინგების წინააღმდეგ გარკვეული ზომით ძალის გამოყენებაში. თუმცა, წინამდებარე საქმის გარემოებებში, სასამართლო მხოლოდ იმ საკითხზე მსჯელობს, იყო თუ არა გადამეტებული განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია არც ერთი არგუმენტი, რომელიც ახსინდა ან გაამართლებდა განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებულ ძალას. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც აჩვენებდა, რომ განმცხადებელი დემონსტრაციისას რამენაირად მონაწილეობდა ძალადობრივ ქმედებებში. 2003 წლის 16 ოქტომბერს იგი არ დაუკავებიათ – ან დაუპატიმრებიათ – შესაბამისი ორგანოებისთვის წინააღმდეგობის განვის გამო. ინკიდენტის დროს იგი ცდილობდა აზადლიერის მოედნის დატოვებას აშკარა მიზნით – საფრთხე თავიდან აცილებინა. არ არსებობს იმის მიმანიშვებელი ინფორმაციაც, რომ განმცხადებელმა თავისი საჭირელით პროვოცირება მოახდინა ან საჭირო გახადა პოლიციის მიერ მასზე ძალის გამოყენება. შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალა არ იყო საჭიროებით განპირობებული და გადამეტებული გახლდათ.

134. მეტიც, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლისთვის მიყენებულ დაზიანებებს მოჰყვა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა. ეს დაზიანებები მის ჯანმრთელობაზეც აისახა – იგი სამუდმოდ დაპრმავდა მარჯვენა თვალით. არა-სათანადო მოპყრობამ და მისმა შედეგებმ განმცხადებელს მნიშვნელოვანი სულიერი ტანჯვაც მიაყენა და მისი ლირსება დააკინინა. ამგვარ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ არასათანადო მოპყრობა, რომელზეც განმცხადებელი ჩიოდა, აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს – მე-3 მუხლის მნიშვნელობით – და უნდა ჩაითვალოს არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობად.

### (iii) დასკვნა

135. სასამართლო, ზემოთ, 131-ე პუნქტში გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით, უკუაგდებს მთავრობის არგუმენტაციის ნაწილს დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებათა ამონურვის შესახებ და ამ საკითხზე იმსჯელებს არსებით განხილვაზე. რაც შეეხება არსებით განხილვას, სასამართლო იმეორებს თავის

## მურადოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ

დასკვნას, რომ 2003 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებელი გახდა არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი და ასკვნის, რომ განმცხადებლის საჩივრის გამოძიება, ზემოაღნიშნული სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

136. მაშასადამე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, როგორც არსებით, ასევე პროცესუალურ ნაწილში.

## II. კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების საპარაუდო დარღვევები

137. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ადგილობრივი სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტურიანი იყო, მის მიერ წამოწყებული სამოქალაქო სამართლწარმოება კი უსამართლო. იგი ამტკიცებდა, რომ სასამართლოები ფაქტების შეფასებისას არ იყვნენ ობიექტურნი და რეაგირება არ მოახდინეს ზიანზე, რაც მას მიადგა პოლიციელის მიერ ცემის შედეგად. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 და, მე-13 მუხლებს.

138. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...“

139. კონვენციის მე-13 მუხლში ვკითხულობთ:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

140. მხარეთა არგუმენტები ემთხვეოდა ან არსებითად მსგავსი იყო მათი არგუმენტებისა მე-3 მუხლის პროცესუალურ მხარესთან დაკავშირებით.

141. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები უკავშირდება ზემოთ განხილულ საჩივარს და, მის მსგავსად, დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

142. თუმცა, მე-3 მუხლის პროცესუალური მხარის დარღვევის შესახებ დადგენილების გათვალისწინებით, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ წარმოწყებული გამოძიების არაეფექტურნობას, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლები სხვა დამატებით საკითხებს არ წამოწევენ და ადგენს, რომ საჭირო არ არის ამ საჩივრების ცალკე განხილვა.

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

143. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა,

საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკ-მაყოფილებას მიაკუთვნებს“.

## A. ზიანი

144. განმცხადებელი არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ მოითხოვდა 850 000 ახალ აზერბაიჯანულ მანათს და მიუთითებდა მის დაზიანებებსა და მხედვე-ლობის დაკარგვის შედეგად გაჩენილ სულიერ შეგრძნებებზე, როგორიცაა შიში, შფოთვა და ნერვული აშლილობა.

145. ამ მოთხოვნაზე მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

146. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა უდავოდ განიცადა არამატერიალური ზიანი, რომელიც მხოლოდ დარღვევის დადგენით ვერ ანაზღაურდება. სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ განმცხადებელმა განსაკუთრებით მძიმე დაზიანება მიიღო, რაც მის ჯანმრთელობაზე მუდმივად აისახება. საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო განმცხადებელს ანიჭებს 25 000 ევროს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგოს ეს თანხა.

## B. ხარჯები და დანახარჯები

147. განმცხადებელი დამატებით ითხოვდა 1800 ახალ აზერბაიჯანულ მანათს ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად, ეროვნული სასამართლოებისა და სტრასბურგის სასამართლოს წინაშე განეული ხარჯებისათვის. ეს მოთხოვნა არ იყო გამყარებული რაიმე დოკუმენტით.

148. ამ მოთხოვნაზე მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

149. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, მიიღოს ანაზღაურება ხარჯებისა და დანახარჯებისათვის მხოლოდ იმ მოცულობით, რომლითაც შეუძლია დაადასტუროს, რომ ეს ხარჯები გაიღო რეალურად და აუცილებლობიდან გამომდინარე და გონივრული იყო თავისი მოცულობით. წინამდებარე საქმეში იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო რაიმე დოკუმენტური დასაბუთების წარმოდგენა, სასამართლო უარს ამბობს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციაზე.

## C. საურავი

150. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## **ԵՍԵԿԵՑՈՂ ԹՌԻՑԵՑՈՒՅՆ ԲԱԹՐՁՆԱՀԱՐԵ, ՏԱՏԱՄԱՐՏՈՂՄ ԵՐՏԵՄԱԴ**

1. ապեսացնե՞ծ ցանաւութեաց դասավունուած;
2. ազգեան, ռոմ կոնցենցուուու մե-3 մշելու դատուա բողոքու արևեծու, ասյա პրոցե-  
սուալյան նանուուու;
3. ազգեան, ռոմ սափորու ար արուու կոնցենցուու մե-6 դա մե-13 մշելուու տանաեմաց  
սահիցընուու ցալու ցանելուա;
4. ազգեան,

- (a) կոնցենցուու 44-յ մշելու մե-2 პյունքուու կապուլու ցանաւութեաց, սապուլու ցանաւութեաց միջնուու դարուու 3 տրու ցանմացլու նանուու, մոքասու սահելմնուու ցան-  
մաւուացնեյլու արամացրուա նանուու տանուու սանացուու ցանմացլու 25 000  
ցարուու ցանուուալենցու անալ աներօնա նանուու մանաւուու, ցանաւու դարուու ցան-  
մաւուացնեյլու ամաս ցանաւու ցանուու նեბու մուու ցանաւու ցանմացլու, բողոքուու պյունքու  
կարուու տանուու ամաս ցանաւու ցանուու ցանմացլու, բողոքուու պյունքու ցան-  
մաւուացնեյլու ցանուու ցանուու ցանմացլու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցան-
- (b) չեմու կապուլու սամտցան ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցան-
5. պարուու ցանմաւուացնեյլու մոտեացնուու ցանարին նանուու սամարտուու ցան-  
մաւուացնեյլու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցանուու ցան-

Պյունքու ցանմաւուացնեյլու մոտեացնուու ցանարին նանուու սամարտուու ցան-

**Տօրեն նոյելսենո  
ՀՀ պատմական պատմական**

**ՀՀ պատմական պատմական  
Տագավորական պատմական**

## **პავლენკო ოუსეთის მინააღმდეგ**

---

***CASE OF PAVLENKO v. RUSSIA***



პირველი სექტი

## პავლენეონ რუსეთის წინააღმდეგ

(განაცხადი № 42371/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 1 აპრილი

საბოლოო ვერსია

04/10/2010

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე პავლენკო რუსეთის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (პირველი სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ხრისტოს როზაკისი, თაგმიჯდომარე,  
წინა ვაჯიჩი,  
ანატოლი კოვლერი,  
ელიზაბეტ სტეინერი,  
ხანლარ ჰაჯიევი,  
ჯორჯო მალინვერნი,  
ჯორჯ ნიკოლაუ, მოსამართლეები,  
და ანდრე ვამპაჩი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2010 წლის 11 მარტს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №42371/02, რომელიც რუსეთის მოქალაქემ, ბატონშია ალექსანდრ ივანოვიჩ „პავლენკომ“ (შემდგომში „განმცხადებელი“) სასამართლოში შეიტანა 2002 წლის 6 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებლის, რომელსაც სასამართლოში წარმომადგენლობისთვის სამართლებრივი დახმარება მიენიჭა, ინტერესებს იცავდა ნ. პროკოფიევი, ბერნაულის პრაქტიკოსი ადვოკატი. რუსეთის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ქალბატონი ვ. მილინჩუკი, იმ დროისათვის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ეკროპულ სასამართლოში.

3. 2007 წლის 21 მაისს პირველი სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის განაცხადის შესახებ. ასევე გადაწყდა, რომ სასამართლო ერთდროულად იმსჯელებდა განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარეებზე (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

4. რუსეთის მთავრობამ განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარეების ერთდროულად განხილვის გადაწყვეტილება გააპროტესტა. სასამართლომ იმსჯელა მთავრობის პრეტენზიაზე და იგი არ დააკმაყოფილა.

## ვაძლები

### 1. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1971 წელს და საპატიმრო სასჯელს იხდის ორკუცკის რეგიონში.

#### **A. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ**

6. 1999 წლის ნოემბერში, 2000 წლის ივლისსა და სექტემბერში რამენიმე სისხლისსამართლებრივი მოკვლევა დაიწყო ქალების (მსხვერპლები K., Ok. და A., Os.) დანაწევრებული სხეულების აღმოჩენის ფაქტებთან დაკავშირებით.

1. განმცხადებლის დაკავება და დაკითხვები

#### **(a) დაკითხვა 2000 წელს**

7. 2000 წლის 22 აგვისტოს განმცხადებელი მისი ადვოკატის თანდასწრებით დაკითხეს მსხვერპლ G.-ს ბრალდებასთან დაკავშირებით მისი გაუპატიურების შესახებ. 2000 წლის 15 სექტემბერს საქმე შეწყდა corpus delicti-ს არარსებობის გამო, აშკარად შეთანხმებული ურთიერთობის გათვალისწინებით.

**(b) დაკითხვა 2001 წლის 3 თებერვალს**

8. ამის შემდგომ, 2001 წლის 3 თებერვალს, ქალბატონშია F.-მა განმცხადებელი მის გაუპატიურებასა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში დაადანაშაულა. როგორც ირკვევა, 2001 წლის 3 თებერვალს განმცხადებელი ან თვითონ გამოცხადდა ბარნაულის პოლიციში ან ამ საჩივართან დაკავშირებით დააკავეს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ წინა საღამოს მის სახლში ამ ქალბატონთან ერთად აღკოპოლი მიიღო, თუმცა მასთან სექსუალური კონტაქტი უარყო. ირკვევა, რომ განმცხადებელს საპროცესო უფლებები აუქსნეს, მათ შორის, სამართლებრივი დახმარების უფლებაც, თუმცა, მან უარი თქვა ამ უფლებით სარგებლობაზე. ამის შემდეგ იგი დაიკითხა, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა განმცხადება აღარ გაუკეთებია. გამომძიებელმა მისი საპატიმროში მოთავსება ბრძანა და დროებითი მოთავსების ცენტრის ადმინისტრაციას სთხოვა უზრუნველეყოთ, რომ განმცხადებელი, იმ დროისათვის საჯარო მოხელე (გამოსაფხიზლებელი ცენტრის მძღოლი), სხვა დაკავებულებისგან განცალევებით მოეთავსებინათ (იხ. ქვემოთ პუნქტები 43 და 44). განმცხადებლის თანახმად, მას იმავე დღეს უარი უთხრეს, დაკავშირებოდა ოჯახს ადვოკატის აყვანის მიზნით. განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული საქმე, მისი „სირთულისა და დიდი მოცულობით საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობის გამო“, გადაეცა ოთხ გამომძიებელს. იმავე დღეს გამომძიებელმა დაკითხა ქალბატონი S, განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდებებთან დაკავშირებით.

9. გამომძიებელთა გარდა, 2001 წლის 4 თებერვალს ალტაის რეგიონული პროკურატურის გამომძიებელმა P.-მ პოლიციის განყოფილებას მოთხოვა, გამოეყო ოფიცირები „ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების ჩასატარებლად“, რათა დაედგინათ, მონანილებდა თუ არა განმცხადებელი ბოლო პერიოდის საქმეებში, რომლებიც უკავშირდებოდა ადგილობრივი უნივერსიტეტიდან ქალი სტუდენტების გაუჩინარებას (იხ. ასევე ქვემოთ პუნქტები 14 და 25).

10. განმცხადებლის თანახმად, დაკავების შემდეგ მან ითხოვა, რომ მისი ინტერესები ბატონ K-ს, ადგილობრივი ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატს, დაუცვა. როგორც ირკვევა, გამომძიებელმა დაადგინა, რომ ბატონი K., პოტენციურად ინტერესთა კონფლიქტის გამო, განმცხადებლის იურიდიულ წარმომადგენლად ვერ დაინიშნებოდა, რადგან იგი ამავე დროს იცავდა ბატონი P-ს ინტერესებს. თუმცა, განმცხადებლის თანახმად, P-მ ბატონი K. ადვოკატად აიყვანა არაუადრეს 2001 წლის 19 თებერვლისა.

**(c) შემდგომი დაკითხვები და განმცხადებლის აღიარებითი ჩვენებები**

11. 2001 წლის 6 თებერვალს გამომძიებელმა A-მ, მსხვერპლი F-ის საქმესთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბა ბრალდებები განმცხადებლის წინააღმდეგ. განმცხადებელს განემარტა მისი უფლება, შეენარჩუნებინა სიჩუმე, ასევე უფლება, ესარგებლა იურიდიული დახმარებით. მან ბრალი „ნანილობრივ“ აღიარა. განმცხადებელს არ სურდა მისი ინტერესები სახაზინო ადვოკატს დაუცვა და ამის გამო საქმის განხილვის გადადება მომავალ დღემდე ითხოვა, რათა ესარგებლა მშობლების მიერ დაქირავებული ადვოკატის დახმარებით.

12. განმცხადებლის თანახმად, მისმა დედამ მისი დაკავების შესახებ პირველად 2001 წლის 6 თებერვალს განმცხადებლის მეგობარი გოგონასგან შეიტყო,

რომელმაც, თავის მხრივ, ეს ამბავი ნათესავისაგან, ყოფილი სამართალდამცველი პირისაგან გაიგო. როცა განმცხადებლის დედა გამომძიებლის ოფისში მივიდა, იგი დაარწმუნეს, რომ ბატონ პავლენკოს სხვა ადვოკატის აყვანა არ სურდა. მოგვიანებით მას უთხრეს, რომ განმცხადებელი კმაყოფილი იყო ადვოკატ D.-ს მომსახურებით. მთავრობის ვერსიით, განმცხადებლის დედამ შვილის დაკავების შესახებ 2001 წლის 4 თებერვალს შეიტყო.

13. 2001 წლის 7 თებერვალს გამომძიებელმა, განმცხადებლის წინააღმდეგობის მიუხედავად, მას ადვოკატი D. სახაზინო წესით დაუნიშნა. განმცხადებელმა კვლავ გამოხატა სურვილა, რომ მისი უფლებები მშობლების მიერ დაქირავებულ ადვოკატს დაუცვა და დუმილი შეინარჩუნა. მას კვლავ უარი უთხრეს თხოვნაზე, მოენახულებინათ მისი ოჯახის წევრებს ან სხვა ფორმით დაკავშირებოდა მათ, იმ საფუძვლით, რომ ეს ნეგატიურ გავლენას მოახდენდა გამომძიების მიმდინარეობაზე. როგორც დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, გამომძიებელი განმცხადებელს კითხვადა 15:15-დან 15:20 საათამდე. თუმცა, მნახველთა სარეგისტრაციო ურნალის მიხედვით, გამომძიებელი განმცხადებელთან შესული იყო იმავე დღეს 14:44-დან 17:06 საათამდე.

14. განმცხადებლის თანახმად, დროებითი მოთავსების ცენტრში გამომძიებლები და პოლიციის ოფიცირები 2001 წლის 2 მარტამდე მას ყოველდღიურად, 12 საათის განმავლობაში უწყვეტად კითხვადნენ ხოლმე. მნახველთა სარეგისტრაციო ურნალში მხოლოდ წამყვანი ოფიცირების გარება ფიქსირდებოდა. განმცხადებლის თანახმად, პოლიციის ოფიცირები მას სცემდნენ ისეთი ტექნიკის გამოყენებით, რომელიც კვალს არ ტოვებდა. აღიარებითი ჩვენებების მოპოვების მიზნით, ისინი განმცხადებელს ახლო ნათესავების მიმართ სხვადასხვა ქმედებით ემუქრებოდნენ, მაგალითად, იმით, რომ ადგილობრივ გაზითში განმცხადებლის ძმისა და მისი მეგობარი გოგონას შესახებ სტატიებს გამოაქვეყნებდნენ; რომ მათ ბინებს გაჩერებდნენ; რომ თანამესაკანების დახმარებით მისი თვითმკვლელობის სცენას დადგამდნენ. განმცხადებელს, სავარაუდოდ, თანამესაკანებმა სცემებს (თარიღი მითითებული არ არის), რომელთაც დავალებული ჰქონდათ ბატონი პავლენკო დაერწმუნებინათ, რომ ბრალი ელიარებინა. შედეგად, განმცხადებელმა პოლიციის ოფიცირები არასათანადო მოპყრობაში დაადანაშაულა (იხ. ზემოთ პუნქტი 33 და 42).

15. შესაბამისად, განმცხადებელი დაკითხეს:

2001 წლის 8 თებერვალს - პოლიციის ოფიცირებმა 04:10-დან 05:15 საათამდე;

2001 წლის 9 თებერვალს - პოლიციის ოფიცირებმა 11:50-დან 12:35 საათამდე და 16:20-დან 18:40 საათამდე. იმავე დღეს, შესაბამისმა ორგანოებმა სამართლარმოება განაახლეს G.-ს სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე (იხ. ზემოთ პუნქტი 7).

2001 წლის 10 თებერვალს - ოფიცირებმა 11:15-დან 15:20 საათამდე;

2001 წლის 12 თებერვალს - გამომძიებელმა 15:00-დან 16:10 საათამდე.

16. 2001 წლის 13 თებერვალს გამომძიებელი A. და Sh. განმცხადებელთან იმყოფებოდნენ 10:25-დან 12:25 საათამდე და 15:05-დან 18:35 საათამდე. განმცხადებელმა წერილობით მიცემულ ჩვენებაში აღიარა F.-ზე განხორციელებული სექსუალური თავდასხმა და 2000 წლის ივლისში A.-სა და OK.-ს მკვლელობები. განმცხადებელი ადვოკატ D.-ს თანდასწრებით იკითხებოდა 17:30-დან 19:25 საათამდე. ამ დაკითხვის დროს მას განუმარტეს კონსტიტუციის 51-ე მუხლის შინაარსი და მანაც დაადასტურა, რომ მუხლის მნიშვნელობა გაიგო. მან ასევე

## პავლენები რუსეთის წინააღმდეგ

დაადასტურა, რომ სურდა ჩვენების მიცემა და იმავე დღეს მანამდე მიცემული ჩვენება გაიმეორა. თან განაცხადა, რომ იგი დანაშაულს წებაყოფლობით აღიარებდა, რადგან „ამ ტკიროთის ტარება აღარ შეეძლო“. განმცხადებლის ვერსიით, ადვოკატი D. დაკითხვას მხოლოდ 18:30-დან 18:35 საათამდე ესწრებოდა.

17. 2001 წლის 15 თებერვალს განმცხადებელს გამომძიებელი 16:27-დან 17:57 საათამდე კითხავდა. მთავრობის თანახმად, ამ დაკითხვის დროს განმცხადებელმა ადვოკატ D.-ს თანდასწრებით დაადასტურა მსხვერპლ F.-თან დაკავშირებით მანამდე მიცემული ჩვენება.

18. 2001 წლის 17 თებერვალს განმცხადებელს ოფიცრები 10:20-დან 13:00 საათამდე კითხავდნენ.

19. 2001 წლის 18, 20 და 26 თებერვალს განმცხადებელმა რამდენიმე დანაშაული აღიარა. მის თანახმად, თითოეულ ჯერზე, ოფიცრების მიერ დაკითხვის შემდეგ, იგი მიჰყავდათ მთავარ გამომძიებელთან, სადაც ხელს აწერდა ოქმს. ამ დროს განვითარებული მოვლენები ასე შეიძლება აღინიშვნოს:

2001 წლის 18 თებერვალს გამომძიებელი A. განმცხადებელს 12:30-დან 14:10 საათამდე ეწვია. განმცხადებელი 12:30-დან 12:50 საათამდე, ადვოკატ D.-ს თანდასწრებით, A.-სა და OK.-ს მკვლელობებთან დაკავშირებით იკითხებოდა. განმცხადებელმა გამომძიებლის შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომ სხვა მკვლელობა მას არ ჩაუდენია.

2001 წლის 19 თებერვალს განმცხადებელი დაკითხეს პოლიციის ოფიცრებმა 14:35-დან 16:13-მდე პერიოდში.

2001 წლის 20 თებერვალს განმცხადებელი პოლიციის ოფიცრებმა 10:00-დან 15:30-მდე პერიოდში დაკითხეს. განმცხადებელმა წერილობით აღიარა K.-ს მკვლელობა და იქვე აღნიშნა, რომ ჩვენება „ნებაყოფლობით მისცა, ყოველგვარი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე“.

20. ამის შემდეგ განმცხადებელი დაკითხა (ადვოკატის მონაწილეობის გარეშე):

2001 წლის 21 თებერვალს - გამომძიებელმა 15:30 საათამდე და ოფიცერმა/ ოფიცრებმა 14:15-დან 17:25 საათამდე;

2001 წლის 22 თებერვალს - ოფიცერმა/ოფიცრებმა 11:40-დან 13:35 საათამდე;

2001 წლის 23 თებერვალს - გამომძიებელმა 11:43-დან 13:35 საათამდე;

2001 წლის 24 თებერვალს - ოფიცრებმა 12:15-დან 13 საათამდე;

2001 წლის 26 თებერვალს განმცხადებელს ოფიცრები 09:50-დან შუადღემდე კითხავდნენ, ხოლო გამომძიებელი - 17:00-დან 18:40 საათამდე. განმცხადებელმა წერილობით აღიარა მსხვერპლის Os.-ის მკვლელობა.

21. როგორც მნახველთა სარევისტრაციო უურნალიდან ირკვევა, 2001 წლის 27 თებერვალს გამომძიებელი განმცხადებელთან 11:33-დან 13:07 საათამდე იმყოფებოდა, ხოლო პოლიციის ოფიცერმა S.-მა იგი იმავე დღეს 17:05-დან 17:55-მდე პერიოდში მოინახულა. ფოტო ამოცნობა გრძელდებოდა 13:10-დან 13:15 საათამდე, ადვოკატ D.-ს თანდასწრებით.

22. განმცხადებელთან მსგავსი ვიზიტები მარტსა და აპრილშიც გაგრძელდა (იხ. ასევე ქვემოთ პუნქტი 28).

23. განმცხადებლის თანახმად, როცა დედამ ადგილობრივი გაზეთიდან შეიტყო, რომ მისმა შეილმა ძალზე მძიმე დანაშაულები აღიარა, მიხვდა, რომ გამომძიებელმა A.-მ იგი შეცდომაში შეიყვანა და მსწრაფლ დაიქირავა ადვოკატი S (იხ. ქვემოთ).

**(d) ადვოკატ S-ის საქმეში ჩართვა და სამართალწარმოების შემდგომი ეტაპები**

24. 2001 წლის 6 მარტს განმცხადებელს პირველად მიეცა უფლება მის დაქირავებულ ადვოკატს, ბატონ S.-ს შეხვედროდა. განმცხადებელმა მანამდე მოგროვებული მტკიცებულებები უარყო და მათი საქმიდან ამოღება ითხოვა, მათ შორის, უარყო მიცემული ჩვენებებიც, რადგან ისინი, მისი მტკიცებით, იძულებით და ეფექტური სამართლებრივი რჩევის გარეშე იყო მოპოვებული.

25. 2001 წლის 11 აპრილს პოლიციის ოფიცერმა S.-მა გამომძიებელ P.-ს მოახსენა, რომ 2001 წლის 4 თებერვალს გაცემული ბრძანების შემდეგ ჩატარებული „რიგი ოპერატორული ღონისძიებების“ შედეგად, OK.-ის, A.-ს, K.-სა და Os.-ს მკვლელობებში განმცხადებლის მონაწილეობა თვალითალივ გამოიკვეთა. ამავე დროს, არანაირი კავშირი არ გამოვლინდა განმცხადებელსა და ქალ სტუდენტთა გაუჩინარებას შორის. ანგარიშში აღინიშნა, რომ განმცხადებლის ირგვლივ კვლავ გრძელდებოდა გამოიძიება.

26. 2001 წლის 23 აპრილს განმცხადებელი, თანამესაკნეებთან ჩხუბის შემდეგ, სამარტო საკანში გადაიყვანეს.

27. წინასწარი გამომძიებისას მომზადდა რამდენიმე ბალისტიკური ანგარიში, მოწმის სახით დაიკითხა 50-ზე მეტი ადამიანი, ბევრმა მათგანმა ზეპირი ჩვენება სასამართლო პროცესზე მისცა. განმცხადებლის ბინაში ჩატარდა ჩხრეკები და ამოილეს რიგი დოკუმენტები.

28. ადვოკატი S. ჩიოდა, რომ განმცხადებლის მონახულებას კვლავ აგრძელებდნენ პოლიციის ოფიცრები, რომლებიც, მისი აზრით, უფლებამოსილი არ იყვნენ სისხლის სამართლის საქმეზე ემუშავათ. 2005 წლის 31 მაისს გამომძიებელმა ბრძანება გასცა, რომლის მიხედვითაც განმცხადებელთან შეხვედრის უფლება მიეცა მხოლოდ 4 გამომძიებელს, მისი ჩათვლით. ზემოხსენებულმა პოლიციის ოფიცრებმა, რომელთაც გამომძიებელმა მათი საქმიანობის შესახებ კითხვები დაუსვა, განაცხადეს, რომ დაევალათ გადაემონმებინათ, იყო თუ არა რაიმე კავშირი განმცხადებელსა და იმ ქალი სტუდენტების გაუჩინარებას შორის, რომელთა საქმეებიც ჯერ არ იყო გახსნილი.

29. 2001 წლის ივნისში, ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ, გამომძიებელმა ბრძანა მოკვლევის ჩატარება განმცხადებლის სახეზე 2001 წლის 23 აპრილს მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით. ასევე გასცა ბრძანება, გაერკვიათ, განაცხადა თუ არა მან არასათანადო მოპყრობის შესახებ. გამომძიებელმა P.-მ განმცხადებელს ამცნო, რომ მათ (გამომძიებლებმა) არ იცოდნენ, თუ მას დროინდოთ მითავსების ცენტრსა და წინასწარი პატიმრობის იზოლატორში პოლიციის სხვადასხვა ოფიცერი სტუმრობდა ხოლმე.

30. 2001 წლის ოქტომბერში გამომძიებელმა საქმის განმხილველ პროკურორთა დეპარტამენტს აცნობა, რომ საქმეზე მიმაგრებულ ოფიცერთა საქმიანობა არ იძლეოდა იმის დასკვნის საშუალებას, რომ განმცხადებელი სხვა სისხლის სამართლის საქმეებშიც მონაწილეობდა.

**2. სასამართლო განხილვა**

31. განმცხადებლის საქმის სასამართლო განხილვა აღტაის რეგიონულ სასამართლოში ჩაინიშნა. განმცხადებელმა არსებითად აღიარა ქალბატონ F.-ის მიმართ ჩადენილი დანაშაული. იგი ამტკიცებდა, რომ მისი სექსუალური კა-

ვშირი G.-თან კონსენსუსის შედეგი იყო; მას არანაირი კავშირი არ ჰქონია სხვა ოთხ ადამიანთან (მსხვერპლებთან K., OK., Os., A.); ხოლო ამასთან დაკავშირებით წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს მიცემული აღიარებითი ჩვენებები პოლიციის ოფიცირებმა არასათანადო მოპყრობისა და მასზე ფიქილოგიური ზენოლის გზით მოიპოვეს. განმცხადებელმა, მასზე ზენოლის შესახებ ბრალდებათა გასამყარებლად, სასამართლოს წარმოუდგინა 2001 წლის 4 თებერვლიდან 23 მარტამდე პერიოდის ამონანერი წინასწარი დაკავების ცენტრის მნახველთა სარეგისტრაციო უურნალიდან. ამ პერიოდის განმავლობაში მას ხშირად სტუმრობდნენ სხვადასხვა გამომძიებლები და პოლიციის ოფიცირები.

32. საქმის განმხილველმა სასამართლომ იმსჯელა არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის ბრალდებებზე, იძულებით მიცემულ აღიარებით ჩვენებებსა და წინასწარი გამოძიებისას სამართლებრივი დახმარების შესახებ მისი უფლების საგარაუდო დარღვევაზე. სასამართლომ დაკითხა გამომძიებელი A., რომელმაც დაადასტურა, რომ განმცხადებელმა ვერ ისარგებლა „მის მიერვე“ შერჩეული ადვოკატის დახმარებით (სავარაუდო, იგულისხმა ბატონი K.), რადგან ეს უკანასკნელი ამ დროისთვის ბატონ P.-ს ინტერესებს იცავდა. გამომძიებელმა ასევე დაადასტურა, რომ განმცხადებელს ნება არ დართეს, მოქანაულებინა დედას, რათა არ მომხდარიყო მტკიცებულებათა აპნევა და გამოძიების პროცესს ხელი არ შეშლოდა. საქმის განმხილველმა სასამართლომ ეს არგუმენტი გაიზიარა, მხედველობაში მიიღო რა განმცხადებლის დედის მცდელობა, გადაეცა შეილისთვის მესიჯი, რომ მას დუმილი შეენარჩუნებინა და, სავარაუდოდ, დროებით თავი შეურაცხადად გაესალებინა.

33. საქმის განმხილველმა სასამართლომ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი არ დააკამყოფილა, იგი დაეყრდნო 2001 წლის 3 და 14 თებერვლის სამედიცინო დასკვნებს და აღიარებები „სრულ სიმართლე“ ჩათვალა. სასამართლომ დაკითხა რამდენიმე ის ოფიცირი, რომლებიც განმცხადებელს პატიმრობისას სტუმრობდნენ ხოლმე და დასკვნა, რომ ისინი უფლებამოსილი იყვნენ, დაეკითხათ განმცხადებელი იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც მისი მონაწილეობის კვალი იკვეთებოდა, ასევე სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც. სასამართლომ ასევე დაკითხა ბატონი M., რომელიც 2001 წლის მარტში განმცხადებელთან ერთად დააკავეს. ბატონმა M.-მა განაცხადა, რომ განმცხადებლის დაკითხვა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ხოლმე და იგი საკანში „დაქანცული“ ბრუნდებოდა. ამ დროს მას სხეულზე ძალადობის არანაირი კვალი არ აღენიშნებოდა.

34. 2001 წლის 22 ნოემბერს რეგიონულმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო რამდენიმეგზის გაუპატიურებასა და მკვლელობაში და მას 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

35. რაც შეეხება განმცხადებლის ბრალეულობას G.-ს გაუპატიურებაში, სასამართლომ დაადგინა: „მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა ადრე მიცემული ჩვენებები უარყო, მისი ბრალი მსხვერპლის ჩვენებით მტკიცდებოდა“. სასამართლომ ასევე მოიხმო რამდენიმე სხვა მოწმის ჩვენება და სამედიცინო დასკვნები.

36. მსხვერპლ F.-ის გაუპატიურებასა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში განმცხადებლის ბრალეულობის დადგენისას, სასამართლომ პროცესზე იხელმძღვანელა განმცხადებლის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენებით, მსხვერპლის განცხადებით, იმ მოწმეთა ჩვენებებით, რომლებმაც დაინახეს, როგორ

გაიქცა განმცხადებელი მსხვერპლის სახლიდან და ასევე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით.

37. სასამართლო, მსხვერპლ K.-ს მკვლელობაში განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისას, დაეყრდნო წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს აღიარებებს, ადვოკატ D.-ს თანდასწრებით გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებას და განმცხადებლის მიერ ფოტოზე მსხვერპლის ამოცნობას. საქმის განმხილველმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოხსენებულ ჩვენებებს ამყარებდა მკვლელობის დღეს მსხვერპლის ტანსაცმლის აღწერილობის შესახებ სხვა სამი მოწმის ჩვენებები, დანაშაულის ადგილის შემოწმების ოქმი და სამედიცინო ექსპერტთა დასკვნები.

38. საქმის განმხილველმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო OK.-სა და A.-ს მკვლელობებში, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს მიცემული აღიარებითი ჩვენებების, ადვოკატ D.-ს თანდასწრებით გამომძიებლისთვის მიცემული ჩვენების და განმცხადებლის მიერ ფოტოზე მსხვერპლის ამოცნობის საფუძველზე. საქმის განმხილველმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოხსენებულ ჩვენებებს ამყარებდა მის ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებები.

39. სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო Os.-ის მკვლელობაში და ამ დასკვნის გამოტანისას დაეყრდნო წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს მის მიერ მიცემულ აღიარებით ჩვენებას, რომელიც სასამართლომ „სრულ სიმართლე“ მიიჩნია, მოგვიანებით მის უარყოფის მიუხედავად. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ამ დანაშაულის დეტალების შესახებ სხვა წყაროდან ვერ შეიტყობდა.

40. 2002 წლის 22 მაისს, რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ, მოისმინა რა პროცესურორისა და ადვოკატი S.-ის არგუმენტები, წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დაცვის უფლება არ დარღვეულა, რადგან 2001 წლის 3 თებერვალს განმცხადებელს ეცნობა მისი დუმილის უფლების და იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ. განმცხადებელმა ოქმს ხელი მოაწერა და ადვოკატის დახმარებით სარგებლობაზე უარი განაცხადა. 2001 წლის 7 თებერვალიდან განმცხადებლის უფლებებს იცავდა ადვოკატი D. იგი ყველა იმ საგამოძიებო ღონისძიებას ესწრებოდა, რომლებსაც საქმის განმხილველი სასამართლო დაეყრდნო. სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს დაკითხვისას გამოირკვა ისეთი გარემოებები, რომლებიც მანამდე საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი არ ყოფილა. მაგალითად, მსხვერპლ K.-თან დაკავშირებით, განმცხადებელმა აღწერა მსხვერპლი, მისი ტანსაცმელი, ასევე ისაუბრა მის ხსიათსა და ცხოვრების სტილზე. განმცხადებლის მიერ საგამოძიებო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოგვიანებით სასამართლო პროცესზე დაადასტურდა მოწმის სახით დაკითხულმა რამდენიმე ადამიანმა. რაც შეეხება მსხვერპლ OK.-ს, მისმა დედამ დაადასტურა, რომ განმცხადებლის ბინაში ნაპოვნი თმის სამაგრი მის გარდაცვლილი ქალიშვილს ეკუთვნოდა. სხვა ნივთმტკიცებებიც, ერთად აღებული, აბათილებდა მტკიცებას, რომ განმცხადებელი მკვლელობებში არ მონაწილეობდა.

## B. სხვა პროცესები

41. სასამართლო განმხილვის შემდეგ, განმცხადებელმა მის სისხლის სამართლის საქმეში მთავარი გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის

აღძვრა მოითხოვა, მტკიცებულებათა გაყალბების ბრალდებით. 2004 წლის 27 დეკემბერსა და 2005 წლის 17 იანვარს რეგიონულმა პროკურატურამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. განმცხადებელმა სასამართლოებში მიღებული უარი გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად.

42. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არასათანადო მოყვრობის ბრალდებით იმ ოფიცირების წინააღმდეგ, რომლებიც მას კითხავდნენ 2001 წლის თებერვალში. 2004 წლის 14 დეკემბერს რეგიონული პროკურატურის გამომძიებელმა ოფიცირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი განაცხადა. ეს გადაწყვეტილება 2005 წლის 31 იანვარს ძალაში დატოვა ზემდგომმა პროკურორმა. 2005 წლის 19 მაისსა და 23 ივნისს რეგიონულმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რითაც ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებები. მათ კი, თავის მხრივ, აიცილეს იურისდიქცია, განეხილათ განმცხადებლის საჩივარი 2004 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილების შესახებ. ამას გარდა, 2005 წლის 7 ივნისს და 13 ოქტომბერს რეგიონულმა სასამართლომ, როგორც ამ საკითხზე ბოლო ინსტანციამ, გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის საჩივარი 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების შესახებ, სასამართლო გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა.

### C. პატიმრობის პირობები

#### 1. დროებითი მოთავსების ცენტრი

##### (a) განმცხადებლის ვერსია

43. განმცხადებელი შინაგან საქმეთა ბარნაულის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების ცენტრში (ИВС УВД г. Барнаула) 2001 წლის 3 თებერვლიდან 2 მარტამდე და 2001 წლის 13-დან 23 მარტამდე იმყოფებოდა. სხვა ოთხ დაკავებულთან ერთად, იგი მოთავსებული იყო 6მ<sup>2</sup> ფართის საკანში. განმცხადებელს იატაზე ეძინა, რადგან იგი არ უზრუნველყოფეს საწოლით, მატრასით ან თეთრეულით. საკანი არ თბებოდა; ჰქონდა ცუდა ვენტილაცია და განათება. საპირფარეშო საცხოვრებელი ფართისგან გამოყოფილი არ იყო. საკვები დღეში ერთხელ მიენოდებოდათ. განმცხადებელი მთელ დროს საკანში ატარებდა, რადგან ნებას არ რთავდნენ რაიმე საქმიანობით დაკავებულიყო. განმცხადებელს უარს ეუბნებოდნენ, მიეღო მნახველები ან რაიმე სახის კონტაქტი ჰქონდა იჯახის წევრებთან.

44. განმცხადებელმა მოგვიანებით აღნიშნა, რომ საკანი აუტანლად ცივი და ნესტიანი იყო; მას დილით აწვდიდნენ ჭიქა ჩაის და ერთი პურის ნაჭერს და, დროდადრო, შუადლისას სუფსა და ფაფას; იგი შხაპს ვერ იღებდა და ჰერსონალური ჰიგიენის არანაირი ნივთი არ ჰქონია.

##### (b) მთავრობის ვერსია

45. დროებითი მოთავსების ცენტრში განმცხადებელი, მეორე დაკავებულთან ერთად, №15 საკანში იყო განთავსებული, რომლის ფართობიც 8მ<sup>2</sup> იყო. საპირფარეშო საკანის ძირითადი ნაწილისგან გამოყოფილდა. განმცხადებელს, ისევე როგორც სხვა დაკავებულებს, ჰქონდა საწოლი და მატრას. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულებს ადმინისტრაცია თეთრეულით არ უზრუნველყოდა, მათ

საკუთარი თეთრეულის გამოყენება შეეძლოთ. განმცხადებელს ცენტრში ჰქონდა პერსონალური ჰიგიენის სხვადასხვა ნივთი, უფლებას აძლევდნენ, კვირაში ერთხელ მიეღო შხაპი. საკანი საკარისად იყო განათებული, კარგად ნიავდებოდა და თბებოდა. განმცხადებელს დღეში ერთი საათით საკნის გარეთ გასეირნების საშუალება ჰქონდა; მას სათანადო საკვებით უზრუნველყოფნენ და ახლობლების ან ოჯახის წევრებისაგან საკვები ამანათების მიღების ნებას რთავდნენ. მას საკანში დასალევი წყალი ჰქონდა. განმცხადებელს დროებითი მოთავსების ცენტრში მისი პატიმრობის შესახებ 2004 წლის დეკემბრამდე არანაირი საჩივარი არ დაუფიქსირებია.

## 2. ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრი

### (a) განმცხადებლის ვერსია

46. განმცხადებელმა ბარნაულის წინასწარი პატიმრობის №22/1 ცენტრში მისი პატიმრობის პირობები თავდაპირველად ასე აღნირა: იგი იმყოფებოდა შენობის სარდაფული მდებარე საკანში. მის საკანში მოთავსებულ პატიმართა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ამ საკნისთვის გათვალისწინებულ რაოდენობას. საკანს ჰქონდა პატარა ფანჯარა, რომელშიც მინის ნაცვლად ჩასმული იყო მეტალის გისოსები, რაც ხელს უშლიდა ოთახში ბუნებრივი შუქისა და სუფთა ჰაერის შეღწევას. არ ვარგოდა არც შიდა განათება. საპირფარებო არ გამოიყოფოდა საკნის მთავარი ნაწილისაგან. საკანი სავსე იყო ტარაკენებით. განმცხადებელს იატაკზე ეძინა. საკანი, რომელიც არ თბებოდა, უკიდურესად ნესტიანი იყო. აწვდიდნენ უხარისხო საკვებს. ოჯახის წევრებთან შეხვედრების და ჰაერზე გასეირნებისას განმცხადებელს ხელბორკილს ადებდნენ.

47. განმცხადებელმა მოგვიანებით შეასწორა თავისი ვერსია და მიუთითა, რომ იგი წინასწარი პატიმრობის ცენტრში 2001 წლის 3-დან 13 მარტამდე და 2001 წლის 24 მარტიდან 2002 წლის 27 ივნისამდე იმყოფებოდა. მისი პატიმრობის ბოლო პერიოდში იგი №122, 4.1 მ<sup>2</sup> ფართის საკანში მარტო იყო მოთავსებული, წინასწარი პატიმრობის ცენტრის სარდაფში. ამ პერიოდში საკანი, რომელიც არ თბებოდა, უკიდურესად ნესტიანი იყო; იგი არ ნიავდებოდა. საკვების ხარისხი არადამაყმაყოფილებელი იყო. მას არ ჰქონდა თეთრეული. საკნის ფანჯარაში მინის ნაცვლად ჩასმული მეტალის გისოსები ხელს უშლიდა ოთახში ბუნებრივი შუქისა და სუფთა ჰაერის შეღწევას. არ ვარგოდა არც შიდა განათება. საპირფარებო საკნის მთავარი ნაწილისაგან არ გამოიყოფოდა.

### (b) მთავრობის ვერსია

48. მთავრობის თანახმად, განმცხადებელი ბარნაულის №22/1 წინასწარი პატიმრობის ცენტრში იმყოფებოდა 2001 წლის 2 მარტიდან 2002 წლის 6 აპრილამდე და 2002 წლის 7-დან 27 ივნისამდე. 2002 წლის აპრილიდან ივნისამდე განმცხადებელი ჩელიაბინსკის წინასწარი პატიმრობის ცენტრში იყო განთავსებული.

49. მთავრობამ ახსნა, რომ შესაბამისი სარეგისტრაციო უურნალები განადგურდა შენახვის ვადის ამონტურვის გამო. ამგვარად, მთავრობის მტკიცებით, რომელიც ეყრდნობოდა ბატონი M.-ის წინასწარი პატიმრობის ცენტრის მმართველის განმცხადებას, განმცხადებელი 2001 წლის 3-დან 23 მარტამდე ჰქ-

რიოდში №212 საკანში იყო მოთავსებული, რომლის ფართობიც 16.982 ჸეადგენდა; 2001 წლის 24 მარტიდან 25 აპრილამდე იგი იმყოფებოდა საკანში №190, რომელიც 16მ<sup>2</sup> იყო; 2001 წლის 26 აპრილიდან 2002 წლის 6 აპრილამდე - 4.5მ<sup>2</sup> ფართის მქონე №122 საკანში; 2002 წლის 7-დან 27 ივნისამდე - 4.3მ<sup>2</sup> ფართის მქონე №118 საკანში. განმცხადებელი №190 და №212 საკუნძას თო ან სამ სხვა პატიმართან ერთად ინანილებდა; მისი მოთხოვნის შესაბამისად, №122 და №118 საკუნძას იგი განმარტოებით მოათავსეს. ეს უკანასკნელი საკუნძა სარდაფში მდებარეობდა და 0.36მ<sup>2</sup> ზომის ფანჯრები ჰქონდა. იმ დროისთვის ძალაში მყოფი კანონმდებლობის შესაბამისად, ფანჯრები დაფარული იყო მეტალის გისოსებით, თუმცა, ეს გისოსები საკანში ბუნებრივი სინათლისა და სუფთა ჰაერის შესვლას ხელს არ უშლიდა.

50. ბატონმა M.-მა დაადასტურა, რომ 2007 წლის 24 ივლისიდან ზემოხსენებულ საკუნძაში იყო სათანადო განათება, ვენტილაცია და გათბობა. საკუნძას ჰქონდა წყალი და საპირფარეტო. მთავრობამ წარმოადგინა ფოტოსურათები, რომლებიც ასახავდა ზემოხსენებული საკუნძას ინტერიერს.

### **3. განმცხადებლის საჩივრები ეროვნული ორგანოების წინაშე**

51. განმცხადებლის საჩივრები პასუხად, 2002 წლის 30 იანვარს ალტაის რეგიონის პროკურატურამ აღიარა, რომ ერთ შემთხვევაში განმცხადებლისთვის ხელბორკილის დადგება უკანონო იყო.

52. 2004 წლის დეკემბერში განმცხადებელმა რამდენიმე საჯარო ორგანიზაციაში იჩივლა თავისი საპატიმრო პირობების შესახებ. 2005 წლის 19 იანვარს პროკურატურამ აღიარა, რომ ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრში საკუნის ფანჯრები მეტალის გისოსებით იყო დაფარული, თუმცა, ყველა სხვა ბრალდება უარყო.

53. 2005 წლის 1 თებერვალს წინაგან საქმეთა რეგიონულმა დეპარტამენტმა აღიარა, რომ განმცხადებლის რამდენიმე საჩივრო (დაკონკრეტული არ არის რომელი) დროებითი მოთავსების ცენტრში მის მოთავსებასთან დაკავშირებით, „დამტკიცდა“. 2005 წლის 14 ივლისს ქალაქის მთავარმა (ცენტრალის) პროკურატურამ განმცხადებლის განახლებული საჩივრო განსახილველად შინაგან საქმეთა რეგიონულ დეპარტამენტში გადააგზავნა.

54. განმცხადებელმა სამართალწარმოება დაიწყო ქალაქის მთავარი (ცენტრალის) პროკურატურის წინააღმდეგ, *inter alia*, მისი საჩივრის სავარაუდოდ განუხილველობის გამო და მოითხოვა მისი პატიმრობის პირობების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. 2006 წლის 16 იანვარს ბარნაულის მთავარმა (ცენტრალის) საქალაქო სასამართლომ, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე იმსჯელა აღნიშნულ საკითხე (იხ. ქვემოთ პუნქტი 59), მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 2006 წლის 16 მარტს ალტაის რეგიონულმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა და საკითხი განსახილველად საქალაქო სასამართლოში დააბრუნა. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა განეხილა, როგორც იმყოფებოდა განმცხადებელი დროებითი მოთავსების ცენტრში ერთი თვის განმავლობაში. 2006 წლის 29 მარტს საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორმა ვერ შეძლო განეხილა განმცხადებლის საჩივრო დროებითი მოთავსების ცენტრში მისი გრძელვადიანი დაკავების შესახებ.

55. ამავდროულად, 2006 წლის 27 თებერვალს რეგიონულმა პროკურატურამ განმცხადებელს ამცნო, რომ დროებითი მოთავსების ცენტრის საკნებში იდგა რეინის საწოლები, მასში იყო საპირფარეშო და, როგორც წესი, იმყოფებოდა 4-5 ადამიანი; დაკავებულებს ადმინისტრაცია თეთრეულით არ უზრუნველყო-ფდა. გაურკვეველია, ზემოხსენებულ პასუხში მოიაზრებოდა 2006 წელი, თუ ის პერიოდიც, რომელზეც განმცხადებელი ჩიოდა.

56. როგორც ირკვევა, საქალაქო პროკურატურამ განიხილა განმცხადებლის საჩივარი მისი პატიმრობის პირობების შესახებ და 2006 წლის 5 სექტემბერს უარი განაცხადა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე და 286-ე მუხლებით.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### A. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (RSFSR) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

57. განსახილველი დროისთვის ძალაში მყოფი RSFSR-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატს სამართალწარმოების პროცესში ჩართვა შეეძლო ბრალის წაყენების/ჩამოთვლის მომენტიდან, ხოლო დაკავებული ან დაპატიმრებული ეჭვმიტანილის შემთხვევაში - მისთვის დაკავების ოქმის ან დაპატიმრების ბრძანების გაცნობის ნებართვის გაცემის მომენტიდან. თუ კერძო ადვოკატი 24 საათის განმავლობაში არ გამოჩენდება, საქმეზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი უფლებამოსილია დაკავებულს ურჩიოს სხვა ადვოკატის დაქირავება, ან დაუნიშნოს სახაზინო ადვოკატი (47-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატად მუშაობისთვის იურისტი უნდა ფლობდეს იურიდიული ფირმის მიერ გაცემულ შესაბამის ნებართვას (მე-4 პუნქტი). დაუშვებელია ერთი ადვოკატი წარმოადგენდეს საპირისპირო ინტერესების მქონე ორ ადამიანს (მე-5 პუნქტი). 2000 წლის 27 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 47-ე მუხლის 1-ლ პუნქტში იურიდიული დახმარებით სარგებლობაზე დაწესებული ხანდაზმულობის ვადა. 2001 წლის 25 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ ითხოვდა რაიმე სპეციალურ ნებართვას ადვოკატთან შესახვედრად. თუმცა, იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო 1995 წლის პატიმრობის შესახებ აქტის ერთი დებულება. ეს დებულება იმგვარად გამოიყენებოდა, რომ შესაბამისი ორგანოები სისხლის სამართლის საქმის წარმმართველი ორგანოსაგან სპეციალური შვებულების აღებას სთხოვდნენ ადვოკატებს, რომელთაც კლიენტებთან შეხვედრა სურდათ.

58. RSFSR-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმმართველ ორგანოს ან შესაბამის მოხელეს ევალებოდა, დაუყოვნებლივ ეცნობებინა დაკავებული ან დაპატიმრებული ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის შესახებ მისი ახლო ნათესავისა ან უფლებადამცველი პირისათვის.

## B. 2001 წლის სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

59. კოდექსის 123-ე და 125-ე მუხლები ეხება მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის ნებისმიერი ქმედების/უმოქმედობის სასამართლო გადასინჯვას, როცა ეს ქმედება/უმოქმედობა გავლენას ახდენს მოსარჩელის უფლებებზე ან ხელს უშლის მის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. მოსამართლე ან (i) ძალადაკარგულად აცხადებს გასაჩივრებულ ქმედება/უმოქმედობას, როგორც უკანონოს ან დაუსაშუთებელი და მოპასუხე სახელმწიფოს თხოვს, აღადგინოს დარღვეული უფლება, ან (ii) საჩივარს არ აკმაყოფილებს.

60. 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარღვეულად ცნობს კონვენციას.

## III. შესაბამისი საერთაშორისო აქტები

61. ევროპული ციხის წესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრ სახელმწიფოებისათვის მიცემული რეკომენდაცია Rec(2006)2 (რომელიც მნისტრთა კომიტეტმა 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილების 952-ე შეხვედრაზე მიიღო) გულისხმობს, რომ პატიმრები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ოჯახის წევრებს მათი პატიმრობის შესახებ (წესი 24.8). პატიმრის ციხეში შეყვანისთანავე, შესაბამისმა ორგანოებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ პატიმრის მეუღლეს ან პარტნიორს, ან, თუ პატიმარი დაუყოვნებელია, მის უახლოეს ნათესავს და მის მიერ მანამდე დასახელებულ სხვა პირს. ამ წესის გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა პატიმარი თვითონ ითხოვს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მისი ციხეში შეყვანის შესახებ არავის შეატყობინონ (წესი 24.9).

62. პატიმრებთან მოპყრობის შესახებ სტანდარტული მინიმალური წესები, რომელიც 1955 წელს მიიღო გაერთიანებული ერების პირველმა კონგრესმა დანაშაულის აღკვეთის და დამნაშავეების მოპყრობის შესახებ და დაამტკიცა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციებით, 44-ე წესის მე-3 პუნქტში ამბობს: ყველა პატიმარს აქვს უფლება მისი პატიმრობის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ერთხელ შეატყობინოს ოჯახის წევრებს.

## სამართალი

### I. კონცენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

63. განმცხადებელმა იჩივლა, რომ დროებითი მოთავსების ცენტრსა და ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრში მისი პატიმრობის პირობები კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგებოდა. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არააღმიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

#### A. დასაშვებობა

##### 1. მხარეთა არგუმენტები

###### (a) მთავრობა

64. მთავრობამ განაცხადა, რომ დროებითი მოთავსების ცენტრთან დაკავშირებით საჩივარი *ratione temporis* დარღვევით იყო შეტანილი. ის ფაქტი, რომ ეს საკითხი განმცხადებელმა 2004 წელს ეროვნული ორგანოების წინაშე უკვე დასვა, 6-თვითანი ვადის ათვლაზე გავლენას არ ახდენდა, პირიქით, იგი მიანიშნებდა, რომ განმცხადებელს ევროპის სასამართლოს წინაშე ამ საკითხის დასმამადე დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამოუწურავს. მას დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არც წინასწარი პატიმრობის ცენტრთან მიმართებაში ამოუწურავს. მთავრობამ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის განმცხადებელს ეცნობა სხვადასხვა შიდასამართლებრივი საშუალების შესახებ.

65. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები ეფექტური იყო, რომელიც დადასტურდა განმცხადებლის მიერ 2004 წლის საჩივრის საფუძველზე ჩატარებული მოკვლევებით (იხ. ზემოთ პუნქტები 52-56). განმცხადებლის ყველა საჩივარი დარეგისტრირდა და მათ საფუძველზე ძიება დაიწყო, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. განმცხადებელს წინასწარი პატიმრობის ცენტრთან დაკავშირებით, მისი იქ ყოფნის პერიოდში, საჩივარი არ წარმოუდგენია. მან ამ საკითხზე საჩივარი მხოლოდ 2004 წელს დააფიქსირა. აღნიშნული საჩივარი შესაბამისმა ორგანოებმა შეისწავლეს და უკუაგდეს, როგორც დაუსაბუთებელი. განმცხადებელმა გადაწყვიტა სასამართლოებში გაესაჩივრებინა პროცესურის უმოქმედობა მის საჩივართან მიმართებაში. მან სასამართლოს მიმართა, მოკვლევა განმეორებით ჩატარდა და განმცხადებლის საჩივარი კვლავ არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო. გასაჩივრებული პატიმრობის პერიოდის შემდგომ, განმცხადებელს სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა დაეწყო ფედერალური სასჯელალსრულების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისა და არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაცია უნდა მოეთხოვა. განმცხადებელს სამოქალაქო სამართალწარმოება რომ დაეწყო, იგი

ყველა საჭირო მტკიცებულების მოგროვებას შეძლებდა მისი ბრალდებების „გო-ნივრულ ეჭვს მიღმა“ დასამტკიცებლად.

**(b) განმცხადებელი**

66. განმცხადებელი თვლიდა, რომ ექვსთვიანი ვადა დაიცვა. მან დროებითი მოთავსების ცენტრში პატიმრობის პირობების შესახებ საჩივარი სასამართლო განხილვის დროს დააყენა, რომელიც 2002 წლის 22 მაისს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულდა, ეს კი ექვსთვიან პერიოდში ხვდება. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მთავრობის შემოთავაზებული დაცვის საშალებები არაეფექტური იყო და მათი ამოწურვა შედეგს ვერ მოუტანდა.

**2. სასამართლოს შეფასება**

67. სასამართლომ შეისწავლა მხარეთა არგუმენტები და მის ხელთ არსებული მასალები და მიიჩნია, რომ განმცხადებლის უკმაყოფილება პატიმრობის 5 პერიოდს უკავშირდება:

- 2001 წლის 3 თებერვლიდან 2001 წლის 2 მარტამდე დროებითი მოთავსების ცენტრში;
- 2001 წლის 2 ან 3 მარტამდე 2001 წლის 12 მარტამდე წინასწარი პატიმრობის ცენტრში;
- 2001 წლის 13-დან 23 მარტამდე დროებითი მოთავსების ცენტრში;
- 2001 წლის 24 მარტამდე 2002 წლის 6 აპრილამდე წინასწარი პატიმრობის ცენტრში; და
- 2002 წლის 7-დან 27 ოქტომბერი წინასწარი პატიმრობის ცენტრში.

68. დასაწყისში სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებლის წარმომადგენელმა პირველი კორესპონდენცია, რომელსაც თან ახლდა 2002 წლის 25 ივნისით დათარიღებული განაცხადის ფორმა, სასამართლოს მხოლოდ 2002 წლის 6 ნოემბერს გადაუეზავნა. განმცხადებელს ამასთან დაკავშირებით არა-ნაირი არგუმენტაცია არ წარმოუდგენია და დაგვიანების მიზეზები არ აუხსნია. შესაბამისად, სასამართლო წინამდებარე განაცხადის შეტანის თარიღად 2002 წლის 6 ნოემბერს თვლის. ამ განაცხადშივე მოიაზრება საჩივრები ორ საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის პირობებთან დაკავშირებით და ამ საკითხზე სათანადო სამართლებრივ საშუალებათა არარსებობის შესახებ.

69. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი მუხლის თანახმად, ექვსთვიანი წესის მიზანია, ხელი შეუწყოს სამართლებრივ სიზუსტეს და უზრუნველყოს, რომ კონვენციის საფუძველზე წამოწეული საკითხების განხილვა გონივრულ ვადაში მოხდეს. ამას გარდა, იგი იცავს ხელისუფლების ორგანოებს და შესაბამის პირებს დიდი დროის განმავლობაში გაურკვევლობაში ყოფნისაგან. ამ წესის თანახმად, პიტიენციურ განმცხადებელს დრო აქვთ საიმისოდ, რომ გადაწყვიტოს, შეიტანოს თუ არა სასამართლოში განაცხადი და თუ შეტანას აპირებს, განსაზღვროს, რომელი საჩივრებისა და არგუმენტების წამოწევას აპირებს (იხ. მაგალითად, *Worm v. Austria*, 29 აგვისტო, 1997, ჭ 32 და 33, *Reports of Judgments and Decisions* 1997 V). აღნიშნული წესი უზრუნველყოფს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგინდეს მანამ, სანამ ამის შესაძლებლობა არ გაქრება, ასევე მოხდეს განსახილველი საკითხის სამართლიანი შესწავლა, სანამ ეს შესაძლებელია (იხ. *Kelly v. the United Kingdom*, № 10626/83,

1985 წლის 7 მაისის კომისიის გადაწყვეტილება, Decisions and Reports (DR) 42, გვ. 205, და Baybora and Others v. Cyprus (dec.), № 77116/01, 22 ოქტომბერი, 2002).

70. წესისამებრ, ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვისას ბოლო გადაწყვეტილების გამოტანიდან. როცა დასაწყისშივე ნათელია, რომ განმცხადებელს ხელი არ მიუწვდება ეფექტიან საშუალებებზე, ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება იმ ქმედების ან ღონისძიების თარიღიდან, რომელსაც განმცხადებელი ასაჩივრებს. თუმცა, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი მუხლი იმგვარად არ უნდა განიმარტოს, რომ იგი განმცხადებელს სასამართლოში განაცხადის შეტანს ავალდებულებს, სანამ ადგილობრივ დონეზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მისი პოზიცია საბოლოოდ გადაწყდება. შესაბამისად, როცა განმცხადებელი ქვეყანაში არსებული სამართლებრივი საშუალებით სარგებლობს და მოგვიანებით იგებს იმ გარემოებათა შესახებ, რის გამოც ეს საშუალება არაეფექტიანია, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, სწორი იქნება ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყოს იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელმა პირველად შეიტყო ან უნდა შეეტყო ზემოაღნიშნულ გარემოებათა შესახებ (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Zeinin v. Russia (dec.), № 15413/03, 24 სექტემბერი, 2009).

71. კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნებსა და დაცვის საშუალებათა ამონურვის წესს შორის ისეთივე ურთიერთკავშირია, როგორიც დაცვის საშუალებათა ამონურვის წესსა და 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ ექვსთვიან მოთხოვნას შორის. პირველის მიზანია, საშუალება მისცეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, თავიდან აიცილონ ან გამოასწორონ მათ მიერ დაშვებული სავარაუდო დარღვევები, სანამ მათ წინააღმდეგ ბრალდებები ევროპის სასამართლოში გაიგზავნება (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Selmouni v. France [GC], № 25803/94, § 74, ECHR 1999-V). 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი წესი ეფუძნება მე-13 მუხლში გამოკვეთილ ვარაუდს, რომ არსებობს ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება ადამიანის კონვენციური უფლებების სავარაუდო დარღვევათა მიმართ (იხ. Kudla v. Poland [GC], № 30210/96, § 152, ECHR 2000 XI). კონვენციის 35-ე მუხლი ითხოვს დაცვის მხოლოდ იმ საშუალებათა ამონურვას, რომლებიც უკავშირდება სავარაუდო დარღვევას და არის როგორც ხელმისაწვდომი, ასევე საკმარისი. დაცვის ამგვარ საშუალებათა არსებობა საკმარისი სიზუსტით უნდა მტკიცდებოდეს როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ სახეზე ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის მოთხოვნების ნაკლებობა (იხ. Scordino v. Italy (# 1) [GC], № 36813/97, § 142, ECHR 2006....).

72. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო იმსჯელებს, აკმაყოფილებდა თუ არა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ დასაშვებობის კრიტერიუმებს განმცხადებლის საჩივრები ორივე საპატიმრო დაწესებულებასთან დაკავშირებით.

#### (a) დროებითი მოთავსების ცენტრი

73. სასამართლო არ თვლის, რომ განმცხადებლის დროებითი მოთავსების და წინასწარი პატიმრობის ცენტრებში ყოფნა 2001 წლის 3 თებერვლიდან 2002 წლის 27 ივნისამდე „განგრძობადი მდგომარეობა“ იყო და გლობალურ შეფასებას საჭიროებს (იხ. Maltabar and Maltabar v. Russia, № 6954/02, § 83, 29 იანვარი, 2009). ამგვარად, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლის პატიმრობა

დროებითი მოთავსების ცენტრში 2001 წლის 23 მარტს დასრულდა. ევროპის სასამართლოში განაცხადის შეტანისთვის (2002 წლის 6 ნოემბერი) აღნიშნული თარიღიდან 6 თვეზე მეტი დრო იყო გასული.

74. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის „საბოლოო გადაწყვეტილებად“ უნდა მიჩნეულიყო სააპელაციო გადაწყვეტილება, გამოტანილი 2002 წლის 22 მაისს მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით მან საკითხი არსებით განხილვაზე დასვა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საქმის სასამართლო განხილვაზე განმცხადებლის საჩივრები ძირითადად შეეხებოდა არასათანადო მოპყრობას მის მიმართ ალიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით და დროებითი მოთავსების ცენტრში მისი პატიმრობის სავარაუდოდ უკანონო ხანგრძლივობას. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს, რომლის უპირველესი ამოცანა იყო განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლისამართლებრივ ბრალდებათა განსაზღვრა, არ ჰქონდა უფლებამოსილება, არსებითად ემსჯელა განმცხადებლის საჩივრებზე პატიმრობისას მის მატერიალურ პირობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, საკნის გადატვირთულობის პრობლემაზე და აღედგინა განმცხადებლის უფლებები ამ მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როცა განმცხადებელი მიმართავს დაცვის ისეთ საშუალებას, რომელიც, სასამართლოს შეფასებით, შეუსაბამოა, ამ საშუალების გამოყენებისთვის დაკარგული დრო არ აფერხებს ექვსთვიანი ვადის დინებას. ამას კი შედეგად შეიძლება მოჰყვეს განაცხადის დაუშვებლად (ცნობა, ვადის დარღვევით წარდგენის გამო (ib. Rezgui v. France (dec.), № 49859/99, ECHR 2000 XI, და the Zenin decision, ციტირებულია ზემოთ). ამგვარად, სასამართლო განმცხადებლის არგუმენტებს არ უარყოფს.

75. „საბოლოო გადაწყვეტილებებად“ არ ჩაითვალა არც ეროვნული ორგანოების მიერ განმცხადებლის საჩივრებზე 2004 წლის დეკემბრიდან, ანუ, წინამდებარე განაცხადის სასამართლოში შეტანის შემდეგ, გაცემული პასუხები. იმ დროისთვის აღნიშნული ეროვნული ორგანოებიდან (წინაგან საქმეთა რეგიონული დეპარტამენტი, რეგიონული პროკურატურა ან სასამართლო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით) არც ერთი ითვლებოდა დაცვის საშუალებად, რომელსაც შეეძლო 2001 წელს პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ საჩივრაზე ადეკვატური რეაგირების მოხდენა (ib. ზემოთ პუნქტები 53-56; ასევე ib., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Aleksandr Makarov v. Russia, № 15217/07, § 76 et seq., 12 მარტი, 2009). ფაქტობრივად, 2002 წლის ნოემბერში განაცხადის სასამართლოში შეტანისას თვითონ განმცხადებელიც არ თვლიდა, რომ რომელიმე ასეთი საჩივრი მის მდგომარეობას გამოასწორებდა.

76. სასამართლო თვლის, რომ თარიღი, რომლიდანაც დაიწყო ექვსთვიანი ვადის ათვლა, იყო 2001 წლის 23 მარტი, ხოლო სასამართლოში განცხადი შევიდა 2002 წლის 6 ნოემბერს. ამგვარად, განმცხადებელმა დაარღვია ექვსთვიანი წესი, დროებითი მოთავსების ცენტრში მისი ყოფნის პირობებთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენისას.

#### **(b) ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრი**

77. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განმცხადებელი ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრში სამჯერ იმყოფებოდა: 2001 წლის 2-3 მარტიდან 12 მარტა-

მდე; 2001 წლის 24 მარტიდან 2002 წლის 6 აპრილამდე და 2002 წლის 7-დან 27 ივნისამდე. სასამართლო არ თვლის, რომ აღნიშნული პერიოდები „განგრძობად მდგომარეობას“ წარმოადგენდა. ამგვარად, პირველ ორ პერიოდთან დაკავშირებით სასამართლოში შეტანილ საჩივარში ექვსთვიანი ვადა დაირღვა. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის შემდგომ-მა მცდელობებმა, ეროვნული ორგანოების ყურადღე მიეტანა მისი პატიმრობის პირობები, არ შეაფერხა ექვსთვიანი ვადის დინება (იხ. ზემოთ პუნქტები 51 და 8). მაშასადამე, განაცხადის ეს ნაწილი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, განხილული არ იქნება.

78. რაც შეეხება პატიმრობის მესამე პერიოდს 2002 წლის 7-დან 27 ივნისამდე, ექვსთვიანი ვადის პრობლემა აქ არ წარმოიშვება. თუმცა, მთავრობამ განაცხა-და, რომ პატიმრობის ამ პერიოდს შემდეგ, განმცხადებელს სამოქალაქო სამარ-თალწარმოება უნდა დაეწყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და ნებისმიერი ჯანმრ-თელობის ან არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ კომპენსაცია უნდა მოეთხოვა. მთავრობამ ვერ შეძლო ამ სცენარის ნათლად ჩვენება და მის მტკიცებასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალების წარმოდგენა. ამგვარად, მთავრობის საწინააღმდეგო არგუმენტი არ განიხილება. მეტიც, სასამართლო თვლის, რომ ზიანის ანაზღაურების რაიმე ფორმით მოთხოვნას წარმატების შანსი ჰქონდა, განსაკუთრებით, 2002 წლის ივნისში განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავში-რებით, რა დროსაც არ იდგა საკითხის გადატვირთულობის პრობლემა, არამედ აქცენტი კეთდებოდა სხვა მატერიალურ პირობებზე, როგორიცაა ფანჯრებზე დამაგრებული მეტალის გისოსების გამო საკანზე სუფთა პაერისა და ბუნებრივი სინათლის ნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ საკითხის ფანჯრებზე ამგვარი გისოსე-ბის არსებობა, იმ დროისათვის, კანონიერი იყო (იხ., მსგავს კონტექსტში, Aleksandr Makarov, ციტირებულია ზემოთ, წყ 76-81 და წყ 86-89). ზემოხსენებულის ფონზე, უნდა ჩაითვალოს, რომ განმცხადებელმა დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები ამონურა.

79. სასამართლო, მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, თვლის, რომ განმცხადებლის საჩივარი 2002 წლის 7-დან 27 ივნისამდე მისი პატიმრობის პი-რობებთან დაკავშირებით, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადეს არც რაიმე სხვა საფუძვლით.

## B. საქმის არსებითი მხარეები

80. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეები არსებითად შეთანხმდნენ შემდეგზე: (i) 2002 წლის ივნისში 20 დღის განმავლობაში განმცხადებელი მარ-ტოდმარტო იმყოფებოდა 482-ზე ოდნავ დიდი ზომის საკანში; და (ii) ამ საკითხის 0.360<sup>2</sup> ზომის ფანჯარა დაფარული იყო მეტალის გისოსებით (იხ. ზემოთ პუნქტე-ბი 46-49). სხვა გარემოებებზე მხარეები დავობენ.

81. სასამართლოს ბევრჯერ დაუდგენია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაკავებულისთვის პერსონალურად განკუთვნილი აღილის მცირე ზომის გამო (იხ. Peers v. Greece, № 28524/95, §§ 69 et seq., ECHR 2001-III; Khudoyorov v. Russia, № 6847/02, §§ 104 et seq., ECHR 2005-X; Labzov v. Russia, № 62208/00, §§ 44 et seq., 16 ივნისი, 2005; Novoselov v. Russia, № 66460/01, §§ 41 et seq., 2 იანვარი, 2005; Mazyit v. Russia, № 63378/00, §§ 39 et seq., 20 იანვარი, 2005; და Kalashnikov v.

Russia, № 47095/99, ფს 97 et seq., ECHR 2002-VI). თუმცა, აღსანიშნავია, რომ განაცხადის დასაშვებად მიღებულ ნაწილში განმცხადებელი დავობს არა საკნის ზომაზე, არამედ საკანში ბუნებრივი განათებისა და სუფთა ჰაერის სიმძინეზე. სასამართლო აღიარებს, რომ განმცხადებელს გარკვეული დისკომფორტი უნდა ეგრძნო საკნის ფანჯრის მცირე ზომისა და მასზე დამაგრებული გისოსების გამო. ამავე დროს, სასამართლო ვერ ადგენს, რამდენად დაზარალდა იგი ბუნებრივი განათების სიმცირით. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ საკანში იყო ცუდი შიდა განათება ან არასაკმარისი ვენტილაცია. ამას გარდა, აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი იღებდა მონაწილეობას საკნის გარეთ ყოველდღიურ აქტივობებში სხვა დაკავებულებთან ერთად და გარესამყაროსთანაც ჰქონდა ურთიერთობა, მისი ადვოკატისა და ოჯახის წევრების ჩათვლით. დაბოლოს, სასამართლო, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, არ თვლის, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული სხვა მატერიალური პირობები ღირსების შემძლახველ და არააღამიანურ მოძყვრობას უზოლდებოდა.

82. ამგვარად, მის ხელი არსებული მასალებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა 2002 წლის 7-27 ივნისს განმცხადებლის საპატიმრო პირობებთან მიმართებაში.

## II. კონვენციის მე-13 მუხლის საპარაულო დარღვევა კონვენციის მე-3 მუხლითან ერთობლივ გადასახმავლი

83. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ არ გააჩნდა დაცვის ეფექტიანი საშუალება დროებითი მოთავსებისა და ბარნაულის წინასწარი პატიმრობის ცენტრებში მისი პატიმრობის ზემოხსენებული პირობების გასასაჩივრებლად. სასამართლო ამ საკითხს კონვენციის მე-13 მუხლის ჭრილში შეისწავლის, რომლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

84. მხარეთა არგუმენტები ნაჩვენებია ზემოთ, პუნქტებში 64-66.

### A. დასაშვებობა

85. სასამართლო აღნიშნავს: კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს, რომ ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი იყოს დაცვის საშუალება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, რა ფორმითაც შესაძლებელია მათი დაცვა ეროვნული სამართლებრივი წესრიგით. ამგვარად, მე-13 მუხლის არსი ისაა, რომ იგი ითხოვს დაცვის შიდასამართლებრივი საშუალების უზრუნველყოფას, რომელიც განიხილავს კონვენციის თანახმად „სადავო საჩივრის“ არსებით მხარეს და მასზე შესაბამის რეაგირებას მოახდენს (იხ., სხვა მრავალ გადაწყვეტილებასთან ერთად, Kudla, ციტირებულია ზემოთ, § 157). მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულების ფარგლები განსხვავდება, კონვენციის თანახმად განმცხადებლის საჩივრის ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა, მე-13 მუხლით მოთხოვილი დაცვის საშუალება ეფექტიანი უნდა იყოს როგორც პრა-

ქტიკაში, ასევე კანონმდებლობით.

86. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებლის საჩივრები 2001 წლის 3 თებერვლიდან 2002 წლის 7 ივნისამდე მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით დაუშვებლად გამოცხადდა. ამგვარად, განაცხადის ამ ნაწილთან დაკავშირებით განმცხადებლის მოთხოვნა „საკამათოდ“ ვერ ჩაითვლება (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, R.K. and A.K. v. the United Kingdom, № 38000/05, § 44, 30 სექტემბერი, 2008).

87. თუმცა, რაც შეეხება დაცვის ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალების არარსებობას 2002 წლის 7-27 ივნისს განმცხადებლის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადის ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებით. განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რამე სხვა საფუძვლით.

## B. საქმის არსებითი მხარეები

88. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პატიმრობის გასაჩივრებული პერიოდის გასვლის შემდეგ, განმცხადებელმა მისწერა რეგიონალურ პროკურატურას წინასწარი პატიმრობის ცენტრში მისი პატიმრობის პირობების შესახებ. 2005 წლის იანვარში პროკურატურამ ეს საკითხი შეისწავლა და აღიარა, რომ წინასწარი პატიმრობის ცენტრში საკინის ფანჯრები მეტალის გისოსებით იყო დაფარული, სხვა ბრალდებები კი უარყო, როგორც ცრუ ბრალდებები. სასამართლოს აზრით, განმცხადებლისთვის მცირეოდენი პოზიტიური შედეგის მიუხედავად, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის შესახებ საჩივართან მიმართებაში დაცვის შიდასამართლებრივი საშუალების ეფექტიანობის შესაფასებლად განმსაზღვრელი საკითხია, შეეძლო თუ არა განმცხადებელს ამ საჩივრით პროკურორისთვის მიემართა, რათა მომხდარიყო პირდაპირი და დროული რეაგირება. ამ დროს მთავარი არ არის კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებათა მხოლოდ არაპირდაპირი დაცვა. დაცვის საშუალება შეიძლება იყოს ან პრევენციული ხსიათის, ან გულისხმობდეს კომპენსაციას (იხ., სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Koval v. Ukraine, № 65550/01, § 94, 19 ოქტომბერი, 2006). სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ უჩვენებია, პატიმრობის გასაჩივრებულ პირობებთან მიმართებაში, რამდენად დადგა ზემოხსენებული პრევენციული ან კომპენსაციური ეფექტი ან ორივე ერთად პროკურორის რაიმე ქმედებით (იხ., მსგავსი მოტივაცია, საქმეში Ostrovar v. Moldova (dec.), № 35207/03, 22 მარტი, 2005). დამაჯერებლად არ ყოფილა ნაჩვენები, რომ პროკურორთან საჩივრის შეტანით შესაძლებელი იყო განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული მდგომარეობის გამოსწორება.

89. სასამართლომ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებებში დაადგინა, რომ რუსეთის სამართლებრივ სისტემაში პროკურორთან საჩივრის შეტანა პირს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ ესარგებლა სახელმწიფოს მიერ საზედამხედველო უფლებამოსილების გამოყენებით და, შესაბამისად, ასეთი საჩივარი, ეფექტიან საშუალებას არ წარმოადგენდა, კონვენციის 35-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (იხ., Aleksandr Makarov, ციტირებულია ზემოთ, § 86, და Benediktov v. Russia, № 106/02, § 29, 10 მაისი, 2007).

90. ამგვარად, ზემოაღნიშნულ მსჯელობებსა და ზემოთ 75-ე და 78-ე პუნქტებში გამოტანილ დასკვნებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ

დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, ეროვნული კანონმდებლობით ეფუქტიანი დაცვის საშუალების არარსებობით, რომლითაც განმცხადებელი შეძლებდა გაესაჩივრებინა 2002 წლის ივნისში წინასწარი პატიმრობის ცენტრის საკანში ბუნებრივი შუქისა და სუფთა ჰაერის სავარაუდო არასაკმარისი რაოდენობა.

### III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

91. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოთი. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავების შემდგომ მას ნება არ დართეს, ესარგებლა მისი სურვილით შერჩეული ადვოკატით; სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი D. არაკომპეტენტური იყო; იგი დაიკითხა იძულებით გარემოში და აიძულეს, მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ეფუქტიანი იურიდიული რჩევით სარგებლობის გარეშე. მან ასევე განაცხადა, რომ სისხლის-სამართლებრივი დევნით მისი ბრალი არ დამტკიცდა და საქმის განმხილველი სასამართლო მიწოდებულ მტკიცებულებათა შეფასებისას შეცდა. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად:

„1. ... წარდგენილი წებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს .. მისი საქმის სამართლიანი.. განხილვის უფლება...“

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სიხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...

(c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; ...“

92. ამას გარდა, 2004 და 2007 წლებში განმცხადებელმა რამდენიმე ახალი საჩივარი დააყენა მის წინააღმდეგ სისხლის სამართალნარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ ქალბატონ S.-ს იურიდიული რჩევა არ მიუღია, როდესაც პოლიციის ოფიცირებმა უბიძგეს, ჩვენება მიეცა მის წინააღმდეგ, სამართალნარმოების წინასწარი გამოძიების ეტაპზე; ზოგიერთ წინასაგამოძიებო ბრძანებაში გამომძიებელთა მიერ გამოყენებული ტერმინებით ირლვეოდა მისი უდანაშაულობის პრეზუმეცია; 2001 წლის მაისიდან ივლისამდე მას კერძო ადვოკატთან, ბატონ S.-თან შეხვედრა მხოლოდ გამომძიებლის თანდასწრებით შეეძლო; და მას საკმარისი დრო და საშუალება არ მისცეს, რომ საქმის მასალებს გაცნობოდა.

#### A. საქმის დასაშვებობა და ფარგლები

93. რაც შეეხება სამართალნარმოების წინასწარი გამოძიების ეტაპსა და სასამართლოს სამართლიანობასთან დაკავშირებით საწყის საჩივრებს, სასამართ-

ლო, მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, თვლის, რომ განაცხადის ეს ნაწილი კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე, სერიოზულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს წარმოშობს, რომელთა გადაჭრა საქმის არსებითად განხილვას მოითხოვს. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადის ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს არც რამე სხვა საფუძვლით.

94. რაც შეეხება საჩივრებს, რომლებიც პირველად 2004-2007 წლებში დაფიქსირდა, სასამართლო მათ მანამდე გაუდერებულ საჩივრებზე აღმოცენებულად არ მიიჩნევს. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ექვსთვიანი ვადის დინება იმ საჩივრებისთვის, რომლებიც საწყის განაცხადში არ ყოფილა მოხსენიებული, არ წყდება იმ თარიღამდე, როცა საჩივარი პირველად წარედგინება სასამართლოს (იხ. Majski v. Croatia, № 33593/03, § 33, 1 ივნისი, 2006, მასში ციტირებულია Allan v. the United Kingdom (dec.), № 48539/99, 28 აგვისტო, 2001). შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილი ექვსთვიანი ვადის დარღვევით შევიდა სასამართლოში და, შესაბამისად, სასამართლო მასზე, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად, არ იმსჯელებს.

## B. საქმის არსებითი მხარეები

### 1. მხარეთა არგუმენტები

#### (ა) განმცხადებელი

95. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავების შემდგომ იგი მოათავს ისეთ პირობებში, სადაც მოკლებული იყო ეფექტური იურიდიულ რჩევას და აიძულებს სხვადასხვა დანაშაული ელიარებინა. განმცხადებელი აცხადებდა, რომ გამომძიებელმა მას განზრას შეუშალა ხელი, ადვოკატად K. დაექირავებინა. განმცხადებელი ასევე ირწმუნებოდა, რომ მისმა დედამ შევილის დაკავების შესახებ პირველად 2001 წლის 6 თებერვალს, მესამე პირისაგან შეიტყო. 2001 წლის თებერვალსა და მარტში განმცხადებელს უფლება არ მისცეს, დედას შეხვედროდა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. გამომძიებელმა A.-მ განმცხადებლის დედა მცდარ გზას დააყენა, როცა მას უთხრა, რომ ბატონი პავლენკო კმაყოფილი იყო ადვოკატ D.-ს მომსახურებით და სხვა ადვოკატი არ სჭირდებოდა. განმცხადებლის წინააღმდეგობის მიუხედავად, D. კვლავ მის უფლებადამცელად რჩებოდა, თუმცა, მასთან პირად კონსულტაციებზე უარს ამბობდა. „საუბრების“ დროს განმცხადებელი სცემეს და დააშინეს პოლიციის ოფიცერებმა, რომლებიც მასთან რიგრიგობით მუშაობდნენ. ამ დაკითხვებს ადვოკატი არ ესწრებოდა და უბრალოდ ხელს აწერდა გამომძიებლის/გამომძიებლების მიერ დაკითხვის ოქებს. იძულება მტკიცდებოდა დროებითი მოთავსების ცენტრში გამომძიებელთა და ოფიცერთა მიერ განმცხადებელთან გატარებული დროის ხანგრძლივობასა და ადვოკატის თანდასწრებით ჩატარებული დაკითხვის ხანგრძლივობას შორის სხვაობითაც. განმცხადებელს, რომელიც ყოველგვარი იურიდიული რჩევის გარეშე, პოლიციელთა ხელში მუდმივი მუქარისა და არასათანადო მოპყრობის ობიექტი გახდა, აღიარების გარდა სხვა არჩევანი აღარ დარჩა. ყოველი ასეთი შემთხვევის დროს იგი მიჰყავდათ გამომძიებელთან, რომელიც აღიარებით ჩვე-

ნებებს ინტერაქცია და მოთავსების ცენტრში განმცხადებლის გაურკვეველი ვადით მოთავსების მიზანი სწორედ ის იყო, რომ პოლიციის ოფიციელს შესაძლებლობა ჰქონოდათ, მისგან აღიარებითი ჩვენებები მოეპოვებინათ. არც ერთ ოფიციელს არ ჰქონდა მის საქმეზე მუშაობის უფლებამოსილება - მათი განმცხადებელთან ვიზიტის ერთადერთი მიზეზი მასზე ზეწოლა იყო.

**(b) მთავრობა**

96. მთავრობის მტკიცებით, 2001 წლის 3 თებერვალს განმცხადებელს ეცნობა მისი საპროცესო უფლებების შესახებ, იურიდიული დახმარების უფლების ჩათვლით. განმცხადებელმა ნებაყოფლობით თქვა უარი ამ უფლებით სარგებლობაზე. გამომძიებელმა განმცხადებლის დედას შვილის დაკავების შესახებ 2001 წლის 4 თებერვალს აცნობა, მაგრამ მან განმცხადებლისთვის ადვოკატის დაქირავება 2001 წლის 6 მარტამდე დააგვიანა. ბატონი პავლენკოსთვის დედასთან შეხვედრაზე უარი არავის უთქვამს. განმცხადებელს საკუთარი სურვილით რომელიმე კონკრეტული ადვოკატი არ მოუთხოვია. გამომძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელმა მას სახაზინო წესით არჩეული ადვოკატი D. დაუნიშნა. 2001 წლის 13, 20 და 26 თებერვალს განმცხადებელმა რამდენიმე სისხლისამართლებრივი დანაშაული აღიარა; მის აღიარებით ჩვენებებს გამომძიებელმა წერილობითი ფორმა მისცა. დაკითხვებს ადვოკატი არ დასწრებია, სანამ აღიარება არ ჩაითვალა საგამომძიებო ღონისძიებად, რა დროსაც აუცილებელი იყო იურიდიული წარმომადგენლის მონაწილეობა. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელს ეროვნული ორგანოებისთვის საჩივრით არ მიუმართავს, რომ ზემოაღნიშნულ თარიღებში დაკითხვებს ადვოკატი არ დაასწრეს. განმცხადებელმა მისი აღიარებითი ჩვენებები დაადასტურა 2001 წლის 13, 15, 18, 21 და 27 თებერვალს დაკითხვებისას, რომლებსაც ადვოკატი D.-ც ესწრებოდა. ადვოკატის არაკომპეტენტურობაზე არავითარი მინიშნება არ ყოფილა. განმცხადებლის სხეულზე 2001 წლის თებერვალში არანაირი დაზიანება არ დაფიქსირებულა. 2001 წლის 6 მარტიდან განმცხადებლის ინტერესებს იცავდა კერძოდ დაქირავებული ადვოკატი, ბატონი S.-ი. განმცხადებელმა დუმილის უფლებით სარგებლობა გადაწყვიტა. თუმცა, 2001 წლის 15 მარტს განმცხადებელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ადგილის მონაბულებაში და იგი დაკითხეს ორი ადამიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატ S.-ის თანდასწრებით. 2001 წლის 23 მარტს განმცხადებელმა ფორმალურად უარი განაცხადა ადვოკატ D.-ს მომსახურებაზე. 2001 წლის 21 აპრილს დაფიქსირებული დაზიანებები 2001 წლის თებერვალში მიცემულ აღიარებით ჩვენებებთან კავშირში არ იყო და განმცხადებელს მიაყენეს თანამესაკნეებმა იმ პერიოდში, როცა იგი უკვე სარგებლობდა კერძო ადვოკატის მომსახურებით. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელმა უარი განაცხადა, დაეფიქსირებინა საჩივრი ამ ინციდენტთან დაკავშირებით. საქმის განმხილველმა სასამართლომ შეისწავლა განმცხადებლის დაყენებული ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და მის განხილვაზე უარი თქვა დაუსაბუთებლობის საფუძვლით. საქმის განმხილველმა სასამართლომ აღიარებითი ჩვენებები გაითვალისწინა სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

(i) თვითინკურიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიები და იურიდიული დახმარება

97. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, როგორც წესი, ითხოვს, რომ პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის პირველი დაკითხვისთანავე, მას ხელი მიუწვდებოდეს ადვოკატზე, თუ ცალკეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა ფონზე ცხადი არაა, რომ არსებობს აშკარა საფუძვლები ამ უფლების შესაზღუდად (იხ. Salduz v. Turkey [GC], № 36391/02, § 55, 27 ნოემბერი, 2008; იხ. ასევე Dayanan v. Turkey, № 7377/03, ჯ 29-34, 13 ოქტომბერი, 2009). როცა აშკარა, გარდაუვალი საფუძვლებით ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, გამონაკლისის სახით, გამართლებულია, ამგვარი შეზღუდვა - როგორიც უნდა იყო მისი საფუძველი - არასათანადო გავლენას არ უნდა ახდენდეს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებებზე (ibid). დაცვის უფლებები, პრინციპში, გამოუსწორებლად ირღვევა, როცა პირის მსჯავრდების დროს გამოიყენება თვითინკურიმინაციული განცხადებები, გაკეთებული პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე.

98. სასამართლო ხაზს უსგამს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს, რომელსაც თავის თვითონ დაცვა არ სურს, უნდა შეეძლოს მისი არჩეული ადვოკატის იურიდიული დახმარებით სარგებლობა (იხ. Campbell and Fell v. the United Kingdom, 28 ივნისი, 1984, § 99, Series A № 80, და Pakelli v. Germany, 25 აპრილი, 1983, § 31, Series A № 64). ეროვნულ სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ბრალდებულის სურვილი იურიდიულ წარმომადგენელთან დაკავშირებით, როცა არსებობს რელევანტური და საკმარისი საფუძვლები იმის დასადგენად, რომ ეს მართლმასჯულების ინტერესებისათვის აუცილებელია (იხ. Croissant v. Germany, 25 სექტემბერი, 1992, ჯ 29 და 30, Series A № 237-B).

99. კლიენტისთვის ადვოკატის დანიშვნა თავისთავად არ უზრუნველყოფს ამ ადვოკატის მიერ მიწოდებული დახმარების ეფექტიანობას (იხ. Czekalla v. Portugal, № 38830/97, § 60, ECHR 2002 VIII). თუმცა, სახელმწიფო პასუხს ვერ აგებს სახაზინო ადვოკატის დაშვებულ ყველა ხარვეზზე. იურიდიული პროფესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, დამცველის საქციელი, ძირითადად, დასაცავ პირსა და მის ადვოკატს შორის განსახილველი საკითხია, იქნება ეს სახაზინო წესით დანიშნული, თუ კერძოდ დაქირავებული ადვოკატი. უფლებამოსილი ეროვნული ორგანოები, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(с) პუნქტით, ვალდებული არიან, ჩაერიონ ამ ურთიერთობაში, როცა სახაზინო ადვოკატის არაეფექტიანობა აშკარაა და რაღაც საშუალებით ეს მათთვის ცხადი გახდა (ibid).

100. რაც შეეხება თვითინკურიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიას და დუმილის უფლებას, სასამართლო ხაზს უსგამს, რომ ესენი არის ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებზეც აგებულია სამართლიანი პროცედურა. მათი მიზანია, დაიცვას ბრალდებული შესაბამის ორგანოთა მხრიდან არასათანადო იძულებისაგან და, ამგვარად, თავიდან აიცილოს უსამართლობა და უზრუნველყოს მე-6 მუხლის მიზნების დაცვა (იხ. Bykov v. Russia [GC],

№ 4378/02, § 92, სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად). ადამიანს აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ უფლების პატივისცემა, პირველ რიგში, ნიშნავს ბრალდებულის სურვილის პატივისცემას, გამოიყენოს დუმილის უფლება და გულისხმობს საქმეში სისხლისამართლებრივი დევნით ბრალდებულის წინააღმდეგ ბრალის დამტკიცებას ისე, რომ მისგან მტკიცებულებას არ მოიპოვება იძულებით ან ზეწოლის მეთოდების გამოყენებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. იმის განხილვისას, უგულებელყველ თუ არა თვითინგრძიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის ძირითადი არსი, სასამართლომ უნდა შეისწავლოს იძულების ბუნება და ხარისხი, უნდა გამოიკვლიოს პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობა და ამგვარად მოპოვებული მასალების გამოყენების ხარისხი (ibid).

101. სასამართლო ხაზს უსვამს საგამოძიებო ეტაპის მნიშვნელობას სისხლის სამართალწარმოების მომზადებისთვის, რადგან ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს სასამართლო განხილვისას სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალეულობის საკითხის განხილვის ფარგლებს (იხ. Salduz, ციტირებულია ზემოთ, § 54). ამავე დროს, სამართალწარმოების ამ ეტაპზე ბრალდებული თავს განსაკუთრებულად მოწყვლადად გრძობს და ამ შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა თანდათან უფრო რთულდება, განსაკუთრებით, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი გამოყენების ნაწილში. საქმეთა უმეტესობაში ამ მოწყვლადი შეგრძნების სათანადო კომპენსარება ხდება ადვოკატის დამარცხით, რომლის მოვალეობა, სხვა ვალდებულებებთან ერთად, არის იმის უზრუნველყოფა, რომ ბრალდებულმა საკუთარი თავის წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენება. ეს უფლება მართლაც გულისხმობს, რომ პირის წინააღმდეგ ბრალი დამტკიცდეს სისხლისსამართლებრივი დევნით, ისე, რომ მტკიცებულებათა მოპოვება არ მოხდეს იძულების ან ზეწოლის მეთოდების გამოყენებით, ბრალდებულის სურვილის საწინააღმდეგოდ (იხ. Jalloh v. Germany [GC], № 54810/00, § 100, ECHR 2006..., და Kolu v. Turkey, № 35811/97, § 51, 2 აგვისტო, 2005). ადრეულ ეტაპზე ადვოკატზე ხელმისაწვდომობა არის საპროცესო გარანტიების ნაწილი, რომელსაც სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმაზე მსჯელობისას, პროცედურით დაირღვა თუ არა თვითინგრძიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის არსი (იხ. *mutatis mutandis*, Jalloh, ციტირებულია ზემოთ, § 101).

#### (ii) უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა

102. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა - რამდენადაც ეს დასაშვებია - რომელიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და თან უნდა ახლდეს შესაბამისი მინიმალური გარანტიები (იხ. Sejdovic v. Italy [GC], № 56581/00, § 86, ECHR 2006 ...). მეტიც, სანამ ბრალდებული მე-6 მუხლით დაცული მნიშვნელოვანი უფლებით სარგებლობაზე საბოლოოდ იტყვის უარს საკუთარი ქმედებით, შესაბამისი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ, რომ მან გონივრულად გააცნობიერა, რა შედეგები მოჰყვება მის ამგვარ ქმედებას (იხ. Talat Tunç v. Turkey, № 32432/96, § 59, 27 მარტი, 2007, და Jones v. the United Kingdom (dec.), № 30900/02, 9 სექტემბერი, 2003).

**(b) წინამდებარე საქმეში ზოგადი პრინციპების გამოყენება**

**(i) წინასწარი პატიმრობის დროს იურიდიული დახმარებით სარგებლობა**

103. სასამართლო ითვალისწინებს, რომ წინასწარი პატიმრობის პერიოდთან დაკავშირებული განმცხადებლის საჩივარი სამ ნაწილიანია:

- განმცხადებელს უფლება არ მიეცა, ადვოკატი მისი სურვილისამებრ დაქირავებინა (ბატონი K. ან მისი ოჯახის მიერ დაქირავებული მეორე ადვოკატი);
- სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი D. არაკომპეტენტური იყო;
- ზემოხსენებულის შედეგად, განმცხადებელმა დანაშაულები აღიარა, რადგან ვერ ისარგებლა ეფუქტიანი იურიდიული დახმარებით.

104. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის საქმეში მთავარი საკითხია ის, რომ მას, ძალადობრივი გზით, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება მიაცემინეს და ამ დროს იგი ვერ სარგებლობდა ეფუქტიანი იურიდიული დახმარებით.

105. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეები რიგ ფაქტებზე ვერ თანხმდებიან, განსაკუთრებით კი იმ გარემოებებზე, რომლებშიც განმცხადებელმა მკვლელობები აღიარა.

106. პირებულ რიგში, საწინააღმდეგო სამხილის გარეშე, სასამართლო უპირატესობას ანიჭებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მას, დაკავების შემდეგ, უფლება არ მისცეს ახლობლებს დაკავშირებოდა. არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ გამომძიებელმა განმცხადებლის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა მის იჯახს ან განმცხადებელმა მას სთხოვა, რომ ეს არ გაეკეთებინა. სასამართლო თვლის, რომ დაკავებულისთვის შესაძლებლობის მიცემა, მისი დაკავების შესახებ აცნობოს იჯახის წევრებს, მნიშვნელოვანი გარანტია უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს, დახმაროს დაკავებულს გადაწყვეტილების მიღებაში იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით, ასევე იმაში, რომ მან ისარგებლოს თვითინკრიმინაციის წინააღდეგ პრივილეგიით და დუმილის უფლებით (იხ. ასევე ზემოთ პუნქტები 61 და 62). სასამართლო თვლის, რომ 2001 წლის 3 - 6 თებერვალს განმცხადებელმა უკვე მოწყვლად მდგომარეობაში იგრძნო თავი.

107. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ გამოუხატავს სურვილი, სასამართლოში წარმოედგინა ადვოკატ K.-ს. სასამართლო საჭიროდ არ თვლის დაადგინოს, განმცხადებელმა კონკრეტულად ბატონი K. მოითხოვა თუ არა ადვოკატად და არსებობდა თუ არა კანონიერი ინტერესთა კონფლიქტი, რამაც K.-ს ხელი შეუშალა განმცხადებლის ინტერესები დაეცვა (იხ. ზემოთ პუნქტი 10). ფაქტითა, როგორც სასამართლო განხილვისას გამომძიებელმა დაადასტურა (იხ. ზემოთ პუნქტი 32), განმცხადებელს საკუთარი თავის თვითონვე დაცვა არ სურდა და მოითხოვა ადვოკატი. ამგვარად, ხელისუფლების ორგანოებს ევალებოდათ განმცხადებლის ამ უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა, მაგალითად, მისი დაკავშირება ადვოკატთან ტელეფონით ან რაიმე სხვა საშუალებით. განმცხადებელმა საკმარისად ნათლად ჩამოაყალიბა საკუთარი განზრახვა, მისი უფლებები ადვოკატს დაეცვა. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოები ვალდებული იყვნენ, უზრუნველყოთ მისთვის იურიდიული დახმარების უფლებით

სარგებლობა, თუკი არ არსებობდა ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც მისთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობაზე უარს გაამართლებდა (იხ. Panovits v. Cyprus, № 4268/04, § 66, 11 დეკემბერი, 2008, და Pishchalnikov v. Russia, № 7025/04, § 73, 24 სექტემბერი, 2009).

108. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს სახაზინო ადვოკატის მომსახურება 2001 წლის 6 თებერვლამდე არ შესთავაზეს, ანუ დაკავებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში. სასამართლო იღებს არგუმენტს, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, განმცხადებელს უფასო იურიდიული დახმარებით უნდა ესარგებლა. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მიზანია, უზრუნველყოს პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებებით სარგებლობა, სასამართლო მსჯელობს ადვოკატ D.-ს მიერ მიწოდებული დახმარების ეფექტიანობაზე. სხვა სიტყვებით, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, გამომძიებლის მიერ დანიშნული სახაზინო ადვოკატის დახმარება, საქმის გარემოებში, საკმარისი იყო თუ არა მე-6 მუხლის გარანტიების დასაცავად, კერძოდ კი, თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიისა და დუმილის უფლების ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

109. 2001 წლის 6 და 7 თებერვალს განმცხადებელმა უარი განაცხადა ადვოკატ D.-ს მომსახურებაზე, რადგან იგი დედის დაქირავებულ ადვოკატს ელოდებოდა და, როგორც ჩანს, D.-ს არ ენდობოდა. განმცხადებელმა დუმილის უფლების გამოყენება არჩია. თუმცა, ქვემოთ აღნიშნულ გარემოებებში, 2001 წლის 13, 20 და 26 თებერვალს, მან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები აღიარა. ბატონი D. განმცხადებლის ადვოკატად ითვლებოდა და ოქმის ხელმოწერა ევალებოდა. თუმცა, არსებული მასალების შესწავლის ფონზე, სასამართლო მიიჩნევს: არსებობს სერიოზული საფუძვლები იმის სარწმუნოდ, რომ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი არაერთხელ დაიკითხა, ეფექტიანი იურიდიული დახმარების მიღების გარეშე.

110. მართლაც, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა მსხვერპლ F.-თან დაკავშირებით აღიარებითი ჩვენება პირველად მისცა, შესაბამისმა ორგანოებმა შექმნეს გამომძიებელთა ჯგუფი „საქმის სირთულისა და ჩასატარებელი სამუშაოს დიდი ოდენობის გამო“. მეტიც, პოლიციის დეპარტამენტმა რამდენიმე ოფიცერს დაავალა, „რიგი ოპერატორი და სამძებრო სამუშაოებით“ გაერკვიათ, მონაწილეობდა თუ არა განმცხადებელი ადგილობრივი უნივერსიტეტის ქალი სტუდენტების გაუჩინარების საქმეში. სასამართლო არ გამორიცხავს, რომ F.-სა და G.-ს საქმეებში ყოფილიყო კონრეტული გარემოებები, მაგალითად, საერთო მოდუს ოპერანდი, რომელიც წარმოშობდა განმცხადებლის წინააღმდეგ გონივრულ ეჭვს, ამ კონკრეტული საქმეების მიღმა.

111. როგორც განმცხადებლის მიერ შიდა სასამართლო განხილვასა და ევროპული სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მნახველთა სარეგისტრაციო უზრნალის ამონაწერიდან ირკვევა, პოლიციის სხვადასხვა ოფიცერი განმცხადებელს ყოველდღიურად, რიგრიგობით სტუმრობდა ხოლმე დროებითი მოთავსების ცენტრში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი სარწმუნო ახსნა-განმარტება, რატომ იყო განსხვავება წინასწარი პატიმრობის ცენტრში განმცხადებელთან, ერთი მხრივ, პოლიციის ოფიცერებისა და გამომძიებელთა ვიზიტების დროებსა და, მეორე მხრივ, ადვოკატ D.-ს იქ ყოფნის დროს შორის. ადვოკატი ესწრებოდა მხოლოდ გამომძიებლის დაკითხვებს ან სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებებს, მაგალითად, ფოტოზე ამოცნობის პროცედურას. ვერ

მტკიცდება, რომ განმცხადებელმა საკუთარი სურვილით თქვა უარი ადვოკატის დახმარებაზე, პოლიციის ოფიცირებთან ზემოაღნიშნული „საუბრების“ გათვალისწინებით. სასამართლოს არ მიეცა საშუალება გაერკვია, რომ ეს „საუბრები“ განმცხადებლის შემდგომ აღიარებულ დანაშაულებს არ ეხებოდა. ფაქტობრივად, მოპასუხე სახელმწიფოს არ უცდია ნათელი მოეფინა ამ „საუბრების“ შინაარსისთვის, რათა გაეფანტა ეჭვები მათი არასათანადო ხასიათის შესახებ (შეადარეთ საქმეს Ebbing v. the Netherlands (dec.), № 47240/99, ECHR 2000 IV, დაკითხვის კონკრეტულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ).

112. მიუხედავად რთული სიტუაციისა, რომელშიც სამართალნარმოების ამ ეტაპზე განმცხადებელი აღმოჩნდა, სასამართლო თვლის, რომ ადვოკატ D.-ს მისი კლიენტისთვის არაფერი გაუკეთებია, მან მხოლოდ რამდენჯერმე მოაწერა ხელი ოქმებს (იხ. შესადარებლად, Kuralić v. Croatia, № 50700/07, § 48, 15 ოქტომბერი, 2009). ეს განსაკუთრებით სავალალოა, პოლიციელთა ზემოხსენებული ვიზიტების გათვალისწინებით. სასამართლო ასევე დადგენილ ფაქტად თვლის, რომ განმცხადებელს უფლება არ მიეცა, შეხვედროდა ახლობლებს 2001 წლის თებერვლის განმავლობაში (იხ. ზემოთ პუნქტი 32).

113. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა ადვოკატ D.-ს მომსახურებაზე უარი განაცხადა, აშკარად მიანიშნებს, რომ მას იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით სერიოზული სირთულეები ჰქონდა. თუმცა, გამომძიებლები, მიუხედავად განმცხადებლის მიერ ადვოკატ D.-ს მომსახურებაზე უარისა, კმაყოფილები იყენებ, რომ ეს ადვოკატი სათანადო იცავდა განმცხადებელს გამოძიების მიმდინარეობისას. გამომძიებელთა ინტერესი, გამოძიება შედეგიანად წარმართულიყო და, შედეგად, სხვა დანაშაულებიც გახსნილიყო განმცხადებლის შესაძლო აღიარებათა გზით, მათ არ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან, თვალი ედევნებიათ დაცვის ეფექტიანობისთვის.

114. სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი იკვეთება წინასწარი გამოძიების ეტაპზე განმცხადებლის იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

### (ii) მტკიცებულების გამოყენება სასამართლო განხილვაზე

115. სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის აღნიშნული თანხელები საჩივრებიც. ისინი ძირითადად ეხებოდა სასამართლო განხილვაზე მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა და მისი აღიარებითი ჩვენებების გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ხაზს უსამს, რომ მის ფუნქციურები არ შედის ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა, თუ ამ შეცდომებით არ ირლვევა კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები. მე-6 მუხლი იცავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და იგი არ ადგენს განხილვისას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ რაიმე წესს, რაც უპირველესად ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება (იხ. Jalloh, ციტირებულია ზემოთ, § 94 და Teixeira de Castro v. Portugal, 9 ივნისი, 1998, § 34, Reports 1998-IV). მაშასადამე, სასამართლოს ფუნქციებში არ შედის იმაზე მსჯელობა, გარკვეული ტიპის მტკიცებულებები - მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობით უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები - უნდა იყოს თუ არა დაშვებული, ან განმცხადებელი მართლაც იყო თუ არა დამნაშავე. სასამართლო სწავლობს საკითხს, იყო თუ

არა სამართლიანი მთლიანი სამართალნარმოების პროცესი, მტკიცებულებათა მოპოვების მეთოდების ჩათვლით.

116. ამგვარად, სასამართლომ ადრე განხილულ საქმეებში ჩათვალა, რომ მთლიანი სამართალნარმოების პროცესის სამართლიანობის დადგენისას გასათვალისწინებელია, იყო თუ არა დაცული დაცვის მხარის უფლებები. კერძოდ, მიეცა თუ არა შესაძლებლობა განმცხადებელს, გაესაჩივრებინა მტკიცებულებათა სანდოობა და მათი გამოყენება (ib. Panovits, ციტირებულია ზემოთ, § 82). ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები მტკიცებულების ხარისხი, იმის ჩათვლით, წარმოშობს თუ არა ეჭვს მისი სანდოობის ან სარწმუნოობის შესახებ გარემოებები, რომლებშიც ის მოიპოვეს (ibid). მართლაც, როცა სადავოა მტკიცებულებათა სანდოობა, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სამართლიანი პროცედურების არსებობა ამ მტკიცებულებათა დასაშვებობის განსახილველად (ib. Allan v. the United Kingdom, № 48539/99, § 47, ECHR 2002 IX).

117. წინამდებარე საქმეში, საქმის სასამართლო განხილვაზე განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისას, ეროვნული სასამართლო დაეყრდნო წინასწარი გამოძიების ეტაპზე მის აღიარებით ჩვენებებს და სხვა კონკრეტულ მტკიცებულებებს, მათ შორის, 2001 წლის ოქტომბერის განმცხადებლის ჩვენებათა საფუძველზე მოპოვებულ სხვადასხვა ნივთმტკიცებას (ib. ზემოთ პუნქტები 34-39). სასამართლომ უკვე იმსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებშიც ამ მტკიცებულებათა მოპოვება მოხდა და თვლის, რომ ეს გარემოებანი ეჭვს ბადებს აღიარებითი ჩვენებების სანდოობასთან დაკავშირებით. იგი ასევე ითვალისწინებს, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ, იმსჯელეს წინასწარი გამოძიების დროს განმცხადებლის იურიდიული დახმარების უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ. მათ ასევე განიხილეს განმცხადებლის ბრალდებები არასათანადო მოპყრობითა და ზეწოლით აღიარებითი ჩვენებების მოპოვების შესახებ (ib. ზემოთ პუნქტები 32, 33 და 40). თუმცა, ალსანიშნავია, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია პროცედურა, რომლითაც სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა, მათ შორის, მისი აღიარებითი ჩვენებების, დასაშვებობის შესახებ (cf. Bykov [GC], ციტირებულია ზემოთ, § 95). მას არც კონკრეტული არგუმენტები წამოუყენებია სხვა მტკიცებულებების, კერძოდ, ექსპერტთა დასკვნების ან მოწმეთა ჩვენებების დასაშვებობასა ან არასაკმარის ბუნებასთან დაკავშირებით.

118. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ამასთან დაკავშირებით დამატებითი დასკვნების გამოტანას საჭიროდ არ მიიჩნევს, რადგან უკვე დადგინდა, რომ გაუმართლებელი იყო განმცხადებლის ადვოკატით სარგებლობის უფლებაზე შეზღუდვების დაწესება წინასწარი გამოძიების ეტაპზე. სასამართლო დამატებით აღარ განიხილავს, თუ რა გავლენა მოახდინა ამ შეზღუდვამ განმცხადებლის წინააღმდეგ წარმართული სისხლის სამართალნარმოების პროცესის ზოგად სამართლიანობაზე (ib. Pishchalnikov, ციტირებულია ზემოთ, § 81, და Öngün v. Turkey, № 15737/02, §§ 34 და 35, 23 იუნისი, 2009).

### (iii) დასკვნა

119. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვის დროს განმცხადებელს შეჯდომ, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, იურიდიული დახმარების გამოყენებით, მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულე-

ბები გაესაჩივრებინა, სასამართლო კვლავ ხაზს უსვამს ზემოაღნიშნულ დასკვნებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ იმ ეტაპზე იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით არსებულმა ხარვეზებმა მნიშვნელოვნად დააკინა დაცვის პოზიცია არსებით განიხლვაზე.

120. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-3(c) პუნქტთან ერთობლიობაში.

#### IV. კონვენციის სხვა საპარაულო დარღვევები

121. განმცხადებელი კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ჩიოდა, რომ იგი რამდენჯერმე სცემეს როგორც დაკითხვის წარმმართველმა პირებმა, ასევე თანამესაკრებმა. დაბოლოს, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დროებითი მოთავსების ცენტრში მისი დიდი დროით მოთავსება, ასევე მისი ბინის გაჩერება და დაყადალება, არღვევდა კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლებს.

122. სასამართლომ განიხილა განმცხადებლის წარმოდგენილი წინამდებარე საჩივრები. სასამართლომ შეისწავლა მის ხელთ არსებული საქმის მასალები და დაადგინა, რომ მათში კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რაიმე ფაქტი არ იკვეთება. შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებლად ცხადდება, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

#### V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

123. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელმემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკავილებას მიაკუთვნებს.“

#### A. ზიანი

124. განმცხადებელმა არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ 100 000 ევრო მოითხოვა.

125. მთავრობამ ამ მოთხოვნას გადამეტებული უწოდა და გააპროტესტა.

126. სასამართლო, დადგენილი დარღვევების ბუნების გათვალისწინებით და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ ანიჭებს 3 000 ევროს, ამას ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

127. რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 (c) პუნქტებთან დაკავშირებით გამოტანილ დასკვნას, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლის მიმართ, მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა. იგი, შეძლებისდაგვარად, ისეთ მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს, რომ ამ პუნქტის დებულებებით ისარგებლოს. ამის

## პავლენები რუსეთის წინააღმდეგ

გამოსასწორებლად ცველაზე სათანადო ფორმა იქნება, პრინციპში, შესაბამისი სამართალწარმოების განახლება, მოთხოვნის შემთხვევაში (იხ. Somogyi v. Italy, № 67972/01, § 86, ECHR 2004-IV, და Bocos-Cuesta v. the Netherlands, № 54789/00, § 82, 10 ნოემბერი, 2005). სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 413-ე მუხლი სისხლის სამართლწარმოების განახლების საშუალებას იძლევა, თუ სასამართლო კონვენციის დარღვევას დაადგენს.

### **B. ხარჯები და დანახარჯები**

128. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 51 930 ევრო ეროვნული სასამართლების წინაშე ხარჯებისა და დანახარჯებისათვის, სისხლის სამართალწარმოების დროს ადვოკატ S.-ის ანაზღაურების ჩათვლით, და 1 105 ევრო ევროპის სასამართლოში განეული დანახარჯებისთვის, მისი დედის მიერ ბატონი პროკოფიევისთვის გადახდილი ანაზღაურების, ასევე საფოსტო, ასლების გადაღების და თარგმანის ხარჯების ჩათვლით.

129. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნა გააპროტესტა, როგორც არაგონიული და განაცხადა, რომ მას განსახილველ სამართალწარმოებასთან კავშირი არ აქვს.

130. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია ხარჯებისა და დანახარჯების მოთხოვნა, როცა ნაჩვენებია, რომ ეს თანხები რეალურად და საჭიროებისამებრ დაიხარჯა და თანხის მითითებული ოდენობა გონივრულია. მის ხელთ არსებული ინფორმაციის, აღნიშნული კრიტერიუმების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა 850 ევრო უკვე მიიღო სასამართლოსაგან იურიდიული დახმარების სახით, რეგლამენტის 92-ე წესის თანახმად, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს მთლიანი ხარჯებისა და დანახარჯებისათვის 1 600 ევრო მიანიჭოს. ამას დაემატება წებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

### **C. საურავი**

131. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ერობის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## **სერებული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად**

1. აცხადებს დასაშვებად შემდეგ საჩივრებს: სისხლის სამართალწარმოების წინასწარი გამოძიების ეტაპზე სავარაუდო დარღვევების შესახებ; 2002 წლის 7-27 ივნისს განმცხადებლის პატიმრობის პირობების შესახებ და დაცვის ეფექტუანი საშუალებების სავარაუდო არარსებობის შესახებ; განაცხადის სხვა ნაწილებს აცხადებს დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი;

4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3(с) პუნქტები;
5. ადგენს:

- (ა) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საპოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს 3 000 (სამი ათასი) ევრო და ამას გარდა ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა. ასევე ხარჯებისა და დანახარჯებისათვის - 1 600 (ათას ექსასი) ევრო და ამას გარდა ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა. ორივე თანხის გადახდა უნდა მოხდეს რუსულ რუბლებში გადახდის დღეს არსებული კურსით;
- (ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევრო-პული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
6. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სასამართლიან დაკავშოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2010 წლის 1 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**ანდრე ვამპაჩი  
რეგისტრატორის მოადგილე**

**ხრისტოს როზაკისი  
თავმჯდომარე**

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე მალინვერნის თანმხვედრი აზრი.

### **მოსამართლე მალინვერნის თანმხვედრი აზრი**

გადაწყვეტილების 127-ე პუნქტში ნათევამია, რომ „რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 (с) პუნქტებთან დაკავშირებით გამოტანილ დასკვნას, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლის მიმართ, მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა. იგი, შეძლებისდაგვარად, ისეთ მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს, რომ ამ პუნქტის დებულებებით ისარგებლოს. ამის გამოსასწორებლად ყველაზე სათანადო ფორმა იქნება, პრინციპში, შესაბამისი სამართალწარმოების განახლება, მოთხოვნის შემთხვევაში“.

იმ მიზეზების გამო, რომელებზეც არაერთხელ მისაუბრია ცალკე ან სხვა მოსამართლეებთან, კერძოდ, მოსამართლე პლილმანთან ერთად, მე ვისურვებდი, რომ ეს პრინციპი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასახული ყოფილიყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.



ରାମସାହାଇ ଓ ଅନ୍ୟଙ୍କ  
ନିର୍ଦ୍ଦେଶକୁ ପୋରାଣୀଲେଖ

---

*CASE OF RAMSAHAI AND OTHERS v.  
THE NETHERLANDS*



დიდი პალატა

## რამსაჰაი და სკვერი პოლანდის მინისტრები

(განაცხადი №52391/99)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 15 მაისი

**საქმეზე რამსაპაი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

უან-პოლ კოსტა, თავმჯდომარე,  
ლუციუს ვილდჰაბერი,  
ხრისტოს როზაკისი,  
ნიკოლას ბრაცა,  
პეერ ლორენცენი,  
ლოუკის ლუკაიდესი,  
ირენე კაბრალ ბარეტო,  
ნინა ვაჯიჩი,   
სნეჟანა ბოტუჩაროვა,  
ანტონელა მულარონი,  
სტანისლავ პავლოვსჩი,  
ელიზაბეტ ფურა-სანდსტრომი,  
ხანლარ ჰაჯიევი,  
დინ შპილმანი,  
დანუტე ჯოშენი,  
დრაგოლუბ პოპოვიჩი, მოსამართლეები,  
ვილჰელმინა ტომასენი, *ad hoc* მოსამართლე,  
და  
მაიკლ ო'ბოილი, რეგისტრატორის მოადგილე,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2006 წლის 18 ოქტომბერსა და 2007 წლის 21 თებერვალს, გამოიტანა და 2007 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №52391/99 პოლანდიის სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც პოლანდიის სამმა მოქალაქემ, ბატონმა რენე ლასუტა რამსახანიმ, ქალბატონმა მილდრედ ვიოლა რამსახანიმ და ბატონმა რიკი მოროვია ლასუტა რამსახანიმ (შემდგომში „განმცხადებლები“) სასამართლოში შეიტანეს 1999 წლის 8 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებლების ინტერესებს სასამართლოში იცავდა ბატონი ჯ.პ. პამერი, პრატიკონი ადვოკატი ამსტერდამიდან. პოლანდიის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ მისი აგენტები, ბატონი რ.ა.ა. ბოკერი და ქალბატონი ჯ. შუკინგი პოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

3. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ გარემოებები, რომლებშიც დაიღუპა ბატონი მორავია სიდჟარტა ლასუტა რამსახანი, პირველი ორი განმცხადებლის შვილიშვილი, ხოლო მესამე განმცხადებლის შვილი, არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ შემდგომი საგამოძიებო პროცესი არასაკმარისად ეფუქტურიანი და დამოუკიდებელი იყო.

4. განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე წესის 1-ლი პუნქტი). ამ სექციაში, პალატა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), დაკომპლექტებული იყო 26-ე წესის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

5. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ სექციების შემადგენლობები შეცვალა (25-ე წესის 1-ლი პუნქტი). ეს საქმე გადაეცა ახლად შექმნილ მესამე სექციას (52-ე წესის 1-ლი პუნქტი). ეგბერტ მიჯერმა, პოლანდიიდან არჩეულმა მოსამართლემ, საქმეს აცილება მისცა (წესი 28). შესაბამისად, მთავრობამ *ad hoc* მოსამართლედ დაინიშნა ვილჰელმინა ტომასენი (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 29-ე წესის 1-ლი პუნქტი).

6. 2005 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, ამ სექციის პალატამ საქმე დაშვებულად გამოაცხადა.

7. 2005 წლის 10 ნოემბერს პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ბოსტიან გ. ზუპანჩიჩი, თავმჯდომარე; ჯონ ჰედიგანი, ლუციუს კაფლიში, მარგარიტა წანანიკოლოვსკა, ვლადიმირო ზაგრებელსკი, დავიდ ტორ ბიორგვინსონი, მოსამართლები; ვილჰელმინა ტომასენი, *ad hoc* მოსამართლე, და ვინცენტ ბერგერი, სექციის რეგისტრატორი, გამოიტანა გადაწყვეტილება (შემდგომში „პალატის გადაწყვეტილება“), რომელშიც ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი მორავია რამსახაის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგამოძიებო პროცედურების შეუსრულებლობის გამო; ერთხმად დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი განაცხადის სხვა წანილებთან მიმართებით არ დარღვეულა; კონვენციის მე-6 მუხლი საქმეში არ გამოიყენებოდა; და კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, ცალკე საკითხის განხილვა საჭირო არ იყო. გადაწყვეტილებას დაერთო ვილჰელმინა ტომასენისა და ვლადიმირო ზაგრებელსკის წანილობრივ განსხვავებული აზრი.

8. 2006 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წერილით, მთავრობამ, კონვენციის 43 მუხლისა და 73-ე წესის თანახმად, მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადა-

ცემა. დიდი პალატის კოლეგიამ მოთხოვნა 2006 წლის 12 აპრილს დააკმაყოფილა.

9. დიდი პალატის შემადგენლობა ჩამოყალიბდა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 24-ე წესის შესაბამისად.

2007 წლის 19 იანვარს ლუციუს ვილდჰეპერს სასამართლოს თავმჯდომარებელის ვადა ამორწურა. მისი უფლებამოსილება უან-პოლ კოსტამ გადაიბარა და წინამდებარე საქმეში დიდი პალატის თავმჯდომარეც ის გახდა (წესი 9 პუნქტი 2).

10. მთავრობამ, და არა განმცხადებლებმა, საქმის არსებითი მხარე გაასაჩივრა. განმცხადებლებმა მოიხმეს მათ მიერ პალატის წინაშე დაყენებული არგუმენტები.

11. საქმის განხილვა გაიმართა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, საჯაროდ, 2006 წლის 18 ოქტომბერს (59-ე წესის მე-3 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე წარდგნენ:

**(a) მთავრობის სახელით**

- ბატონი რ.ა.ა. ბოკერი, აგენტი,
- ბატონი მ. კუიჯერი,
- ქალბატონი ტ. დოფეიდი,

**(b) განმცხადებლების სახელით**

- ბატონი გ.პ. ჰამერი, ადვოკატი,
- ქალბატონი მ. ვან დელფტი, თანაადვოკატი.

სასამართლომ მოისმინა ბატონების: ჰამერის, ბოკერისა და კუიჯერის მიმართვები და მათი პასუხები მოსამართლეთა შეკითხვებზე.

## **ვაკტები**

### I. საქმის გარემოებები

12. პირველი ორი განმცხადებელი, ბატონი რენე ლასუტა რამსაპაი და ქალბატონი მილდრედ ვიოლა რამსაპაი, გარდაცვლილის, ბატონი მორავია სიდჰარტა ლასუტა რამსაპაის (მემდგომში „მორავია რამსაპაი“) ბაბუა და ბებია არიან. ორივე დაბადა 1938 წელს. ისინი შვილიშვილის მეურვეები იყვნენ, ვიდრე იგი სრულწლოვანი, 18 წლის გახდებოდა. მესამე განმცხადებელი, ბატონი რიკი მორავია ლასუტა რამსაპაი, დაბადებული 1960 წელს, გარდაცვლილის მამაა.

13. მორავია რამსაპაი დაბადა 1979 წლის 6 დეკემბერს. იგი გარდაიცვალა 1998 წლის 19 ივლისს.

**A. საქმის გარემოებები**

1. მორავია რამსაპაის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები და შემდგომი მოვლენები

14. 1998 წლის 19 ივლისს, კვირა საღამოს, ამსტერდამის ბიჯლმერმეერის რაიონში ფესტივალ „კვაკოეს“ დროს (სურინამელი იმიგრანტების ზეიმი 135

წლის წინათ სურინამში მონობის გაუქმების აღსანიშნავად), მორავია რამსაპაიმ სკუტერის მეტატრონე, ბატონი ვინოდეუმარ ჰოესენი, ცეცხლსასროლი იარა-ლის მუქარით აიძულა, სკუტერი მისთვის დაეთმო. როგორც კი სკუტერი ხელში ჩაიგდო, მორავია რამსაპაი მიიმალა.

15. ბატონმა ჰოესენმა ამ ფაქტის შესახებ აცნობა პოლიციის ორ ოფიცერს, რომლებიც ფეხით პატრულირებდნენ. მათ ძარცვის შესახებ ინფორმაცია რა-დიოგადამცემით შეატყობინეს მორიგე ოფიცერს ფლიერბოსდრეეფის პოლიციის განყოფილებაში. მორიგე ოფიცერმა ამის შესახებ აცნობა პოლიციელებს, რომლებიც იმ ტერიტორიაზე პატრულირებდნენ. ამავდროულად, ბატონი ჰოესე-ნი და პოლიციის ორი ოფიცერი სკუტერზე შემომჯდარ მორავია რამსაპაის დაე-დევნენ, მაგრამ მისი დაჭრა ვერ შეძლეს.

16. მოგვიანებით, ბატონ ჰოესენსა და ორ პოლიციელს შორის დავის საგანი გახდა ის ფაქტი, ასესნა თუ არა თავდაპირველად ბატონმა ჰოესენმა მათთან, რომ მორიგია რამსაპაი შეიარაღებული იყო. ბატონმა ჰოესენმა განაცხადა, რომ პო-ლიციელებს ეს ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ მათ ეს ვერ გაიგონეს. ორმა პოლი-ციელმა კი განაცხადა, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და, შესაბამისად, არ შეეძლოთ ამ ინფორმაციის მიწოდება პოლიციის განყოფილებისათვის.

17. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ ორმა უნიფორმინმა პოლიციელმა, ოფიცერებმა ბრონსმა და ბულტსტრამ, რომლებიც პოლიციის მანქანით პატრუ-ლირებდნენ, დაინახეს, როგორ გაჩერდა სკუტერი მაღალ შენობასთან, ჰუიგენ-ბოსთან, და მას მართავდა ადამიანი, ვისი გარეგნობაც ემთხვეოდა მათთვის გადაცემულ აღნერილობას. მათ მანქანა გააჩერეს და გადმოვიდნენ. ოფიცერი ბულტსტრა გაიქცა ადამიანისკენ, რომელიც სკუტერს მართავდა და მოგვია-ნებით მორავია რამსაპაი აღმოჩნდა, და მისი დაკავება სცადა. მოხდა მცირე შეტაკება, რომლიდანაც მორავია რამსაპაიმ მოახერხა გამოძრომა.

18. ოფიცერმა ბულტსტრამ დაინახა, როგორ ამოილო მორავია რამსაპაიმ პისტოლეტი შარვლის ქამრიდან. ოფიცერმა სასწრაფოდ დააგდო ხაზის რადიო-გადამცემი, რომელიც ხელში ეჭირა, ამოილო სამსახურებრივი პისტოლეტი და მორავია რამსაპაის იარაღის დაყრა მოსთხოვა. მორავია რამსაპაიმ ეს არ გა-აკეთა. მაშინ მას მიუახლოვდა ოფიცერი ბრონსი, პატრულის მანქანის მძლო-ლი. როგორც მოგვიანებით დადგინდა, მორავია რამსაპაიმ პისტოლეტი მიმართა ოფიცერ ბრონსისკენ, რომელმაც ასევე ამოილო სამსახურებრივი პისტოლეტი და გაისროლა. მორავია რამსაპაი კისერში დაიჭრა.

19. მორავია რამსაპაისა და ოფიცერებს - ბრონსსა და ბულტსტრას - შორის დაპირისპირებას ახლოდან მხოლოდ ერთი ადამიანი შეესწრო, ბატონი პეტრუს ვან დენ ჰეუველი, რომელიც ინციდენტს ჰუიგენბოს შენობის მეხუთე სართუ-ლის საცალფეხო ხიდიდან ადევნებდა თვალს. თუმცა, როცა მან პისტოლეტები დაინახა, ბატონი ვან დენ ჰეუველი დამცავ კედელს ამოეფარა და, შესაბამისად, სროლის ფაქტი არ დაუნახავს.

20. რამდენიმე სხვა ადამიანმა დაპირისპირება და სროლის ფაქტი და-ახლოებით ორმოცდაათი მეტრის მანძილიდან დაინახა. არც ერთ ამ მოწმეს მო-გვიანებით არ უთქვამს, რომ მორავია რამსაპაის ხელში იარაღი შენიშვნეს.

21. 22:03 საათზე ერთ-ერთმა პოლიციელთაგანმა (მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს იყო ოფიცერი ბრონსი) რადიოგადამცემით გადასცა ფლიერბოსდრეეფის პოლიციის განყოფილებას, რომ ადამიანი დაჭრა და სასწრაფო სამედიცინო დახ-მარების გამოძახება ითხოვა.

22. სასწრაფო დახმარების ჯგუფი ინციდენტის ადგილას დაახლოებით 22:15 საათზე მივიდა. მათ მორავია რამსაპაი უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

23. ფლიერბოსდრეფის პოლიციის განყოფილებაში დაბრუნებისას ოფიცერი ბრონსი ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების უფროსმა ოფიცერმა (Commanding Officer), პოლიციის კომისარმა ვან რიესენმა მოინახულა, რომელმაც მას თანადგომა და დახმარება შესთავაზა. მოგვიანებით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის კომისარის ვან რიესენის ციტირება ფართოდ გავრცელებულ დღის გაზეთში De Telegraaf-ში მოხვდა. გაზეთის თანახმად, მან განაცხადა: „დამატებით მოკვლევის როგორი კომისიაც უნდა შეიქმნას, მათ არ შემოვუშვებ“ (“Wat voor een onderzoekscommissie er daarnaast ook wordt ingesteld, ze komen er bij mij niet in.”).

24. ამსტერდამის გამომძიებელმა (lijkschouwer) მორავია რამსაპაის ცხედარი ინციდენტის ადგილას ნახა. საზოგადოებრივი პროკურორისადმი ანგარიშში მან საკუთარი საგარაუდო ვერსია დაფიქსირა, რომ სიკედილის მიზეზი გახდა ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიით კისრის სასიცოცხლო ორგანოების ან არტერიების დაზიანება.

25. ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა, სამსახურებრივ მოვალეობას ინციდენტიდან რამდენიმე დღეში დაუბრუნდნენ.

## 2. ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების საგამოძიებო ღონისძიებები

26. ადგილობრივი პოლიცია ინციდენტის ადგილზე გამოცხადდა, კორდონი გაუკეთა შეტაკებისა და სროლის არეალს და ჩაიწერა ბატონი ვან დენ ჰეუველისა და სხვა მოწმების სახელები.

27. ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების სამედიცინო ექსპერტებმა მტკიცებულებები შეაგროვეს, ძირითადად, ფოტოების ფორმით, რომლებიც მოგვიანებით საქმის საგამოძიებო მასალებს დაერთო. მათ იპოვეს ტყვია, რომელმაც გაიარა მორავია რამსაპაის სხეული და გატეხა ფანჯრის მინა, მაგრამ სხვა ნიშანი არ დაუტოვებია. ასევე ამოილეს მორავია რამსაპაის იარაღი, რომელიც გადატენილი და გასასროლად მომზადებული იყო.

28. მოგვიანებით, იმ ღამეს, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის სპეციალურმა პერატიულმა დანაყოფმა (Mobile Eenheid, „მობილურმა დანაყოფმა“) ჰერიგენბოს შენობის ყველა მცხოვრები დაკითხა, რომლებიც შინ იმყოფებოდნენ. ერთ-ერთ ბინაში 12 წლის გოგონა, სანგერეტა ედვინა პამელა მუნგრა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ როცა პირველ სართულზე ლიფტით ჩავიდა, კარი იატაკზე მიწვენილ სკუტერს გაედო. როცა ლიფტიდან გამოვიდა, სროლის ხმა გაიგო. მან ორი პოლიციელი დანახა, რომელთაგან ერთ-ერთმა თქვა: „მე ვის-როლე“. მან მიწაზე დანოლილი მამაკაცის სხეული დაინახა.

29. შემდგომი დღეების განმავლობაში ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების ოფიცირებმა ბევრი მოწმე დაკითხეს, რომელთა ჩვენებები ქვემოთაა მოკლედ თავმოყრილი.

### (a) ბატონი ჰოესენი

30. ბატონმა ვინოდუმარ ჰოესენმა მოპარული სკუტერის შესახებ 1998 წლის 19 ივლისს პოლიციას აცნობა.

31. ბატონმა ჰოესენმა ეს სკუტერი იმ კვირაში, რამდენიმე დღით ადრე შეიძინა. 19 ივლისს დამეს იგი სკუტერით კვაკოეს ფესტივალზე მივიდა, სადაც თავის მეგობარ გოგონას შეხვდა. სანამ იგი მეგობარ გოგოსთან ერთად იყო, უცნობი ახალგაზრდა მასთან მივიდა და უთხრა: „გადადი. გადადი. გესვრი. გესვრი“ (“Deraf. Deraf. Ik schiet jou, ik schiet jou”). ბატონმა ჰოესენმა იგრძნო, როგორ მიადეს რაღაც საგანი მარჯვენა მხარეს. ძირს დაიხედა და საგანში ამოიცნო ქალის პისტოლეტი. მას არ უნდოდა სკუტერის დათმობა, მაგრამ მეგობარმა გოგონამ ურჩია, ასე მოქცეულიყო, მისთვის რომ არ ესროლათ. მაშინ იგი სკუტერს შეეშვა და იქვე მყოფი პოლიციელებისაკენ გაიქცა.

32. ბატონმა ჰოესენმა ერთ-ერთ მათგანს უამბო, როგორ წაართვეს სკუტერი იარაღის მუქარით და სთხოვა, რომ მძარცველს დასდევნებოდნენ. მან პოლიციელებს მძარცველისა და სკუტერის აღწერილობა მიაწოდა. ბატონი ჰოესენი და ორი პოლიციელი მძარცველს დაედევნენ, მაგრამ მან მიმალვა მოახერხა.

33. მოგვიანებით ბატონმა ჰოესენმა პოლიციელების რადიოგადამცემით გაიგონა, რომ სკუტერი იპოვეს. იგი პოლიციის ოფიცრებთან ერთად იმ ადგილისკენ გაემართა და თავისი სკუტერი ამოიცნო.

### (b) ქალბატონი ბონდე

34. ქალბატონი ანიტა ანდიედევი ბონდე, ბატონი ჰოესენის მეგობარი გოგონა, 1998 წლის 19 ივლისს დაიკითხა. იგი ძმასთან ერთად კვაკოეს ფესტივალზე წავიდა, სადაც ბატონ ჰოესენს შეხვდა. ბატონ ჰოესენს სკუტერი ახალი შეძნილი ჰქონდა. ქალბატონი ბონდეს ძმა სასმელების მოსატანად წავიდა. დაახლოებით თხუთმეტი წელის შემდეგ მას და ბატონ ჰოესენს ახალგაზრდა მიუახლოვდათ. ქალბატონმა ბონდემ ეს ადამიანი იქვე მდგომი შენიშნა, იგი მას და სკუტერს უყურებდა. ახალგაზრდამ ბატონ ჰოესენს უთხრა: „გადადი, გადადი“ (“Stap af, stap af”), და ბატონ ჰოესენს მუხლზე რაღაც საგანი მიაჭირა, რომელიც იარაღს ჰგავდა. თავდაპირველად მას ეგონა, რომ ეს ახალგაზრდა ბატონი ჰოესენის მეგობარი იყო და ამ ფორმით ეხუმრებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ ასე არ იყო.

35. როცა ახალგაზრდამ თქვა: „გადმოდი, გადმოდი, თორემ გესვრი“ (“Ga eraf, ga eraf, anders ga ik schieten”), ქალბატონმა ბონდემ შეძლო მისი მეგობარი ბიჭი დაერწმუნებინა, გადმოსულიყო სკუტერიდან. ბატონი ჰოესენი სკუტერიდან გადმოვიდა თუ არა, დახმარების საძებნელად გაიქცა, უცნობი ახალგაზრდა კი სკუტერს მოახტა და წავიდა. ბატონი ჰოესენი ორ პოლიციელთან ერთად დაბრუნდა და სამივენი სკუტერით დაძრულ ახალგაზრდას დაედევნენ. თავდაპირველად მათ ქალბატონი ბონდეც გაჰყვათ, მაგრამ იგი ძმამ უკან მოაბრუნა. მას ძმაც შეუერთდა და ორივე პოლიციელების მიერ შერჩეული მიმართულებით გაიქცნენ. ჰეიგენბოს შენობასთან მისვლისას მათ უამრავი მანქანა დაინახეს. ბატონმა ჰოესენმა უთხრა, რომ ახალგაზრდა დაიჭირეს და პოლიციელმა მას ესროლა.

### (c) ბატონი ვან დენ ჰეუველი

36. ბატონი ჰეტრუს ვან დენ ჰეუველი 1998 წლის 19 ივლისს დაიკითხა. მან განაცხადა, რომ ჰეუველის შენობის მეხუთე სართულზე ცხოვრობდა.

37. მან საცალფეხო გზიდან შემთხვევით გადაიხედა და დაინახა პოლიციელი,

შენობის გალავნისკენ რომ მირბოდა. ასევე დაინახა ფერადვანიანი კაცი, გადაპარსული თავით, რომელიც გალავნიდან გამოვიდა. მან დაინახა, როგორ სცადა პოლიციელმა ეს ფერადვანიანი კაცი ხელით დაემორჩილებინა. ფერადვანიანმა მელავის მიკვრით გვერდზე განევა მოახერხა, თითქოს იგი ანიშნებდა, რომ არ უნდოდა პოლიციელებს გაჰყოლოდა, პოლიციელმა კი ვერ მოახერხა მისი შეკავება.

38. ფერადვანიანმა კაცმა შემდეგ ამოილო პისტოლეტი ან რევოლვერი, ბატონმა ვან დენ ჰეუველმა ვერ დაინახა, ჯიბიდან თუ შარვლის ქამრიდან. იარაღი მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო იყო მუქი ფერის მჭიდით. ბატონი ვან დენ ჰეუველი, ინსტიქტურ რეაქციით, საცალფეხო გზის დამცავ კედელს ამოეფარა. მალევე ცნობისმოვარებამ სძლია და ისევ გადაიხედა, პოლიციელი რამდენიმე ნაბიჯით გვერდით გადაადგილებულიყო. ფერადვანიან კაცს კვლავ იარაღი ეჭირა ხელში. იგი იარაღს რამე კონკრეტული მიმართულებით არ იშვერდა, მაგრამ არც ხელიდან გაუგდია. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად, ალბათ ნახევარ წუთზე მოკლე დროში მოხდა.

39. ამ დროში მეორე პოლიციელიც გამოჩნდა, რომელიც მორბოდა. მან ოთხჯერ გაიგონა სიტყვა „დააგდე“, რომელსაც პოლიციელი ძალიან ხმამაღლა ყვიროდა. ფერადვანიანს ეს უნდა გაეგონა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. ბატონ ვან დენ ჰეუველს არ ახსოვდა, დაინახა თუ არა, სად იდგა მეორე პოლიციელი მას შემდეგ, რაც იგი ინციდენტის ადგილას მივიდა. მან გაიგონა გასროლის ხმა და ფერადვანიანი კაცი ძირს დაეცა. იარაღი მინაზე რამდენიმე მეტრის მოშორებით დავარდა. პირველი პოლიციელი ფერადვანიან კაცს მიუახლოვდა გასაჩერებად. მეორემ კი რაღაც ხელსაწყოში ლაპარაკი დაიწყო, რის შემდეგაც დამხმარე ძალა მოვიდა. მან თვითონაც სცადა პოლიციაში საკუთარი ტელეფონით დარეკვა, მაგრამ უთხრეს, რომ დახმარება უკვე გამოსული იყო. იგი ცოტა ხანს კიდევ იდგა და უყურებდა, შემდეგ კი ქვემოთ ჩავიდა და პოლიციელებს, როგორც მოწმემ, თავისი სახელი ჩააწერინა.

#### (d) ოფიცერი დეკერი

40. პოლიციის ოფიცერი ბას დეკერი 1998 წლის 20 ივლისს დაიკითხა. წინაღმეს, დაახლოებით 22:05 საათზე იგი იფიცერ ბოონსტრასთან ერთად კვაკიეს ფესტივალზე პატრულირებდა.

41. ოფიცერ დეკერს მიუახლოვდა მისთვის უცნობი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც უთხრა, რომ თავისი სკუტერიდან გადმოათრიეს და სკუტერი წაართვეს. მან ასევე უთხრა, რომ ამ ფაქტიდან ნახევარი წუთიც კი არ იყო გასული. ახალგაზრდამ მას გადასცა სკუტერის სადაზღვევო საბუთები და უჩვენა მიმართულება, საითაც მძარცველი სკუტერით გაემართა. ოფიცერები დეკერი და ბოონსტრა, ახალგაზრდა კაცთან ერთად, მის მიერ ნაჩვენები მიმართულებით გაიქცნენ. სირბილისას აფიცერმა დეკერმა სხვა პოლიციელებს რადიოგადამცემით სკუტერის აღნერილობა გადასცა. ამ დროისათვის მან არ იცოდა, რომ მძარცველს თან იარაღი ჰქონდა. სკუტერის მეპატრონეს ეს არ უხსენებია. ოფიცერმა დეკერმა ივარაუდა, რომ მძარცველმა მხოლოდ ფიზიკური ძალა გამოიყენა, რადგან სკუტერის მეპატრონის მტკიცებით, მძარცველმა იგი სკუტერიდან გადმოათრია.

42. ქურდი სწრაფად მიეროდა, მაგრამ თვალი მას მაინც მოჰკრეს. პოლიციელები და სკუტერის მეპატრონე სირბილს აგრძელებდნენ, მაგრამ სკუტერი ძალიან სწრაფად მიქროდა. ოფიცერმა დეკერმა რადიოთი გადასცა სკუტერისა და

მასზე შემომჯდარი პირის მისეული აღწერილობა, სავარაუდო მიმართულებები, საითაც იგი შეიძლებოდა წასულიყო და სკუტერის სადაზღვევო ნომერი. ისინი კვლავ გარბოდნენ. როცა მინისქვეშა გადასასვლელთან მივიდნენ, ოფიცერმა დეკერმა თავისი რადიოგადამცემიდან გაიგონა სხვა პოლიციელის მიერ გადაცემული ინფორმაცია სროლისა და, მალევე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ. ოფიცერ დეკერის შეფასებით, დაახლოებით ერთი წუთი იყო შუალედი მის მიერ სკუტერის აღწერილობის გადაცემიდან სროლის შესახებ ინფორმაციის გაგებამდე, თუმცა, ამაში დარწმუნებული ვერ იქნებოდა.

43. სანამ ოფიცერები - დეკერი და ბორნსტრა - იდგნენ და მსჯელობდნენ, იყო თუ არა კავშირი სროლასა და სკუტერის გატაცებას შორის, სკუტერის მეპატრონები, რომელმაც, სავარაუდოდ, პოლიციის რადიოთი გადაცემული ინფორმაცია გაიგონა, მათ უთხრა, რომ ქურდს პატარა მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო პისტოლეტი ჰქონდა.

44. ოფიცერები, დეკერი და ბორნსტრა, და სკუტერის მეპატრონე ჰუიგენბოს შენობისკენ გაემართნენ, რომლის წინაც გასროლა მოხდა. მათ დაინახეს მიწაზე პირალმა დაწოლილი ადამიანი, რომლის გვერდითაც ორ უნიფორმიან პოლიციელს ჩაემუხლათ. მათ წინ წაიწიეს და სკუტერი ამოიცნეს.

#### (e) ოფიცერი ბრამი

45. პოლიციის ოფიცერი პაულუს ანტონიუსის ბრამი 1998 წლის 20 ივნისს დაიკითხა. მისი საქმიანობის ნაწილი იყო - სხვა საქმებთან ერთად - ორმხრივ რადიოგადამცემებთან ურთიერთობა და მათზე მონიტორინგი.

46. 1998 წლის 19 ივნისს, 21:55 საათზე, ოფიცერი ბრამი გადამცემების შესაბამის მოწყობილობასთან იჯდა, როცა ორმხრივი რადიოგადამცემით პოლიციის ოფიცრისაგან გაიგონა ინფორმაცია, რომ იგი მისდევდა ახალგაზრდას, რომელმაც სკუტერი მოიპარა. ცოტა მოგვიანებით იმავე ოფიცერმა რადიოთი გადასცა ინფორმაცია, რომ ქურდმა მოახერხა სკუტერის დაძრვა და იგი მიუთითებდა მიმართულებას, საითაც მძარცველი გაემართა. ოფიცერი უემოციოდ საუბრობდა, თითქოს ეს იყო სკუტერის „ჩვეულებრივი“ გატაცება და მეტი არაფერი.

47. ოფიცერი ქვეითად პატრულირებდა, ამიტომ მან ტრანსპორტიანი კოლეგების დახმარება ითხოვა, თან სკუტერი აღწერა. ოფიცერმა ბრამმა მოტოციკლიან კოლეგას მითითებული მიმართულებით წასვლა სთხოვა.

48. მოტოციკლზე შემომჯდარი პოლიციელი უკვე მზად იყო, პოლიციის განყოფილების ეზოდან გასულიყო, ოფიცერმა ბრამმა ოფიცერი ბულტსტრას ხმა გაიგონა პოლიციის სანიშნიანი მანქანიდან, რომ მან სკუტერი დანახა გამტაცებელთან ერთად, რომელიც ჰუიგენბოს შენობის მესამე ლიფტისკენ მიმავალ გალავანში შევიდა, და მას მიჰყევებოდა. ოფიცერი ბულტსტრაც უემოციოდ საუბრობდა.

49. თხის-ხუთის წუთის შემდეგ, შეიძლება უფრო მაღლეც, ოფიცერმა ბრამმა კვლავ გაიგონა ბულტსტრას ხმა: „ეჭვმიტანილი დაჭრილია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება გვჭირდება“. ოფიცერი ბულტსტრა კვლავ მშვიდად და პროფესიონალურად საუბრობდა. ამის შემდეგ ოფიცერი ბრამი შესაბამის სამსახურებს დაუკავშირდა.

50. ოფიცერ ბრამს იყო ბრამსის ხმა რადიოში არ გაუგონია. ეს სტანდარტული პრაქტიკაა, კერძოდ, პოლიციის მანქანის მძღოლს - ამ შემთხვევაში ოფიცერ ბრამს - ორმხრივი რადიოგადამცემი ცენტრალური ოთახიდან სიხში-

რის მისაღებად აქვს, „მგზავრს“ კი, ოფიცერ ბულტსტრას, ადგილობრივი ჯგუფის ინფორმაციის გადასაცემად.

#### (f) ოფიცერი ვან დაალი

51. პოლიციის ოფიცერი რენატე კვირინა ვან დაალი 1998 წლის 20 ივლისს დაიკითხა.

52. ოფიცერი ვან დაალი ფორმიანი პოლიციელი იყო პოლიციის დახმარების საბაზისო ჯგუფიდან. წინა ღამით იგი გადამცემების შესაბამის მოწყობილობასთან იჯდა 20:15 საათიდან შუაღამებდე. სროლამდე წყნარი ღამე იყო. იგი ოთახში ოფიცერ ბრაამთან და ზედამხედველ კასპერ სიკინგთან ერთად იჯდა.

53. დაახლოებით 22:00 საათზე, რაიონული პოლიციის მიერ გამოყენებული რადიოსისტრით, მან გაიგონა, რომ პოლიციის ოფიცერი სკუტერს მისდევდა, ასევე გაიგონა ინფორმაცია სკუტერის გადაადგილების მიმართულების შესახებ. მას ზუსტად არ ახსოვდა პოლიციელის სიტყვები, არც სკუტერზე შემომჯდარი პირის აღწერილობა.

54. ცოტა ხნის შემდეგ მან გაიგონა ოფიცერ ბულტსტრას ხმა, რომ სკუტერი დაინახა. ერთი ან ორი წამის შემდეგ ოფიცერმა ბულტსტრამ გადმოსცა, რომ სკუტერი ჰუიგენბოს შენობის ერთ-ერთ გალავანში შევიდა.

55. ზედამხედველმა სიკინგმა პოლიციელებს რადიოთი მიმართა: „კარგია, ბიჭებო, ყველანი წალით ჰუიგენბოსკენ“ („Jongens met z'n allen naar Huigenbos“).

56. ცოტა ხნის შემდეგ ოფიცერმა ბულტსტრამ თქვა: „სასწრაფო სამედიცინო დახმარება მჭირდება, გავისროლე“ (“Ik heb geschoten”). ზედამხედველმა სიკინგმა სთხოვა, ეს ინფორმაცია გაემეორებინა. ოფიცერმა ბულტსტრამ გაიმეორა: „ჩემი იარაღიდან გავისროლე“. განყოფილებაში მყოფ პოლიციელთა უმრავლესობა ინციდენტის ადგილისაკენ დაიძრა, ოფიცერები ვან დაალი და ბრაამი კი შესაბამის სასწრაფო დახმარების სერვისებს დაუკავშირდნენ.

57. ოფიცერმა ვან დაალმა მოგვიანებით გაიგონა ოფიცერ ბრონსის ხმა, რომ დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რადგან ეჭვმიტანილი მძიმედ იყო დაჭრილი.

58. ოფიცერ ვან დაალს მოგვიანებით შეატყობინეს სხვა პოლიციელებმა, რომ სინამდვილეში ოფიცერმა ბრონსმა გაისროლა.

#### (g) ოფიცერი ვან დონგენი

59. პოლიციის ოფიცერი ბრუინ იან ვან დონგენი 1998 წლის 20 ივლისს დაიკითხა. იგი პოლიციის ძალლის დამტარებელი იყო ფლიერბოსდრეეფის პოლიციის განყოფილებაში. წინა ღამით იგი პოლიციის ძალლთან ერთად მორიგეობდა.

60. თავისი რადიოგადამცემით მან გაიგონა, რომ კვაკოეს ფესტივალზე სკუტერი მოიპარეს. გადმოიცა მიმართულება, რომელ მხარესაც წავიდა მძარცველი. მძარცველი აღწერილი იყო, როგორც ფერადებანი კაცი, შავებში ჩაცმული, წითელ სკუტერზე ამხედრებული. ოფიცერი ვან დონგენი მითითებული მიმართულებით წავიდა.

61. ოფიცერ ვან დონგენის მანქანას გვერდი აუარა პოლიციის საპატრულო მანქანამ, რომელშიც პოლიციის ორი ოფიცერი იჯდა. მან საჭესთან ოფიცერი ბრონსი იცნო, მაგრამ ვერ იცნო გვერდით მჯდომი პოლიციელი. მან დაინახა,

როგორ გაჩერდა ეს მანქანა და გვერდით მჯდომი პოლიციელი გადმოვიდა.

62. ოფიცერმა ვან დონგენმაც გააჩერა მანქანა და სცადა მძარცველის დანახვა. მას მანქანიდან პოლიციის ძალით გადმოჰყავდა, როცა სროლის ხმა გაიგონა.

63. იგი ძალთან ერთად იმ მიმართულებით გაიქცა, საიდანაც სროლის ხმა გაისმა. როცა ჰუკენბოლს შემობამდე მიაღწია, ოფიცერი ბრონსი შეხვდა, რომელიც მისი მიმართულებით მოდიოდა. მან ოფიცერი ბულტსტრა მიწაზე გულალმა დაწოლილი კაცის თავთან ჩამუხლული დაინახა.

64. მან ოფიცერ ბრონსს ჰკითხა, თუ რა მოხდა. ოფიცერმა ბრონსმა უპასუხა, რომ იყო სროლა. ოფიცერმა ვან დონგენმა ჰკითხა, თუ ვინ გაისროლა. ოფიცერმა ბრონსმა უპასუხა, რომ ეჭვმიტანილი პისტოლეტს მათ უმიზნებდა და პოლიციელმა გაისროლა.

65. ოფიცერმა ბრონსმა მიუთითა ვერცხლისფერ პისტოლეტზე, რომელიც ძირს დაწოლილ მამაკაცთან ახლოს ეგდო. ოფიცერი ბულტსტრა პირველად სამედიცინო დახმარებას უტარებდა მიწაზე მწოლიარე კაცს. ოფიცერმა ვან დონგენმა რაიმე დაზიანება ვერ დაინახა. მას დისტანცია უნდა დაეცვა ძალის გამო.

66. მიწაზე მწოლიარე კაცის აღნერილობა ემთხვეოდა იმ ადამიანისას, ვინც სკუტერი გაიტაცა. წითელი სკუტერი შენობის გალავანთან ეყენა და ოფიცერი ვან დონგენი მიხვდა, რომ ეს სკუტერის მოპარვაში ეჭვმიტანილი ადამიანი იყო.

67. ოფიცერმა ვან დონგენმა გაიგონა, როგორ დაუკავშირდა ოფიცერი ბრონსი ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებს და პოლიციის მორიგე ზედამხედველს. ოფიცერი ვან დონგენი ტერიტორიას იცავდა კრიმინალური გამომძიებლებისა (recherche) და სამედიცინო ექსპერტების მოსვლამდე. იგი ინციდენტის ადგილას დარჩა მანამ, სანამ გამომძიებლები და სამედიცინო ექსპერტები თავის საქმეს მორჩინენ, და პოლიციის განყოფილებაში შუალამისას დაბრუნდა.

#### (h) ოფიცერი ბორნსტრა

68. პოლიციის ოფიცერი კლასა ბორნსტრა 1998 წლის 20 ივნისს დაიკითხა. მას, პოლიციის ოფიცერ ბას დეკერთან ერთად, დაევალა კვაკოეს ფესტივალზე პატრულირება და, პრევენციული მიზნით, სიტუაციის მონიტორინგი და ზედამხედველობა. რაღაც მომენტში, ინდუსმა მამაკაცმა მათთან მიირჩინა და უკან გაყილა სთხოვა. სურინამელს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა, ამიტომ ისინი მას გაჰყვნენ. სირბილისას მან ოფიცერ დეკერს საქმის არსი უთხრა. ოფიცერი ბორნსტრა მათ დაახლოებით ათი მეტრის დაშორებით მისდევდათ.

69. ოფიცერმა ბორნსტრამ ორმხრივი რადიოგადამცემით შეიტყო, რომ მოიპარეს სკუტერი. ის მაშინვე ვერ მიხვდა, რომ სკუტერი სწორედ ინდუს ეკუთვნოდა.

70. რაღაც მომენტში მათ ოცდაათი მეტრის დაშორებით დაინახეს სკუტერი, რომელიც ნელა მიიჩევდა წინ. ოფიცერმა დეკერმა ოფიცერ ბორნსტრას უთხრა, რომ ეს იყო სკუტერი, რომელიც მოიპარეს. სკუტერზე შემომჯდარმა ადამიანმა შენიშნა პოლიციის ოფიცრები, მაგრამ გაჩერების ნაცვლად, სიჩქარეს მოუმატა. სანამ ისინი ჰუგენბოლს შენობასენ გადაადგილდებოდნენ, რადიოგადამცემით შეიტყვეს სროლის შესახებ. მათ მაშინვე ვერ დააკავშირეს სროლა სკუტერის მოპარვასთან. ინდუსთან ერთად, რომელიც მათთან ერთად გარბოდა, ისინი ჰუგენბოლს შენობასთან მივიღნენ, სადაც პოლიციის სამი ან ოთხი მანქანა იდგა. ინდუსმა თავისი სკუტერი ამოიცნო.

## (i) ქალბატონი ბუჯედაინი

71. ქალბატონი ნაჯიმა ბუჯედაინი 1998 წლის 21 ივლისს დაიკითხა. იგი მთავარ მოლარედ მუშაობდა ამსტერდამში, ლეიდსეპლენზე მდებარე ბურგერ კინგის რესტორანში. 1998 წლის 19 ივლისს იგი ლამის მორიგე იყო და 18:30-05:00 საათამდე მუშაობდა.

72. ქალბატონმა ბუჯედაინმა 18:30 საათიდან დააფიქსირა ერთი კონკრეტული ახალგაზრდის იქ ყოფნა, რომელიც აღნერა როგორც სურინამელი ან ანტილური ნარმოშობის, 18 წლის, თავგადაპარსული, ორი ოქროს კბილით. მას ეცვა შავი მაისური, შარვალი და ფეხსაცმელი და კისერზე ოქროს ჯაჭვი ეკეთა. 19:30 საათიდან ქალბატონმა ბუჯედაინმა შენიშნა, რომ ახალგაზრდამ ერთ-ერთი მოლარის, სახელად ნენსის მოცდენა დაიწყო.

73. მითითების შემდეგ - კონცენტრირება სამსახურზე მოეხდინა - ნენსიმ ქალბატონ ბუჯედაინს აუხსნა, რომ ახალგაზრდა მისი მეგობარი ბიჭი იყო. ახალგაზრდა გაბრაზდა და ბუჯედაინს ურჩია, ნენსისა და სხვებისთვისაც თავი დაენებებინა.

74. ქალბატონმა ბუჯედაინმა, მას შემდეგ, რაც ნენსის ხუმრობით უთხრა, რომ მეტი ხენით დარჩენა მოუწვევდა სამსახურში, ახალგაზრდას დაუინიცებული მზერა იგრძნო. ამან იგი შეაშინა, თუმცა შიშის გამოხატვა არ უნდოდა. სანამ ქალბატონი ბუჯედაინი გამაგრილებელი სასმელის დასასხმელად მიბრუნდებოდა, დაინახა, ახალგაზრდამ როგორ წაიღო მარჯვენა ხელი შარვლის ქამრისკენ.

75. ქალბატონი ბუჯედაინის დამ, მიმოუწმა, რომელიც იმავე რესტორანში მუშაობდა, მას უთხრა: „ნაჯიმა, მან პისტოლეტი დაგიმიზნა!“ ქალბატონი ბუჯედაინი მობრუნდა და დაინახა, როგორ ჩაიდო ახალგაზრდამ რაღაც შარვლის ქამარში. მიმოუწმა მოგვიანებით პისტოლეტი აღწერა როგორც პატარა, მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო, „ქალთა მკვლელის“ სახელით ცნობილი მოდელი.

76. მაშინ სურინამელმა გოგონამ მის ენაზე რაღაც ჰკითხა ახალგაზრდას და მანაც უპასუხა. გოგონამ ქალბატონ ბუჯედაინს უთხრა, რომ ახალგაზრდას ჰკითხა, ატარებდა თუ არა პისტოლეტს, რაზეც მან დადგებითად უპასუხა.

77. ახალგაზრდა ისე გამოიყურებოდა, სავარაუდოდ, მარიხუანა ჰქონდა მონეული, თუმცა, ქალბატონი ბუჯედაინი ამაში დარწმუნებული არ იყო.

78. ახალგაზრდამ კვლავ განაგრძო ნენსის სამუშაოსგან მოცდენა. იგი რამდენჯერმე წავიდა და კვლავ უკან დაბრუნდა. რაღაც მომენტში იგი უახლესი მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო სკუტერით დაბრუნდა.

79. ახალგაზრდამ საუბარი გააძა ქალბატონ ბუჯედაინთან, რა დროსაც მან მიანიშნა, რომ რესტორნის დაეგეტვის შემდეგ სეიფიდან თანხის გატანას აპირებდა, შესაბამისად, ქალბატონი ბუჯედაინისგან სეიფის კოდები სჭირდებოდა. საუბრისას იგი თვალს არ აშორებდა სალაროს უჯრებს.

80. მან რამდენჯერმე გაიმეორა, რომ უკვე 21:00 საათი იყო და ქალბატონ ბუჯედაინს ნენსის სალარო უნდა დაეხურა.

81. ქალბატონმა ბუჯედაინმა თავი არაკომფორტულად იგრძნო და შეეშინდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდამ მიანიშნა, რომ „მენეჯერს კისერს მოუგრებდა“.

82. ახალგაზრდა კვლავ გაბრაზდა დაახლოებით 21:00 საათზე, როცა ქალბატონმა ბუჯედაინმა მასთან საუბარი შეწყვიტა. ქალბატონმა ბუჯედაინმა ნენსის სალარო ჩაკეტა. დაახლოებით 21:30 საათზე მან დაინახა, როგორ წავიდნენ ახალგაზრდა და ნენსი სკუტერით, რომლითაც ეს ბიჭი მანამდე მივიდა.

### (j) ბატონი დე გეტროუვე

83. ბატონი რონალდ დე გეტროუვე გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ჰუიგენბოს შენობაში სროლის შესახებ გაიგო. იგი 1998 წლის 22 ივნისს დაიკითხა. მას უნდოდა პოლიციისთვის მოეთხორ, რომ დააშინეს.

84. 1998 წლის 19 ივნისს, კვირას, 20:15 საათზე, იგი კვაკოეს ფესტივალზე იმყოფებოდა მეუღლესთან და რამდენიმე მეგობართან ერთად. მათ უკან ახალგაზრდები იდგნენ, რომელთაგან ერთ-ერთი სკუტერზე იჯდა. ბატონმა დე გეტროუვემ სატრანსპორტო საშუალება აღწერა, როგორც მოცისფრო ელფერისა. რაღაც მომენტში ახალგაზრდამ ძრავა ჩართო და რამდენჯერმე დაამუხრუჭა, რადროსაც ბევრი გამონაბოლევი გაჩნდა. ამან ბატონი დე გეტროუვეს წრეში უქმაყოფილება გამოიწვია. მაშინ ბატონი დე გეტროუვე მიუახლოვდა ახალგაზრდას და სთხოვა, წასულიყო ამ სკუტერით ან ძრავა გამოერთო, რადგან მის ირგვლივ ყველას წამლავდა კვამლით. ახალგაზრდამ გამორთო ძრავა, ბატონ დე გეტროუვეს მიუახლოვდა და უთხრა: „შენ ეწევი [სიგარეტს], შენც მოკვდები“. ბატონ დე გეტროუვეს ეგონა, რომ ახალგაზრდა გონიერი ადამიანი იყო და საკითხის გავრცობა უნდოდა. ამის ნაცვლად, ახალგაზრდამ შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოილო პატარა, მეტალისფერი პისტოლეტი და უთხრა: „ვერავინ მიკარნახებს, რაუნდა გავაკეთო. გავაკეთებ იმას, რაც მსურს, ჩვენ მაინც ყველანი მოვკვდებით“.

85. ბატონი დე გეტროუვეს მეუღლემ, რომელიც ძალზე შეაშფოთა პისტოლეტის დანახვამ, ქარი უკან განია. ახალგაზრდა სკუტერზე დაბრუნდა.

86. იქ ბევრი ადამიანი იდგა და არც ერთ მათგანს დე გეტროუვესთვის დახმარება არ შეუთავაზებია. აშკარა იყო, ყველა შეაკავა პისტოლეტის დანახვამ.

### (k) ბატონი ბონდე

87. ბატონი სანჩააი კუმარ ბონდე, ბატონი ჰოესენის მეგობარი გოგოს ძმა, 1998 წლის 22 ივნისს დაიკითხა.

88. 1998 წლის 19 ივნისს, კვირას, 20:30-22.00 საათამდე, იგი კვაკოეს ფესტივალზე იმყოფებოდა დასა და ბატონ ჰოესენთან ერთად. მან ისინი დატოვა და სამივესთვის სასმელის მოსატანად წავიდა. მას ყვირილი შემოესმა და დაინახა, როგორ მირბოდა ჰოესენი იქვე მყოფ პოლიციის ოფიცერებისკენ. იგი დაეწია ბატონ ჰოესენს და ჰკითხა, რაში იყო საქმე. ჰოესენმა უპასუხა, რომ მოგვიანებით ეტყოდა. მას და აცრემლებული დახვდა და ჰკითხა, რა ხდებოდა. მან უპასუხა, როგორ დაათმობინეს ბატონ ჰოესენს სკუტერი იარაღის მუქარით.

3. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის დეტექტირვის, უფროსი ზედამხედველი ვან დუიჯვენურდეს მიერ ჩატარებული გამოძიება

89. გამოძიება დაევალა ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის (hoofdinspecteur van politie-nijksrecherche) დეტექტივს, უფროს ზედამხედველს ვან დუიჯვენურდეს. მის საგამოძიებო ანგარიშში აღნიშნულია, რომ 1998 წლის 20 ივნისს, 13:30 საათის შემდეგ, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალებმა მორავია რამსაპაის საქმეზე ჩატარეს მხოლოდ ის საგამოძიებო ქმედებები, რომლებიც მოითხოვა ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო

დეპარტამენტმა. მან შედეგების შესახებ ანგარიში წარუდგინა საზოგადოებრივ პროკურორს, დე ვრიესს, რომელიც ფლიერბოსდრეეფის პოლიციის განყოფილებაში კრიმინალურ გამოძიებებს ედგა სათავეში.

90. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენურდემ, რამდენიმე მოწმე დაკითხა, მათ შორის, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ოფიცერთა მიერ უკვე დაკითხული მოწმეები. ქვემოთ მოცემულია ამ ჩვენებების მოკლე შინაარსები.

### (a) ბატონი ვან დენ ჰეუველი

91. ბატონი ვან დენ ჰეუველი მეორედ დაიკითხა 1998 წლის 21 ივლისს, ამჯერად დეტექტივის, უფროსი ზედამხედველის, ვან დუიჯვენურდეს მიერ.

92. მანამდე მიცემული ჩვენების გარდა, ბატონმა ვან დენ ჰეუველმა აღნერა, რა დაინახა მაღალსართულიანი შენობის მეხუთე სართულის საცალფეხო გზიდან. მან დაინახა ფორმიანი კაცი, რომელიც გალავანში შემოსულ პოლიციელს შეხვდა. ეს კაცი ძალიან ნელა მოძრაობდა, მილასლასებდა. ბატონ ვან დენ ჰეუველს მოეჩვენა, რომ პოლიციელს უნდოდა, ეს კაცი ხელში ჩაეგდო და მარცხენა მელავში სწვდა. ფერადკანიანმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს უნდოდა, პოლიციელი თავიდან მოეშორებინა. მან ხელი ჰერა პოლიციელს იმგვარად, რომ გათავისუფლდა და შეძლო მას მოშორებოდა.

93. როგორც კი პოლიციელს დაეხსნა, ფერადკანიანმა კაცმა ამოილო პისტოლეტი ან რევოლვერი (ცეცხლსასროლი იარაღი), რომელიც მარჯვენა ხელში დაიკავა. მას ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული, შესაბამისად, იარალის ლულა მინას უყურებდა, და ასე სცადა გზის გაგრძელება. ბატონ ვან დენ ჰეუველს არ დაუნახავს, როდის ამოილეს პოლიციელებმა თავიანთი პისტოლეტები. ფერადკანიანი კაცის პისტოლეტით შეშინებული ჰეუველი, რომელსაც არ უნდოდა ბრმა ტყვია მოხვედროდა, იქვე ჩაიმალა. შესაბამისად, იგი სროლის მოწმე არ ყოფილა, თუმცა, რამდენჯერმე გაიგონა შეძახილი „დაგდე“.

### (b) ოფიცერი ბრონსი

94. ოფიცერი ბრონსი, რომელიც იმ დროისათვის ეჭვმიტანილი იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, სიფრთხილით დაკითხა დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენურდემ 1998 წლის 22 ივლისის საღამოს. მას დაუნიშნეს ადვოკატი და დაკითხვას ესწრებოდა ოფიცერი ვან კლეეფ ბულტსტრა.

95. ოფიცერებმა, ბრონსმა და ბულტსტრამ, დავალებები შესარულეს და პოლიციის განყოფილებისკენ მიდიოდნენ. ისინი პოლიციის საპატრულო მანქანაში ისხდნენ, მანქანას ოფიცერი ბრონსი მართავდა. ამ დროს რადიოგადამცემით მიიღეს ინფორმაცია სკუტერის მოპარვის შესახებ. მათ ასევე შეატყობინეს სკუტერის ფერი, მოკლედ აღუნერეს მძარცველი და უთხრეს მიმართულება, საითაც იგი სკუტერით გაიქცა. მათთვის არავის უთქვამს, რომ მძარცველი შეიარაღებული იყო.

96. ოფიცერები, ბრონსი და ბულტსტრა, მითითებული მიმართულებით გაემართნენ და გზად სკუტერი დაინახეს, რომლის მძლოლის აღნერილობა ემთხვეოდა მათთვის გადაცემულ მონაცემებს. სკუტერმა ჰუიგენბოს კომპლექსის გალავნისკენ შეუხვია. ამან პოლიციელები გააკირვა, რადგან ისინი ელოდნენ, რომ უკან პოლიციის საპატრულო მანქანის დანახვაზე ქებილი მიმალვას ეცდებოდა.

97. ოფიცერები - ბრონსი და ბულტსტრა - შეთანხმდნენ, რომ ოფიცერი ბულტსტრა ქურდს უკან გაჰყვებოდა, სანამ ოფიცერი ბრონსი მანქანას დაპარკინგებდა. ოფიცერი ბულტსტრა გალავნისკენ გაიქცა, ხელში ორმხრივი რადიო-გადამცემით. ოფიცერ ბულტსტრასა და გალავანს შორის ოცი-ოცდახუთი მეტრილა იყო დარჩენილი, როცა გალავანში ქურდ გამოჩნდა და მოკლე მანძილზე გაიქცა. იგი გაჩერდა და ხელები მაღლა ასწია, როცა ოფიცერი ბულტსტრა დაინახა, თან უწმანურ სიტყვებს იძახდა. ოფიცერმა ბულტსტრამ ქურდს ხელი წაავლო და ორივე ხელით მისი შენობისკენ მობრუნება სცადა. თუმცა, ქურდმა წინააღმდეგობა გაუწია. ოფიცერმა ბულტსტრამ მას რაღაც დაუყვირა, რისი გაგონებაც ოფიცერმა ბრონსმა ვერ შეძლო.

98. ოფიცერი ბრონსი მიხვდა, რომ ქურდი მშვიდად არ ჩაბარდებოდა, და რომ ოფიცერ ბულტსტრას დახმარება სჭირდებოდა; შესაბამისად, მან დატოვა მანქანა და მათენ გაიქცა. ის კიდევ 5-7 მეტრით იქნებოდა ქურდისაგან დაშორებული, რომ მძარცველმა დრო იხელთა და ოფიცერ ბულტსტრას სამი მეტრით მოშორდა. უცებ, ოფიცერმა ბრონსმა მძარცველის ხელში მოვერცხლისფრო იარაღი შენიშნა, რომლის ამოღების მომენტიც არ დაუნახავს. ეს იყო პატარა პისტოლეტი, მიმართული მიზისაკენ. ოფიცერ ბრონსს არ დაუნახავს, იარაღი გადატენილი იყო თუ არა. მან ჩათვალა, რომ პისტოლეტი ოფიცერმა ბულტსტრამაც დაინახა, რადგან უკან დაიხსია, ამოილო სამსახურებრივი პოსტოლეტი და თავდაცვითი პოზა მიიღო. მან, სულ ცოტა, ორჯერ გაიგონა, როგორ დაიყვირა ოფიცერმა ბულტსტრამ: „დააგდე იარაღი. ნუ სულელობ, ბიჭო“ (“Laat vallen dat wapen. Doe nou normaal man”).

99. მძარცველს პისტოლეტის დაგდება არ უფიქრია. ოფიცერმა ბრონსმა დაინახა, რომ ოფიცერ ბულტსტრას მძარცველი მიზანში ჰყავდა ამოღებული და მისი განცვიფრების მიუხედავად, მძარცველმა პისტოლეტი არ დააგდო. იმის გათვალისწინებით, რომ მძარცველი შეიარაღებული იყო და ჩანდა, რომ დანებებას არ აპირებდა, ოფიცერმა ბრონსმა ჩათვალა, რომ ოფიცერ ბულტსტრას საფრთხე ემუქრებოდა. მან დიდი ალბათობით მიიჩნია, რომ მძარცველი იარაღს ოფიცერ ბულტსტრას მისამართით გამოიყენებდა. იგი სრულად ფოკუსირებული იყო მძარცველზე. ხედავდა მხოლოდ მძარცველს, რომელსაც სასხლეტზე თითო ჰქონდა მიღებული. ამ მომენტისთვის ოფიცერ ბრონსს ჯერ კიდევ არ ჩაუთვლია საჭიროდ, თავისი სამსახურებრივი პისტოლეტი ამოელო, რადგან მძარცველი ოფიცერ ბულტსტრას ჰყავდა მიზანში ამოღებული. მას ხელი პისტოლეტის ბუდესთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ პისტოლეტზე არ ედო.

100. ოფიცერმა ბრონსმა შენიშნა, რომ მძარცველი მარჯვნივ, მისკენ მობრუნდა და მისი მიმართულებით წინ გადაიხარა ხუთი-ათი მეტრის დისტანციაზე. ბრონსმა დაინახა, როგორ ანია მძარცველმა პისტოლეტი და მისკენ გამოიშვირა. იმის შიშით, რომ მძარცველი ესროდა, ოფიცერმა ბრონსმა ელვის სისწრაფით (bliksemsnel) ბუდიდან ამოილო თავისი პისტოლეტი და მძარცველს ერთხელ დაუყოვნებლივ ესროლა. მას დრო არ ჰქონია იმისათვის, რომ ტყვია სხეულის რომელიმე ნაწილისთვის დაემიზნებინა. იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ პირველად თვითონ არ გაისროდა, მძარცველი მას დაჭრიდა.

101. ოფიცერი ბრონსი მაშინ ფიქრობდა, რომ მძარცველს ტყვია გულმკერდის ზედა არეში მოხვდა. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ მას ტყვია კისერში მოარტყა. მძარცველი ცოტა ხანს ფეხზე იდგა, შემდეგ წატორტმანდა და დაეცა, პისტოლეტიც ძირს დავარდა. მან წამოდგომა სცადა, ხელებს აფათურებ-

და. ოფიცერმა ბრონსმა მძარცველის პისტოლეტი ფეხით გვერდზე გაწია, მისი აღება რომ ვერ მოეხერხებინა.

102. ოფიცერი ბულტსტრა მიუახლოვდა ძირს დაწოლილ კაცს. დარწმუნდა რა, რომ იგი საფრთხეს აღარ ქმნიდა, თავისი პისტოლეტი გვერდით გადადო.

103. ოფიცერი ბრონსი ორმხრივი რადიოვადამცემით პოლიციის განყოფილებას დაუკავშირდა და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციის დახმარება ითხოვა (Gemeentelijke Geneeskundige en Gezondheidsdienst). იგრძნო რა, რომ დიდი დრო დასჭირდათ ინციდენტის ადგილზე მისასვლელად, ბრონსი მათ კვლავ დაუკავშირდა და დაჩქარება სთხოვა.

104. ოფიცერი ბულტსტრა მსხვერპლთან დარჩა, ოფიცერი ბრონსი კი ინციდენტის ადგილს მოშორდა. მან დაინახა მამაკაცი, რომელიც გალავანში შესვლას ცდილობდა და სთხოვა, ეს არ გაეკეთებინა, რადგან ტერიტორიისთვის პოლიციელებს ალყა უნდა შემოერტყათ გამოსაძიებლად.

105. ოფიცრები, ბრონსი და ბულტსტრა, იმავე განყოფილების სხვა ოფიცრებმა უკან, პოლიციაში წაიყვანეს. ოფიცერმა ბრონსმა თავისი პისტოლეტი იქ ჩააბარა. ოფიცრებს, ბრონსსა და ბულტსტრას, სხვა ოფიცრებმა და ზემდგომმა პირებმა დახმარება აღმოუჩინეს, კომფორტი შეუქმნეს და შემდგომი პროცედურების შესახებ ვითარებაში გაარკვიეს.

106. ოფიცერმა ბრონსმა მხოლოდ ერთხელ გაისროლა. მისი მიზანი არ ყოფილა მძარცველის მოკვლა, მხოლოდ სიცოცხლისთვის საშიში გარემოების განმუხტება უნდობდა. იგი ფიქრობდა, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ოფიცერი ბრონსი ძალიან წუხდა, რომ მძარცველი გარდაიცვალა.

### (c) ოფიცერი ბულტსტრა

107. ოფიცერი ბრონსის მსგავსად, ოფიცერი ბულტსტრა დაკითხა დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენურდემ 1998 წლის 22 ივნისს, აღვოუატის, ბატონი ვან კლეეფის თანდასწრებით.

108. ის და ოფიცერი ბრონსი ვალდებულების შესრულების შემდეგ ფლიერ-ბოსდრეფის პოლიციის განყოფილებისაკენ ბრუნდებოდნენ, როცა ორმხრივი რადიოგადამცემით გაიგეს, რომ სხვა პოლიციელი ფეხით მისდევდა მძარცველს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ სკუტერი გაიტაცა. მათ გაიგონეს სკუტერისა და მძარცველის აღნერილობა და მიმართულება, საითაც იგი მიდიოდა. ნახსენები არ ყოფილა, რომ მძარცველი შეიარაღებული იყო. ისინი მაშინვე გაემართნენ მძარცველისთვის გზის მოსაჭრელად.

109. როცა მათ აღნერილობის შესაბამისი ადამიანი და სატრანსპორტო საშუალება დაინახეს, რომელიც ცათამბჯენისკენ მიდიოდა, გადაწყვიტეს, მანქანა დაეპარკინგებინათ და დამნაშავე დაეკავებინათ. ოფიცრები შეთანხმდნენ, რომ ოფიცერი ბულტსტრა მანქანიდან დაუყოვნებლივ გადავიდოდა და კაცს უკან გაჰყვებოდა, ამასობაში კი ოფიცერი ბრონსი მანქანას ჩაკეტავდა და ოფიცერ ბულტსტრას შეუერთდებოდა.

110. ოფიცერმა ბულტსტრამ დაინახა, სკუტერით როგორ შევიდა მძარცველი შენობის გალავანში. ოფიცერ ბულტსტრას ოციოდე მეტრი ჰქონდა გალავანამდე დარჩენილი, რომ დაინახა, ეს კაცი გალავნიდან როგორ გამოვარდა. ოფიცერი ბულტსტრა რომ დაინახა, კაცმა დაუძახა: „და რა მოხდა მერე? რა მოხდა მერე?“ (“En wat nou? En wat nou?”). ხელები ჩამოშვებული ჰქონდა. შეკითხვისას ხელები

ოდნავ მაღლა ასწია. ბულტსტრამ და ეს კაცი ერთმანეთს მიუახლოვდნენ. კაცი ხან მარჯვნივ იყურებოდა, ხან მარცხნივ, ეტყობოდა, რომ თავის დაღწევის საშუალებას ეძებდა. მან არჩევანი შენობის მინისქვეშა გასასვლელზე გააკეთა. ოფიცერმა ბულტსტრამ მძარცველს გზა გადაუჭრა. მისი მიზანი იყო მძარცველის ხელში ჩაგდება და დაკავება.

111. ოფიცერმა ბულტსტრამ მძარცველს მარცხენა ხელი ჩავლო და ტანით შენობას მიაკრა. ამ კაცის ქცევიდან და საუბრის მანერიდან გამომდინარე, ბულტსტრას დარჩა შთაბეჭდილება, რომ იგი აგრესიული იყო და განზრახული ჰქონდა, პოლიციელისთვის დაკავებისას წინააღმდეგობა გაეწია. მძარცველმა მოახერხა გათავისუფლება და შემობრუნდა. ორი ნაბიჯი უკან, შენობის გაღვნისკენ გადადგა. ხელები სხეულთან ახლოს ჰქონდა მიტანილი და ოდნავ წინ იყო გადახრილი, შემაშინებელ პოზაში იდგა.

112. შემდეგ მან მარჯვენა ხელი გულმკერდის ან მუცლის მარცხენა მხარეს გადმოიტანა, როგორც გააკეთებდა ადამიანი, ვინც ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებას აპირებდა. მან ოფიცერ ბულტსტრას თვალებში ჩახედა და უხერა: „და რა მოხდა მერე?“ (“En wat nou?”). ოფიცერ ბულტსტრას არ დაუნახავს, მძარცველმა ხელი ტანსაცმლის შიგნით როგორ შეაცურა. მისი უესტიყულაციოდან გამომდინარე, ოფიცერმა ბულტსტრამ ჩათვალა, რომ მძარცველი იარაღის ამოღებას აპირებდა. საღმა აზრმა მას თავდაცვა ურჩია. ბულტსტრამ უკან დაიხია და მარჯვენა ხელი იარაღს დაადო, თან, ამავდროულად, ბუდე გახსნა. მას სამსახურებრივი პისტოლეტი არ ამოუღია, მაგრამ ისეთი პოზა მიიღო, რომ ამის გაკეთება დაუყოვნებლივ შეძლებოდა. მარცხენა ხელი მძარცველისკენ გაიშვირა და დაუძახა: „ხელები მაჩვენე. ნუ სულელობ“ (“Laat je handen zien. Doe normaal”). მაშინ კაცმა ხელი ჩამოიღო და ძველი პოზა მიიღო, ხელები ძირს დაუშვა. მან თქვა: „და რას იზამ? რას იზამ?“ (“En wat dan? En wat dan?”) და ოფიცერ ბულტსტრას მოშორდა. სხეულით კვლავ ბულტსტრასკენ იყო დახრილი და მას დაუინებით უყურებდა. ოფიცერი ბულტსტრა იმავე პოზაში დარჩა.

113. კაცმა მარჯვენა ხელი კვლავ სხეულისკენ წაიღო, იმავე ადგილას დაიდო, სადაც მანამდე, და რაღაცას ხელი მოკიდა. ოფიცერმა ბულტსტრამ ვერ შეძლო დაენახა, რას ეჭიდებოდა მძარცველი. როგორც კი კაცმა სხეულს ხელი მოაშორა, ოფიცერმა ბულტსტრამ დაინახა, რომ მას მუჭჭი პატარა, ვერცხლისფერი პისტოლეტი ეჭირა.

114. საფრთხე აშკარა გახდა და ოფიცერმა ბულტსტრამ, თავდაცვის მიზნით, სამსახურებრივი პისტოლეტი ამოიღო. კაცის ქცევის გათვალისწინებით, ბულტსტრა შიშობდა, რომ მას შეიძლება გაესროლა. ოფიცერმა ბულტსტრამ პისტოლეტი ორივე ხელში დაიჭირა, თავდაცვითი პოზა მიიღო და ლულა კაცის გულმკერდს დაუმიზნა. ახსოვს, რომ კაცს რამდენჯერმე დაუყვირა: „დააგდე იარაღი“ (“Laat vallen”). ბულტსტრამ დაინახა, რომ მძარცველმა პისტოლეტიანი ხელი დაბლა დაწია ისე, რომ ლულა მინას უყურებდა. კაცი კვლავ გადმოხრილი იდგა ოფიცერ ბულტსტრასაკენ, ფეხები ოდნავ გაშლილი ჰქონდა, მკლავები - განზე და ხელებს ამორავებდა ისე, რომ პისტოლეტი მიმართულებას იცვლიდა, თუმცა, ლულა კვლავ მინისკენ იყო მიმართული. ოფიცერმა ბულტსტრამ კაცის უესტიყულაცია მიამსგავსა კოვბოის დგომას, რომელსაც შეეძლო, სროლა ნებისმიერ წამს დაეწყო. ის იმდენად შეშინდა, რომ გადაწყვიტა ესროლა, თუკი კაცი პისტოლეტს მისკენ გამოიშვერდა.

115. რამდენადაც ახსოვს, ეს სიტუაცია გაგრძელდა, დაახლოებით, ოთხი

წამის განმავლობაში, რა დროშიც მან ორჯერ მოუწოდა კაცს, პისტოლეტი დაეგდო. მძარცველს ეს არ გაუკეთებია. მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა; ბულტსტრას ვარაუდით, მის მიერ მძარცველის შებოჭვიდან სასიკვდილო გასროლამდე თხუთმეტ-ოც წამზე მეტი დრო არ იქნებოდა.

116. ოფიცერმა ბულტსტრამ დაინახა, რომ კაცმა რაღაცაზე მოახდინა რეაგირება და კვლავ კოებოისმაგვარი დგომით, ოდნავ მარცხნივ მიტრიაღდა. ოფიცერ ბულტსტრას არ ახსოვს, ამას რა დრო დასჭირდა, თუმცა, ზოგადად ძალიან მოკლე დროში მოხდა ყველაფერი. კაცმა პისტოლეტიანი მარჯვენა ხელი ასწია იმგვარად, როგორც მანამდე არ გაუკეთებია. ამან ოფიცერ ბულტსტრას აფიქრებინა: „ახლა ვისვრი.“ მძარცველი მკლავსა და ხელს მაღლა რომ სწრება, ოფიცერი ბულტსტრა დარწმუნდა, რომ იგი სროლას აპირებდა. მარჯვენა ხელი მოამზადა, რომ სასხლეტზე ხელი გამოეკრა, როცა მარჯვნიდან ძლიერი ხმა შემოესმა და ამ ხელში პოსტოლეტის გასროლა ამოიცნო. მან იმწამსვე გაიფიქრა: „[ოფიცერმა ბრონსმა] შეაჩერა“. ოფიცერი ბულტსტრა ისეთი შეშინებული იყო, გაისროდა, ოფიცერ ბრონსს რომ არ დაესწრო.

117. ოფიცერმა ბულტსტრამ იმწამსვე დაინახა, რომ კაცს ტყვია მოხვდა. მძარცველმა სხეულის ზედა ნაწილი უცნაურად მოატრილა. მუხლებში ჩაიკეცა და მინაზე დავარდა. დაცემისას პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა. მან ნარუმატებლად სცადა ადგომა. ოფიცერები, ბულტსტრა და ბრონსი, კაცს სხვადასხვა მხრიდან მიუახლოვდნენ, ხელში კვლავ იარაღები ეკავათ. კაცთან რომ მივიდა, ბულტსტრამ სამსახურებრივი იარაღი გადაღო და კაცს მხარში სწვდა. მას უნდოდა, კაცისთვის ადგომაში ხელი შეეშალა, რომ ის თავის პისტოლეტს არ მისწვდომოდა. იგი კაცის გვერდით დაჯდა. კაცი ზურგით ოფიცერ ბულტსტრას მუხლებთან იწვა. ამ დროს ოფიცერმა ბულტსტრამ ოფიცერი ბრონსი დაინახა, რომელიც მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდა. არ ახსოვს, ოფიცერ ბრონსს სამსახურებრივი პისტოლეტი კვლავ ხელში ეკავა თუ არა. ოფიცერმა ბრონსმა მძარცველის პისტოლეტი ფეხით განია ისე, რომ კაცი მას ვერ მისწვდომოდა.

118. ოფიცერი ბრონსი თავისი ორმხრივი რადიოგადამცემით პოლიციის განყოფილებას დაუკავშირდა და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციიდან სასწრაფო დახმარება ითხოვა. ოფიცერებს, ბრონსსა და ბულტსტრას, შემთხვევის ადგილი არ დაუტოვებიათ სხვა პოლიციელების მოსვლამდე. ოფიცერმა ბულტსტრამ მძარცველს ტანსაცმელი გადაუწია, რომ მისი ჭრილობა ენახა. მას ტყვია კისერში ჰქონდა მოხვედრილი და პერანგი დასვრილი იყო სისხლით. ოფიცერმა ბულტსტრამ მას სახელი ჰქონდა, თუმცა, პასუხი არ მიუღია. მამაკაცი ხრიალებდა. მას ვერ ეხმარებოდნენ. მალე იგი გარდაიცვალა.

119. სხვა პოლიციელების მოსვლის შემდეგ ოფიცერები - ბრონსი და ბულტსტრა - უკან ფლიერბოსდრეეფის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ისინი, ოფიცერ ბულტსტრას ვარაუდით, სამი საათის განმავლობაში დარჩენენ. ოფიცერ ბრონსს მოსთხოვეს, სამსახურებრივი იარაღი ჩაებარებინა. მათ რამდენიმე პოლიციელი გაესაუბრათ, მათ შორის, რაიონის პოლიციის უფროსი (districts-chief), პოლიციის კომისარი ვან რიესენი და თვითდახმარების ჯგუფი (zelfhulpsteam).

120. ოფიცერმა ბულტსტრამ განაცხადა, რომ მძარცველი თვითონ აკონტროლებდა სიტუაციას (zelf het scenario heeft bepaald). მას ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ იარაღი არ ამოედო, ან ამოღების შემდეგ დაეგდო. ოფიცერმა ბულტსტრამ იგი რამდენჯერმე გააფრთხილა, მან კი ამაზე რეაგირება არ მოახინა. ამის ნაცვლად, მძარცველი სამიში პოზიტი იდგა ოფიცერ ბულტსტრას წი-

ნაშე, დაუყოვნებლივ გამოსაყენებლად მომართული იარაღით. ოფიცერ ბულტს-ტრას სხვა გზა არ დარჩა, გარდა, თავდაცვის მიზნით, სამსახურებრივი იარაღის ამოღებისა. ვითარება იმდენად დაძაბული და საშიში იყო, რომ ოფიცერი ბულტს-ტრა თვითონვე გაისროდა მამაკაცის გასაუვნებელყოფებლად, რათა საკუთარი თავისა და, სავარაუდოდ, სხვებისათვის საშიშროება აერიდებინა. საბოლოოდ, ეს საჭირო აღარ გახდა, რადგან ოფიცერმა პრონსმა დაასწრო სროლა.

#### (d) ქალბატონი რიჯსელი

121. ქალბატონი ჰენა ემელიტა რიჯსელი, ამსტერდამში მცხოვრები სოციალური მუშაკი, 1998 წლის 24 ივნისს დაიკითხა.

122. 19 ივნისს, დაახლოებით 22.00 საათზე, ის და მისი ქალიშვილი, მის სირეტა მიშელ ლიეველდი, ფესტივალიდან სახლისკენ მისეირნობდნენ. მიწის-ქვეშა გადასასვლელში ისინი იძულებულნი გახდნენ, გზა დაეთმოთ სკუტერისთვის, რომლის მძლოლიც მან აღწერა როგორც ნეგროიდი ახალგაზრდა, დამცავი ჩაფხუტის გარეშე. მათ დაინახეს, როგორ გააგრძელა გზა სკუტერმა და შემდეგ შეუხვია ცათამბჯენის ერთ-ერთი გალავნისაკენ. დააფიქსირეს, რომ ახალგაზრდა უჩივეულად ნელა მიდიოდა, თუმცა, დაუდევრად. მათ დაინახეს, როგორ გამოვიდა ახალგაზრდა გალავნიდან, თუმცა, სკუტერი გალავნის შიგნით შენიშვნეს. მართალია, მათ შორის საკმაო მანძილი იყო, მაგრამ ისინი კარგად ხედავდნენ - ჯერ დაბნელებული არ იყო.

123. მათ დაინახეს, როგორ გამოვიდა ახალგაზრდა გალავნიდან და, ასევე, დაინახეს პოლიციელი, რომელიც ახალგაზრდისკენ მირბოდა. მაშინ შეაჩნიეს პოლიციის მანაქანაც, რომლის ხმაც მანამდე არ გაუგონიათ, ის არც დაუნახავთ.

124. მათ დაინახეს, რომ ახალგაზრდას ხელი ჯემპრის ან ჰერანგის შიგნით პქონდა შეყოფილი, მუცელთან, ზუსტად შარვლის ქამრის გასწვრივ. მათ გადააყვიტეს, ახლოს მისულიყვნენ, რადგან აშკარად რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა.

125. ქალბატონმა რიჯსელმა დაინახა, რომ ახალგაზრდა მოუახლოვდა პოლიციელს. მან დაინახა, როგორ გასწია ახალგაზრდამ ხელები, რომელი უესტიკულაციაც ნიშნავდა - „რა გინდა?“. მას სიტყვები არ გაუგონია. პოლიციელი ახალგაზრდას მკლავში სწვდა და ზურგით შენობას მიაბჯინა. ქალბატონს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდა დააკავეს. მან დაინახა, როგორ ცდილობდა პოლიციელი, ახალგაზრდა სახით კედელზე მიებჯინა. თუმცა, ახალგაზრდამ თავის დახმარება შეძლო.

126. ქალბატონმა რიჯსელმა დაინახა, რომ ახალგაზრდამ კვლავ შეიყო ხელი პერანგის ქვეშ იმავე მანერით, როგორც მანამდე. მას არ დაუნახავს რაიმე ნივთის ამოღების ფაქტი; მას საერთოდ არც ერთ მომენტში არ დაუნახავს, რომ ახალგაზრდას ცეცხლსასროლი იარაღი ამოედო.

127. პოლიციელი იქვე დარჩა, სადაც იდგა და ახალგაზრდას არ მიახლოებია. ახალგაზრდა კი ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ გადაადგილდებოდა. ქალბატონ რიჯსელს არ დაუნახავს, რომ პოლიციელს იარაღი ამოედო.

128. მეორე პოლიციელმაც მოირბინა. იგი გაქვავდა ექვსი მეტრის მანძილზე. ახალგაზრდას ხელი კვლავ პერანგის შიგნით, შარვლის ქამრის ბალთასთან პქონდა. მაშინ ქალმა დაინახა, როგორ ამოიღო მეორე პოლიციელმა პისტოლეტი და ახალგაზრდას დაუმიზნა. მან ერთხელ გაიგონა შეძახილი: „დააგდე იარაღი“ (“Leg neer”), რომელიც ქალბატონის აზრით, ნათქვამი იყო იმ პოლიციელის მიერ,

ახალგაზრდა კონტროლზე რომ ჰყავდა აყვანილი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პოლიციელმა ახალგაზრდას პისტოლეტი მიუშვირა. შეძანილისთანავე - „დააგდე იარაღი“ - ქალბატონმა გაიგონა სროლის ხმა. ახალგაზრდა იმწამსვე ჩაიკეცა.

129. ქალბატონმა რიჯსელმა კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ მას არც ერთ მომენტში არ დაუნახავს, ახალგაზრდას პისტოლეტი ან რაიმე მაგდაგვარი პოლიციელებისთვის დაემიზნებინოს. მას ახსოვს, რომ ახალგაზრდას ხელი პერანგის ქვეშ ჰქონდა შეუყოფლი, შარვლის ქამრის გასწვრივ. იგი დარწმუნებული იყო თავის სიტყვებში, მიუხედავად მოვლენათა სწრაფი განვითარებისა.

130. როგორც კი სროლის ხმა გაიგონა, ქალბატონი მაშინვე იმ ადგილისკენ გაექანა, სადაც ახალგაზრდა დაეცა. მან პოლიციელებს დაუყვირა: „დავინახე, რაც ჩაიდინეთ. ეს ხომ ადამიანია“ (“Ik heb gezien wat jullie hebben gedaan. Het is een mensenkind”).

131. პოლიციელი ახალგაზრდას პულსს უსინჯავდა. ახალგაზრდას ხელი ჩამოვარდნილი ჰქონდა.

132. მალე ბევრი პოლიციელი მოვიდა, მოტოციკლზე შემომჯდარის ჩათვლით, რომელმაც მას ჩვენების მიცემა სთხოვა. მან ამაზე უარი თქვა - არ უნდოდა მისი ჩვენება ახალგაზრდას წინააღმდეგ გამოეყენებინათ, რადგან მისი სიტყვებისთვის შეიძლებოდა არასწორი ინტერპრეტაცია მიეცათ. მან პოლიციის ორ ოფიცერს, ქალსა და მამაკაცს, რომლებიც ტერიტორიას კორდონს უკეთებდნენ, უთხრა, რომ ასეთი ფართო არეალისთვის ლენტის შემოკვრა არ სჭირდებოდათ. პოლიციის ერთ-ერთმა ოფიცერმა მას ბრალი დასდო პრობლემების შექმნის მცდელობაში და უთხრა, რომ მან არ იცოდა ინციდენტის მიზეზი. ქალბატონმა უპასუხა, რომ ინციდენტის მიზეზი არ იცოდა, მაგრამ იცოდა რა მოხდა, და იყითხა, ევალებოდა თუ არა პოლიციელს გამაფრთხილებელი გასროლა, ვიდრე ადამიანს ესროდა. მას შეეძლო მეტიც ეთქვა, იმდენად აღლვებული იყო.

133. 1998 წლის 20 ივლისს ქალბატონი რიჯსელი ახალგაზრდის კველელობის ადგილას დაბრუნდა ყვავილების დასატოვებლად. იგი იქ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს შეხვდა და ესაუბრა. მათ ქალბატონ რიჯსელს უთხრეს, რომ ადვოკატი, ბატონი ჰამერი აიყვანეს. ქალბატონმა რიჯსელმა მათ თავისი ტელეფონის ნომერი მისცა. მოგვიანებით მას ბატონი ჰამერი დაუკავშირდა, რომელმაც სთხოვა, ჩვენება მიეცა უფროსი ზედამხედველის, ვან დუიკვენვურდესათვის.

#### (e) ქალბატონი ლიეველდი

134. ქალბატონი სირეეტა მიშელ ლიეველდი, სკოლის მოსწავლე, დაბადებული 1983 წელს, დაიკითხა 1998 წლის 24 ივლისს. იგი ქალბატონი რიჯსელის ქალიშვილი იყო. 1998 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 22.00 საათზე, იგი დედასთან ერთად კვაკიეს ფესტივალიდან შინ მიდიოდა. ფეხით მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელში მათ სკუტერზე შემომჯდარმა ახალგაზრდამ გადაასწროთ. ახალგაზრდა შავებში იყო ჩაცმული. მას მუქი კანი ჰქონდა, მაგრამ არა შავი, თმა - ბოლომდე გადაპარსული. დამცავი ჩაფხუტი არ ეფარა. ქალბატონმა ლიეველდმა სკუტერის აღწერა ვერ შეძლო.

135. ახალგაზრდამ სკუტერით გზიდან გადაუხვია და მინდვრით ჰკუიგენბოს შენობისკენ წავიდა. ქალბატონ ლიეველდს არ დაუნახავს, ახალგაზრდა სკუტერით გალავანში შევიდა თუ არა.

136. მაშინ ქალბატონ ლიეველდს დედამ უთხრა: „შეხედე, პოლიცია მოვიდა.“

ქალბატონმა ლიეველდმა პოლიციის ოფიცერი დაინახა, რომელიც შენობის წინ, ახალგაზრდასთან ახლოს იდგა. ის და დედამისი მათკენ გაემართნენ. ქალბატონმა ლიეველდმა დაინახა, რომ პოლიციელი ახალგაზრდის დაკავებას ცდილობდა, მან კაცს ხელი წაავლო და სახით კედელზე მიაკრა. თუმცა, ახალგაზრდამ თავის გამოხსნა შეძლო. მან ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ამბობდა: „ჩე-მგან რა გინდა?“

137. ახალგაზრდამ ერთი ხელი შარვლის ქამრისკენ წაიღო, მის ლიეველდს არ ახსოვდა, რომელი. თითქოს მას იქ პისტოლეტი უნდა ჰქონოდა, თუმცა, ამაში მის ლიეველდი დარწმუნებული არ იყო.

138. მეორე პოლიციელმაც მოირბინა. მის ლიეველდმა გაიგონა შეძახილი: „დააგდე იარაღი“. მას ახსოეს, რომ ეს შეძახილი ერთხელ მოისმა. მან დაინახა, რომ ორივე პოლიციელს ხელში სამსახურებრივი პისტოლეტები ეკავათ. პირველი პოლიციელის - რომელმაც ახალგაზრდის დაკავება სცადა - ხელში პისტოლეტი დაინახა, მაგრამ ახალგაზრდისთვის ამ იარაღის დამიზნება არ დაუნახავს. ახალგაზრდის ხელში მის ლიეველდს იარაღი ან რამე ამგვარი ნივთი არ დაუნახავს.

139. სამსახურებრივი პისტოლეტი ხელში მეორე პოლიციელსაც ეკავა. მიზანში ახალგაზრდა ჰყავდა ამოღებული. მის ლიეველდის აზრით, ტყვია გავარდა შეძახილისთანავე: „დააგდე იარაღი“. გასროლის შემდეგ ახალგაზრდა ოდნავ მობრუნდა და ჩაიკეცა. მან დაინახა, რომ ახალგაზრდას რაღაც დაუვარდა; მის ლიეველდი ფიქრობდა, რომ ეს იყო მობილური ტელეფონი. მოგვიანებით, ინციდენტის ადგილთან მიახლოებისას, ახალგაზრდასთან ახლოს ძირს დაგდებული მობილური ტელეფონი დაინახა; მან ივარაუდა, რომ სწორედ ეს მობილური დაუვარდა მას დაცემისას.

140. მის ლიეველდს გაუჭირდა ვარაუდი, რამდენად შორს იქნებოდა მისგან ადგილი, სადაც ახალგაზრდა დავარდა, მაგრამ გარკვეული მანძილი მათ შორის ნამდვილად იყო. მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა, ელვისებურად სწრაფად.

141. ოფიციალური ჩანაწერის მიხედვით, მოწმემ ჩვენება დედის თანდასწრებით მისცა, დედის ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით.

#### (f) ბატონი ვან რიჯი

142. ბატონი მერლინ ვან რიჯი დაიკითხა 1998 წლის 24 ივლისს. იგი სკოლის მოსწავლე იყო, დაბადებული 1982 წელს და ცხოვრობდა პუიგენბოს შენობაში.

143. 1998 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 22.00 საათზე, იგი მამასთან ერთად სახლში იმყოფებოდა, პირველ სართულზე მდებარე ბინის მისალებ ოთახში. თბილი ლამე იყო და ფანჯრები ღია ჰქონდათ.

144. რაღაც მომენტში მან ვიღაცის შეძახილი - „გაუნძრევლად იდექი“ - გაიგონა. შეძახილი ერთხელ მოისმა. ყველაზე ბევრი, ნახევარ წუთში მან გაღავნის მიმართულებით რაღაც ხმა გაიგონა, რომელიც პისტოლეტის გასროლას ჰქავდა. შეძახილის - „გაუნძრევლად იდექი“ - გათვალისწინებით, რომელიც, სავარაუდოდ, დამნაშავის ნათქვამი არ უნდა ყოფილიყო, მან დაასკვნა, რომ პოლიციელმა გაისროლა. მას გარეთ გასვლა და გარკვევა უნდოდა, რა მოხდა, მაგრამ დედამ არ გაუშვა, რადგან მიიჩნევდა, რომ სხვა ადამიანთა უბედურებით დაინტერესება ცუდი ტონის მანიშნებელი იყო. იმ ლამეს, მოგვიანებით, მისმა მამამ ძალი გაიყვანა სასეირნოდ. მან დაინახა, რომ გარეთ ბევრი პოლიციელი იდგა და ძირს ვიღაცას ზენარი ეფარა.

(g) ბატონი ოოსტბურგი

145. ბატონი მეთიუ ჯირი ოოსტბურგი 1998 წლის 24 ივლისს დაკითხა. იგი სკოლის მოსწავლე იყო, დაბადებული 1983 წელს,

146. 1998 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 22.00 საათზე, ის და მამამისი კვაკოეს ფესტივალიდან ჰუიგენბოს შენობისაკენ მიდიოდნენ, სადაც მამის მე-გობარი ქალი ცხოვრობდა. მათ მოტოციკლებინა პოლიციელები შენიშნეს, რომლებიც, სავარაუდოდ, რაღაცას ან ვიღაცას უყურებდნენ.

147. ის იყო, ფეხით მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელში ჩადიოდნენ, რომ რაღაც ხმა შემოესმათ, რომელშიც ბატონი ოოსტბურგის მამამ პისტოლეტის გასროლა ამოიცნო. ეს ხმა ჰუიგენბოს შენობიდან მოდიოდა. მათ დაინახეს, როგორ მიემართებოდნენ პოლიციელები ჰუიგენბოს შენობისაკენ, თუმცა, ძალზე შორს იყვნენ, რომ გაერჩიათ, რა ხდებოდა.

148. გზად შენობისკენ ისინი პოლიციელებმა გააჩერეს, რომლებიც ტერიტორიას კორდონს უკეთებდნენ.

149. როგორც კი სხვა შესასვლელით შენობაში შევიდნენ, ისინი ავიდნენ პირველ სართულზე და ბატონმა ოოსტბურგმა ქვემოთ გადმოიხედა. მან დაინახა, რომ ფერადკანიანი, თავგადაპარსული ახალგაზრდა გაუნძრევლად იწვა გალავნის შემოსასვლელში და ახალგაზრდის ფეხებთან პატარა, ბრჭყვიალა პისტოლეტი ეგდო. მან გაიგონა, სხვები როგორ ამბობდნენ, რომ თავდაპირველად ეგონათ, ახალგაზრდამ მობილური ტელეფონი ამოილო, პოლიციელებს პისტოლეტი ეგონათ და შეცდომით ესროლეს. მაგრამ ეს ნამდვილად პისტოლეტი იყო.

150. ბატონმა ოოსტბურგმა და სხვებმა ჩათვალეს, რომ ახალგაზრდამ პისტოლეტი ამოილო და პოლიციელებს დაუმიზნა, რაც გახდა მათ მიერ სროლის მიზეზი.

151. მოგვიანებით მან დაინახა, რომ სასწავლაში სამედიცინო დახმარების მანქანა მოვიდა. აშკარა იყო, რომ ახალგაზრდა გარდაიცვალა, რადგან მას თეთრი ზენარი გადააფარეს.

(h) ოფიცერი ბოონსტრა

152. პოლიციის ოფიცერი ბოონსტრა დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიკენვურდემ 1998 წლის 27 ივლისს დაკითხა.

153. ბოონსტრამ განაცხადა, რომ მან და მისმა კოლეგამ, პოლიციის ოფიცერმა დეკერმა, არ იცოდნენ, რომ მორავია რამსაჲაი შეიარაღებული იყო. მას და ოფიცერ დეკერს ფერადკანიანი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა, რომელმაც სთხოვა, გაჰყოლოდნენ და გაიქცა. რადგან ის და ოფიცერი დეკერი მას დაუყვნებლივ არ გაეკიდნენ, ახალგაზრდა მობრუნდა და ჟესტიკულაციით აჩვენა, რომ უკან გაჰყოლოდნენ. ამან მათ აფიქრებინათ, რომ რაღაც ხდებოდა და გაჰყვნენ. ოფიცერი დეკერი ახალგაზრდასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ოფიცერი ბოონსტრა და დეკერი მას ესაუბრა. ასევე, ოფიცერმა დეკერმა რადიოთი გადასცა ინფორმაცია ლიცენზირებული სანიშნე ნომრისა და, სავარაუდოდ, სკუტერის ფერის შესახებ, ასევე, პოლიციელების ზუსტ ადგილმდებარეობასა და იმ მიმართულებაზე, საითაც ახალგაზრდასთან ერთად მირბოდნენ. ოფიცერმა ბოონსტრამ ვერ გაიხსენა ოფიცერ დეკერის მიერ მძარცველის აღნერილობის გადაცემის ფაქტი.

154. მას შემდეგ, რაც სკუტერი მხედველობიდან დაკარგეს, მათ რადიოთი

გაიგეს ინფორმაცია, რომ ჰუიგენბოს შენობასთან სროლა მოხდა. ოფიცირები, ბორნსტრა და დეკერი, ჰუიგენბოსკენ გაიქცნენ, რათა ენახათ, საჭირო ხომ არ იყო მათი დახმარება. ვერ აცნობიერებდნენ რა, რომ ადამიანი, რომელმაც სკუტერი გაიტაცა, შეიარაღებული იყო, მათ სროლა ძარცვასთან ვერ დააკავშირეს.

155. მხოლოდ მაშინ, როცა მათ და სკუტერის მეპატრონები სროლის ადგილს მიაღწიეს და მეპატრონები თავისი სკუტერი ამოიცნო, დეტალურად გამოკითხეს ახალგაზრდას, თუ რა მოხდა. სწორედ მაშინ უთხრა მათ სკუტერის მეპატრონები, რომ იარაღის მუქარით დაათმობინეს თავისი სკუტერი. ოფიცერმა ბორნსტრამ მას უთხრა, რომ ეს ადრე უნდა ეთქვა ("Dat had je wel eens eerder mogen zeggen").

156. ოფიცერმა დეკერმა ოფიცერ ბორნსტრას მოვიანებით უთხრა, რომ მანაც არ იცოდა მძარცველის შეიარაღების შესახებ და აღმფოთებული იყო, რომ მათ ეს მანამდე არ უთხრეს. ორივე ოფიცერი მიიჩნევდა, რომ გაუმართლათ, მძარცველმა უკან დადევნებულებს რომ არ ესროლათ.

#### (i) ბატონი ჰოესენი

157. ბატონი ჰოესენი დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენ-ვურდემ, 1998 წლის 31 ივლისს დაკითხა. მას უთხრეს, დაეკონკრეტებინა, როდის ახესნა ცეცხლსასროლი იარაღი ოფიცერ დეკერთან.

158. ბატონმა ჰოესენმა განაცხადა, რომ მას სკუტერი წართვეს 1998 წლის 19 ივლისს, 21.00-22.00 საათამდე, კვაკოეს ფესტივალის ტერიტორიაზე. ფერადებანიანმა კაცმა იგი იარაღის მუქარით აიძულა, რომ სკუტერი მისთვის დაეთმო. მან სურათზე №10 (იხ. ქვემოთ სურათების აღნერილობა) ამოიცნო პისტოლეტი, რომლითაც დაემუქრნენ. მან შენიშნა, რომ პისტოლეტი გადატენილი იყო და გამზადებული სასროლად. ამან შეაშინა და სკუტერი ამიტომ დათმო.

159. ბატონმა ჰოესენმა იქვე პოლიციის ორი ოფიცერი დაინახა, მათთან მიირბინა და უკან გაყოლა სთხოვა. ისინი მაშინვე არ გაჰყოლიან, მაგრამ მეორედაც რომ სთხოვა, უკან გაჰყვნენ. სირბილისას მან პილიციელებს სკუტერის მოპარვის შესახებ უთხრა და სკუტერის სადაზღვევო დოკუმენტები და სკუტერისა და მძარცველის აღნერილობა გადასცა.

160. ბატონმა ჰოესენმა პოლიციის ოფიცერებს ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ სადაზღვევო დოკუმენტების გადაცემისას უთხრა.

161. როცა მან პოლიციის ოფიცერების ორმხრივი რადიოგადამცემით სროლის შესახებ შეიტყო, იმწამსვე დააკავშირა ეს ინციდენტი მისი სკუტერის გატაცებასთან. მაშინ მან უთხრა პილიციის ოფიცერებს, რომ მძარცველს პატარა, ვერცხლისფერი პისტოლეტი ჰქონდა.

#### (j) ბატონი ჩიტანი

162. ბატონი ვლადიმირ მოპამედ აბზელ ალი ჩიტანი, 1945 წელს დაბადებული სამოქალაქო მოსამახურე, დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენ-ვურდემ 1998 წლის 3 აგვისტოს დაკითხა.

163. 1998 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 22.00 საათზე, იგი პანტუმდრეეფ-ზე მანქანით მიდიოდა. გვერდითა სარკიდან მან დაინახა, რომ უკან პოლიციის საპატრულო მანქანა მიჰყვებოდა. უცებ, პოლიციის მანქანა გაჩერდა, პოლიციის ოფიცერი მანქანიდან გადმოხტა და ჰუიგენბოს შენობის გალავნის მიმართულე-

ბით გაიქცა. ბატონმა ჩიტანიმ ჩათვალა, რომ რაღაც ხდებოდა და გადაწყვიტა თვითონაც ენახა. მან მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და იმ მიმართულებით წავიდა, საითაც პოლიციელი გაიქცა. ქუჩის განათება ჩართული გახლდათ. ბინდი იყო. მისი შეფასებით, მანძილი მასა და ჰუიგენბოს შენობის გალავანს შორის ოცდახუთიდან ას მეტრამდე უნდა ყოფილიყო.

164. მან შავებში ჩაცმული 20 წლამდე ახალგაზრდა დაინახა, რომელიც გალავიდან გამოვარდა. გალავანში სკუტერი არ დაუნახავს. პოლიციელი ახალგაზრდის ნინ იდგა, დაახლოებით ექვსი მეტრის დაშორებით. პოლიციის ოფიცერს ახალგაზრდისკენ პისტოლეტი ჰქონდა მიშვერილი. ახალგაზრდას მარჯვენა ხელში რაღაც მუქი ფერის ნივთი ეჭირა, რომელიც ბატონმა ჩიტანიმ ვერ გაარჩია და პოლიციის ოფიცერისკენ იშვერდა. პოლიციის ოფიცერმა ახალგაზრდას ხელით რაღაც ანიშნა, სავარაუდოდ, უბრძანა, ხელიდან გაეგდო ეს საგანი, ამავდროულად კი ის ისევ მიზანში ჰყავდა ამოღებული მეორე ხელში დაჭერილი პისტოლეტით. მას რამე შეძახილი ან გაფრთხოლება არ გაუგონია, მანძილი მათ შორის საკმაოდ დიდი იყო. მან დაინახა, როგორ გააგდო ხელიდან ახალგაზრდამ ეს რაღაც საგანი.

165. სანამ პირველ პოლიციელს ახალგაზრდა მიზანში ჰყავდა ამოღებული, ბატონმა ჩიტანიმ დაინახა მეორე პოლიციელი, რომელიც მისი კოლეგისკენ გარბოდა იმ განზრახვით, რომ დახმარებოდა. მეორე პოლიციელმა სამსახურებრივი პისტოლეტი ამოიღო, ორივე ხელში მოიმარჯვა და ახალგაზრდას თავში დაუმიზნა. ბატონმა ჩიტანიმ მსწრაფლ სროლის ხმა გაიგონა. გასროლა იმის შემდეგ მოხდა, რაც ახალგაზრდამ საგანი ხელიდან გააგდო. მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. ახალგაზრდის მიერ საგნის დაგდებიდან ტყვიის გავარდნამდე წამზე ნაკლები იქნებოდა. ახალგაზრდა ქუჩის სანათისკენ გადაიხარა და ჩაიკეცა.

166. ამ მომენტში პანიკა ატყდა. მოვიდნენ პოლიციელები მანქანებით და მოტოციკლებით. სროლის შემდეგ ბატონ ჩიტანის მეტი ადამიანი შეუერთდა. პოლიციამ მათ ნასვლა უბრძანა. ბატონმა ჩიტანიმ და სხვებმაც ინციდენტის ადგილი დატოვეს. ბატონმა ჩიტანიმ პოლიციის ოფიცერს ჰეითხა, რატომ არ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა. პოლიციელმა უპასუხა: „ვნახავთ, ეს საჭირო იქნება თუ არა“.

167. ჰუიგენბოს შენობაში შევიდა თუ არა, ბატონმა ჩიტანიმ ინციდენტის ადგილს მეორე სართულიდან გადმოხედა და დაინახა, რომ მსხვერპლს თეთრი ზენარი ეფარა. მისი სხეულის გვერდით პისტოლეტი არ დაუნახავს. მან გვერდით მდგომთაგან გაიგონა, რომ ახალგაზრდამ მობილური ტელეფონი დააგდო, მაგრამ თვითონ ეს არ დაუნახავს.

168. ბატონ ჩიტანის ექვსი ან შეიძი წუთი დასჭირდა შენობის მეორე სართულზე ასასვლელად. მან დაინახა, როგორ აწყობდნენ პოლიციელები დანომრილ მარკერებს და სურათებს იღებდნენ. სავარაუდოდ, იქვე მდგომებს რომ არ დაენახათ, პოლიციის ოფიციელს ფართო ზენარი სხეულის ზემოთ ეკავათ და ზენრის ქვეშ სურათებს იღებდნენ. ბატონი ჩიტანის აზრით, ახალგაზრდა იმ დროისათვის ჯერ ისევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რადგან მას ხრიალის ხმა მოექმა, თითქოს ახალგაზრდას პირი სისხლით ჰქონდა საესე.

169. ბატონი ჩიტანის შეფასებით, სასწრაფო დახმარების მანქანას მოსასვლელად ნახევარი საათი ან უფრო მეტი დასჭირდა. მან დაინახა, ვილაც სამედიცინო აღჭურვილობით როგორ სინჯავდა მსხვერპლს სხვა პირთან ერთად, რომელიც საზოგადოებრივი პროკურორი აღმოჩნდა.

170. ბატონი ჩიტანის აზრით, ყოველგვარი საფრთხე გაქრა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდამ ხელიდან რაღაც საგანი გააგდო. ბატონი ჩიტანი მანამდელ სცენას არ შესწრებია.

#### (k) ოფიცერი ბრონსი

171. 1998 წლის 3 აგვისტოს დეტექტივი, უფროსი ზედამხედველი ვან დუიჯვენვურდე ოფიცერ ბრონსს ბატონი ჩიტანის ჩვენებით დაუპირისპირდა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მორავია რამსახამ რაღაც საგანი მანამდე გააგდო ხელიდან, სანამ საბედისწერო გასროლა მოხდებოდა. ოფიცერმა ბრონსმა ეს უარყო. მძარცველისგან შექმნილი საფრთხის გათვალისწინებით, ოფიცერი ბრონსს ყურადღება მთლიანად მის ხელებზე იყო გადატანილი. იარაღის ამოღებამდე, მძარცველს ხელში არაფერი ეკავა.

#### (l) ოფიცერი დეკერი

172. 1998 წლის 3 აგვისტოს დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ ოფიცერ დეკერს დამატებითი შეკითხვები დაუსვა, კერძოდ, კონკრეტულად როდის გახდა მისთვის ცნობილი, რომ სკუტერი იარაღის გამოყენებით გაიტაცეს.

173. ბატონმა ჰოესენმა ოფიცერ დეკერს უთხრა, რომ მძარცველმა სკუტერიდან გადმოათრია, თუმცა, არ უხსენებია, ეს ფაქტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით რომ მოხდა. შესაბამისად, ორივე - როგორც მან, ასევე ოფიცერმა ბორნსტრამ - ივარაუდეს, რომ მძარცველმა მხოლოდ ფიზიკური ძალა გამოიყენა.

174. ბატონმა ჰოესენმა ოფიცერ დეკერს სკუტერის სადაზღვევო საბუთები მაშინვე, საკუთარი ინიციატივით მისცა და, ამავდროულად, მძარცველი აღუნერა. ოფიცრები - დეკერი და ბორნსტრა - ბატონ ჰოესენთან ერთად, მძარცველს გამოედევნენ. თუმცა, მათ იგი მაღლევე დაკარგეს. მაშინ ოფიცერმა დეკერმა ორმხრივი რადიოთი გადასცა ინფორმაცია მძარცველის სავარაუდო მიმართულებისა და სკუტერის რეგისტრაციის ნომრის შესახებ.

175. სირბილის დროს ბატონ ჰოესენს არ უთქვამს, რომ მძარცველი შეიარაღებული იყო. თუმცა, მან შენიშნა, რომ ბატონი ჰოესენი შეშინებული იყო და შერბილებული ჰქონდა ხმის ტებრი. ამიტომ შესაძლებელია, ბატონ ჰოესენს ეხსენებინა ეს ფაქტი, მაგრამ სირბილში მისი სუსტი ხმა ვერ გაეგონა.

176. მხოლოდ მაშინ, როცა მიიღეს ინფორმაცია სროლის შესახებ, ოფიცერმა დეკერმა გაიგონა, როგორ თქვა ბატონმა ჰოესენმა: „მას ვერცხლისფერი პისტოლეტი ჰქონდა.“ მაშინ ისინი ჰუიგენბოს შენობისაკენ წავიდნენ. ოფიცერმა დეკერმა ბატონ ჰოესენს ჰკითხა: „რატომ აქამდე არ გვითხარი ამის შესახებ?“, მაგრამ ბატონ ჰოესენს ნათელი პასუხი არ გაუცია. იგი ძალიან აღელვებული ჩანდა.

177. მოგვიანებით ოფიცრებმა, დეკერმა და ბორნსტრამ, თავს იღებლიანები უწოდეს, მძარცველმა მათ რომ არ ესროლა. ოფიცერ დეკერს ადრეულ ეტაპზე რომ მიეღო ინფორმაცია სკუტერის გატაცებისას მძარცველის მიერ პისტოლეტის გამოყენებაზე, იგი ამას დაუყოვნებლივ გადასცემდა რადიოთი, ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებდა. ამას გარდა, ის და ოფიცერი ბორნსტრა მძარცველს ქვეითად არ გაეკიდებოდნენ. ფესტივალზე მათი საზედამხედველო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ისინი უიარაღოდ იყვნენ.

### (მ) ოფიცერი ბულტსტრა

178. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ ოფიცერ ბულტსტრას 1998 წლის 4 აგვისტოს ბატონი ჩიტანის ჩვენება დაუპირისპირა. ოფიცერი ბულტსტრა დათანხმდა, დამცველის დაუსწრებლად დაეკითხათ.

179. ოფიცერმა ბულტსტრამ უჩვეულოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ ბატონმა ჩიტანიმ ასეთ მოკლე დროში შეძლო მანქნის დაპარკინგება და უკან, იმ ადგილას დაბრუნება, საიდანაც, როგორც აცხადებდა, განვითარებული მოვლენების დანახვა მოახერხა. ოფიცერ ბულტსტრას თვითონ დასჭირდა ათ წამამდე, რომ ორმოცდათი მეტრი გაერბინა იმ ადგილიდან, სადაც პოლიციის მანქანა და-აპარკინგა, მორავია რამსაპაისა და ოფიცერ ბრონსამდე.

180. ირკვევა, რომ ბატონმა ჩიტანიმ გამოტოვა მორავია რამსაპაისთან შეტყვების სცენა. ეს მას თავის ჩვენებაში არ უხსენებია. ეს ნორმალური იყო იმ მანძილის გათვალისწინებით, რაც იყო ბატონი ჩიტანის მანქანასა და შემთხვევის ადგილს შორის.

181. სიმართლეს არ შეესაბამებოდა ფაქტი, რომ ოფიცერ ბრონს სამსახურებრივი იარაღი ერთ ხელში ეჭირა. მან იარაღი ორივე ხელში მოიმარჯვა და თავ-დაცვითი პოზა მიიღო. ოფიცერმა ბრონსმა რამდენიმე უსტს მიმართა, ოღონდ ეს მანამდე, სანამ მორავია რამსაპაი პისტოლეტს ამოიღებდა.

182. მორავია რამსაპაის ხელებში არაფერი ჰქონდა, სანამ პისტოლეტს ამოიღებდა. თუმცა, მას იარაღი ოფიცერი ბულტსტრასთვის არ დაუმიზნებია, ლულა მიწისკენ იყო მიმართული. იარაღი მას სულ ხელში ეჭირა. ნამდვილად არაფერი გადაუგდია ან გაუგდია ხელიდან. მან პისტოლეტი ხელიდან მხოლოდ მას შემდეგ გააგდო, რაც ოფიცერმა ბრონსმა ესროლა, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ეცემოდა.

183. ოფიცერ ბულტსტრას პოლიციის მანქანიდან გადმოსვლის წუთიდან მარცხენა ხელში ორმხრივი რადიოგადამცემი ეკავა მის დადებამდე. არ ახსოვს ეს როდის მოხდა, მაგრამ სამსახურებრივი იარაღის ამოღების მერე არ უნდა მომხდარიყო, რადგან იარაღის ამოღების შემდეგ თავდაცეითი პოზიციის მისაღებად, მისი ორივე ხელში დაჭრა სჭირდებოდა. მან ასევე ვერ გაიხსენა, უკვე დაგდებული ჰქონდა თუ არა რადიო მძარცველთან შეტყვებისას. თუმცა, მოგვიანებით მან იგი მიწაზე დაგდებული დაინახა, მორავია რამსაპაის გულმკერდის აღნეზე, მისგან დაახლოებით სამოცი სანტიმეტრის მანძილზე. მან რადიო იქვე დატოვა.

184. სასწრაფო სამედიცინო დახმარებას დაუყოვნებლივ დაურეკეს, თან არა ერთხელ, არამედ ორჯერ. ოფიცერ ბულტსტრას მათი მოსვლა არ უნახავს. იმ დროისათვის ის და ოფიცერი ბრონსი უკვე პოლიციის განყოფილებაში იყვნენ გადაყვანილი, მას შემდეგ, რაც ხუთი-შვიდი წუთი ინციდენტის ადგილას გაატარეს.

185. ოფიცერ ბულტსტრას მომაკვდავი მორავია რამსაპაის ხრიალი ესმოდა. ეს ხმა მანამდე შეწყდა, სანამ ის და ოფიცერი ბრონსი განყოფილებაში წავიდოდნენ. ოფიცერი ბულტსტრა ფიქრობდა, რომ მორავია რამსაპაის ფილტვები სისხლით ევსებოდა, თუმცა, მას ამის შეჩერება არ შეეძლო.

### (ნ) ბატონი ვან დენ ჰეუველი

186. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ გადაწყვიტა, კვლავ დაეკითხა ბატონი პეტრუს ვან დენ ჰეუველი, ბატონი ჩიტანის ჩვენებების გათვალისწინებით.

187. ბატონმა ვან დენ ჰეუველმა გაიმეორა, რომ ის ფოკუსირებული იყო ფერადკანიან კაცზე, იარაღით ხელში. მან ნათლად დაინახა, რომ ფერადკანიან კაცს მარჯვენა ხელში იარაღი ეჭირა, რომელიც მიმართული იყო ლულით მიწისაკენ. ფერადკანიან კაცს მეორე ხელი ცარიელი ჰქონდა.

188. ბატონი ვან დენ ჰეუველი თვითონ სროლის ფაქტს არ შესწორებია, იგი ტროტუარის კედელს ამოეფარა. მან სროლისთანავე გადაიხედა, რათა ენახა, რა მოხდა, ანუ ეს მოხდა ნაკად ნაკლებ დროში. მას არ დაუნახავს ფერადკანიანი კაცის პისტოლეტის მიწაზე დავარდნის ფაქტი. როცა ბატონმა ვან დენ ჰეუველმა გადაიხედა, პისტოლეტი უკვე მიწაზე ეგდო, ფერადკანიანი კაცის გვერდით, როგორც ეს ნაჩვენები იყო ინციდენტის ადგილს გადაღებულ ფოტოზე. პისტოლეტი კი, რომელიც მეორე ფოტოზე იყო აღმოჩენილი, ძალიან ჰგავდა იარაღს, რომელიც ბატონმა ვან დენ ჰეუველმა ფერადკანიანი კაცის ხელში დაინახა.

189. დანარჩენ შეკითხვებზე ბატონმა ვან დენ ჰეუველმა მანამდე მიცემული ჩვენება გაიმეორა.

### (o) ოფიცერი ვან დონგენი

190. პოლიციის ოფიცერი ბრუინ ჯან ვან დონგენი დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ 1998 წლის 4 აგვისტოს დაკითხა. იგი ჰანტუმდრევეფში პოლიციის მანქანას მართავდა, რომელშიც პოლიციის ძალი ესვა. ოფიცერმა ვან დონგენმა გაიგონა, რომ კვაკრეს ფესტივალზე სკუტერი გაიტაცეს, ასევე გაიგონა მძარცველისა და სკუტერის აღწერილობები. მან მძარცველის ძებნა დაიწყო. არ გადმოკემულა ინფორმაცია, რომ ძარცვა იარაღის მუქარით მოხდა.

191. ოფიცერ ვან დონგენს პოლიციის მეორე მანქანამ გადაასწრო. მან საჭეს-თან მჯდომი ოფიცერი ბრონსი იცნო. მან დაინახა, როგორ გაჩერდა პოლიციის მანქანა და მეორე პოლიციელი მანქანიდან გადმოხტა.

192. მან დაპარკინგა მანქანა და გადმოვიდა. როცა ამას აკეთებდა, დაინახა, როგორ გადმოვიდა მანქანიდან ოფიცერი ბრონსი. სანამ ოფიცერმა ბრონსმა მანქანის უკანა კარი გააღო და იქიდან პოლიციის ძალი გადმოჰყავდა, ჰუიგენ-ბოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან სროლის ხმა შემოესმა. ძალი სროლის ხმაზე გაბრაზდა. საჭირო იყო ძალის განსაკუთრებული მანერით დამშვიდება, რადგან ასეთ აგზებულ მდგომარეობაში შეიძლებოდა ხალხს თავს დასხმოდა.

193. იგი ოფიცერ ბრონს შეხვდა და ჰკითხა, თუ რა მოხდა. ოფიცერმა ბრონსმა უპასუხა, რომ პისტოლეტი პოლიციელის მისამართით იყო დამიზნებული და პოლიციელმა გაისროლა, მაგრამ არ დაუსახელებია, ვინ გაისროლა.

194. ოფიცერმა ვან დონგენმა გზა განაგრძო მიწაზე მწოლიარე მსხვერპლი-საკენ და, ძალის გაუთვალისწინებელი რეაქციის გამო, მისგან ორი მეტრის მოშორებით გაჩერდა. მსხვერპლი ურეაქციოდ იწვა, მხოლოდ რამდენჯერმე გააღო და დახურა პირი. ოფიცერ ვან დონგენს ხრიალის ხმა არ გაუგონია.

195. როცა შემთხვევის ადგილს ოფიცერი დონგენი მივიდა, იქ მხოლოდ პოლიციის ორი ოფიცერი და მსხვერპლი იყვნენ. მას ახლომახლო სხვა არავინ დაუნახავს. ძალი რეაგირებას მოახდენდა, იქ ვინმე სხვაც რომ ყოფილიყო.

### (p) ქალბატონი ჰუპი

196. ქალბატონი ლამბერტინა ჰუპენა ჰუპი დეტექტივმა, უფროსმა ზედამხე-

დეკემბერი ვან დუიჯვენურდემ 1998 წლის 5 აგვისტოს დაკითხა. იგი სასწრაფო დახმარების მანქანას მართავდა, რომელიც მორავია რამსაჲაის დასახმარებლად გაიგზავნა მას შემდეგ, რაც ესროლება.

197. დაახლოებით 22.00 საათზე სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა მიიღო ინსტრუქცია, რომ ჰუიგენბოს შემობისაკენ წასულიყვნენ, რადგან იქ ვიღაც დაიჭრა. სასწრაფო დახმარების მანქანა 22:04 საათზე გავიდა და შემთხვევის ადგილას 22:14 საათზე მივიღა, დაშვებული დროის ინტერგალში, რაც განისაზღვრება 15 წუთით.

198. ქალბატონმა ჰუპმა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის სხვა წევრმა, ბატონმა ვან ანდელმა, მანქანიდან საკაცე გადმოიღეს, რომელიც პოლიციის ოფიცირებს გადასცეს. ქალბატონმა ჰუპმა და ბატონმა ვან ანდელმა შემდეგ მათი აღჭურვილობა გადმოიღეს და მსხვერპლისაკენ გაიქცნენ. მსხვერპლის გვერდით პატარა, ვერცხლისფერი პისტოლეტი ეგდო. ქალბატონი ჰუპი და ბატონი ვან ანდელი ცდილობდნენ, ამ პისტოლეტს არ შეხებოდნენ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას.

199. ქალბატონ ჰუპს არ გაუგონია მსხვერპლის მომაკვდავი ხრიალი ან მის-გან გამოცემული რაიმე სხვა ხმა. იგი ეხმარებოდა ბატონ ვან ანდელს, რომელიც პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა მსხვერპლს. მათ იგი გულის მონიტორზე შეაერთეს. ბატონმა ვან ანდელმა თვალის გუგის რეფლექსები შეამონმა თითოეულ თვალში სინათლის სხივის შენათებით, მაგრამ არანაირი რეაქცია არ მიუღა. მან დააფიქსირა, რომ ჰულსი და სუნთქვა არ ისინჯებოდა. შესაბამისად, ბატონი ვან ანდელის ინფორმაციით, გაკეთდა დასკვნა, რომ მსხვერპლი შემთხვევის ადგილას დაიღუპა.

200. ქალბატონმა ჰუპმა და ბატონმა ვან ანდელმა ნახეს ნატყვიარი ჭრილობა კისრის მარჯვენა მხარეს, საიდანაც ტყვიამ სხეულში შეაღწია. მათ გამავალი ნაჭრილობევი არ უნახავთ.

201. ქალბატონმა ჰუპმა და ბატონმა ვან ანდელმა სხეულს თეთრი ზენარი გადაფარეს. მათ რაღაც ხანი პოლიციის ოფიცირებთან დაჰყვეს. სხეული არ გაუნძრევიათ, იგი მოგვიანებით სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით გადასვენება.

#### (q) ბატონი ვან ანდელი

202. ბატონი ლენდერტ ვან ანდელი, სასწრაფოს ექიმი, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მეორე წევრი იყო, ქალბატონ ჰუპთან ერთად. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენურდემ იგი 1998 წლის 5 აგვისტოს დაკითხა.

203. დაახლოებით 22:00 საათზე მათ მიიღეს მითითება, რომ ჰუიგენბოს შენობისაკენ წასულიყვნენ, სადაც ვიღაც დაიჭრა. მათ გადაეცათ მარშრუტი, რომელსაც უნდა მიჰყოლოდნენ. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი გავიდა სალამოს 22:04 საათზე, ლურჯი მანათობელი და სირენა მთელი გზის განმავლობაში ჩართული ჰქონდა მანქანას. შემთხვევის ადგილას სასწრაფო დახმარების მანქანა 22:14 საათზე მივიდა.

204. მან და ქალბატონმა ჰუპმა სასწრაფოდ მიირბინეს დაზარალებულთან. პოლიციის ოფიცირებს მიჰქონდათ საკაცე, მათ კი სხვა სამედიცინო აღჭურვილობა.

205. პოლიციის ოფიცერმა მას უთხრა, რომ ახალგაზრდას ტყვია მოხვდა. მან დაინახა შემავალი ჭრილობა კისრის არეში, მაგრამ გამომავალი არ უნახავს. დაზარალებულთან ახლოს პატარა პისტოლეტი ეგდო. ბატონ ვან ანდელს იქვე მიწაზე დაგდებული ორმხრივი რადიო არ შეუნიშნავს.

206. დაზარალებულს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. იგი არც ხორცინებდა. ბატონმა ვან ანდელმა სასიცოცხლო ფუნქციები შეამონმა და დააფიქსირა გულის გაჩერება (შეამონმა გულის მონიტორის საშუალებით) და გუგების რეაქციის არარსებობა. ამას ემატებოდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობაც, რამაც ბატონ ვან ანდელს გააკეთებინა დასკვნა, რომ ახალგაზრდა გარდაცვლილი იყო. მან იქ მყოფ პილიციელებს მოკლედ აუხსნა ვითარება და აცნობა, რომ მეტი ალარაფრის გაკეთება იყო შესაძლებელი. შემდეგ კი მან და ქალბატონმა ჰუპმა სხეულს ზენარი გადააფარეს.

207. ამის შემდეგ ბატონი ვან ანდელი და ქალბატონი ჰუპი სასწრაფოს მანქანაში დაპრუნდნენ და მორიგ გამოძახებაზე წასასვლელად მზადყოფნა განაცხადეს, ეს იყო 22:35 საათი. ახალგაზრდის სხეული მოგვიანებით გადაასვენეს.

#### (r) ბატონი ჰელი

208. ბატონი ჯონ ჰელი, რომელიც დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ 1998 წლის 7 აგვისტოს დაკითხა, პოლიციის სამედიცინო ექსპერტ-გამომძიებელი (technisch rechercheur) იყო. ის 1998 წლის 19 ივნისის საღამოს გამოიძახეს. მან მიიღო მითითება, წასულიყო ჰუიგენბოს შენობისკენ, სადაც მოხდა სროლა. ის ინციდენტის ადგილას სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის წასვლის შემდეგ მივიდა. მისვლისას მან მსხვერპლზე გადაფარებული თეთრი ზენარი და იქვე, მინაზე დაგდებული პისტოლეტი დაინახა.

209. ბატონმა ჰელმა და მისმა კოლეგამ, ბატონმა პოპინგმა, ნივთმტკიცებები მოიძიეს და ნომრიანი მარკერებით დანიშნეს, სანამ ფოტოებს გადაუდებდნენ. მან ასევე შეისწავლა მსხვერპლის სხეული, განსაკუთრებით კი მის ხელებზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალი (schotrestbemonstering). ამისთვის საჭირო გახდა სხეულზე გადაფარებული ზენრის ანევა.

#### (s) ქალბატონი ჯალინები

210. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ ქალბატონი ჰელენ მილიან ჯალინები - მორავია რამსაპაის ბების და - 1998 წლის 11 აგვისტოს დაკითხა.

211. 1998 წლის 20 ივნისს, ორშაბათს, მორავია რამსაპაის დეიდამ მას უთხრა, რომ მორავიამ სკუტერი მოიპარა და ამის გამო პოლიციელმა იგი სასიკვდილოდ დაჭრა. იმ საღამოს, 18.00-19.00 საათამდე, მან და გარდაცვლილის სხვა ნათესავებმა ინციდენტის ადგილას ლოცვა დაიწყეს.

212. ამ ლოცვისას მასთან ორი ადამიანი მივიდა, რომლებიც, სავარაუდოდ, ინციდენტს შეესწრნენ. მათ ქალბატონ ჯალინეს უთხრეს, რომ მანქანით ჩავლისას პარკირებული პოლიციის მანქანა დაინახეს, ლიად მიტოვებული კარებით, ერთი პოლიციელი ჰუიგენბოს შენობასთან იდგა, მეორე კი იმავე მიმართულებით მირბოდა. მათ დაინახეს ახალგაზრდა, რომელიც, სავარაუდოდ, გალავნიდან გამოიდა და ხელებანეული მოდიოდა. ქალბატონ ჯალინეს არ უთხრეს, რამდენად მაღლა ჰქონდა მორავიას ხელები ანეული, თუმცა უთხრეს, რომ ანეული ჰქონდა. მათ ქალბატონი ჯალინებისთვის არ უამბიათ რამე დაპირისპირების შესახებ ახალგაზრდასა და პოლიციის ოფიცერს შორის. მათ არ უთქვამთ, რომ პირველ პოლიციელს ახალგაზრდა იარაღით მიზანში ჰყავდა ამოლებული. მეორე პოლი-

ციელმა, რომელიც მირბოდა, ახალგაზრდას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მათ ახალგაზრდის ხელში რაიმე ცეცხლსასროლი იარაღი არ დაუნახავთ, ისინი ამაში სრულიად დარწმუნებული იყვნენ. მათ დაინახეს, როგორ მოხვდა ახალგაზრდას ტყვია და ჩაიკეცა; ასევე, როგორ გადააფარეს ახალგაზრდის სხეულს ზენარი.

213. რამდენიმე იქ მყოფმა ადამიანმა ახსენა, ასევე, მობილური ტელეფონი, რომელზეც პოლიცია იძახდა, რომ პისტოლეტი იყო.

214. ორი ადამიანი, რომელიც აცხადებდნენ, რომ სროლის ფაქტს შეესწრენენ, მერყევად რეაგირებდნენ შეკითხვაზე, მზად იყვნენ თუ არა, პოლიციელებისთვის ჩვენებები მიეცათ. უფრო მეტად მათ სურდათ, ადვოკატს გასაუბრებოდნენ. ამ მიზნით, შეხვედრა დაინიშნა ბატონ ჰამერთან, განმცხადებლების წარმომადგენელთან სასამართლოში ამჟამად განხილვის პროცესში არსებულ საქმეზე, თუმცა, ეს მონმებები შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. ქალბატონ ჯალინკს უთხრეს, რომ ისინი გერმანიაში წავიდნენ.

215. ეს ორი ადამიანი ბოშები იყვნენ, რომელიც ძალიან ცუდად საუბრობდნენ პოლანდიურად და ინგლისურად. ქალბატონ ჯალინკს არ ესმოდა, რატომ არ თანამშრომლობდნენ ისინი მათთან ბოლომდე.

#### (t) ბატონი ჩიტანი

216. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ ბატონი ჩიტანი ხელმეორედ დაკითხა 1998 წლის 17 აგვისტოს.

217. ბატონმა ჩიტანიმ გაიმეორა, რომ იგი არ შესწრებია რაიმე დაპირისპირებას მსხვერპლსა და პირველ პოლიციელს შორის.

218. დეტექტივის კითხვაზე, დაინახა თუ არა პოლიციელი ძალლთან ერთად, მან უპასუხა, რომ არაფრისთვის მიუჟცევია ყურადღება, გარდა იმისა, რაც ხდებოდა ძირს მწოლიარე მსხვერპლის გარშემო. შესაბამისად, მან დაინახა პოლიციელები ძალლებით, თუმცა, არ ახსოვდა რამდენი. იქ ასევე იყვნენ სამოქალაქო პირებიც ძალლებით. მასთან ახლოს არც ერთ პოლიციელს ძალლთან ერთად არ ჩაუვლია, ის ჩუმად იდგა და შორიდან აკვირდებოდა მოვლენებს.

219. ბატონ ჩიტანის ახსოვდა, როგორ უთხრა პოლიციის ოფიცერმა, რომ „ისინი“ - იგულისხმებოდნენ პოლიციელები - გადაწყვეტდნენ, როდის მოვიდოდა სასწრაფო დახმარების მანქანა; მართალია, მსხვერპლს ლაპარაკი აღარ შეეძლო, მაგრამ „მათ“ შეეძლოთ; და რომ კიდევ იყვნენ სხვა დაჭრილებიც, რომლებიც გაიქცნენ.

220. ბატონმა ჩიტანიმ დაინახა ბოშები. მას უთხრეს, რომ ბოშებმა ყველაფერი დაინახეს. თუმცა, ისინი არ ითანამშრომლებდნენ, რადგან კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ.

#### (u) განმცხადებლები

221. 1998 წლის 7 აგვისტოს დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ განმცხადებლები დაკითხა. მათ დეტექტივს უთხრეს, რომ არ იცოდნენ, მორავია რამსაპაის პისტოლეტი თუ ჰქონდა და ამას ვერც წარმოიდგენდნენ. თუმცა, მორავია რამსაპაი ჰქონდა მობილური ტელეფონი, რომელიც ვერსად იპოვეს. მესამე განმცხადებელმა დეტექტივს, უფროს ზედამხედველ ვან დუიჯვენვურდეს უთხრა, რომ მან მოუსმინა ორ ბოშას, რომლებიც სროლას შეესწრენ, თუმცა, მათ ინფორმაციის მიწოდების სურვილი არ ჰქონდათ, რად-

გან ჰოლანდიაში არალეგალურად იმყოფებოდნენ

#### 4. აუტოფსია და ტოქსიკოლოგიური შემოწმება

222. 1998 წლის 22 ივლისს რიჯსვიჯკში სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორიის პათანატომმა (Laboratorium voor Gerechtelijke Pathologie) მორავია რამსაპაის სხეულზე აუტოფსია ჩატარა. პათანატომმა შეადგინა დეტალური ანგარიში, რომლის თანახმად, მორავია რამსაპაის მოხვდა ერთი ტყვია კისრის არეში. ტყვიამ გაგლიჯა სისხლის მთავარი არტერიები და ორგანოები: ბრახიოცეფალური (უსახელო) არტერია, ვენა და მარჯვენა ფილტვი. ამ დაზიანებებმა გამოიწვია მორავია რამსაპაის სიკვდილი.

223. ტოქსიკოლოგიური შემოწმების დასკვნით (დათარილებულია 1998 წლის 23 დეკემბრით), მორავია რამსაპაის სხეულიდან აღებულ სისხლის ნიმუშში ალკოჰოლის შემცველობა იყო 0.85 მგ. ლიტრზე, შარდის ნიმუშში - 1.51 მგ. ლიტრზე, მარცხენა თვალის მინისებურ სხეულში - 1.53 მგ. ლიტრზე, მარჯვენა თვალისაში კი - 1.55 მგ ლიტრზე. თვალდაპირველად ეჭვი ჰქონდათ, რომ შარდის ნიმუში შეიცავდა ამფეტამინებს, მაგრამ შემდგომი ანალიზით ეს არ დადასტურდა. შარდის ნიმუშში ასევე ნაპოვნი იქნა პსილოცინი (გარკვეულ ჰალუცინოგენურ სოკოებში ნაპოვნი ალკალიოდური კომპონენტი - *Psilocybe*-ის ოჯახი - ცნობილი „მაგიური სოკოების“ სახელით). პსილოცინის კონცენტრაცია სისხლში იმდენად დაბალი იყო, რომ არ აღმოჩნდა.

224. საგამოძიებო დოკუმენტაციაში ჩართულ აუტოფსიის დასკვნას ნახატი ან ფოტომასალა არ დართვია.

#### 5. სხვა საგამოძიებო ღონისძიებები

225. 1998 წლის 29 ივლისს დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიკენვურდემ დარეკა ჰოლანდიის სამეფო მეტეოროლოგიურ ინსტიტუტში, რათა გაეგო, როგორი ამინდი იყო 19 ივლისის საღამოს. მას შემდეგი ინფორმაცია მისცეს:

„თბილი დღე და საღამო; ოდნავი მოლრუბლულობა

21:45: მზის ჩასვლა

22:00: ბინდი

22:30: სიბნელე“

226. 1998 წლის 30 ივლისს დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიკენვურდემ დაკითხა 12 წლის გოგონა, მის სანგეეტა ედვინა პამელა მუნგრა. მან დაადასტურა, რაც თქვა 19 ივლისის ღამეს მობილური სპეციალური ოპერატორი განყოფილების წევრებთან. ასევე, დაამატა, რომ გარეთ გამოვიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სროლის ხმა შემოესმა. მორავია რამსაპაი უკვე ძირს იწვა. მას პოლიციის ოფიცირები სათანადოდ არ დაუნახავს. ის უკან დაბრუნდა, მეშვიდე სართულიდან გადმოიხდა და შემდეგ სახლში შევიდა.

227. დეტექტივი, უფროსი ზედამხედველი ვან დუიკენვურდე ინციდენტის ადგილას დაბრუნდა ქალბატონ რიჯსელსა და მის ლიეველდთან ერთად, ასევე, ბატონ ჩიტანისა და მის მეუღლესთან ერთად, მათი ჩვენებების მიღების შემდეგ. მათ დეტექტივს აჩვენეს, სად იდგნენ, და დეტექტივმა იმ ადგილებიდან, სადაც მოწმები იდგნენ, გადაზიმა მანძილი ქუჩის განათების ბორამდე, მორავია რამსაპაის რომ იწვა. ქალბატონი რიჯსელისა და მის ლიეველდის შემთხვევაში, მანძილი

დაახლოებით 57 მეტრი იყო, ხოლო დატონი და ქაბლატონი ჩიტანებისა კი - 58.

228. დეტექტივი, უფროსი ზედამხედველი ვან დუიჯვენვურდე შემთხვევის ადგილას ასევე დაპრუნდა ოფიცერ ბულტსტრასთან ერთად, რომელმაც აჩვენა, მისი აზრით, სად დაპარკინგა მანქანა იფიცერმა ბრონსმა. ეს ადგილი, დაახლოებით, 48 მეტრით იყო დაშორებული ქუჩის განათების ბოძიდან. მან ოფიცერ ბულტსტრას სთხოვა, ამ ადგილიდან გაქცეულიყო და დრო წამზომით დაინიშნა. მას ამ მანძილის გასარბენად 9.4 წამი დასჭირდა. დეტექტივმა, უფროსმა ზედამხედველმა ვან დუიჯვენვურდემ თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ მანძილი ადგილიდან, სადაც მანქანის დაპარკინგება მოხდა, ასევე გაიზომა სროლის დამეს და 56 მეტრად ჩაითვალა.

## 6. პოლიციის სხვა ოქმები

229. უფროსმა დეტექტივმა, ჯეორგ კორნელის პიტერ შულცმა, პოლიციის ოფიცერმა, რომელიც ფლიერბოსდრეფის პოლიციის განყოფილებაში მსახურობდა, ინციდენტის ადგილიდან მსხვერპლის გვამი ოფიციალურად აიყვანა 22:02 საათზე და, მსხვერპლის ტანსაცმელში ნაპოვნ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე დაყრდნობით, სხეული პირობითად მორავია რამსაპაის მიაკუთვნა. შემდგომი ოფიციალური ოქმების, მათ შორის, უფროსი დეტექტივი შულცის მიერ შედგენილი ოქმების თანახმად, 1998 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 14:15 საათზე, გვამი აჩვენეს ქაბლატონ რუთ ჰელენ ვერსატეეგ-ტევარის, მორავია რამსაპაის დედას, და ბატონ კარლიტო მარციანო ფარონკ ალიპუსაინს, მორავიას ბიძაშვილს. ორივე მათგანმა ამოიცნო მორავია რამსაპაის სხეული.

230. სამედიცინო ექსპერტ-გამომძიებლების (technisch rechercheurs), ჯონ პელისა და ჯან პოპინგის მიერ შედგენილ ანგარიშში აღნერილია სროლის ადგილას მტკიცებულებებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით გატარებული ლონისძიებები. მასში აღნერილია გვამის მდებარეობა. გვამის გვერდით ოფიცირებმა პელმა და პოპინგმა იპოვეს ბერეტა 950 B პისტოლეტი, 6.35 მმ-იანი კალიბრის, გადატენილი. მათ ასევე აღმოჩინეს გამოყენებული ტყვიის მასრა. გალავანში იპოვეს სკუტერი. გალავნის გვერდით კიბის უჯრედი იყო, გარედან მაღალი ფანჯრებით დახურული. ერთ-ერთ ამ ფანჯარაში ტყვიის ნახვრეტი იპოვეს, ამ ნახვრეტის ქვეშ, მიწაზე კი - ტყვია. კიბის უჯრედში რიკოშეტის ნიშნები არ უპოვნიათ. შეუძლებელი იყო ტყვიის ზუსტი ტრაექტორის დადგენა. ოქმს დაერთო ოცდაცხრა ფოტოსურათი, რომელთა შავ-თეთრი ასლებიც ჩართულია სასამართლოს დოკუმენტაციაში.

231. ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ზედამხედველმა, რონალდ გროენ-ვეგენმა, 1998 წლის 4 აგვისტოს შედგენილ ოქმში აღნერა მოვლენები, რომელთა მოწმე თვითონ იყო. 1998 წლის 19 ივლისს, საღამოს, ზედამხედველი უნიფორმით ქუჩაში იყო, კვაკოეს ფესტივალის საზედამხედველოდ გაგზავნილ პოლიციის ჯაუფს ხელმძღვანელობდა. 21:55 საათზე მან ორმხრივი რადიოგადამცემის საშუალებით გაიგო, რომ ორი ოფიცერი მძარცველს მისდევდა, რომელმაც სკუტერი გაიტაცა. სხვა ჩართვებით მან დაასკვნა, რომ მძარცველს სხვა ოფიცერებიც დაედევნენ, ოფიცერების ბულტსტრასა და ბრონსის ჩათვლით, რომლებიც პოლიციის მანქანით მოძრაობდნენ. დაახლოებით 22:00 საათზე ზედამხედველმა გროენ-ვეგენმა გაიგონა, რომ ოფიცერი, ბულტსტრა და ბრონსი, მძარცველს ჟუგიენბოს შენობის მიმართულებით უკან მიჰყვებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მან

გაიგონა გასროლა, და რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გახდა საჭირო. ზედამხედველი გროენევეგენი დაუყოვნებლივ გაეშურა ჰუიგენბოს შენობისაკენ. მისვლისას მან ნახა მიწაზე დავარდნილი მამაკაცი, რომელიც კისერში იყო დაჭრილი. მიწაზე, მამაკაცის ფეხებიდან ერთ მეტრში, დაინახა დაგდებული ვერცხლისფერი პისტოლეტი. მან ასევე შენიშნა ძირს დაგდებული პოლიციის ორმხრივი რადიომიმდები, სხეულიდან ერთი მეტრის დაშორებით, თეძოს გასწვრივ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, დახლოებით, 22:20 საათზე მოვიდა, ეკიპაჟი მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა საკაცით ხელში. ცოტა ხნის შემდეგ ზედამხედველ გროენევეგენს ვიღაცამ ხელში რადიომიმდები შეაჩერა და უთხრა, რომ ის ოფიცერ ბულტსტრას ეკუთვნოდა. ზედამხედველი გროენევეგენი მიხვდა, რომ ეს იყო რადიო, რომელიც მან მიწაზე დაგდებული ნახა.

232. საქმის მასალებში ჩართულია ოქმი - 1998 წლის 19 ივლისის დამეს პოლიციის ორმხრივი რადიოგადამცემებით საუბრების ჩანაწერთა ამონების შესახებ - და ამ ჩანაწერების სკრიპტები. სკრიპტების თანახმად, ოფიცერმა დეკერმა გადასცა ინფორმაცია სკუტერის გატაცების შესახებ და, ამავდროულად, აღნერა სკუტერი და მისი გამტაცებელი პირი. შესულ ინფორმაციაზე უპასუხეს უცნობმა პოლიციელმა მოტოციკლიდან და ოფიცერმა ბულტსტრამ. ოფიცერმა ბულტსტრამ ორმხრივი რადიომიმდებით განაცხადა, რომ მან შენიშნა მიღებული აღნერილობის შესაბამისი სკუტერი. დადგინდა, რომ პოლიციის აფიცერი, რომელმაც გაისროლა და მოითხოვა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ოფიცერი ბრონსი იყო.

233. სხვა ოფიციალურ იქმში აღნიშნულია, რომ ლეიიდსეპლეინზე ბურგერ კინგის რესტორანის შიდა სამეთვალყურე სისტემის ვიდეოჩანაზერები სროლა-მდე ცოტა ხნით ადრე მორავია რამსაპაის არასათანადო ქცევას ადასტურებს.

234. პოლიციელების მიერ შედგენილ შემდეგ ოქმში მორავია რამსაპაის სხეულზე ნაპოვნი ნივთებია აღნერილი - ტანსაცმელი, სამკაულები, ის, რაც ჯიბეებში ედო - და საუბარია ახლო ნათესავებისთვის მათი დაბრუნების შესახებ. ოქმში ასევე აღნიშნულია მოპარული სკუტერის ვინოდეუმარ ჰოესენისთვის დაბრუნებასა და საქმისთვის დროებითი სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებაზე.

235. საქმის მასალებში ჩართულია ოფიცერ ბრონსის მიერ 1998 წლის 19 ივლისამდე გავლილი იარაღით სარეგისტრობის ტრენინგების შედეგები. შედეგების მიხედვით, ოფიცერმა ბრონსმა ამ პერიოდში გაისროლა 390-ჯერ და საშუალოდ მიზანში მოარტყა 88.80%. მან პრაქტიკის გასაახლებელი ტრენინგი გაიარა 1998 წლის 10 ივლისს.

236. საქმეში არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნულ დროს ოფიცერების, ბულტსტრასა და ბრონსის მიერ სამსახურებრივი იარაღების შემოწმების შესახებ. ასევე არ არის ინფორმაცია შემთხვევის ადგილას ნაპოვნ ტყვიასა ან მასრაზე.

## B. განმცხადებლების მიერ დაწყებული სამართალწარმოება

237. 1998 წლის 11 სექტემბერს საზოგადოებრივმა პროკურორმა მორავია რამსაპაის მშობლებს მისწერა, რომ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, პოლიციელის მიერ სროლა თავდაცვის აქტად შეფასდა და, შესაბამისად, გადაწყდა, რომ ოფიცერ ბრონსის ნინაალმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღმრულიყო. 1998 წლის 23 სექტემბერს პატონმა პამერმა საზოგადოებრივ პროკურორს წერილით გააცნო მესამე განმცხადებლის განზრახვა - ეხილა სასამართლოს გადაწყვეტილება ოფიცერი ბრონსის ნინაალმდეგ.

238. განმცხადებლებს უფლება მიეცათ, საგამოძიებო დოკუმენტაციას გასცნობოდნენ. 1998 წლის 2 ოქტომბერს მათ სარჩელით ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს (*gerechtshof*) მიმართეს, რომელშიც ასაჩივრებდნენ შესაბამისი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობას (სისხლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი (*Wetboek van Strafvordering*), იხ. ქვემო). განაცხადს ხელი მოაწერეს ბატონმა ჰამერმა, როგორც განმცხადებლების წარმოადგენილმა, და თითოეულმა განმცხადებელმა. მათი განცხადებით, არსებული ინფორმაციით არ ირკვეოდა, რომ ოფიცერ ბრონსის მიერ მორავია რამსაპაისთვის სროლის ფაქტი საკმარისად იყო დასაბუთებული. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სროლის შემდეგ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალებმა - ანუ ოფიცერ ბრონსის პირდაპირმა კოლეგებმა - განახორციელეს, რაც იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ჩატარებული გამოძიება არ იყო „ეფექტუანი“ და „დამოუკიდებელი“. განმცხადებლები ასევე ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ ოფიცერები, ბრონსი და ბულტსტრა, შემთხვევიდან რამდენიმე დღის განმავლობაში არ დაკითხულან; ასაჩივრებდნენ, რომ პოლიციის სხვა ოფიცრები, რომლებიც სროლის შემდეგ შემთხვევის ადგილას მივიდნენ, ოფიცერების, ბრონსისა და ბულტსტრას, ჩვენებათა შესახებ არ დაკითხულან; არ დადგენილა ტყვიის ზუსტი ტრაექტორია (განმცხადებელთა მტკიცებით, ეს შესაძლებელი იყო); ოფიცრების, ბრონსისა და ბულტსტრასაგან, არ აუღიათ იარაღებთან შეხების ადგილთა ანაბეჭდები. განმცხადებლებმა გაასაჩივრეს ის ფაქტიც, რომ ინციდენტის ინსცენირება არ მომხდარა, ასევე, აუტოფსიის შესახებ დასკვნაზე არ დართულა ტყვიით მიყენებულ შემავალ და გამომავალ ჭრილობათა ამსახველი ნახატები ან ფოტოები. განმცხადებლებმა მოიხმეს პოლიციის კომისრის, ვან რეისენის განცხადება - რა ფორმითაც იგი გაზირდება და გამოქვეყნდა - რომ ის არ დაუშვებდა დამოუკიდებელი მოკვლევის ჯგუფის შექმნას. გამოძიებასა და საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებოდა ამსტერდამის მთავარ საზოგადოებრივ პროკურორს (*hoofdofficier van justitie*).

239. 1999 წლის 8 იანვარს ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს მოქმედმა გენერალურმა პროკურორმა (*plaatsvervarend procureur-generaal*) განმცხადებლების საჩივარზე წარმოადგინა შესაგებელი ოფიცერ ბრონსის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობასთან დაკავშირებით. იგი მიიჩინევდა, რომ მტკიცებულებებიდან საკმარისად ნათლად ირკვეოდა, ოფიცერი ბრონსი თავს იცავდა, და დარჩენებული იყო საზოგადოებრივი პროკურორის, დე ვრიესის - რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქმის აღუძვრელობაზე - მიუკრძოებლობაში. ზოგიერთს აღბათ ერჩია, რომ გადაწყვეტილება - არ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე - მიეღო სხვა ოფიციალურ ორგანოს, და არა ამსტერდამის პოლიციას, მაგრამ ამ სურვილის გათვალისწინება სასამართლოებს არ ევალებოდათ. 1998 წლის 2 ოქტომბერს განმცხადებლების საჩივარს უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო.

240. 1999 წლის 23 თებერვალს ბატონმა ჰამერმა, რომელსაც შეატყობინეს განმცხადებელთა ამ საჩივრის განხილვის თარიღი, სააპელაციო სასამართლოს წერილობით მიმართა და სასამართლო განხილვის გასაჯაროება მოითხოვა.

241. ბატონმა ჰამერმა იმავე დღეს წერილობით მიმართა მოქმედ გენერალურ პროკურორს სააპელაციო სასამართლოში. იგი ჩიოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს რეგისტრატურამ მას სრულად არ მიაწოდა საქმის მასალების

ასლები და ითხოვდა ამ საკითხის გამოსწორებას. მან ანალოგიური მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესაც.

242. 1999 წლის 24 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს რეგისტრატორმა ბატონ ჰამერს უპასუხა, რომ განსახილველი იყო საკითხი - ჩატარებულიყო თუ არა საჯარო სხდომა. ამგვარ გარემოებებში, საჭირო იყო სხდომის მონაწილეები საქმის მასალებს გასცნობილების, მაგრამ სიფრთხილის ზომები იქნა მიღებული და მათ ასლები არ გადაუზავნეს. ამავე დღით დათარიღებულ სხვა წერილში რეგისტრატორი ბატონ ჰამერს ატყობინებდა, რომ სხდომა არ იქნებოდა ლია, თუმცა, ბატონ ჰამერს ამ საკითხის დასმა სასამართლო განხილვისას, სხდომაზე შეეძლო, თუკი ამის სურვილი ჰქონდა.

243. მოქმედმა გენერალურმა პროკურორმა ბატონ ჰამერს 1999 წლის 25 თებერვალს უპასუხა, რომ ის არ იყო სააპელაციო ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა სააპელაციო სასამართლოს რეგისტრატორის მიერ დოკუმენტების გაუცემლობის გადაწყვეტილებათა გადასინჯვა. წებისმიერ შემთხვევაში, ბატონ ჰამერს ყველა დოკუმენტის ნახვა შეეძლო.

244. განმცხადებლების საჩივარი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, განიხილა პალატამ „მოსამართლე დელეგატის“ სახით (raadsheer-commissaris) 1999 წლის 1 მარტს. ბატონმა ჰამერმა, განმცხადებლების სახელით, ვრცელი ზეპირი არგუმენტაცია წარმოადგინა.

245. 1999 წლის 19 მარტს, საქმის წარმმართველი მთავარი ადვოკატის თანხმობით, ბატონმა ჰამერმა მისწერა სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე მოსამართლეს, რომელსაც უნდა განეხილა განმცხადებლების საჩივარი სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობასთან დაკავშირებით. ბატონმა ჰამერმა აღნიშნა, რომ სავარაუდო შეუსაბამობა იყო ოფიციელის, ბრონსისა და ბულტსტრასა და პოლიციის სხვა ოფიცერთა ჩევნებებს შორის - როგორც ეს პრესაში გაკეთებულ განცხადებაში აღინიშნა - და მისი მტკიცებით, ეს შემდგომი გამოძიების საჭიროებას ასაბუთებდა.

246. 1999 წლის 26 აპრილს სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელთა საჩივარი საზოგადოებრივი პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობის გადაწყვეტილებაზე არ დააკმაყოფილა. სამოტივაციო ნაწილში მან ძალაში დატოვა „მოსამართლე დელეგატის“ გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. მან დაადგინა, რომ შესაბამისი სამართლებრივი დებულებების ფონზე, სამართლებრივი განხილვა სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებას გასცდებოდა, თუ სასამართლო სხდომა, რომელზეც იმსჯელებდნენ პირის მიმართ ლია სხდომის ჩატარების საჭიროებაზე, თვითონ იქნებოდა საჯარო. მეტიც, ეს დააკინინებდა გამოყენებულ სამართლებრივ დებულებათა მიზანს.

247. რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ ოფიცერმა ბრონსმა იარაღით შექმნილი საფრთხის გაუვნებელყოფის მიზნით, კანონის ფარგლებში, თავდაცვის საშუალებას მიმართა. სასამართლომ დასკვნა ოფიცერების, ბრონსისა და ბულტსტრას, ასევე, ბატონი ვან დენ ჰეუველის ჩევნებებს დააფუძნა. მან დამატებით აღნიშნა: მეტი დრო რომ ყოფილიყო, სასიკვდილო ჭრილობის მიყენება, შესაძლოა, თავიდან აეცილებინათ. თუმცა, არსებულ გარემოებებში საჭირო იყო დაუყოვნებლივი რეაგირება, რაც შემდგომ გამოვლენილი ფაქტებითაც დადასტურდა - მორავია რამსაპაის პისტოლეტი გადატენილი და გასასროლად გამზადებული იყო. ამ დასკვნას ამყარებდა არსებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მორავია რამსაპაი მიავე დღეს, იარაღის მუქარით, სატრანსპორტო

საშუალება გაიტაცა და პისტოლეტი, სულ ცოტა, ერთ სხვა ადგილასაც გამოიყენა დაშინების მიზნით. გარდა ამისა, რეტროსპექტიული დასკვნების თანახმად, მორავია რამსაპაის სხეულში აღმოჩენილი იქნა ალკოჰოლისა და ჰალუცინოგენური სოკოს აქტიური ინგრედიენტის კვალი. სხვა მოწმეთა ჩვენებები ან მთლიანად არასწორი იყო (როგორც, მაგალითად, ქალბატონი ჩიტანისა და მის რიჯსელის შემთხვევაში), ან არარელევანტური, ან ზემდგომ დასკვნებს არ უკავშირდებოდა.

248. მოუხედავად იმისა, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა განმცხადებლებს, რომ სასურველი იქნებოდა შემთხვევის ინსცენირება, მან ვერაფერი იპოვა იმის დამადასტურებლად, რომ არსებული მტკიცებულებები კეთილსინდისიერად არ გამოიძიეს. სასამართლომ ასევე ვერ იპოვა იმის მტკიცებულება, რომ როგორც განმცხადებლები ჩიოდნენ, მათ ან მათ კანონიერ წარმომადგენელს უარი ეთქვათ, გასცნობოდნენ კონკრეტულ დოკუმენტებს, რომლებიც განსხვავებული დასკვნის საფუძველს იძლეოდა.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

### A. სისხლის სამართლის პროცესი

249. განსახილველი მოვლენებისას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები გულისხმობა:

მუხლი 12

„1. როცა დასჯადი ქმედების ჩამდენს ბრალი არ წაუყენება ან სისხლის სამართლებრივი დევნა შედეგით არ სრულდება, ნებისმიერ პირდაპირ დაინტერესებულ პირს [rechtstreeks belanghebbende] შეუძლია წერილობითი საჩივრით მიმართოს სააპელაციო სასამართლოს, ვისი განსახველიცაა ბრალის წაუყენებლობის ან სისხლის სამართლებრივი დევნის დაუსრულებლობის საკითხები.

...“

მუხლი 12 (d)

“1. სააპელაციო სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას, სანამ არ მოუსმენს მოსარჩელის წარმომადგენელთა არგუმენტაციას ან სათანადოდ არ დაკითხავს მოსარჩელეს...“

მუხლი 12 (e)

“1. სააპელაციო სასამართლომ შესაძლოა დაკითხოს პირი, რომლის მიმართ დევნის დაწყების საკითხიც განიხილება, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა, უპასუხოს მოსარჩელის არგუმენტებს და ამ პასუხის საფუძლოანობა დაამტკიცოს. ამგვარ დაკითხვას ან სარჩელის ასლი დაერთვის, ან მასში მითითებებია განმცხადებლის მიერ მოყვანილ ფაქტებზე.

2. მუხლი 12 (i)-ს შესაბამისად, არანაირი ბრძანება არ გაიცემა, სანამ პირს, რომლის მიმართ დევნის დაწყების საკითხიც განიხილება, სააპელაციო სასამართლო არ მოუსმენს ან, სულ ცოტა, სათანადოდ არ დაკითხავენ“.

მუხლი 12 (f)

„1. მოსარჩელეს და პირს, ვის მიმართ დევნის დაწყების მოთხოვნაც დაისმის, უფლება აქვთ, პალატის მოსამართლის წინაშე ადვოკატის დახმარებით წარდგნენ  
...“

2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარებ ... მოსარჩელესა და პირს, ვის მიმართ დევნის დაწყების მოთხოვნაც დაისმის, ასევე მათ ადვოკატებს ან კანონიერ წარმომადგენლებს [gemachtigden], მოთხოვნის შემთხვევაში, უფლება უნდა მისცეს, შესინავლონ საქმის მასალები. მასალების შესანალა უნდა მოხდეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი წესით. თავმჯდომარეს უფლება აქვს, საკუთარი შუამდგომლობით ან გენერალური პროკურორის მოთხოვნით, მხარეებს ზოგიერთი დოკუმენტის შესწავლის საშუალება არ მისცეს, პირადული, გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის ან სხვა ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე.“

### მუხლი 12 (g)

“პირი, ვის მიმართ დევნის დაწყების მოთხოვნაც დაისმის, ვალდებული არ არის, პალატაში მის მიმართ დასმულ შეკითხვებს უპასუხოს. ამის შესახებ მას ოფიციალურად უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე და ეს უნდა აისახოს სხდომის ოქმშიც.“

### მუხლი 12 (i)

„1. როცა სარჩელი სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციაში ხვდება, იგი მას განსახილველად იღებს [de klager ontvankelijk is], და თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ პირის მიმართ დევნა უნდა დაეწყოთ ან დაესრულებინათ, იგი ბრძანებას გასცემს დევნის დაწყების ან დასრულების შესახებ, სარჩელში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით“.

2. სააპელაციო სასამართლომ შეიძლება ასეთი ბრძანების გაცემაზე უარი თქვას ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე საფუძვლით.

3. ბრძანება, შესაძლოა, მოიცავდეს დირექტივასაც, რომ საზოგადოებრივმა პროკურორმა წამოაყენოს მოთხოვნა 181-ე მუხლის ან 237-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებით [geenmal, მოთხოვნა გამომძიებელი მოსამართლის მისამართით [rechter-commissaris], დაიწყოს ან გააგრძელოს წინასწარი სასამართლო გამოძიება [gerechtelijk vooronderzoek]] ან მოთხოვნა, რომ პირი, რომლის მიმართ დევნის დაწყების მოთხოვნაც განიხილება, დაიკითხოს სასამართლო პროცესზე. პირველი ბრძანება, შესაძლოა, გაიცეს სააპელაციო სასამართლოს მიერაც, თუ საზოგადოებრივმა პროკურორმა პირს, ვის მიმართ დევნის დაწყების მოთხოვნაც განიხილება, მანამდე ოფიციალურად აცნობა წინასწარი სასამართლო გამოძიების დახურვის გადაწყვეტილების შესახებ, ან თუ 237-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადები ამოიწურა.

4. ყველა სხვა შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ... სარჩელზე უარს ამბობს.“

### მუხლი 24

„1. პალატის მიერ მიღებული წებისმიერი გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. თუ პალატა ადგენს, რომ საქმეზე საჯარო მოსმენა ჩატარდეს, ამგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ლია სხდომაზე.

...

4. თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, გადაწყვეტილება ეჭვმიტანილს და პროცესი სხვა მონაწილეებს დაყოვნების გარეშე უნდა ეცნობოთ“.

## B. საზოგადოებრივი პროცურატურა

### 1. მართლმსაჯულების (ორგანიზაციის) აქტი

250. განსახილევლი მოვლენებისას მოქმედი მართლმსაჯულების (ორგანიზაციის) აქტის (Wet op de rechterlijke organisatie) შესაბამისი დებულებები გულისხმობს:

მუხლი 4

„საზოგადოებრივი პროცურატურის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა კანონების დაცვა, სისხლის სამართლებრივი ქმედებებისთვის პირთა დასჯა და ყველა სისხლის სამართლებრივი სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა...“

მუხლი 5

„საზოგადოებრივი პროცურატურის თანამშრომლები ასრულებენ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას მათთვის მონარქის სახელით უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ბრძანებებს.“

მუხლი 5 (a)

„...საზოგადოებრივი პროცურორები და მოქმედი საზოგადოებრივი პროცურორები სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას ანგარიშს წარუდგენენ საზოგადოებრივი პროცურატურის დეპარტამენტის [parket] - რომლის თანამშრომლებიც არიან - უფროსს.“

### 2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

251. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 140

„1. სააპელაციო სასამართლოს გენერალური პროცურორი, ამ სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში, უზრუნველყოფს რეგიონული [arrondissementsrechtbanken] ან საქალაქო [kantongerechten] სასამართლოების განსასჯელი სისხლის სამართლებრივი ქმედებების სათანადო გამოძიებას. ...

2. საპოლოოდ, მან ბრძანებები უნდა გასცეს რეგიონულ სასამართლოებში დანიშნულ საზოგადოებრივი პროცურატურის დეპარტამენტთა უფროსების სახელზე.“

მუხლი 148

„1. საზოგადოებრივი პროცურორი ხელმძღვანელობს დანაშაულების გამოძიებას, რომლებიც იმ რეგიონული სასამართლოს განსასჯელია სადაც ის არის დანიშნული, ასევე, საქალაქო სასამართლოების განსასჯელ დანაშაულებს, ამ რეგიონული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში. ამას გარდა, იგი, ამ რეგიონული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში, ხელმძღვანელობს დანაშაულების გამოძიებას, რომლებიც სხვა რეგიონული თუ საქალაქო სასამართლოების განსასჯელია.

2. ამ თვალსაზრისით, იგი ბრძანებებს გასცემს სხვა პირთა მისამართით, რომლებიც უძლვებიან ამგვარ გამოძიებებს.“ ...

### C. პოლიციის ზემდგომი ორგანო

252. პოლიციის შესახებ 1993 წლის აქტის (Politiewet) შესაბამისი ნაწილები გულისხმობს:

მუხლი 12

„1. როცა პოლიცია მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ წესრიგს იცავს და საკუთარ მოვალეობას ასრულებს საზოგადოებისათვის დახმარების სახით [hulpverleningstaak], იგი ექვემდებარება ბურგომისტრს.

2. ბურგომისტრი უფლებამოსილია, პოლიციის ოფიცრებს მისცეს დირექტივები 1-ლ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესასრულებლად.“

მუხლი 13

„1. როცა პოლიცია სამართლებრივ წესრიგს ინარჩუნებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენებით, ან მოვალეობებს ასრულებს მართლმსაჯულების განხორციელების ხელშესაწყობად, იგი ექვემდებარება საზოგადოებრივ პროკურორს.

2. საზოგადოებრივი პროკურორი უფლებამოსილია, პოლიციის ოფიცრებს მისცეს დირექტივები 1-ლ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესასრულებლად.“

### D. სამართლებრივი აქტები პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შესახებ

1. 1993 წლის აქტი პოლიციის შესახებ

253. პოლიციის შესახებ 1993 წლის აქტის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„პოლიციის ძალების მოვალეობათა შესასრულებლად დანიშნული პოლიციის ოფიცერი მოვალეობების შესრულებისას უფლებამოსილია გამოიყენოს ძალა, როცა ეს ქმედება გამართლებულია მიზნით, რომელსაც ძალის გამოყენება ემსახურება, ასევე, გასათვალისწინებელია ძალის ამგვარი გამოყენებისას არსებული საფრთხეები და ის, რომ ამ მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია. ძალის გამოყენებას შეძლებისდაგვარად წინ უნდა უსწრებდეს გაფრთხილება.“

2. 1994 წლის შინაგანაწესები

254. იმ დროისათვის არსებული შინაგანაწესები პოლიციის, სამეფო სამხედრო პოლიციისა (Constabulary) და სპეციალური საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვილი პოლიციელებისთვის (Ambstinctie voor de politie, de Koninklijke Marechaussee en de buitengewone opsporingsambtenaar) გულისხმობს:

სექცია 7

„1. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა ან დიდ რადიუსზე ზუსტი სროლისთვის განკუთვნილი იარაღისა, დაშვებულია მხოლოდ:

- (a) ადამიანის დასაკავებლად, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით საფრთხეს ქმნის [vurwapengevaarlijk persoon];
- (b) ადამიანის დასაკავებლად, რომელიც ცდილობს, თავი აარიდოს - ან თავი აარიდა - დაკავებს ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგომას [die zich aan zijn aanhouding of voorgeleiding tracht te ontrekken of heeft ontrokken], ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო [ernstig misdrijf] და მისი ქმედება დამატებით აღიქმება, როგორც სამართლებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევა.

...

3. პირველი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოყენება, როცა დასაკავებელი პირის ვინაობა ცნობილია და, გონივრული ვარაუდით, მისი დაკავების დაყოვნებით საფრთხე არ შეექმნება სამართლებრივ წესრიგს იმგვარად, რაც დაუშვებლად ჩაითვლება..."

### სექცია 12

"1. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ან დიდ რადიუსზე ზუსტი სროლისთვის განკუთხნილი იარაღის გამოყენებამდე, ოფიცერმა ხმამაღლა ან სხვა ფორმით, რომლის არასწორად გაგებაც შეუძლებელი იქნება, უნდა გასცეს გაფრთხილება, რომ ცეცხლს გახსნის, თუკი მისი ბრძანება დაუყოვნებლივ არ შესრულდება. ამგვარი გაფრთხილება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გამაფრთხილებელი გასროლით შეიძლება ჩანაცვლდეს, არ ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გარემოებები ამის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

2. გამაფრთხილებელი გასროლისას მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული საფრთხის შექმნა პირისა ან ქონებისათვის."

3. 1994 წლის წესები საპოლიციო იარაღის შესახებ

255. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ჰოლანდიაში ფორმიანი პოლიციელი აღჭურვილია ნახევრადავალტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. პოლიციის ოფიცერებს ევალებათ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პროფესიონალურ დონეზე იცოდნენ. სხვა შემთხვევაში, მათ იარაღი ტარების უფლება არ აქვთ.

### E. სამართლებრივი აქტები ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ

#### 1. 1993 წლის აქტი პოლიციის შესახებ

256. პოლიციის შესახებ 1993 წლის აქტის 43-ე მუხლის თანახმად:

"1. შინაგან საქმეთა მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული დანიშნულებისთვის, გენერალურ პროკურორს თავის განკარგულებაში ჰყავს სპეციალური უფლებამოსილების პოლიციის ოფიცერები [bijzondere ambtenaren van politie].

2. პირველ პუნქტში აღნიშნულ პოლიციის ოფიცერების მენეჯმენტს სათავეში უდგას იუსტიციის მინისტრი. პოლიციის ამ ოფიცერებს თანამდებობაზე ნიშნავს ... ანინაურებს, უფლებამოსილებას უჩერებს და ათავისუფლებს იუსტიციის მინისტრი".

## 2. წესები საზოგადოებრივი პროცურატურის ოპერატიული განყოფილების მოწყობის შესახებ

257. საზოგადოებრივი პროცურატურის ოპერატიული განყოფილების მოწყობის (Organisatieregeling dienstonderdelen Openbaar Ministerie) 1-ლი წესის თანახმად, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი (Rijksrecherche) ეროვნული სამსახურია, რომელიც ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს გენერალურ პროცურორს. მის ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებს დეპარტამენტის დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია გენერალური პროცურორის წინაშე (წესი 3).

### F. შიდასამართლებრივი ცვლილებები პალატის გადაწყვეტილების შემდეგ

#### 1. საპარლამენტო შეკითხვები

258. პალატის გადაწყვეტილებას პოლანდიაში მედიის მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. 2005 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის ქვედა პალატის (Tweede Kamer) ორმა წევრმა, ბატონებმა პ. სტრაუბმა და ა. ვოლფსენმა, იუსტიციის მინისტრს მიმართეს, საკუთარი აზრი გამოიტქვა პალატის გადაწყვეტილების შესახებ და, ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ესაუბრა შიდა სამართალსა და პრაქტიკაში საჭირო ცვლილებებზე.

259. პარლამენტმა იუსტიციის მინისტრის პასუხი 2005 წლის 16 დეკემბერს მიიღო (Tweede Kamer der Staten-Generaal, Aanhangsel van de Handelingen - პარლამენტის ქვედა პალატა, საპარლამენტო ოქმზე დანართი - 2005-2006, №567, გვ. 1209-10). ამ პასუხიდან ამონარიდი ასე იკითხება:

„2. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არსებითად არ დარღვეულა; სასამართლომ ერთხმად აღნიშნა, რომ პოლიციის ოფიცერი თავს იცავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცესუალური მხარე დაირღვა ორი მიზეზის გამო: ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი გამოძიებაში ჩაერთო ძალზე გვიან და, სისხლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება - შესაბამისი პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაეწყოთ - საჯაროდ არ გამოცხადდა. რაც შეეხება ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის გამოძიებაში ჩართვას, უნდა აღინიშნოს რამდენიმე საკითხი: სასამართლო არ აკრიტიკულს ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის დამოკიდებულებას პოლიციისადმი; იგი გარკვევით ადგენს, რომ დამოკიდებულება აკმაყოფილებს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დამოუკიდებლობის კრიტერიუმს. თუმცა, წინამდებარე საქმეში, სროლის ფაქტს პირველი 15 საათის განმავლობაში იძებდნენ იმავე პოლიციის ძალების ოფიცერები, რომელსაც მიეკუთვნებოდა პოლიციის ოფიცერი, ვინც საბედისნეროდ გაისროლა. მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა გამოძიება ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის ხელში. სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში (დამოუკიდებელი) ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი გამოძიებაში ძალზე გვიან ჩაერთო. ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების შემდეგ საქმეზე - Mercatorplein (გამოუქვეყნებელი) - ეროვნული პოლიციის შიდა

საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაობის სისტემა გაუმჯობესდა [aangescherpt] და მათ შემთხვევის ადგილზე მისვლა უკვე უფრო ადრეც შეუძლიათ. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი ახლა შემთხვევის ადგილზე გადის საშუალოდ ერთ საათში ან საათ-ნახევარში, ინციდენტის შესახებ შეტყობინების შემოსვლიდან. შესაბამისად, უკვე შეუძლებელია იმის თქმა, რომ ჰოლანდიაში პოლიციის ოფიცერთა მიერ საბეჭისწერო გასროლების ფაქტებზე საგამოძიებო პროცედურები შეუსაბამოა კონვენციასთან. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არსებული პროცედურების არსებითად შეცვლა საჭირო აღარაა. თუმცა, კარგი იქნებოდა პროცედურების დაზუსტება ზოგიერთ საკითხთან, კერძოდ, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის ჩართვასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებით, გენერალური პროკურორების საბჭო [College van procureurs generaal] მუშაობს ახალ „ინსტრუქციაზე, თუ რა მოქმედებებია ჩასატარებელი პოლიციის ოფიცრის მიერ ძალის გამოყენებისას“ [Aanwijzing handelwijze bij geweldsaanwending (politie) ambtenaar - შემდგომში „ინსტრუქცია“, რომელიც მანამდე არსებულს შეცვლის. ახალ ინსტრუქციაში გარკვევით იქნება აღნიშნული, რომ დაუყოვნებლივ [terstand] ეცნობოს ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის საქმეებზე, რომელებშიც პოლიციის ოფიცერმა ძალა გამოიყენა. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის მორიგე ოფიცერი შემთხვევის ადგილზე უნდა გავიდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად. მის მისვლამდე, ადგილობრივმა პოლიციამ სიტუაცია უნდა „გაყინოს“, მაგალითად, შემთხვევის ადგილისთვის კორდონის შემოვლებით. თუმცა, ადგილობრივი ძალები საგამოძიებო ლონისძიებებს არ ჩატარებენ. ახალი ინსტრუქცია ძალაში შევა შემდეგი წლის დასაწყისიდან.

3. სისხლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი - სხდომა იყოს საჯარო - ენინაალ-მდეგება იმ ადამიანის ინტერესს სხდომის გასაიდუმლოების შესახებ, ვის მიმართ დევნის დაწყებაზეცა მსჯელობა. ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი ისაა, რომ საწყის ფაზაში, როდესაც წყდება, უნდა დაიწყოს თუ არა პირის მიმართ დევნა, ამ პირის ინტერესი, თავიდან აიცილოს საჯაროობა, გადაწნონის მოსარჩელისას - პროცესი იყოს საჯარო. როცა სისხლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, „სისხლის სამართლებრივ ბრალდებას“ არ ეხება, კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით, ეს მუხლი ამგვარ გადაწყვეტილებათა საჯაროობას არ ითხოვს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში საჯაროობის მოთხოვნა მომდინარეობს კონვენციის მე-2 მუხლიდან. სასამართლო მიიჩნევს: გადაწყვეტილება უნდა გამოცხადებულიყო საჯაროდ, საქმის მნიშვნელობისა და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ იგი ეხებოდა საჯარო მოხელეს. შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულება სისხლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლში შესწორებების შეტანის გარეშე.

ამ დროისათვის ჩვენ განვიხილავთ საკითხს, დავყენოთ თუ არა მოთხოვნა, კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ. ამის შესახებ გაცნობებთ მომავალი წლის დასაწყისში.

4. სასამართლო ადგენს, რომ საზოგადოებრივი პროკურორის დეპარტამენტის დამოკიდებულება პოლიციისადმი სამარისად დამოუკიდებელია. სასამართლოს ამ დადგენილებას არ აკინიბს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი პროკურორი დამოკიდებულია პოლიციაზე ინფორმაციის მიწოდებისა და დახმარების თვალსაზრისით. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელ ზედამხედველობას საზოგადოებრივი პროკურორის ქმედებებზე სასამართლოები ახორციე-

ლებენ. წინამდებარე საქმეზე მომუშავე საზოგადოებრივი პროკურორი პასუხისმგებელი იყო იმ არეალზე, რომელიც მუშაობდა ფლიტოსდრეფის პოლიციის განყოფილება და პოლიციის შესაბამისი ოფიცერი. ვაზიარებ სასამართლოს მოსაზრებას, რომ სასურველი არ არის (დამოუკიდებლობის თვალსაზრისით), საზოგადოებრივ პროკურორს ძალზე მჭიდრო კავშირები ჰქონდეს პოლიციის იმ ძალასთან, რომელსაც შესაბამისი პოლიციის ოფიცერები მიეკუთვნებიან. ახალი ინსტრუქციის თანახმად, მსგავს საქმეებს არავითარ შემთხვევაში არ გამოიძიებს ის საზოგადოებრივი პროკურორი, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს ქალაქთან, სადაც პოლიციის ოფიცერები მუშაობენ - მაგალითად, ქალაქის საზოგადოებრივი პროკურორი. დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციებს გასცემს მას შემდეგ, რაც პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტებს გამოიძიებს ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი. მთავარი საზოგადოებრივი პროკურორი ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს გადაუზარდონოს გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც აპირებს. ამ გზით, ასეთ საქმეებზე მიიღება „მეორე მოსაზრება.“

## 2. „ინსტრუქცია - რა მოქმედებებია ჩასატარებელი პოლიციის ოფიცერის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევაში

260. გენერალური პროკურორების საბჭოს ახალი ინსტრუქცია, რომლის მიღების თარიღადაც მინისტრმა 2006 წლის დასაწყისი დასახელა, ფაქტობრივად გამოქვეყნდა 2006 წლის 26 ივლისს (Official Gazette - Staatscourant - 2006, №143). გენერალური პროკურორების საბჭო საზოგადოებრივი პროკურატურის უმაღლესი ორგანო და იგი ანგარიშვალდებულია, თავმჯდომარის სახით, იუსტიციის მინისტრის წინაშე.

261. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ინსტრუქციის მიზანია *inter alia* საქმეზე - Ramsahai and Others - პალატის გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, რათა უფრო ნათლად განისაზღვროს ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ფუნქციები და ადგილობრივი საპოლიციო ძალების როლი.

262. ინსტრუქცია ეხება არა მხოლოდ პოლიციის ოფიცერებს, არამედ საპოლიციო უფლებამოსილების სხვა მოხელეებსაც, სამეფო სამსედრო პოლიციისა (Koninklijke marechaussee) და შეარაღებული ძალების წევრების ჩათვლით, რომლებიც საპოლიციო ვალდებულებებს ასრულებენ. ინსტრუქცია გამოიყენება, როცა ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება სიკედილს ან დაზიანებას იწვევს, ასევე სხვა შემთხვევებში, როცა ძალის გამოყენებამ სიკედილი ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

263. როცა ხდება ინციდენტი, რომლის დროსაც ინსტრუქცია გამოიყენება, გამოძიებას ატარებს ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი. რეგიონულმა პოლიციამ ამ დეპარტამენტს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შესაბამისი ინციდენტის შესახებ. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის მორიგეონობის შემთხვევის ადგილსა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გავიდეს. ადგილობრივი პოლიცია საჭირო გადაუდებელ ღონისძიებებს ატარებს, როგორიცაა ტერიტორიის კორდონირება, გვამების მოვლა და ყველა მოწმის სახელის ჩანარება; ისანი არანაირ საგამოძიებო მოქმედებას არ ატარებენ, გარდა იმ შემთხვევისა და იმ ფარგლებში, როცა მათი ჩართულობა გარდაუვალია.

264. ნებისმიერი გამოძიება, რომელსაც ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი ვერ ატარებს, სრულდება შესაბამისი პოლიციის რეგიონის შიდა საგამოძიებო ბიუროს (Bureau Interne Onderzoeken) ან მეზობელი საპოლიციო ძალების წევრთა მიერ. ტექნიკური საგამოძიებო მოქმედებებისთვის სამედიცინო ექსპერტ-გამოძიებლები სხვა რეგიონული პოლიციიდან მოიწვევიან.

265. პრეზუმაცია ასეთია: პოლიციის ოფიცერი, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ძალის გამოყენება სჭირდება, როგორც წესი, უფლებამოსილია, ამის საფუძვლად ზემდგომის ბრძანება მოითხოვოს ან ძალა თავდაცვის მიზნით გამოიყენოს. შესაბამისად, ასეთ მდგომარეობაში პოლიციის ოფიცერი სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილად არ განიხილება, თუ მოვლენების შემდგომ ნათელი არ გახდა, რომ ამ საკითხზე გონივრული ეჭვები არსებობს; იგი დაიკითხება მონმის სტატუსით, თუმცა, სიფრთხილით, რადგან ის ვალდებული არ არის, საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს.

266. მთავარი საზოგადოებრივი პროცესურორი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია გამოძიებასა და გადაწყვეტილებაზე - დაინტენტოს თუ არა დევნა პოლიციელის მიმართ - ვალდებულია უზრუნველყოს, რომ არანაირ გარემოებაში, გამოძიებას არ ხელმძღვანელობდეს ის საზოგადოებრივი პროცესურორი, რომელსაც ახლო კავშირები აქვს პოლიციის განყოფილებასთან, შესაბამისი პოლიციელი რომ მიეკუთვნება. თავიდან უნდა იქნას აცილებული დამოუკიდებლობის არარსებობის ნებისმიერი გამოვლინება.

167. როცა ძალადობრივ ინციდენტში გამოყენებულია ცეცხლსასროლი იარალი, მთავარმა საზოგადოებრივმა პროცესურორმა, ვიდრე გადაწყვეტს პირის მიმართ დევნის დაწყებას, გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც აპირებს, დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად უნდა გადაუგზავნოს პოლიციის მიერ ცეცსლისასროლი იარალის გამოყენების სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც შვიდ სამუშაო დღეში სარეკომენდაციო მოსაზრებას წარუდგენს.

## სამართალი

### 1. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

#### 268. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურაუცილებლობას წარმოადგენდა:

a. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

- b. კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- c. კანონიერ ლონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასხობად.“

269. განმცხადებლებმა, კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, რამდენიმე საჩივარი დააყენეს.

270. პირველ რიგში, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მორავია რამსაპაის მოკვლა აბსოლუტური აუცილებლობა არ იყო მე-2 მუხლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებული არც ერთი მიზნის მისაღწევად.

მეორე რიგში, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მორავია რამსაპაის სიკვდილის შემდგომი გამოძიება არასაქმარისი იყო. უფრო კონკრეტულად, ისინი აცხადებდნენ, რომ:

- (a) გამოძიება ვერ ჩაითვლებოდა „დამოუკიდებლად“, რადგან საგამოძიებო მოქმედებების უმეტესი ნაწილი ჩატარა ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციამ, რომელსაც ოფიცირები ბულგატრა და ბრონსი მიეკუთვნებოდნენ;
- (b) პირველად ჰუგინბოს შენობაში კარდაკარ ჩამოვლის შემდეგ, მოწმეების ძიებისას, დამატებით არანაირი ძალისხმევა არ გამოვლენილა სხვა სამოქალაქო მოწმეთა საპოვნელად და, ფაქტობრივად, რამდენიმე უკანც კი გაბარუნეს;
- (c) ოფიცირები, ბრონსი და ბულგატრა, საბედისწერო სროლიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაიკითხნენ, რა დროშიც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ინციდენტი ერთმანეთში და სხვებთანაც განეხილათ;
- (d) არ ჩატარებულა რამდენიმე სამედიცინო ექსპერტიზა, რომელთა ჩატარება, როგორც წესი, მოსალოდნელი იყო: ამგვარად, საგამოძიებო ორგანოს არ უცდია ტყვიის ზუსტი ტრაექტორიის დადგენა (რაც, განმცხადებლების მტკიცებით, შესაძლებელი იყო); ოფიცირების, ბრონსისა და ბულგატრას, ხელებზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალი არ შეუსწავლიათ; საგამოძიებო მასალებში არ მოიძებნა არანაირი ანგარიში იოფიცერ ბრონსის სამსახურებრივი იარაღისა და ალქოლობრივის, ან გამოყენებული მასრის შესხავლის შესახებ; და ინციდენტის ინსცენირება არ მომხდარა.
- (e) პოლიციის კომისიის ვან რეისენის უარი ნებისმიერ დამატებით გამოძიებასთან თანამშრომლობაზე სუბიექტური მიკერძოებულობის მტკიცებულებაა;
- (f) ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი არ შეიძლება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ჩაითვალოს, რადგან იმ დროს იგი ანგარიშვალდებული გახლდათ ადგილობრივი მთავარი საზოგადოებრივი პროკურორის წინაშე რომელიც ასევე პასუხისმგებელი იყო ადგილობრივი საზოგადოებრივი პროკურატურისა და პოლიციის მუშაობაზე;
- (g) ოფიცირები, ბრონსი და ბულგატრა, ერთი ადგოკატით უზრუნველყვეს, რაც პოლანდიის ჩვეულ პრაეტიკას ენინალმდეგებოდა;
- (h) გადაწყვეტილება ოფიცერ ბრონსის მიმართ დევნის არდაწყების შესახებ მიიღო ამსტერდამის საზოგადოებრივმა პროკურორმა, რომელიც კონკრეტულად ფლიერბოლისდრეეფის პოლიციის განყოფილების თანამშრომელთა მუშაობაზე იყო პასუხისმგებელი, იქ მომუშავე ოფიცირებისგან იღებდა ინფორმაციასა და სხვა ტიპის დახმარებას და მათზე იყო დამოკიდებული.

271. განმცხადებლები მოიხმობდნენ კონვენციის მე-2 და მე-6 მუხლებს და აცხადებდნენ, რომ გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი და ეფექტური. მათ შემდეგი პრეტენზიები დააყენეს სააპელაციო სასამართლოს პროცედურებთან დაკავშირებით:

- (a) მოსმენა არ იყო საჯარო და არც გადაწყვეტილება გამოცხადებულა ლია სხდომაზე;
- (b) მათ უარი ეთქვათ რამდენიმე დოკუმენტზე, მათ შორის საზოგადოებრივი პროკურორის ოფიციალურ ანგარიშზე, როცა ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო სააპელაციო სასამართლოს მოქმედი გენერალური პროკურორისა და თვით სააპელაციო სასამართლოსათვის;
- (c) არ განხილულა განმცხადებელთა მოთხოვნები - ბრონსისა და ბულტსტრას - საჯაროდ დაკითხების, მათი მონაწილეობით ინციდენტის ინსცენირებისა და ოფიცერ ბრონსის სამსახურებრივ ჩანაწერზე ხელმისაწვდომობის (მის მიმართ ნებისმიერი საჩივრის ჩათვლით) შესახებ;
- (d) სააპელაციო სასამართლოს, თავის მხრივ, დამოუკიდებელი გამოძიება არ ჩაუტარებია, იგი დაეყრდნო ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალებისა და ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ მონიდებულ ინფორმაციას;
- (e) სასამართლო მოსმენა ჩატარდა ერთი მოსამართლის მონაწილეობით, როცა გადაწყვეტილება, როგორც ირკვევა, გამოიტანა სამმა მოსამართლემ;
- (f) რამდენადაც ამის დადგენა მოხერხდა, სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოფიციალური ჩანაწერი არ გაკეთებულა, რაც კანონს ეწინააღმდეგება;

272. მთავრობა უარყოფს კონვენციის მე-2 მუხლის რაიმე სახით დარღვევას.

#### A. მორავია რამსაპაის სიკვდილი

##### 1. ფაქტების დადგენა

273. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს. თუმცა, ამგვარი მტკიცება უნდა ეფუძნებოდეს საკმარისად მყარ, ნათელ და თანმხვედრ დასკვნებს ან ასეთივე გაუბათილებელ ფაქტებს (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Salman v. Turkey [GC]*, № 21986/93, § 100, ECHR 2000 VII, და *Cyprus v. Turkey [GC]*, № 25781/94, §§ 112-13, ECHR 2001 IV).

274. პალატამ დაადგინა მორავია რამსაპაის სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებიც ასე იკითხება (პალატის გადაწყვეტილების წე 356-71):

„356. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია მორავია რამსაპაის სიკვდილის შესახებ ფაქტების დადგენა.

357. სასამართლო სენსიტიურია მისი ფუნქციის სუბსიდიური ბუნებისადმი და აღიარებს, რომ ფრთხილად უნდა აირიდოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციების შესრულება, როცა საქმის გარემოებები ამის საშუალებას იძლევა. თუმცა, როცა ბრალდებები კონვენციის მე-2 მუხლს ეხება, სასამართლომ განსაკუთრებულად გულისხმირად უნდა შეისწავლოს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ადგილობრივ პროცესებსა და გამოძიებას უკვე ჰქონდა ადგილი (იხ. *Aktaş v. Turkey*, № 24351/94, § 271, 24 აპრილი 2003).

358. მე-2 მუხლის საპროცესო ასპექტთან დაკავშირებით, თავისი დასკვნისთვის ზიანის მიყენების გარეშე, სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი მოვლენების ოფიციალური გამოძიება იყო გულმოდგინე და დასკვნები ოქმებში დეტალურადა აღნუსხული. გამოძიება მოიცავდა საქმეში ჩართულ პოლიციის ოფიცერთა

და ბევრი სამოქალაქო მოწმის, მათ შორის, განმცხადებელთა სახელით მიყვანილი მოწმების ჩვენებებს, ასევე, სამედიცინო ექსპერტიზის მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლო საქმეს სწავლობს იმ ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ირკვევა სხვა წყაროების მიერ აუცილებელ დოკუმენტებად წოდებული, წარმოდგენილი ოფიციალური მასალებიდან.

359. მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ საბედისწერო სროლამდე მორავია რამსაპამ ორჯერ გამოიყენა პისტოლეტი სხვების დასაშინებლად. პირველი ასეთი ინციდენტი მოხდა ლეიდსეპლეინზე, ბურგერ კინგის რესტორანში, როცა მორავია რამსაპამ პისტოლეტი დაუმიზნა ქალბატონ ნაჯიმა ბუჯედანს, მეორე კი კვაკუეს ფესტივალზე, როცა მან ბატონი ვინოდებულმარ ჰიესენი იარალის მუქარით გადმოსვა საკუთარი სკუტერიდან.

360. ბატონმა ჰოესენმა ძარცვის შესახებ პირველივე შემხვედრ პოლიციელებს - ოფიცირებს, დეკორსა და ბორნსტრას აცნობა, რომლებიც საზედამხედველო ფუნქციას ასრულებდნენ და არ იყვნენ შეიარაღებულნი. სამივე მათგანი მძარცველს დაედევნა. თუმცა, სკუტერი სწრაფად მიქროდა და მას ვერ დაეწიონენ. მაშინ ოფიცირებმა ძარცვის შესახებ ორმხრივი რადიომიმღებით აცნობეს ადგილობრივი პოლიციის განყოფილებას, მათ გადასცეს მძარცველისა და სკუტერის აღნერილობება და აღნიშნეს მიმართულება, საითაც მძარცველმა სკუტერი წაიყვანა. მორიგე ოფიციერმა დაუყოვნებლივ უბრძანა ყველა თავისუფალ პოლიციელს, მძარცველს დასდევნებოდნენ.

361. მოგვიანებით, ოფიცირების დეკერისა და ბორნსტრას განცხადებით, ბატონ ჰოესენს მათთვის ბოლო დრომდე არ უთქვამს, რომ მორავია რამსაპაის იარალი ჰქონდა; მათ ეს რომ სცოდნოდათ, შეუიარაღებელნი არავითარ შემთხვევებში არ დაედევნებოდნენ მას და აუცილებლად აცნობებდნენ ამის შესახებ თავიანთ კოლეგებს. თუმცა, ბატონი ჰოესენი აცხადებს, რომ სინამდვილეში პისტოლეტი ახსენა, მაგრამ მისი სიტყვები ვერ გაიგონეს. როგორი სიზუსტითაც უნდა ეთქვა ეს ბატონ ჰოესენს, სასამართლო უშვებს, რომ ოფიცირებმა, დეკერმა და ბორნსტრამ, მისი სიტყვები - რომ მორავია რამსაპაი შეიარაღებული იყო - ვერ გაიგონეს.

362. ახლომახლო მყოფ პოლიციის ოფიციერთაგან ბრძანებას პირველები ბრონსი და ბულტსტრა გამოეხმაურნენ, რომლებიც პოლიციის საპატრულო მანქანით ბიჯლმერმერის რაიონში პატრულირებდნენ. მათ მორავია რამსაპაი სკუტერით ჰუიგენბოს შენობისკენ მიმავალი დაინახეს და დაედევნენ.

363. ოფიცირებმა ბრონსმა და ბულტსტრამ დაინახეს, რომ მორავია რამსაპაი სკუტერით ჰუიგენბოს შენობის გალავანში შევიდა. საჭესთან მჯდომმა ოფიციერმა ბრონსმა მანქანა დააპარკინგა. ამასობაში, ოფიციერი ბულტსტრა მანქანიდან გადმოვიდა და გალავნისკენ გაიქცა. მას ხელში პორტატული ორმხრივი რადიოგადამცემი ეჭირა.

364. მორავია რამსაპაი არ დამორჩილდა და პოლიციელს წინააღმდეგობა გაუწია. მან გაქცევა სცადა. ოფიციერმა ბულტსტრამ მას ხელი წაავლო. მათ შორის მცირედი დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც მორავია რამსაპაიმ თავის დაძვრენა მოახერხა. მორავია რამსაპაიმ ოფიციერ ბულტსტრასაგან რამდენიმე მეტრის მანძილზე საშიში პოზა მიიღო და პისტოლეტი ამოიღო.

365. სასამართლო არ იღებს სამოქალაქო მოწმეთა ჩვენებებს, რომ მორავია რამსაპაი შეუიარაღებელი იყო. აშკარაა, რომ ეს ადამიანები მოვლენებს საკმაოდ შორიდან აკვირდებოდნენ, თან ბინდში. მეტიც, ეს ჩვენებები ეწინააღმდეგება შემდგომ ნაბოებზე პისტოლეტს - მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს, რომ მორავია რამსაპაი აღწერილობის შესაბამისი პისტოლეტი საბედისწერო სროლამდე, ორჯერ გამოიყენა ორი სხვადასხვა ადამიანის წინააღმდეგ - ასევე, ბატონი ვან დე ნეუველის ჩვენებას, ვინც მოვლენების ნაწილს ახლოდან აკვირდებოდა.
366. მორავია რამსაპაის პისტოლეტის დანახვისას ოფიცერი ბულტსტრა შეშინდა, დააგდო ან გადაგდო თავისი ორმხრივი რადიოგადამცემი, ამოილო სამსახურებრივი პისტოლეტი და ხმამალლა, სულ ცოტა, ერთხელ უბრძანა მორავია რამსაპაის, დაეგდო იარაღი. ამის შემდეგ მორავია რამსაპაი იარაღის ლულა მიზისენ დაუშვა, თუმცა, ოფიცერ ბულტსტრას შეფასებით, იგი საშიშ პოზას ინარჩუნებდა და თან მიმალვას ცდილობდა.
367. ამასობაში, ოფიცერმა ბრონსმა მანქანა დაპარკინგა, ჩაკეტა და ოფიცერ ბულტსტრას დასახმარებლად მივიდა. მან დაინახა, რომ მორავია რამსაპაის ხელში პისტოლეტი ეჭირა, რომელსაც - მიუხედავად მისა, ოფიცერ ბულტსტრას მიზანში ჰყავდა ამოლებული და მას იარაღის დაგდება უბრძანა - ხელიდან არ აგდებდა.
368. მორავია რამსაპაის პისტოლეტი გადატენილი იყო, მჭიდში ხუთი ვაზნა იდო, აქედან ერთი საპრძოლო მდგომარეობაში და მზად იყო გასასროლად.
369. ოფიცერებმა, ბრონსმა და ბულტსტრამ - ორივემ - დაინახეს, რომ მორავია რამსაპაი მობრუნდა და პისტოლეტიანი ხელი მაღლა ასწია. ოფიცერმა ბრონსმა დაინახა, როგორ გამოიშვირა მორავია რამსაპაიმ მისევნ ბისტოლეტი. შესაბამისად, მან ამოილო სამსახურებრივი პისტოლეტი, რაც მანამდე არ გაუკეთებია, და ერთხელ გაისროლა.
370. ოფიცერ ბრონსს მორავია რამსაპაის მოკვლა არ ჰქონდა გამიზნული, მას იარაღი სხეულის რომელიმე ნაწილისთვის არ დაუმიზნებია. მისი მიზანი იყო, საშიშროება დაუყოვნებლივ განემუტა.
371. ოფიცერ ბრონსის მიერ გასროლილმა ტყვიამ მორავია რამსაპაის ბრახიოცეფალური (უსახელო) არტერია - აორტის ტოტი, რომელიც ტვინის გარკვეულ ნაწილს სისხლით ერთმნიშვნელოვნად ამარაგებს - და ხერხემლის ცენტრალური ვენა გაუგლიჯვა. მორავია რამსაპაიმ გონება ნამებში დაკარგა, რამდენიმე წუთში სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.“
275. როგორც ქვემოთ გამოჩნდება, სასამართლოს შეკითხვები აქვს მორავია რამსაპაის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების დამოუკიდებლობასა და ხარისხთან დაკავშირებით. კერძოდ, აშკარა შეუთანხმებლობასა ოფიცერების, ბრონსისა და ბულტსტრასა (ორივემ განაცხადა, რომ ოფიცერმა ბრონსმა გაისროლა) და ოფიცერების, ბრაამისა და ვან დაალის ჩვენებებს შორის, რომლებიც პოლიციის რადიოარხების მონიტორინგს ახორციელებდნენ და ორივემ განაცხადა, რომ გაიგონეს, როგორ გადასცა ოფიცერმა ბულტსტრამ რადიოთი, რომ გაისროლა და სასწრავო სამედიცინო დახმარების გამოძახებას ითხოვდა (იხ. ზემოთ პუნქტები 49 და 56). მეტიც, პირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ოფიცერების,

ბრონსისა და ბულტსტრას კოლეგების, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის მიერ.

276. თუმცა, პალატის მიერ დადგენილი ფაქტები არავის გაუპროტესტების. მთავრობამ ამაზე კომენტარი არ გააკეთა, ხოლო განმცხადებლები თანახმა იყვნენ, პალატას ზოგადად მოეხმო მათ მიერ მიწოდებული ფაქტობრივი გარე-მოებები და პალატის მიერ დადგენილ ფაქტებში უზუსტობებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, არც მოვლენების ალტერნატიული ვერსია შეუთავაზებიათ.

277. ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას მიერ მორავია რამსაპაის ქცევის შესახებ მიღებული ინფორმაცია თანმხვედრია ნაცობი ფაქტებისა, რომ მორავია რამსაპაიმ ლეიდსეპლეინზე, ბურგერ კინგის რესტორანში პისტოლეტი ამოილო (იხ. ქალბატონი ბუჯედანის ჩვენება ზემოთ, პუნქტები 75-76), ამ პისტოლეტით დააშინა ბატონი დე გეტროუვე (იხ. მისი ჩვენება ზემოთ, პუნქტები 84) და, ამ პისტოლეტის გამოყენებით, ბატონ პოესენს სკუტერი წაართვა (იხ. მისი ჩვენებები ზემოთ, პუნქტებში 31 და 158, ასევე ქალბატონი ბონდეს ჩვენება, ზემოთ, პუნქტში 34). მათ მიერ მიღებული ინფორმაცია ასევე თანმხვედრია მოწმის, ბატონი ვან დენ ჰეუველის ჩვენებებისა (იხ. ზემოთ პუნქტები 37-38 და 93).

278. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიზეზს ვერ ხედავს, რომ ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას ჩვენებები სადავო გახადოს. შესაბამისად, იგი ფაქტად იღებს, რომ ოფიცირმა ბულტსტრამ თავისი ორმხრივი რადიოგადამცემი დააგდი სამსახურებრივი პისტოლეტის ამოსალებად. ადვილად შესაძლებელია ოფიცირებს, ბრაამსა და ვან დაალს, არასწორად გაეგონათ და მართლაც ბრონსი ყოფილიყო ის ოფიცირი, რომელმაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოითხოვა. იმას, რომ მომდევნო დღის შუადლემდე სროლის ფაქტს ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიცია იძებდა, სასამართლო ქვემოთ, ცალკე განიხილავს.

279. წინამდებარე გარემოებებში, და პალატის მიერ დადგენილ ფაქტებზე მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, სასამართლო საქმეს ამ ფაქტების ფონზე განიხილავს.

## 2. პალატის გადაწყვეტილება

280. პალატამ დაადგინა, რომ ოფიცირებმა, ბრონსმა და ბულტსტრამ, არ იცოდნენ, რომ მორავია რამსაპაი შეიარაღებული იყო და, შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ ეფიქრათ, რომ რუტინული დაკავების გარდა, მათ რაიმე მოეთხოვებოდათ.

281. პალატამ ასევე დაადგინა, რომ ოფიცირმა ბულტსტრამ სამსახურებრივი პისტოლეტი ამოილო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს გააკეთა მორავია რამსაპაიმ, და რომ ოფიცირმა ბრონსმა თავისი სამსახურებრივი იარაღი ამოილო და გაისროლა მხოლოდ მას მერე, რაც მორავია რამსაპაიმ - მიუხედავად ნათელი გაფრთხილებისა, დაეგდო იარაღი - ბრონსის მიმართულებით პისტოლეტის აწევა დაიწყო.

282. პალატამ ამგვარად დაადგინა ფაქტები, თუმცა, ვერ შეძლო იმის გამორკვევა, უნდა მიეღოთ თუ არა ოფიცირებს, ბრონსისა და ბულტსტრას, დამატებითი ინფორმაცია, ან უნდა მოეხმოთ თუ არა დამხმარე ძალები. პალატამ დაადგინა, რომ მომაკვდინებელი ძალის გამოყენება „აბსოლუტური აუცილებლობის“ ფარგლებს არ სცდებოდა მორავია რამსაპაის დაკავებისა და ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას, სიცოცხლის დაცვისათვის. შედეგად, ოფიცირ ბრონსის მიერ მორავია რამსაპაისთვის სროლა კონვენციის მე-2 მუხლს არ აღდვევდა.

### 3. მხარეთა არგუმენტები

#### (a) განმცხადებლები

283. განმცხადებელთა მტკიცებით, რომ ვივარაუდოთ, მორავია რამსაპაის მიმართ გამოყენებული ძალადობა მიზნად მის „კანონიერ დაკავებას“ ისახავდა, ოფიცირები, ბრონსი და ბულგსტრა, სათანადო გეგმის გარეშე მოქმედებდნენ, მათ არ მოკითხეს შესაბამისი ინფორმაცია, არ მოითხოვეს დამატებითი ინსტრუქცია ან დამატებითი ძალები, რასაც, შესაძლოა, მაქსიმალურად შეემცირებინა სოცოცხლის ხელყოფის საფრთხე.

#### (b) მთავრობა

284. მთავრობა ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებას დაეყრდნო. ამ სასამართლომ დაადგინა, რომ მორავია რამსაპაიმ იარაღით შეაშინა და, ამგვარად, თვითონ შექმნა სიტუაცია, რომელშიც ძალის - თუნდაც საჭირო სასიკვდილო ძალის - გამოყენება აპსოლუტური აუცილებლობა გახდა.

285. მთავრობამ დამატებით აღნიშნა: ოფიცირები განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდნენ იმ საკითხს, რომ სიცოცხლის საფრთხე მინინუმამდე შეემცირებინათ, და რომ მათ თავიანთ ქმედებებში გულგრილობა არ გამოუვლენათ. არაგონივრული იყო წარსულში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ალტერნატიული ტაქტიკის ძიება.

### 4. სასამართლოს შეფასება

286. სასამართლო ხაზს უსვამს: კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისები მიანიშნებს, რომ ეს დებულება ვრცელდება - მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება - განზრას მოკვლაზე. მე-2 მუხლის ტექსტი ერთიანობაში აჩვენებს, რომ მე-2 პუნქტი უპირველესად არ განსაზღვრავს, რა გარემოებაშია ნებადართული ინდივიდის განზრას მოკვლა, მაგრამ განსაზღვრავს სიტუაციებს, როცა ნებადართულია „ძალის გამოყენება“, რასაც, შესაძლოა, არასასურველი შედეგი - სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს. თუმცა, ძალის გამოყენება „აპსოლუტურ აუცილებლობას“ უნდა წარმოადგენდეს (a), (b) ან (c) ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული მიზნებიდან ერთ-ერთის მისაღწევად (იხ. Oğur v. Turkey [GC], № 21594/93, §78, ECHR 1999 III).

287. ამ თვალსაზრისით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინი „აპსოლუტური აუცილებლობა“ მიანიშნებს, რომ იმის განსაზღვრისას, სახელმწიფოს ქმედება იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, გამოყენებული უნდა იქნას აუცილებლობის უფრო მკაცრი და მომთხოვნი ტესტი, ვიდრე ჩვეულებრივ, კონვენციის 8-11 მუხლების მე-2 პუნქტებთან მიმართებით. კერძოდ, გამოყენებული ძალა მკაცრად პროპორციული უნდა იყოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (a), (b) ან (c) ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევისა (ibid.).

288. სასამართლო უკვე გადაწყვიტა, რომ აღიაროს მორავია რამსაპაის სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტების შეფასება პალატის მიერ, რომელიც მხარეებს

არსებითად არ გაუპროტესტებიათ (იხ. ზემოთ პუნქტები 276-79). სასამართლო, იღებს რა პალატის შეფასებას ფაქტებთან დაკავშირებით, ეთანხმება მის დადგენილებას, რომ ოფიცერ ბრონსის საბედისწერო გასროლა „აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა“, კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

289. შესაბამისად, სასამართლო კრაში კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე დილით კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

## B. გასროლის შემდგომი გამოძიება

### 1. პალატის გადაწყვეტილება

#### (a) გამოძიების ეფექტიანობა

290. პალატამ დადგენილად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა უკან გააბრუნეს ან არ მოძებნეს მონმეები, რომლებსაც, შესაძლოა, გამოძიებისთვის ზუსტი და სათანადო ინფორმაცია მიეწოდებინათ, როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებდნენ.

291. პალატა ეთანხმება განმცხადებლებს, რომ ზოგიერთი საგამოძიებო ღონისძიება, რომელთა შესახებ ოქმებიც საგამოძიებო ფაილებში არ მოიძებნა - კერძოდ, საბედისწერო ტყვიის ზუსტი ტრაექტორიის დადგენა; პოლიციის ოფიცერთა ხელებზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალის შესწავლა; გამოყენებული იარაღის, მისი აღჭურვილობისა და გახარჯული მასრის შემოწმება და ინციდენტის ინსცენირება - როგორც წესი, უნდა აისახოს გასროლით სიკვდილის საქმის საგამოძიებო დოკუმენტაციაში. თუმცა, წინამდებარე საქმეში არანაირი ეჭვები არ არსებობდა ეჭვმიტანილის ვინაობასთან დაკავშირებით და საქმის გარემოებათა ადეკვატურად დადგენა ზემოხსენებული შესწავლის გარეშეც შესაძლებელი იყო; შესაბამისად, ამ შემოწმებების ჩაუტარებლობას, მთლიანობაში, გამოძიების ეფექტიანად ჩატარებისთვის ხელი არ შეუშლია.

292. პალატა ეთანხმება განმცხადებლებს იმაში, რომ ოფიცრები, ბრონსი და ბულტსტრა, უფრო ადრე უნდა დაეკითხათ, რათა ერთის ჩვენებით მეორის გადამოწმების საშუალება პქოზოდათ და მოგვიანებით კი, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისთვის შეედარებინათ. ამ პირობებშიც კი შეუძლებელი იქნებოდა დაედგინათ, ოფიცრებმა, ბრონსმა და ბულტსტრამ, ერთმანეთში და პოლიციის სხვა ოფიცრებთან მოილაპარაკეს თუ არა, რომ გამოძიება მცდარ გზაზე დაეყυნებინათ.

293. საბოლოოდ, პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა, რადგან გამოძიება ეფექტიანად წარიმართა.

#### (b) გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარება

294. პალატა აღიარებს, რომ ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი, ქვეყნის მასტებაბით არსებული სამსახური, საკუთარი იერარქიული სისტემით - რომელიც ანგარიშვალდებულია ქვეყნის უმაღლესი საგამოძიებო ორგანოს, გენერალური პროკურატურის წინაშე - საკმარისად დამოუკიდებელია, კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

295. თუმცა, პალატამ დაადგინა, რომ გამოძიების მნიშვნელოვანი ნაწილი იმა-

## რამსაპაი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ

ვე სამსახურმა ჩაატარა საკუთარი იერარქიული ჯაჭვის გამოყენებით, რომელსაც ოფიცირები, ბრონის და ბუღლტსტრა მიეკუთვნებოდნენ (ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის სამსახური). კერძოდ, მათ სროლის ადგილი კრიმინალისტურად შეისწავლეს, მოწმეები კარდაკარ მოიძიეს, ჩაატარეს მოწმეთა თავდაპირველი დაკითხვა, პოლიციის იმ ოფიცირების ჩათვლით, რომელებიც ასევე ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის სამსახურის წევრები იყვნენ. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სხვა საგამოძიებო მოქმედებები ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის სამსახურმა ჩაატარა უკვე ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის ბრძანებით.

296. ამის გამო, და იმის გათვალისწინებით, რომ თუნდაც დამოუკიდებელი ორგანოს ზედამხედველობა საკმარისი არ იყო გამოძიების სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, პალატამ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცესუალური მხარე.

### **(c) განმცხადებელთა ჩართულობა გამოძიების პროცესში**

297. პალატა ითვალისწინებს, რომ პოლიციის ოქმებისა და საგამოძიებო მასალების გამუდავნებამ ან გამოქვეყნებამ, შესაძლოა, კერძო პირების ან სხვა, გამოძიებისთვის პრეიუდიციული ექვეჭის მქონე სენსიტიური საკითხები ნამონიოს. შესაბამისად, მე-2 მუხლის აბსოლუტური მოთხოვნა არ არის, რომ მსხვერპლის ახლო ნათესავი გამოძიების ყველა დეტალის შესახებ იყოს ინფორმირებული. ამასთანავე, საგამოძიებო ორგანოს არ მოეთხოვება, საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, გარდაცვლილის ახლო ნათესავის ყველა სურვილი გაითვალისწინოს. შესაბამისად, პალატამ მორავია რამსაპაის სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიება საკმარისად ეფექტიანად მიიჩნია.

298. პალატამ დადგენილად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს რომელიმე საგამოძიებო დოკუმენტზე საერთოდ არ მიუწვდებოდათ ხელი.

299. შედეგად, პალატამ დაადგინა: განმცხადებლებს საგამოძიებო დოკუმენტებზე საკმარისად მიუწვდებოდათ ხელი, რომ ეფექტიანად ჩართულიყვნენ იფიციერ ბრონის მიმართ დევნის არდანყების გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

### **(d) სააპელაციო სასამართლოსთან დაკავშირებული პროცედურა**

300. პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოში სამართლწარმოებისას აუცილებელი არ იყო საჯარო სხდომის ჩატარება. იგი ეთანხმება მთავრობის არგუმენტაციას, რომ პირს, რომლის მიმართაც, შესაძლოა, არსებითი განხილვა არ გამართულიყო, საჯარო სპექტაკლში მონაწილეობით თავი უხერხულად უნდა ეგრძონო.

301. სხვა საკითხია ის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლია სხდომაზე არ გამოცხადდა. როცა მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საჯარო პირი, ვისი ხელითაც ადამიანი გარდაიცვალა, სისხლის სამართლის პასუხისმებაში არ მიეცემა, ეს გადაწყვეტილება, პალატის მოსაზრებით, საზოგადოებრივი განსჯის საგანი უნდა გახდეს.

### **(e) საზოგადოებრივი პროკურორის როლი**

302. პალატამ შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ სროლის ფაქტის გამო-

ძიებაზე ზედამხედველობა იმ პოლიციის განყოფილებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ პროკუროროს დაევალა, რომელშიც ოფიცრები, ბრონსი და ბულტსტრა მუშაობდნენ. ამ შემთხვევაშიც, პალატამ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხი, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ, დევნის არდაწყების გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გადასინჯათ, აქმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.

## 2. მხარეთა არგუმენტები

### (a) განმცხადებლები

303. განმცხადებლებმა, ფაქტობრივად, პალატის წინაშე წამოყენებული არგუმენტები გაიმეორეს.

304. განმცხადებლთა არგუმენტაციით, კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო მოთხოვნები დაირღვა, რადგან სააპელაციო სასამართლომ ოფიცრების, ბულტსტრასა და ბრონსის, და ბატონი ვან დენ ჰეუველის გარდა, სხვა პირთა ჩვენებები არ განიხილა. ბატონ ვან დენ ჰეუველს გასროლის ფაქტი არც კი დაუნახავს. არ დაუკითხავთ სხვა მოწმეები, კერძოდ, მის ლიეველდი, ქალბატონი რიჯსელი, ბატონი ჩიტანი და ბატონი ვან რიჯი, მიუხედავად განმცხადებლების მოთხოვნისა, რომ ისინი სააპელაციო სასამართლოს დაეკითხა. ამ მოწმეთა ჩვენებები არ გათვალისწინებულა.

305. არ ჩატარდა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც მსგავს საქმეში, როგორც წესი, მოსალოდნელი იყო, კერძოდ: პოლიციის ოფიცერთა ხელებზე - და სავარაუდოდ, სხვა ადგილებზე - ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალის ექსპერტიზა, ინციდენტის ინსცენირება, ტყვიის ზუსტი ტრაექტორიის განსაზღვრა. საგამოძიებო მასალებში ასევე არ იყო ჩართული ტყვიის შემავალი და გამავალი ჭრილობის ამსახველი ნახატები და ფოტოსურათები, მომზადებული აუტოფსიის დროს.

306. გამოძიების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩათვლით, რომელთა გამეორებაც მოგვიანებით შეუძლებელი იყო, ჩატარეს ოფიცრებმა, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ არა მხოლოდ იმავე - ამსტერდამ/ამსტელანდის - საპოლიციო ძალას, სადაც ოფიცრები, ბრონსი და ბულტსტრა მუშაობდნენ, არამედ იმავე - ფლიერბოსდრეფის - პოლიციის განყოფილებას და, შესაბამისად, აშკარად იმავე საზედამხედველო კონტროლს ექვემდებარებოდნენ, რომელსაც ოფიცრები, ბრონსი და ბულტსტრა. განმცხადებლების არგუმენტაციით, ეს განსაკუთრებით საგანგაშო იყო იმის გამოც, რომ ოფიცრებმა შემთხვევის ადგილზე რამდენიმე მოწმეს უარი უთხრეს ჩვენების ჩამორთმევაზე - კონკრეტულად, ქალბატონ რიჯსელსა და მის ლიეველდს, და შესაძლოა სხვებსაც, რომელთა სახელების გამორკვევა ვერ მოხერხდა. მოგვიანებით ამ მოწმეთა მოძებნა განმცხადებლებსა და მათ ადვოკატს მოუხდათ.

307. რაც შეეხება ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტს, დიდი პალატის წინაშე განმცხადებლებმა აღიარეს, რომ ის ექვემდებარება უმაღლეს პროკურატურას და ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალასთან ურთიერთობისას ამ დეპარტამენტის დამოუკიდებლობის საკითხი სადაცო არ გაუხდიათ. თუმცა, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის გამოძიება იმ პროკურატურის ზედამხედველობით არ ჩატარებულა, რომელიც

დაკავშირებული არ იყო ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციასთან. გამოძიება ჩატარდა საზოგადოებრივი პროკურორის, დე ვრიეს ზედამხედველობით, რომლის პოზიციაც, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალებთან უერთიერთკავშირის გამო, ვერ ჩაითვლება დამოუკიდებლად.

308. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა ნამდვილად დაკითხა ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა. მაგრამ დაკითხვა სროლიდან საკმაო დროის შემდეგ ჩატარდა, რა დროშიც ოფიცირებს, ბრონსსა და ბულტსტრას, შესაძლებლობა ჰქონდათ ამ საქმეზე სხვებთან ემსჯელათ, პოლიციის კომისრის, ვან რეისენის ჩათვლით. ამას გარდა, ოფიცირებს - ბრონსსა და ბულტსტრას - უფლება მისცეს, მანამდე ნაკისრი ვალდებულებები დაესრულებინათ, როცა ამ დროს გამოძიება დაწყებული იყო და მათივე პოლიციის განყოფილების - ფლიერბოს-დრეეფის - ოფიცირებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფურცელზე გადაჰქონდათ.

309. რადგან გამოძიება საწყის ეტაპზე იყო, განმცხადებლებს საქმის მასალებზე და გამოძიებაში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ, მათი ადვოკატის მოთხოვნების მიუხედავად. სიტუაცია ასეთად რჩებოდა, სანამ საზოგადოებრივმა პროკურორმა არ დაადგინა, რომ პოლიციელის მიმართ დევნა არ დაიწყებოდა. მეტიც, ეს ასე გრძელდებოდა, სანამ საზოგადოებრივმა პროკურორმა არ შეატყობინა განმცხადებლებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ თანახმა იყო მათ შეხვედროდა.

310. სააპელაციო სასამართლოში სამართლწარმოების პროცესში განმცხადებლები სათანადოდ არ ჩართულან თავიანთი ინტერესების დასაცავად. მათ უარი ეთქვათ ისეთ გონივრულ მოთხოვნებზე, როგორიცაა საქმის მასალებიდან ზოგიერთი დოკუმენტისა და საგამოძიებო ლონისძიების ასლის მოთხოვნა. განმცხადებელთა მტკიცებით, ნათელი არ გახლდათ, რატომ არ იყო სამართალწარმოების ეს ეტაპი საზოგადოებისთვის საჯარო.

## (b) მთავრობა

311. მთავრობამ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ ითხოვს სახელმწიფო მოხელეთა ხელში ადამიანის გარდაცვალების ფაქტზე ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიების იმგვარად ჩატარებას, რომ ასეთი გარდაცვალების გარემოებებიდან განცალევებით მოხდეს საპროცესო სტანდარტების განხილვა.

312. ნებისმიერ შემთხვევაში, პალატის დასკვნა, რომელიც პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების დასკვნებს ეფუძნებოდა და რომლის მიხედვით, მორავია რამსაპაისთვის სასიკვდილო ქრილობის მიყენება კონვენციის მე-2 მუხლს არ არღვევდა, აჩვენებს, რომ ეს გამოძიება აკმაყოფილებდა მე-2 მუხლით მოთხოვნილ საპროცესო სტანდარტებს.

313. მორავია რამსაპაის სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიება კეთილსინდისიერი და გულისხმიერი იყო. ადგილობრივმა პოლიციამ დაუყოვნებლივ შეაგროვა შემთხვევის ადგილას ყველა მტკიცებულება და საჭირო ინფორმაცია მოიპოვა. პალატის გადაწყვეტილებაში, რომელშიც დადგინდა, რომ ადგილობრივი საპოლიციო ძალების საგამოძიებო ლონისძიებით დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, არ გათვალისწინებულა შემთხვევის ადგილას მტკიცებულებათა დაუყოვნებლივ შეგროვების განსაკუთრებული მნიშვნელობა. ადგილობრივი პოლიცია პასიურად რომ დალოდებოდა ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის მოსვლას, მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დაიკარგებოდა, კერძოდ, მოწმეები

დაიქსაქსებოდნენ, ვიდრე მათ სახელებს ჩაიწერდნენ, გაქრებოდა ფიზიკური კვალიც - ცუდი ამინდის ან იმის გამო, რომ მას ადამიანთა ფეხის კვალი წაშლიდა.

314. იმის გათვალისწინებით, რომ ინციდენტის ადგილას, უმეტეს შემთხვევებში, ადგილობრივი პოლიცია ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა მისვლამდე, ფაქტობრივად, ადგილობრივი პოლიციისათვის ჩვეული პრატიკა იყო არსებულ მტკიცებულებათა შეგროვება და გამოძიების დეპარტამენტისთვის გადაცემა, როგორც კი მისი ოფიცირები შემთხვევის ადგილას მივიდოდნენ. ეს უკანასკნელი კი საჭირო დამატებით ღონისძიებებს გაატარებდა.

315. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოიყენა ყველა საგამოძიებო მასალა, რომელიც მათ მისვლამდე მოამზადა ადგილობრივმა პოლიციამ, ოფიცერი ბრონსიც რომ მიეკუთვნებოდა. თუმცა, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა თვითონ შეასრულა ფართო-მასშტაბიანი დამატებითი საგამოძიებო ღონისძიებები და თავიდან ჩაატარა ადგილობრივი პოლიციის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც საჭიროდ ან ღირებულად მიიჩნია.

316. სიმართლეა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად შესრულებული გასაჩივრების პროცედურა საჯაროდ არ ჩატარდა. მთავრობამ ახსნა, რომ ამის მიზანი იყო იმ პირების დაცვა საზოგადოების მიერ სტიგმის მიკერძისგან, რომელთა მიმართ პროკურატურას შესაძლოა დევნა არ დაეწყო; რომლებიც, სავარაუდოდ, არ იმსახურებდნენ მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას და, შესაძლოა, ბრალიც არასწორად წაუყენეს. უდანაშაულობის პრეზუმუციის გათვალისწინებით, გონივრული იყო, რომ წონასწორობა ორი ადამიანის ინტერესებს შორის, რომელთაგან ერთი სხვის მიმართ დევნის დაწყებას ითხოვდა და მეორის მიმართ კი დევნის დაწყებას ითხოვდნენ, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადახრილიყო.

317. ეს წესი უფრო მეტად გამოიყენება საჯარო მოხელეების საქმეებში. კანონით განსაზღვრამ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელეთა მიმართ სამართალწარმოების შედეგი საჯაროდ გამოცხადდეს, შესაძლოა ავნოს მათ შემდგომ ეფექტიანობას.

318. საჯაროობის მოთხოვნა საკმარისად დაკამაყოფილდა იმით, რომ განმცხადებლები სამართალწარმოებაში მონანილებრივ და შესაძლებლობა ჰქონდათ, ეს საკითხი საზოგადოების ყურადღების საგნად ექციათ, როგორც მოიქცენ კიდევ.

319. ასევე სიმართლეა, რომ არც ინციდენტის ინსცენირება მომხდარა და არც ბალისტიკური ანგარიში მომზადებულა, თუმცა, არც ერთი საჭირო არ იყო. დადგინდა, რომ ტყვია, რომელმაც მორავია რამსაპაი მოკლა, ოფიცერ ბრონსის სამსახურებრივი იარაღიდან გავარდა; ოფიცერ ბრონსს საბედისწერო გასროლა არასოდეს უარყყვია. ინციდენტის ინსცენირებისა და ბალისტიკური ანგარიშის არარსებობას სააპელაციო სასამართლოსთვის ხელი არ შეუშლია დაედგინა, რომ ოფიცერმა ბრონსმა თავდაცვის მიზნით გაისროლა.

320. ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა, შემთხვევიდან ორი დღის დაგვიანებით დაიკითხნენ. ეს დაეფუძნა გადაწყვეტილებას - ისინი დაეკითხათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადგილზე კრიმინალისტები დაასრულებდნენ მუშაობას და მოწმეთა პირველ ჩვენებებს მოიპოვებდნენ. საჭიროების შემთხვევაში, ოფიცირებს სხვათა ჩვენებებს დაუპირისპირებდნენ და, ამგვარად, დაკითხვა უფრო ეფექტიანად წარიმართებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ არსებობდა საფუძველი

ეფიქრათ, რომ ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა, თავს აარიდებდნენ დაკითხვას ან მიიმაღლებოდნენ.

### 3. სასამართლოს შეფასება

#### (a) გამოსაყენებელი პრინციპები

321. სასამართლომ გამოსაყენებელ პრინციპებად დაადგინა (იხ. უახლესი გადაწყვეტილება, Nachova and Others v. Bulgaria [GC], № 43577/98 და № 43579/98, წე 110 და 112-13, ECHR 2005 VII, მიმართვები სხვა გადაწყვეტილებებზე გამოტოვებულია):

„110. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალებულება, კონვენციის 1-ლი მუხლით დადგენილ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად - „თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოს ამ კონვენციით ... განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების [დაცვა]“ - გულისხმობს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარებას, როცა ადამიანის სიკვდილი ძალის გამოყენების შედეგია. .... ამგვარი გამოძიების არსებითი მიზანია, სიცოცხლის უფლების დაცვაზე ორიენტირებული ადგილობრივი კანონების ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველყოფა საქმეებში, რომლებშიც ხელისუფლების ორგანოები ან მოხელეები ფიგურირებენ, რათა მოხდეს მათი პასუხისმგებლობით ადამიანის გარდაცვალებისთვის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. ....

...

112. იმისთვის, რომ გამოძიება სახელწიფო მოხელეთა მიერ - სავარაუდოდ, უკანონო მკვლელობის ფაქტზე - ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები და უშუალო შემსრულებლები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძობლები, როგორც კანონით, ისე პრაქტიკაში ...

113. გამოძიება ეფექტიანი უნდა იყოს იმ მნიშვნელობითაც, რომ გამოძიებით უნდა დადგინდეს, გამოყენებული ძალა იყო თუ არა გამართლებული კონკრეტულ გარემოებებში და გამოძიებისას უნდა მოხდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასკვა ... ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიეღოთ მათთვის ხელმისაწვდომი ყველა ღონისძიება ინციდენტის შესახებ მტკიცებულებების შესაგროვებლად, *inter alia* თვითმხილველთა ჩვენებებისა და კრიმინალისტური მოკვლევის ჩატვლით. გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის გულმოდგინები, ობიექტურ და მიუკერძობელ ანალიზს და გამოყენებული უნდა იყოს „არაუმტეტეს აპსოლუტური აუცილებლობის“ სტანდარტი, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნაა. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის საქმის გარემოებების დადგენას და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენას, ეფექტიანობის მოთხოვნას არღვევს „“.

სასამართლომ ასევე გამოიყენა შემდეგი პრინციპი (იხ. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, Anguelova v. Bulgaria, № 38361/97, § 140, ECHR 2002 IV):

„140. გამოძიება ან მისი შედეგები საქმარისი დოზით უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ კონტროლს, რათა მოხდეს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაში; შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამართლის უზენაესობის დაცვის მიმართ

და მოხდეს უკანონო ქმედებებზე ნებისმიერი შეთქმულების ან მათი შეწყნარების ნებისმიერი გამოვლინების პრეცენცია. მოთხოვნილი საზოგადოების კონტროლის ხარისხი, შესაძლოა, საქმეების შესაბამისად განსხვავდებოდეს. თუმცა, ყველა საქმეში, მსხვერპლის ახლო ნაოესავი საპროცესო ქმედებებში იმდენად უნდა იყოს ჩართული, რომ მისი კანონიერი ინტერესების დაცვა მოახერხოს ...“

322. სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ვალდებულება - საგამოძიებო ორგანოებმა ჩატარონ სწრაფი და ეფექტური გამოძიება ძალის გამოყენების შედეგად ადამიანის გარდაცვალების ფაქტზე და წამოიწყონ ან გაააქტიურონ საპროცესო ქმედებები, რომლებიც შესაბამისი იქნება საქმის გარემოებებთან - დამოკიდებული არ არის იმაზე, დადგინდა თუ არა, რომ ძალის ამგვარი გამოყენებით დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

### (b) გამოძიების ეფექტიანობა

323. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, განმარტოს გამოძიების ეფექტიანობის შინაარსი და ფარგლები.

324. კონვენციის მე-2 მუხლით „ეფექტიანობა“ ნიშნავს იმას, რომ ამ მუხლის საფუძველზე, გამოძიება ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობით დამდგარ სიკვდილის ფაქტზე, პირველ რიგში, უნდა იყოს ადეკვატური. ანუ გამოძიებით შესაძლებელი უნდა გახდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. ეს არის არა შედეგზე, არამედ საშუალებებზე მიმართული ვალდებულება. ხელისუფლების ორგანოებმა მათ ხელთ არსებული ყველა გონივრული ნაბიჯი უნდა გადადგან, რომ მოახერხონ ინციდენტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების მოპოვება. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს შეუშლის დამნაშავის ან დამნაშავეთა გამოვლენას, შექმნის ამ სტანდარტის დარღვევის საშიშროებას (იხ. Tahsin Acar v. Turkey [GC], № 26307/95, § 223, ECHR 2004 III).

325. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტიანად“ ჩაითვალოს, ზოგადად აუცილებელია, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები დამოუკიდებელი იყვნენ ინციდენტში მონაწილე პირებისაგან. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობა, არამედ პრაქტიკული დამოუკიდებლობაც (იხ. Tahsin Acar, ციტირებულია ზემოთ, § 222). ამ შემთხვევაში საშიშროება ემუქრება საზოგადოების ნდობას ძალის გამოყენებაზე სახელმწიფოს მონოპოლიის მიმართ.

### (i) გამოძიების ადეკვატურობა

326. განმცხადებლებმა სწორად აღნიშნეს, რომ არ ჩატარებულა რამდენიმე კრიმინალისტური მოკვლევა, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოსალოდნელი იყო სხვა მსგავს საქმეში. კერძოდ, გამოძიებას ტყვიის ზუსტი ტრაექტორიის დადგენა არ უცდია (რაც, განმცხადებელთა მტკიცებით, შესაძლებელი იქნებოდა); ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას, ხელებზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალი არ შეუსწავლია; საგამოძიებო მასალებში არ ჩაურთავს ოქმი ოფიცირ ბრონსის სამსახურებრივი იარაღისა და აღჭურვილობის ან გახარჯული მასრის შესწავლის შესახებ; აუტოფსიის შესახებ ოქმი არ ერთვოდა საბედისწერო ტყვიით გამოწვეული შემავალი და გამავალი ჭრილობების ამსახველი ნახატები ან ფოტოები; არ მომხდარა ინციდენტის ინსცენირება; დაბოლოს, ოფიცირები,

ბრონსი და ბულტსტრა, დაიკითხნენ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ საბე-დისწერო გასროლიდან, რა დროშიც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ინციდენტი ერთმანეთში ან სხვებთან განეხილათ.

327. სიმართლეა, რომ ტყვიის ტრაექტორიის დადგენა საგამოძიებო ორგა-ნოებს არ უცდიათ. საკითხავია, რამდენად იქნებოდა ამის დადგენა შესაძლე-ბელი არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რადგან ტყვიამ, მას შემდეგ, რაც მორავია რამსაპაის მოხვდა, არანაირი კვალი არ დატოვა, გარდა ფანჯრის ჩა-მტვრეული მინისა (იხ. ზემოთ პუნქტი 230).

328. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლების მიერ აღნიშნული სხვა კრიმინალისტური მოქმედებების ჩაუტარებლობამ გამოძიების ადეკვატუ-რად წარმართვას ხელი შეუშალა. ამ საკითხზე დიდი პალატის დასკვნა განსხვა-ვებულია პალატის დასკვნისაგან.

329. მთავრობას არ განუმარტავს, რატომ არ შეისწავლეს ოფიცირის ხელებზე გასროლის კვალი, ან რატომ არ მოხდა ინციდენტის ინსცენირება. ასე-ვე, არ განმარტებულა, რატომ არ შეისწავლეს ამ ოფიცირების იარაღი (იხ. ზემოთ პუნქტი 236) ან აღჭურვილობა, ან რატომ არ დასურათდა ადეკვატურად მორა-ვია რამსაპაის სხეულზე ტყვიით მიყენებული ტრავმა (იხ. ზემოთ პუნქტი 224).

330. მეტიც, ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა, ინციდენტის შემდეგ ერთ-მანეთს არ დააშორეს და დაკითხეს შემთხვევის მომენტიდან, დაახლოებით, სამი დღის შემდეგ (იხ. ზემოთ პუნქტები 94 და 107). მიუხედავად იმისა, როგორც უკვე ალინიშნა, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმის დამადასტურებლად, რომ ოფიცირები ერთმანეთსა ან ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების სხვა ოფიცირებთან შეთქმულებაში იყვნენ, ის უპრალო ფაქტი, რომ შესაბამისი ნაბიჯები არ გადადგმულა ამგვარი შეთქმულების რისკის შესამცირებლად, სე-რიოზული ნაკლოვანებაა გამოძიების ადეკვატურობის თვალსაზრისით.

331. გამოძიების ეს ხარვეზები მეტ მნიშვნელობას იძენს იმის გამოც, რომ არ არსებობენ მოწმეები, რომლებმაც ახლოდან დაინახეს საბედისწერო გასროლის ფაქტი, ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას გარდა. სასამართლომ უკვე გა-ამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ შეუსაბამობა იყო ოფიცირების, ბრონსისა და ბულტსტრას - რომლებიც აცხადებდნენ, რომ ოფიცირმა ბრონსმა გაისროლა - და ოფიცირების, ბრაამისა და ვან დაალის ჩვენებებს შორის, რომელთა თანახმად, მათ გაიგონეს, როგორ გადასცა ოფიცირმა ბულტსტრამ რადიოთი, რომ გაისრო-ლა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება ითხოვა (იხ. ზემოთ პუნქტი 275).

332. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი დაირღვა იმ თვალსაზრისით, რომ გამოძიება მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე წარიმართა არაადეკვატურად.

#### (ii) პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობა

333. ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის დამოუკიდებ-ლობის საკითხი დიდი პალატის წინაშე სადაცო არ გამხდარა. თავის მხრივ, ვერც დიდი პალატა ხედავს რამე მიზეზს, რომ ამ საკითხზე პალატისგან განსხვავე-ბული დასკვნა გამოიტანოს.

334. თუმცა, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი გამო-ძიებაში ჩაერთო მორავია რამსაპაის გარდაცვალებიდან 15,5 საათის შემდეგ (იხ. ზემოთ პუნქტი 89). მთავრობას ამ დაგვიანების მიზეზი არ აუხსნია.

335. სადაცო არ გამხდარა ფაქტი, რომ გამოძიების არსებითი ნაწილი ჩა-

ატარა იმავე - ამსტერდამ/ამსტელანდის - პოლიციამ, რომელსაც ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრაც მიეკუთვნებოდნენ. კერძოდ, მათ შემთხვევის ადგილი კრიმინალისტურად შეისწავლეს, მოწმები კარდაკარ მოიძიეს და ჩაატარეს მოწმეთა თავდაპირველი დაკითხვა, ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ოფიცერთა ჩათვლით (იხ. ზემოთ პუნქტი 26-88).

336. გამოძიების ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტისათვის გადაბარების შემდეგ დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები კიდევ ჩაატარა ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციამ, ოღონდ ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის ბრძანებითა და უშუალო ხელმძღვანელობით (იხ. ზემოთ პუნქტი 89).

337. სასამართლომ ერთ საქმეში უკვე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ნაწილის დარღვევად ფაქტი, რომ საჯარო ორგანოს პასუხისმგებლობით დამდგარ სიკვდილის ფაქტზე გამოძიება სავარაუდო დამნაშავეთა პირდაპირმა კოლეგებმა ჩაატარეს (იხ. Aktaş, ციტირებულია ზემოთ, § 301). დადგინდა, რომ სხვა, თუნდაც დამოუკიდებელი ორგანოს ზედამხედველობა საკმარისი გარანტია არ იყო გამოძიების დამოუკიდებლობისათვის (იხ. Hugh Jordan v. the United Kingdom, № 24746/94, § 120, 4 მაისი, 2001, და McKerr v. the United Kingdom, № 28883/95, § 128, ECHR 2001-III).

338. მართალია, ადგილობრივი პოლიციის დავალდებულებით - პასიურნი ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი გამომძიებლების მისვლამდე - შესაძლოა, მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დაკარგულიყო ან განადგურებულიყო, მაგრამ მთავრობამ არ მიუთითა რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რის გამოც წინამდებარე საქმეში საჭირო იყო ადგილობრივი პოლიციის დაუყოვნებელი მოქმედება შემთხვევის არეალის დაცვის მიღმა; სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ამ საკითხის აპსტრაქტულად განხილვას.

339. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ იმავე სახელმწიფოს მიმართ განხილულ სხვა საქმეში ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტი შემთხვევის ადგილსა საცდისწერო გასროლიდან 4,5 საათში მიყიდა (იხ. Romijn v. the Netherlands (dec.), № 62006/00, 3 მარტი, 2005). ამას გარდა, როგორც იუსტიციის მინისტრმა პარლამენტს განუცხადა, ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტს შემთხვევის ადგილებზე გასვლა, საშუალოდ, სულ ცოტა, საათ-ნახევარში შეუძლია. ამის ფონზე, 15,5 საათით დაგვიანება დაუშვებელია.

340. რაც შეეხება ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების საგამოძიებო მოქმედებებს, მას შემდეგ, რაც გამოძიება ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა, სასამართლო ადგენტს: დეპარტამენტის შემდგომი მონაწილეობა საკმარისი არ არის, რომ დაჩრდილოს ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციის ძალების დამოუკიდებლობის არარსებობა.

341. მხოლოდ ამ საფუძვლებით, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან პოლიციის გამოძიება არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი.

### (iii) საზოგადოებრივი პროცესურორის როლი

342. პოლიცია გამოძიებას ატარებდა ამსტერდამის საზოგადოებრივი პროცესურორის ზედამხედველობით, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონკრეტულად ფლიერბოსდრეფის პოლიციის განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 89). გადაწყვეტილება ოფიცერ ბრონსის მიმართ დევნის

არდანყების შესახებ მიიღო იმავე საზოგადოებრივმა პროკურორმა, მთავარი საზოგადოებრივი პროკურორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით (იხ. ზემოთ პუნქტი 237).

343. ჰოლანდიაში საზოგადოებრივ პროკურატურას - მიუხედავად იმისა, სრული სასამართლო დამოუკიდებლობით არ სარგებლობს (იხ. ზემოთ პუნქტი 250) - აქვს საკუთარი, პოლიციისაგან განცალკევებული იერარქიული ჯაჭვი და სისხლის სამართლებრივ და სამართლწარმოების უზრუნველყოფის ოპერატორულ საკითხებზე პოლიცია მის ბრძანებებს ექვემდებარება (იხ. ზემოთ პუნქტები 251 და 252).

344. საზოგადოებრივი პროკურორები, ინფორმაციის მიღებისა და დახმარების თვალსაზრისით, დამოკიდებული არიან პოლიციაზე. ეს თავისთავად საკმარისი არ არის დასკვნისათვის, რომ მათ აკლიათ დამოუკიდებლობა პოლიციასთან მიმართებით. თუმცა, პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, როცა საზოგადოებრივ პროკურორს მტკიდრო სამსახურებრივი ურთიერთობები აკავშირებს პოლიციის რომელიმე ძალასთან.

345. წინამდებარე საქმეში უმჯობესი იქნებოდა, გამოძიებაზე ზედამხედველობა ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიციასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ პროკურორს არ ენარმოებინა, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ამსტერდამ/ამსტელანდის პოლიცია თვითონ იყო გამოძიებაში ჩართული. ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას ჰოლანდიის საზოგადოებრივი სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხსა და იმ ფაქტს, რომ გამოძიებაზე საბოლოო პასუხისმგებლობა მთავარ საზოგადოებრივ პროკურორს ეკისრებოდა. მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობდა დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ გადასინჯვის შესაძლებლობა და განმცხადებლებმა ეს რეალურად გამოიყენეს.

346. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

### (c) განმცხადებლების ჩართულობა

347. პოლიციის ოქმებისა და საგამოძიებო მასალების გამუდავნებამ ან გამოქვეყნებამ, შესაძლოა, კერძო პირების ან სხვა, გამოძიებისთვის პრეიუდიციული ეფექტის მქონე სენსიტიური საკითხები წამონიოს. შესაბამისად, მე-2 მუხლის ავტომატური მოთხოვნა არ არის, გარდაცვლილი მსხვერპლის ახლო ნათესავებს საგამოძიებო მასალებზე ხელი მიუწვდებოდეთ. საზოგადოების და მსხვერპლის ნათესავთა მასალებზე საჭირო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხდება საპროცესო მოქმედებების სხვა ეტაპებზე (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, McKerr, ციტირებული ზემოთ, § 129).

348. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მე-2 მუხლი საგამოძიებო ორგანოებს ავალდებულებს, დაკმაყოფილონ მსხვერპლის ნათესავების მიერ გამოძიების პროცესში დაყენებული ყველა მოთხოვნა კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ.

349. პალატამ დაადგინა: განმცხადებლებს გამოძიების მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე საკმარისად მიუწვდებოდათ ხელი, რომ ეფექტიანად ჩართული ყვნენ ოფიციერ ბრონსის მიმართ დევნის არდანყების გადაწყვეტილების გასაჩივრებაში. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე დამატებითი არგუმენტაცია არც ერთმა მხარემ არ წარმოადგინა. შესაბამისად, იგი ეთანხმება პალატის დად-

გენილებას და ამ საკითხის სხვაგვარად გადასაწყვეტად, მიზეზს ვერ ხდავს.

350. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

#### (d) სააპელაციო სასამართლოსთან დაკავშირებული პროცედურები

351. დიდი პალატის წინაშე დაისაცა საკითხი, უნდა ყოფილიყო თუ არა საჯარო სა-აპელაციო სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესი.

352. სასამართლო ქვემოთ განიხილავს საკითხს - გამოიყენება თუ არა მე-6 მუხლი პოლანდიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე წარმოებულ პროცედურასთან მიმართებით. თუმცა, კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლო ეთანხმება პალატას, რომ ამგვარი პროცედურა არ უთანაბრდება სისხლის სამართლებრივ დევნას და იგი უბრალოდ იმის საშუალებას იძლევა, გასაჩინოდეს გადაწყვეტილება დევნის არდაწყების შესახებ.

353. მე-2 მუხლი არ ითხოვს, რომ ძალის გამოიყენებით სიკვდილის ფაქტზე მოკვლევის შემდგომ ყველა პროცედურა საჯარო იყოს. როგორც, მაგალითად, საქმეში Anguelova (ციტირებულია ზემოთ, იხ. პუნქტი 321) დადგინდა, გამოიძიება ან მისი შედეგები საქამისი დოზით უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ კონტროლს, რათა მოხდეს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაში; შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამართლის უზენაესობის დაცვის მიმართ და მოხდეს უკანონო ქმედებებზე ნებისმიერი შეთქმულების ან მათი შეწყნარების ნებისმიერი გამოვლინების პრევენცია. მოთხოვნილი საზოგადოების კონტროლის ხარისხი შესაძლოა საქმეების მიხედვით განსხვავდებოდეს.

354. წინამდებარე საქმეში, სასამართლო პალატას ეთანხმება, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის პროცესის საჯაროობა აუცილებელი არ იყო. თუმცა, პალატისაგან განსხვავებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება იყო აუცილებელი. განმცხადებლებს სრულად მიუწვდებოდათ ხელი საგამოძიებო მასალებზე და ეფექტიანად შეეძლოთ სააპელაციო სასამართლოს განხილვაში მონაწილეობა; მათ მიეწოდათ დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მცირე იყო აღბათობა, რომ საქმეში ჩართულ რომელიმე ორგანოს სააპელაციო სასამართლოსა ან განმცხადებლებისგან შესაბამისი ინფორმაცია დაემალა. ამას გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებს თვითონ შეეძლოთ ამ გადაწყვეტილების გასაჯაროება, სასამართლო მიიჩნევს: საჯაროობის მოთხოვნა საკმარისად დაემაყოფილდა, რომ პოლანდიის შესაბამისი ორგანოების მიერ ფაქტის არასათანადო გაშუქების საფრთხე მოხსნილიყო.

355. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

#### (e) დასკვნა

356. მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე გამოიძიებისას რამდენიმე სტანდარტი დაირღვა, კერძოდ, გამოძიება არააღეკვატური იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 332) და მისი ნაწილი ჩაატარა იმ პოლიციამ, რომელსაც ოფიცირები, ბრონისი და ბულტსტრაც მიეკუთვნებოდნენ (იხ. ზემოთ პუნქტი 341). ამ საკითხებთან

მიმართებით, სახელმწიფომ ვერ შეძლო კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი სა-პროცესო ვალდებულებების შესრულება.

357. თუმცა, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა იმ ნაწილში, რომ გამოძიებას ზედამხედველობდა საზოგადოებრივი პროკურორი, რომელთანაც ოფიცირები, ბრონსი და ბულტატრა, ისევე როგორც მათი კოლეგები, სამსახურებრივად იყვნენ დაკავშირებული იხ. ზემოთ პუნქტი 346). მე-2 მუხლი ასევე არ დარღვეულა: საგამოძიებო მასალებზე განმცხადებელთა ხელმისაწვდომობის პირობების გამო (იხ. ზემოთ პუნქტი 350); იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე წარმოებული პროცედურა საჯარო არ იყო; და არც იმიტომ, რომ სააპელაციო სასამართლოს 1999 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოცხადებულა (იხ. ზემოთ პუნქტი 355).

## II. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

358. მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„1. სამოქალაქო უფლებათა და მიგალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა, მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამოდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირად ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაფიოდ აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმაჯულების ინტერესებს.

...“

### 1. პალატის გადაწყვეტილება

359. პალატამ დაადგინა, რომ ჰოლანდიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე წარმოებული პროცედურა სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს არ განსაზღვრავდა და მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამოქალაქო სამართალწარმოება წამოენტყოთ. შესაბამისად, სამოქალაქო კუთხით, წინამდებარე საქმეში მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა. მე-6 მუხლი არც სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით გამოიყენებოდა თვით ამ დებულების შინაარსიდან გამომდინარე, რადგან მასში ტერმინი „მისი საქმის“ მიანიშნებს, რომ იგი იცავს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს.

### 2. სასამართლოს გადაწყვეტილება

360. ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებითი არგუმენტაცია დიდი პალატისათვის არც ერთ მხარეს არ წარმოუდგენია. სასამართლო, თავის მხრივ, ვერ

ხედავს საფუძველს, რომ პალატის გადაწყვეტილებისაგან განსხვავებულ დასკვნამდე მივიდეს; შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენება.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის საპარაულო დარღვევა

361. კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

#### 1. პალატის გადაწყვეტილება

362. პალატამ, შენიშნა რა, რომ განმცხადებლების მიერ ამ დებულების თანახმად წარმოდგენილი საჩივრები ემთხვეოდა მე-2 მუხლის საფუძველზე წარდგენილ საჩივრებს სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა, ეს საკითხი მე-2 მუხლის ქვეშ განხილა. მან დაადგინა, რომ საქმეში მე-13 მუხლთან დაკავშირებული ცალკე მდგომი საკითხი არ არსებობდა.

#### 2. სასამართლოს გადაწყვეტილება

363. სასამართლო, პალატის მსგავსად, მიიჩნევს, რომ საქმეში მე-13 მუხლთან დაკავშირებული ცალკე მდგომი საკითხი არ არსებობს.

### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

364. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

#### A. ზაიანი

##### 1. პალატის გადაწყვეტილება

365. პალატამ ყველა განმცხადებელს ერთად 20 000 ევრო მიაკუთვნა არამატერიალური ზაიანის სანაცვლოდ.

##### 2. განმცხადებლების მოთხოვნები

366. განმცხადებლები დიდი პალატის წინაშე, პალატის მსგავსად, ითხოვდნენ

30 000 ევროს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, მათ მოთხოვნა არ დაუყენებიათ.

367. მთავრობამ განმცხადებლების მოთხოვნას გადაჭარბებული უწოდა. მან პალატის მიერ განსაზღვრული თანხაც დიდ ოდენობად მიიჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ მოხდა მხოლოდ საპროცესო დარღვევები.

### **3. სასამართლოს გადაწყვეტილება**

368. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო განმცხადებლებს მიაკუთვნებს 20 000 ევროს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ, ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

## **B. ხარჯები და დანახარჯები**

### **1. პალატის გადაწყვეტილება**

369. პალატა განმცხადებლებს ანიჭებს 8 000 ევროს, მინუს 701 ევრო, რომელიც მათ მიიღეს ევროპის საბჭოსაგან სამართლებრივი დახმარების ფორმით. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

### **2. განმცხადებლების მოთხოვნები; დიდი პალატის წინაშე დაყენებული არგუმენტები**

370. განმცხადებლები ითხოვდნენ 1 818.18 ევროს, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, შიდა სამართალწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით; ეს თანხა მათ გაიღეს სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას. პალატის წინაშე საქმის წარმოებისას დანახარჯების ასანაზღაურებლად ისინი ითხოვდნენ 11 872.10 ევროს, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, მინუს 701 ევრო, რომელიც მათ მიიღეს ევროპის საბჭოსაგან სამართლებრივი დახმარების ფორმით.

371. დამატებით ისინი ითხოვდნენ 1 800 ევროს დიდ პალატაში საქმის წარმოებისას იურისტებისთვის გადახდილი თანხების ასანაზღაურებლად, ამას ემატებოდა 900 ევრო - მგზავრობისა და სტრასბურგში ცხოვრების ხარჯი დიდი პალატის მოსახლეობზე დასასწრებად.

372. ამგვარად, მოთხოვნილი თანხა სულ შეადგენდა 15 682.28 ევროს, რომელსაც აკლდებოდა ევროპის საბჭოსაგან სამართლებრივი დახმარების ფორმით მიღებული თანხა პალატისა და დიდი პალატის წინაშე საქმისწარმოებისთვის.

373. მთავრობას ამ მოთხოვნებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

### **3. სასამართლოს გადაწყვეტილება**

374. დიდი პალატა იზიარებს პალატის გადაწყვეტილებას მანამდე (პალატის გადაწყვეტილებამდე) განეულ ხარჯებსა და დანახარჯებთან დაკავშირებით.

375. სასამართლოს რეგლამენტის მე-60 წესის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

”...

2. განმცხადებელმა მოთხოვნაში დაყუნებულ თითოეულ საკითხზე უნდა წარმოადგინოს დეტალური აღნერა, ნებისმიერ დამხმარე დოკუმენტთან ერთად, დროის იმ ფარგლებში, რომელიც დადგენილია არსებითი განიხლვისთვის განმცხადებლის არგუმენტაციის წარმოსადგენად, თუ პალატის თავმჯდომარე სხვა-გვარად არ გადაწყვეტს.

3. თუ განმცხადებელი პირველ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს ვერ აქმაყოფილებს, პალატას უფლება აქვს, მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ არ დააკმაყოფილოს.” ...

376. სასამართლომ განმცხადებლების მოთხოვნები დიდ პალატაში სამართალისარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, რეგლამენტის მე-60 წესის მე-2 პუნქტში დადგენილი ვადის დარღვევით მიიღო და ამ დაგვიანების მიზეზი განმცხადებლებს არ უჩვენებიათ. შესაბამისად, სასამართლო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს.

377. შესაბამისად, ანაზღაურდება ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც განმცხადებლებს მიადგათ პალატის გადაწყვეტილებამდე. სასამართლო პალატის გადაწყვეტილებას - 8 000 ევროს გამოაკლდეს ევროპის საბჭოსაგან სამართლებრივი დახმარების ფორმით მიღებული 701 ევრო - გონივრულად მიიჩნევს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლებმა დამატებითი სამართლებრივი დახმარებისთვის ხარჯები წინამდგებარე სამართლწარმოების დროსაც გაიღეს.

378. ამგვარად, სასამართლო განმცხადებლებს ანიჭებს 7 299 ევროს ხარჯებისა და დანახარჯებისათვის, რასაც დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

### C. საურავი

379. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## სენატული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად ადგენს, რომ მორავია რამსაპაისთვის სროლით კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა;
2. ადგენს ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან გამოძიება მორავია რამსაპაის გარდაცვალების ფაქტზე არ იყო ადეკვატური;
3. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან მორავია რამსაპაის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება არ იყო საქმარისად დამოუკიდებელი;
4. ადგენს ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი, მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე პოლიციის გამოძიების შესახებ ზედამხედველი საზოგადოებრივი პროცერორის პოზიციასთან მიმართებით;
5. ადგენს ერთხმად, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი გამოძიებაში

## რამსაპაი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ

- მორავია რამსაპაის ნათესავების ჩართულობასთან მიმართებით;
6. ადგენს თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი საპელაციო სასამართლოში სამართლწარმოებასთან მიმართებით;
  7. ადგენს ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ არ გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლი;
  8. ადგენს ერთხმად, რომ საქმეში არ არსებობს მე-13 მუხლთან დაკავშირებული ცალკე მდგომი საკითხი;
  9. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ:
- (a) მოპასუხე სახელმწიფომ ყველა განმცხადებელს ერთად სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხა:
- (i) 20 000 (ოცი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ;
  - (ii) 7 299 (შვიდი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად;
  - (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხები;
- (b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდის დღე-მდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
10. უარყოფს ერთხმად განმცხადებლების მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაქმაყოფილებასთან დაკავშირებით.
- შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, ლია სხდომაზე, 2007 წლის 15 მაისს.

### **მაიკლ ო'ბორნი**

რეგისტრატორის მოადგილე

### **ჟან-პოლ კოსტა**

თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლმენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთეულის შემდეგი განსხვავებული აზრები:

- (a) მოსამართლების: როზაკისის, ბრაცას, ლორენცენისა და ვაჯიჩის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (b) მოსამართლეების: კოსტას, ბრაცას, ლორენცენისა და ტომასენის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (c) მოსამართლეების: კაბრალ ბარეტოს, ბოტურიაროვას, მულარონისა და ჯოშენეს ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (d) მოსამართლეების: ჯოშენესა და პოპოვიჩის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (e) მოსამართლე ტომასენის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

**მოსამართლების:** როზაკისის, ბრაცას, ლორენცენისა და ვაჯიჩის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

1. ჩვენ ხმა არ დაუუჭირეთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ წინამდებარე საქმეში მე-6 მუხლი არ გამოიყენება.
2. განმცხადებლებმა პალატის წინაშე დააფიქსირეს კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებული საპროცესო საჩივრები და, დამატებით, მე-6 მუხლის დარღვევაზეც გაამახვილეს ყურადღება. პალატამ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი ამ საქმეში არ გამოიყენებოდა არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლებრივი კუთხით და განაცხადის ამ ნაწილზე უარი თქვა. დიდი პალატის წინაშე არც ერთ მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ამ მუხლთან დაკავშირებით. სასამართლოს უმრავლესობამ გაიზიარა პალატის დადგენილება მე-6 მუხლთან დაკავშირებით. რადგან მე-6 მუხლთან დაკავშირებით საჩივარი ცალკე არ წარდგენილა დიდი პალატის წინაშე და ის, ნებისმიერ შემთხვევაში, არაფერს შემატებდა მე-2 მუხლთან დაკავშირებით განხილულ საჩივარს, ვისურვებდით, უბრალოდ დაგვეგმინა, რომ საჭირო არ იყო საქმის ცალკე, მე-6 მუხლთან დაკავშირებით განხილვა.

**მოსამართლეების:** კოსტას, ბრაცას, ლორენცენისა და ტომასენის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

1. ვერ დავთანხმებით დიდი პალატის უმრავლესობას, რომ კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო მოთხოვნა დაირღვა იმ საფუძვლით, რომ მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე გამოიხიება იყო არაადეკატური.
2. მე-2 მუხლის საპროცესო ვალდებულებებთან დაკავშირებული პრინციპები კარგად არის დადგენილი სასამართლოს პრეცედენტზე სამართალში. სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, სახელმწიფოს 1-ლი მუხლით ნაკისრ ზოგად ვალდებულებასთან ერთად - უზრუნველყოს კონვენციაში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა - გულისხმობს იმას, რომ უნდა ჩატარდეს ეფექტიანი სახელმწიფო გამოიხიება ძალის გამოყენების შედეგად ადმინის გარდაცვალების ფაქტზე. იმისათვის, რომ მკვლელობის გამოიხიება იყოს „ეფექტიანი“, გამოიხიებაზე პასუხისმგებელი პირი დამოუკიდებელი და მოუკერძობელი უნდა იყოს როგორც კანონით, ასევე პრატიკული. თუმცა, გამოიხიება იმ თვალსაზრისითაც უნდა იყოს „ეფექტიანი“, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი გახდეს იმის დადგენა, იყო თუ არა ძალის გამოყენება გამართლებული არსებულ გარემოებებში; გამოიხიებით უნდა მოხდეს სიკვდილზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინამდებარე საქმეში სწორედ „ეფექტიანობის“ მოთხოვნის ამ უკანასკნელი ასპექტის შესახებ (გადაწყვეტილებაში ამ ასპექტს „გამოიხიების „ადეკვატურობის“ ქრილში განიხილავენ) მიიჩნია სასამართლოს უმრავლესობამ, რომ იყო არ დაკავშირდა.
3. გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმას, რომ მე-2 მუხლის საპროცესო ვალდებულება ორიენტირებულია არა შედეგზე, არამედ საშუალებაზე. სასამართლოს პრეცედენტზე სამართლიდან ნათელი ხდება, რომ გამოიხიებამ კონვენციის ეფექტიანობის ან ადეკვატურობის მოთხოვნები, შესაძლოა, დააკამყოფილოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყველა საგამოიხიებო ღონისძიება არ ჩატარებულა. გამოიხიების ხარვეზი ან ნაკლი კონვენციის საპროცესო ვალდებულების დარღვევას იწვევს მხოლოდ მაშინ, როცა მის გამო მკვლელობასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა ვერ ხერხდება ან დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი არ დაისმის. ასეა ეს თუ არა, უნდა შეფასდეს ცალკეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა ფონზე.

4. განმტცხადებლებმა დიდი პალატის წინაშე ხაზი გაუსვეს მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე კრიმინალისტური და სხვა ტიპის გამოძიების ექვს სავარაუდო ხარვეზს. კერძოდ, (i) გამოძიებას არ უცდია ტყვიის ზუსტი ტრაექტორიის დადგენა, (ii) ოფიცირების, ბრონისისა და ბულტსტრას ხელებზე სროლის კვალი არ შემონმებულა, (iii) არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ოფიცერ ბრონისის სამსახურებრივ იარაღს, ალფურვილობას ან გამოყენებულ მასრას ექსპერტიზა ჩაუტარდა, (iv) აუტოფსის შესახებ ოქმი არ არსებობდა საბედისწერო ტყვიის შემავალი ან გამავალი ჭრილობების ამსახველი ფოტომასალა ან ნახატები, (v) ინციდენტის ინსცენირება არ მომხდარა, და (vi) ოფიცერები, ბრონისი და ბულტსტრა, შემთხვევის მომენტიდან რამდენიმე დღე არ დაუკითხავთ, რა დროშიც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ინციდენტი ერთმანეთში და სხვებთან განხილათ.
5. ვეთანმებით განცხადებლების პირველი არგუმენტის უარყოფას როგორც პალატის, ასევე დიდი პალატის მიერ, ამ საფუძვლით, რომ გაურკვეველი იყო, არსებული ინფორმაციის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ტყვიის ტრაექტორიის დადგენა, რადგან მას შემდეგ, რაც მორავია რამსაპაის მოხვდა, ტყვიას არანაირი კვალი არ დაუტოვებია, გარდა ფანჯრის გატეხილი მინისა.
6. რაც შეეხება სხვა ხარვეზებს, ამ საკითხებზე დიდი პალატის დასკვნები პალატის დასკვნებისაგან განსხვავდება. დიდი პალატის უმრავლესობამ დეტალური დასაბუთების გარეშე დაასკვნა, რომ მთავრობას არ აუხსნა ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობის მიზეზები (პუნქტი 329) და ამით ხელი „შემალა გამოძიების ადეკვატურად წარმართვას“ (პუნქტი 328).
7. მიუხედავად იმისა, მივიჩნევთ, რომ (ii) და (iii) პუნქტად ჩამოყალიბებული კრიმინალისტური ექსპერტიზები არა მხოლოდ ზოგადად მნიშვნელოვანი, არამედ გასროლით მკვლელობისას ეფექტიანი გამოძიების გარდაუვალი ელემენტებია, ვიზიარებთ პალატის მოსაზრებას, რომ ამგვარი ექსპერტიზების ჩაუტარებლობას მორავია რამსაპაის სიკვდილის ფაქტზე გამოძიების ადეკვატურობისთვის ხელი არ შეუშლია. ოფიცერების, ბრონისისა და ბულტსტრას და ოფიცერების, ბრამისა და ვან დაალის ჩვენებათა შერის შეუსაბამობის მიუხედავად, რაზეც მითითებულია გადაწყვეტილების 331-ე პუნქტში, გამოძიებამ ცალსახად დაადგინა - და სადაც არ გამხდარა - რომ ინციდენტისას ოფიცერმა გაისროლა ერთი ტყვია, რამაც სიკვდილი გამოიწვია; ტყვია გაისროლა ოფიცერმა ბრონისმა და მისი სამსახურ-ბრიგი იარაღი, რომლის მზიდშიც კვლავ იყო რვიდან შვიდი ტყვია, ერთ გახარჯულ მასრასთან ერთად, გადაეცა რიჯსვიჯკის კრიმინალისტურ ლაბორატორიას (იხ. პალატის გადაწყვეტილების პუნქტები 234-38 და 263). ამ გარემოებებში, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა უნდა გამოვლინა ოფიცერთა ხელებზე ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის კვალის ექსპერტიზას.
8. ინციდენტის - რასაც სიკვდილი მოჰყვა - ინსცენირება ასევე შესაძლებელია ეფექტიანი გამოძიების მნიშვნელოვანი ელემენტი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობენ, ან შესაძლებელია იქვე ყოფილიყვნენ, ამ ფაქტის თვითმხილველები და მათი მეხსიერება მოვლენათა განვითარების შესახებ, შესაძლოა, ინსცენირებით განახლდეს ან გამოიკვეთოს. თუმცა, პალატის მსგავსად, წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, ინსცენირებას გამოძიების გარდაუვალ ნაწილად ვერ ვხედავთ და, ჩვენი აზრით, მისი ჩაუტარებლობით, გამოძიება არაადეკვატური არ გამხდარა.

9. განმტხადებლებს პალატის წინაშე ნათლად არ დაუყენებიათ საკითხი, მორავია რამსახანის სხეულზე ტყვიით მიყენებული ტრავმის ამსახველი სათანადო ილუსტრაციის ოქმში არარსებობის შესახებ და იგი ნამდვილად არ არის პალატის გადაწყვეტილებაში ასახული. დიდი პალატის გადაწყვეტილების 224-ე პუნქტში კი გაკეთებულია ჩანაწერი, რომ „საგამოძიებო დოკუმენტაციაში ჩართულ აუტოფსის დასკვნას ნახავთ ან ფოტომასალა არ დართვია“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოძიებას ფოტომტკაცებულებები არ მოუპოვებია. როგორც პალატის გადაწყვეტილებაში აღინიშნა (პუნქტი 255-80), შემთხვევის ადგილას გადაიღეს 29 ფოტო, აქედან 4 - მორავია რამსახანის გვამის ამსახველი. მეტიც, მისთვის ტყვიით მიყენებული ჭრილობა დეტალურად იყო აღნერილი როგორც პათანატომის დასკვნაში (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 252), ასევე თვითონ აუტოფსის ოქმში (იხ. დიდი პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 222-23). სასურველი იქნებოდა ტყვიით მიყენებული ჭრილობების ამსახველი ფოტომასალის ოქმში არსებობა, რომელიც პათანატომის დასკვნას დაადასტურებდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ფოტომასალის არარსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია გამოძიების ეფექტიანობა.
10. ჩვენი აზრით, უფრო პრობლემატურია ის ფაქტი, რომ ოფიცირები, ბრონსი და ბულტსტრა, ერთმანეთს არ დააშორეს და ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაკითხეს. მოუხედავად იმისა, როგორც პალატის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ოფიცირები ერთმანეთსა ან პოლიციის სხვა ოფიცირებთან შეთქმულებაში იყვნენ, ჩვენი აზრით, აშკარად მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებას შესაბამისი ნაბიჯები გადაედგა ამგვარი შეთქმულების რისკის პრევენციისთვის. პოლიციისაგან დამღუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს დაუყოვნებლივ უნდა აეღო ჩვენება ორივე ოფიცირისაგან. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ხარვეზი ნაკლებად უკავშირდება გამოძიების ადეკვატურობას, იგი უფრო ასახავს საწყის ეტაპზე პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების არადამღუკიდებლობას და ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის მარცხს - გამოძიებაზე კონტროლი დროულად დაეწყო. ამ საკითხს ეხება მე-2 მუხლის საპროცესო დარღვევასთან დაკავშირებით ცალკე მიღებული დადგენილება.
11. ვიმსჯელეთ რა გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე გადადგმულ ნაბიჯებზე ერთობლიობაში, რომლებიც თავმოყრილია გადაწყვეტილებაში, ვერ ვიზიარებთ უმრავლესობის მოსაზრებას, რომ საგარაუდო ხარვეზებმა, ცალ-ცალკე ან კუმულატიურად, ხელი შეუშალა გამოძიებას ან იგი არაადეკვატური გახადა.
- მოსამართლების:** კაბრალ ბარეტოს, ბოტუმისაროვას, მულარონისა და ჯოშიენეს ერთობლივი, ნანილობრივ განსხვავებული აზრი
1. სამწუხაოდ, ვერ დავეთანხმებით უმრავლესობას, მორავია რამსახანის სიკვდილის ფაქტზე პოლიციის გამოძიების შესახებ ზედამხედველი საზოგადოებრივი პროექტის პოზიციასთან დაკავშირებით (პერატიული დებულებების მე-4 პუნქტი).
  2. გავითვალისწინეთ, რომ საპოლიციო გამოძიება ჩატარდა ამსტერდამის საზოგადოებრივი პროექტის ზედამხედველობით, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონკრეტულად ფლიერის დრენაჟის პოლიციის განყოფილების თანამშრომელთა მუშაობაზე. გადაწყვეტილება - არ დაწყებულიყო დევნა ოფიცერ ბრონსის მიმართ - მიიღო იმავე საზოგადოებრივმა პროექტიმა, მთავარი საზოგადოებრივი

პროკურორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. ვეთანხმებით უმრავლესობას, რომ საზოგადოებრივი პროკურორები დიდი და დამოუკიდებული არან პოლიციაზე ინფორმიციისა და დახმარების მიღების თვალსაზრისით და ეს გარემოება, თავისთავად, საკმარისი არ არის იმ დასკვისათვის, რომ ისინი საქმარისად დამოუკიდებელი არ არან პოლიციასთან მიმართებით. თუმცა, პრობლემა ჩნდება, როცა საზოგადოებრივი პროკურორის ახლო სამსახურებრივი ურთიერთობა აქვს კონკრეტულ პოლიციასთან (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 344).
4. სასამართლომ მანამდე განხილულ საქმეებში ხაზი გაუსვა არა მხოლოდ იერარქიული და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის, არამედ ასევე პრაქტიკული დამოუკიდებლობის მნიშვნელობას (იხ. Mastromatteo v. Italy[GC], № 37703/97, § 91, ECHR 2002-VIII, და Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom, № 46477/99, § 70, ECHR 2002-II).
5. სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა: გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი იმის გამო, რომ ჩაატარეს იმ პოლიციის ოფიცერთა კოლეგებმა, რომლებიც უშეალოდ მონაწილეობდნენ მორავია რამსაპაის მკვლელობაში (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 333-41). ჩვენი აზრით, იგივე დასკვნა უნდა გაკეთდეს იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიებას ზედამხედველობდა საზოგადოებრივი პროკურორი, რომელსაც ფლიერბოსტრეგიზის პოლიციის განყოფილება - სადაც ოფიცრები ბრონსი და ბულტსტრა მუშაობდნენ - ყოველდღიურად აბარებდა ანგარიშს.
6. შესაბამისად, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ თვალსაზრისით, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

**მოსამართლეების: ჯოშიენესა და პოპოვიჩის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი**

1. ვწერ გრამ ვერ დავეთანხმებით უმრავლესობას იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა სააპელაციო სასამართლოში სამართლნარმოებასთან მიმართებით.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, განმცხადებლების მიერ შეტანილი საჩივარი „მოსამართლე დელეგატი“ (raadsheer-commisaris) განხილა 1999 წლის 1 მარტს. ბატონმა ჰამერმა, განმცხადებლების სახელით, ვრცელი ზეპირი მიმართვა გააკეთა. სასამართლოსადმი მიმართვაში, სხვა საკითხებთან ერთად, მან მოითხოვა საქმის განხილვის გადადება, მასალებზე საზოგადოებრივი პროკურორის - de vries - ოფიციალური ანგარიშისა და ოფიცერ ბრონსის სამსახურებრივი წარსულის ამსახველი ანგარიშის (განსაკუთრებით მის წინააღმდეგ დაფიქსირებული რამდენიმე საჩივარის ჩათვლით) დართვის მიზნით.
3. 1999 წლის 26 აპრილს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლების საჩივარი, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი პროკურორის გადაწყვეტილებას პოლიციის ოფიცრის მიმართ დევონის არდანყების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოუცხადება.
4. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს განხილვა საჯარო არ ყოფილა. ვიზიარებთ დიდი პალატის დადგენილებას (იხ. პუნქტი 353), რომ მე-2 მუხლი არ ითხოვს ძალადობრივი სიკვდილის ფაქტზე ჩატარებული მოკვლევის

შემდგომ ყველა პროცესის საჯაროობას. ამ საკითხზე მსჯელობისას შეგვიძლია გავიზიაროთ პალატის პოზიცია 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (იხ. პუნქტი 421), ასევე, დიდი პალატის პოზიცია (იხ. პუნქტი 354), რომ აუცილებელი არ იყო სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესი საზოგადოებისთვის ღია ყოფილიყო.

5. თუმცა, ამ საკითხის გაანალიზებისას მაინც ვიზიარებთ დიდი პალატის გადაწყვეტილებაში მოხსენიებულ განმცხადებლების ეჭვებს (იხ. პუნქტი 310), რომ „სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში განმცხადებლები სათანადოდ არ ჩართულან თავიანთი ინტერესების დასაცავად ... განმცხადებელთა მტკიცებით, მათვის ნათელი არ იყო სამართალწარმოების ეს ეტაპი რატომ არ შეიძლებოდა საზოგადოებისთვის ყოფილიყო საჯარო“. თუმცა, ასევე ვეთანხმებით პალატას (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 421), რომ როცა პირისთვის უწვეულოა მის მიმართ სასამართლო განხილვა, თავიდან უნდა ავარიდოთ საჯარო სპექტაკლში მონაწილეობის უსიამო პროცესი“.
6. თუმცა, სხვა არის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოუცხადებლობის საკითხი. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესთან მიმართებით, დაირღვა კონვენცია. ჩვენ სრულად ვიზიარებთ პალატის პოზიციას 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (იხ. პუნქტი 422) - „როცა მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საჯარო ორგანოსთან ასოცირებული პირის - ვის ხელშიც ადამიანი გარდაიცვალა - მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურა არ დაიწყება, მე-2 მუხლის მოთხოვნით, ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოებრივი განხილვის საგანი უნდა გახდეს“ (იხ. Finucane [v. the United Kingdom, № 29178/95], § 79[. ECHR 2003 VII]).
7. იმავე მიზეზით, გამოძიება და მისი შედეგები საკმარისად უნდა ექვემდებარებოდნენ საზოგადოებრივ კონტროლს, რათა მოხდეს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაში. საჭირო საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი, შესაძლოა, სხვადასხვა საქმეში განსხვავებული იყოს. თუმცა, ყველა საქმეში, მსხვერპლის ახლო ნათესავი მიღენად უნდა ჩაერთოს საგამომიერო პროცესში, რამდენადაც ეს საჭიროა მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად (იხ. Güleç v. Turkey, 27 ივლისი, 1998, § 82, Reports of Judgments and Decisions 1998 IV, და McKerr v. the United Kingdom, № 28883/95, § 148, ECHR 2001 III, და სხვა).
8. წინამდებარე საქმეში ვერ დავეთანხმებით დიდი პალატის მოსაზრებას (იხ. გადაწყვეტილების 354-ე პუნქტი): „...სასამართლოს აზრით, არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება იყო აუცილებელი. ... ამას გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებებს თვითონ შეეძლოთ ამ გადაწყვეტილების გასაჯაროება, სასამართლო მიჩრევებს: საჯაროობის მოთხოვნა საქმარისად დაკმაყოფილდა, რომ ჰოლანდიის შესაბამისი ორგანოების მიერ ფაქტის არასათანადო გაშუქების საფრთხე მოხსნილიყო.“
9. მაინც ვფიქრობთ, რომ კანონის უზენაესობისადმი საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და უკანონო ქმედებებისადმი რამე შეთემულების ან შეწყნარების გამოვლინების პრევენციისათვის აუცილებელია, რომ ხელისუფლების ორგანოების - რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტს იძებენ - გადაწყვეტილება იყოს სწრაფი და საჯარო (იხ. Hugh Jordan v. the

- United Kingdom, №24746/94, ჯჯ 108 და 136-40, 4 მაისი, 2001). და ჩვენი აზრით, გადაწყვეტილების გასაჯაროების ვალდებულება განმცხადებლებს არ უნდა დაეკისროთ. ასეთი სენსიტიურ საქმეებში მხოლოდ საჯაროდ გაცხადებული გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი, განმცხადებლებმა თავიანთი ლეგიტიმური ინტერესები სათანადოდ დაიცვან, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების სამართლებრივი გზით გასაჩივრებით. ასევე, მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჯაროებითაა შესაძლებელი ხელისუფლების ორგანოების - რომლებიც ამდენად მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ - ქმედებებთან დაკავშირებით შექმნილი ნეგატიური განწყობის გაქარვება. ჩვენ ასევე ვიზიარებთ დიდი პალატის გადაწყვეტილებაში მოყვანილ პოზიციას განმცხადებლებისა (იხ. კუნქტი 309), რომ ოჯახის წევრები არ ჩართეს გამოძიების პროცესში და მათ უარი ეთევათ საგამოძიებო მასალებზე, რითაც ხელი შეემალათ თავიანთი ინტერესების სათანადოდ დაცვაში.
10. ჩვენი აზრით, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი სააპელაციო სასამართლოში წარმართულ პროცედურასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის გამო, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოცხადდა.

- მოსამართლე ტომასენის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი**
1. დიდი პალატის უმრავლესობასთან ერთად, მხარი დაუჭირებ გადაწყვეტილების ყველა ასპექტს, გარდა ერთისა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო მხარე.
  2. იმის გათვალისწინებით, რომ მე-2 მუხლის საპროცესო მხარის დარღვევა დადგინდა გამოძიების არაადეკვატურობის საფუძვლით, ამ საკითხზე არ ვთანხმები უმრავლესობას, მოსამართლების - კოსტას, ბრაცას, ლორენცენისა და ჩემს ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში აღნიშნული მიზეზების გამო.
  3. თუმცა, ასევე ვერ გავიზიარებ უმრავლესობის დასკვნას, რომლის მიხედვითაც კონვენციის მე-2 მუხლი დაირღვა იმის გამო, რომ გამოძიებას აკლდა საჭირო დამოუკიდებლობა.
  4. თუნდაც გავიზიარო მოსაზრება, რომ ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტს გამოძიებაზე კონტროლი უფრო მაღა უნდა დაეწყო, პოლიციის ორი ოფიცერი ერთმანეთისაგან უნდა გაეცალეკვებინათ და ადრეულ ეტაპზევე დაეკითხათ, ჩემი აზრით, საკითხი - ინვენტუ არა ეს ხარვეზები კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ვალდებულებების დარღვევას - სასამართლომ უნდა განიხილოს საქმის ცალკეულ გარემოებათა ფონზე.
  5. პალატამ სწორად აღნიშნა: არ არსებობდა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ოფიცრებს შორის რამე შეთქმულება იყო. მეტიც, როგორც კი გამოძიება ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტის ხელში გადავიდა, ამ-სტერდამ/ამსტელანდის პოლიციის რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება გადაისინჯაა და ჩატარდა შემდგომი გულმოდგინე გამოძიება. ამ გამოძიებამ შესაძლებლობა მისცა დამოუკიდებელ ტრიბუნალს, სააპელაციო სასამართლოს, დაედგინა საქმის ფაქტები და გაეკეთებინა დასკვნა, რომ ოფიცერი ბრონსი თავს იცავდა. ამანვე დიდ პალატას შესაძლებლობა მისცა დაედგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარე არ დარღვეულა.

6. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, განსახილველ ხარვეზებს ზეგავლენა არ მოუხდენია გამოძიების ეფექტიანობაზე და არც სასამართლოს დასკვნაზე უმოქმედია, რომლის მიხედვითაც, მე-2 მუხლის არსებითი მხარე არ დარღვეულა. გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, გამოძიების ეფექტიანობა, მთლიანობაში, არ დაკნინებულა. შესაბამისად, ჩემი აზრით, მე-2 მუხლი არ დარღვეულა.



ვალერიუ და ნიკოლაე როშკაგი  
მოლდოვის წინააღმდეგ

---

*CASE OF VALERIU AND NICOLAE ROŞCA v.  
MOLDOVA*



მეოთხე სექტია

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის რესპუბლიკური

(განაცხადი №41704/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 20 ოქტომბერი

საპოლიტიკო ვერსია

20/01/2010

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრაცა, თავმჯდომარე,  
ლეხ გარლიცკი,  
ჯოვანი ბონელო,  
ლილიანა მიჯოვიჩი,  
დავიდ ტორ ბიორგვინსონი,  
ლედი ბიანკუ,  
მიჰაი პოლელუნგი, მოსამართლები,  
და ლოურენს ეარლი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2009 წლის 29 სექტემბერს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## **პროცედურა**

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №41704/02, რომელიც 2002 წლის 6 და 28 ნოემბერს მოლდოვის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანეს მოლდოვის ორმა მოქალაქემ, ბატონებმა ვალერიუ როშკამ და ნიკოლა როშკამ (შემდგომში „განმცხადებლები“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებელთა ინტერესებს სასამართლოში იცავდა ბატონი ფ. ნაგაცევშჩი, ჩისინაუში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის - ადვოკატები ადამიანის უფლებებისთვის - წარმომადგენელი. მოლდოვის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) პოზიციას იცავდა სახელმწიფო წარმომადგენელი ბატონი ვ. გრიშუ.

3. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციაში დაკავებისას არასათანადოდ მოეპყრნენ, მათგან თვითონიგრიმინაციული განცხადებების მოპოვების მიზნით; არასათანადო მოპყრობის შესახებ მათი საჩივრების განხილვა დაგვიანდა; ისინი იყვნენ არაადამიანურ და ლირსების შემლახველ საპატიმრო პირობებში; დაკავების შემდეგ, საწყის ეტაპზე, მათ არ მიეცათ უფლება, სურვილისამებრ შერჩეული ადვოკატისთვის მიემართათ და არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრებთან მიმართებით გამოყენებული დაცვის საშუალებები არაეფექტიანი იყო.

4. განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეოთხე სექციას. 2008 წლის 16 მაისს სექციის თავმჯდომარებრივ გადაწყვიტა მთავრობასთან განაცხადის კომუნიცირება. ასევე გადაწყდა, რომ განაცხადის არსებითი მხარე და დასაშვებობის საკითხი ერთდროულად განხილათ (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

## **ვაკტები**

### **1. საქმის გარემოებები**

5. განმცხადებლები: ბატონი ვალერიუ როშკა (V.R.), დაბადებული 1960 წელს, და ბატონი ნიკოლა როშკა (N.R.), დაბადებული 1978 წელს, მოლდოვის მოქალაქები არიან და ცხოვრობენ კოტიუჯენი-მარიში.

6. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის გარემოებები ასე შეიძლება შეჯამდეს.

#### **A. განმცხადებლების დაკავება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა**

7. 2000 წლის 1 აგვისტოს I.C.-მ საჩივრით მიმართა იალოვენის პოლიციას, რომ იგი უცნობმა თავდამსხმელებმა გაიტაცეს და გაძარცვეს.

1. განმცხადებლების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა 2001 წლის 11 მაისს

8. 2001 წლის 11 მაისს ჩისინაუს ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილების ოფიცრებმა ორივე განმცხადებელი დაკავევს. განმცხადებელთა თქმით, მათვის დაკავების მიზეზები არ უცნობებიათ. დაკავებისას პოლიციელებმა ორივე სცემეს.

9. განმცხადებლები ჩივიან, რომ პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე საათის განმავლობაში ყოფნისას მათ კვლავ სცემეს მუშტებითა და წიხლებით. მოგვიანებით ისინი გადაიყვანეს ჩისინაუს პოლიციის გენერალურ სამმართველოში (General Police Directorate), სადაც მათზე განხორციელდა ზენოლა, რათა ელიარებინათ დანაშაულები, რომლებიც არ ჩაუდენიათ. მათი უარის პასუხად, ორივეს ცალ-ცალკე სცემეს, შემდეგ ხელბორჯილი დაადეს, იატაკზე დააწვინეს, ფეხის ტერფებზე ხელკეტები ურტყეს და ელექტროშოკი გამოიყენეს.

10. არასათანადო მოპყრობის შედეგად, N.R.-მა აღიარებითი ჩვენება დაწერა, მაგრამ პროტესტის ნიშნად, მასზე ხელი არ მოუწერია. შემდეგ განმცხადებლები კვლავ ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებაში დააბრუნეს, სადაც გამომძიებლებმა დოკუმენტებზე ხელმოწერა შესთავაზეს არასათანადო მოპყრობის გაგრძელების მუქარით.

**2. განმცხადებლების მიმართ საცარაუდო არასათანადო მოპყრობა 2001 წლის 13 ივნისს**

11. 2001 წლის 13 ივნისს განმცხადებლები გადაიყვანეს იალოვენის პოლიციის განყოფილებაში. როგორც მოგვიანებით იალოვენის პოლიციის ოფიციებმა ახსნეს, ეს აუცილებელი იყო I.C.-ს მიერ ზემოთ აღნერილ დანაშაულში განმცხადებელთა შესაძლო მონაწილეობის დასადგენად. ამავე დღეს პოლიციის განყოფილებას ქადაგი CPT-ს დელეგაცია. N.R.-მა CPT-ს აცნობა ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებასა და პოლიციის გენერალურ სამმართველოში მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ.

12. განმცხადებლები აცხადებენ, რომ CPT-ს დელეგაციის წასვლის შემდეგ ისინი ოთახში შეიყვანეს და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა საათობით გაგრძელდა, თავსა და ფეხისგულებზე ხელკეტებით სცემდნენ აღიარებითი ჩვენებების მისაღებად იმ დანაშაულებზე, რომლებიც არ ჩაუდენიათ.

13. 2001 წლის 14 ივნისს CPT-ს დელეგაცია კვლავ დაბრუნდა იალოვენის პოლიციის განყოფილებაში და მოინახულა N.R. რომელმაც წინა დღით არასათანადო მოპყრობის შესახებ დაიჩივლა.

14. 2001 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმა თანამშრომელმა მოინახულა N.R. რომელმაც კვლავ გაიმეორა თავისი საჩივარი ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის გენერალურ სამმართველოსა და იალოვენის პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ. ამის შემდეგ ორვე განმცხადებელი ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი პოლიციის გენერალურ სამმართველოში.

15. განმცხადებლები აცხადებენ, რომ არასათანადო მოპყრობის შედეგად მათ ნაწილობრივ სმენა დაკარგეს და ხშირად აწუხებდათ ტკივილი, მათ შორის თავის არეში.

16. განმცხადებლებმა იჩივლეს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ სამივე დაწესებულებაში, სადაც ისინი დაკავებული იყვნენ, მაგრამ პროკურატურამ სისხლის სამართლის გამოძიება მხოლოდ ერთ საჩივარზე წამოიწყო, რომელიც ეხებოდა არასათანადო მოპყრობას იალოვენის პოლიციის განყოფილებაში. არც ერთ პოლიციის თანამშრომელს უფლებამოსილება არ შესჩერებია და, სავარაუდოდ, ზოგიერთმა მათგანმა განმცხადებლებსა და მათი ოჯახის წევრებზე ზენოლა განახორციელეს, რათა საჩივრები უკან გამოეთხოვათ.

17. 2001 წლის 15 ივნისს პოლიციის ინსპექტორმა, პოლკოვნიკმა P.D.-მ, ანგარიში წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელშიც იალოვენის პოლიციის განყოფილებაში CPT-ს ვიზიტსა და 2001 წლის 14 ივნისს დასკვნებს აღწერდა, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ იალოვენის განყოფილებაში არასათანადო პატიმრობის პირობები და სამედიცინო მომსახურება იყო და იქ დაკავებულ პირს, ბატონ როშკას, სხეულის მძიმე დაზიანებები აღმოაჩნდა. P.D.-ს რეკომენდაციით, შესაბამისი პირი დაუყოვნებლივ უნდა გადაეყვანათ უსაფრთხო ადგილას და მისთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოთ. P.D. აღნიშნავდა, რომ ანგარიში შედგენილი იყო CPT-ს რეკომენდაციების შესაბამისად.

18. 2001 წლის 18 ივნისს განმცხადებლები, ადვოკატთა თანხლების გარეშე, ექიმთან გადაიყვანეს, რათა დაედგინათ მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ხარისხი. ექიმმა დაზიანებები მათი სხეულების სხვადასხვა ნაწილზე იპოვა, 6X2 სმ-ისა და 12X3 სმ-ის ზომის ჰემატომების ჩათვლით, რომლებიც ექიმმა „უმნიშვნელო დაზიანებებად“ დაახასიათა.

19. 2001 წლის 18 ივნისს P.D.-მ კვლავ წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს ანგარიში „[იალოვენის პოლიციის განყოფილებაში] დაკავებულთა წამების შესახებ ინფორმაციის შესწავლის შედეგებზე“. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებლებმა CPT-სთან დაიჩივლეს იალოვენის პოლიციის განყოფილების ოფიცერთა არასათანადო მოპყრობის შესახებ. წინასწარი გამოძიების შედეგად, დადგინდა იმ სამი პოლიციელის ვინაობა, განმცხადებლების საქმეზე რომ მუშაობდნენ იალოვენის პოლიციის განყოფილებაში, ასევე სხვა ექვსი ოფიცერიც, რომლებიც განმცხადებლების საქმეში იყვნენ ჩართული ჩისინაუს ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებაში. დაკითხვისას ყველა მათგანმა უარყო განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი. რაკი სამედიცინო დასკვნებში ორივე განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი იყო უმნიშვნელო დაზიანებები და სხვადასხვა მტკიცებულებას შორის შეუსაბამობა მხოლოდ სრული გამოძიებისას შეიძლებოდა ახსნილიყო, P.D. იძლეოდა რეკომენდაციას, სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო ცხრავე პოლიციელისა და საქმეში ჩართულ გამომძიებელთა წინააღმდეგ.

20. 2001 წლის 20 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიმართა გენერალურ პროკურატურას, საქმეზე დაეწყო სისხლის სამართლის გამოძიება.

21. შინაგან საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილ ანგარიშში (თარიღი უცნობია) იალოვენის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელმა ოფიცერმა უარყო განმცხადებელთა მიმართ რაიმე სახის არასათანადო მოპყრობა. მან აღნიშნა, რომ განმცხადებლებს ადვოკატზე ხელმისაწვდომობა არ მოუთხოვიათ.

3. 2001 წლის 13 ივნისს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე  
გამოძიება და სისხლის სამართლწარმოება

22. 2001 წლის 20 ივლისს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო განმცხადებლების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. იმავე დღეს დაიწყო მეორე გამოძიებაც იალოვენის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელი ოფიცირის სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე. მოგვიანებით ეს ორი საქმე გაერთიანდა. 2001 წლის 23 ოქტომბერს ცენტრუს რაიონის პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 11 მაისს განმცხადებლების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიება შეწყდა მტკიცე-

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ

ბულებათა არარსებობის გამო. განმცხადებელთა საჩივრის პასუხად, 2002 წლის 24 მარტს გენერალურმა პროკურატურამ გაიმეორა 2001 წლის 23 ივლისის გა-დაწყვეტილება. ირკვევა, რომ განმცხადებლებმა არც ერთი ეს გადაწყვეტილება სასამართლოში არ გაასაჩივრეს.

23. 2001 წლის 20 აგვისტოს, N.R.-ის კვლავ შემონმების შემდეგ, გამოიცა ახალი სამედიცინო დასკვნა. ექსპერტს ჰქითხეს, შესაძლებელი იყო თუ არა N.R.-ის დაზიანებები დაცემის ან საკანზი საგნეზზე მირტყმის შედეგი ყოფილიყო. დასკვნაში ეს პასუხი არ გამოირცხა, როგორც დაზიანებების მიღების აღტერ-ნატიული მიზეზი.

24. 2001 წლის 2 ნოემბერს პროკურატურამ იალოვენის პოლიციის განყოფი-ლების ოფიცერთა წინააღმდეგ წარმოებული საქმე განხილვისთვის სასამართ-ლოს გადასცა.

25. ჩისინაუს №13 საპატიმრო დაწესებულების - რომელშიც V.R. იყო მოთა-ვსებული - მმართველმა 2002 წლის 3 დეკემბერს გაცემული ცნობით დაადას-ტურა, რომ V.R.-ს მკურნალობდნენ ტვინის დაზიანებისა და ასთენიურ-დეპრე-სიული სინდრომით გამოწვეული შედეგების გამო. ცნობაში ნახსენები იყო თავის ტრავმა, რომელიც მან, სავარაუდოდ, 1999 წელს მიიღო.

26. 2003 წლის 23 ივნისს ცენტრუს რაიონულმა სასამართლომ ძალაუფლების გადამეტებასა და განმცხადებლების უკანონოდ ცემაში ბრალდებული სამი ოფი-ცერი გაამართლა. სასამართლომ გათვალისწინა CPT-ს ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დელეგაციის წევრებმა განმცხადებლები შეამონმეს და „მათ სხეულის გარკვეული დაზიანებები აღმოაჩნდათ“. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ იგი ვერ დაეყრდნობოდა CPT-ს ანგარიშს, რადგან, საპროცესო წესების თანახმად, სისხლის სამართლებრივი მსჯავრდების საფუძველი შეიძლე-ბა გახდეს მხოლოდ ექიმ სპეციალისტთა სამედიცინო დასკვნები. რადგან CPT-ს ანგარიში სისხლის სამართლის გამოძიებისას არ გამოცემულა და მსხვერპლთა მიერ დაერთო საქმის მასალებს, სასამართლო მას ვერ დაეყრდნობოდა. იგივე შეიძლება ითქვას P.D.-ს აგანროშებზეც (იხ. ზემოთ). სასამართლოს კომენტარი არ გაუკეთებია 2001 წლის 18 ივნისის სამედიცინო დასკვნებზე.

27. ორ ოფიცერს დასდეს მსჯავრი გულგრილობისთვის, რადგან მათ 2000 წელს სათანადოდ არ დაარეგისტრირეს I.C.-ს საჩივარი და სავარაუდო დანა-შაულის გახსნა სცადეს სათანადო სისხლის სამართლებრივი გამოძიების ფარ-გლების დარღვევით. არასათანადო მოპყრობით მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, განმცხადებლების მოთხოვნას კომპენსაციაზე უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო.

28. 2003 წლის 18 ივლისს შეტანილ აპელაციაში N.R. *inter alia* ასაჩივრებდა ფაქტს, რომ სასამართლომ პოლიციელები წამებისთვის არ დასაჯა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც მან, ასევე V.R.-მ ამოცნობის პროცედურაზე ამოიცნეს პოლიციის ოფიციელი, რომლებმაც ისინი ანამეს და მათგან ვერც ერთმა ვერ ახსნა, თუ როგორ მიიღეს განმცხადებლებმა დაზიანებები საპოლი-ციო პატიმრობისას. მან ასევე მოიხმო იალოვენის პოლიციის განყოფილება-ში რამდენიმე სხვა დაკავებულის ჩევნებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ნახეს, თუ როგორ გაიყვანეს V.R. საკნიდან ჯანმრთელი და მოგვიანებით დაპრუ-ნებულს არასათანადო მოპყრობის აშკარა ნიშნები ეტყობოდა. იგივე მოწმეები აცხადებდნენ, რომ არ დაუნახავთ, საკანში ვინმეს მეორე დაკავებული დაეშავე-ბინოს. N.R.-მა ასევე მოიხმო ის ფაქტი, რომ იმ საპროცესო ნაბიჯებში, რომლე-

ბიც გადაიდგა იალოვენის პოლიციის განყოფილებაში ორივე განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეში, არც ერთი განმცხადებელი არ ჩაურთავთ. მისი აზრით, ეს ადასტურებდა, რომ ისინი ამ განყოფილებაში კანონიერი მიზნით არ გადაუყვანიათ. საბოლოოდ, მან მოიხმო სისხლის სამართალწარმოების პროცესში მის და V.R.-ის მიერ შეტანილი სამოქალაქო სარჩელები. მან სადავო გახადა ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენება იმ ბრალდებულებთან მიმართებით, რომელთაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსირება არ მოუხდენიათ - გარემოება, რომელიც ენინააღმდეგებოდა ამ კანონს. V.R.-მა ანალოგიური აპელაცია შეიტანა. პროკურორის აპელაციაში აღნიშნული იყო, რომ ორივე განმცხადებელს აჩვენეს იალოვენის პოლიციის განყოფილების ყველა თანამშრომლის ფოტოსურათები, დამაშავის ამოცნობის მიზნით, და ორივემ ამოიცნო პოლიციელები, რომლებიც მათ არასათანადოდ მოეპყრნენ.

29. 2004 წლის 15 იანვარს ჩისინაუს სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან გაამართლა ოფიცერი, რომელთაც ქვედა ინსტანციის სასამართლომ, გულგრილობის მუხლით, გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ოფიცერების მოვალეობა არ იყო I.C.-ს საჩივრის დარეგისტრირება. სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სხვა ნაწილები ძალაში დატოვა, კერძოდ, დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლების საჩივარზე უარის თქმა სწორი გადაწყვეტილება იყო. სასამართლომ მიიჩინა, რომ განმცხადებელთა ჩვენებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები, რომლებიც სამედიცინო დასკვნებში იყო აღნიშნული, არ ემთხვეოდა განმცხადებლების მიერ აღწერილი მანერით მიყენებულ დაზიანებებს და, მეორე რიგში, „მათ ამ ჩვენებების თავდაცვის საშუალებად გამოყენება შეეძლოთ სისხლის სამართალწარმოებისა, რომელშიც ისინი ბრალდებული იყვნენ მძიმე დანაშაულის ჩადენაში“. მეტიც, CPT-ს ანგარიშები და სხვა მსგავსი დოკუმენტები ვერ ამტკიცებდა, რომ განმცხადებლებს დაზიანებები ბრალდებულმა ოფიცერებმა მიყენეს და, ამგვარად, გამამტყუნებელი განაჩენი ამ ანგარიშებს ვერ დაეფუძნებოდა.

30. განმცხადებლების ადვოკატმა გადაწყვეტილების სამართლებრივი საკითხები გაასაჩივრა. იგი იშველიებდა საქმეში არსებულ სხვადასხვა დოკუმენტს და ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას იმ პოლიციელთა მიმართ, რომლებიც ბრალდებული იყვნენ უფლებამოსილების გადამეტებაში არასათანადო მოპყრობის გზით.

31. 2004 წლის 29 ივნისს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, მაგრამ განსახილველად მიიღო პროკურორის აპელაცია, რომელშიც ეს უკანასკნელი ორი ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას ითხოვდა. უზენაესმა სასამართლომ საქმე კვლავ განსახილველად დააპრუნა ჩისინაუს სააპელაციო სასამართლოში.

32. 2005 წლის 26 იანვარს ჩისინაუს სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არასათანადო მოპყრობაში ბრალდებული სამი ოფიცერი გაამართლა. სააპელაციო სასამართლომ, ახალი გადაწყვეტილებით, სამივე ოფიცირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა - სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების აშკარა გადამეტების საფუძველზე (იხ. ქვემოთ „შესაბამისი შიდასახელმწინებელი გადამეტების საფუძველზე“).

ფოებრივი სამართალი“). თითოეულ ოფიცერს მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და სამართალდამცველ ორგანოებში მუშაობის უფლება ორი წლით ჩამოერთვათ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაჩენის აღსრულება შეჩერდა ერთწლიანი პროცესის პერიოდით, დადგინდა რა, რომ ოფიცრები საქამაოდ ახალგაზრდები იყვნენ, ჰყავდათ ოჯახები, მანამდე არ ყოფილან პასუხისმგებაში მიცემულნი და საზოგადოებას მათზე დადებითი აზრი ჰქონდა.

33. 2005 წლის 27 აპრილს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ზემოაღნიშნული განაჩენი. მან დაადგინა, რომ საქმის მასალებით - მათ შორის, CPT-ს ამგარიშებით, მოწმეთა ჩვენებებითა და სამედიცინო დასკვნებით - გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცდება სამი ოფიცრის არასათანადო მოპყრობა განმცხადებელთა მიმართ.

34. განმცხადებლებმა ევროპის სასამართლოს წარმოუდგინეს Amnesty International-ის მოლდოვის განყოფილების წევრებისა და მოლდოვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის საგაზრით ინტერვიუები, რომლებშიც ისინი ამტკიცებდნენ, რომ არასათანადო მოპყრობა რუტინულად გამოიყენებოდა ზოგიერთ სამართალდამცველ ორგანოში, განსაკუთრებით პოლიციელებისა და გამომძიებლების მიერ, თვითინკრიმინაციულ განცხადებათა მოპოვებისა და უდანაშაულო ადამიანების მსჯავრდების მიზნით.

## B. პატიმრობის პირობები

35. სასამართლოსთვის 2003 წლის 15 სექტემბერს გაგზავნილ წერილში განცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არაადამიანურ და ლირსების შემლახველ პირობებში იყვნენ დაკავებულნი - როგორც პოლიციის გენერალურ დეპარტამენტში, რომელიც მდებარეობდა ტიგინას ქუჩაზე №6-ში, ასევე, 2001 წლის 28 ივნისიდან, ჩისინაუს №3 საპატიმრო დაწესებულებაში (ცნობილი, როგორც საპატიმრო დაწესებულება №13). ამ უკანასკნელ საპატიმრო დაწესებულებასთან დაკავშირებით, ისინი მიუთითებდნენ შემდეგ პირობებზე: ძალას მძიმე ფორმის გადატვირთულობა (20 პატიმარი 25 კვ/მ-ის საკანში; დაახლოებით ათი პატიმრის საათობით მოთავსება 1-2 კვ/მ-ის დაკეტილ სასამართლო საკნებში, სასამართლო პროცესების მოლოდინში, საკვების, წყლისა და საპირფარეშოს გარეშე); საკნები გაჯერებული სიგარეტის სქელი კვამლითა და ძია ფორმის საპირფარეშოს მძაფრი სუნით, რასაც ემატებოდა ვენტილაციის არარსებობა; გამდინარე წყლის არარსებობა დღის უმეტეს პერიოდში; დღის შუქი ძალზე შეზღუდულად აღნევდა საკანში ფანჯრებზე სქელი ბადისებრი უალუზების გამო; სინესტე, საკვებად უვარისია საჭმელი და არაადეკატური სამედიცინო მომსახურება.

36. განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ჩისინაუში, ტიგინას ქუჩაზე №6-ში მდებარე დაკავების იზოლატორში ყოფნისას მათი კორესპონდენცია ცენზურას გადიოდა და ძალზე შეზღუდული იყო გარესამყაროსთან კონტაქტი.

## II. შესაბამისი მასალები

### A. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

37. განსახილველი დროისთვის ძალაში არსებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებები ასე იკითხება:

### მუხლი 36: სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპები

„სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებებს და უნდა ხვდებოდეს წინამდებარე კოდექსის კერძო ნაწილის ფარგლებში, რომელიც ჩადენილი დანაშაულისთვის სანქციას ადგენს. სასჯელის შეფარდებისას სასამართლო ეყრდნობა სამართლებრივ თვითშეგნებას და ითვალისწინებს დანაშაულით გამოწვეული სოციალური საფრთხის ბუნებასა და ხარისხს, განსასჯელის ხასიათსა და საქმის ნებისმიერ შემამსუბურებელ ან დამამძიმებელ გარემოებას“.

### მუხლი 37: შემამსუბურებელი გარემოებები

„სასჯელის შეფარდებისას შემამსუბურებლად ითვლება შემდეგი გარემოებები:

1. დამნაშავის მიერ დანაშაულის საზიანო შედეგების შემცირება, ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების ან ზარალის აღდგენის ფორმით;
2. დანაშაული განპირობებული იყო გართულებული პირადი ან ოჯახური მდგომარეობით;
3. დანაშაული ჩადენილია მუქარის ან იძულების ქვეშ, ან გამოწვეული იყო ეკონომიკური ან სამსახურებრივი სირთულეებით, ან სხვა ფორმის დამოკიდებულებით;
4. დანაშაული ჩადენილია მსხვერპლის მიერ უკანონო ქმედებით პროცესურებული ძლიერი ემოციური რეაქციის ფონზე;
5. დანაშაული ჩადენილია სოციალურად საშიში შემოტევის გასანეიტრალებლად, თუნდაც კანონიერი თავდაცეის ფარგლების გადაცილებით;
6. დანაშაული ჩაიდნა არასრულწლოვანმა;
7. დანაშაული ჩაიდნა ორსულმა ქალმა;
8. გულწრფელი მონანიება ან ნებაყოფლობით ჩაბარება;
9. დანაშაულის გახსნაში მინშვნელოვანი წვლილის შეტანა.

სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ შეიძლება სხვა გარემოებებიც მიიჩნიოს შემამსუბურებლად.“

### მუხლი 38: დამამძიმებელი გარემოებები

„სასჯელის შეფარდებისას დამამძიმებლად ითვლება შემდეგი გარემოებები:

1. დამანაშავის მანამდე ნასამართლეობა.
2. დანაშაული დანაშაულის [ან დანაშაულების] ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია ეს გარემოება დამამძიმებლად არ მიიჩნიოს;
2. დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
3. დანაშაული ჩადენილია ფინანსური ან სხვა მოტივით;
- 3/1. დანაშაული ჩადენილია [მსხვერპლის] ეროვნული მიკუთვნებულობის, ან რასობრივი სიძულევილისა ან უპატივცემულობის გამო;
4. დანაშაულს მოჰყვა მძიმე შედეგები;
5. დანაშაული მიმართული იყო მცირენლოვანის, მოხუცის, ან მოწყვლადი პირის მიმართ;
6. დანაშაული ჩაიდნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელმა პირმა;
7. მცირენლოვანთა წაქეზება დანაშაულისკენ ან მათი ჩართვა დანაშაულში;
8. დანაშაული მოიცავდა მსხვერპლის მიმართ განსაკუთრებულად სასტიკ ან დამამცირებელ ქმედებას;

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ

9. დანაშაული ჩადენილია ბუნებრივი კატაკლიზმების დროს;
10. დანაშაულმა განზოგადებული ხასიათის საფრთხე შექმნა;
11. დანაშაული ჩადენილია სხვა ადამიანის ფინანსური, სამსახურებრივი ან სხვა დამშენებულების ბოროტად გამოყენებით;
12. დანაშაული ჩადენილია ალკოჰოლის ზემოქმედებით. სასამართლო უფლებამოსილია ეს გარემოება დამამძიმებლად არ მიიჩნიოს, დანაშაულის ბუნების გათვალისწინებით.
13. დანაშაული ჩადენილია პირადი თავდეპოზიტი გათავისუფლებული პირის მიერ ,თავდეპოზიტის პერიოდში ან ამ ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში.“

მუხლი 43: მსჯავრდება სასჯელის აღსრულების შეჩერებით

„თუ სასამართლო, საქმის გარემოებებისა და მსჯავრდებულის ხასიათის გათვალისწინებით, მივა დასკვნამდე, რომ ამ პირისთვის თავისუფლების აღკვეთის ფორმით გარკვეული დროის განმავლობაში სასჯელის მოხდა გონივრული არ იქნება, მან შეიძლება პრანალის განაჩენის აღსრულების შეჩერება, რა შემთხვევაშიც სასამართლო განაჩენშივე მიუთითებს მისი გადაწყვეტილების მიზეზებს. ამგვარ საქმებში სასამართლო პრანალის, რომ განაჩენი არ აღსრულდეს, თუ მსჯავრდებული სასამართლოს მიერ დადგენილ პრობაციის პერიოდში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და შესარულებს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც მას სასამართლომ დააკისრა პრობაციის პერიოდში.“

პრობაციის პერიოდი გრძელდება ერთიდან ხუთ წლამდე. ...“

მუხლი 101/1: წამება

„ქმედებები, რომლებიც პირს განზრახ აყენებს სასტიკ ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას, განსაკუთრებით ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე მხარისგან ინცორმაციის ან ალიარებითი ჩვენებების მოპოვება, მისი დასვა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე მხარემ ჩაიდინა, ან ეჭვმიტანილნი არიან მის ჩადენაში, ან ამ პირის ან მესამე მხარის დამცირებისა და მათზე ზეწოლის მიზნით, ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელიც ეფუძნება დისკრიმინაციას, საფუძვლის მიუხედავად, ასევე, როცა ასეთ ტკიფილსა ან ტანჯვას პირს აყენებს სახელმწიფო მოხელე ან თანამდებობის პირი, მის მიერ პირდაპირ ან ირიბად წაქეზებით ან შეწყნარებით - ალნიშნული არ გულისხმობს ტკიფილს ან ტანჯვას, რომელიც თან სდევს კანონიერი სანქციების გატარებას და მათვის დამახასიათებელი ან მათგან გამოწვეულია - ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შეკიდ წლამდე ვადით.“

მუხლი 185: უფლებამოსილების გადამეტება ან *ultra vires* ქმედებები

„საჯარო მოხელეები უფლებამოსილების გადამეტების ან *ultra vires* ქმედებების გამო, ანუ ქმედებების, რომლებიც აშკარად სცდება მათთვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილების ფარგლებს, თუ ამით ისინი საზოგადოებრივ ინტერესს ან ფიზიკური ან იურიდიული პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არსებითად აზარალებენ, უნდა დაისაჯონ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით სახელფასო მინიჭების 30-დან 100-%მდე, ან თანამდებობიდან გათავისუფლებით, რასაც ყველა შემთხვევაში თან სდევს გარკვეული უფლებამოსილების დაკავების ან გარკვეულ საქმიანობაში ჩართვის აკრძალვა ხუთ წლამდე ვადით.“

უფლებამოსილების გადამეტება ან *ultra vires* ქმედებები, რომლებსაც თან ერთვის ძალადობა ან იარაღის გამოყენება ან წამება და აზიანებს მსხვერპლის პირად ღირსებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე და გარკვეული უფლებამოსილების დაკავების ან გარკვეულ საქმიანობაში ჩართვის აკრძალვით ხუთ წლამდე ვადით.“

38. პოლიციის ეთიკისა და დეონტოლოგის კოდექსი მიღებულია 2006 წლის 10 მაისს (კანონ №481, ძალაშია 2006 წლის 18 მაისიდან). ამ კოდექსის თანახმად, დაუშვებელია არასათანადო მოპყრობა ან ამგვარი და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შეწყნარება ან წაქეზება, „გარემოებათა მიუხედავად“.

39. უკანონო ქმედებებით მიყენებული ზიანის კომპენსაციის შესახებ კანონის №1545 (1998) შესაბამისი დებულებები სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებულია საქმეში Sarban v. Moldova (№ 3456/05, § 54, 4 ოქტომბერი, 2005).

40. საქმეში Belicevecen v. the Ministry of Finance (№ 2ra-1171/07, 4 ივლისი, 2007) უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონის № 1545 (1998) საფუძველზე, პირს ზიანის ანაზღაურება შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სასამართლო სრულად გაამართლებდა სისხლის სამართლებრივ ბრალდებებში. რადგან ბატონი ბელიჩევეჩენი წამოყენებული ბრალდებებიდან ერთ-ერთში დამნაშავედ ცნეს, მას უფლება არ ჰქონდა, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა.

#### B. წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დაჭირის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშები

41. მოლდოვისი 2001 წლის 10-დან 22 ივნისამდე ვიზიტის შესახებ CPT-ის ანგარიშის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

„24. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იალოვენის პოლიციის განყოფილებაში დაკავებული პირის საქმეს. პირველი გასაუბრებისას ამ ადამიანს არ აღენოშნებოდა რაიმე სახის დაზიანებები. მასთან მეორე ვიზიტის დროს, მომდევნო დღეს, დელეგაციის წევრი ერთ-ერთი ექიმის მიერ სამედიცინო შემონბებისას, დაკავებულს აღმოაჩნდა 1სმ სიგრძის ფუფხებით დაფარული ჭრილობა მარცხენა საფეხულის არეში, მარცხენა თირკმლის არეში კი - 8X3 სმ ზომის მოწითალო-მოლურჯო ჰემატომა. ორივე ტერფისგული პალპაციით მტკიონეული იყო და გამაგრებული, განსაკუთრებით ქუსლის არეში. ეს დაზიანებები შესაბამება მის მტკიცებას, რომ წინა დღის სალამოს, დელეგაციის წევრების წასვლის შემდეგ, მას პოლიციელებმა მყარი რეზინის ნივთი თავში რამდენჯერმე ჩატარებული შემდეგ იგი აიძულეს სკამზე მუხლებით დამდგარიყო, წინ კი მაჯებზე ხელბორკილები დაადგა, დაკითხვისას მას ფეხის ტერფებზე და მარცხენა თირკმლის არეში სცემდნენ.“

რადგან დაკავებულს ეშინოდა, რომ დელეგაციის წასვლის შემდეგ მას კვლავ არასათანადო მოეპყრობოდნენ, CPT-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტაქტო პირს სთხოვა ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმა დაკავებულის დაცვის უზრუნველსაყოფად, მას ასევე ეთხოვა მოკვლევის ჩატარება იალოვენის საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებით. განმცხადებელი გადაიყვანეს დედაქალაქის წინასწარი დაკავების იზოლატორში და მას ად-

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ

ვოკატის თანდასტრეპით ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული შიდა გამოძიებისას გამოვლინდა, რომ იმავე განყოფილებაში მოთავსებულმა სხვა პირმა ასევე დაიჩივლა გამოძიების წარმართველ ოფიციელებთან ფიზიკური ძალის გამოყენებით არასათანადო მოპყრობაზე. სამედიცინო ექსპერტიზა ამ პირსაც ჩაუტარდა. 2001 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ წერილში მოლდოველმა ხელისუფლების ორგანოებმა აღნიშნეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე (უფლებამოსილების გადამეტება), პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიება დაიწყო და საქმე მალე სასამართლოს გადაეცემა.

CPT ამ ინფორმაციას დიდი ინტერესით მოეკიდა და სურვილი გამოხატა, დროულად მიენოდებინათ ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

25. როგორც ზემოთ, მე-13 პუნქტში აღინიშნა, მდგომარეობის გაუარესების გამო, დელეგაციამ მოიხმო კონვენციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი და მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებს მოსთხოვა, დაგვიანების გარეშე ჩაეტარებინათ გულისხმიერი და დამოუკიდებელი მოკვლევა იმ მეთოდებთან დაკავშირებით, რომლებსაც ოპერატორული საპოლიციო დანაყოფები მთელი ქვეყნის მასშტაბით იყენებდნენ დაკავებულ პირთა დაკითხვისას. მოლდოვის შესაბამისმა ორგანოებმა 2001 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ წერილში უბრალოდ მიანიშნეს: „შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მისთვის ცნობილი არ არის დაკავებულ პირთა დაკითხვისას პოლიციელთა მიერ არაადამიანური მეთოდების გამოყენების კონკრეტული საქმეების შესახებ“ და „შეისწავლის საპროცესო ქმედებებს არასათანადო მოპყრობის საჩივრებზე. კომიტეტის აზრით, ამგვარი დამოუკიდებულება ცალსახად დაუსაბუთებელია, 2001 წლის ვიზიტისას მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.“

CPT მოიხმობს კონვენციის მე-3 მუხლს და მოლდოვის ხელისუფლებას მოუწყდებს, დაუყოვნებლივ ჩაატარონ ზემოაღნიშნული გამოძიება და კომიტეტის 2001 წლის ანგარიშის გადაგზავნიდან სამი თვის ვადაში აცნობონ შესაბამისი შედეგების შესახებ.“

42. CPT-ის 2001 წლის ანგარიშზე მოლდოვის მთავრობის მიერ 2002 წლის 26 ივნისს გაგზავნილი პასუხის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

„24. CPT-ს სურს, აცნობონ შესაბამის პუნქტში ნახსენებ საქმესთან დაკავშირებით პროკურორის მიმართვის საფუძველზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (უფლებამოსილების გადამეტება ან *ultra vires* ქმედებები) აღმოჩენილი სისხლის სამართლის საქმე კვლავ საგამოძიებო ეტაპზეა. ....

28. CPT მოლდოვის ხელისუფლების ორგანოებისგან კომენტარს ითხოვს გამოძიების თანამედროვე მეთოდების დახვენის შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არანაირი წინსვლა არ აღინიშნება.

29. CPT-ს სურს ინფორმაციის მიღება პოლიციის დეონტოლოგიის კოდექსის პროექტის შექმნასთან დაკავშირებით.

დიდი წუხილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით არანაირი წინსვლა არ აღინიშნება.“

### C. გაეროს სტამბულის ოქმი

43. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ეფექტუანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (სტამბულის ოქმი) გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს 1999 წლის 9 აგვისტოს გადაეცა. „სტამბულის პრინციპებმა“ მოგვიანებით გაეროს მხარდაჭერა პოვა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარისა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში. ეს არის პირველი წყება სახელმძღვანელო პრინციპებისა, რომლებიც შეიქმნა წამების გამოსაძიებლად. ოქმი მოიცავს სრულ პრაქტიკულ მითითებებს (1) იმ პირთა შესამოწმებლად, რომლებიც აცხადებენ, რომ გახდნენ წამების ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი; (2) სავარაუდო წამების საქმეთა გამოსაძიებლად და (3) შესაბამისი ორგანოებისათვის ანგარიშების მოსამზადებლად გამოძიების დასკვნების შესახებ.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის, ან სასჯელის ეფექტუანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ პრინციპები ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელოს 1-ლ დანართში. დანართის შესაბამის წანილში ვკითხულობთ:

„წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის (შემდეგში - წამება და სასტიკი მოპყრობის სხვა სახეობები) ქმედითი გამოკვლევისა და დოკუმენტირების მიზანია: ფაქტების გამოკვლევა და მსხვერპლისა და მათი ოჯახების მიმართ ცალკეული ინდივიდებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობათა განსაზღვრა და ალიარება; რეციდივების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების განსაზღვრა და, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და შესაბამის შემთხვევებში, გამოძიების მიერ დადგენილ პასუხისმგებელ პირთა დისციპლინური დასჯის ხელშეწყობა, სახელმწიფოს შერიდან სრული ანაზღაურებისა და კომპენსაციის, მათ შორის, სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის და მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს აუცილებლობის დემონსტრირება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ საჩივრებისა და სხვა შეტყუბინებათა ოპერატიულ და ქმედით გამოძიებას. გამოძიება ტარდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არის აშკარად გამოხატული საჩივრი, თუკი არსებობს სხვა ნიშნები შესაძლო წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ. პირები, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი სავარაუდო დამნაშავისა და იმ დაწესებულებისაგან, სადაც ის მუშაობს, ასევე უნდა იყვნენ კომპეტენტურნი და მიუკერძოებელნი. მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მიუკერძოებელ სამედიცინო და სხვა ექსპერტებზე, ან უფლებამოსილი უნდა იყვნენ, მოიწვიონ ისინი გამოძიების ჩასატარებლად. ...

საგამოძიებო ორგანოს აქვს უფლება და აკისრია მოვალეობა, გამოითხოვოს გამოძიებისათვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია. ... წამებასა ან არასათანადო მოპყრობაში პოტენციურად მონაწილე პირებს უნდა ჩამოერთვათ უფლებამოსილება ან კონტროლის საშუალება - იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი კონტროლი განმცხადებლებზე, მოწმებსა და მათ ოჯახებზე, ასევე მათზე, ვინც ატარებს გამოძიებას.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს და მის კანონიერ წარმომადგენელს უნდა ეცნობოთ და ხელი მიუწვდებოდეთ ნებისმიერ მოსმენაზე, ასევე, გა-

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ

მოძიებასთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის ინფორმაციაზე და უფლება აქვთ, წარმოადგინონ სხვა მტკიცებულება.

...

გონივრულ ვადაში შედგენილი ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოკვლევის ფარგლებისა და მტკიცებულებათა შესაფასებლად გამოყენებული პროცედურებისა თუ მეთოდების შესახებ, ასევე, ფაქტობრივ გარემოებებსა და გამოყენებულ სამართალზე დაყრდნობით გაეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე. დასრულებისას ანგარიში ხდება საჯარო. ანგარიში დეტალურად უნდა აღწერდეს იმ კონკრეტულ მოვლენებს, რომლებიც დაფინდა, რომ მოხდა და მტკიცებულებებს, რომლებსაც დაეყრდნო დასკვნები, ასევე, დაკითხულ მოწმეთა სახელებს, იმათი გამოკლებით, რომელთა ვინაობაც დაფარულია მათი უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე. სახელმწიფო გონივრულ ვადაში პასუხობს გამოძიების ანგარიშზე და, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითებს გასატარებელ ლონისძიებებზე.

სამედიცინო ექსპერტი, რომელიც მონაწილეობს წამებისა და სასტიკა მოცყრობის გამოძიებაში, ყოველთვის მოქმედებს ყველაზე მაღალი ეთიკური წორმების მიხედვით, კერძოდ, ნებისმიერი სახის გამოკვლევის ჩატარებამდე გამოსაკვლევი პირისაგან გამოითხოვს ინფორმირებულ თანხმობას. გამოკვლევა უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, გამოკვლევა ტარდება დახურულ კარს მიღმა, სამედიცინო ექსპერტის კონტროლით, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისა და სხვა თანამდებობის პირთა დაუსწრებლად.

სამედიცინო ექსპერტი ოპერატიულად ადგენს ზუსტ წერილობით დასკვნას. დასკვნაში მოცემულია:

(a) გამოსაკვლევი პირისა და იმ პირის გვარი, რომელიც ესწრება ექსპერტიზას, აგრეთვე, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ზუსტი დრო და რიცხვი, იმ დაწესებულების ადგილმდებარება, ხასიათი და მისამართი (საჭიროების შემთხვევაში, ოთახის წომრის მითიოებით), სადაც ტარდება ექსპერტიზა (მაგალითად, დაკავშირებულთა მოთავსების ცენტრი, კლინიკა, სახლი); გამოსაკვლევ პირთან დაკავშირებული გარემოებები (მაგალითად, შემოსვლისას ან ექსპერტიზისას გამოსაკვლევი პირის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი სახის შემზღვდებელი საშუალების ხასიათი, გამოკვლევაზე უსაფრთხოების თანამშრომელთა დასწრების ფაქტი, იმ პირის ქცევა, რომელიც თან ახლავს პატიმარს, მუქარის განცხადებები იმ პირის მისამართით, რომელიც ატარებს ექსპერტიზას) და სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტორი;

(b) ინტერვიუს დროს პირის მიერ მონათხოვის საკუთარი ისტორიის დეტალური ოქმი, მათ შორის, წამებისა და სასტიკა მოპყრობის სავარაუდოდ გამოყენებული მეთოდები, წამების სავარაუდო დრო და ნებისმიერი ჩივილი ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ სიმპტომზე;

(c) კლინიკური დათვალიერებისას გამოვლენილი ფიზიკური და ფიქოლოგიური სიმპტომების აღწერა, შესაბამისი დიაგნოსტიკური გამოკვლევების და, შესაძლებლობის შემთხვევაში, სხეულის ნებისმიერი დაზიანების ფერადი ფოტოების ჩათვლით;

(d) მოსაზრებები აღმოჩენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომების შესაძლებელ კავშირზე წამებასა და სასტიკა მოპყრობასთან. რეკომენდაციები გაიცემა საჭირო მკურნალობისა და ფსიქოლოგიური დახმარების, აგრეთვე, შემდგომი გამოკვლევების თაობაზე;

(e) დასკვნა უნდა იყოს ხელმოწერილი და მასში გარკვევით უნდა იყოს მითითებული პირი, რომელმაც ჩაატარა გამოკვლევა. ....“

## სამართალი

44. განმცხადებლების თქმით, მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, კერძოდ, მათ იჩივლეს იმის შესახებ, რომ ცენტრუს რაიონული პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 11 მაისს პოლიციელები და გამომძიებლები არასათანადო მოპყრობენ და ამავე დღეს პროკურორმა უარი თქვა მათ მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებაზე. იმავე მუხლის საფუძველზე, მათ ასევე იჩივლეს იალგოვნის პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 13 ივნისს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ამავე დღეს შეტანილ საჩივრებზე სამართალწარმოების დაგვიანების გამო. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“

45. განმცხადებლები მოიხმობდნენ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებს პატიმრობის არაადამიანურ პირობებსა და, ასევე, მათი კორესპონდენციის ცენტურასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისი წანილის თანახმად:

„ყველას აქვთ უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“

46. განმცხადებლებმა ასევე იჩივლეს, რომ სამართალწარმოების საწყის ეტაპზე მათ ადვოკატების დახმარებით არ უსარგებლიათ და ადვოკატზე ხელი არ მიუწვდებოდათ დაკავებიდან პირველ დღეებში, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი წანილის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოგალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება...“

47. განმცხადებლებმა დამატებით მოიხმეს კონვენციის მე-13 მუხლი და აღნიშნეს, რომ მათ ვერ ისარგებლეს დაცვის ეფექტიანი საშუალებით არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრებთან მიმართებით, საჩივრებში აღნიშნული ფაქტები არ გამოძიებულა. კონვენციის მე-13 მუხლი გულისხმობას:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიაზი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩიდიონს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

48. დაბოლოს, განმცხადებლები მოიხმობდნენ კონვენციის მე-17 მუხლს, რომელიც გულისხმობს:

„ამ კონვენციის არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციის კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება, ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.“

## I. დასაშვებობა

49. მთავრობის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც პოლიციის სამი ოფიცერი ეროვნულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობაში, ეს უკანასკნელი კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის მსხვერპლად აღარ ითვლებიან. განმცხადებლები მთავრობის არგუმენტაციას არ დაეთანხმენ და მოიხმეს პოლიციელებისთვის შეფარდებული სასჯელის სიმსუბუქე.

50. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საკითხი მჭიდროდ ეხება შეტანილი განაცხადის მე-3 მუხლთან დაკავშირებული ნაწილის არსებით მხარეს. შესაბამისად, ამ საკითხზე იგი მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარში განსახილევლ არგუმენტებთან ერთად იმსჯელებს.

51. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლებმა არ ამოწურეს დაცვის შიდა-სამართლებრივი საშუალებები, რადგან მათ, კანონის №1545 (1998) საფუძველზე, სამართლდამცველი ორგანოების უკანონო ქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სასამართლოში არ მოუთხოვიათ.

52. განმცხადებლების არგუმენტაციით, ეროვნულ სასამართლოს მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ გამოუტანია იმ დანაშაულისთვის, რომელშიც ბრალი ედებოდათ. შესაბამისად, ზემოხსენებული კანონის გამოყენება მათ არ შეეძლოთ, როგორც ეს დამტკიცდა საქმეში Belicevecen (იხ. ზემოთ პუნქტი 40).

53. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მთავრობის მსგავსი პრეტენზია მან არ მიიღო საქმეში Sarban (ციტირებულია ზემოთ, § 59) და დაადგინა, რომ მხოლოდ გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში ჰქონდა ადამიანს უფლება, ზემოხსენებული კანონის საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. Belicevecen-ის საქმე (იხ. ზემოთ პუნქტი 40) ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს. წინამდებარე საქმეში განცხადებლებმა აღნიშნეს, რომ სასამართლოს მათ მიმართ გამართლებელი განაჩენი არ გამოუტანია, მთავრობამ ეს არ უარყო. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლებს არ ევალებათ მათ ხელთ არსებული დაცვის ერთზე მეტი საშუალების გამოყენება და მთავრობამ არ უარყო, რომ განმცხადებლებმა, როგორც დაზარალებულმა მხარეებმა, ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლწარმოებისას, რაზეც სასამართლოსგან უარი ეთქვათ (იხ. ზემოთ პუნქტი 27). შესაბამისად, ეს პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

54. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლებმა იჩივლეს ცენტრუს პოლიციის განყოფილებასა და ჩისინაუს პოლიციის გენერალურ დეპარტამენტში 2001 წლის 11 მაისის საგარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა,

განმცხადებლების წარმოდგენილი მასალები 2001 წლის 13 ივნისამდე არასათანადო მოპყრობის არც ერთ მტკიცებულებას არ მოიცავს. მეტიც, CPT-მ თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ იალოვენის პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 13 ივნისის ვიზიტისას ადამიანს, რომელიც მეორე დღეს კვლავ მოინახულეს, ძალადობის კვალი არ ეტყობოდა (იხ. ზემოთ პუნქტი 41). სასამართლო ითვალისწინებს პოლკოვნიკ P.D.-ს ანგარიშს (იხ. ზემოთ პუნქტი 17), CPT-ს ანგარიშზე მთავრობის პასუხსა (იხ. ზემოთ პუნქტი 42) და ამ ანგარიშის მოხმობას ადგილობრივ სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც სამი პოლიციელი დამნაშავედ ცნეს (იხ. ზემოთ პუნქტები 26, 29 და 33) და ასკვნის, რომ CPT-ს 2001 წლის ანგარიშის 24-ე და 25-ე პუნქტები განმცხადებლებს ეხებოდა. მაშასადამე, სასამართლო ასკვნის, რომ 2001 წლის 13 ივნისამდე არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, ცხადდება დაუშვებლად - კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

55. განმცხადებლები კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად ჩიოლნენ, რომ მათ უფლება არ მიეცათ, შეხვედროდნენ ადვოკატს ჩისინაუსა და იალოვენის პოლიციის განყოფილებებში დაკავების საწყის ეტაპზე. ამის გამო ვერ მოახერხეს მათ მიმართ გამოტანილი სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრება. თუმცა, სასამართლოს აზრით, განმცხადებლებმა ვერ აჩვენეს, რომ მათ საქმეზე დამდგარი შედეგი აღნიშნულმა სავარაუდო დარღვევებმა განაპირობა. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად წარმოდგენილი საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და დაუშვებლად ცხადდება კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

56. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების მტკიცებით, მათ ვერ შეძლეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გასაჩივრება ადვოკატის რჩევის გარეშე. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი უნდა განიხილოს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რას გულისსმობდნენ დაკავების საწყის ეტაპში, თუმცა, განაცხადის ამ ნაწილი ისანი საუბრობდნენ 2001 წლის ივნისის მოვლენებზე. სასამართლო ითვალისწინებს, რომ წინამდებარე საქმეზე განაცხადი სასამართლოში შევიდა 2002 წლის 6 და 28 ნოემბერს, ანუ ექვს თვეზე მეტი წნის შემდეგ 2001 წლის ივნისიდან. მაშასადამე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განმცხადებლების მიერ ირიბად წარმოდგენილი საჩივარი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ვადის ფარგლებს მიღმა რჩება და ცხადდება დაუშვებლად 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

57. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლები თავდაპირველ განაცხადში იშველიებდნენ კონვენციის მე-8, მე-13 და მე-17 მუხლებს და არსებითად მოიხმობდნენ იმავე საკითხებს, რომლებიც დასვეს კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით. შემდგომ მიმოხილვებში განმცხადებლები ამ საჩივრებს აღარ შეხებიან. შესაბამისად, სასამართლო მათზე არ იმსჯელებს.

58. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივრები (2001 წლის 13 ივნისამდე არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა გარდა) სამართლებრივ შეკითხვებს ბადებს, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ არსებითად უნდა განიხილოს. არ არსებობს სხვა საფუძველი, რის გამოც იგი გამოცხადდებოდა დაუშვებლად. მაშასადამე, სასამართლო ამ საჩივრებს აცხადებს დასაშვებად. სასამართლო მისი გადაწყვეტილების თანახმად - ერთდროულად იმსჯელოს დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეებზე (კონვენციის 29-ე

მუხლის მე-3 პუნქტი, იხ. ზემოთ პუნქტი 4) - დაუყოვნებლივ განიხილავს ამ საჩივრების არსებით მხარეებს.

## II. კონცენტის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

### A. მხარეთა არგუმენტები

1. განმცხადებლთა მიმართ არასათანადო მოპყრობა და კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებები

59. განმცხადებლების მტკიცებით, ისინი კვლავ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლად ითვლებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის სამი ოფიცირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ინტენსიურობისა და მიზნის გათვალისწინებით (კერძოდ, აღიარებითი ჩვენებების ამოღება), იგი წამებად უნდა კვალიფიცირდეს, კონვენციის მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ძალიან ნელა მიმდინარეობდა (გრძელდებოდა თითქმის ოთხი წლის განმავლობაში), რაც ენინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო მოთხოვნებს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებები ვერ შეასრულეს, სახელდობრ, ვერ უზრუნველყოვეს, არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობას პრევენციული ეფექტი შეეძინა. კერძოდ, პოლიციელებს კანონით გათვალისწინებული მინიმალური სანქცია შეეფარდათ და ამ სასჯელის აღსრულებაც შეჩერდა. შესაბამისად, მათ თავისუფლება არასოდეს აღკვეთიათ. მეტიც, პოლიციის ოფიცრები დამნაშავედ ცნეს არა წამების ჩადენაში, არამედ ნაკლებად სტიგმადადებულ დანაშაულში - უფლებამოსილების გადამეტება.

60. მთავრობის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც პოლიციის სამ ოფიცერს შეეფარდა გამამტყუნებელი განაჩენი, განმცხადებლებს უფლება აღარ ჰქონდათ, მოქთხოვათ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლის სტატუსი. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებელთა არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება გულისხმიერად და სწრაფად ჩატარდა, რასაც შედეგად მოპყვა დამნაშავეთა გამოვლენა და სასამართლოს მიერ მათთვის სასჯელის შეფარდება.

61. რაც შეეხება არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრევენციულ ეფექტს, მთავრობამ აღნიშნა, რომ დანაშაული, რომელშიც პოლიციის ოფიცრები დამნაშავედ ცნო სასამართლომ, სისხლის სამართლის კოდექსით კლასიფიცირდებოდა, როგორც „საშუალო სიმძიმისა“. საშიშად ითვლებოდა მხოლოდ „მძიმე და განსაკუთრებით მძიმე“ დანაშაულები და, როგორც სამედიცინო ექსპერტიზით გახდა (ცნობილი, განმცხადებლებს აღენიშნებოდათ მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები, რაც ვერ ჩაითვლებოდა წამებად. დაბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 პუნქტი დამატებით სანქციასაც გულისხმობდა, რაც გამოიხატებოდა კონკრეტული საქმიანობის შესრულებისა ან კონკრეტულ საქმიანობაში ჩართვისგან დისკვალიფიკაციაში 5 წლამდე ვადით. პოლიციის ოფიცრებს შეეფარდათ 2 წლამდე დისკვალიფიკაცია, რაც არ იყო მინიმალური სასჯელი და უზრუნველყოდა კანონის საჭირო პრევენციულ ეფექტს.

## 2. პატიმრობის პირობები

62. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ №3 საპატიმრო დაწესებულებაში (იგი ასევე ცნობილია, როგორც №13 საპატიმრო დაწესებულება - იხ. ზემოთ პუნქტი 35) არაადამიანურ და ღირსების შემლახველ პირობებში იყვნენ. ისინი მოიხმობდნენ CPT-სა და ადგილობრივი ორგანოების სხვადასხვა ანგარიშს, რომლებითაც დასტურდებოდა პენიტენციალური სისტემის დაფინანსების სიმწირე და, ამის შედეგად, არასაკმარისი საკვები, არაპიგიენური პირობები და დაკავებულთა ჯანმრთელობის სხვა საფრთხეები საპატიმროებში.

63. მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებელთა არგუმენტაციას და აღნიშნა, რომ დაცული იყო ერთი დაკავებულისთვის 2  $m^2$  ფართის გამოყოფის ადგილობრივი ნორმა, ისევე როგორც სხვა ნორმები, დაკავშირებული, მაგალითად, საკეთოან, ჰიგიენასთან, გათბობასთან, ბუნებრივ განათებასა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან.

## B. სასამართლოს შეფასება

1. განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობა და კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებები

64. სასამართლო აღნიშნავს: მხარეები არ დავობენ ფაქტზე, რომ 2001 წლის 13 ივნისს იალოვენის პოლიციის განყოფილებაში პოლიციელები განმცხადებლებს არასათანადო მოეპყრობენ. იგი ითვალისწინებს, რომ განმცხადებელი *inter alia* დაექვემდებარა falaka -ს (იხ. ზემოთ პუნქტი 41). სასამართლო ხაზს უსგამს, რომ ადამიანის ცემა ფეხისგულებზე ან falaka ყოველთვის განზრას ქმედებაა და კვალიფიცირდება, როგორც წამება (იხ. Corsacov v. Moldova, № 18944/02, § 65, 4 აპრილი, 2006, და Levinta v. Moldova, № 17332/03, § 71, 16 დეკემბერი, 2008). შესაბამისად, დაირღვა განმცხადებლის უფლება - არ დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას, რაც წინამდებარე საქმეში ენინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლის არსებით მოთხოვნას.

იმ ფაქტის ფონზე, რომ არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელ ოფიცრებს სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და პატიმრობა მიუსაჯა, აუცილებელია დადგინდეს, განმცხადებლებს კვლავ აქვთ თუ არა უფლება, აცხადებდნენ, რომ არიან კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი. ამ საკითხის გამორკვევისას სასამართლო იმსჯელებს, თუ რამდენად შეასრულეს ხელისუფლების ორგანოებმა მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, განმცხადებელთა არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ჩატარდა თუ არა ეფექტიანი გამოძიება და სამი ოფიცრისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანითა და სანქციის დაკისრებით შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფო მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები.

(a) განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება

65. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში Bati and Others v. Turkey (№ 33097/96 და №57834/00, ECHR 2004 IV (ამონარიდები) მან დაადგინა:

, „133. ... როცა ადამიანი დამაჯერებლად აცხადებს, რომ იგი აწამეს სახელმწიფო მოხელეთა ხელში ყოფნისას, ცნება „დაცვის ეფექტიანი საშუალება“ გულისხმობს - გარდა იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაცია გაიცეს და ეროვნულ სამართალში არსებულ სხვა დაცვის საშუალებებით სარგებლობას ხელი არ შექმალოს - სიღრმისეულ და ეფექტიან გამოძიებას. გამოიძება, რომელიც აღწევს ამ მიზნებს, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა განსხვავდებოდეს. თუმცა, როგორიც უნდა იყოს გამოძიების მეთოდი, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იმოქმედონ ოფიციალური საჩივრის შეტანისთანავე. მაშინაც, როცა საჩივარი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ საკმარისად ცხადი მინიშნებები არსებობს, რომ მოხდა წამება ან არასათანადო მოპყრობა, გამოძიება უნდა დაიწყოს (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Özbey v. Turkey* (dec.), № 31883/96, 8 მარტი, 2001; იხ. ასევე სტამბულის ოქმი, ზემოთ პუნქტი 43). ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ წამების მსხვერპლთა განსაკუთრებით მოწყვლადი ვითარება და ის ფაქტი, რომ სერიოზულ არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული პირები ხშირად მზად არ არიან ან სურვილი არ აქვთ, დააფიქსირონ საჩივარი (იხ. *Aksøy v. Turkey* [, 1996 წლის 18 დეკემბერის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1996 VI.] pp. 2286-87, §§ 97-98).

...

136. ეჭვს მიღმაა, რომ დაუყოვნებლივ და გონივრული სისწრაფით გამოძიების მოთხოვნა ამ კონტექსტშიც მოიაზრება. ხელისუფლების ორგანოების დაუყოვნებლი რეაქცია არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებათა გამოძიებისას, შესაძლოა, ზოგადად ჩაითვალოს არსებითად, კანონის უზენაესობის პრინციპისადმი საზოგადოების რწმენის შენარჩუნების ან შეთქმულებისა თუ უკანონო ქმედებისადმი ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციისთვის (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, *Indelicato v. Italy*, № 31143/96, § 37, 18 ოქტომბერი, 2001, და *Özgür Kılıç v. Turkey* (dec.), № 42591/98, 24 სექტემბერი, 2002). მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლოა საგამოძიებო პროცესი დაბრკოლებებით ან სირთულეებით შეფერხდეს, ზოგადად არსებითა ხელისუფლების ორგანოებისთვის, დაუყოვნებლივ წამოიწყონ გამოძიება, კანონის უზენაესობის პრინციპისადმი საზოგადოების რწმენის შენარჩუნების ან შეთქმულებისა თუ უკანონო ქმედებისადმი ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციისათვის (იხ. *mutatis mutandis, Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, № 46477/99, § 72, ECHR 2002 II).“

66. რაც შეეხება განმცხადებლთა ბრალდებზე დაწყებულ გამოძიებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ შეიტყვეს 2001 წლის 14 ივნისს, როცა CPT-მ მათ ეს აცნობა. შედეგად, 2001 წლის 15 ივნისს განმცხადებლები მონახულეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცირებმა (იხ. ზემოთ პუნქტი 14) და იმავე დღეს პოლკოვნიკმა D.P.-მ არასათანადო მოპყრობის შესახებ ანგარიში მინისტრს წარუდგინა (იხ. ზემოთ პუნქტი 17).

67. სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად ამ მრავალი თანმხედრი ანგარიშისა, რომ განმცხადებლებს არასათანადოდ მოეპყრნენ, ისინი ექიმთან გადაიყვანეს მხოლოდ 2001 წლის 18 ივნისს, ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ პრობლემის შეტყობილად მეოთხე დღეს (იხ. ზემოთ პუნქტი 18). ამ პერიოდში ჭრილობები ნაწილობრივ მოშუშდა და, როგორც სწორად აღნიშნეს განმცხადებლებმა, დაგვიანებას შედეგად მოჰყვა ექიმის დასკვნა, რომ მათ სხეულზე „უმინიშვნელო დაზიანებები“ აღენიშნებოდათ.

68. მეტიც, მას შემდეგ, რაც სამედიცინო დასკვნით დადასტურდა განმცხადებლების მიმართ არასათანადო მოპყრობა და 2001 წლის 21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა ბრძანება, დაწყებულიყო სისხლის სამართლის გამოძიება (იხ. ზემოთ პუნქტი 20), გამოძიება დაიწყო მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, 2001 წლის 21 ივლისს.

69. დაბოლოს, სასამართლო მიჩნევს, რომ CPT-ს დასკვნებით, სამედიცინო ანგარიშებითა და მოწმეთა ჩევნებებით, ბევრი მტკიცებულება დაგროვდა. ამ საწყის მტკიცებულებათა ფონზე და ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სასამართლოებს არ გართულებიათ არც ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა და არც რთული სამართლებრივი საკითხების გადაჭრა. ამ არგუმენტს ამყარებს ის ფაქტიც, რომ პროკურატურამ 2001 წლის ნოემბერში უკვე დაასრულა გამოძიება და საქმე განსახილველად გადაუგზავნა არსებითად განმხილველ სასამართლოს (იხ. ზემოთ პუნქტი 24).

70. სასამართლო მიჩნევს, რომ არასათანადო მოპყრობის შემოწმების მიზნით განმცხადებლების ექიმთან მიყვანისა და სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების დაგვიანება არღვევდა დაუყოვნებლივ გამოძიების მოთხოვნას კონკრეტული მე-3 მუხლის თანახმად.

#### (b) არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრევენციული ეფექტი

71. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში Okkali v. Turkey (№ 52067/99, § 65, ECHR 2006 XII) (ამონარიდები) მან დაადგინა:

.... მე-3 მუხლის საპროცესო მოთხოვნები სცდება წინასწარი გამოძიების ეტაპს, როდესაც... გამოძიებას მიყვავართ ეროვნული სასამართლოების სამართლებრივ ქმედებამდე: სამართალნარმოების პროცესი, არსებითი განხილვის ეტაპის ჩათვლით, უნდა შეესაბამებოდეს მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის მოთხოვნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლო ორგანოებმა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვის ფაქტი დაუსჯევლი არ უნდა დატოვონ არაფრის ფასად. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის უზენაესობის პრიციპი-სადმი საზოგადოების რწმენისა და მხარდაჭერის შენარჩუნებისა და შეთქმულების ან უკანონო ქმედებებისადმი ტოლერანტობის გამოვლენის პრევენციისთვის (იხ. *mutatis mutandis*, Öneryıldız v. Turkey [GC], № 48939/99, § 96, ECHR 2004 XII).“

72. სასამართლო ითვალისწინებს, რომ წინამდებარე საქმეში, პოლიციის სამი იფიციერი ეროვნულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობაში და მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და სამართალდამცველ ორგანოში მუშაობის დისკვალიფიკაცია ორი წლით. პატიმრობის ეს ვადა კანონით გათვალისწინებული მინიმალური სანქცია იყო (იხ. ზემოთ პუნქტი 37). ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა, დამნაშავისთვის სასჯელის შეფარდებისას განსაზღვრონ სანქციის ოდენობა, რომელიც მათი რჩმენით, ყველაზე შესაფერისია სასჯელის საგანმანათლებლო და პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად. ასე მოიქცენ სასამართლოები წინამდებარე საქმეში და სასჯელის სიმსუბუქის მიზეზი ასნენს ბრალდებულთა შედარებით ახალგაზრდა ასაკით, იმით, რომ მანამდე ნასამართლევნი არ იყვნენ, ჰყავდათ ოჯახები და საზოგადოება მათ მიმართ პოზიტიურად იყო განწყობილი (იხ. ზემოთ პუნქტი 32). ეროვნული კანონმდებლობით, სასამართლოებს უნდა გაეთვა-

ლისწინებინათ როგორც შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებები. თუმცა, სასამართლოებმა არაფერი თქვეს რამდენიმე აშკარად დამამძიმებელ გარემოებაზე (რომელიც ნათლადაა აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლში, იხ. ზემოთ, პუნქტი 37). კერძოდ, არც ერთ ოფიცერს სინდისის ქენჯნა არ უგრძვნია, როცა არასათანადო მოპყრობის ფაქტს მთელი პროცესის განმავლობაში უარყოფნება.

73. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ამ მინიმალური სანქციის აღსრულებაც კი, რომელიც პოლიციის ოფიცერებს შეუფარდეს, შეჩერდა ერთნლიანი პრობაციით. შესაბამისად, ოფიცერებს ციხეში არც ერთი დღე არ გაუტარებიათ. მეტიც, მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება არ შეჩერებიათ გამოძიების პერიოდში (რაც ენინააღმდეგება სტამბულის ოქმის რეკომენდაციებს, იხ. ზემოთ პუნქტი 43).

74. დაბოლოს, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, სასამართლოს სწამის: წამების ფენომენის აღმოფხერის მიზნით სპეციალურად შექმნილი კანონმდებლობის პრევენციული ეფექტის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონმდებლობა გამოიყენება მაშინ, გარემოებები რომ მოითხოვს. წინამდებარე საქმეში CPT-მ დაადგინა (იხ. CPT-ს 2001 წლის ანგარიში, პუნქტი 24, ციტირებულია ზემოთ, 41-ე პუნქტში), რომ ადამიანი, რომელიც მათ მოინახულეს 2001 წლის 14 ივნისს, ნაცემი იყო ფეხისგულებზე (*falaka*), და ასევე აღნიშნა, რომ იმავე დღეს იქ სხვა პირის მიმართაც გამოიყენეს არასათანადო მოპყრობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ორი ადამიანი განმცხადებლები იყენენ (იხ. ზემოთ პუნქტი 54). სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ადამიანის ცემა ფეხისგულებზე, ან *falaka*, ყოველთვის განზრას ქმედებაა და კვალიფიცირდება, როგორც წამება (იხ. Corsacov, ციტირებულია ზემოთ, § 65, და Levintă ციტირებულია ზემოთ, § 71). ამგარა გარემოებებში, სისხლის სამართლის საქმის აღძრა სისხლის სამართლის კოდექსის 101/1 მუხლის (წამება) ნაცვლად სხვა მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება), მისი შეფარდების საფუძვლის მითითების გარეშე, არასაკმარისია იმ კანონმდებლობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად, რომელიც სპეციალურად შეიქმნა არასათანადო მოპყრობის აღმოფხერის მიზნით.

75. სასამართლო ასევე ითვალისწინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, რომელმაც მას შემდეგ, რაც CPT-ის ვიზიტისას შეიტყო განმცხადებლების საქმის შესახებ, განაცხადა, რომ „მისთვის ცნობილი არ იყო დაკავებულ პირთა დაკითხვისას პოლიციელთა მიერ არაადამიანური მეთოდების გამოყენების კონკრეტული საქმების შესახებ“ (იხ. ზემოთ პუნქტი 41). ამას გარდა, სასამართლო ინიშნვას: ხელისუფლების ორგანოები აცნობიერებდნენ, რომ ნაბიჯები არ იდგმებოდა გამოძიების თანამედროვე მეთოდების დასანერგად (იხ. ზემოთ პუნქტი 42), ასევე, არსებითად დაგვიანდა პოლიციის ეთიკის კოდექსის მიღებაც (რომელიც მიიღო CPT-მ ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვის დასმიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ, იხ. ზემოთ პუნქტები 38 და 41). ეს ადასტურებს მოლდოვის ხელისუფლების მარცხს, სრულად აღმოეფხვრა სამართლდამცველი ორგანოების მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა, და ამყარებს შთაბეჭდილებას, რომ არასათანადო მოპყრობის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის მიზნით მიღებულ კანონმდებლობას არ მიენიჭა სრული პრევენციული ეფექტი.

**(C) განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპრობასთან დაკავშირებული დასკვნა მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ**

76. სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლების არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება „დაუყოვნებლივ“ არ ჩატარებულა, კონვენციის მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. იგი ასევე ადგენს, რომ პოლიციის სამი ოფიცირის მიმართ სამართლარმოება - მათვის შეფარდებული სასჯელის სიმსუბუქის გათვალისწინებით - და ის ფაქტი, რომ პოლიციელთა ბრალეულობის დადგენისას კონკრეტულად წამების ამკრძალავი სამართლებრივი ნორმები არ შეფარდებულა, მომავალში ამგვარ ქმედებათა პრევენციისთვის საკმარისად ამკრძალავ ეფექტს ვერ უზრუნველყოფდა (იხ. Okkali, ციტირებულია ზემოთ, § 75).

წინამდებარე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

77. ამგვარ გარემოებებში - და განმცხადებელთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაგმაყოფილებაზე ეროვნული სასამართლოს უარისგან დამოუკიდებლად (იხ. ზემოთ პუნქტი 27) - ევროპის სასამართლო ადგენს, რომ ისინი კვლავ სარგებლობენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლის სტატუსით. შესაბამისად, სასამართლო მთავრობის წინასწარ პრეტენზიას არ ითვალისწინებს.

**2. პატიმრობის პირობები**

78. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლების მიერ თავიანთი პატიმრობის პირობების აღნერა სრულად შეესაბამება CPT-ს 2001-2004 წლების დასკვნებს ჩისინაუს №13 საპატიმრო დაწესებულებასთან დაკავშირებით (დასკვნები ციტირებულია, მაგალითად, საქმეში Becciev v. Moldova, № 9190/03, წე 31 და 32, 4 ოქტომბერი, 2005). განმცხადებელთა თქმით - რაც არ გაუპროტესტებია მთავრობის მხარეს - ისინი №3 საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდნენ 2004 წლის მარტამდე. სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისად, განმცხადებები რაღაც დროით მაინც იყვნენ იმავე პირობებში, როგორიც აღნერილია ზემოხსენებულ Becciev-ის საქმეში. მეტიც, საპატიმრო პირობები ამ დაწესებულებაში მნიშვნელოვნად არც 2005 წლისთვის გაუმჯობესებულა (იხ. მაგალითად, საქმე Modarca v. Moldova, № 14437/05, წე 37, 38 და 60-69, 10 მაისი, 2007).

79. რადგან სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეებში იმავე საპატიმრო დაწესებულებასთან დაკავშირებით მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა და განმცხადებელთა მიერ მათი საპატიმრო პირობების აღნერა არსებითად ემთხვევა ხსენებულ საქმეებში აღნერილს - და ამას ნაწილობრივ მთავრობაც ადასტურებს (საკრებულის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, იხ. ზემოთ პუნქტი 63) - სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში, განმცხადებელთა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

**II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

**80. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:**

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა,

## ვალერიუ და ნიკოლა როშკები მოლდოვის წინააღმდეგ

საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკ-მაყოფილებას მიაკუთვნებს“.

### **A. ზიანი**

81. თითოეულმა განმცხადებელმა არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ მოთხოვა 25 000 ევრო. განმცხადებელთა მტკიცებით, მათმა საქმემ აჩვენა პოლიციელთა მიერ სამართლისა და ადამიანის უფლებათა სრული უგულებელ-ყოფა, ასევე, გამომძიებლებისა და პოლიციის ოფიციელების საქმის სრულიად გა-დაფარვა მისი განმხილველი მოსამართლების მიერ, და შემწყნარებლური დამო-კიდებულება. მეტიც, განმცხადებლები არამარტო ანამეს, ასევე, მათ რამდენიმე წელი გაატარეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ საპატიმრო პირობებში.

82. მთავრობამ განმცხადებლის მოთხოვნა გააპროტესტა და განაცხადა, რომ კონვენციის მუხლების დაურღვეველობის გათვალისწინებით, განმცხადებელს კომ-პენსაციის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლების მოთხოვნილი თანხა გაზვიადებული იყო, სა-სამართლოს მიერ სხვა ანალოგიულ საქმეებში მინიჭებულ თანხებთან შედარებით.

83. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებმა გარკვეული სტრესი და გა-ლიზიანება გადაიტანეს, კერძოდ იმიტომ, რომ მათგან ალიარებითი ჩვენებების მო-პოვების მიზნით, ისინი ანამეს და შემდეგ კი არაადამიანურ პირობებში მოათავსეს, პოლიციელები კი, რომლებიც განმცხადებლებს არასათანადოდ მოეცყრნენ, არასო-დეს დაუპატიმრებიათ და გამოძიების ეტაპზე მათი სამსახურებრივი უფლებამო-სილებაც კი არ შეუჩერებიათ. პოლიციელებისთვის შეფარდებულმა მსუბუქმა სას-ჯელმა განმცხადებლების ტანჯვა კიდევ უფრო გააძლიერა. საქმის ამ გარემოებათა ფონზე და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო სახელმწი-ფოს თითოეული განმცხადებლისთვის გადასახდელად უწესებს 15 000 ევროს.

### **B. ხარჯები და დანახარჯები**

84. განმცხადებლები დამატებით ითხოვდნენ 2 125 ევროს სამართლებრივი ხარჯებისა და დანახარჯებისათვის სასამართლოს წინაშე.

85. მთავრობამ გააპროტესტა თანხის რაოდენობა. იგი ამტკიცებდა, რომ მო-თხოვნილი თანხის რაოდენობა გადამეტებული იყო.

86. სასამართლომ განმცხადებლებს დამატებით 2 000 ევრო მიანიჭა სამარ-ლებრივი ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

### **C. საურავი**

87. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევრო-პის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხორით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## **სენატული მიზანების გამოყენება, სასამართლო ერთხელი**

1. აერთიანებს საქმის არსებით მხარესთან მთავრობის წინასწარ პრეტენზიას გან-  
მცხადებელთა მიერ მსხვერპლის სტატუსის დაკარგვის შესახებ;
  2. დასაშვებად აცხადებს მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებს; განაცხადის და-  
ხარჩენ ნაწილს კი - დაუშვებლად;
  3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებელთა მიმართ არასა-  
თანადო მოპყრობის გამო; სახელმწიფოს მიერ როგორც საპროცესო ვალდებულე-  
ბის - გამოეძიებინა განმცხადებელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები  
- შეუსრულებლობის, ასევე, ამ ქმედებებზე პასუხისმგებელ პირთათვის შემაკავე-  
ბელი ეფექტის სასჯელთა შეუფარდებლობის გამო; ასევე, არაადამიანური საპა-  
ტიმრო პირობების გამო.
  4. უარყოფს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას;
  5. ადგენს:
- (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვე-  
ტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ გან-  
მცხადებლებს შემდეგი თანხები უნდა გადაუხადოს მოლდოვურ ლეიში, გადახდის  
დღეს არსებული კურსით:
- (i) 15 000 ევრო (თხუთმეტი ათასი ევრო) თითოეულ განმცხადებელს, არამა-  
ტერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამას დაემატება ნებისმიერი გადა-  
სახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;
  - (ii) 2 000 ევრო (ორი ათასი ევრო) ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაუ-  
რებლად, რასაც დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება  
დაიბეგროს ეს თანხა;
- (b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდის დღე-  
მდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება  
ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც  
უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
6. უარყოფს განმცხადებლების მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკავში-  
ფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2009 წლის 20  
ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების  
შესაბამისად.

**ლოურენს ეარლი**  
რეგისტრატორი

**ნიკოლას ბრაცა**  
თავმჯდომარე



## **ვიქტორკო ომულობრივის შენაბაჭება**

---

***CASE OF WIKTORKO v. POLAND***



მეოთხე სექტია

## ვიკტორ პოლონეთის წინაღედები

(განაცხადი № 14612/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 31 მარტი

საბოლოო ვერსია

30/06/2009

გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

**საქმეზე ვიკტორკო პოლონეთის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატაშ  
შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრაცა, თავმჯდომარე,  
ლეხ გარლიცკი,  
ჯოვანი ბონელო,  
ლილიანა მიჯოვიჩი,  
დავიდ ტორ ბიორგვინსონი,  
ლედი ბიანკუ,  
მიჰაი პოალელუნგი, მოსამართლეები,  
და ლოურენს ეარლი, სექციის მდივანი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2009 წლის 10 მარტს,  
გამოიტანა და ამავე დღეს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი №14612/02, რომელიც 2001 წლის 23 აპრილს პოლონეთის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა პოლონეთის მოქალაქემ ანა ვიკტორეომ (შემდგომში „განმცხადებელი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. პოლონეთის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) ინტერესებს იცავდა სახელმწიფო წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ბატონი ჯ. ვოლასიევიჩი.

3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გამოსაფხიზლებელ ცენტრში დაკავებისას ცენტრის თანამშრომელთა ქცევა მის მიმართ უტოლდებოდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას და არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს. იგი ასევე აცხადებდა, რომ მისი იძულებით მოთავსება ცენტრში იყო უკანონო და არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას.

4. 2006 წლის 5 დეკემბერს სასამართლომ მე-3 მუხლთან დაკავშირებით შეტანილი განაცხადის მთავრობასთან კომუნიცირება გადაწყვიტა. ასევე გადაწყდა, რომ განაცხადის არსებითი მხარე და დასაშვებობის საკითხი ერთდროულად განეხილათ (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

## ვაკტები

### I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს ქალაქ ოლშიტინში.
6. 1999 წლის 27 დეკემბრის საღამოს განმცხადებელი თავის მეგობარს შეცვდა.
7. ამის შემდეგ იგი ტაქსით შინისკენ გაემართა და უარი განაცხადა მგზავრობის მაღალი ტარიფის გადახდაზე, სათანადო ქვითრის მიღების გარეშე. შედეგად, ტაქსის მძლოლმა განმცხადებელი თავის სახლთან ჩამოსმის ნაცვლად, ოლშტინის გამოსაფხიზლებელ ცენტრში წაიყვანა. მძლოლის საქციელით შეშინებულმა განმცხადებელმა ტაქსიდან პოლიციაში დარეკა. ასევე მოიქცა მძლოლიც.
8. შედეგად, განმცხადებელი გამოსაფხიზლებელ ცენტრში დააკავეს. მან ალკოლის დოზის შესამონებელი ტესტის ჩატარებაზე უარი განაცხადა. დაკავებული ამბობდა, რომ მიღებული ჰქონდა ორი კათხა ლუდი. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელი „საშუალო ინტოქსიკაციის“ მდგომარეობაში იყო.
9. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ცენტრის თანამშრომლებმა მას შეურაცხყოფა მიაყენეს, სასტიკად დასცინეს და სცემეს. ორმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა იგი იძულებით გააშიშვლეს და ასევე იძულებით ჩაცვეს ერთჯერადი პერანგი.
10. მთავრობის ვერსიით, სწორედ განმცხადებელი იქცეოდა აგრესიულად ცენტრის თანამშრომელთა მიმართ და მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

შესაბამისად, მათ სხვა გზა არ დარჩათ, ძალით გახადეს დაკავებულს ტანსაც-მელი, რადგან იგი საკუთარი ნებით გახდაზე უარს აცხადებდა. შემდგომ კი წინააღმდეგობა გაუწია თანამშრომელთა კანონიერ მცდელობასაც - მისთვის ერთჯერადი პერანგი ჩაეცმიათ.

11. მთავრობა დამატებით ამტკიცებდა, რომ აუცილებელი გახდა განმცხადებლისათვის შემზღვდებელი ქამრის გაკეთება, რადგან საწოლში ჩაწერის შემდეგ იგი ოთახის კარს წიხლს ურტყამდა და კივილით ილანძლებოდა, რაც სხვა პაციენტებს ძილის საშუალებას არ აძლევდა.

12. მხარეთა არგუმენტებში მოყვანილი ფაქტები ერთმანეთს ემთხვევა, კერძოდ, იმ ნაწილში, რომ განმცხადებელი შემზღვდებელი ქამრით შეკრეს, საწოლზე მიაბეს და საკანში ჩაკეტეს 1999 წლის 28 დეკემბრის დილამდე, როცა იგი ცენტრიდან გაათავისუფლეს.

განმცხადებლის მტკიცებით, იგი საკანში ქამრით შეკრული დაახლოებით ათი საათის განმავლობაში იმყოფებოდა. მთავრობას ეს არგუმენტი არ გაუპროტესტებია.

13. 1999 წლის 29 დეკემბერს განმცხადებელმა მისი მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო ცნობა აიღო.

ცნობის შესაბამის ნაწილში იკითხება:

მარცხენა ბარძაყზე, წინა მხარეს აღენიშნება 3 სმ. დიამეტრის სისხლჩაქცევა, იდაყვთან ახლოს, მაჯაზე - ნაფხაჭი; მხრის მოპილობა და როტაცია შეზღვდულია (გაურკევეველია, ეს პასიურ მოძრაობებს ეხება თუ აქტიურს); განმცხადებელი უჩივის ტკივილს ყბის მარცხენა მხარეს; ყბა ამ მხარეს შეშუპებულია.

14. ამ ინციდენტიდან მაღლევე განმცხადებელმა ცენტრის თანამშრომელთა წინააღმდეგ საჩივრით მიმართა ლოსზტინის საქალაქო პოლიციის უფროსს. მისი მტკიცებით, იგი ინტოქსიკიის ქვეშ არ ყოფილა და მის საქციელში არაფერი იყო ისეთი, რაც თავისუფლების აღვეთის გადაწყვეტილებას გაამართლებდა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ცენტრის თანამშრომლებმა მას სასტიკად დასცინეს და ტანსაცმელი იძულებით გახადეს.

15. 2000 წლის 21 იანვარს საქალაქო პოლიციის უფროსმა უარი განაცხადა განმცხადებლის საქმის გამოძიების დაწყებაზე. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებაში ვკითხულობთ:

„1999 წლის 29 დეკემბერს ქალბატონმა ა. ვიკტორეკოპოლიციის განყოფილებას მიმართა საჩივრით, რომ 27-28 დეკემბერს ტაქსის მძღოლმა და გამოსაფხიზლებელი ცენტრის თანამშრომლებმა მის მიმართ ფიზიკური ძალა გამოიყენეს და შეურაცხვეს იგი. ოფიციალურ საჩივარში, რომელიც მან შეიტანა 2000 წლის 4 იანვარს და ეხება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, განმცხადებელი ხსნის, რომ 1999 წლის 27 დეკემბერს, დაახლოებით ლამის 11 საათზე, ტაქსის № [...] მძღოლმა მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხებული მიაყენა, შემდეგ კი წაიყვანა გამოსაფხიზლებელ ცენტრში, სადაც იგი დაკავეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, და ცენტრის თანამშრომლებმა მის მიმართ ფიზიკური ძალა გამოიყენეს. ამას შედეგად მოჰყვა სხეულზე სისხლჩაქცევები და ნაფხაჭნები. რამდენიმე ადამიანს სთხოვეს ინფორმაციის მონიცემება, მაგრამ არავინ დაადასტურა განმცხადებლის ბრალდებები. ტაქსის მძღოლმა განაცხადა, რომ ქალბატონი ვიკტორეკოპოლიციის გადახდაზე, არც მანქანიდან გადასვლა უნდოდა და თვი-

თონვე დათანხმდა ამ ცენტრში წაყვანას. მას ნებისმიერ დროს შეძლო ტაქსიდან გადასვლა. ცენტრში იგი დააკავა პოლიციამ და არა ტაქსის მძლომა, როგორც თვით განმცხადებელი ამბობდა; მეტიც, მას არ სურდა ალკოჰოლის დოზის შეს-ამონმებელი ტესტის გავლა. უკვე ცენტრში ყოფნისას კი არ სურდა ტანსაცმლის გახდა, და როცა იგი პაციენტთა ოთახში მოათვესეს, კარს ხელებითა და სხეულის სხვა ნაწილებით ურტყამდა, რა დროსაც დაზიანებები მიიღო. შესაბამისად, საჭირო გახდა შემზღვეველი ქარის გამოყენება, რადგან მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შესაძლოა საფრთხე დამუქრებოდა.“

2000 წლის 31 იანვარს ოლსზტინის საქალაქო პროკურატურამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

16. განმცხადებელმა 2000 წლის 8 თებერვალს წინამდებარე გადაწყვეტილება გაასაჩივრა. კერძოდ, იგი ირწმუნებოდა, რომ მისი დაკავება აბსოლუტურად გაუმართლებელი გახლდათ, რადგან ინტოქსიკაციის ქვეშ არ იყო. მან 1999 წლის 27 დეკემბრის საღამოს ორი კათხა ლუდი დალია, რასაც არც ერთი სტანდარტით არ შეიძლება ინტოქსიკაცია ეწოდოს იმ შინაარსით, გამოსაფხიზლებელ ცენტრში თავისუფლების აღკვეთას რომ გაამართლებდა. დაკავების შემდეგ მას ცენტრის თანამშრომლები არასათანადოდ მოეცყრნენ, მაგრამ 2000 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებამ აშკარად ვერ შეძლო საქმეში არსებული ფაქტებისთვის ნათელი მოეფინა. განმცხადებლის მტკიცებით, დაკავებისას იგი გააშიშვლეს. ის აცხადებდა, რომ პოლიციამ ვერ შეძლო განმცხადებლის დაკავების საქმის მასალები ხელმისაწვდომი გაეხადა და ზედაპირული გამოძიება ჩატარდა.

17. 2000 წლის 21 თებერვალს ოლსზტინის საქალაქო პოლიციის უფროსმა განმცხადებლის ბრალდებათა გამოძიება გადაწყვიტა.

18. 2000 წლის 17 მარტს, გამოძიების მოთხოვნის საფუძველზე, ექსპერტმა საკუთარი მოსაზრება მოამზადა გათავისუფლებისას განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მოსაზრება იმერობდა 1999 წლის 29 დეკემბრის ცნობაში აღნიშნულ დასკვნებს, რომ განმცხადებელს დაზიანებები შესაძლოა მიეღო როგორც ძალის გამოყენების შედეგად, ასევე თავისი საქციელის გამო, მას შემდეგ, რაც გახადეს და საკანში მოათვესეს.

19. ამის შემდეგ პოლიციამ გამოძიება შეწყვიტა. 2000 წლის 19 აპრილს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქალაქო პროკურორმა. გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში იკითხება:

„გამოძიებისას მოიკვლიეს ფაქტები, დაიკითხნები, შეისწავლეს განმცხადებლის სამედიცინო ჩანაწერები და დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა დაზიანებებისა და იმ გარემოებათა დასადგენად, რომლებმიც შეიძლებოდა ისინი მიყენებულიყო. ამ დოკუმენტით დადგინდა, რომ 1999 წლის 27 დეკემბერს ანა ვიკტორეკო, რომელიც არ იყო ფხიზელი და უარი განაცხადა ტაქსში ტარიფის გადახდაზე, ტაქსის მძლომა გამოსაფხიზლებელ ცენტრში წაიყვანა. შემდგომ, საპატრულო პოლიციის თანდასწრებით, იგი ცენტრის შენობაში შეიყვანეს. იქ ყოფნისას, ვულგარული და დამსწრეთა მიმართ შეურაცხმყოფელი ქცევის გათვალისწინებით, გადაწყდა მისი იძულებით მოთავსება ცენტრში. რადგან განმცხადებელს არ სურდა დამორჩილებოდა მოქმედ წესებს - გაევლო ალკოჰოლის დოზის შესამონმებელი ტესტი და ნებაყოფლობით გამოეცვალა ტანსაცმელი - პერსონალმა მის მიმართ ძალა გამოიყენა, რათა ტან გაეხადათ, ერთჯერადი პერანგი ჩაეცმიათ და დაკავებულთა ოთახში მოეთავსებინათ. რაკი იგი კვლავ აგრძესიული

## ვიკტორეკოპოლის წინააღმდეგ

იყო, ანადგურებდა ქონებას და შეეძლო თავი დაეზიანებინა, მას ჩააცვეს შემზღვეველი ქამარი, რათა დაწყნარებულიყო.

განმცხადებლის საჩივარი ვერ განმტკიცდა მოწმეთა ჩვენებებით. მისი საქციელი გაკიცხვას იმსახურებდა და საჭირო იყო ის გამოსაფხიზლებელ ცენტრში მოეთავსებინათ. არ დადგინდა, რომ მის მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალა აღემატებოდა მის დასამშვიდებლად საჭირო ძალას. შესაბამისად, რადგან არაფერი მიანიშნებდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე, გამოძიება შეწყდა.“

20. განმცხადებელმა, ადვოკატის დახმარებით, ეს გადაწყვეტილება საოლქო პროკურორთან გაასაჩივრა. იგი აცხადებდა, რომ იმ ღამეს ინტოქსიკაციის ქვეშ არ იყო, ცენტრის თანამშრომლებმა თავიანთი ქმედებებით დაარღვიეს მისი უფლებები, შელახეს მისი ღირსება და ფიზიკური სიმტკიცე. ასევე აღნიშნავდა, რომ დაირღვა მისი საპროცესო უფლებებიც, რადგან პოლიციამ მის წარმომადგენელს არ აცნობა არც ერთი საგამოძიებო ღონისძიების შესახებ, რომელიც განხორციელდა სამართალწარმოებისას. განმცხადებელი იმის შესახებაც ჩიოდა, რომ გამოძიებისას მას შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, დაპირისპირებოდა ცენტრის თანამშრომლებს.

21. 2000 წლის 7 ივნისს ოლსზტინის საოლქო პროკურატურამ, საპროცესო საკითხებზე განმცხადებლის არგუმენტების გათვალისწინებით, 2000 წლის 19 აპრილის სადაცვო გადაწყვეტილება გააუქმა. მან აღნიშნა, რომ იყო არსებითი შეუთავსებლობები განმცხადებლისა და სხვა პირთა ჩვენებებს შორის. საჭირო იყო ჭეშმარიტების დადგენა.

22. 2000 წლის 2 აგვისტოს ჩრდილო ოლსზტინის საქალაქო პროკურორმა სამართალწარმოება შეწყვიტა, რადგან დადგინდა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩადენილა. გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში იკითხება:

„1999 წლის 27 დეკემბრის საღამოს განმცხადებელმა ტაქსი გამოიძახა. [...] მგზავრობისას განმცხადებელსა და მძღოლს შორის, გადასახდელ ტარიფთან დაკავშირებით, უთანებმოება მოხდა. რადგან მხარეები ვერ მორიგდებნ, [მძღოლმა] გადაწყვიტა პრობლემა პოლიციის დახმარებით მოეგვარებინა. მას შემდეგ, რაც დაუკავშირდა [სატაქსო კომპანიის] სადისპეჩეროს, იგი გამოსაფხიზლებელი ცენტრის მიმართულებით გაემგზავრა და ელოფებოდა პოლიციელთა მოსვლას. შემდეგ კი ისნი ელოდნენ საპატრულო პოლიციას. ამ დროს მძღოლი ცენტრის შენობაში შევიდა, განმცხადებელი კი ტაქსის გვერდით იდგა და მობილურით პოლიციას ურეკავდა.“

აღსანიშნავია, რომ მძღოლს განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია - უკანონოდ ქონების ჩამორთმევის სახით. ორივე მხარე პრობლემის მოგვარებას პოლიციის დახმარებით ცდილობდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ დროს განმცხადებელს მარტივად შეეძლო, წასულიყო ან ტელეფონით ესარგებლა.

მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილას პოლიციელები A.R. და W.K. მივიდნენ, მათ სიტუაციის მეგობრულად მოგვარება სცადეს, მაგრამ ამაოდ. განმცხადებლის - რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდიოდა - ვულგარული და აგრესიული საქციელის გათვალისწინებით, პოლიციის ოფიცრებმა გადაწყვიტეს, იგი გამოსაფხიზლებელ ცენტრში დაეკავებინათ, სადაც მან უარი განაცხადა ალკოჰოლის დოზის განმსაზღვრელი ტესტის ჩატარებაზე. შედეგად, მორიგე ექიმმა ზოგადი დათვალიერების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი ინტოქსიკაციის

მდგომარეობაში იყო, რაც მის იძულებით მოთავსებას თორმეტ საათამდე კანონიერს ხდიდა.

ამის შემდეგ ცენტრის თანამშრომელმა M.P.-მ [ქალმა] სცადა, განმცხადებელს ერთჯერადი პერანგი ჩაეცვა.

განმცხადებლის ჯიუტი წინააღმდეგობის შემდეგ M.P.-მ სხვა თანამშრომლებს - L.Z.-სა და T.P.-ს [მამაკაცები] - დასახმარებლად მოუხმო; განმცხადებელს პერანგი ჩააცვეს და ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფ პირთა ოთახში მოათავსეს.

განმცხადებელი კვლავ აგრესიული იყო, ამიტომ მის მიმართ გამოიყენეს ფიზიკური ძალა და ჩააცვეს შემზღვდველი ქამარი.

გამოსაფხილებელი ცენტრების შესახებ შესაბამისი დებულებებიდან და თანამშრომელთა სამსახურებრივი ვალდებულებებიდან ირკვევა, რომ თანამშრომლები, ამ სამართლებრივ დებულებათა თანახმად, კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ და, შესაბამისად, უსაფუძვლოა ეჭვი იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთით ან იძულებით ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული.

გამოსაფხილებელში სწავლებისა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის 41-ე სექციის... და ბრძანებულების მე-19 და მე-20 სექციების თანახმად, განმცხადებლის სახელზე გამოიწერა ქვითარი - 250 პოლონური ზლოტის ოდენობით - რომელიც მას უნდა გადაეხადა დაკავების ხარჯების ასანაზღაურებლად.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის მიმართ ცენტრის თანამშრომელთა ქცევა იყო კანონიერი.

გამოძიებისას დაიკითხა ყველა, ვინც კი მონაწილეობდა განმცხადებლის დაკავებასა და ცენტრში იძულებით მოთავსებაში. საქმეში მცირედი მტკიცებულებაც არ მოპოვებულა, რომელიც ეჭვს აღძრავდა, რომ ჩადენილი იქნა სისხლის სამართლის დანაშაული.

შედეგად, გადაწყვეტილება იმეორებდა სამედიცინო ანგარიშის დასკვნებს (იხ. ზემოთ პუნქტი 3). გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

განმცხადებელი თავის არგუმენტაციაში აღნიშნავდა, რომ ცენტრის თანამშრომლებმა მისი ლირსება შელახეს... იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის დაზიანებებისა და შეურაცხყოფის შეფასება შესაძლებელი იყო კერძო საპრალდებო საჩივრის საფუძველზე დაწყებული სამართალწარმოებისას, განმცხადებელს ასეთი საჩივრის შეტანა წინამდებარე გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში შეეძლო.

23. განმცხადებელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა და გაიმეორა წინა საჩივრში აღნიშნული არგუმენტები. ამას გარდა, მან დაამატა, რომ ცენტრის თანამშრომლებმა იგი დაამცირეს, რადგან ძალის გამოყენებით ტანთ გახადეს და შემზღვდველი ქამრით სანოლზე ჰყავდათ მიბმული 1999 წლის 28 დეკემბრის დღილამდე. მას საპირფარეშოში გასვლაც კი არ შეეძლო.

24. 2000 წლის 25 ოქტომბერს ოლსზტინის საოლქო სასამართლომ ზემოხსე-

ნებული გადაწყვეტილება სამართალნარმოების შეწყვეტის შესახებ ძალაში და-  
ტოვა. თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც ოცი სტრიქონისგან შედგებოდა, სა-  
სამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით,  
ლოგიკური დასკვნა კეთდებოდა - განმცხადებელი იყო ინტოქსიკაციის ქვეშ.  
შესაბამისად, მისი იძულებით მოთავსება გამოსაფხიზლებელ ცენტრში და მასზე  
ძალის გამოყენება გამართლებული იყო.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონდებლობა

25. გამოსაფხიზლებელი სწავლებისა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ  
კანონი (*Ustawa o wychowaniu w trzeźwosci i przeciwodzieleniu alkoholizmowi*) უზრუნ-  
ველყოფს ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი  
პირების მიმართ. კანონის 39-ე და მე-40 თავებში ჩამოყალიბებულია ღონისძიე-  
ბები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ამგვარ პირებთან მიმართებით.

26. კანონის 39-ე თავის თანახმად, გამოსაფხიზლებელი ცენტრები უნდა შე-  
ქმნან და მართონ იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, რომლებ-  
საც 50 000-ზე მეტი მცხოვრები ჰყავთ. კანონის მე-40 თავი, რომელსაც შესაბა-  
მის დროს ჰქონდა ძალა, გულისხმობდა შემდეგს:

„1. დაშვებულია ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფ პირთა - რომლებიც საზოგადოებრივ  
ადგილას ან სამსახურში შეურაცხმოყელად იქცევიან, საფრთხეს უქმნიან საკუ-  
თარ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ან საფრთხეს უქმნიან სხვა პირთა სიცოცხლეს  
ან ჯანმრთელობას - მოთავსება გამოსაფხიზლებელ ცენტრსა ან საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის დაცვისა დაწესებულებაში, ან მიყვანა მათივე საცხოვრებელ სახლში.

2. გამოსაფხიზლებელი ცენტრების არარსებობისას, დაშვებულია ამ პირების მი-  
ყვანა პოლიციის განყოფილებაში.

3. ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც მოათავსეს გამოსაფხიზლებელ  
ცენტრსა ან პოლიციის განყოფილებაში, იქ უნდა დარჩნენ სრულ გამოფხიზლე-  
ბამდე, მაგრამ არაუმეტეს 24 საათისა...“

27. ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის მინისტრის 1996 წლის  
23 იქტიმბრის ბრძანებულება, რომელიც ეხება ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფ პირ-  
თა მიმართ პროცედურებს, გამოსაფხიზლებელი ცენტრების მოწყობასა და ჯან-  
მრთელობის დაცვის ფარგლებს, ასევე, გამოსაფხიზლებელ ცენტრებში პირთა  
მიღებასა და იქ ყოფნასთან დაკავშირებული გადასახადების შეფასების წესებს (Rozporządzenie Ministra Zdrowia i Opieki Społecznej w sprawie trybu doprowadzania osób w sta-  
nie nietrzeźwości organizacji izb wytrzeźwień i zakresu opieki zdrowotnej oraz zasad ustalania opłat  
związkanych z doprowadzeniem i pobytom w izbie wytrzeźwień), დეტალურ წესებს ადგენს  
პირის გამოსაფხიზლებელ ცენტრში იძულებით მოთავსების შესახებ.

28. ბრძანებულების მე-9 თავი გულისხმობს:

„1. გამოსაფხიზლებელ ცენტრში მიყვანილ პირს დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარ-  
დეს სამედიცინო შემოწმება.

2. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმი წყვეტს, პირი უნდა მოთავსდეს გამო-

საფხოზლებელ ცენტრში... თუ საავადმყოფოსა ან სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ან არსებობს თუ არა ინტოქსიკაციის ნიშნები, რომლებიც გამოსაფხიზლებელ ცენტრში პირის მოთავსებას გააძართლებდა.“

ამ ბრძანებულების მე-13 მუხლის 1-ლ პუნქტში წერია:

„ერთჯერადი პერანგები უნდა გაიცეს ყველა დაკავებულ პირზე.“

29. ბრძანებულების მე-16 თავში აღნიშნულია, რომ დასაშვებია პირდაპირი შეზღუდვის მეთოდების გამოყენება 1994 წლის ფსიქიკური ჯანდაცვის შესახებ აქტის მე-18 თავის წესების თანახმად, რომლებშიც დადგენილია, რომ პირდაპირი შეზღუდვა, სხვა მეთოდთა შორის, შესაძლოა მოიცავდეს პირის მოძრაობის შეზღუდვას. ამ აქტის მე-16 თავი დამატებით მოხსმოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 1995 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებას პირდაპირი შეზღუდვის ფორმის შესახებ (w sprawie sposobu stosowania przymusu bezpośredniego), რომელიც ადგენს ასეთი შეზღუდვის ფარგლებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს:

„9 (2). ექიმი უფლებამოსილია, რეკომენდაცია გასცეს პირდაპირი შეზღუდვის შესახებ - მოძრაობის შეზღუდვის ან იზოლაციის ფორმით - არაუმეტეს 24 საათისა. საჭიროებისას ექიმს პაციენტის პერსონალური შემოწმების შემდეგ შეუძლია მოძრაობის შეზღუდვა მომდევნო ექვსი საათით გააგრძელოს.

13. მორიგე ექთანდა მოძრაობაშეზღუდული ან იზოლირებული პირის მდგომარეობა უნდა გადაამოწმოს არაუმეტეს 15 წუთის ინტერვალით, მაშინაც კი, როცა შესაბამის პირს სძინავს. პირის მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა ჩაინტეროს მის კარტაზე.“

## სამართალი

### I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

30. განმცხადებელი ჩიოდა, რომ 1999 წლის 27 დეკემბრის ინციდენტისას ლირსების შემლახველად მოეპყრნენ და მისი ბრალდებები სათანადო არ გამოუძიებიათ, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. წინამდებარე დებულება ასე იკითხება:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

#### A. დასაშვებობა

31. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს ყველა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალება არ ამოუწურავს. მისი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ - ალძრულიყო სისხლის სამართლის საქმე შეზღუდვის სადაცო ფაქტზე - განმცხა-

დებელს შეეძლო, სისხლის სამართლის სასამართლოსთვის მიემართა კერძო საბრალდებო საჩივრით, რომელშიც იდავებდა, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, რამაც შედეგად მისი სხეულის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია. განმცხადებელს პროკურორმა დროულად აცნობა ამ უფლების შესახებ.

32. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ - დასჯილიყვნენ ინციდენტში მონაწილე პირები - მისთვის არ უნდა მოეთხოვათ ამ უფლებით მეორედ ესარგებლა, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, ალბათ განნირული იყო მარცხისთვის.

33. კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტში იკითხება:

„სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიიღოს საქმე განსახილველად, თუ ამონურულია დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით ...“

34. 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებათა ამონურვის წესის მიზანია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სამართლიანად იმოქმედონ მათი შიდასამართლებრივი სისტემის საშუალებით, სანამ ამ ქმედებების გამო საერთაშორისო ორგანისათვის პასუხების გაცემა მოუწევთ (იხ. სხვა საქმეებთან ერთად, Egmez v. Cyprus, № 30873/96, § 64, ECHR 2000-XII). დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებათა ამონურვის ვალდებულება განმცხადებლისგან მოითხოვს ეფექტიანი, საკმარისი და ხელმისაწვდომი ღონისძიებებით ჩევეულებრივად სარგებლობას, კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე. ეფექტიანია ღონისძიება, რომლითაც შესაძლებელია სადავო მდგომარეობის/უფლების პირდაპირ გამოსწორება (იხ. Balogh v. Hungary, №. 47940/99, § 30, 20 ივლისი 2004).

35. როცა ადამიანი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ასაჩივრებს, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ საქმის ძირეულ და ეფექტიან გამოძიებას, რომელიც შესაძლებელს ხდის პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციასა და დასჯას (იხ. Selmouni v. France [GC], № 25803/94, § 79, ECHR 1999-V, და Egmez v. Cyprus, ციტირებულია ზემოთ, § 65).

36. როცა შესაძლებელია სამართლებრივი დაცვის საშუალებების არჩევა, განმცხადებლის მდგომარეობის რეალურად ასახვისთვის სავალდებულო მათი ამონურვა - კონვენციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად (იხ. Allgemeine Gold-und Silberscheideanstalt A.G. v. the United Kingdom, № 9118/80, 1983 წლის 9 მარტის კომისიის გადაწყვეტილება, Decisions and Reports (DR) 32, გვ. 165, და უფრო ახალი გადაწყვეტილება Krumpel and Krumpelová v. Slovakia, № 56195/00, § 43, 5 ივლისი 2005). მეტიც, განმცხადებელს, რომელმაც უკვე ისარგებლა სამართლებრივი დაცვის საშუალებით და ეს საშუალება იყო აშეარად ეფექტიანი და საკმარისი, არ მოეთხოვება მისთვის ხელმისაწვდომი სხვა სამუალებების გამოყენებაც, რომლებითაც, სავარაუდოდ, ნაკლებად მიაღწევს შედეგს (იხ. Wójcik v. Poland, № 26757/95, 1997 წლის 7 ივლისის კომისიის გადაწყვეტილება, DR 90-A, გვ. 28; Assenov and Others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი 1998, § 86, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII; Aquilina v. Malta [GC], № 25642/94, § 39, ECHR 1999-III; და Günaydin v. Turkey (dec.), № 27526/95, 25 აპრილი 2002).

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ინციდენტის შესახებ საჩივრით მიმართა პროკურატურას, რომელმაც სავარაუდო დანაშაულზე სისხლის

სამართლის ძიება დაიწყო. სასამართლო განმცხადებლის არჩევანს შესაძლო პროცედურებს შორის გონივრულად მიიჩნევს. განმცხადებელმა ამ გზით სცადა, მომხდარიყო იმ ადამიანთა იდენტიფიკაცია და დასჯა, რომლებმაც, განმცხადებლის რწმენით, მის მიმართ სისხლის დანაშაული ჩაიდინეს. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების ორგანიზის გადაწყვეტილებით, შესაბამისი პირების პასუხისებებაში მისაცემად საფუძველი არ არსებობდა, განმცხადებელს არ ევალებოდა, ახალი სამართალწარმოება წამოწყო იდენტური მიზნით, რომელიც განმცხადებელს წარმატების არანაირ პერსეპტივას არ სთავაზობდა.

38. შესაბამისად, სასამართლო უკუაგდებს მთავრობის პრეტენზიას, რომ განმცხადებელმა დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ ამოწურა.

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი მე-3 მუხლის არც არსებით და არც პროცედურულ მხარესთან დაკავშირებით აშკარად დაუსაბუთებელი არ არის - კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსით. იგი დამატებით აღნიშნავს, რომ განაცხადი არ შეიძლება დაუმცვებლად გამოცხადდეს არც რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, განაცხადი ცხადდება დასაშვებად.

## B. საქმის არსებითი მხარეები

### 1. სავარაუდო არასათანადო მოპყრობა განმცხადებლის მიმართ

#### (a) მხარეთა არგუმენტები

40. განმცხადებლის მტკიცებით, მას არასათანადოდ მოეპყრნენ გამოსაფხიზებელი ცენტრის თანამშრომლები. კერძოდ, ორმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა ძალით გახადეს ტანსაცმელი, გაუკეთეს შემზღვუდველი ქამარი და მთელი ღამით საკანში ჩაკეტეს. მან თავი საშინლად დამცირებულად იგრძნო. აღნიშნული უტოლდებოდა აბსოლუტურად გაუმართლებელ არაადამიანურ და ლირსების შემლახველ ქმედებას. დაკავებამდე დალეული ორი კათხა ლუდი ნარმოსახვითაც კი არ შეიძლებოდა ინტოქსიკაციად ჩათვლილიყო, რაც მის დაკავებასა და შემდგომ გრძელვადიან პატიმრობას გაამართლებდა, რომ არაფერი ითქვას მანერაზე - როგორ ეპყრობოდნენ მას ცენტრის თანამშრომლები.

41. მთავრობამ მოიხმო განმცხადებლის არგუმენტი, რომ 1999 წლის 27 დეკემბრის ინციდენტისას ცენტრის თანამშრომლებმა მის მიმართ ძალა გამოიყენეს და ყოველგვარი გამართლების გარეშე დაამცირეს. მთავრობის ცნობით, გამოძიების მიერ დადგენილმა ფაქტებმა აჩვენა, რომ მომხდარი მოვლენები განმცხადებელმა არასწორად შეაფასა. გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებით ნათელი გახდა, რომ განმცხადებელმა, რომელიც იყო „საშუალო ინტოქსიკაციის ქვეშ“, უარი განაცხადა ტაქსის საფასურის გადახდაზე, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს უულგარული სალანდავი სიტყვებით, აგრესიული იყო ცენტრის თანამშრომელთა მიმართ და შეურაცხყო ექიმი, რომელიც მის გასინჯვას ცდილობდა. ტანსაცმლის გახდაზე უარის თქმით, მან ასევე წინააღმდეგობა გაუწია ცენტრის თანამშრომლებს, განეხორციელებინათ ყველა შესაბამისი კანონიერი ქმედება. განმცხადებელი ცენტრის თანამშრომლებს შეენინააღმდეგა პაციენტთა ოთახში გადაყვანისასაც. ამ ოთახში მოთავსების შემდეგ იგი კარზე აბრახუნებდა, ყვიროდა და სხვა პაციენტები გააღვინდა. ამ საქციელის პასუხად, ცენტრის თანამშრომლებმა ექიმთან მოთათბირების შემდეგ იგი შემზღველი ქამრით შეკრეს.

42. სასამართლო დამატებით შეეხო სამედიცინო ცნობას, რომელიც განმცხადებელმა სასამართლოს მიაწოდა. ექიმმა აღმოაჩინა ერთი სისხლჩაქცევა, ერთი ნაკარი, მგრძნობიარე მხარი და შესიებული ყბა. მთავრობის ვერსიით, ეს დაზიანებები განმცხადებელს შესაძლოა მიეღო მისი ქმედების შედეგად, როცა პაციენტთა ოთახში ჩაკეტვის შემდეგ კარსა და კედლებს ეტაკებოდა.

43. მთავრობამ დაასკვნა, რომ განმცხადებლის დაზიანებები უმნიშვნელო იყო და, შესაბამისად, სადაცო მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში არ ხვდებოდა. ალტერნატივის სახით, რომც ვივარაუდოთ სადაცო მოპყრობის მოხვედრა შესაბამისი დეპულების ფარგლებში, მთავრობის მტკიცებით, ცენტრის თანამშრომელთა მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება განმცხადებელზე გადაუდებლად აუცილებელი იყო მისივე საქციელის გამო და კანონიერი გახლდათ. მთავრობის აზრით, განმცხადებლისთვის მიყენებული ტანჯვა სხვა კანონიერი მოპყრობით გამოწვეული ტანჯვისა და დამცირების თანმდევ ელემენტთა მიღმა არ წასულა.

#### **(b) სასამართლოს შეფასება**

44. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ლირებულებას იცავს. იგი აბსოლუტური ფორმით კრძალავს ნამებას ან არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, მსხვერპლის ქცევის ან გარემოებათა მიუხედავად (იხ. სხვა საქმეთა შორის, *Labita v. Italy* [GC], № 26772/95, § 119, ECHR 2000 IV). არასათანადო მოპყრობა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს, მე-3 მუხლის ფარგლებში რომ მოხვდეს. სისასტიკის მინიმალური ზღვარის შეფასება ფარდობითა, იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მის მიერ გამოწვეული ფიზიკური და სულიერი შედეგები და, ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობა (იხ. *Valašinas v. Lithuania*, № 44558/98, გვ 100-01, ECHR 2001 VIII).

45. სასამართლომ მოპყრობა „არაადამიანურად“ მიიჩნია იმის გამო, რომ *inter alia* იგი იყო წინასწარ დაგეგმილი, გრძელდებოდა უწყვეტლივ რამდენიმე საათის განმავლობაში და გამოიწვია სხეულის დაზიანება ან მძიმე ფიზიკური ზუსულიერი ტანჯვა. სასამართლომ „ლირსების შემლახველი“ უწოდა მოპყრობას, რომელიც მსხვერპლში იწვევდა შიშას, შფოთვასა და არასრულფასოვნების განცდას, რაც მას ამცირებდა და აკინიებდა (იხ. *Iwańczuk v. Poland*, № 25196/94, § 51, 15 ნოემბერი 2001).

46. სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მოვლენები, რომლებსაც განმცხადებელი ასაჩივრებდა, მოხდა გამოსაფხიზლებელ ცენტრში მისი იძულებით მოთავსებისას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იხსენებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, პოლონეთში გამოსაფხიზლებელ ცენტრში პირის დაპატიმრება უტოლდება „თავისუფლების აღკვეთას“ - კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსით (იხ. *Witold Litwa v. Poland*, №. 26629/95, § 46, ECHR 2000-III).

47. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლი დაკავების უზრუნველსაყოფად ძალის გამოყენებას არ კრძალავს. თუმცა, ასეთი ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობისას და იგი არ უნდა იყოს გადამტებული (იხ. სხვა საქმეთა შორის, *Klaas v. Germany*, 22 სექტემბერი 1993, § 30, Series A № 269; *Rehbock v. Slovenia*, № 29462/95, გვ 68

78, ECHR 2000 XII; და Krastanov v. Bulgaria, № 50222/99, წე 52 და 53, 30 სექტემბერი 2004). თავისუფლებააღვეთილი ადამიანის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც მისი საქციელიდან გამომდინარე, მკაცრად აუცილებელი არ ყოფილა, ამცირებს ადამიანის ღირსებას და არსებითად არღვევს კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებას (იხ. Ribitsch v. Austria, 4 დეკემბერი 1995, წ 38, Series A № 336, და Krastanov, ციტირებულია ზემოთ, წ 53).

48. სასამართლო სენატირია მისი ფუნქციის სუბსიდიური ბუნებისადმი და აღიარებს, რომ ფრთხილად უნდა აირიდოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციათა შესრულება, როცა საქმის გარემოებები ამის საშუალებას იძლევა (იხ. მაგალითად, McKerr v. the United Kingdom (dec.), № 28883/95, 4 აპრილი 2000). თუმცა, როცა განიხილება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, როგორც წინამდებარე შემთხვევაში, სასამართლომ განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა შეისწავლოს საქმე (იხ. *mutatis mutandis*, Ribitsch, ციტირებულია ზემოთ, წ 32).

49. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს: ხელისუფლების ორგანოებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ განმცხადებლის მიმართ მოპყრობა ხვდებოდა შესაბამის კანონის ფარგლებში - გამოსაფხიზლებელ ცენტრებში თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენების შესახებ. თუმცა, სასამართლო იმეორებს: ის უბრალო ფაქტი, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ძალის გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულად არ ცნეს, თავისთავად არ ათავისუფლებს ხელშემკვრელ მხარეს კონვენციით დაკაისრებული პასუხისმგებლობისაგან (იხ. Ribitsch, ციტირებულია ზემოთ, წ 34).

50. სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო ცნობას, რომელიც შედგენილია მისი გათავისუფლების მეორე დღეს. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ განმცხადებელს აღნიშნებოდა მცირედი დაზიანებები, რომლებიც ექიმის აზრით, შესაძლოა ყოფილოყო მის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგი. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლითან დაკავშირებული სხვა ბევრი საქმისაგან განსხვავებით, წინამდებარე შემთხვევაში ფიზიკური შეზღუდვა იმ ხარისხით არ გამოყენებულა, რომელიც კრიტიკული იქნებოდა საქმის განსახილველად. წინამდებარე საქმის არსებითი ასპექტია განმცხადებლის საჩივარი - რომ პატიმრობისას მას ორმა კაცმა და ერთმა ქალმა იძულებით გახადეს ტანსაცმელი და შემდეგ ჩააცვეს შემზღვედველი ქამარი.

51. სასამართლო აღნიშნავს: საგამოძიებო ორგანოებში შეტანილ საჩივრებში განმცხადებელი ამბობდა, რომ ცენტრის თანამშრომლებმა მას ტანთ გახადეს და სასტიკად ამცირებდნენ. იგი ასევე აცხადებდა, რომ მათი ქმედებით შეურაცხყოფილი და დაკინიტული იყო. თუმცა, როგორც ადგილობრივმა ორგანოებმა, ასევე მთავრობამ, განმცხადებლის მიერ ცენტრის თანამშრომლებისთვის განეული წინააღმდეგობა, როცა ისინი იძულებით ტანთ ხდიდნენ, გასაჩივრებული მოპყრობის საკმარის დასაბუთებად მოიხმეს. მათი აზრით, განმცხადებლის უარი ტანსაცმლის გახდაზე და წინააღმდეგობა ამართლებდა მის მიმართ ძალის გამოყენებას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი საჩივრის გათვალისწინება, რომ ძალის გამოყენებით შეიძლახა განმცხადებლის პირადი უფლებები და ღირსება.

52. რაც შეეხება განმცხადებლის უარს ტანსაცმლის გახდაზე, სასამართლო ითვალისწინებს იმ დროისთვის მოქმედი ბრძანებულების - გამოსაფხიზლებელი ცენტრების მოწყობის შესახებ - შესაბამის დებულებებს (იხ. პუნქტი 28 ზემოთ), რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ პატიმრობაში ყოფნისას ყველა დაკავებულ პირს უნდა მიეცეს შემცვლელი ტანსაცმელი, როგორიცაა ერთჯე-

რადი პერანგი. ქვემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს იმის დადგენას, წინამდებარე საქმის გარემოებებში უნდა მოეთხოვათ თუ არა განმცხადებლისთვის ტანსაცმლის გახდა, ან გამართლებული იყო თუ არა ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მასზე ძალის გამოყენება.

53. მართალია, საქმეში არ განხილება საკითხი, თუ სად გააშიშვლეს განმცხადებელი, სასამართლო მაინც მიიჩნევს, რომ გასათვალისწინებელია მისი პრეცედენტული სამართალი, სადაც საუბარია მსგავს სიტუაციებზე, რომლებშიც განმცხადებლებს გაშიშვლება უბრძანეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ მართალია, ადამიანის გაშიშვლება ჩერეკის მიზნით შესაძლოა აუცილებელი იყოს ციხეში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან არეულობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეს უნდა შესრულდეს შესაბამისი ფორმით, კანონის ფარგლებში. ადამიანი უნდა გააშიშვლონ შესაბამისი ფორმით, მისი ღირსების პატივისცემით და კანონიერი მიზნის მისაღწევად (Yankov v. Bulgaria, № 39084/97, § 166-176, ECHR 2003 XII (ამონარიდები); Wainwright v. the United Kingdom, № 12350/04, § 42, ECHR 2006 ...). გაჩერეკის მიზნით გაშიშვლების პატარა ეპიზოდებიც კი ღირსების შემლახველ მოპყრობად ჩაითვალა ჩერეკისას გამოყენებული ფორმის გამო, რომლის შესაძლო მიზანი იყო ადამიანის დამცირება და დაკინება. ჩერეკის ამ ფორმის გამოყენებას აკლდა დასაბუთება (იხ. Valashinas v. Lithuania, № 44558/98, § 117, ECHR 2001 VIII). სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ როცა კავშირი ჩერეკის მიზნით გაშიშვლებასა და უსაფრთხოების შენარჩუნებას და დანაშაულის ან უნესრიგობის თავიდან აცილებას შორის არ დგინდება, შესაძლოა საქმე მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს (Wainwright, ციტირებულია ზემოთ, § 42; Wieser v. Austria, № 2293/03, § 40, 22 თებერვალი, 2007, რომელშიც განმცხადებელი პოლიციელებმა გააშიშვლეს).

54. სასამართლო უყურადღებოდ ვერ ტოვებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი გააშიშვლა ცენტრის სამმა თანამშრომელმა - ერთმა ქალმა და ორმა კაცმა. ერთერთ საქმეში მან უკვე იმსჯელა ამ საკითხზე, როცა განმცხადებელს (კაცი) უბრძანეს, გაშიშვლებულიყო ციხის ქალი-თანამშრომლის თანდასწრებით. ამ ქალის იქ ყოფნა განმცხადებლის მიმართ აშკარა უპატივცემულობას აღნიშნავდა და შედეგად ამცირებდა მის ადამიანურ ღირსებას. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ფაქტი განმცხადებლის (კაცის) შფოთვასა და არასრულფასოვნების განცდას გამოიწვევდა, რაც მას ამცირებდა და აკინებდა (იხ. Valashinas, ციტირებულია ზემოთ, § 117).

სასამართლო მიიჩნევს, რომ იგივე მსჯელობა გამოიყენება წინამდებარე საქმეში - კიდევ უფრო მძაფრად, რადგან ამ საქმეში ორმა მამაკაცმა განმცხადებელი იძულებით გააშიშვლა.

55. თუმცა, სასამართლო უფრო მეტად შეშფოთებულია იმ ფაქტის გამო, რომ პაციენტთა ოთახში მოთავსების შემდეგ, განმცხადებლის ქცევის პასუხად, მას შემზღვდველი ქამარი ჩააცეს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქამრით იყო შეერული 10 საათის განმავლობაში, ვიდრე მას დილით ცენტრიდან გაათავისუფლებდნენ. მთავრობა განმცხადებელს მტკიცების ამ ნაწილში არ შენინააღმდეგებია. დავა არ ყოფილა იმ საკითხზე, რომ შემზღვდველი ქამრის გამოყენების შესახებ შესაბამისი ეროვნული ნორმები დაცული არ იყო (იხ. პუნქტები 27-29 ზემოთ). თუმცა, მთავრობას არანაირი დასაბუთება არ წარმოუდგენია, თუ რატომ იყო განმცხადებელი მოძრაობაშეზღუდული ცენტრის თანამშრომელთა გადაწყვეტილებით ამხელა დროის განმავლობაში. თუნდაც ვივარაუდოთ, რომ როგორც მთავრობა ამტკიცებდა, განმცხადებელი ცენტრში მიყვანისას „საშუა-

ლო ინტოქსიკაციის მდგომარეობაში იყო“, დროის ამ ხანგრძლივობით განმცხადებლის შეზღუდვა სასამართლოს მაინც სერიოზულად აშფოთებს. სასამართლო უშვებს შესაძლებლობას, რომ ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი პირის აგრესიული ქცევა შეიძლება შემზღუდველი ქამრის გამოყენებას საჭიროებდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამგვარად შეზღუდული ადამიანის კეთილდღეობიდან გამომდინარე, დროგამოშვებით შემოწმდება მისი მდგომარეობა. თუმცა, წინამდებარე საქმეში მთავრობას არანარი განმარტება არ წარმოუდგენია იმის ასახსნელად, რამდენად საჭირო იყო შემზღუდველი ქამრით განმცხადებლის გადამეტებული დროით შეკვრა. მოძრაობის ხანგრძლვად შეზღუდვას განმცხადებელში მძიმე დისტრესი და ფიზიკური დისკომფორტი უნდა გამოეწვია. განცდილი ტანჯვის დონე აშკარად შეუსაბამოა მე-3 მუხლის სტანდარტებთან.

56. განმცხადებლის საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოთა ქმედება ღირსების შემლახველ მოპყრობას უტოლდებოდა და, ამგვარად, ერნაბალმდეგბოდა მე-3 მუხლს.

57. შესაბამისად, დადგინდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არსებითად დაირღვა.

## 2. სავარაუდო არაადეკვატური გამოძიება

58. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, როდესაც ადამიანი ირწმუნება, რომ სახელმწიფო მოხელეთა ქმედება მის მიმართ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან, ჩაატარონ „ეფუქტიანი ოფიციალური გამოძიება“, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა (იხ. *Slimani v. France*, № 57671/00, წე 30 და 31, ECHR 2004-IX (ამონარიდები) და *Assenov and Others v. Bulgaria*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Reports*, გვ. 102). მეტიც, მე-3 მუხლის საპროცესო მოთხოვნები წინასწარი გამოძიების ეტაპს სცილდება; სამართლწარმოება, სასამართლო განხილვის ჩათვლით, უნდა შეესაბამებოდეს მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. მართალია, არ არსებობს იმის აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყველა სისხლის სამართლებრივი დევნა დამთავრდეს პირის თავისუფლების აღკვეთით ან კონკრეტული სასჯელით, მაგრამ ეროვნულმა სასამართლოებმა არანარი გარემოებაში არ უნდა დაუშვან, რომ ფიზიკური ან მორალური სიმტკიცის მძიმე შელახვის ფაქტი დაუსჯელი დარჩეს (იხ. *Öneryildiz v. Turkey* [GC], № 48939/99, გვ. 95 - 96, ECHR 2004-XII), *Salman v. Turkey* [GC], № 21986/93, გვ. 104-109, ECHR 2000-VII; და *Okkali v. Turkey*, № 52067/99, გვ. 65, ECHR 2006-... (ამონარიდები)). ეს არსებითა სამართლებრივი სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და უკანონო ქმედებების მიმართ ხელისუფლების ორგანოთა ტოლერანტობისა ან ფარული გარიგების გამოვლინების პრევენციისათვის (იხ. *mutatis mutandis*, *Öneryildiz*, ციტირებულია ზემოთ, გვ. 96).

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივრის გამოძიება შვიდი თვე გრძელდებოდა, 2000 წლის იანვრიდან აგვისტომდე. პროკურორმა ორჯერ გააუქმა გადაწყვეტილებები გამოძიების შეწყვეტის შესახებ, გაითვალისწინა რა, რომ გამოძიება სერიოზული საპროცესო დარღვევებით მიმდინარეობდა. განმცხადებელი თავის აპელაციებში ჩითდა კონკრეტულ საპროცესო დარღვევებზე, რომ ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე და არ ჰქონდა მოწმეებთან, კერძოდ, ცენტრის თანამშრომლებთან დაპირისპირების შესაძლებლობა. თუმცა

აღსანიშნავია, რომ სამართლიანობა ალდგა 2000 წლის 1 იანვრისა და 2000 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებათა გაუქმებით და გამოძიების გაგრძელებით.

60. თუმცა, ფაქტია, რომ სამართლაწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოდ ძალაში დატოვა სასამართლომ, რომელმაც ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, დაადგინა: არ არსებობდა საფუძველი იმისა, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული. ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო ამბობს, რომ გამოძიების მიზანი იყო, გაემართობებინა გამოსაფხიზლებელ ცენტრში განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთა და მასზე ძალის გამოყენება. გარდა იმისა, რომ განმცხადებელი აპროტესტებდა მტკიცებას მისი ინტოქსიკაციის ქვეშ ყოფნის შესახებ, იგი იმეორებდა, რომ მის საქციელში არაფერი იყო ისეთი, რაც თავისუფლების აღკვეთას გაამართლებდა. ის ასევე ჩიოდა, რომ სასტიკად მოეპყრნენ და ცენტრის თანამშრომლებმა გააშიშვლეს იმ ფორმით, რომელიც მას შეურაცხყოფდა და არღვევდა მისი ლირსების პატივისუფრის უფლებას. მე-3 მუხლში არსებული საპროცესო ვალდებულება სასამართლოსთვის შესაძლებელს უნდა ხდიდეს იმის დადგენას, სცდება თუ არა გასაჩივრებული მოპყრობა მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის ზღვარს. სასამართლოს თვალსაზრისით, ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლის ბრალდებები ძალიან ვიწრო ჩარჩოებში გამოიძიეს და, შესაბამისად, ვერ შეძლეს დაედგინათ განმცხადებელზე გამოყენებული ძალის პროპორციულობა მე-3 მუხლის სტანდარტებიდან გამომდინარე, კერძოდ კი ვერ შეძლეს, დაესაბუთებინათ ორი მაშრობითი სქესის თანამშრომლის მიერ განმცხადებლისთვის ტანსაცმლის იძულებით გახდა და 1999 წლის 28 დეკემბრის დილამდე მისი მოძრაობის შეზღუდვა შემზღვდველი ქამრით.

61. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის ფორმა შეუსაბამოა კონვენციის მე-3 მუხლის სახელმწიფოზე დაკისრებულ საპროცესო ვალდებულებებთან.

62. ამგვარად, კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა მის საპროცესო ნაწილში.

## II. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი კუნძთის საპარაულო დარღვევები

63. განმცხადებელი, კონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით, ჩიოდა, რომ გამოსაფხიზლებელ ცენტრში მისი დაპატიმრება უკანონო იყო. დაკავებისას იგი არ იყო ინტოქსიკაციის ქვეშ და საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევდა, რაც, შესაბამისი კანონით, არსებითი წინაპირობა გახლდათ პირის დასაპატიმრებლად.

64. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა „კანონში არსებული პროცედურების შესაბამისად მოხდა“, კერძოდ, გამოსაფხიზლებელში სწავლებისა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის მე-40 სექციის თანახმად (იხ. ზემოთ პუნქტები 25-26). ადგილობრივმა ორგანოებმა ცალსახად დაამტკიცეს, რომ შიდა კანონმდებლობა საფუძველს იძლეოდა განმცხადებლის დასაპატიმრებლად და მოყვანილი მიზეზები უკანონოდ ვერ ჩათვლება.

65. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ განაცხადის ეს ნაწილი კონვენციასა და მის ოქმებში არსებულ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას არ ავლენს.

66. განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, სასამართლო მასზე უარს ამბობს.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### 67. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფო ბრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლება, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკავყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### A. ზიანი

68. განმცხადებელი ითხოვდა 50 000 პოლონურ ზლოტს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ, რომელიც მას მიადგა დამცირებითა და პატიმრობისას სასტიკი მოპყრობის შედეგად მიღებული შოკით.

69. მთავრობის არგუმენტაციით, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძველს იყო მოკლებული, რადგან იგი კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის მსხვერპლი არ გამზღარა. მთავრობის მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის დარღვევა დადგინდებოდა, ეს თავისთავად უკვე საკმარისი იქნებოდა განმცხადებლის სამართლიანი დაემაყოფილებისთვის.

70. სასამართლოს თვალსაზრისით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებელს მნიშვნელოვანი შფოთვა და დისტრესი უნდა განეცადა. შესაბამისად, მხოლოდ კონვენციის დარღვევის დადგენა საკმარისი ვერ იქნებოდა. საქმის გარემოებების ერთობლიობაში განხილვით და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო განმცხადებელს 7 000 ევროს ანიჭებს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

#### B. ხარჯები და დანახარჯები

71. განმცხადებელს საქმესთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად მოთხოვნა არ წამოუყენებია.

#### C. საურავი

150. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევრობის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

#### ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს განმცხადებლის საჩივარს სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და მისი ბრალდებების არასათანადო გამოძიების შესახებ — დასაშვებად, განაცხადის დანარჩენ ნაწილს კი დაუშვებლად;
2. ერთხმად ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილი;

## ვიკტორეკო პოლონეთის წინააღმდეგ

3. ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო ნაწილი;
4. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს:
5. (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 თვის განმავლობაში, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს არამატერიალური ზოანის ასანაზღაურებლად უნდა გადაუხადოს 7 000 ეროვნული ვალიური კურსით. ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.  
(b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
6. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

**ლოურენს ეარლი**  
რეგისტრატორი

**ნიკოლას ბრაცა**  
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების - ლეხ გარლიცკისა და დავიდ ტორ ბიორგვინსონის - ერთობლივი, განსხვავებული მოსაზრება.

**მოსამართლების - ლეხ გარლიცკისა და დავიდ ტორ ბიორგვინსონის ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება:**

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ პალატის მოსაზრებას გამოძიების არა-ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

როგორც პალატის გადაწყვეტილების მე-60 პუნქტიდან ჩანს, საპროცესო და-რღვევის დადგენა უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ „ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლის ბრალდებები ძალიან ვიზრო ჩარჩოებში გამოიძიეს და, შესაბა-მისად, ვერ შეძლეს განმცხადებელზე გამოყენებული ძალის პროპორციულობის დადგენა მე-3 მუხლის სტანდარტებიდან გამომდინარე“.

ამგვარად, არ არსებობს მიზეზი ხელისუფლების ორგანოების დასადანაშაუ-ლებლად, რომ მათ საქმის არსებითი ფაქტები არ დაადგინეს. შედეგად, რთული იქნებოდა დადგენილების ჩვეული ფორმის გამოყენება, რომ „გამოძიება იყო ზედაპირული, არაობიერებული და დასრულდა გადაწყვეტილებებით, რომელთა დასკვნებიც ფაქტების ლრმა ანალიზით არ დასტურდება“ (იხ. მაგალითისთვის, Lewandowski and Lewandowska v. Poland, № 15562/02, § 74, 13 იანვარი 2009; ასე-ვე, Dzwonkowski v. Poland, № 46702/99, § 66, 12 აპრილი 2007). როგორც ჩანს, პალატის აზრით, დარღვევა, პირველ რიგში, გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ხელისუფლების ორგანოებმა განმცხადებლის საჩივრის „ადამიანის ღირსების“ ასპექტი ცალკე არ შეაფასეს და მასზე რეაგირება არ მოახდინეს, და მეორე რიგში, იმ ფაქტით, რომ გამოძიებისას სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა ცენტრის ჰერსონალის მიმართ.

არ ვართ დარწმუნებული, რომ გამოძიებამ არ გაითვალისწინა განმცხადე-ბლის საჩივარი მისი ღირსების შელახვასთან დაკავშირებით. საქმის ამ ასპექტზე გამახვილდა თავდაპირველად ყურადღება საოლქო პროკურორის გადაწყვეტი-ლებაში (2000 წლის 17 ივნისი), რომლითაც გაუქმდა პირვანდელი გადაწყვე-ტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. პროკურორმა აღნიშნა, რომ „საქმეზე ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება რეაგირებას უნდა ახდენდეს განმცხა-დებლის მიერ მოთხრობილ ქმედებებზე, [მათ შორის] მისი ღირსების შელახვის ფაქტზე (*inter alia* მის გაშიშვლებაზე)“. საქალაქო პროკურორმა 2000 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მისდინა ამ ინსტრუქციას, მაგრამ განმცხადებლის საჩივარზე მითითებით - რომ გამოსაფხიზლებელი ცენტრის თანამშრომლებმა თავიანთი ქცევით მისი პატივი და ღირსება შელახეს, დაასკვნა: გასათვალისწი-ნებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებელს უფლება ჰქონდა, კერძო საბრალდე-ბო საჩივარი წამოეყენებინა საჩივრის ამ ნაწილთან დაკავშირებით. ამგვარად, „ადამიანის ღირსების“ ასპექტი ხელისუფლების ორგანოებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი დასკვნების თანახმად, გამოსაფხი-ზლებელ ცენტრში გატარებული ყველა ღონისძიება კანონის შესაბამისი იყო. ამგვარად, სისხლის სამართლის ბრალდების წასაყენებლად არანაირი საფუძვე-ლი არ არსებობდა.

მართალია, ფაქტების სასამართლოსეული შეფასება სხვაგვარია და ჩვენ და-ვადგინეთ, რომ განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ღონისძიებები არაპრო-პორციულად მეაცრი იყო, მაგრამ ეს განსხვავება ეხება საქმის მატერიალურ ას-პექტს, რის შედეგადაც დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა. არ შეიძლება ამის გადატანა საქმის საპროცესო მხარის შეფასებისას.

